780/09
1978

ISSN 0134-9348

# საუნჯე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1978 6



ეროვნული
ბიბლიოთეკა



მთავარი რედაქტორი
შოთა ნიშნიანიძე
პ. მგ. მდივანი
ნანა დარჩია
სარედაქციო კოლეგია:
მზია ბაქრაძე
ბაჩანა ბრეგვაძე
გურამ გოგიაშვილი
მაგალი თოდუა
ნოდარ კაკაბაძე
მიხეილ კვესელავა
ზურაბ კიკნაძე
ვახუშტი კოტეტიშვილი
რომან მიმინოშვილი
ოთარ ნოდია
ნიკო ყიასაშვილი
დავით წერედიანი
თამაზ ჩხენკელი

«САУНДЖЕ»
литературно-художественный альманах на грузинском языке
№ 5
1978

Главная редакционная коллегия художественного перевода и литературных взаимосвязей

Тбилиси
улица Шалвы Дадиани, 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ცუცქირიძე — „შუშანიკის წამების“ ილუსტრაციები

მხატვრული რედაქტორი ლ. ცუცქირიძე. მხატვარი ა. ვართაგავა. ტექრედაქტორი რ. იმნაიშვილი

გადაეცა წარმოებას 20/IX-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/XII-78 წ. ქაღალდის ზომა 70 X 108 $^{1}/_{16}$. სააღრ.-საგამომ. თაბახი 17,35. ნაბეჭდი თაბახი 21. ტირაჟი 10.000. შეკვ. № 1150.

ფასი 1 მან.

საქართველოს სსრ გამსახკომის საგამომცემლო-პოლიგრაფიული გაერთიანება „განათლების“ კომბინატი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат издательско-полиграфического объединения «Ганатлеба» Госкомиздата Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

# საუნჯე

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური
ალმანახი

6
(27)
1978
ნოემბერი
დეკემბერი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ
ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო
კოლეგია


ეროვნული ბიბლიოთეკა

I 5930

შინაარსი


ოთარ ნოდია. სიკეთისა და სიმართლისათვის 3

მაქს ფრიში. ვიქნები თუნდაც განტენბაინი. რომანი. გაგრძელება. გერმანულიდან თარგმნა დალი ფანჯიკიძემ 5

რუსი პოეტები. ლექსები (მ. ლერმონტოვი, ნ. ოგარიოვი, ი. ტურგენევი, ი. სურიკოვი) რუსულიდან თარგმნა არნო ონელმა 85

მარიო ვარგას ლიოსა. ლეკვები. მოთხრობა. თარგმნა ამირან გაბესკირიამ 89

თადეუშ რუჟევიჩი. დაშვება. პოემა. პოლონურიდან თარგმნა მიხეილ ქვლივიძემ 118

მარტინ არმსტრონგი. კუპიდონი ლიფტში. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ზურაბ გემაზაშვილმა 125

ევა შტრიტმატერი. ლექსები. თარგმნა მედეა კახიძემ 131

აზიზ ნესინი. სევიმი და საითი. იუმორისტული რომანი. დასასრული. თურქულიდან თარგმნა გურამ ბათიაშვილმა 137

საიათნოვა. ლექსები. აზერბაიჯანულიდან თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა 169

ბ. ტრავენი. ინდიელთა მოქცევა. მოთხრობა. გერმანულიდან თარგმნა გიორგი გოგოჭურმა 173

ლეონარდ მოსლი. გზა პრალისაკენ. დასასრული. ინგლისურიდან თარგმნა ალექსანდრე ჩიკვაიძემ 177

ე. თ. ა. ჰოფმანი. ჟაკ კალო. გერმანულიდან თარგმნა ლია თაკვარელიამ 216

ალენ ბოსკე. პოეტის ხვედრი საფრანგეთში 217

ნიკა აგიაშვილი 75 წლისაა. მისალმებები. გივი გეგეჭკორი. ემზარ კვიტაიშვილი 219

მანანა გიგინეიშვილი. იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“ 223

ვახტანგ კილაძე. ქართული ანბანი. წინასიტყვა ლადო გუდიაშვილისა 236


კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო ... ბიბლიოთეკა



# სიკეთისა და სიმართლისათვის

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბოლო პერიოდის [illegible] წიგნები — „მცირე მიწამ", „აღორძინებამ" და „ყამირმა" [illegible]-ხის, მხოლოდ მკითხველი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. საოცარია და თავისთავად მრავლისმეტყველია ამ ადამიანის ბიოგრაფია, რომელიც ბრძოლისა და შრომის ყველა ურთულეს და მძაფრ გამოვლინებაში ზუსტად ემთხვევა მშობლიური ქვეყნის ისტორიას, მის დაძაბულ [illegible]. ამიტომაცაა, რომ სამივე ეს ნაწარმოები, დოკუმენტური პროზის დამოუკიდებელი ნიმუშები, ორგანულ კავშირში არიან ერთმანეთთან და პიროვნების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწის მოგონებებთან ერთად ჩვენი ქვეყნის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპების უზუსტეს ფსიქოლოგიურ და მორალურ ინტერპრეტაციებსაც წარმოადგენენ.

ლეონიდ ილიას ძის ნაწარმოებები — როგორც სრულიად მართებულად აღნიშნა საქართველოს პარტიულ აქტივზე — „...ჩვენში იწვევენ ძლიერ ემოციურ იმპულსს, მაგრამ რა ძლიერიც უნდა იყოს განცდა, როგორც უნდა გვიტაცებდეს წიგნების ლიტერატურულ-მხატვრული სტრუქტურა, ჩვენთვის მთავარი არის და იქნება მათი პარტიული საწყისი, იდეურ-ფილოსოფიური საფუძველი, რომელიც ხელთ გვაძლევს პრაქტიკული მოქმედების სახელმძღვანელოს".

წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს ამ წიგნებში ასახული ცხოვრებისეული რეალიზმი, სავსე თავისი მკაცრი კოლიზიებით, ტრაგიზმითა და დიდი სიხარულით, რაც ჩვენთვის, [illegible] მკითხველებისათვის, თანამედროვეობის პრობლემატიკაში საფუძვლიანად გარკვევის სურვილს, საზოგადოებრივ-სახალხო საქმეში აქტიური მონაწილეობის სურვილსაც ბადებს. სინამდვილის მძაფრი შეგრძნება, საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი სირთულე და მრავალსახოვანება თავისთავად ხელს უწყობს საბჭოთა ადამიანის სულიერი სიჯანსაღისა და შეუვალობის განმტკიცებას და ეხმარება მას უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში.

ჩვენთვის მეტად საგულისხმოა პარტიული მუშაკის, ხელმძღვანელისა და, საერთოდ, პიროვნების ლეონიდ ილიასძისეული შეფასება, სადაც მკაფიოდ გამოსჭვივის საკუთარი დიდი გამოცდილება, ცხოვრებისეული სიმართლე და ადამიანისადმი პატივისცემა: „კაცი კიდევაც რომ ცდებოდეს, არავის არა აქვს უფლება დაჰკივლოს და შეურაცხყოს. ძალზე [illegible], კაცი კაცს რომ დაუცაცხანებს, ეს არც ისე გავრცელებული ჩვეულებაა, მაგრამ ზოგი დღემდე ვერ გადაეჩვია ამას; როგორც სამეურნეო, ისე პარტიულ ხელმძღვანელს უნდა ახსოვდეს, რომ მისი ხელქვეითები მხოლოდ და მხოლოდ სამსახურებრივი ხელქვეითები არიან; რომ ისინი დირექტორს ან გამგეს კი არ ემსახურებიან, არამედ პარტიისა და სახელმწიფოს საქმეს. და ამ მხრივ ყველა თანასწორია. ის, ვინც თავს ნებას აძლევს გადაუხვიოს ჩვენი წყობილებისათვის ამ ურყევ ჭეშმარიტებას, სამუდამოდ იტეხს სახელს, ილახავს ავტორიტეტს. და ვინც შეცდება, პარტიული, ადმინისტრაციული და ბოლოს იურიდიული პასუხი უნდა მოეთხოვოს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შევლახოთ ადამიანის თვითმოყვარეობა, დავამციროთ მისი ღირსება" („მცირე მიწა").

მკითხველი უყოყმანოდ ეთანხმება ავტორს იმაში, რომ ადამიანები, — მებრძოლები არიან ისინი თუ მშვიდობიანი მშრომელები, არ დაუჯერებენ ლამაზ სიტყვებს, არაფრად დაგიდევენ ყალბ მეთაურსა თუ ხელმძღვანელს, რომ მათ პირველ რიგში ესაჭიროებათ სინამდვილის ზუსტი ცოდნა, რაოდენ მკაცრიც არ უნდა იყოს იგი, ესაჭიროებათ თანაგრძნობა და ადამიანური ყურადღება. პიროვნებამ, ცხადია, წვლილი უნდა შეიტანოს საერთო საქმეში. ეს კი ნიშნავს, რომ მას უნდა ჰქონდეს საკუთარი რეაქცია სინამდვილეზე და არ ლამობდეს სხვისა ნაშრომის ექსპლოატაციასა თუ სხვისი წვლილის მითვისებას — არ უნდა იყოს ნაყოფის მომტან ხეზე ცრუ, [illegible] ყვავილად ამოსული და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კარიერისტის, დამქაშის როლი არ უნდა შეასრულოს.



ცალკეული ხელმძღვანელისა თუ რიგითი მუშაკის ლეონიდ ილიასძისეულ ყოველ შეფასებაში იგრძნობა დიდი ჰუმანურობა და პრინციპულობა, ამავე დროს მკაფიოდ შეინიშნება, რომ ავტორი ადამიანთა ხასიათში, მათ „სულიერ მდგომარეობაში", უარყოფს, ეწინააღმდეგება ნეგატიურ მომენტებს და არა თვით ამ ადამიანებს. ადამიანის სული, ადამიანის შინაგანი სამყარო პარტიის უპირველესი ზრუნვის საგანია. პიროვნების ფსიქოლოგიას, მის პიროვნულ ღირსებასა და სიმპათიებს ყოველთვის უნდა გაეწიოს ანგარიში, მით უმეტეს პარტიული ხელმძღვანელის მხრიდან. ადამიანი იყო და იქნება ყველაზე მაღალი ფასეულობა ჩვენს

ქვეყანაში. აი, რა გამოხჭვივის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის თითოეულ ფრაზაში, მის ყოველ ნააზრევში.

ამ თემას არაერთხელ უბრუნდება ლეონიდ ილიას ძე. საინტერესოა ავტორის აზრი, რომელიც კონკრეტული შემთხვევის განზოგადებიდან: „ამ დროისათვის სამხედრო ... დავრწმუნდი, რომ მაშინაც კი, როცა ვინმეს პრინციპულ საკითხში არ ვეთანხმები, ... უნდა (...) შეძლოთ მუშაკის ღირსება არ შეილახო, არ დაჯაბნო, არ დაამცირო. შეიძლება კაცს უთხრა: „რას ჩმახავ!“—და შეიძლება, თუ ... ლაპარაკობ ..., ... ... რჩევისათვის, მოვიფიქრებთ, მაგრამ ახე რომ ვცადოთ...“. „მე ... უნდა ვითოკა, რომ ამ პასტზე, რომელზეც პარტიამ დაგაყენა, დაუფიქრებელი ჩიტუკის თქმის უფლება არა მაქვს... ხელმძღვანელს ყოველთვის ბევრი იცალი უჭირავს და ამიტომ არა აქვს დაბნეულობის, ხაიკსტის გამოჩენის უფლება. რაც უნდა აწუხებდეს, ყველაფერი მომარა თული, მშვიდ იყოს და ნერვებს ითოკოს, რათა ადამიანებიც რწმენით დაიმუხტოს. ზოგჯერ ჯეროვნად არ ვაფასებთ იუმორის როლს, საჭიროდ კი ხუმრობითაც შეიძლება „საქმეს გამოადგე“ („აღორძინება“).

ლეონიდ ილიას ძის წიგნებში წარმოსახული სინამდვილე, ის პერსონაჟები, მებრძოლი და შრავალსახოვანი, რომ უნებური მოგონებებს ჩაგვიქრებს შენთვის მანამდე უცნობი პიროვნების მოღვაწეობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების, ხალხისა და პარტიის ერთიანი მისწრაფების და მიზნის ხაზგასმასთან. ამ დროს ... მკითხველი „თავის სიმართლეს“, ცხოვრების მეცნიერების „თავის განსაკუთრებულ კუთხეს“ იცნობიერებს და მის სულში მახალის განსაკუთრებით ძვირფასი აზრი, თითქოს თუ ... პოულობს თავისებურ გამოძახილს.

ერთობლივ დიდი ლამაჯერებლობითა და ხატოვნად წარმოგვიდგენს ომისშემდგომ პერიოდს, როდესაც გამარჯვების დიდი სიხარული იჩრდილებოდა იმ დიდი სიძნელეებით, ნგრევით და ... ხელმოკლეობით, ..., ... გამარჯვებული და ... მებრძოლის სულიერებს კრითავს დიდი ადამიანური სულიერება. ამ დროს ... და ... ... ფსიქოლოგიური ... ყოველი საბჭოთა მებრძოლისათვის, ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის. მაგრამ ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი ქვეყნის ძლიერი ... ... ანტიკურ... ადამიანისაგან ... ერთი სიმძიმილი ... ... ... ... ... სიძნელე — შრომაში გამწყობის ... გადასვლას. ეს გარემოება კი უდავოდ დიდი სიძნელის წინაშე აყენებდა ყოველ ხელმძღვანელს. მას თვითეული რიგითი მუშაკის პიროვნული ინდივიდუალური თვისებები და შესაძლებლობებიც უნდა სცოდნოდა. ხოლო პოლიტიკური ხელმძღვანელი ის ადამიანი იყო, რომელიც ერთმანეთისა ... ... პიროვნებებს და მათ საერთო სახალხო საქმისათვის რაზმავდა. ... ამ მხრივ არსებული მდგომარეობის ... დოკ, ღრმა ... ... განცდა, წიგნის („აღორძინება“) ... რომ იმყოფება ჩვენს ... „... უკვე ... ... და ... შორის, ... ... ... ქალაქის ... ... იმპორიგ კი ... ... ... და ... ... ხეების ტოტებზე ყვავების ჩამოკიდებული ბუდეები ეკიდა. მხგავსი რამ საომარ ... ომის დროს ..., მაგრამ მაშინ ... ... ... ... ... მოუმზადებული... ახლა კი ... ... ...“. პოლიტიკური, საზოგადოებრივი მოღვაწის ეს თვისებები — სახელმწიფოს ინტერესები, როგორც საკუთარი საქმის პიროვნული ღრმა განცდა და ამასთანავე შეუმჩნეველი ... ... მკაცრი და ამავე დროს ... ... ... ხელმძღვანელის სწორედ იმ ძვირფას თვისებას, რომელიც მას ხალხთან აახლოვებს და თანაბრად აკავშირებს მათთან.

... მუშაობის პრაქტიკა წარმოსდგება თვით არსებული რეალობიდან, იქიდან, თუ რას მოითხოვს შექმნილი ვითარება. ლეონიდ ილიას ძე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ზოგჯერ დიდი საქმე, საეჭვო სახელი, ... ... თითქმის არ ... ... ... მას დრო სჭირდება. ყველა დიდი საქმე მარის გამიზნული საქმეცაა, ამიტომაცაა აუცილებელი—აღნიშნავს ლეონიდ ილიას ძე — ყამირზე მსჯელობის დროს მსგავსელობაში მიგიღოთ პარტიის ამ უდიდესი წამოწყების გიგანტური მასშტაბები და დიდი ისტორიული მნიშვნელობა.

ყოველი მნიშვნელოვანი, სახალხო-სახელმწიფოებრივი საქმის ხორცშესხმა უპირველესად ადამიანების საჭიროებს, დიდი კოლექტივის შექმნას გულისხმობს. ნამდვილი შეკავშირებული დისციპლინა იქ არის შესაძლებელი, სადაც კოლექტივი იხარება, სადაც კოლექტივის საქმიანობა საერთო მიზნის მისაღწევად ადამიანების შინაგანად გაააზრებული ერთიანი, ... ქმედებით არის განპირობებული.

„მცირე მიწას“, „აღორძინე-



ბას“, და „ყამირს“ ლეიტმოტივად გასდევს ომის ხმარი მოგონება, ვინაიდან ეს თავდადებული შრომა, ეს მოღვაწეობა ძალიან ჰგავდა ომს, ბრძოლას... ინიციატივა, რეალობიდან ამოხვლა, ყოველი ვითარების შესწავლა და ანგარიშის გაწევა — მხოლოდ ასეა შესაძლებელი ნამდვილი მიღწევა, ნამდვილი აღმშენებლობა, როცა მიღწეულია ხელმძღვანელობის ისეთი დონე, მაშინ ნათელი და ადვილად მისახვედრია თითქმის ყოველივე... მაშინ იქმნება ნამდვილი საქმიანი ატმოსფერო და მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი ხალხისა და სამართლიანობისთვის ბრძოლა.

ოთარ ნოდია

# მაქს ფრიში

## ვიქნები თუნდაც განტენბაინი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**რომანი**

გერმანულიდან თარგმნა **დალი ფანჯიკიძემ**

●

სოფელ ო-ში გულკეთილ და წესიერ კაცად ცნობილი ერთი ორმოცი წლის მეფუნთუშე ეჭვიანობის ნიადაგზე ასე მოქცეულა: ჯერ გამოუღია შაშხანა (ასეთი შაშხანა კონფედერაციის ყველა წევრს უდევს განჯინაში), საგულდაგულოდ დაუმიზნებია და ტყვია თეძოში მოუხვედრებია თავის ცოლის საყვარლისათვის, ოცდაერთი წლის ტიროლელისათვის, მერე აუღია უჟანგავი ფოლადის სალდათური დანა, რომელიც ისეთივე შემადგენელი ნაწილია განჯინაში შესანახი აღჭურვილობისა, და თავის ფეხმძიმე ცოლისათვის, ორი შვილის დედისათვის, სახე დაუსერავს. შემდეგ ფურგონიან მანქანაში პურებივით შეუწყვია ორივე მსხვერპლი და თვითონვე მიუყვანია უახლოეს საავადმყოფოში. შეყვარებული წყვილის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებაო, ეწერა საგაზეთო ქრონიკაში... ერთი კვირის შემდეგ ბურიმ, ჩემმა ექიმმა, მიამბო, ამას წინ ჭადრაკის სათამაშოდ, თუ იცი, რატომ ვერ მოვედით. იმ საღამოს ექიმთან ვიღაც ქალს დაურეკია და უკითხავს, ათი ცალი დასაძინებელი ტაბლეტის დალევა სახიფათო ხომ არ არისო. ექიმს რომ უკითხავს, ვინ ლაპარაკობსო, ყურმილი დაუკიდიათ. ცოტა ხნის შემდეგ იგივე ხმას დაურეკია და უთხოვია, თუ შეიძლება ახლავე მობრძანდითო. ამჯერად გვარიც უთქვამს და მისამართიც. სასწრაფო საქმეაო (ეს გახლდათ ჩვენი ხუთშაბათი, მე დაფა უკვე გაწყობილი მქონდა და ვიცდიდი). ექიმს ოთახში მეფუნთუშის ფეხმძიმე ცოლი და მეფუნთუშის ჭაბუკი ამქარი დახვედრია. ჩვენ ერთმანეთი გაგიჟებით გვიყვარს და მეფუნთუშეს ამის გამო უძილობა სჭირსო. ეს გვინდოდა გვეთქვა, ახლა იგი ზევით წევსო. ექიმი ზემოთ ასულა, მაგრამ ოთახი ცარიელი დახვედრია. ამის შემდეგ ექიმსა და მეფუნთუშის

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 3.

ცოლს დიდხანს ესაუბრიათ. ბურის პერანგისამარა ამქორისათვის უკითხავს, მეფუნთუშის ფეხმძიმე ცოლის შერთვას აპირებ თუ არაო, ისე კი თურმე ფეხებგაჩაჩხული იდგა და ეუბნება, რას ბრძანებთ, ქალის რჩენის თავი სადა მაქვსო. ეტყობა, მეფუნთუშე მთლად გადარეულა. ათი [illegible] ამის გადაყლაპვა? ამ დროს — ბურიმ, თვალს არ დაუჯერებია თურმე — კარადა და როგორც ფარდში, კარადიდან ისე გამოდის თეთრ წინსაფარაფარებული უშფოთველი და წყნარი მეფუნთუშე. როგორც იქნა! როგორც იქნა, გაიგეს ყველაფერით, ამბობს იგი, მაშ მართალი ყოფილა. იმ წუთში ყველაზე უფრო მშვიდად მას სჭერია თავი, თავისი სასაცილო გამოსვლის მიუხედავად ღირსება არ დაუკარგავს, ჭკვიანურად იქცეოდა თურმე, კმაყოფილებას ვერ ჰფარავდა, რომ მისი ხანგრძლივი ეშვიანობა უნაყოფო არ ყოფილა. ბოლოს და ბოლოს, ხომ გამოცხადდა ჩემი ცოლიო. ექიმს თავისი ჩანთის გახსნა აღარ დასჭირვებია, ოთხივენი საუბარს შეჰყოლიან, მაგრამ ვერა და ვერ შეთანხმებულან, ვინ იყო ამ საქმეში მართალი. ექიმის გონივრული წინადადება, რომ ამქარი წასულიყო ამ სახლიდან და სხვაგან მოეძებნა ადგილი, სწორედ ამქარს არ დასჯდომია ჭკუაში, ხოლო ორ მამაკაცს შორის ჩამდგარ ქალს მეფუნთუშისათვის რომ უკივინებია, გრცხვენოდესო, ეს მეფუნთუშეს აღარ დასჯდომია ჭკუაში. ასე იყო თუ ისე, ექიმს, ბოლოს და ბოლოს, ამათგან თავი დაუღწევია (ჭადრაკის სათამაშოდ მისვლა უკვე აღარ ღირდაო). სამივე დაშოშმინებული და დამშვიდებული დაუტოვებია, თვითონ კი შინისაკენ მიმავალს აგონდებოდა, ფქვილში ამოგანგლული მეფუნთუშე კარადიდან როგორ გამოეცხადათ, და თავისთვის ეცინებოდა... რამდენიმე დღის შემდეგ ექიმს კვლავ მოუხდა ო-ზე გავლა, მეფუნთუშის ოთახში შუქი რომ დაინახა, თავი ვალდებულად იგრძნო შესულიყო და ეკითხა, საქმე როგორ გადაწყდაო. ამჯერად ოთახში მარტო მეფუნთუშე დაუხვდა. როგორ არის საქმეო, ჰკითხა ექიმმა. მეფუნთუშეს ისეთი მშვიდი და ფხიზელი სახე ჰქონდა, თითქოს ბუზიც არ აფრენიაო. ნუთუ ბატონი ექიმი გაზეთებს არ კითხულობსო? მამაკაცებმა თითო ჭიქა ქლიავის არაყი გადაჰკრეს. იმაზე მეტი, რაც გაზეთში ეწერა, არც მეფუნთუშეს სცოდნოდა თურმე. საგაზეთო ცნობას მხოლოდ ეს დაუმატა: ექიმი რომ წასულა, თავისი ანელი საწოლ ოთახში აუყვანია, რომ ექიმის რჩევისამებრ მაშინვე დაეწყოთ ახალი ცხოვრება. ანელისაც არ გაუმტყუნებია მისთვის იმედი. ამდენი ხნის შემდეგ იმ ღამეს პირველად ჩასძინებია ძილის წამლის გარეშე, ოღონდ ღრმად არ სძინებია და მალე ლოგინში გაჩენილ სიცარიელესა და სიცივეს გამოუღვიძებია. ეს იყო ასე, პირველ საათზე, თქვენი წასვლიდან ერთი საათი თუ იქნებოდა გასულიო. ახლა კი მისულა გული მეფუნთუშეს, ოღონდ შამხანა და ჯიბის დანა მხოლოდ დასამშვიდებლად გამოუღია განჯინიდან და დიდ ოთახში ჩასულა. მთვარეც არ გაუწბილებიათ, დიახ, აქ, ამ დივანზე უნახავს ორივე ჩაბნელებულ ოთახში, მთვარის შუქზე მკაფიოდ ჩანდა თურმე თეთრი პერანგები და ოთხი ფეხი. შუქი რომ აენთო, საქმე უკვე მოთავებული იყო: ამქარი, რომელმაც სხვა ადგილის მოძებნა არ ისურვა, იატაკზე ეკლაკნებოდა და ყმუოდა, მის საცოდავ ანელის კი მატყუარა სახიდან ღვარ-ღვარად ჩამოსდიოდა სისხლი. თუმცა თვითონაც კარგად იცოდა, რომ ამ საქმის ჩამდენი სხვა არავინ იყო, შემოსწრებული კაცივით მშვიდად იქცეოდა. მაშინვე დაურეკა ექიმს, მაგრამ ვერ დაუკავშირდა, შემდეგ კი, როგორც გაზეთშია აღწერილი, შეყვარებული წყვილი თავისი ფურგონიანი მან-

ქანით მიიყვანა უახლოეს საავადმყოფოში, სადაც მას კეთილსინდისიერ მეფუნთუშედ იცნობდნენ, თვითონ კი პოლიციაში გამოცხადდა, სადაც ისეთივე შეხედულებისა გახლდნენ მასზე.

რა თქმა უნდა, სასამართლოს წინაშე მოუწევს წარდგომა.

სულ ვფიქრობ, ამქარს რატომ მაინცდამაინც თეძოში ჰქონდა ტყვია, ქალს კი, პირიქით, სხეული როდი დაუსახიჩრა, სახე დაუსერა; სხეულს ბრალი არაფერში მიუძღვის, სხეული სქესია, სახე კი პიროვნება. ახლახან თ.-ში წავედი იმ მეფუნთუშის სანახავად, მაგრამ დახლში არ დამიხვდა, ერთი პური მაინც ვიყიდე და მერე ქათმებს გადავუყარე რომელიღაც ეზოში. მეორე პური მეფუნთუშის შეგირდმა გოგონამ მომყიდა და ის გედებს დავუფშვნე ტბაზე. არ ვიცი, რად მომეპრიანა იმ მეფუნთუშის ნახვა. როცა დაკეტვამდე ცოტა ხნით ადრე კიდევ გავბედე იქ მისვლა, უკვე კარგად ვცნობდი დუქნის კარის ზარის ხმას, ამ სოფლურ დუქანში დამდგარ პურის სუნს და მუშტრის შემოსვლამდე გამეფებულ სიჩუმეს. ვხედავდი, რომ თაროებზე აღარც პური ეწყო და აღარც ფუნთუშები, მხოლოდ კანფეტები და ნაზუქეული იყო დარჩენილი. სწორედ იმას ვფიქრობდი, რა შეიძლება გედებს კიდევ დაუყიდო-მეთქი, რომ შევკრთი, რადგან უეცრად ფქვილიანი ფოსტლებით დუქანში თვით მეფუნთუშე შემოფლატუნდა: ამ კაცმა ჩაიდინა დანაშაული, სახე კი წარბშეუხრელი ჟანდარმისა ჰქონდა, რომელიც დანაშაულს ყოველთვის გარეშე ადამიანის თვალით უყურებს ხოლმე. ჯანმაგარი კაცი ჩანდა, თავის დროზე ალბათ ტანმოვარჯიშე იქნებოდა, თუმცა ახლა სახაბაზოს ფერი დასდებოდა, სახე კი იმდენად ჩვეულებრივი ჰქონდა, მის დანახვაზე დანაშაული რაღაც უცხოური ამბავი ეგონებოდა კაცს. დამნაშავეო, ვერც დაიჯერებდი, დამნაშავეთა უმრავლესობას ხომ შუბლზე არ აწერია დანაშაული. მან მკითხა, რა გნებავთო. ვხედავდი, რომ ჩადენილი დანაშაული საერთოდ არ შეესაბამებოდა მის პიროვნებას. ასეც ხდება: უცებ ვიღაც ჩაიდენს ჩემს დანაშაულს, რომელიც მას ციხის კარამდე მიიყვანს, მე კი საკუთარი თავის გამო ვკანკალებ. ვითომც აქ არაფერიაო, ერთი ფილა შოკოლადი ვიყიდე, თუმცა ფული კი ცოტა არ იყოს უგულისყუროდ გადავიხადე, მერე ჩემს გზას გავუდექი და დავინახე, როგორ უნდოდ გამომაყოლა მეფუნთუშემ თვალი.

კამილა ჰუბერის ფასი ქალი არ დადის ამ ქვეყანაზე: მას სჯერა ნამდვილი ამბები, ნამდვილი ამბებისათვის ჰკუას ჰკარგავს, ყველაფერი იტაცებს, რაც ჰგონია, რომ ნამდვილად მოხდა, სულ უმნიშვნელო ამბები შემიძლია მოვუთხრო, სანამ მანიკიურს გამიკეთებდეს, ოღონდ ნამდვილი უნდა იყოს... ცხადია, გაუფრთხილებლად არასოდეს მივდივარ მასთან, თან თავაზიანად ვიგვიანებ ხოლმე, მივდივარ შავი ხელჯოხითა და ყვითელი სამკლავურით აღჭურვილი, ხოლო სახეზე მუდამ შავი სათვალე მიკეთია ხოლმე. კამილა ჰუბერი შილიფად ჩაცმული მხვდება და დერეფანში მაცდევინებს, სანამ თმას დაივარცხნიდეს, ჩაიცვამდეს და ოთახს მიალაგ-მოალაგებდეს. არც თვითონ უნდა თავისი ცხოვრებიდან იმაზე მეტს ხედავდეს, ვიდრე მე ვხედავ. როცა ყველაფერი მოწესრიგდება და განტენბაინს ოთახში შესვლის ნებას რთავენ, ირგვლივ მიმოფანტულ ლიფებსა და წინდებს ვეღარ ვხედავ, დიდი-დიდი კონიაკის ბოთლთან ასიანი ეგდოს და იქვე მამაკაცის მაჯის საათიც იდოს სადმე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

იმედია, ის გულმავიწყი უკან არ მობრუნდება! განტენბაინი ნამდვილად ერთადერთი კლიენტია, რომელიც აქ მართლა მანიკიურს იკეთებს. მე მგონი, კამილასათვის ჩემი მოსვლა ალიბის უდრის და გახარებული მანიკიურს მართლაც უამრავი ხელსაწყო-იარაღით მიკეთებს ხოლმე. ეს ხელსაწყოები პოლიციის შიშით აქვს ნაყიდი. გულისამაჩუყებელი მოთმინება გამოირჩევა ამ კუთხის ორივეს, რადგან კარგად ვხედავ, ჩვენს კამილას როგორ აკლია გაწაფულობა. ფრჩხილებს უფრო ხშირ-ხშირად დავაქნევინებდი, კამილა ძუნწვრი ყოველ მისვლაზე თითო ამბავს რომ არ ელოდეს, თახაც გაგრძელებებით. პირველივე თითზე თუ არა, მეორე თითზე ხომ უეჭველად მკითხავს:

— მერე რა მოხდა?

— ველაპარაკე.

— ოხ!

— დიახ.

კამილა ჰუბერს ახლა თეთრი ხალათი აცვია და დაბალ სკამზე ზის, გასაქლიბად გაწვდილ განტენბაინს ცალი ხელი ხავერდის ბალიშზე უდევს, ხოლო მეორეში ჩიბუხი უჭირავს.

— მართლა ელაპარაკეთ?

— დიახ, — ვუმეორებ მე, — მშვენიერი კაცი ყოფილა.

— ხომ ხედავთ, — მეუბნება იგი და იცინის. თან ჩემს ფრჩხილებს არ აცილებს თვალს, — თქვენ კი უკვე განდომდით მისთვის თეძოში გესროლათ ტყვია.

სირცხვილისაგან ენა ჩამივარდა.

— ხედავთ! — მეუბნება იგი და ფრჩხილს მიქლიბავს, მაგრამ ველარ ითმენს და მეკითხება, — მაინც რას ამბობს?

— თქვენს ცოლს თაყვანს ვცემო.

— მერე?

— მე მესმის მისი, — განვაგრძობ მე, — ჩვენ მითოლოგიაზე ვისაუბრეთ, მცოდნე კაცია, ბარვარდში მიუწვევიათ, მაგრამ არ მიდის, მე მგონი, ჩემს ცოლს ვერ ელევა.

პაუზა.

— ძალიან ნიჭიერი კაცია, — ვამბობ მე და ვაბოლებ, — ნამდვილად ნიჭიერი კაცია.

კამილა გაოცებულია.

— მერე პასუხი არ მოსთხოვეთ? — მეკითხება იგი და თან ქლიბს ამუშავებს. როგორც ქალი, კამილა მთლიანად თავისი ბრმა კლიენტის მხარეზეა. — მის კაიკაცობას ვერ დავიჯერებ.

— რატომ, რატომ? — საქმიანად და დარბაისლურად ვეკითხები მე.

— მაშინ ამას არ იზამდა.

— რას არ იზამდა?

— აი, იმას, რაც თქვენ წარმოგიდგენიათ, — მპასუხობს იგი.

მე ვეუბნები:

— ჩვენ მითოლოგიაზე ვსაუბრობდით, დიახ, სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრეთ, თითქმის ერთი საათი მითოლოგიაზე ვისაუბრეთ. ძალიან საინტერესო კი იყო. მესამე ჭიქა კამპარიც გამოვცალეთ და მხოლოდ მაშინ მითხრა, თქვენს მეუღლეს თაყვანს ვცემო. მე ის იყო დანაჩარჯს ვიხდიდი...

კამილა ქლიბს ამუშავებს.

— ბოლოს თავისი ნაშრომი მაჩუქა, გამოკვლევა ჰერმესზე, — ვამბობ იმ მტკიცე და თავშეკავებული ტონით, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უსვამს ხაზს შედარებით განათლებულ და შედარებით გაუნათლებელ ადამიანს შორის არსებულ უფსკრულს, მაგრამ ამ უფსკრულს არც უარყოფს, — იგი მართლა ძალიან ჭკვიანი კაცია.

— მერე თქვენი ცოლი?

მისი კითხვა ვერ გავიგე.

— მას როგორ წარმოუდგენია მომავალი?

განტენბაინმა ახლა მეორე ხელი უნდა მისცეს კამილას, კამილას თავისი დაბალი სკამი მეორე მხარეს გადააქვს და თითქოს სარკეში ირეკლებოდეს ეს სურათი, ჩემი ჩიბუხიც ტუჩის მეორე კუთხეში ინაცვლებს.

— უყვარს ის კაცი?

— შესაძლოა.

— ის კაცი როგორი შესახედავია?

კამილას ავიწყდება, განტენბაინი რომ ბრმაა.

— და თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ეს ნამდვილად ისაა? — კარგა ხანს იცოდვილა და მერე მკითხა კამილამ.

— სულაც არა.

— სასაცილო ხართ პირდაპირ! — მეუბნება იგი. — ამდენი ხანია მელაპარაკებით კაცზე, რომელსაც თქვენს ცოლთან ჰქონია ურთიერთობა და არ იცით, ვინ არის იგი?

— მე ბრმა ვარ.

ვხედავ, როგორ ხრის ქალი წყალბადის ზეჟანგით შეღებილ თავს, განტენბაინი კი დროს იხელთებს და უკვე დაქნილ ფრჩხილებს დახედავს. კამილა ჰუბერი ზოგჯერ ბოდიშობს, როცა განტენბაინს შეკრთომას შეამჩნევს და მაშინ საუბარი სხვა თემაზე, კერძოდ, მანიკიურზე ინაცვლებს ხოლმე. მაგრამ ქალი ვერ ისვენებს.

— კი მაგრამ, წარმოდგენა ხომ შეგიძლიათ, — მეკითხება იგი და თან ფრჩხილს მიქლიბავს, — ხომ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ ეს ბატონი ენდერლინგია, მოკლედ, რა გვარიცაა.

მე თავს ვუქნევ.

— მაინცდამაინც ის რატომ გგონიათ?

— მეც ამას ვეკითხები ჩემს თავს.

კამილა არ მეშვება.

— ასეთ ორჭოფულ მდგომარეობაში ყოფნა საშინელი იქნება, — ამბობს იგი და განტენბაინს ისე უყურებს, თითქოს მარტო მე ვიყო მის დღეში ჩავარდნილი.

— არის კიდეც საშინელი, — ვეუბნები მე, — დიახ, საშინელია.

მანიკიურის დამთავრების აღსანიშნავად უკვე გადავკარით თითო ჭიქა კონიაკი, ჩემი შავი ჯოხი უკვე ხელში მიჭირავს, მაგრამ კამილა ისევ იმ ამბავს უბრუნდება.

— დარწმუნებული კი ხართ, — მეკითხება იგი თანაგრძნობისათვის დამახასიათებელი მოურიდებლობით, — დარწმუნებული კი ხართ, რომ თქვენი ცოლი სხვასთან დადის?

— სულაც არა.

კამილას ისე უტყდება გული, ვითომ ამას თუ ვიტყვი, ამბავი ნამდვილი აღარ იქნება და ვატყობ, გულში ფიქრობს, მაშინ რაღას ყვებაო.

— ეს მხოლოდ შემიძლია წარმოვიდგინო.

ამ ამბავში სწორედ ეს გახლავთ ნამდვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

P. S.

ერთხელ პოლიციელი დაგვადგა თავზე. სულმდაბლობაა, პოლიციელები სამოქალაქო ტანსაცმლით რომ დადიან. მემანიკიურე ქუმერი (ასე იხსენიება კამილა პოლიციაში) კარს აღებს თუ არა, პოლიციელი დაუპატიჟებლად შემოდის პირდაპირ ოთახში. შლაპას არ იხდის. სამაგიეროდ მოწმობას იღებს და ბრმა განტენბაინს უჩვენებს საგულდაგულოდ: კანტონის პოლიცია! განტენბაინი თავის მხრივ ბრმის მოწმობას იღებს ჯიბიდან და ეს მოწმობა არის ერთადერთი რამ, რისაც ამ პატარა, თავზე შლაპაწამოსკუპებულ მორგვს სჯერა. სხვა ყველაფერი საეჭვოდ ეჩვენება, მანიკიურის ხელსაწყოებიც და თეთრი ხალათიც, რომელიც ფროილაინ ქუმერს მუშაობისას აცვია. იგი ხვდება, რომ აქ რაღაც თამაშდება, მაგრამ რა? ბოლოს ამბობს, ჰო, კარგი, ასე იყოსო. ამასობაში კამილამაც ამოქექა მესამე მოწმობა და გამომწვევად დაუდო წინ პოლიციელს, ეს მუშაობის ნებართვა გახლავთ. პოლიციელი ზედაც არ უყურებს ამ მოწმობას, თითქოს ბრმის რცხვენიაო. იგი ბურტყუნებს, კარგი, კარგიო. ბრმებთან ისინი უხერხულად გრძნობენ თავს. ბევრჯერ გამომიცდია, მაგალითად, ჯერ არც ერთს არ გაუბედავს წესიერად დაეხედა განტენბაინის მოწმობისათვის. ბოლოს პოლიციელი ისე მიდის, რომ პატაკს არ წერს, თავაზიანობისათვის თავს მაინცდამაინც არ იწუხებს, მხოლოდ ოდნავ დარცხვენილია, თან დიდსულოვნად წარმოუდგენია თავი, ვითომ არ მოვინდომე ქალი ბრმის წინაშე შემხილებინაო.

ენდერლინს, ჰარვარდში მიწვეულ კაცს, ნაცნობები ეკითხებიან, როდისღა მიდიხარ ჰარვარდშიო, ის კი მხრებს იჩეჩავს და საუბარი სხვა თემაზე გადააქვს.

რატომ არ მიდის?

ჰარვარდიდან გამოგზავნილი მოწვევა თანდათან ტყუილს ემსგავსება, თითქოს ენდერლინისათვის სამსტრიქონიანი ოინი მოეწყოთ ყველას. კეთილმოსურნეები ენდერლინს ამ საგანზე აღარც ელაპარაკებიან და მასაც ასე ურჩევნია. ამ ამბის თვითონაც აღარ სჯერა და გულჯიბეში ჩადებული საბუთი რაღას უშველის, განტენბაინის ბრმის მოწმობისა არ იყოს, ყველას რომ შეუძლია უჩვენოს...

ენდერლინს ძალამ უმტყუნა. დიდი ხანია მართებდა შეეტყობინებინა რექტორატისათვის, ზაფხულის სემესტრში ჩავიდოდა თუ ზამთრისაში. მოკლედ, როგორც ეძახიან სემესტრებს ჰარვარდში, მაგრამ ძალა არ ეყო. ვადის კვირეები. უბრალოდ, ენდერლინი ის კაცი არ არის, ვისაც ჰარვარდიდან მოწვევა გამოუგზავნეს. რამდენჯერაც დააპირებს ცხრილის შედგენას, ისე შეშინდება, თითქოს კვარცხლბეკზე უნდა ავიდესო, და ძალა აღარ ჰყოფნის. ვითომ თავმდაბლობას იჩენს? სრულიადაც არა.

ჰარვარდში მიწვევა (ენდერლინს აღარ შეუძლია ამ სიტყვის გაგონება)

თითქმის ის არის, რაზეც დიდი ხანია ოცნებობდა ენდერლინი. იქნებ ამიტომაც დააბნია გაზეთებში მოთავსებულმა ცნობამ: თავისი იდუმალი [illegible] უეცრად ასე საჯაროდ რომ ნახა გამოტანილი! ამას უკვე [illegible] თითქმის, მაგრამ თავი მაინც თაღლითი ჰგონია. რაღა თქმა უნდა, ამას სხვებიც გრძნობენ და ამიტომაც ალბათ ჰარვარდის უნივერსიტეტის [illegible] აღარავის სჯერა ამ მოწვევისა. ყოველ შემთხვევაში, იმათ არ სჯერათ, ვინც კი ენდერლინს იცნობს. თან მისი მიღწევები ჩვენთვის ცნობილია, ისინი ნამდვილად იმსახურებენ აღიარებას. საქმეც ეს არის! ვისაც კი ენდერლინის მსგავსად მოუნდომებია მიღწევებით თავის გამოჩენა, იმას, კაცმა რომ თქვას, არასოდეს დაუმსახურებია ნდობა. ჩვენ ვულოცავთ, რაღა თქმა უნდა, ვულოცავთ წარმატებას, მაგრამ ეს ენდერლინს არაფრად არგია. ჰარვარდში წასაკითხი ლექცია ენდერლინს მზადა აქვს, ჩემოდანში ჩადებული უნდა, მაგრამ ძალა რომ არ ჰყოფნის?! რწმენას წარმატებები კი არა, ის როლი გვინერგავს, რომელსაც მავანი კაცი თამაშობს. სწორედ ამას გრძნობს ენდერლინი და ეს აშინებს. ყველაზე იოლი იქნებოდა, თავი მოეავადმყოფებინა და ჰარვარდში აღარ წასულიყო. ენდერლინი როლს ვერ თამაშობს...

მე ვიცი ამის საწინააღმდეგო შემთხვევა:

ერთი დიდი სახელმწიფოს ელჩი თავის აგარაკზე იყო, რომ უეცრად მოცელილივით დაეცა მიწაზე, ოღონდ, როგორც გაირკვა, ინფარქტი არ მოსვლია — ერთბაშად მიხვდა, რაც სჭირდა, ადამიანს ამ დროს ვერც შვებულება უშველის და ვერც ახალი ორდენი შთაბერავს მხნეობას. იგი მიხვდა, რომ სრულიადაც არ წარმოადგენს „მის აღმატებულებას", როგორც დიდებულ ჭაღებქვეშ გამართულ დარბაზობებზე მიმართავს ხოლმე საზოგადოება. ადამიანებს მისი თანამდებობა აიძულებს პატივისცემით მოეკიდონ მას, ყოველ შემთხვევაში მანამდე მაინც, სანამ ეს თანამდებობა უკავია და სანამ თავისი დიდი სახელმწიფოს სახელისა და თავისი ტიტულის გამო თვითონაც მოვალეა პატივისცემით მოეკიდოს საკუთარ თავს... რას ჰქვია „მოვალეა"? მზადა აქვს მთავრობისადმი მიმართული წერილი. იგი საკუთარი ხელით გადაბეჭდა, რათა ვერც ერთ მდივანს ვერ გაეგო, რომ წლების განმავლობაში სულ სხვა კაცს ემსახურებოდა. მზად არის თხოვნა გადადგომის თაობაზე... ოღონდ იგი არ გადადგება, პირიქით, მეტსაც იზამს — როლს აირჩევს. საკუთარი თავი რომ შეიცნო, ამას სამუდამოდ ჩაიმარხავს გულში. იგი აღასრულებს თავის მოვალეობას, დაწინაურებასაც მოახერხებს და თავის თანამდებობას ისე შეიფერებს, თვალსაც არ დაახამხამებს. საკუთარ თავზე რა აზრის ბრძანდება, ეს ქვეყანას არ ეკითხება. ამგვარად, ვაშინგტონში გადაიყვანენ, პეკინსა თუ მოსკოვში, ყველგან ითამაშებს ელჩის როლს, თვითონ ეცოდინება, რომ თამაშობს, მაგრამ მის ირგვლივ მყოფთ, რომელთაც სჯერათ, იგი თავის ადგილისათვის ზედგამოჭრილი კაციაო, ამ საჭირო რწმენას არ წაართმევს. ისიც კმარა, საკუთარ თავს თვითონ რომ აღარ სჯერა. იგი ყოველთვის კარგ გუნებაზეა და თავი ღირსეულად უჭირავს. ზოგს მის პიროვნებაში ეჭვი ეპარება, მაგრამ მათ აზრს აინუნშიაც არ აგდებს, ასეთების მიმართ არც შიშს უნდა გრძნობდეს და არც სიძულვილს, ისინი უნდა დაამარცხოს მხოლოდ. და ხდება სასწაული: იგი ვითომ როლს თამაშობს, მაგრამ ჩვეულებრივ წარმატებებს როდი სჯერდება, უკვე არაჩვეულებრივ წარმატებებს აღწევს. მისი სახელი მსოფლიო პრესაში მსხვილი შრიფტით აწყობილ სათაურებში მოჩანს. არც

ეს უცვლის ნირს. მშვენივრად იფერებს როლს. ეს ავანტიურისტის როლი გახლავთ და იმ საიდუმლოს წყალობაა, იგი არავის არასოდეს არ გაუმხელს. მან იცის: ყოველი თვითშემეცნება, რომელსაც გაჩუმების ძალა არ შესწევს, სულ უფრო და უფრო აკნინებს ადამიანს. მან იცის, ვისაც გაჩუმება არ შეუძლია, იმას სურს თვითშემეცნების გამო განადიდოს თავი. ვისაც გაჩუმება არ შეუძლია, ის თვითშემეცნებაც აღარ არის და მაშინ ადამიანი უკარება და ეჭვიანი ხდება. თან უნდა სხვებმა აღიარონ და აი, მაშინ კი მით უფრო სასაცილოა და პატივმოყვარე, რაც უფრო ნაკლებად აქვს თავი შეცნობილი. აი, რა არის მთავარი: არავისთან არც ერთი სიტყვა! დაცდენილ სიტყვას ვერ დაიბრუნებ. ამიტომ თავი ისე უჭირავს, თითქოს სჯეროდეს, „მისი აღმატებულება“ ვირო და გულს არავის უხსნის, განსაკუთრებით მეგობრებთან ერიდება გულწრფელობის გამოჩენას, რადგან მეგობრებიც ისეთივე აზრისა არიან მასზე, რა აზრისაც არის საკუთარ თავზე თვითონ. იმ პიროვნების წყალობით, რომელსაც ის თამაშობს, ერთი ქალაქი გადარჩება დაბომბვისაგან განადგურებას და მისი სახელი, როგორც ელჩისა, ისტორიაში შევა. მან იცის ეს და არც კი ეღიმება. მის სახელს სიკვდილის შემდეგ ქუჩას ან მოედანს დაარქმევენ და მარმარილოზე ამოკვეთენ. და აი, ერთ მშვენიერ დღეს იგი კვდება. ვერ იპოვიან ვერც ერთ დღიურს, ვერც ერთ წერილს, ვერც ერთ ბარათს, რომელიც გაგვიმხელდა წლების მანძილზე ნატარებ საიდუმლოს, სახელდობრ იმას, რომ იგი ავანტიურისტი და შარლატანი გახლდათ. თავის საიდუმლოს იგი სამარეში ჩაიტანს. იმ სამარეს არც საპატიო მცფთები დააკლდება, არც დიდრონი გვირგვინები და არც გრძელ-გრძელი სიტყვები, სამარადისოდ რომ დაფარავენ მის თვითშემეცნებას. იგი თავისი სამარიდან ალმაცერად ვერ აგვიხედავს. მის ნიღაბს, მიცვალებულის ნიღბების მსგავსად, ღიმილი დასთამაშებს და მის შემყურეთ გაოცება გვიპყრობს: ნიღაბს სიდიადის ნიშატი ატყვია, უეჭველად ატყვია სიდიადის ნიშატი. ჰოდა, ჩვენც კი, ვისაც არასოდეს გვქონია მასზე დიდი წარმოდგენა, მიცვალებულის ნიღბის წინაშე უსიტყვოდ ვიცვლით აზრს, რადგან მას არასოდეს არ აინტერესებდა ჩვენი აზრი.

გუშინ ბურისთან კვლავ ბევრს ვლაპარაკობდით კომუნიზმსა და იმპერიალიზმზე, კუბაზე, ვიდაცამ ბერლინის გამყოფი კედელიც ახსენა, იყო შეხედულებანი, კონტრშეხედულებანი, გახურებული კამათი, ჭადრაკიც ასევე,—სვლა და საპასუხო სვლა, სალონური თავის შექცევა, სანამ ერთმა სტუმარმა, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა, თავისი გაქცევის ამბავი არ გვიამბო. გვიამბო ყოველგვარი განსჯის გარეშე, უბრალოდ ასე: ოპერაცია ტყვიებითურთ, მის ამხანაგს რომ მოხვდა, და საცოლითურთ, რომელიც სადღაც მიეკარგა. შემდეგ რომ ვკითხეთ, შენი საცოლის ამბავი მას შემდეგ ხომ არ გაგიგია-თქო, გაჩუმდა. ჩვენც დავდუმდით ყველა. შემდეგ საერთო დუმილში გაცივებულ ჩიბუხს მივუბრუნდი და ჩემს თავს ვკითხე, ასეთ ნამდვილ ამბავს რომ შევჩეხები, მაშინ რაღას შვრები-მეთქი. რას და რომელიმე „მე“-ს ესკიზებს ვქმნი.

...ისევ გამომეღვიძა, ჯერ თმა არ დამივარცხნია, თორემ შხაპიც მიღებული მაქვს და ჩაცმულიც ვარ, თუმცა არც პიჯაკი ჩამიცვამს და არც ჰალსტუხი გამიკეთებია, მგონი, ასეა, რადგან პირველ მოძრაობებს მექანიკურად აკეთებს კაცი. ეს მოძრაობანი ჩვევის წყალობით გაუაზრებელნი არიან. მე მხოლოდ ეს

ვიცი, რომ კვლავ საწოლის კიდეზე ვზივარ, დიახ, კვლავ მღვიძავს, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გამოვრკვეულვარ სიზმრებისაგან. თუმცა ამ სიზმრებს კარგად თუ დავაკვირდები, ვშიშობ, რომ მოგონება აღმოჩნდება, ოღონდ იმ ღამის მოგონება არა, ეს იქნება მოგონება საერთოდ, გამოცდილების დანალექი. თან კი, როგორც ვთქვი, მღვიძავს, დაბანილიც ვარ და არაფერი არ მაწუხებს, [illegible]ება ვუსტვენ კიდეც, კარგად არ ვიცი, ამას მაინც არა აქვს მნიშვნელობა [illegible] ამ წუთში ჩუმად ვუსტვენ კიდეც, მხოლოდ იმიტომ, რომ არ ვილაპარაკო, თუნდაც საკუთარ თავს არ გავუბა ლაპარაკი, რადგან ჩემი თავისთვისაც არაფერი მაქვს ახლა სათქმელი. აეროდრომზე უნდა წავიდე, ღმერთო დიდებულო, კვლავ აეროდრომზე ვარ წასასვლელი. ვიცი, რომ მაგვიანდება, მაგრამ მაინც არ ვჩქარობ, თითქოს ეს დღე უკვე ყოფილიყოს ჩემს ცხოვრებაში და თანაც დიდი ხნის წინათ. მიკვირს პნევმატური ბურღი რომ აღარ დგაფდგაფებს. სმენას ვძაბავ, სიჩუმეა, არც ქათმები კრიახებენ, სმენას ვძაბავ, აღარც საცეკვაო მუსიკის ხმა ისმის: მოგონება, ორთქლმავლის ქშენა და ბუფერების ღრჭიალი ღამეულ საბარგო სადგურზე, ეს იყო ერთხელ, სტვენა და სტვენის ექო, სული განაბე, სიჩუმეა, ერთი წამით ქანდაკებასავით გავშეშდი, მერე ისე მოვიკუნტე, თითქოს ფეხიდან ხიწვს ვიღებდე; მაგრამ ხიწვს კი არ ვიღებ, ფეხსაცმელს ვიცვამ, სხვათა შორის, უკვე მეორე ცალს, ხანგამოშვებით ისმის ლიფტის ხმაური, მაგრამ ჯერ კიდევ არა ვარ დარწმუნებული, რომ ლიფტის ხმაურიც იმ მოგონებიდან არ მოდის, ერთი ღამის, სხვა ღამის მოგონებიდან, ეს ხმაური ხელს არ მიშლის, მხოლოდ ვხედავ, რომ ჩემი პალსტუხი ჯერ კიდევ სადღაც ჰკიდია სავარძელზე, სამაგიეროდ, საათი ხელზე მიკეთია, დიახ, დროა, ვგრძნობ, რომ დროა, როგორც ყოველთვის, მომავალში გადასვლის დროა. აღარ ვყოყმანობ, პირიც გავიპარსე, გუნებაც გამომიკეთდა, თუმცა ამას არ ვამჟღავნებ. ისევ გავიღვიძე, მონატრების სევდა აღარ მაწუხებს, ეტყობა, ამასობაში სიგარეტისთვის მომიკიდებია, ყოველ შემთხვევაში, თვალებს ვჭუტავ, რომ კვამლი არ ჩამივიდეს და თუ ეს მე არა ვარ, ვინც აქ სიგარეტს აბოლებს, მაშინ არც ის ვიცი, ვინ უნდა იყოს, მე მხოლოდ ის ვიცი, როდის მიფრინავს ჩემი თვითმფრინავი და იმედი მაქვს, ეს თვითმფრინავი „კარაველა“ იქნება. ჰო, ამინდი... ამინდს შეეტყობა, აქედან რომ გავალ, ოღონდ ახლა არაფერი დამრჩეს, სიტყვაც არ უნდა დამცდეს, რომელიც აქ დარჩება, არც ფიქრები უნდა დამრჩეს, საწოლის კიდეზე ვზივარ, მარჯვენა ფეხსაცმელს ვიკრავ და ასე მგონია, საუკუნე ვუნდები... სანამ ფეხს ხალიჩაზე დავდგამდე, წამით ვქვავდები, ეს ამბავი დიდი ხანია ვიცი და მაინც შიში მეუფლება — მე ენდერლინი ვარ და ენდერლინადვე მოვკვდები.

ამგვარად, აეროდრომისაკენ მივეშურები.

ტაქსში ვზივარ, ხელი გაქექილ თასმაზე მიკიდია, გარეთ ვხედავ ქვეყანას: ფასადებს, რეკლამებს, ძეგლებს, ავტობუსებს.

Deja vu![1]

ვცდილობ რამეზე ვიფიქრო, მაგალითად:

რა შემეძლო მეთქვა, ახლახან რომ ვსაუბრობდით კომუნიზმსა და კაპიტალიზმზე, ჩინეთზე, კუბაზე, ატომურ სიკვდილზე და კაცობრიობის გამოკვების საკითხზე, თუკი იგი გაათკეცდება. კუბაზე მაინც შემეძლო რაიმე მეთქვა,

---

[1] მინახავს (ფრანგ.).

კუბაზე ერთხელ ნამყოფი ვარ, მაგრამ ახლა აქ ვარ, მეკითხებიან, რამდენი ჩემოდანი გაქვთო, მე კი ამ დროს რეგისტრატორს ენდერლინის პასპორტს ვუჩვენებ, ვღებულობ მწვანე ტალონს: Flight number seven-o-five[1], თვითმფრინავი იგვიანებს, ჰამბურგში ნისლი ყოფილა, აქ კი მზე აცხუნებს/

გამოუტყდება თუ არა იგი თავის ქმარს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ მარტო ენდერლინი არ იცდის. ვცდილობ გავერთო. მაგრამ ეს ადვილი საქმე არ არის, რადგან ენდერლინი უჩუმრად იმ ღამეზე ფიქრობს და მეც თავში ისეთი არაფერი მომდის.

სანიმუშო აეროპორტია!

ვყიდულობ გაზეთებს:

ქვლავ ატომის ბომბის გამოცდა!

ამის თაობაზე ენდერლინს არაფერი მოსდის თავში.

ზიენდობა ენდერლინი ვინმეს თუ არა?

ვცდილობ რაიმეზე ვიფიქრო — საყვარელის შიდასამყარო, გულახდილად რომ ვთქვა, მეტისმეტად მოსაწყენი და მეტისმეტად ნაცნობია ჩემთვის. მაგალითად, ვცდილობ ვიფიქრო, როგორ არის კონსტრუირებული ეს დარბაზი, ნაგებია რკინაბეტონისაგან, ფორმა შთამბეჭდავია, იგრძნობა ლამაზი, მსუბუქია და ნარნარი. მშვენიერია. რაც შეეხება კონსტრუქციას: მგონი, სპეციალისტების ენაზე ასეთ კონსტრუქციას სამსახსრიან თაღს ეძახიან... მაგრამ ვხედავ, რომ ენდერლინს ეს არ აინტერესებს, ენდერლინს გაფრენა უნდა. რაც უფრო ჩქარა გაფრინდება, მით უკეთესი. ჯერ ყავით ცდილობს გაიყვანოს დედამიწაზე მისთვის გამოყოფილი დრო, მერე კონიაკით. მისი ბარგი ჩაბარებულია, მე თავისუფალი ვარ და არაფერი მბორკავს მისი პორტფელის გარდა, რომელსაც დახლზე ვდებ. მიმოვიხედე: ვინ ლისაბონში მიფრინავს, ვინ ლონდონში, სხვები ციურიხიდან მოდიან. გრიალებენ რეპროდუქტორები: This is our last call[2], მაგრამ ეს ენდერლინს არ ეხება. ვამშვიდებ, მე კარგად გავიგონე, რაც გამოაცხადეს. ენდერლინი ნერვიულობს, მე კი მხოლოდ მომეწყინა, რადგან ენდერლინთან მართლა ვერ გააბამ საუბარს. ცხიზლად ვარ, რომ მისი პორტფელი არ დამრჩეს სადმე. შინ ხელცარიელი რომ არ მივიდეს, ენდერლინი სუნამოს ყიდულობს, „შანელ 5-ს", ესეც გამომიცდია. ვითომ მართლა ფიქრობს ოჯახზე? მაშასადამე, „შანელ-5". სხვებს იძახებენ რომის, ათენის, კაიროსა და ნაირობისაკენ მიმავალ თვითმფრინავებში ჩასასხდომად, ჰამბურგში კი ალბათ ისევ ნისლია. მოსაწყენია, მაგრამ რას იზამ.

წარმომიდგენია ჯოჯოხეთი:

მე ვიქნებოდი ენდერლინი, ვისი პორტფელიც მიჭირავს ხელში, მაგრამ ვიქნებოდი უკვდავი, ისე რომ მას სიცოცხლეს, ვთქვათ, მისი სიცოცხლის მხოლოდ ერთ ნაწილს, ერთ წელიწადს, თუნდაც ბედნიერ წელიწადს, მაგალითად, იმ წელიწადს, ახლა რომ იწყება, ხელმეორედ გავივლიდი და თან ზუსტად მეცოდინებოდა, რა მომელის, ვიცოცხლებდი მოლოდინის გარეშე, რომელსაც ერთადერთს ძალუძს სიცოცხლე ასატანი გახადოს. ვიცოცხლებდი იმ განუსაზღვრელობისა და გაურკვევლობის გარეშე, იმედით და შიშით რომ

---

1 რეისი ნომერი შვიდი-ნული-ხუთი (ინგლ.).

2 უკანასკნელად გიწვევთ ჩასასხდომად (ინგლ.).

საზრდოობს. წარმომიდგენია, რა ჯოჯოხეთური იქნება ასეთი ყოფა. ერთხელ კიდევ: საუბარი ბარში, ჟესტები, მისი ხელი ქალის მკლავზე, ქალის სახალისო შემოხედვა, მისი ხელი, პირველად რომ ეხება ქალის შუბლს, შემდეგ [illegible], თქვენი საუბარი ერთგულებაზე, პერუზე, რომელსაც კაცი აღთქმულ ქვეყანას უწოდებს, ყველაფერი სიტყვასიტყვით გაიხსენოთ, თქვენი [illegible]", მანამდე თქვენი ლაილაი საოპერო სპექტაკლზე, რომელზედაც აღარ მიდიხართ, სტვენა ღამეული საბარგო სადგურიდან, სტვენა და სტვენის ექო, არაფრის გამოტოვება არ შეიძლება, არც ერთი ჩქამის, არც ერთი კოცნის, არც ერთი განცდისა და დუმილის, არც ერთი შეკრთომისა, არც ერთი სიგარეტის, წყლის შემოსატანად სამზარეულოში არც ერთი გასვლის, არც საწოლიდან საქალაქთაშორისო ტელეფონით ლაპარაკის, ყველაფერი ერთხელ კიდევ უნდა განმეორდეს წუთით წუთზე და ჩვენ ვიცით, რა იქნება შემდეგ, ვიცით და იძულებულნი ვართ ერთხელ კიდევ ვიცხოვროთ ამ სიცოცხლით, თითქოს სიკვდილი მოვა, ვიცხოვროთ ისე, რომ იმედი არ გვქონდეს, იქნებ სხვაგვარად წარიმართოს ჩვენი ცხოვრება, ხელახლა უნდა განვიცადოთ საფოსტო ყუთში ჩარჩენილი გასაღების ამბავი, ოღონდ უკვე გვეცოდინება, რომ გასაღებს მოევლება, ამას მოსდევს ქუჩაში პირის დაბანა, შემდეგ პატარა კაფე, ფილაქანზე დაყრილი ნახერხი, მოკლედ. არ დაიდგება არც ერთი უცნობი წუთი, არც ერთი წუთის გამოტოვება არ შეიძლება, არც ერთი ნაბიჯის, არც ყავის და არც ოთხი ფუნთუშის, არც ჯიბეში ჩადებული სველი ცხვირსახოცისა. ენდერლინი ხელს უქნევს მანქანას, ეს იგივე ტაქსია, მაგრამ მე ვიცი, რომ შემდეგ იგი მანქანიდან გადმოვა მტრედების დასაპურებლად, ეს ყველაფერი მეორდება, მეორდება შიშიც ბარათის გამო, შეცდომაც, ნადველიც, ძილი პნევმატური ბურღების დგანდგარში, რომლებიც გარეთ მზით განათებულ ასფალტს ბურღავენ, შემდეგ ლოდინი აეროდრომზე, Flight number seven-o-five, ნისლი ჰამბურგში და ის, რაც შემდეგ ხდება: გამომშვიდობება იმ იმედით, რომ ეს შემთხვევა სასიყვარულო ისტორიად არ გადაიქცევა, შეხვედრა, დასასრული და ალერსი, გამომშვიდობება, წერილები და შეხვედრა შტრასბურგში, სიძნელეები ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ვნება, მოჯადოება მომავლის გარეშე, დიახ, მომავლის გარეშე — მაგრამ მე ვიცი მომავალში რა იქნება: ტყუილად შიშობთ, რომ კოლმარში განცდილი ბედნიერება (იზენჰაიმის საკურთხევლის დათვალიერების შემდეგ, რონშანისაკენ მიმავალ გზაზე) თქვენი უკანასკნელი და უმაღლესი ბედნიერებაა, მაგრამ მაინც ზუსტად ისევე უნდა განიცადოთ ხელახლა, ბაზელში გამომშვიდობებაც უნდა დაუმატოთ, სამუდამოდ დამშვიდობება, ზუსტად ასევე, დიახ, მაგრამ ახლა წინასწარ გეცოდინებათ, შემდეგ რა მოხდება. ყველა საჩუქარი, რომელიც კი ერთმანეთისთვის მიგიძღვნიათ, ერთხელ კიდევ უნდა აჩუქოთ ერთმანეთს, ერთხელ კიდევ უნდა შეფუთოთ და შეკრათ ზონრით, ერთხელ კიდევ უნდა შემოხსნათ ზონარი და მოიწონოთ, აღტაცებით გადაუხადოთ საჩუქრის მომრთმევს მადლობა. ის გაუგებრობებიც უნდა გაიმეოროთ, ნახევარ მოგზაურობას რომ გიწამლავენ, ერთხელ კიდევ უნდა გაიმეოროთ ყველა წაკინკლავება, რაზედაც მხოლოდ შემდეგ შეიძლება იცინოს კაცმა, ყველაფერი ერთხელ კიდევ უნდა გაიაზროთ, ერთხელ კიდევ გაიმეოროთ ყველა საუბარი, როცა იცი, კიდევ რამდენჯერ მოგიწევს გამეორება, ყუთიდან ერთხელ კიდევ უნდა ამოიღოთ იგივე წერილები, გულის კანკალით გახსნათ, ხელახლა დაიწყოთ გეგმები, როცა წინასწარ გეცოდინე-

ბათ, რომ ეს გეგმები მაინც ჩაგვეფუშებათ. რამდენიმე კვირის განმავლობაში დაეძებთ მამულს, ევაჭრებით პატრონს, ყიდულობთ და ზედმეტ[illegible] საზრუნავს უჩენთ თავს, ხელახლა ელოლიავებით იმედებს, მე ვიცი, რომ ამ მამულში არასოდეს არაფერი აშენდება, მაგრამ მიწა მაინც უნდა იზომოს, წყლის ნაყვა გამოგდით, მაგრამ ბედისწერას ვერ გაექცევით, თუმცა [illegible]ცდით, რა გიწერიათ. მეც ერთხელ კიდევ მივდივარ კარებთან, [illegible] გულითადად მივესალმო დაუპატიჟებელ სტუმარს, ხელახლა ვკითხავ, ვისკის მიირთმევთ-მეთქი თუ ჯინს, განმეორდება ჩემი ხუმრობა, ჩემი ეჭვი, ჩემი დიდსულოვნება, ეჭვით დაუმძიმებელი გამარჯვება, განმეორდება თქვენი [illegible], ჩემი დარდიანი ღამე, ისევ დამიდგება გულგრილობის დღეები, ამ კაცს ერთხელ კიდევ გავუგზავნი ღია ბარათით სალამს, იმ ონავრულ სალამს, რომელსაც მაშინ გულუბრყვილოდ ვწერდი, ახლა კი ყველაფერი ვიცი და მაინც უნდა გავუგზავნო ის ბარათი, ერთხელ კიდევ ადუღდება ყავა და გაცივდება შენი აღსარების შემდეგ, ვიცი, ყველაფერი ვიცი, მაგრამ მაინც ხომ უნდა ავიკლო ლანძღვა-გინებით აქაურობა, ოთახში უნდა ვირბინო, ზუსტად ისევ ისე უნდა ვიბობოქრო, კედელს ერთხელ კიდევ უნდა შევამსხვრიო ჭიქა, ზუსტად ისე უნდა დაცვივდეს ნამსხვრევები, რომლებსაც მე ავკრეფ შემდეგ, ზუსტად ისე, დიახ, მაგრამ ახლა მეცოდინება, რა მოხდება შემდეგ: ცნობისმოყვარეობა აღარ დამწვავს, რა მოხდება-მეთქი შემდეგ, არც ბრმა მოლოდინი შემაწუხებს და არც გაურკვევლობა, რაც ამქვეყნად გვაძლებინებს...

ეს იქნებოდა კოშმარი.

ენდერლინი გაზეთს ისე ფურცლავს, ვითომ ყურს არ მიაპყრობდეს. ვითარება დაიძაბა. იგი იმით ტკბება, რომ არ იცის, ხვალ გაზეთში რა ეწერება, ზუსტად არ იცის...

ეს იქნებოდა კოშმარი.

გამოცდილება მხოლოდ ჭაშნიკია მისი, მხოლოდ ჭაშნიკი: ჩემი გამოცდილება ვერ მეკარნახებს, რა მოხდება მომავალში, იგი მხოლოდ ანელებს ცნობისმოყვარეობასა და მოლოდინს.

Flight number seven-o-five.

გავიგონე, რომ თვითმფრინავი ეს წუთია დამჯდარა, გზას ნახევარ საათში გააგრძელებს და მე მაინც ცნობისმოყვარეობა მკლავს, რას იზამს ენდერლინი. ნუთუ მართლა ისე გაფრინდება, რომ მას არც დაურეკავს და არც ინახულებს?

თქვენ არავითარი ისტორია არ გინდათ.

არ გინდათ არაფერი წარმავალი.

არ გინდათ არავითარი განმეორება.

ვხედავ, რომ ენდერლინი ახლა კონიაკის საფასურს იხდის, სამი ჭიქა დალია; ბარმენმა იცის ეს, ენდერლინს ვითომ ძალიან ეჩქარება, თვითმფრინავში ჩაჯდომამდე კი ნახევარი საათია დარჩენილი, თუმცა იმასაც შეიძლება ეჩქარებოდეს, ვისაც ვერ გადაუწყვეტია, გაფრინდეს თუ არა. ვხედავ თვითმფრინავს, „კარაველას“, რომელსაც ახლა სწორედ ავზებს უვსებენ. კოხტა თვითმფრინავია. თუ მართლა გაფრინდა, ორ საათში შინ იქნება ენდერლინი. რას ჰქვია შინ? ყოველ შემთხვევაში, თვითმფრინავს ამზადებენ, ჯერ კიდევ რჩება იმდენი დრო, რომ კაცი ჩამოჯდეს, ფეხი ფეხზე გადაიდოს, თქვენ წარმოიდგინეთ, პორტფელიც შეუძლია გახსნას და იქიდან წიგნი ამოიღოს. მშვენიერი წიგნია. ყოველ შემთხვევაში, დასაწყისი, მე მგონი, მშვენიერია.

მეცნიერული წიგნია, ენდერლინს მაინც უნდა წაეკითხა ეს წიგნი, დიახ, ის წაიკითხავს კიდეც ამ წიგნს, უეჭველად წაიკითხავს, ალბათ თვითმფრინავში, მართლა თუ გაფრინდება, შინ კი ნამდვილად წერილები ელოდება ენდერლინს და ალბათ ძალიან სასიამოვნო წერილებიც.

იმედია ის არასოდეს მოსწერს წერილებს!

ახლა შემიძლია წარმოვიდგინო, რომ აღარც ის წევს ლოგინში, უკვე ჩაცმული იქნება, ეცმევა კაბა, რომელიც ენდერლინს არასოდეს უნახავს, იქნებ შარვალიც ეცვას. იგი დარწმუნებულია, რომ ენდერლინი უკვე ღრუბლებს ზემოთ მიფრინავს და თვითონაც ღრუბლებიდან ეშვება, როცა ტელეფონი დაიწკრიალებს.

— სადა ხარ?

— აქა ვარ, — ეუბნება იგი, — აეროდრომზე.

გარედან გრუხუნი შემოდის, ღმუიან რეაქტიული თვითმფრინავების მოტორები, ზედ რეპროდუქტორების ხმაც ემატება, მაგრამ ისინი ენდერლინს არ უხმობენ. სალაპარაკო დრო აქვთ, დრო კი აქვთ ბევრი, ოღონდ საოქმელი არა აქვთ არაფერი.

მე ეს ვიცოდი.

ენდერლინი მინის ჯიხურიდან გამოდის, უკვე გადაწყვიტა გაფრინდეს. ვხედავ, რომ ჩვენი „კარაველა“ ჯერ კიდევ არ არის მზად გასაფრენად, თვითმფრინავის ფრთებიდან ჯერ კიდევ არ ჩამოსულან თეთრი მექანიკოსები. თოჯინის სახიან ქალიშვილს, ანუ სტიუარდესას, ჟოლოსფერი ტუჩები აქვს, ლურჯი ჰალსტუხი უკეთია და მოვერცხლისფრო ქერა თმიანს ლურჯი ქუდი ახურავს. ენდერლინი მას მიმართავს, მაგრამ სტიუარდესა ვერ გააბათილებს იმ ფაქტს, რომ ეს ნამდვილად ჩვენი „კარაველაა“ (მე ეს ვიცოდი) და მის ავზებში ჯერ კიდევ ბენზინს ასხამენ. თვითმფრინავში ახლა სწორედ ბარგს ტვირთავენ, ენდერლინს უკვე მტკიცედა აქვს გადაწყვეტილი აღარ ნახოს იგი, აღარ ნახოს ქალი, რომელსაც იგი გრძნობს, და პირველი დგება Gate Number Three [1]-თან, მარტო დგას, თავის მაჯის საათს დაჰყურებს და ისე გულდაგულ უდარებს დარბაზში დაკიდებულ საათებს, თითქოს ნახევარ წუთს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდეს, თვითონ კი გასაქცევად იყოს მომზადებული...

ჩემთვის გასაგებია, იგი მომავალს რომ გაურბის.

უფრთხილდით სახელებს!

ადრე თუ გვიან დადგება დღე, როცა გეცოდინებათ, რაილაპარაკოთ, თუნდაც ის, ვინ შეგხვდათ გუშინ, — ერთი ნაცნობი, რომლის სახელსაც მხოლოდ იმიტომ ახსენებთ, რომ იგი არავითარ როლს არ თამაშობს. თქვენ ჯერ კიდევ ერთადერთი რეალობა ხართ ამ არემარეზე, სხვები შეგიძლიათ თქვენს ნებაზე ათამაშოთ მარიონეტებივით: ძაფები ჯერ კიდევ თქვენს ხელთაა და ვინც ხელს შეგიშლით, იმას ან სულ არ ახსენებთ, ან ისე ახსენებთ, რომ ხელი არ შეგიშალოთ. თქვენ მაინც იწუხებთ თავს და ამბობთ, ერთი პოლონელი ლტოლვილი შემხვდა, რომელიც თავის დროზე ჩვენთან ცხოვრობდა და ჩემს დასთან მეგობრობდაო. ან: ჩემი პირველი ქმარი. ან: ერთი ჩემი კოლეგა; ერთი ჩემი დეიდა; ერთი ქალიშვილი, რომელსაც ერთხელ ვია აპიაზე შევხვდი; სახელს არ ახსენებთ. ერთხანს გრძელდება ასე, მერე კი საქმე რთულდება და

---

[1] გასასვლელი ნომერი სამი (ინგლ.).



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

მე ვამბობ, ჩემს მეგობარ ექიმს ბური ჰქვია-მეთქი. რატომ უნდა დამემალა მისი სახელი? ეს კაცი ხშირად დადის ჩემთან ჭადრაკის სათამაშოდ. და გრძელდება ასე. სახელები კი სარეველას ჰგავს, მათ თესლს ქარი მიმოაბნევს და იზრდება ჯუნგლი, ჯუნგლს თქვენ ჯერ ვერ ხედავთ, ლაპარაკს მანამ განაგრძობთ, სანამ იმ ბურის უეცრად ყოფილი ცოლი არ ამოტივტივდება. ანიტა? თქვენ გეცინებათ: მაინც რა პატარაა ეს ქვეყანა! თქვენ გულაღმა წევხართ და ანიტაზე ჭორაობთ, ანიტა ახლა შოლის საყვარელია, შოლი კი პირველი ადამიანია, რომელსაც თქვენ ორივენი იცნობთ. ეს ის პახეს შოლია, ბაღდადში რომ წავიდა. თქვენ გულაღმა წევხართ და აბოლებთ, ნეტავ როგორ არის ახლა შოლი? შოლის დარდს აქამდე არ შეუწუხებიხართ, მაგრამ ამით სალაპარაკო საბაბი გეძლევათ. და გაოცებთ ის, რომ ამქვეყნად, თუნდაც შორს აქედან, სადაც თქვენ გულაღმა წევხართ ერთმანეთის გვერდით, არსებობს ადამიანი, რომელიც ორთავეს გიცნობთ და თან წარმოდგენაც კი არა აქვს, რომ დაწყვილებულხართ. ნეტავ რას იტყოდა შოლი ამაზე! უცნაურია, მას შემდეგ ისე ხშირად ახსენებთ ხოლმე ამ შოლს, სანამ ერთ მშვენიერ დღეს იგი ბაღდადიდან არ მოიწერს, მალე ევროპაში ჩამოვალო. იგი ორთავეს გწერთ, თითოეულ თქვენგანს სწერს, რადგან ორთავეს გიცნობთ და ორთავე მოენატრეთ. უკეთესი გინდათ რამე? ასე ხომ ვერ გაგრძელდება, წრე ხომ უნდა შეიკრას ბოლოს და ბოლოს. ყველაფერს აჯობებდა, ჩუმად წოლილიყავით თქვენთვის, მაგრამ რომ არ გამოდის?! ზოგჯერ ქუჩაში გამოდიხართ და ერთი კაცი გესალმებათ, გვარად პაგენი. საიდან იცნობთ ამ პაგენს? ჩემი ძმის ამხანაგია. შენ ძმა გყავს? გაქცევა აჯობებს, მაგრამ საით? იბიცაც ის აღარ არის, რაც ოდესღაც იყო. როდის იყავი იბიცაში? მაშინ აფრიკაში სჯობია გაქცევა. თქვენ გეცინებათ! მე ერთ კაცს ვიცნობ, მას ფერმა აქვს ნაირობის მახლობლად და მაუ-მაუს შიშით ღამე არ სძინავს. ის კაცი გვარად რამზეგერია, შენ გამოიცანი, ჰო, ჯეიმს რამზეგერი, საიდან იცი მისი გვარი? მისმა ცოლმა არ მოისურვა ნაირობში წასვლა, თქვენ მშვენივრად გესმით მისი, და ახლა ლონდონში ცხოვრობს ერთ პოლონელთან, რომელიც ასევე ნახსენები გყავთ უკვე თქვენს საუბარში. მას ახლა ვლადიმირი ჰქვია და რაკი ბალეტის მოცეკვავეც ყოფილა, ეს სწორედ ის ვლადიმირი იქნება, მე რომ ლიოვბერისგან ვიცნობ. განა ეს სასაცილო არაა? ლიოვბერს არ ახსენებთ, მაგრამ ერთი მკერავი თავის მოსაწონებლად გიყვებათ, ლიოვბერიც ჩემთან იკერავს ტანსაცმელსო. უკეთესი გინდათ რამე? თქვენდა გასაკვირად ყველაფერი ერთმანეთში იხლართება და მომავალი წარსულიდან იჩეკება. თქვენ გულაღმა წევხართ და აბოლებთ, რომ სახელები აღარ წამოგცდეთ. ამაოდ დაშვრებით! ვენაში შინაურული კონცერტი ეწყობა, პირველ ვიოლინოს მისი ძმა უკრავს და თქვენ მას გაგაცნობენ. უკეთესი გინდათ რამე? შტრასბურგში, სადაც მალულად ატარებთ კვირის უკანასკნელ დღეებს, თქვენს სართულზე ლიფტიდან ლიოვბერი გამოდის. საშველი არსად არის. ბურიც კი, ეს უთქმელი კაცი, ახლა დემონების სამსახურში დგება. ერთ საზოგადოებაში იგი მოულოდნელად ხვდება ქალს, რომელსაც ენდერლინი უყვარს და მას მაინცდამაინც ენდერლინზე: თავის მეგობარზე ესაუბრება. რატომ ხდება ასე? თქვენ გულაღმა წევხართ, აბოლებთ და ერთმანეთს თქვენს წარსულს უყვებით, ოღონდ კი ქვეყანამ, რომელმაც თქვენი არსებობაც კი არ იცის, იმაზე მეტი არ შეიტყოს თქვენს წარსულზე, ვიდრე თქვენ იცით. ეს კი დღის სინათლეზე სხვა სახელებსაც ამოატივტი-

ვებს. სამწუხაროა! დემონები ერთ კვირას არ გაუშვებენ ისე, რომ საქმე არ ჩავისაფრდნენ. ბაღდადიდან დაბრუნებული შოლი გაიძულებთ სამივე [illegible] ისადილოთ. შემდეგ: პროფესორი, რომელმაც ახლახან მიიღო ქმრის [illegible] ნობელის პრემიის ნახევარი და ყველა გაზეთიდან გაწონებთ თავს, [illegible] ყოფილა. შემდეგ: ერთ ვერნისაჟზე, რომელზედაც, გინდათ [illegible] უნდა წახვიდეთ, თქვენ ბოლოს და ბოლოს ოფიციალურად გაგაცნობენ ერთმანეთს. ქმარი, რომელმაც, არაფერი იცის, იქვე ბრძანდება. ლილავბერი, ეს დაუდგრომელი ქალი, მოგვიანებით უერთდება საზოგადოებას და ასე შემდეგ.

კაცობრიობა თითქოს ერთ ოჯახად იქცევა, როგორც კი წყვილდება ვინმე. სხვა ყველა ერთმანეთს ასე თუ ისე იცნობს, მხოლოდ ერთმანეთის ალერსით ეს წუთია დამტკბარი წყვილი ვერ ხედავს ჯერ სხვისი თვალით საკუთარ თავს. თქვენ ჯერ კიდევ ცდილობთ, რადგან თქვენი ნაცნობებიდან ქვეი ჯერ არავის აულია. თქვენ ჯერ კიდევ ღრუბლებში დაფრინავთ, მაგრამ სადამდე? ყოველი მესამე ჰკრავს წრეს. ყოველი ოცნება მტრად იქცევა.

Flight seven-o-five.

ენდერლინი (მე ვხედავ, როგორ იყურება იგი ფანჯრიდან, მისი სახე მინაში ლურჯად ირეკლება) ახლა მარტო აღარ იცდის. სტიუარდესას თოჯინასავით სახეს მთელი ბრბო მისწყდომია და ყველას ლურჯი ან წითელი ტალონი უჭირავს ხელში. სტიუარდესას ჯერ უფლება არა აქვს გააღოს კარი. ენდერლინი ყველაზე წინ აღარ დგას.

არჩევანი ჯერ კიდევ წინა აქვს.

მე გაფრენის მომხრე ვარ.

როგორც იქნა გაიღო კარი და ბრბო დაიძრა. ზოგი მიიჩქარის, ზოგი გამცილებლებს უქნევს ხელს, თოჯინას სახე იმეორებს:

— Flight seven-o-five.

მე შემიძლია ორივე ვარიანტი წარმოვიდგინო:

ენდერლინი მიფრინავს.

**ენდერლინი რჩება.**

ნელ-ნელა მომბეზრდა ეს ნაცნობი თამაში: ვიმოქმედებ თუ არ ვიმოქმედებ, ორივე შემთხვევაში ეს მხოლოდ ერთი ნაწილი იქნება ჩემი ცხოვრებისა და მეორე ნაწილი მაინც წარმოსადგენი მექნება: მოქმედება და უმოქმედობა ერთმანეთს ენაცვლებიან ხოლმე. ზოგჯერ მხოლოდ იმიტომ ვმოქმედებ, რომ უმოქმედობაც (რაც ასევე შესაძლებელია) ვერაფერს გშველის: დრო მაინც მიდის და ხანიც გემატება...

მაშ, ენდერლინი რჩება.

მე არა...

როგორ, ის რჩება და მე არა?

ანდა პირიქით:

მე რატომ უნდა დავრჩე?

ასეა თუ ისე:

ერთ-ერთი გაფრინდება.

ერთ-ერთი დარჩება.

სულერთია:

ვინც რჩება, ის წარმოიდგენს, რომ გაფრინდა, ხოლო ვინც გაფრინდა,

ის წარმოიდგენს, რომ დარჩა, და ის, რაც ნამდვილად ხედა წილად, ბზარს დაამჩნევს მის პიროვნებას, ეს იქნება ჩემსა და მას შორის გაჩენილი ბზარი, როგორც არ უნდა მოვიქცე, მაინც რომ გაჩნდება: რა თქმა უნდა, მაშინ აღარ გაჩნდება ეს ბზარი, თუკი „კარაველა“, რომელიც ახლა [illegible]უფალ ასაფრენ ბილიკზე, გაურკვეველი მიზეზების გამო [illegible]მები გახდება ამოსაცნობი, მაგრამ მე ვხედავ, რომ ჩვენი „კარაველა“ მაღლა-მაღლა მიიწევს...

წარმომიდგენია:

ენდერლინი ტაქსში ზის, ხელი თასმაზე ჩამოუდვია, თავი ამაყად უჭირავს, რაკი მოქმედება ამჯობინა უმოქმედობას, მაგრამ თან შემცბარიც ჩანს. მისი სხეული ტაქსში ზის, სურვილი კი სხეულს განშორებია და ღრუბლებს ზემოთ მოფრინავს ჩემთან ერთად. და ენდერლინს ველარ გაუგია, რა უნდა იმ ქალთან, რომელიც აღარ არსებობს. არსებობს მხოლოდ ქალაქში ეს უსასრულო ყვლა და მანქანებით გადატვირთული გზა. ენდერლინი ისე ზის, ვითომ მიეჩქარებოდეს სადმე, ხოლო მძღოლი ისე იყურება წინ, თითქოს მომავალი წინ იყოს სულდამ, და ძალღონეს არ იშურებს, რომ არ შეფერხდეს, ენდერლინი კი სიგარეტს აბოლებს და გულში უხარია ყოველი შუქნიშნისა და მანქანების ყოველი კოლონის დანახვა, ყოველი შეფერხება უხარია. წარსულს არსად მიეჩქარება...

წარმომიდგენია:

პირველად როგორ ეხება ჩემი თითები მის შუბლს, წარმომიდგენია მისი გაოცებული სახე, რომელიც აღარ არსებობს, ისეთი აღარ არსებობს...

წარმომიდგენია:

ენდერლინმა ტაქსის ფული გადაიხადა და შეკრთა, ბარგი რომ არ აღმოაჩნდა თან. ისე შეძრწუნდა, თითქოს ბარგი ვინმეს მოეპაროს, მისი ბარგი კი ახლა ღრუბლებს ზემოთ მიფრინავს. შემდეგ დამშვიდდა და გაეხარდა კიდეც, რომ ბარგი არ აძძიმებდა. აფორიაქებული იყო, მაგრამ სამაგიეროდ, ორივე ფეხით იდგა მიწაზე, თანაც ტროტუარზე და კაცმა რომ თქვას, არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. ენდერლინმა მხოლოდ მიახლოებით იცის, სად ამოჰყო თავი ამ უცხო ქალაქში, ახლოვს კიოსკი, თუკი ეს ის კიოსკია, და თუ ახლა მხარი არა აქვს ნაქცევი, მისი სახლი აქედან შორს არ უნდა იყოს. ენდერლინმა სულ ვერი უძახა თავის თავს, ხომ შემეძლო ტაქსით მივსულიყავი იქამდეო. შეეძლო, მაგრამ არა ქნა, მძღოლს უეცრად გააჩერებინა მანქანა, ალბათ იფიქრა, ჯერ კიდევ შეიძლება მოქმედებას უმოქმედობა ვამჯობინოო. არადა, მართლა რაში სჭირდება მისი სახლის პოვნა, პო, კაცმა რომ თქვას, რაში სჭირდება? ენდერლინი კიოსკთან დგას: კითხულობს იმ ქუჩას, რათა იქით არ წავიდეს, მაგრამ ის ქუჩა არავინ იცის, ეტყობა, ეს მაინც სხვა კიოსკია და ენდერლინი ახლა კი მართლა მხრებჩამოყრილი დგას. ნეტავ გაფრენილიყო! თუმცა ის მაინც უხარია, რომ თვითმფრინავში ჭამა არ სჭირდება (ჩემსავით), ოღონდ გული სწყდება, ჩემსავით რომ არ შია: ენდერლინს არჩევანი დიდი აქვს, უნდა ფრანგულ კერძებს მიირთმევს, უნდა იტალიურს, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩინურზეც მიუწვდება ხელი, რადგან დრო აქვს, მთელი საღამო წინ უდევს უცხო ქალაქში. არავინ იცის ამ წუთში ენდერლინის ადგილსამყოფელი, არც იმან იცის, რადგან ენდერლინი არაფერს შეატყობინებს, თვითონაც არ იცის ამ წუთში, სად იმყოფება, არა, ეს ნამდვილად ის კიოსკია,

მაგრამ მის გვერდით ბარი რომ აღარსად ჩანს? რისთვის მიაბიჯებს? ასევე მშვენივრად შეეძლო ტროტუარზე მჯდარიყო. აღგეს და რესტორანში შევიდეს? უეცრად ყველაფერს ეკარგება აზრი, ჭამასაც ეკარგება აზრი, რადგან არ გშია, ეს კარგად მესმის. ენდერლინი ქუჩებში დახეტიალობს, მის სახლს კი არ დაეძებს, შემთხვევით უნდა გადაეყაროს სადმე. მანამდე რესტორანში ვერ დაჯდება მარტო და მენიუსა და ღვინოების ნუსხას ვერ ჩაიკითხავს მხოლოდ იმის აღსანიშნავად, რომ მის სახლს ერთხელ კიდევ შეავლო თვალი და ზარი არ დარეკა...

წარმომიდგენია:

მისი სახლი გარედან...

ენდერლინს ჯერ გარედან ხომ არ უნახავს ეს სახლი, გუშინაც არ უნახავს, როცა ოპერაში წასასვლელად გაუყვა ქალს. ეს იყო ჩვეულებრივი სახლი, რომელსაც ჯერ ძეგლი არ ეთქმოდა. ამ დილით სახლიდან გამოსვლისას სპილენძით შეჭედილი კარი კი დაინახა, მაგრამ მერე უკან აღარ მოუხედავს. კაცმა რომ თქვას, ენდერლინს სახლის კარიღა ახსოვს.

წარმომიდგენია:

ფასადი შელესილია, სახლი ხუთსართულიანია, კარკასი ქვიშაქვისაგანაა გამოყვანილი, აგებულია მეთვრამეტე თუ მეცხრამეტე საუკუნეში, შენობა განახლებულია (ვიცი, რომ სახლს ლიფტი აქვს), ძეგლების დაცვა ხომ სამშობლოს დაცვას ნიშნავს, ჭერის სიმაღლე, მეხუთე სართულს თუ არ ჩავთვლით, არისტოკრატულია, დატანებული აქვს საწვიმარი მილები, სახლი დახურულია ბრტყელი კრამიტით, მეხუთე სართულზე აქა-იქ ანთია შუქი.

ანდა:

ფასადი ტრავერტინითაა მოპირკეთებული, ჭერის სიმაღლე დემოკრატიულია, შენობა ახალი აგებულია, მაგრამ ძველ ქალაქთან შეხამების მიზნით კრამიტით დაუხურავთ, ჩემდა გასაოცრად აღმოვაჩინე, რომ პირველ სართულზე საშაქარლამო ყოფილა; ქვიშაქვის კარკასიც და საწვიმარი მილებიც მეზობელ სახლს ჰქონია. ალაყაფის კარს რომ კამარა ამშვენებს, ის ჩვენი საუკუნის ორმოცდაათიან წლებში უნდა იყოს აშენებული, მართალია, რკინაბეტონითაა ნაშენი, მაგრამ თანამედროვე არქიტექტურული ფორმა არა აქვს, მეხუთე სართულზე აქა-იქ ანთია შუქი.

ანდა:

სახლს ამ მხარეს სულ არა აქვს მეხუთე სართული (მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ის ბინა მეხუთე სართულზეა), სხვა მხრიდანაც ვერ შემოუვლი, ფასადი ოდესღაც დიდკაცური ექნებოდა, მაგრამ ახლა ჩამოტყავებულია, ეს ბიდერმაიერის სტილის სახლი შემდეგ გაუფასურებულა სატვირთო სადგურის სიახლოვით, საიდანაც გამუდმებით ისმის სტვენა და ბუფერების ღრჭიალი, მეორე და მესამე სართულებზე საფირმო აბრებია გაკრული, ფანჯრებს ალოთა ამშვენებს, მეოთხე სართულზე აქა-იქ ანთია შუქი.

შესაძლებელია:

სახლიდან სწორედ ამ დროს გამოდის ფოსტალიონი და ენდერლინს ეკითხება, ვის ეძებთო, ენდერლინი კი ხმას არ იღებს, გზააბნეულის როლს თამაშობს და ისე აგრძელებს გზას, ფოსტალიონს მადლობასაც არ ეუბნება...

(ეს შესაძლებელია, მაგრამ ნაკლებად სარწმუნო).

ნამდვილად კი:

მახსოვს ქუჩის ფარნის მონანავე ანარეკლი, ქუჩის ფარანი მთელი ღამე ირხეოდა ქარში და მისი ანარეკლი ფარდებსა და ჭერზე ისახებოდა. უფრო სწორად: როცა ქუჩის ფარანი არ ირხეოდა, მაშინ შუქი ვეღარ აღწევდა ფანჯრამდე, მხოლოდ ქარის დაბერვისას იჭრებოდა ქუჩის სინათლე ჩვენს ოთახში, როგორც ზვირთი შემოიჭრება ხოლმე ორჩხომელაში; [illegible] ჭერიდან არეკლილ შუქში იწვა ქალი. ამგვარად: გარედან როგორც არ უნდა მოჩანდეს ის ადგილი, რასაც ფარანი ანათებს, ეს ზედ ფარნის თავზე გადმომდგარი ფანჯრები უნდა იყოს და ეს ფანჯრები ან მეოთხე სართულისა იქნება ან მეხუთესი...

წარმომიდგენია:

ენდერლინმა ზარი დარეკა.

(მე კი ამ დროს უცნობების იდაყვებშუა ჩაჭედილი ვზივარ თვითმფრინავში, წინ ნაცნობი ხონჩა მიდევს, ცელოფანის პარკიდან დანა-ჩანგალსა და კოვზს ვაძრობ და ხორცის ბულიონს, ცივად მოხარშულ ქათმის ხორცს და ხილის სალათას დავცქერი).

წარმომიდგენია:

საღამო ალერსის გარეშე. ალერსი კი არა, კარგა ხანს კოცნაც კი არ გახსენდებათ. დღეს თქვენ სულ სხვა მიზეზმა შეგყარათ და ბევრი ლაპარაკი დაგჭირდებათ, სანამ ბოლოს და ბოლოს სწორად გაუგებდეთ ერთმანეთს. ეს მართლაც რომ გამაოგნებელია...

მე ღვინოს ვუკვეთავ.

ჩვენი ხომალდის მეთაურის წერილობითი ცნობის მიხედვით მივფრინავთ ზღვის დონიდან 9000 მეტრის სიმაღლეზე, საათში საშუალოდ 800 კილომეტრის სიჩქარით. ღვინო მეტისმეტად ცივია.

წარმომიდგენია:

თქვენი ღვინო უფრო თბილი იქნება...

მე მაინც ჩემსას გეახლებით.

წარმომიდგენია:

თქვენ ცოცხლობთ, თქვენ მიწაზე ხართ...

სტიუარდესა. ბოლოს და ბოლოს. იღებს ჩემს ხონჩას და იღიმება. მაინც რატომ იღიმება? ცნობილია, რომ ისინი მუდამ იღიმებიან და მუდამ ახალგაზრდანი არიან, თუნდაც ამ წუთში ბოლომდე დაყვანილ სიგარეტსა და მომდევნოს შორის, რომელსაც იმ სიგარეტით ვუკიდებ, ათი წელი იყოს გასული.

წარმომიდგენია:

ათი წლიწადი...

წარმომიდგენია:

აი, ყოველღამე, ამდაგვარი ხანმოკლე მოგზაურობის გამოკლებით საერთო ოთახში წევს სიყვარულისათვის მკვდარი ორი სხეული. და ცხოვრობთ ასე. სულერთია, ბინა იქნება ეს თუ სახლი, ასე იქნება მოწყობილი თუ ისე, იქნებ თქვენს ბინაში ძველებური და თანამედროვე სტილი ერთმანეთთან იყოს შერწყმული, იაპონური ლამპა რომ არ გქონდეთ, არ შეიძლება, აბაზანა მაინც გექნებათ საერთო, ყოველდღე უყურებთ ალბათ ორი სხეულის, ქალისა და მამაკაცის სხეულის მოსავლელ ნივთებს. და აი, ხანდახან ნაღველი შემოგაწვებათ ხოლმე. არც ერთ თქვენთაგანს ერთმანეთზე ახლობელი არავინა გყავთ, არა, მეხსიერებაშიც კი არა გყავთ ვინმე უფრო ახლობელი შემორჩენილი.

არც მომავლის იმედებში გვგულებათ ვინმე. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ ერთმანეთზე ამაზე მეტად მიჯაჭვული წყვილი? ნამდვილად არა. მაგრამ ზოგჯერ მაინც შემოგაწვებათ ხოლმე ნაღველი. რაზე ნაღვლობთ? ამის გაფიქრებაზე ძრწოლა გიპყრობთ. მაინც რა გაწუხებთ? სიყვარულში გალევთ უსასრულო, სწრაფად მსრბოლავ წლებს, გალევთ ნაზად და ალერსიანად, და ამას სტუმრებს არ დაანახებთ, რადგან ნამდვილად ხართ ალერსიანები, ნამდვილად გეთქმით წყვილი, ოღონდ თქვენი სხეულები მცდარია სიყვარულისათვის და იშვიათად დაეძებენ ერთმანეთს... იქნებ რომელიმე მოგზაურობის შემდეგ, ერთი კონგრესისოდენა განშორების შემდეგ მოხდეს ისე, რომ დღისით-მზისით, ჩამოსვლისთანავე, ჯერ ჩემოდნებიც რომ არ გაგიხსნიათ და აუცილებელი სათქმელიც რომ ვერ მოგისწრიათ, ისე ჩაეხვიოთ ერთმანეთს, მერე რა, რომ სხვასთანაც გაგიყვიათ სარეცელი, სხვებთან ურთიერთობამ შეიძლება გამოაცოცხლოს ადამიანი, მაგრამ არა ღირს გამოუტყდეთ ერთმანეთს. და აი, ერთხელ კიდევ დაგიდგებათ ოდინდელივით დრო-ჟამისაგან დაცლილი დღე, დილის ხალათითა და ფირფიტებითურთ. შემდეგ კვლავ ინავლება ერთმანეთისადმი ყოველგვარი ინტერესი, თუმცა ეს არც ენით გამოითქმის და არც ჩანს, გულგრილობა ყოველდღიური საზრუნავით ინიღბება. ასე განაგრძობთ ცხოვრებას. ერთმანეთს რომ დაშორდებით, ლამის შეგაშინოთ თქვენივე წერილებმა, თქვენვე აღგაფრთოვანებთ მივიწყებული და გადარჩეული სიტყვების ქარიშხალი. თქვენ ხარჯს არ ერიდებით და სასტუმროს დაცულებული ორადგილიანი ნომრიდან რეკავთ, რეკავთ ლონდონიდან, ჰამბურგიდან, სილსიდან და შუაღამისას ელაპარაკებით ერთმანეთს სიყვარულისაგან სულწასულები. ერთხელ კიდევ გესმით წარსულში ჩაკარგული თქვენი ხმები, თქვენ ორთიხართ, ორთიხართ შინ კვლავ შეხვედრამდე. მერე ერთმანეთთან მხოლოდ სითბო გაკავშირებთ, უსიტყვო, ღრმა, თითქმის გაუნელებელი სითბო: განა ეს არაფერს ნიშნავს? თქვენ თითქმის ყველაფერი გამოგიცდიათ, დასასრულის გარდა, არც ის გეუცხოებათ, რომელიმე თქვენგანი ღამეს რომ მისცემს თავს, რომ კვლავ იფეთქებს ბრაზი, რადგან არსაიდან საშველი აღარ არის, მაგრამ თუნდაც ორი დღე გაატაროთ უბრალო, თქვენ მაინც წყვილი ხართ, თითქოს თავისუფალნი ხართ, მაგრამ მაინც წყვილს შეადგენთ. რას იზამთ, ვერაფერს გააწყობთ. ხანდახან მოგივათ თავში აზრი: რატომ მაინცდამაინც შენ და არა სხვაო. მაშინ სხვა მამაკაცებს, სხვა ქალებს დაუწყებთ ძებნას. ამის მიზეზი ან ბევრი არაფერი იქნება ან ყველაფერი. თქვენს მაშინდელ სიყვარულს სიშმაგით ვერაფერი გადააჭარბებს, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება გაუტოლდეს რამე. იყო კი თქვენი სიყვარული ოდესმე შმაგი? ამაზე ლაპარაკს ერიდებით, აწმყოს ელოლიავებით და ამიტომ. ხანდახან წუთისოფლის მუხანათობას უჩივით, ოღონდ გავიწყდებათ, რომ ცხოვრების მიმართ გამოთქმული ყოველი საყვედური მცდარია ხოლმე. ვისი ბრალია, ერთმანეთს რომ შეეჩვიეთ? რა იყო ოდესღაც, ეს მხოლოდ იმ ჟანგმოკიდებულმა, მოვერცხლისფერო, დაბინდულმა სარკემ იცის, ერთი სასტუმროს უხეირო ოთახში რომ ჰკიდია, იმ სარკეში ყოველთვის მოჩანს მრავალმკლავება გამიჯნურებული წყვილი, ქალი და მამაკაცი, ორი უსახელო, სიყვარულით მთვრალი სხეული. თქვენ ორში ვინ დაინახა ეს, საიდუმლოდ რჩება. იქნებ ორივემ? რატომ გგონიათ, რომ მაინცდამაინც თქვენა ხართ ის წყვილი? რატომ გდევთ თან იმ სარკეში არეკლილი სურათი? ხომ შეიძლებოდა ეს სხვა

ქალი და სხვა მამაკაცი ყოფილიყო, თქვენ ეს იცით და ერთმანეთს შესცქერით, მაინცდამაინც ერთმანეთს და ამაოდ ცდილობთ ირონიის მეშვეობით მოიპოვოთ დიდსულოვნება. განა ასატანია, ერთმანეთისაკენ გული რომ მიგიწევდეთ და სულ უფრო და უფრო უკეთ კი უგებდეთ ერთმანეთს, თითქოს უკვე აღარ არსებობდეთ, როგორც ქალი და მამაკაცი? და [illegible] ქმეიანობისათვის იწყებთ საბაბის ძებნას. ღმერთმანი, უამისოდ თქვენი მომაკვდინებელი ამხანაგობანა სრულყოფილი იქნებოდა. ეს იქნება სულელური თავგადასავალი სანაპიროზე, რაღა თქმა უნდა, წამიერი ალერსი პინიებს შორის, რომელიც სამუდამოდ გამახსოვრდება, წლებისაგან გაუფერულებული ღალატი, თავის დროზე ტკივილით შეჩვენებული, შემდეგ მიტევებული, ქალისა თუ მამაკაცის სახელი, საუნჯესავით შენახული დუმილში, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში რომ ახსენებთ, ისე იგი იშვიათად, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ, რათა ისიც არ გაცვდეს თქვენს ვნებასავით. ო, ეს სახელი! მხოლოდ იგი აღუძრავს ერთხელ კიდევ შმაგ გრძნობას ადამიანს სხვის მიმართ, ტკბილ, მცხუნვარე, უნაპირო გრძნობას, უკიდურეს შემთხვევაში ამ გრძნობის საპირისპირო გრძნობას მაინც. მერე რჩება მხოლოდ სითბო, კაცმა რომ თქვას, ესეც დიდი ბედნიერებაა. მხოლოდ უგნურება თუ გაკადნიერდება შეარყიოს იგი უძილო ღამეში გაჩენილი უეცარი ეჭვით, რა მოხდა? თქვენ დაღლილობას იმიზეზებთ და შუქს აქრობთ — აქაოდა, რა უნდა მომხდარიყო. შემდეგ კი, როცა თქვენს ცოლს კვლავ ჩაეძინება, გეგმის შედგენას იწყებთ ციხეში გამომწყვდეული ტუსაღივით, ამ წუთში მზად ხართ ყოველგვარი ცვლილებისათვის, მზად ხართ გასაქცევად, შეუპოვარიცა ხართ და ბავშვურიც, თქვენთვის კინს კი არ მოუვლია, კინის მოვლა მოგენატრათ მხოლოდ. ჰოდა, ჩემოდანს ალაგებთ. ერთხელ ქალი ალაგებს ჩემოდანს, ერთხელ მამაკაცი. ასე მყარდება წონასწორობა. სერიოზული არაფერი ხდება, ცოლ-ქმრული ღალატი ცოლ-ქმრობას ვერ არღვევს. თქვენ ხართ წყვილი და მტკიცედ ხართ დარწმუნებულნი, რომ ერთმანეთს არასოდეს დაკარგავთ, წყვილი ხართ, მაგრამ თქვენი სხეულები მკვდარია სიყვარულისთვის და ამას ვერავითარი ჩემოდნების ჩალაგება ვერ უშველის, ტელეფონში საყვარელი ხმის ერთი გაგონება კმარა, რომ უკან დაბრუნდეთ, ერთმანეთს გამოუტყდეთ ან არ გამოუტყდეთ და კვლავ ჩაებათ ყოველდღიურ ორომტრიალში, ყოველდღიურობაა სწორედ სინამდვილე, თავის პიჟამათი და აქაფებულ პირში გაჩრილი კბილის ჯაგრისით, აბაზანაში ერთმანეთის წინაშე გამოფენილი სამუზეუმო სიშიშვლით, რომელიც არ გაღელვებთ თავისი ინტიმურობით, სააბაზანო ოთახში ეს-ესაა წასულ სტუმრებზე და იმ სულიერ სამყაროზე საუბრობთ, ერთმანეთთან რომ გაკავშირებთ. ჰოდა, ერთმანეთს ისე უგებთ, რომ მაინცდამაინც ყველაფერში არ ეთანხმებით. თქვენ ცდილობთ, გამოთქვამთ საკუთარ შეხედულებებს, მაგრამ თქვენსავე სხეულებს საკუთარი ავეჯივით იცნობთ და მხოლოდ იმიტომ წვებით ლოგინში, რომ უკვე ღამის ორი საათია და ხვალ მძიმე სამუშაო დღე მოგელით. თქვენს „ახლას“ „ახლა“ არ ეთქმის, იგი „მუდამს“ ნიშნავს. ხანდახან მოგეძალებათ ერთმანეთის მიმართ სინაზე, მაგრამ ერთ-ერთი თქვენთაგანი დაღლილია ან ისეთ ფიქრებშია გართული, მაინცდამაინც ახლა რომ მოუდის თავში, სხეული კი არსად გაექცევა, თქვენ მარტონი ხართ ერთ სახლში, თქვენ ორნი, მაგრამ ასე ერთად ხომ ხშირად, ძალიან ხშირად გიწევთ ყოფნა. რა მნიშვნელობა აქვს ამას. ხანდახან კვლავ ჩაგითრევთ ცოლ-ქმრობის

მორევი, მაშინ ერთმანეთს ჰკოცნით, მაგრამ თქვენი კოცნა წერტილს ჰგავს. ზოგჯერ ნაღველი გეძალებათ, ოღონდ ერთმანეთი როდი გენატრებათ, ამ შეწყვილებული ცხოვრების გარეთ გაჭრა გენატრებათ, ოღონდ ისევ ერთად. თქვენ ლაპარაკობთ საშემოდგომო მოგზაურობაზე, ერთად მოგზაურობაზე, უეცრად მოგენატრებათ რომელიღაც ქვეყანა, ის ქვეყანა [illegible] მხოლოდ შემოდგომაზე გაემგზავროთ იქ. ხელს ვერავინ შეგიშლით. თქვენ არც თოკის კიბე გჭირდებათ ერთმანეთის საკოცნელად და არც სამალავი, არც ბულბულები და ტოროლები მოგიხმობენ გასაქცევად და „ახლას“ შესახვედრად. თქვენ არც მოთვალთვალეები დაგდევენ კუდში, ერთად ყოფნას არავინ გიკრძალავთ და არც შიში გაწუხებთ, სიყვარულის ცოდვა არ გაგვიმჟღავნდესო. ნებართვა აღებული გაქვთ. ხელს მხოლოდ თქვენივე სხეულები გიშლით. სიგარეტს ეწევით, საუბრობთ, გაზეთს კითხულობთ ლოგინში, ერთმანეთის ამბავი არ გაინტერესებთ, ისედაც იცით ყველაფერი. თქვენი ადრინდელი ცხოვრების კალენდარი დიდი ხანია განხილულია. დიდი ხანია შედგენილია სია, რომელიც ჯერ თამამად მიაწოდეთ ერთმანეთს არასრული სახით, შემდეგ კი თანდათან სათუთად შეავსეთ სახელებით, თარიღებით და ადგილებით, ჰოდა, ახლა რაღაში გჭირდებათ, ღამის ორ საათზე, მძიმე სამუშაო დღის წინ, ერთხელ კიდევ გადაქექოთ თქვენი წარსული? ილსარებებით უკვე ვეღარ დატკბებით, გამოგელიათ, ნდობა უხინჯოა, ცნობისმოყვარეობა — გაფლანგული. სხვისი ადრინდელი ცხოვრება წიგნსა ჰგავს, რომელსაც გგონია ისევე ვიცნობთ, როგორც რომელიმე კლასიკოსს და იმ ცხოვრებასაც, კლასიკოსის წიგნისა არ იყოს, მტვერი აქვს უკვე წაყრილი. ასეთ წიგნებს მხოლოდ ბინიდან გადასვლისას იღებენ ხოლმე ხელში, მოგუგუნე, დაცარიელებული ოთახების შემყურენი და უკვირთ, წლების განმავლობაში ვისთან მიცხოვრია. შეუძლებელია წლების განმავლობაში გიპყრობდეს გაკვირვების გრძნობა. ახლა სიგარეტს აქრობთ. წარსული საიდუმლოს აღარ წარმოადგენს, აწმყო ხელში შემოგეცრიცათ, რადგან დღითი დღე ცვდება, ხოლო მომავალს სიზერე ჰქვია სახელად...

მე მივფრინავ.

Please fasten your seatbelt[1], ჩვენ კვლავ დასაჯდომად ვეშვებით, Stop smoking, thank you[2], მე მოწევასაც ვწყვეტ და ჩემს წარმოდგენებსაც, „ახლა“ არის „ახლა“, ველოდები ჩვეულებრივ ბიძგს, დასაფრენ ბილიკზე შეხებისას რომ ვგრძნობთ ხოლმე, ეს გახლავთ ჩემი აწმყო, we hope you have enjoyed your flight and we see you again[3], ისევ დასრულდა აწმყო, thank you[4].

მაინც მაინტერესებს:

ვინ მელოდება აეროპორტში.

გარეთ ვიყურები:

თუ მას შავი თმა აქვს და მონაცრისფერო წყლისფერი თვალები, ფართო თვალები და სავსე ტუჩები, რომელიც ზედა კბილებს ვერ ფარავს, თუ მარცხენა ყურის ძირში პაწაწკინტელა ხალიც აზის, მაშინ ის, ვინც მაშინ არ გაფრენილა, მე ვყოფილვარ.

---

[1] გთხოვთ შეიკრათ ღვედები (ინგლ.).
[2] ნუღარ მოსწევთ, გმადლობთ (ინგლ.).
[3] იმედი გვაქვს, რომ ფრენამ სიამოვნება მოგანიჭათ და კვლავ გიხილავთ (ინგლ.).
[4] გმადლობთ (ინგლ.).

ვბერდები.

via appia antica[1].

ის ქალიშვილი შვილად მერგება და ჩვენს შეხვედრას არავითარი აზრი არა აქვს. მინდოდა შევხვედროდი, ისარი გულში მაქვს მოხვედრილი, მაგრამ ამას არავითარი აზრი არა აქვს. ჩვენ რომაული ხანის სამარ[illegible]ზე ვდგავართ. ნაშუადღევია. სიმართლე თუ გნებავთ, ამ დროს ქალაქში მიგველიან. მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ მის თვალებს ვხედავ — ნამდვილი ბავშვია. ერთხელ შევეკითხე, რაზე ფიქრობ-მეთქი და როცა შემომხედა, მივხვდი, რომ ბავშვი აღარ ეთქმოდა, ჩვენ ვერ ვბედავთ ზაფხულის თბილ მიწაზე დაჯდომას, გვეშინია წყვილად არ ვიქცეთ. არ ვკოცნი. ამას არავითარი აზრი არა აქვს. ორივემ ვიცით, რომ ეს არ შეიძლება. უსაქმობისაგან იგი ოთხფურცლიან სამყურა ბალახს დაეძებს, როგორც ეს ბედნიერების ჟამსაა მიღებული. ამაოდ ირჯება. ცაში თვითმფრინავი გუგუნებს. ჩვენი მზერა პინიების ტოტებში იხლართება, ქალიშვილს ტყავის ჩანთა მხარზე გადაუკიდია, ხელში სამყურა უჭირავს და ქარში ბზრიალებს. ქარი თმას უწეწავს. ქალიშვილი ყავისფერ მიდამოს გასცქერის, ჩვენს ქვევით კამპანია გაშლილა, თავისი უსაშველოდ გაზრდილი გარეუბნებით, ქალაქმშენებლობაზე ლაპარაკის საბაბს რომ იძლევიან. იგი სდუმს. მე ფისით გაწებილ გირჩს ვუძღვნი. მისი ფიქრები მართლა ვერ გამოვიცანი და ხელმეორედ ვკითხე, რაზე ფიქრობ-მეთქი. მიპასუხა, რაზეც თქვენო! მე კი არაფერზე არ ვფიქრობ. მისი თვალები: მის თვალებს ეს ხელშეუხებელი წუთები ანიჭებს ელვარებას. საით ვისროლოთ ახლა ეს ფისით გაწებილი გირჩი? ერთხელ ხუმრობით მივაბჯინე თავი თავზე, ისე რომ არ მიკოცნია და ორივეს გაგვეცინა. რა გვაცინებს? ფისით გაწებილი გირჩისათვის სასროლი მიზანი ვერ მოგვიძებნია. რა გაეწყობა, თან უნდა წავიღოთ. ალბათ შორიდან გვხედავს ვინმე, როგორ ვდგავართ სამაროვანზე ქარში მამაკაცი და გოგონა, ხელიხელჩაკიდებულნი და წელგამართულნი. ვითომ ვხუმრობთ? რაღაც ხომ უნდა ვთქვა და ვამბობ, ხომ არ წავიდეთ-მეთქი. დაღმართზე იძულებულნი ვართ ჩავფორთხდეთ და გოგონას ჩანთას ვართმევ. იგი ფისით გაწებილ ხელს მიწვდის, ერთხელ ფეხი დავუჭირე, გამხმარ ბალახზე ფეხი რომ ვერ მოიკიდა, როგორც იქნა ჩავფორთხდით ძირს და მტვრიანი ხელები იმაზე მეტხანს ვიფერთხეთ, ვიდრე საჭირო იყო. ჩვენი მანქანა გადახდილი მიჰქროდა გზაზე და გოგონას მოწითალო თმა ქარში ბანაობდა. ცოტა რომ გავიარეთ, სიჩქარე გადავრთე და ვითომ სხვათა შორის ვკითხე მისამართი. მისამართი ჩემი საფულიდან ამოღებულ ბარათზე დამიწერა. მანქანა ნელა გავატარე ძველ რომაულ ქვაფენილზე. იგი ახლა ჩუმად შემომცქეროდა გვერდიდან და შემეძლო ამ ქვაფენილზე რაიმე მეთქვა: მაგალითად, მეხსენებინა ლეგიონები, ამ ქვაფენილზე რომ გაუვლიათ, მეხსენებინა ათასწლეულები და ასე შემდეგ, მაგრამ ამას არ ვეუბნები, რადგან ასეთები მრავალჯერ მაქვს ნათქვამი. სამაგიეროდ ვეკითხები: რა უნდა უყოს ქალმა ცხად სიზმარს-მეთქი? ამ დროს შუქნიშნის წინ ვიყავით შეჩერებულნი და ხელი ათრთოლებულ ბერკეტზე მედო. ხელიდან არ უნდა გაუშვასო, — მიპასუხა მან. სიჩქარე ჩავრთე და დავიძარით.

მორჩა!

---

[1] აპიუსის გზა (იტალ.).

გირჩი აქამდე ეგდო ჩემს მანქანაში და დღეს გადავაგდე, რადგან სურნელება უკვე დაკარგული ჰქონდა. მისი მისამართიც ზედ მივაყოლე. ვიცი, ერთ მშვენიერ დღეს შევხვდები მას, შევხვდები შემთხვევით, ქუჩაში, შევხვდები ახალგაზრდა ქალს, რომელიც ხალისიანად იტიკტიკებს აქეთურზე, იქეთურზე, თავის ქორწინებაზე და სხვაზე და სხვაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ექიმი ბური ხანდახან ამბებს მიყვება ხოლმე, მე ჭადრაკის თამაში მირჩევნია, მაგრამ შემდეგ მაინც მიტაცებს ბურის ნაამბობი. ბური აუჩქარებლად აჭრის სიგარას ბოლოს და თან თავისი კლინიკის ყოველდღიურ ამბებს მიყვება, მე კი ამ დროს მუხლებზე სპილოს ძვლის ფიგურებიანი კოლოფი მიდევს და ასევე აუჩქარებლად და უსიტყვოდ ვაწყობ ფიგურებს დაფაზე... თანამედროვე საიმედო სამედიცინო საშუალებების წყალობით ადამიანების უმრავლესობა, ასე ვთქვათ, საკუთარ სიბერეს მოესწრება, თანამედროვე მედიცინა რომ არა, მშვენივრად ვიცი, უკვე ორჯერ მოვკვდებოდი ბუნებრივი სიკვდილით და რაც მართალია, მართალია, სიბერის გაძლების საკითხიც თავისთავად მოიხსნებოდა... ბურის შავი ან თეთრი ფიგურის ასარჩევად მომუშტული ხელები გავუშვირე. თან ყურს ვუგდებ — მომუშტული ხელები არაფერს მიშლის. არჩევანი, რა თქმა უნდა, სტუმარს ეკუთვნის. ეს ჩვენი ხუთშაბათია. ბური ჩვეულებისამებრ მოვიდა ჭადრაკის სათამაშოდ. მე ვიცდი, ბური კი სავარძელში გადაწოლილა და სიგარას უკიდებს, ეტყობა, ფიქრებით ჯერ კიდევ თავის კლინიკაშია. ვხედავ ანთებულ ასანთს. ბურიმ ასანთი თუ არ გადააგდო, საცაა თითებს დასწვავს. ნეტავ რას იზამს ჩემი ხნის კაცი, თუ ნამდვილად ეცოდინება ან თუ ეგონება, რომ ექიმების ანგარიშით ერთი წლის სიცოცხლე დარჩენია, დიდი-დიდი ერთი წელიწადი?.. ბურის ხელახლა ვუწვდი მომუშტულ ხელებს. მე შავები შემხვდა. რამდენიმე საათს მხოლოდ მხედრებზე, ეტლებზე და ლაზიერებზე ფიქრით ვიყავი გართული, შემდეგ კი ბურის ნაამბობი თავიდან ველარ ამოვიგდე. სპილოს ძვლის ფიგურებიანი კოლოფი მუხლებზე მიდევს. ისევ მარტო ვარ. ბურის ავადმყოფი ჰყავდა სანახავი. არ ვიცი, ასეთ შემთხვევაში მე რას ვიზამდი.

ვიცოცხლებდი...

მაგრამ როგორ?

წარმომიდგენია:

ფელიქს ენდერლინი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, 41 წლის, 11 თვისა და 17 დღისა, რომელსაც ალბათ ერთი წლის სიცოცხლე აქვს დარჩენილი, მარტოა თავის პალატაში. გარეთ, ღია ფანჯრის მიღმა გაზაფხულია, იასამნის სურნელს კლინიკის სუნი ერევა, გინდა შორეულ მთებს გასცქეროდე, გინდა მომავალს, ის სუნი მაინც ყველგან და მუდამ დგას, დილაა, მხნეობის ჟამი, მზის გულზე გაზონების მოსარწყავი შადრევანი ტრიალებს, წყლით სავსე როფებში ცისარტყელები თინათინობენ, ბალახზე ციმციმებენ წყლის წვეთები, ხანდახან ზიგზაგებით გადაიფრენს თეთრი ან ყვითელი პეპელა, პარკი სიცოცხლით ფეთქავს... ენდერლინს ჯერ არ წაუკითხავს ის საეჭვო ბარათი, ჯერ კიდევ სჯერა, გამოჯანსაღებული ვარო. მართალია, თავს ჯერ კიდევ სუსტად გრძნობს, მაგრამ სჯერა, რომ გამოჯანსაღებულია ერთხელ და სამუდამოდ. ბედმა გაგიღიმაო, უთხრა ბურიმ. ვითომ რატომ არ უნდა გაეღიმა ბედს? ცოტა არ იყოს, შეშინდა, ბურიმ ეს რომ უთხრა. რას ჰქვია, ბედმა გაგიღი-

მათ? ენდერლინს სხვაგვარად ვერც კი წარმოედგინა. ღია ფანჯრიდან შემოჭრილი ნიავი უსიამოდ უვლის ტანში, თან, ეტყობა, გარეთ თბილა, თითქმის ცხელა, უბერავს ფიონი, მთები ისე ახლოს მოჩანს, გეგონება ხელით მისწვდება კაცი. ენდერლინს ოფლს ასხამს. სისუსტის ბრალია, აბა შვიდი კვირა ლოგინში წოლა რა ხეირს დააყრიდა. მთებზე ჯერ კიდევ დევს თოვლი, მწვერვალები ჩამუქებულან, თითქმის შავად პრიალებენ, აქედან ლაპლაპა ტბის ნაგლეჯი მოჩანს, ზედ იალქნიანი ნავები დაცურავენ. წინა პლანზე მაგნოლია ჰყვავის. მწვანე წინსაფრიან მებაღეს წურწურა უჭირავს ხელში, მოკლედ, იქაურობას არაფერი აკლია. საიდანღაც ისმის ალილუია. ეს მორიგეობისაგან თავისუფალი მედდები გალობენ. ხარაჩოებზე მუშები ფუსფუსებენ — კლინიკას აფართოებენ, ყველა კლინიკას სჭირდება გაფართოება. მუშები ოჭინარებს არახუნებენ, იტალიელები არიან, ისმის მათი ხმები, მოჩანს წელზევით გაშიშვლებული ყავისფერი სხეულები. ექიმმა, თუნდაც ბურიმ, ეს ესაა უთხრა ენდერლინს, სრულიად გამოჯანსაღებული ხარ, კლინიკიდან მალე გაგწერთო, და ერთი წუთით გავიდა ოთახიდან. სახეგაფითრებულ ენდერლინს ლურჯი ხალათი აცვია, საწერ მაგიდასთან ზის სავარძელში და ხელში ჯერ კიდევ სველი ფოტოფირი უჭირავს. ეს მისი კარდიოგრამა გახლავთ, გულისხმიერმა ექიმმა დასათვალიერებლად რომ დაუტოვა. კარდიოგრამა არაბულ ხელნაწერსა ჰგავს, ლამაზია, მაგრამ იდუმალებით მოცული, იგი ენდერლინს დამასკოსა და იერუსალიმს შუა გადაჭიმული უდაბნოს გზამკვლევს აგონებს, მისი წაკითხვა შეუძლებელია, მაგრამ სამაგიეროდ, ლამაზია, თვითონვე მოსწონს თავისი გულის ხელწერა, ამდენის შემძლე თუ იყო, არ ეგონა, პირდაპირ ვეღარ ძღება თავისი კარდიოგრამის ყურებით. ამ დროს ღია ფანჯრიდან ქარი დაუბერავს და ენდერლინი მხოლოდ ახლა შეამჩნევს საწერ მაგიდაზე დაგდებულ ბარათს, წაკითხვას არც აპირებს, მხოლოდ იმისათვის წამოდგება, ქაღალდი ქარმა არ აატრიალოსო და საფერფლეს ადგამს ზედ. მაგრამ ამასობაში ძალაუნებურად კითხულობს ბარათს. წაიკითხავს და შეკრთება. ეს ბარათი მისთვის არ იყო გაწკუთვნილი. ჯერ მხოლოდ შეკრთება. ხელახლა რომ ჩაიხედავს შიგ, მისი სახელი და გვარი აღარ მოჩანს, ეტყობა, საფერფლე ზედ თავის სახელსა და გვარზე დაუდგამს ენდერლინს. სამაგიეროდ, კარგად იკითხება სპეციალური ტერმინი, თავისთვის სიკვდილს რომ შეურჩევია. ტერმინი ბერძნულიანი კალმისტრით არის დაწერილი, ენდერლინმა არ იცის, რას ნიშნავს ეს სიტყვა, მაგრამ ბარათის კიდეზე, ეტყობა, შემდეგ მიუწერიათ: სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლიობა დაახლოებით ერთი წელიწადი.

ენდერლინი მარტოა ოთახში:

ო, არა, ასე იოლად არ იჯერებენ საკუთარ სიკვდილს. იქნებ ეს ბარათი მას არც ეხება? როცა ექიმი კვლავ შემოდის ოთახში, ენდერლინი უკვე სავარძელში ზის, სადაც უნდა იჯდეს, იქ ზის, მარცხენა და მარჯვენა სამკლავურზე დაუწყვია ხალათის სახელოში გახვეული ორი მკლავი და სახელოდან გამოჩრილი ორი თეთრი ხელი. ექიმი ეუბნება:

— ბოდიშს გიხდი!

ენდერლინი უფრო დარცხვენილია, ვიდრე შეძრწუნებული და ფანჯარაში ისე იყურება, ვითომც არაფერი მომხდარიყოს.

— ბოდიშს გიხდი! — ეუბნება ბური.

— რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ, — პასუხობს ენდერლინი.

შემდეგ ბური, უზარმაზარი მამაკაცური სიკეთის ეს განსახიერება, ფანჯარას კეტავს, კვლავ თავის საწერ მაგიდას მიუჯდება და ვერცხლის ხელიკებით შემკულ საფერფლეზე მიტოვებულ სიგარას მიუბრუნდება, სიგარა ჯერ კიდევ ღვივის, გამოდის, რომ ბურის არც ისე დიდხანს უცდევინებია ენდერლინისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე მესმის, — ამბობს ბური და ეტყობა, რაღაცას ეძებს, დაბნეულია, სიგარის სამწვავი ბაგეებს შუა მოუქცევია და მის გასაღვივებლად ჩქარ-ჩქარა არტყამს ნაფაზს. სანამ სიგარა არ გაღვივდება, ლაპარაკს ვერ გააგრძელებს, — მე მესმის, — იმეორებს იგი, ამასობაში როგორც იქნა სიგარას მოეკიდა, მაგრამ, ეტყობა, ბურის დაავიწყდა, რა უნდა ეთქვა, ამის მაგიერ ბარათს ავლებს ხელს და ზედაც არ დახედავს, ისე ეუბნება:

— შენ ჩვენი უკანასკნელი გამოკვლევის შედეგები გაინტერესებს, არა?

ენდერლინს ეღიმება.

— მაინც როგორაა საქმე? — ეკითხება ექიმს ენდერლინი და თვითონვე უკვირს, ასე მშვიდად რომ არის. ექიმს კი ეტყობა, ერთი სული აქვს, ახლა კიდევ ზუსტი ციფრებით დაუსაბუთოს, რატომ უნდა ჩასთვალოს ენდერლინმა თავი, ასე ვთქვათ, გამოჯანსაღებულად.

— მე მესმის, — მესამეჯერ ამბობს ბური და სათქმელი აგონდება. — მესმის, რომ მოთმინება აღარ გყოფნის, მაგრამ შაბათამდე ვერაფრით ვერ გაგიშვებ აქედან, — ეუბნება ენდერლინს და ამხანაგურად, ტლანქად იცინის, სიტლანქე იმის ნიშანია, აქაოდა მართლა მჯერა, რომ გამოჯანსაღებული ხარ და აღარ გელოლიავებით. — შაბათზე ადრე ნამდვილად ვერ გაგიშვებ, — ავტორიტეტულად და თან მუქარის კილოთი დასძენს იგი და ნათქვამს ციფრებს მოაყოლებს: სისხლის თეთრი ბურთულების რიცხვს პროცენტებში, ბილირუბინს[1] პროცენტებში. ეს ციფრები იმდენჯერ აქვს ენდერლინს მოსმენილი, რომ თვითონაც თილად იყენებს ხოლმე საუბარში. მართალია, ამ ციფრებისა ბევრი არაფერი გაეგება, მაგრამ მაინც შეუძლია ბურის გასახარად თვითონვე განსაჯოს, მართლაც როგორ გაუმჯობესებულა ეს მონაცემები: ბური ციფრებს იმ ბარათის უკანა გვერდზე კითხულობს.

— დიახ, მშვენიერია, — ამბობს ენდერლინი და ჯანსაღ მუშებს გასცქერის.

— ჩემო კარგო, — ეუბნება ბური, როცა მიხვდა, რომ მისი სიხარული არ გაიზიარეს, — შეიძლებოდა სულ სხვაგვარად წასულიყო საქმე!

ენდერლინი თავს უქნევს.

ისინი ვითომ თვალებში უცქერიან ერთმანეთს, ენდერლინი კი გულში კალენდარს ადგენს: ერთი წელიწადი, მაშასადამე, ერთი წელიწადი, ახლა კი აპრილი დგას...

ენდერლინი თავს უქნევს ბურის.

ბურიმ თითქოს იგრძნო უნდობლობა და ეუბნება:

— ინებეთ! — და უჩვენებს შავით თეთრზე, ესე იგი, წითლით თეთრზე დაწერილ ციფრებს.

— აი, ნახეთ! — ამბობს იგი და ბარათს ენდერლინს გადასცემს. თვითონ სავარძელში გადაწოლილა, სიგარას აბოლებს და იცდის. თან დასძენს:

---

[1] ნაღვლის ერთ-ერთი პიგმენტი (მთარგმნ.).

— ოთხი კვირის წინ ჯერ კიდევ 27% გვქონდა.

ენდერლინი კითხულობს: ბილირუბინი 2,3%, მაგრამ ვერ შეძლებს ბარათი გადმოაბრუნოს და ბურის ახსნა-განმარტება მოისმინოს. სდუმს მხოლოდ ბური, როგორც ექიმმა, იცის, რომ ამ ავადმყოფობას ახასიათებს ჩვეულებრივი აპათია, მაგრამ ფიქრობს, ამ დალოცვილს თავისი ბედნიერება უფრო მეტად რომ გამოეხატა, არაფერი უჭირდათ, ბურის ოვაცია არ სჭირდება, მაგრამ ენდერლინს რომ ასე გულგრილად უჭირავს ხელში ბარათი, ეს კი მეტისმეტია.

— ჩემო კარგო, —ეუბნება იგი ენდერლინს, — ნამდვილად გაგვიღიმა ბედმა.

ენდერლინი ბურის უკან უბრუნებს ბარათს.

— დიახ, 27%! — ამბობს ექიმი. — მაშინ დაგიმალეთ, მაგრამ ნამდვილად ასე იყო, — ამბობს იგი და უკმაყოფილო სახით მისწვდება აწუწუნებულ ტელეფონს. უკმაყოფილოა, სიტყვა რომ გააწყვეტინეს, ექიმს საქმეზე არ ელაპარაკებიან, ატყობინებენ, ამ კვირის სწორს რეგატა გაიმართებაო. ბური თვალებით უხდის ენდერლინს ბოდიშს და კალენდარს ფურცლავს. საუბარი დიდხანს არ გრძელდება, მაგრამ საიმისოდ მაინც კმარა, რომ ერთხელ უკვე გაწყვეტილ სიტყვას აღარ დაუბრუნდნენ და ბილირუბინზე აღარ ილაპარაკონ. ახლა მომავალზე შეუძლიათ ჩამოაგდონ სიტყვა, ჯერ ივნისის რეგატაზე ისაუბრებენ, ძირითადი სალაპარაკო თემა კი ენდერლინის მომავალი იქნება, მისი ჰარვარდში გამგზავრება, რომელიც ავადმყოფობის გამო შეფერხდა, ესე იგი, ლაპარაკობენ მის კარიერაზე, ენდერლინი კი თავს ძალას ატანს, უჭირს ამ თემაზე რეალურად ლაპარაკი, ეს გახლავთ შეთქმულის გასაჭირი, რომელიც ვალდებულია საიდუმლოდ დაიცვას ის, რაც მომავალზე იცის, — ორი თვე, — ამბობს ბური, — ორი-სამი თვე ტარასპში ან კიანჩიანოში უნდა გაატარო, თავს უნდა მიხედო, — განაგრძობს იგი და იმავე კალენდარს ფურცლავს, სადაც მისი რეგატებია ჩანიშნული, — მერგენტჰაიმიც არ გაწყენს.

ბურის თვითონვე ეუცხოება, ერთსა და იმავეს რომ იმეორებს დაუსრულებლად, ეს ბურის არ სჩვევია, მაგრამ ენდერლინი რატომღაც მხნეობას უკარგავს. რაც მართალია, მართალია, ბური ისეთს არაფერს ამბობს, რაც აქამდე არ უთქვამს.

— თავს უნდა მიხედო უეჭველად, — ამბობს იგი და თეთრ ხალათზე ღილებს იხსნის.

ენდერლინი თავს ძალას ატანს.

— მე კიანჩიანო მერჩივნა, — ამბობს იგი.

— შენი ნებაა! — პასუხობს ბური და თეთრ ხალათს იხდის, იხდის ნაჩქარევად, თუმცა ვერ ხედავს ენდერლინს აგრძნობინოს, როგორ ეჩქარება.

— დღეს სამშაბათია, — ამბობს იგი. — პარასკევს ერთხელ კიდევ შევამოწმებთ ანალიზებს.

ესეც ნათქვამი აქვს უკვე.

— ჰარვარდში წასვლა ნამდვილად დიდებული საქმეა! — ამბობს ბური და თან ხელებს იბანს, მერე იმშრალებს. ენდერლინიც თავს უქნევს.

— 2,3%, — ამბობს ბური, თითქოს აუცილებელი ყოფილიყოს ერთხელ კიდევ ამის გახსენება და პატარა ბარათს ჰმოუჩნის. ეს მონაცემები მანამდე გამოიკითხა ტელეფონით, სანამ ენდერლინი შემოვიდოდა მისაღებ ოთახში, და

ავადმყოფობის ისტორიაშიც შეიტანა. ბარათს კალათაში აგდებს და ენდერლინს ეუბნება:

— ნურაფრის დარდი ნუ გექნება.

ბური თან პიჯაკს იცვამს და ამის გამო სათქმელი უჭიანურდება.

— ვიცი, რომ სულ, 1,5%-ზე გელაპარაკებოდი და გეუბნებოდი, მანამდე არსად გაგიშვებ-მეთქი, ვიცი, მაგრამ აი, ნახავ, — ამბობს იგი და იქაურობას ათვალიერებს, ხომ არაფერი მრჩებაო, — პარასკევს ერთხელ კიდევ გავაკეთებ ანალიზს.

ბური წასასვლელია, ენდერლინს კი ძალა აღარ ჰყოფნის ფეხზე წამოდგეს. ნეტავ წავიდოდეს ბური. ენდერლინს ისეთი გრძნობა ეუფლება, თითქოს თვითონ ბუტაფორიასავით ეფარებოდეს თავისსავე დაშლილ ორგანიზმს. ამ დროს კი გულისხმიერი ბური, აქაოდა ჩემი აჩქარებით გული არ ვატკინოო, ლაპარაკს განაგრძობს და მერე ისიც ჰარვარდზე! თან უგულისყუროდ, თუმცა გულთბილად ეკითხება, რამდენი წლის ხარო.

— ორმოცდაორი წელი სიბერეს არ ნიშნავს, — ამბობს ბური. თვითონ უფრო ხნიერია.

ბურის უკვე ლაბადა აცვია.

— ჩემო კარგო, — განაგრძობს იგი, — მე რომ ორმოცდაორი წლის ვიყავი, ის იყო ვიწყებდი ცხოვრებას.

ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

— არა გჯერა? — ეკითხება ბური და ენამჭევრობს, მამაკაცისთვის სწორედ ორმოცდაორი წლის შემდეგ იწყება ნამდვილი ცხოვრებაო, დიახ სიყვარულის სფეროშიც ნამდვილი სიამენი ჯერ კიდევ წინ გიძევსო, გამოცდილებით დადასტურებულ ფაქტს მოგახსენებ და ეს ნუ დაგავიწყდებაო, იცინის იგი და მიდის...

ენდერლინი მარტოა...

მაგრამ კარი ღიაა და ენდერლინი ვერ ბედავს კალათასთან მივიდეს, ის ბარათი ამოქექოს და ერთხელ კიდევ წაიკითხოს შავით თეთრზე დაწერილი სიტყვები. რისთვის? ენდერლინი ისე დგება, ვითომ ოცნებებში იყოს გართული, გადის დერეფანში, სადაც ერთი კვირის განმავლობაში იმაგრებდა მუხლს, დერეფანში ხვდება ელკეს და უღიმის, რათა არ შეურყიოს მედდისეული რწმენა, რომ ენდერლინი დღითი-დღე ჯანსაღდება.

წარმომიდგენია:

მართალია, ენდერლინს სჯერა, რომ ის ბარათი მისია, მაგრამ ის კი აღარ სჯერა, რომ ორაკული აღსრულდება. ბურიც შეიძლება შეცდეს!... ენდერლინი მარტოა თავის თეთრ ოთახში (ოთახი ამასობაში მიულაგებიათ) და მაინც ახსენის, რომ ჰარვარდი, რომელიც ისედაც მხოლოდ ტრამპლინად მიაჩნდა, ახლა გვერდზე დარჩება. კარგი, ვთქვათ, არ წავიდა ჰარვარდში, მაშინ რა საქმეს უნდა მოჰკიდოს ხელი? ამ დროს მედდას დერეფნიდან გუშინდელი ყვავილები შემოაქვს. ენდერლინს ლაპარაკი ეზარება და ნელ-ნელა არჩევს წერილებს, მის არყოფნაში რომ შემოუტანიათ. კითხულობს კიდეც. მაშასადამე, ეს ყოფილა პირველი რამ, რასაც სიკვდილის წელიწადში გადამდგარი კაცი გააკეთებდა თურმე. კითხულობს, წაკითხულიც ესმის და ისიც იცის, რა შეიძლებოდა ამ წერილებზე ეპასუხა. მაგრამ უპასუხებს კი? როცა იგივე მედდა კვლავ შემოდის ოთახში და ამჯერად ხილის წვენი შემოაქვს მისთვის.

ენდერლინი მას ვეღარ ამჩნევს. ენდერლინი ახლა საწოლზე აღარ ზის (ეტყობა, აქამდე ოთახში ბოლთას სცემდა), ფანჯარასთან ჩამჯდარა სავარძელში, წვრილები დილის ხალათზე დაუკრია, ხოლო თეთრი ხელები ისე დაუწყვია სავარძლის სამკლაურებზე, თითქოს სამეფო ტახტზე იჯდეს. სიტყვას ვერ შებედავ. თითქოს სამეფო ტახტზე იჯდეს, თავის თანამედროვეებზე ამაღლებული. ბურთულიანი კალმით დაწერილი ორაკულისა თუ სჯერა, მაშინ ისღა დარჩენია, სიდიადე მაინც შეინარჩუნოს: არავის არ უნდა გაუმხილოს, მოახლოებული აღსასრულის ამბავი რომ იცის, უპირველეს ყოვლისა მეგობრებს უნდა მოაჩვენოს ისე თავი, ვითომ... ჰარვარდში წავიდეს, ვითომ... გეგმებიც დააწყოს და საერთოდ ისე მოიქცეს, ვითომ...

არაერთ მამაკაცს გაუსწორებია სიკვდილისათვის თვალი.

...და წაიკითხოს თავისი ლექცია:

„ქალბატონებო და ბატონებო!“

ხელნაწერის მიხედვით:

„ჰერმესი მრავალმნიშვნელოვანი ფიგურაა. ქურდებისა და თაღლითების ამ სახელგატეხილ ღმერთს, თვითონაც თაღლითს, გაჩენის პირველ დღესვე ხბოები რომ მოჰპარა აპოლონს, სახელგანთქმულს ხელის სიმარდით, მხიარულ და მზაკვრულ სიმარდეს მოკვდავთა გასაცურებლად სიამოვნებით რომ იყენებს ხოლმე, ყველაფერში ურევია ხელი, ბუნებაც და საქციელიც ჯადოქრული აქვს. იგია მწყემსების მეგობარი, ჯოგების ღმერთი, ხეობებში რომ შერეკავს და საფრთხისაგან იფარავს პირუტყვს, იგია ქვეყნად ნაყოფიერების მბოძებელი. აკი ჰერმეს, მის უძველეს სიმბოლოს, ფალოსის ფორმა აქვს. თითქოს უცნაურად გვეჩვენება, იგი ამავე დროს ვაჭართა ღმერთადაც რომ ითვლება, მაგრამ ყველაფერი ნათელი და გასაგები გახდება, როცა გავიხსენებთ, ქვისაგან გამოკვეთილი ჰერმა მოხეტიალე ვაჭრებისათვის გზის მაჩვენებელს რომ წარმოადგენდა. ჯოგების ნაყოფიერება ერთი კერძო შემთხვევაა, აქ საერთოდ ნაყოფიერება და ყოველგვარი ადამიანური საქმის დალოცვა იგულისხმება. ჰერმესი დიდი მზაკვარია, იგია ჩვენი შემწე, იგია ბედნიერების მომტანი, მაგრამ გზის ამბნევიც იგი გახლავთ. სიყვარულშიც ამავე როლს თამაშობს ჰერმესი. იგია, ვინც უეცარ, შემთხვევით ბედნიერებას გვანიჭებს ხოლმე. ჰერმესი გულისხმიერი ღმერთია, იგი ადამიანებთან სხვა ღმერთებზე უფრო ახლო დგას, ამიტომაც ეძახიან ღმერთების დესპანს. ჰომეროსი მას სიზმრების მეგზურსაც უწოდებს. მასზე ამბობენ, მოკვდავებთან უჩინრად მიახლოება უყვარსო, ამიტომაცაა, რომ ყოველივე უეცარი, მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი და დაუჯერებელი, გუნებიერიც კი ჰერმესისა და მისი საუფლოს კუთვნილება გახლავთ, ერთი სიტყვით, იგია მთელი ამ მხიარული და თან საზარელი იდუმალების მეუფე, რადგან ჰერმესი ის ღმერთიცაა, ვისაც სულთმობრძავი მიჰყავს ჩვეულებისამებრ უჩუმრად, მოულოდნელად, დიახ, ის გახლავთ ყველგან მყოფი სიკვდილის მოციქული, ვისაც ჰადესს მივყავართ ხოლმე...“

და ასე შემდეგ.

ამ დროს ტელეფონი რეკავს, ენდერლინი აყოვნებს ყურმილის აღებას, რათა შემდეგ ვიღაცის სიტყვაძუნწ მოკითხვაზე (იმ ვიღაცას სიმართლე თუ გნებავთ, სხვა რამ აინტერესებს) დაწვრილებით და იმედიანად გასცეს პასუხი, ცოტა არ იყოს, მეტისმეტად დაწვრილებითაც კი, ვითომ გუშინდელს აქეთ

რატომ უნდა შესცვლოდა ხმა? ხმა ნამდვილად არ შემცვლია. არ სითრობს იგი და ძომავალ შაბათს საავადმყოფოდან გაწერაზე გადააქვს სიტყვა, ლაპარაკობს კაპიტალიზმზე, ბილიონებზე, ჰარვარდზე, ის სხვა კი [illegible] რადგან ყველა ის გეგმა, რითაც თავი მოაქვს ენდერლინს, მისთვის [illegible]. უფრო მეტიც: ენდერლინი, აქაოდა, მართლაც გამოჯანსაღდა, [illegible]ებსაც კი ჩაეძიება, მისი სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლივობის მიღმა რომ დგანან, ვითომ ძალიან აინტერესებს და ისიც ზუსტად, როგორ მიდის ჟურნალის დაფინანსების საქმე, რომელ გამომცემლობას შეუძლია მოგვცეს ორი ან სამი წლის გარანტია და ისიც წინასწარ გაგვაგებინოს, კვარტალურად მოხერხდება თუ ყოველთვიურად ჟურნალის გამოცემა. კვლავ იმ ჟურნალის დაარსებაზეა ლაპარაკი, ენდერლინს დიდი ხანია მთავარ რედაქტორობას რომ სთავაზობენ. ენდერლინი უკეთეს შემთხვევაში იმ ჟურნალის პირველი ნომრის ამონაბეჭდების ხილვას თუღა მოესწრება. ენდერლინი თანახმაა, ურედაქტოროს ჟურნალს.

— კარგი, — ამბობს იგი, — სიტყვას გაძლევთ.

მოკლედ, შეთანხმდნენ.

ოღონდ ამ სანატრელი შეთანხმების წყალობით საუბარი გაჭიანურდა. განა შეიძლება მთავარმა რედაქტორმა უბრალოდ ადგეს და დაკიდოს ყურმილი? კვლავ დაისვა ჟურნალის სახელწოდების საკითხი, რომელი თანამშრომელი აიყვანონ, რომელი არა, სიტყვა ენდერლინზეა, მაგრამ მან თანდათან მოუკლო ლაპარაკს, ბოლოს ერთხელ კიდევ მისცა იმ კაცს სიტყვა და ყურმილი დაკიდა თუ არა, თავი მაღლა დადებულ ბალიშზე დაუვარდა — ამ საუბარმა ისე გაასავათა, როგორც პარკში ამასწინდელმა მეტისმეტად თამამმა გასეირნებამ. შეეცადა ჟურნალზე ეფიქრა, მაგრამ ამაოდ... დგება ჟურნალის სახელწოდების საკითხი, დიახ, ჟურნალის სახელწოდების საკითხი... დგება საკითხი: ხომ არ ცდება ბური... გაზონების მოსარწყავი შადრევანი მზეში... დგება საკითხი: მართლა ვერ ველევი თუ არა ყველაფერ იმას, რასაც სიცოცხლე ჰქვია... ასეა თუ ისე, მაშინაც კი გავუფრთხილდები თავს, როცა აშკარად შემომიტევს სენი. სიცოცხლეს ეგრე იოლად ვერ შეველევი. ყველა ტყუილს დავიჯერებ. ღამით ყველაფერი მეცოდინება, დღისით კი საწინააღმდეგოს ვირწმუნებ და თეთრი დები მეტყვიან: ყოჩაღ, ბატონო ენდერლინ, ყოჩაღ! და ამ რწმენას ჩემს საწოლთან ჩამოსაჯდომად მოსულნიც დაინახავენ. ხოლო იმ საიდუმლოს, რასაც არავინ მეტყვის, ტკივილები ჩამჩლავლებენ. ხანდახან წამოვლილი ტკივილები, მერე მუდმივი ტკივილები, მაგრამ ყოველი ნემსი შვებას მომიტანს, მე კი იმ შვებას იმედად გადავახურდავებ, ნემსი ნემსს მიჰყვება იქამდე, სანამ პირუტყვივით არ გამძვრება შეშხაპუნებულ იმედში სული.

ენდერლინს ჯერ კიდევ შესწევს ფიქრის უნარი.

რატომ არ ეუბნებიან სიმართლეს?

ის ხომ ჯერ კიდევ ადამიანია.

მათ არა სჯერათ ენდერლინის სიდიადე.

წინ უდგას თეთრი ტაბლა ეგრეთ წოდებული სადილითურთ, ჰიგიენური მიზნით მორთმეული სავოიური კომბოსტო და ხაჭო, ყველაფერს მისი მოფრთხილების გემო დაჰკრავს: მხოლოდ იმისათვის ასაზრდოებენ, რომ იმ ჟურნალის პირველ ამონაბეჭდებს მაინც მოესწროს. გემოს უსინჯავს საჭმელს. ესეც თუ ხაჭოა! გემოს უსინჯავს აზრს, თუ ბური არ ცდება, მაშინ კაცმა ხომ

შეიძლება დაწეროს ყველაფერი, რასაც ფიქრობს. მაინც რა უნდა დაწეროს? გუშინ თევზი, დღეს ხაჭო, ხვალ თევზი, ყველაფერს ერთნაირი გემო აქვს, ეს გახლავთ ცილები, უმარილო და იმ ფიქრით უნდილი, თუ ბური არ ცდება, მაშინ საერთოდ მჭირდება თუ არა ამ წელიწადში ფულზე ზრუნვა. და ამ ფიქრში გართულს შედეგი როდი აოწუნებს, საკუთარი ფიქრის [illegible] ჩუბა-ლოება ჰგვრის ძრწოლას. სასიკვდილოდ განწირული კაცი [illegible] თვა-ნებდაო, ფიქრობს იგი. ბური ცდება! ენდერლინი ცდილობს მოსალონიერებ-ლად სავოიური კომბოსტო მოიცეცქნოს. რატომაა, რომ ჯერ არ ყოფილა კაცი, ვისაც სცოდნოდეს თავისი მოახლოებული აღსასრული და რაიმე დიადი და გაბედული საქმე ჩაედინოს? თუნდაც თავზე დასხმოდეს ვინმეს. ჩემი სი-ცოცხლე მისი სიცოცხლის წილ! მაგრამ ჩემს სიცოცხლეს სიცოცხლე აღარ ეთქმის, ეს არის მხოლოდ შილავში ჩხვლეტით და კბილებშუა გაგლესილი ფაფით გაჯახირებული არსებობა, ალილუია და იმის ყურება, კვლავ როგორ აყვავებულა ბაღში იასამანი. ამ დროს მოწყალების და ყეყენია შემოდის და დედამშილეურად ეკითხება, რატომ არაფერი გეჭამიათო, უფრო ზუსტად: რატომ არაფერი გვიჭამიაო (ისინი, სანამ ჯერ კიდევ გიდგას პირში სული, ჩვენობითი ფორმით გელაპარაკებიან: მადა არა გვაქვს? თვალი ხომ არ მო-ვატყუეთ? მოვისტუმრეთ თუ არა რაღაც-რაღაცეები? და ასე შემდეგ) და ენდერლინი რამდენიმე კოვზ საჭმელს იდებს პირში, მაგრამ ყველაფერს უკან-ვე ანთხევს და სანამ მოწყალების და პირს მოუსუფთავებდეს, გულმხურვა-ლედ ევედრება, ამ ამბავს ექიმს ნუ მოახსენებთო. ბური აქამდე მეგობრად მიაჩნდა, ახლა კი მისი ეშინია. ენდერლინი ბურის დაუმტკიცებს, რომ ჯან-მრთელია, ოღონდ აქაურობას დააღწიოს თავი, თავებს და მისგან დაფარულ დიაგნოზს უბრალოდ გააბათილებს. არა, ენდერლინი კიანჩიანოში არ გაემგზავ-რება, არც ტარასპში წავა, სიცილადაც არ ჰყოფნის არც ერთი და არც მეორე, პირდაპირ პარიზიდან მოიწერს ბარათს, ამიაზე დიეტაზეც წაიოხუნჯებს. ანდა, ტარასპში თუ მაინც წავიდა, დიდი-დიდი შვიდი დღე დაჰყოს იქ და ისიც ბუ-რის ხათრით, ოღონდ მატარებლით არ წავა, საკუთარი მანქანით წასრიალდე-ბა, რომ მოსახვევებში ჭრიალი გაუდიოდეს საბურავებს, წავა პარასკევსვე და ტარასპში გოგირდის სუნით აყროლებულ წყალს კი არ დალევს, ჩოგბურთს ითამაშებს, გაიცნობს ქალს. ვინმე სულ ახალგაზრდა ქალს, აპერიტივზე და-პატიჟებს და ცოლადაც შეირთავს, ეს ალბათ ქერა ბალტიისპირელი ქალი იქნება, იმ ქალს საცურაო აუზთან სახლს აუშენებს და სახლს ერთი წლის შემდეგ, ზუსტად დღევანდელ დღეს აკურთხებინებს. კურთხევა შამფურზე შემწვარი გოჭით აღინიშნება. ჯერ ვისკის დალევენ, მერეც ვისკის დააყოლე-ბენ, დიახ, სტუმრად მოსულ ბურისთან ერთად, ბრინჯაოსფერ ენდერლინს პირში ჰავანური სიგარა ექნება გაჩრილი და თავის ორაკულ-ექიმს სიცილით წაჰკრავს ფერდში მუჯლუგუნს...

რატომ მაინცდამაინც ბალტიისპირელი?

ღამის მორიგე ელკე ბალტიისპირელია და ეს აშინებს ენდერლინს. ეს გახლავთ ავადმყოფის ფანტაზია, რომელსაც მეტი არჩევანი აღარა აქვს, ეს არის დაძაბუნებული კაცის ფანტაზია, ამაზე შორს წასვლა რომ აღარ უწერია.

გარეთ ჩიტები ჟივჟივებენ.

ქალები...

ბევრი ქალი!

უკვე მხოლობით რიცხვში ვეღარ ფიქრობს ქალებზე.

ყველა ქალი!

და მისი ფიქრები მხოლოდ მათ კალთას უტრიალებს, მათ კალთაში იბუდებს. არც ერთ ნაცნობ ქალზე არ ფიქრობს, ფიქრობს ყველა იმათზე, ვინაც მის ხელში არ გაუვლია. მათი უბე, მათი პირი და მისი ენა მათ პირში. მათი სახეები ერთმანეთსა ჰგავს და ერთმანეთში ითქვიფება. თან [illegible] არ დასცდენია, ისეთ სიტყვებს წარმოთქვამს, ეს უწმაწური სიტყვები [illegible] და იმავე დროს კმაყოფილების გრძნობასაც ჰგვრის და დაუკმაყოფილებლობისასაც. ბაგეები, ბარძაყები, თმა, მკერდი, თვალები, იმ დროს რომ უვიწროვდებათ ხოლმე და უბეები, უბეები, ყველა უბე და წიაღი... საწოლის კიდეზე ზის, ამას ფიქრობს და თან სისუსტისაგან ოფლად იღვრება, მკლავები აქეთიქით დაუბჯენია და ღონემიხდილი ღია ფანჯარაში იყურება: ხეები, სახურავები, უჩინარი თვითმფრინავი ცაზე, მხოლოდ მისი თეთრი კვალი ჩასობილა ლაჟვარდში, შემდეგ შლეიფივით გაწოლილა ცაზე და ახლა ნელ-ნელა იშლება და იფანტება ქულებად, ბუხრის მილები კი პირიქით, რჩებიან, ბანზე ფრიალებს თეთრეული, მავთულები, ბელურებით დახუნძლულ მავთულებს უკან მთები, უამრავი სახურავი, ბუხრის მილები, ბანები, მთაზე შეფენილი ხეივანი, ლაპლაპა ტბის ნაკუწი, კოშკის საათის ციფერბლატი. შეუმჩნევლად მრბოლავი ისრებით, მეტი არაფერი — ეს არის სულ, რასაც რამდენიმე კვირაა ყოველდღე ხედავს ენდერლინი... იტალიელები ხარაჩოებზე... ისინი დროდადრო ამწეზე ბადიას ჰკიდებენ და მაღლა სწევენ. წელზევით შიშველი დაკუნთული მამაკაცები... სხვა მხარეს გახედვაც არაფერს შველის. შორს დაინახავს რამეს თუ ახლოს, სულ ერთია, მისი საწოლი, ციფერბლატი, მოგრუხუნე ოწინარი — ყველა ეს საგანი ენდერლინზე მეტხანს იცოცხლებს. ეს გახლავთ ტრივიალური ცოდნის დემონსტრაცია. ღმერთების დესპანი აქ არაფერ შუაშია. სიდიადეზე ფიქრი ფუჭი აღმოჩნდა. მხოლოდ საკუთარი თავის შეცოდება მჟღავნდება დაუფარავად და ურცხვად. განა ტირის ახლა ენდერლინი! იგი მხოლოდ ოფლად იღვრება და ამ დროს კაკუნი ისმის.

— მობრძანდით, — ამბობს ენდერლინი, ლოგინში წვება, საბანს იფარებს და როცა შიდა კარზეც გაისმის კაკუნი, ხმამაღლა იძახის:

— მობრძანდით!

ეს მე ვარ.

— დაჯექი, — მეუბნება იგი.

— როგორა ხარ? — ვეკითხები და მის პასუხს აღარ ველოდები, მეშინია, ისევ არ გამყვეს თან ჟურნალი და წამლებითა და ინსტრუმენტებით მოფენილ თეთრ მაგიდაზე ვდებ. ვხედავ ამპულებს, შპრიცს, სპირტში ჩადებულ ნემსებს.

— შენი სტატიაა! — ვეუბნები მე, — წავიკითხე და ნამდვილად მომეწონა.

ენდერლინი ხმას არ იღებს.

— იცი, — ვამბობ და პატარა აივანზე გავდივარ, — აქედან მართლა მშვენიერი გადასახედი გქონია!

ვითომ პირველად ვიყო აქ. თავს უხერხულად ვგრძნობ, არ ვიცი კი რატომ და ხელებს ვიფშვნეტ.

— პოო? — მეკითხება ენდერლინი და დასძენს:

— შენ როგორა ხარ?

დღეს დიდებული დღეა-მეთქი, ვამბობ. იქნებ ენდერლინი ელის, რომ მის ნაშრომზე უფრო დაწვრილებით ვეტყვი ჩემს აზრს. მაგრამ როგორც კი დავაპირებ რამეს თქმას, ენდერლინი თვალს მარიდებს და საერთოდ აღარ ეწყობა.

— იცი, რა მომეწონა ყველაზე უფრო... — ვამბობ და ვგრძნობ, რომ ენდერლინი არ მისმენს, — გმადლობთ, არა მიშავს, — განვაგრძობ მე და ოთახში შემოვდივარ, — ვხუმრობ.

ახლა ჩიბუხს ვტენი. შემდეგ კაცი, რომელიც ორივე ფეხით მყარად დგას მიწაზე, ჯდება და ჩიბუხს ჯიბეში დებს, ჩიბუხს არ მოვწევ, პალატა მაინც პალატაა, თუნდაც ფანჯარა ასე ფართოდ იყოს გაღებული, მე მნახველი ვარ, წესი და რიგი ვიცი, მაგრამ ჯანმრთელი გახლავართ, ასეთ კაცს მოურიდებლად ვერ დაარქმევ, მაგრამ იგი ჯანმრთელია, ლაპარაკობს საქმეზე, მსოფლიოს საჭირბოროტო პრობლემებზე, ლაპარაკობს თავგამოდებით, დატენილი ჩიბუხი პირში უდევს, მაგრამ არ მოუკიდებია, ენდერლინის დარდი არ აწუხებს, მას არც მოელა აქლია, არც ყვავილები და არც ხილის წვენი, იგი ევროპაზე ზრუნვას შეუპყრია, საერთოდ კაცობრიობის დარდი აწუხებს, ამჯერად განსაკუთრებით ქალაქმშენებლობის საკითხს შეუშფოთებია, ქალაქმშენებლობაზე, როგორც პოლიტიკურ პრობლემაზე, სათქმელი არ დამელევა, თუმცა ეს ენდერლინს პირველად არ ესმის ჩემგან, ოღონდ ამჯერად საუბარი კი არა, მოხსენება გამომდის, რადგან ენდერლინი ხმას არ იღებს. ეტყობა, ჩიბუხს უხერხულობისაგან თავის დასაღწევად მოვუკიდე.

— როგორაა თქვენი ჟურნალის საქმე? — ვეკითხები ენდერლინს.

მინდა აპათიიდან გამოვიყვანო. საიდან მეცოდინება, რომ ენდერლინს დღეს დილიდან სასიკვდილოდ განწირულად მიაჩნია თავი. ენდერლინი ხმას არ იღებს, მაგრამ ვგრძნობ, როგორ ეცოდება საკუთარი თავი და ეს ისე მანერვიულებს, რომ უხეშიც კი ვხდები. ჩიბუხს მოვეშვი, სამაგიეროდ, ისეთ წინადადებებს ვისვრი, რომ ენდერლინი უნდა დარწმუნდეს, გამოჯანსაღებული ვართ:

— თქვენ და თქვენი ჟურნალი! — აღარ ვინდობ ენდერლინს. — ნეტავ ოდესმე თუ გჯეროდა, ეგ ჟურნალი რომ დაარსდებოდა?

ვიცი, რომ უხეში ვხდები.

— ვიცით, ვიცით, — ვამბობ მე, — ყველა დაგპირდება თანამშრომლობას, რათა მისი სახელიც იხსენიებოდეს საერთო ორომტრიალში, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ყველას სხვა საქმე გამოუჩნდება და მთელი ტვირთი რედაქტორს დააწვება, ჩემო კარგო, კისერზე.

არ ვიცი, ენდერლინს რა დაემართა, მე კი რაც უფრო მიჭირს შესაფერი კილოს გამონახვა, მით უფრო მეტს ვლაპარაკობ.

— ჰო, — ვამბობ მე, — მე და შენ ერთხელ კიდევ უნდა გავინავარდოთ ეტცელზე!

იგი იღიმება.

— ჰო, როგორც კი მომაგრდები, — ვეუბნები და თან ახლა ყველაფერს მირჩევნია აქედან წავიდე, მაგრამ როგორ?

ყველაზე ხელსაყრელი მომენტი ახლა მაქვს, თუ სათქმელია, ახლა უნდა ვთქვა წავალ-მეთქი.

ენდერლინი ხილის წვენს წრუპავს, მეც ფეხზე ვდგავარ, მის საწოლზე

საბავშვო ეტლივით მიკიდია ხელი და თვალი დასაგეგმავი მოძავლისაკენ მაქვს მიპყრობილი. ქალაქმშენებლობა დღეს პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს. ენდერლინს ვეკითხები, თუ წარმოგიდგენია, ჩვენი შვილთაშვილები როგორ იცხოვრებენ, როგორი იქნება ტრანსპორტი ათ წელიწადში, ოცდაათ წელიწადში, ორმოცდაათ წელიწადში-მეთქი. ეს მართლა პრობლემაა არა მარტო ენდერლინისათვის არა, მსოფლიოსათვის, განსაკუთრებით ჩვენი დასავლური სამყაროსათვის, ენდერლინი კი (ოღონდ სახეზე ვერაფერს ვატყობ) მხოლოდ თავისი სიცოცხლის ხანგრძლიობაზე ფიქრობს: ერთი წელიწადი, დიდი-დიდი ერთი წელიწადიღა დარჩენია. მედდის შემოსვლაზე ვჩუმდები და როგორც წესი მოითხოვს, ჩიბუხსაც ვმალავ. მედდამ ენდერლინს ყოველდღიური ნემსი უნდა გაუკეთოს მკლავში, ამჯერად ორჯერ მოუხდა ჩხვლეტა. საბრალო ენდერლინი! სულაც არ მიკვირს, ცალი ყურით რომ მისმენს. ასე მგონია, კარგად მესმის მისი. ყოველდღე ეს ჩხვლეტა, ხან მარცხენა და ხან მარჯვენა მკლავში ნერვების აშლილი იქნება, განსაკუთრებით მაშინ, ვენაში რომ ვერ ახვედრებენ ნემსს. მესმის, მესმის. ენდერლინს ხმა არ ამოუღია, ისე ჩამოუშვა პიჟამას სახელო და მეც მძიმე ფიქრების გასაფანტავად ვკითხე, სასთუმალთან რომ გიდევს, მაგ წიგნზე რა აზრისა ხარ-მეთქი. მოწევის ხოუ გეთიდებაო, მეუბნება იგი, თითქოს ვერ მელევა, მაგრამ ახლა მართლა უნდა წავიდე, თუმცა წასვლაც მეძნელება, რადგან ენდერლინი საერთოდ აღარ იღებს ხმას. არაფერს ამბობს, მაგრამ ფიქრობს, ვხედავ, რომ ფიქრობს განუწყვეტლივ. უხერხულობისაგან თავის დასაღწევად ვილაც-ვილაცეებზე ვჭორაობ, ვის ვისთანა აქვს კავშირი და ასე შემდეგ. იგი უგულისყუროდ მისმენს. გარეთ, ხარაჩოებზე იტალიელი მუშები მოჩანან. ესეც პრობლემაა: ასე თუ გაგრძელდა, ჩვენს ქვეყანას ეროვნებათა აღრევა ემუქრება-მეთქი, ვამბობ, მაგრამ ენდერლინი არც ამ საკითხზე გამოთქვამს აზრს. ახლა სხვაგვარად ვცდილობ. მისი ყურადღება მივიპყრო და, მაგალითად, ვეკითხები, ჰარვარდში რამდენი ლექცია უნდა ჩაატარო-მეთქი. მპასუხობს, მაგრამ ისე გულგარეშე, თითქოს მას არაფერი ეხებოდეს, თითქოს რაღაცას მიედ-მოედებოდე. რაღა უნდა გავაწყო? ერთხელ ამოიღო ხმა და ის მკითხა, დღეს რა დღეა და რა რიცხვიო. მეტი არაფერი...

როგორც იქნა, წამოვედი.

პირველ მნახველს, პირველ ადამიანს, რომელზედაც უნდა მოესინჯა, საიდუმლოს დაფარვას შესძლებდა თუ არა, გაუმკლავდა...

კოშკის საათი ექვსს რეკავს.

ერთი წელი დიდი დროა...

დაყვირება რომ შეეძლოს!

ბური მართალია: 42 წელს სიბერე არ ეთქმის.

საღამოჟამს ინექციისაგან გაბრუებული ენდერლინი ცდილობს თვალგახელილმა იფიქროს და ბინდში გამოკვეთილ ჰიგიენურ საჩრჩობელას შესცქერის... რატომ ვერ ბედავენ ასეთ დროს თავის ჩამოხრჩობას? ალბათ ამას თუ ფიქრობს, როცა საავადმყოფოს თეთრი საწოლის ხარიხას შესცქერის, მის თავს ზემოთ რომ გახიდულა. ამასობაში ბინდს ყოველ თხუთმეტ წუთში ემატება ძალა. თუმცა რაღა აქვს საფიქრალი! სიკვდილს მაინც ვერ წარმოიდგენს და ვერა: სინათლეს რომ ანთებს, კარადის სარკეში თავის სახეს ხედავს. რამდენიმე კვირაა იმ კარადაში ჰკიდია მისი კოსტიუმი. სარკეში

არეკლილ მის სახესა და მოშიშვლებულ ყელს, მის კანს მზის მეტი არაფერი სჭირდება, ენგადინის ან ზღვის მზე სჭირდება მხოლოდ. ან იქნებ პერუსი? უეცრად ირონიის გარეშე გაიფიქრა: პერუ ჩემი აღთქმული ქვეყანაა! იქნებ ენდერლინი აჭიხვინებულ ცხენზე ამხედრებულს ხედავდეს [illegible]. ერთი წელიწადი პერუში, ადამიანი მიაჭენებს ცხენს... არ ვიცი [illegible], ეს კი შეიძლება წარმოვიდგინოთ. თუ ბური არ ცდება, მაშინ დაბერება არ უწერია და თუ ცდება, მაშინ სიბერეს ვერსად გაექცევა... ინექციისაგან გაბრუებულს შიში აფხიზლებს და თან შიშის მიზეზი სიზმარი ჰგონია, წევს თვალდახუჭული, მკლავები გაუშლია, ხელის მტევნები საწოლის კიდეებზე გადმოუკიდია — ვითომ სიბერის შიშით სიცოცხლე აღარ უნდა, მაგრამ ამ დროს დიეტური ვახშამი შემოაქვთ, მედდა ბალიშს უმაღლებს, რომ ბატონი ენდერლინი საწოლში წამოჯდეს და იგიც კვებავს თავის სხეულს. ნახევარი საათის შემდეგ მედდა ხონჩის წასაღებად შემოდის პალატაში და ეუბნება:

— ყოჩაღ, ბატონო ენდერლინ, ყოჩაღ!

იგი თავს არ ჩამოიხრჩობს...

კარგად შესმის, ბური რა დღეში იქნება. მან მხოლოდ ის იცის, რომ ბარათი მაგიდაზე ეღო, ამიტომ აწუხებს ეჭვი, ენდერლინმა ის ბარათი ხომ არ წაიკითხაო და ეჭვებისაგან აფორიაქებული საღამოს პარტიაში ნაღდ მოგებას უშვებს ხელიდან. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ენდერლინი უცნაურად იქცეოდა, როცა ბურით სრული გამოჯანსაღება აუწყა და მალე გამოწერაც აღუთქვა. ბურის მხოლოდ ხაშუაღლევს დაებადა ეჭვი, როცა ის ბარათი მოიკითხა. ბარათი ერთი პაციენტისათვის ჰქონია დაწერილი, რომელიც სანატორიუმში უნდა გადაეყვანათ. ბურიმ მაშინ შემოირტყა თავში ხელი, როცა ბარათი კალათაში იპოვა და მეორე გვერდზე ენდერლინის ანალიზების სასიკეთო მონაცემები დაინახა ჩამოწერილი, ასეთი წინდაუხედაობა ნამდვილად ვერ უპატიებია თავისათვის. ჩემი რჩევა, ენდერლინს ესაუბრე-მეთქი, მიუღებელი ეჩვენა. ენდერლინი კიდევ უფრო დაეჭვდება, სიმართლეს მიმალავენო. ამაში ვეთანხმები, ბური სხვა გზას ვერ ხედავს: ენდერლინი უნდა გამოწეროს კლინიკიდან და შემდეგ თვალყური ადევნოს. კაცი რომ ფიქრობს, დიდი-დიდი ერთი წელიწადიღა დამრჩენიაო, ის ძველებურად ვეღარ იცხოვრებსო, ამბობს ბური. მეც აღარ ვეკამათები, იქნებ მეორე პარტია წამოვიწყოთ და ის მაინც გამოდგეს უფრო საინტერესო. მე ახლა თეთრებით ვთამაშობ. ბური ისევ აფორიაქებულია და ისე ნელ-ნელა ალაგებს ფიგურებს, თითქოს ფიქრობდეს, სად კუ დავდგა და სად მხედარიო. მე ამასობაში მეფის პაიკი დავძარი, ის კი მეკითხება, ვთქვათ, იცი, რომ დიდი-დიდი ერთი წლის სიცოცხლე დაგრჩენია, რას იზამდი, ძველებურად იცხოვრებდი თუ არაო. ნამდვილად არ ვიცი, ღმერთმანი, არ ვიცი. არც ვიცი და ვერც წარმომიდგენია, მინდა ერთფეროვნებას გავექცე და გამბიტს ვთამაშობ.

აი, რა შემიძლია წარმოვიდგინო:

(იმიტომ, რომ ეს გამომიცდია).

წარმომიდგენია მისი გამოღვიძება მეორე დილით. ღია ფანჯარაში რუხი, დაუბზარავი გრანიტივით ასვეტილა რიჟრაჟი (წვიმს): ამ გრანიტიდან, უეცრად უხმო ყვირილივით გამოიჭრება წითელფაფარიანი, პირზე დუჟმომდგარი ცხენის თავი, ცხენი ჭიხვინებს, ოღონდ უხმოდ, სხეული გრანიტში გაეხირა. მხო-

ლოდ თავია გარეთ გამოჩრილი, ღიღრონი გამშაგებული თვალები შეწყალე-ბას ითხოვენ. ეს ერთ წამს გრძელდება, მერე კი მოჩანს ოსტატურად გა-ფერადებული ტერაკოტა, შავი ხესტოები და ცარცივით თეთრი კბილები დახატულია მხოლოდ, წითელი ფაფარი გაქვავებულა, ეს სურათი ნელ-ნელა იწევს უკანვე კლდეში, კლდე უხმაუროდ იხურება, ფანჯარაში [illegible]-რაქივით დაუბზარავი, რუხი, როგორც გოტპაროდის გრანიტი. სულ ქვევით, ხე-ობაში, შორეული გზა მოჩანს, მოსახვევები პაწაწკინტელა ჭრელ-ჭრელი მან-ქანებითაა სავსე და ის მანქანები იერუსალიმისკენ მიქრიან...

უცებ იერუსალიმში ამოვყავი თავი. ჯერ კიდევ ერთი საათის წინ, სანამ იორდანიის საზღვარს, ესე იგი ერთ პატარა არხს გადავლახავდი, მიხვეულ-მოხვეული გზებით გადავიარე აქლემებით სავსე უსიცოცხლო ველი და უდაბ-ნოში უეცრად წამოიმართა შორეული, დილის მზეზე ქარვისფრად აელვარე-ბული ქვის კედლები: ეს იყო იერუსალიმი — როგორიც წარმომედგინა, ზუს-ტად ისეთი... და აი საკუთარი მანქანიდან გადმოვედი ტურისტი. მარტო არა ვარ, მაგრამ მაინც ეულად ვდგავარ უდაბნოში. დამასკოს კარიბჭე. მანქანას რომ ვკეტავ, მაგონდება: ისე ჩავუარე ზეთისხილის მთას, არ შემიმჩნევია, ოღონდ ეს გულგრილობით არ მომსვლია, პირიქით, იმის მოლოდინში გავცდი იმ ადგილს, ან ახლა გამოჩნდება ზეთისხილის მთა ან ახლა-მეთქი. რომ გავ-ჩერდი, დამცხა. ჩვიდმეტი დღე ვიარე იმისათვის, რომ ახლა აქ ვმდგარიყავი. რომ ხელახლა გამელო მანქანა. რომ თერმოსის ჭიქით ჩაი დამელია, რომ ხელახლა ჩამეკეტა მანქანა. ასეც მოვიქეცი, დამასკოს კარიბჭე: უზარმაზარი, მშვენიერი, სახელგანთქმული რომაული წყობით ნაგები. ნეტავ რად ავიტეხე ეს მოგზაურობა-მეთქი, ვეკითხები საკუთარ თავს. ასეა თუ ისე, აქა ვარ, მაგ-რამ სინამდვილეში აქ არ ვიმყოფები. დილის მზეზე აელვარებული დამასკოს კარიბჭე, არაბები, ვირის ყროყინი. ჩემი აქ ყოფნა ფაქტია — აქა ვარ და არა სადმე სხვაგან. ვხედავ ჩემი მანქანის ნომერს იერუსალიმში, გალავანზე გაჩე-მულ მავთულხლართს, სილით სავსე ტომრებს უკან ჩადგმულ ტყვიამფრქვე-ვებს. არაბული სახელმწიფოების საზღვრები რომ გადამელახა, სულ ცოტა ექვსი დაბადების მოწმობა მაინც გავაფუჭე (ეს სხვათა შორის) და ეს მხო-ლოდ იმისათვის, რომ მეთქვა, ამ ქვეყანაში ნამდვილად ვიმოგზაურე-მეთქი. გავიარე რამდენიმე ათასი კილომეტრი და ახლავე ვიცი, რომ მრავალი საათის შემდეგ, როცა ქანცი გამიწყდება ღირსშესანიშნავი ადგილების თვალიერებით, ეს სინამდვილე აღარ იქნება. ვხედავ: პილატეს სახლს, ყოველ შემთხვევაში იმ ადგილს მაინც, პარასკევია, ვხედავ ეზოს, ჩრდილს, ცოტა ხანს ვყოვნდები, ვხედავ ფოთლებში მიმალულ ლიმონებს, აქედან თალში რომ გაიხედავ, სო-ლომონის ტაძრის ადგილზე აღმართული არაბული მეჩეთი მოჩანს, მისი გუმ-ბათი საპნის ბუშტივით ლაპლაპებს. არ ვიცი, ყოველ პარასკევს ასეა თუ არა: ვხედავ პილატეს ეზოში როგორ დაჩოქილან ყავისფერ ანაფორაში გახვეული ფრანცისკანელი ბერები, ზოგს თეთრი ან ყვითელი საჩრდილობელი ახურავს, აქა-იქ მოჩანს პენსნეიანი სახეები, ხან სად ზუზუნებს კინო-კამერა და ხან სად და მათ ლოცვას ფირზე აღბეჭდავს, ვხედავ შორტებიან ჩრდილოელ პილიგრი-მებს, რომელთაც სამხრეთი სავარაყო ადგილი ჰგონიათ, ისინი პირჯვარს იწე-რენ და მანამდე დგანან მუხლმოყრილნი, სანამ ფრანცისკანელები არ წამო-დგებიან და წმინდა გზას არ შეუდგებიან. მეც მივყვები მობუტბუტე პრო-

ცესიას. პროცესია არაბულ ქუჩაბანდებში მიიზლაზნება, ეს გახლავთ კანონით დაშვებული უმცირესობის პროცესია, არაბი პოლიციელები თვალყურს ადევნებენ, რომ მათი მსვლელობა არავინ შეაფერხოს. ალხი ტრიალებს. ვიწრო ქუჩებში ზოგან მზე ანათებს, ზოგან კი ჩრდილია. სადაც მზის სხივი ჩასწვდება, ისეთი ბური დგას, თვალი ვერაფერს გაარჩევს, ხოლო ჩრდილში ყასბის სპილენძზე ჩაქუჩის კაკუნი, ვირები აქაც ყროყინებენ. არაბები თავიანთი დუქნების წინ წამომჯდარან უხმოდ და ხელში გრძელი ნარგილეები უჭირავთ. ბაზარში ვხედავ ხორცს, მუცელზე გაფატრულ ცხვარს, მზეზე გამოდებულ სისხლიან ხორცს, აყროლებულსა და ბუზებდასეულს, ფრანცისკანელები ყოველ წმინდა ადგილთან იჩოქებენ და ლოცულობენ, ტურისტებიც ასევე იქცევიან. ვერონიკას გარდამოხსნა. აქა-იქ ვინმე სხვებზე ადრე გადაიწერს პირჯვარს, მერე წამოდგება და სხვებს უღებს სურათს. ზოგიერთი ბერიც დგება სხვებზე ადრე და თავის ძმებს უღებს სურათს. მე მხოლოდ ვუყურებ. გოლგოთის წინასწარ მეშინია, ჩვენმა მხატვრებმა ბრეიგჰელმა და სხვებმა შემაცდინეს, თურმე გოლგოთა გალავანს გარეთ არ ყოფილა. გოლგოთაზე ვართ. (მე ასე წარმომედგინა: გოლგოთა კლდე ან ქვიანი მიწა იქნებოდა, ათასწლეულობით მზის გულზე მიფიცხებული, ნარშავგადავლილი, უდაბნოს ცხელ ქარში გადამხმარი ბალახით დაფარული მიწა). აქ დაეცა იესო ჯვართან ერთად, ვხედავ იმ ადგილს, ჯვარი კი არა, აქ ჩაასვეს მიწაში, საფლავისაკენ მარმარილოს კიბე ჩადის. იქ ბნელში სანთლები ბჟუტავენ. გოლგოთაა ინტერიერის, არქიტექტურული დეტალის როლს ასრულებს და აქაურობა უმისოდ უნდა წარმოიდგინო. მარმარილოზე პილიგრიმების ფეხის ფლატუნი ისმის, ახლა კი უნდა მოიხსნას კაცმა მზის სათვალე, თუ უნდა ამ ბინდბუნდში რაიმე გაარჩიოს. თან უფრო და უფრო დაუჯერებელი მეჩვენება, რომ აქა ვარ. მარმარილო, გისოსები, მარმარილო, სანთლები, მარმარილო, საკმეველი, ყველაფერი პომპეზურია და დახავსებული. საკმევლის სუნს ვერ ვიტან, მაგრამ მლოცველების წასვლამდე ვრჩები. მე ხომ ტურისტი ვარ. ვხედავ: იმ ადგილზე, სადაც ოდესღაც ჯვარი მდგარა. მარმარილო სამოსივით გაურღვევიათ. შიგნიდან ხორცივით მოჩანს შიშველი კლდე და კლდეში ამოტეხილი, ჯვრისთვის გაკეთებული ღრმული... შემდეგ დათვალიერებას განვაგრძობ, გეთსიმანიის ბაღსაც ვათვალიერებ, შუადღეა, ისე ცხელა, ლუკმას ვერ ჩაიკრებ პირში, ირგვლივ უდაბნოს მეტი არაფერი ჩანს, გადაჭიმულან ყვითელი ქვიშის მთები და ველები, არც სოფელი ჩანს ახლომახლო, არც კარ-მიდამო. იერუსალიმი ერთადერთი ქალაქია ცის ქვეშ. მზე იერუსალიმის ირგვლივ ბრუნავს, ფეხით მივდივარ, გეთსიმანიის ბაღი პატარაა, ჩრდილის სავანეა. მაგრამ მე არ ვჩერდები. მე ვხედავ: ეს არის ის ზეთის ხე, სადაც იესოს ულოცია, გამხმარი, დაკორძებული, მოვერცხლისფერო ხე. ფორმიანი დარაჯი, არაბი ქრისტიანი, ლეგენდარულ ნაფეხურებს მიჩვენებს კლდეზე, მეც მოლოდინს არ ვუცრუებ და ფულს ვჩუქნი. არქიტექტურას აქაც მარმარილო და საკმევლის სურნელი ქმნის, აქაც გარღვეულია მარმარილოს იატაკი, რომ ნაპრალში წმინდა კლდე დაინახოს კაცმა.

ეს ყველაფერი ზმანებაა მხოლოდ.

საღამოვამს ქვევით ვეშვები და ერთ-ერთ მოსახვევში ვჩერდები, მინდა ერთხელ კიდევ შევავლო თვალი იერუსალიმს, ბინდში ჩაფლულ ქვის კედლებს და ვგრძნობ, რომ მხოლოდ ის ვიცი, რაც აქ წამოსვლამდეც ვიცოდი. მანქანა

დავძარი და გადავწყვიტე, არასოდეს მომეყოლა იერუსალიმის ამბავი. შემდეგ მაინც გავტეხე სიტყვა.

მოულოდნელად ზეიმი იმართება.

არავინ იცის ზეიმის საბაბი, მათ შორის არც ბურიმ, რომელსაც ეს ზეიმი, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც ცხადდება (მშობიარეს მილოცვაც მომიწიათ). აქ ნამდვილი ლხინი გაუმართავთ, სამეჯლისო კაბებში გამოწყობილი მანდილოსნები პირდაპირ პარკეტზე მოკალათებულან და მათ წრეში გარეულ ერთადერთ მამაკაცს (ზიბენჰაგენს?) შეჰფოფინებენ. მამაკაცს იატაკზე მოუკრთხამს ფეხი და ენამახვილობს. ბაღში ცეკვაა გაჩაღებული, ფარნებს ქვეშ მჭახე მწვანე ფერი დასდებია გაზონებს, სმოკინგში გამოწყობილი ბური ანკესზე წამოეგო, თუმცა მას ერთადერთს შეეძლო გამოეცნო ამ ზეიმის საბაბი. იგი ხომ ექიმი-ორაკული გახლავთ...

წელიწადი გავიდა.

მასპინძელს, ენდერლინს, უყიდია ეს ბაღიანი და აუზიანი სახლი. აუზი განათებულია და ამ წუთში სწორედ ერთ ახალგაზრდა მანდილოსანს უპირებენ წყალში გადაგდებას, ქალი კივის, რადგან ჯერ კიდევ ცივა. დიდებული ხუმრობა კი მოუფიქრებიათ. მხოლოდ ბური, სმოკინგში გამოჭიმული მეანი, დგას უსაქმოდ და შია. ფირფიტა მღერის: „Rien de rien, non, je ne regrette rien“[1], ბური კი ნამუსრევით ნაყრდება და კიდევ ვერ გაუგია, რა ხდება მის ირგვლივ. მეგობრები გამოცივებული თვალებით იყურებიან, ჰალსტუხები გვერდზე მოჰქცევიათ, დივანზე ერთმანეთს ჩახვეული წყვილი ზის, ენდერლინი ჰამაკში ქანაობს, ენდერლინი ზუსტად 42 წლის, 11 თვისა და 17 დღისაა. იგი არ შეცვლილა და ამითაა მთვრალი.

ესე იგი, უნდა დაბერდეს!

რიყრაყი...

ოღონდ ცხენის თავის გარეშე...

ძრწოლა...

ოღონდ ყვირილის გარეშე...

— რას სულელობ, — ეუბნება ბური, — გაცივდები.

ექიმი-ორაკული!

— სისულელეა, — პასუხობს ენდერლინი, — მე სამოცდაათს მივაღწევ, იცოდე.

სტუმრები წავიდნენ...

— წამოდი, გეყოფა, — ეუბნება ბური.

ჩიტები ჭიკჭიკებენ...

ბური წავიდა...

ესე იგი, უნდა დაბერდეს!

ენდერლინს არ დაულევია, სასმელს ვეღარ იტანს. რაღაც-რაღაცეებს ექიმის განკარგულების გარეშე, ასე ვთქვათ, ნებაყოფლობით იკრძალავს. რად უნდა, მეორე დილით თავის აწევა აღარ შეეძლოს. აქამდე უკვე მივიდა საქმე. თავს ჯერ კიდევ, ასე ვთქვათ, ახალგაზრდად გრძნობს. მხოლოდ თავს უნდა მოუფრთხილდეს. სიამოვნებს, როცა იმაზე ნაკლებს აძლევენ, ვიდრე არის.

---

[1] „სისულელეა, არაფერს ვნანობ“ (ფრანგ.).

აქამდე უკვე მივიდა საქმე. საყვარელ ქალს სამკაულებს უძღვნის, წინათ ეს არ აგონდებოდა. ოქრომჭედელთან, ბეჭდებს და მძივებს თვალი რომ მოაწყვეტა, შიშმა შეიპყრო: მხოლოდ ხნიერი მამაკაცები უძღვნიან ქალებს სამკაულებს. ტრამვაიში ჯერ კიდევ არავინ უთმობს ადგილს. [illegible] ძლევება. ჯერ სიბერეზე ნაადრევია ლაპარაკი. მხოლოდ მაშინ შე[illegible]ვეულით ადრინდელ ფოტოებს რომ გადააწყდება ხოლმე, ეს სახე უკვე აღარ არსებობს. ჯერ კიდევ ტოლს არ უდებს ახალგაზრდებს, მაგრამ საქმე უკვე მივიდა იქამდე, რომ ყველას იმ თვალით ზომავს, ჩემზე ახალგაზრდაა თუ არაო, ხოლო თვითონ თუ იტყვის, ვბერდებიო, სასხვებით სამართლიანად ეურჩებიან, რა დროს შენი სიბერეაო, საამისო, ასე ვთქვათ, ჯერ არაფერი სჭირს. ოღონდ მისი ხნის ადამიანებს- მოლოდინს ავანსად რომ აღარ აძლევენ, ეს ცხადია, მის მეტს არავის ხვდება თვალში. გაპარსვისას სარკეში რომ იყურება, მოშვებულ კანსა და უპეებს ქვეშ გაჩენილ ტომსიკებს ხედავს, მაგრამ ეს ყველაფერი ჯერ კიდევ წარმავალი დაღლილობის კვალად შეიძლება ჩაითვალოს, ამის გამო შიშს არ იკარებს გულთან. მხოლოდ კბილები აშინებს, სიზმარში უკვე ბევრჯერ დასცვენია კბილები,— მოგეხსენებათ, რასაც ნიშნავს ეს, კბილებიც აშინებს და თვალებიც: რაც აღრე თეთრი იყო, იმას რუხი ან მოყვითალო ფერი ედება. აქამდე უკვე მივიდა საქმე. თმები ჯერ არ სცვივა, მაგრამ სულ უფრო და უფრო ეტკეპნება თავზე, და შუბლი უდიდდება თანდათან. ამას ჯერ გამელოტება არ ჰქვია, მაგრამ ეს დღეც მალე მოვა. ბაგეები დაუთხელდა, ასე ვთქვათ, წინანდელზე უფრო მეტყველი გაუხდა, მაგრამ თან ფერიც დაეკარგა. სურვილების აღსრულება ჯერ კიდევ წინ უძევს, ბუერი მართალი გამოდგა და ქალებიც ისე ეძალებიან, როგორც არასდროს; მკერდზე ბალანი უჭაღარავდება, მაგრამ ეს მხოლოდ აბაზანაში ჩანს. მარხულობისა და ზომიერი ვარჯიშის წყალობით ქონი არ დაედება და სხეული არ მოუთონთლოვდება. ოღონდ ამ გზით კუნთებს ვერ გაიახალგაზრდავებს. ჯერჯერობით სიარული არ უჭირს, მაგრამ საკუთარ ჩრდილზე ეტყობა, რომ უკვე ორმოცდაათი წლის კაცია. მიხრა-მოხრამ სიდარბაისლე შეიძინა, ფეხების მოძრაობა მთელ სხეულს აღარ გადაეცემა. სახე სხეულზე უფრო ენერგიული და მკვირცხლი გაუხდა, წლიდან წლამდე ემატება მხოლოდ მისი პიროვნებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, როცა დაღლილი არ არის, შთამბეჭდავი სახე აქვს, დაღლილი კი ხშირად არის ხოლმე, თავს ძალას ატანს და დაღლილობას არ იმჩნევს, თუ გაუჭირდა, ამებსაც არ მოერიდება: საქმე ჯერ იქამდე არ მისულა, რომ აუცილებლად სჭირდებოდეს ნასადილევს წამოწოლა, მაგრამ ეს დღეც დაუდგება. იგი ჯერ კიდევ მთელი ძალღონით მუშაობს, ეს ნამდვილად ასეა. წინანდელზე მეტ წარმატებებსაც კი აღწევს, რადგან გამოცდილების წყალობით ახლა უფრო სწრაფად საზღვრავს რა გამოუვა და რა არა. პროფესიული თვალსაზრისით საუკეთესო ხანა ახლა უდგას, ეს ნამდვილად ასეა. მაგრამ ის დროც მოვა, რისიც ასეეშინია: მალე პატივისცემით მოეკიდებიან მის წელთა სიმრავლეს, ასაკის ხათრით სიტყვას არ გააწყვეტინებენ და აღარც ძმაბიჭური დამოკიდებულება ეშველის ახალგაზრდებთან და აღარც მათი ალოლა. ისინი დღითი-დღე ახალგაზრდავდებიან. მას თაყვანისმცემლობის გამო მოუსმენენ, ხოლო თვითონ სულ უფრო და უფრო იშვიათად გაუმხელენ ნაფიქრალს. ეს ყველაფერი მოვა. თვითონ თავს შეიწუხებს მათთვის, მათ კი არ ღაანებებს პალტოს ჩაცმაში მიეშველონ. ეცდება თავი უქნიოს მათ გამოუცდელო-

ბასა და წრეგადასულ იმედებს. მას გულისამაჩუყებელ და თან [illegible] კაცად ჩათვლიან, მაგრამ ამას თვითონ ვერ მიხვდება, აღტაცებით შეეგებება ყველაფერს, ვინმეს შურიანი არ ეგონოთ, სინამდვილეში კი ყველაფერი შეშურდება, რაც თვითონ უკვე ჰქონია, შეშურდება, რადგან [illegible] ველარაფერი გაუღვიძებს. ეს ყველაფერი მოვა. თანატოლების [illegible]ნობის ბუნებრივ ზრდას მიეჩვევა, თავის წარსულის დაფასებასაც მიეჩვევა ეს სამოცი წლის მამაკაცი, რომელსაც სულ უფრო და უფრო გულწრფელად უქებენ ხალას გონებას. თავის ასაკზე აღარ იწუწუნებს, პირიქით ასაკს შეიშნობს, ღირსებასაც მიანიჭებს და თვითონვე გაუკვირდება, რომ ეს ღირსება ყველას თვალში დამსახურებული იქნება და არა სასაცილო. რაც მოსასვლელია, მოვა. იქნებ სამოცდაათსაც მიაღწიოს თანამედროვე სამედიცინო საშუალებების წყალობით. საქმე ჯერ იქამდე არ მისულა, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე სჭირდებოდეს პატრონობა. რა თქმა უნდა, დაზმარება სჭირდება. რა თქმა უნდა, თავს უნდა მოუფრთხილდეს. რისთვის? მეხსიერება უცხო ენის შესასწავლად აღარ ეყოფა, თორემ გასაოცრად ხალასი ექნება — შორეულზე შორეულ ამბებს გაიხსენებს, რაც კი ოდესმე თავს გადახდენია. ახალგაზრდები (ორმოცი წლისანი) კამათს რომ გააჩაღებენ, იგი წარბსაც არ შეატოკებს. ახლა შეხედულებებს ველარ შეიცვლის. იგი ყოველდღე ისეირნებს, ალბათ ჯოხს დაიჭერს ხელში, ყოველ შემთხვევაში, ქუდს მაინც დაიხურავს, ყოველდღე წაიკითხავს გაზეთს, რათა წარსულში არ იბორიალოს.

აწმყო? მან იცის როგორ მიაღწია ამ აწმყოს. ხანდახან ახალგაზრდებს იმ პიროვნებებთან შეხვედრის ამბებს მოუყვება, ვისაც ეს აწმყო შეუქმნია, მოუყვება თავისი ახალგაზრდობის უკვე ისტორიად ქცეულ ამბებს, მოუყვება ყოველთვის ერთსა და იგივეს...

რატომ არ ჩამოიხრჩო თავი?

კამილა ჰუბერი კითხვაზე, ერთი წლის სიცოცხლე რომ გქონდეს დარჩენილი, დიდი-დიდი ერთი წლისა, რას მოჰკიდებდი ხელს ან რას დაანებებდი თავსო, მყისვე პასუხობს, მუშაობას დავანებებდი თავსო.

მუშაობაში რას გულისხმობო, განტენბაინი, რა თქმა უნდა, არ ეკითხება, თავს ისე აჩვენებს, თითქოს საქმე მანიკიურს ეხებოდეს.

— კეთილი და პატიოსანი, მაგრამ სამაგიეროდ რაღას იზამდი? — ვეკითხები მე.

მართალია, კამილა არ ამბობს, რას ვიზამდით, მაგრამ ამას მის წყალბადის ზეჟანგით გაქერავებულ თმაში ამოიკითხავს კაცი, როცა ამ საუბარს კვლავ რომელიღაც კლიენტის ზარი გვაწყვეტინებს.

— უკაცრავად, მაგრამ ნომერი შეგეშალათ, — პასუხობს იგი, ხოლო როცა ერთი წუთის შემდეგ კვლავ რეკავს ტელეფონი, იმეორებს:

— ხომ გითხარით, ნომერი შეგეშალათ-მეთქი.

კამილა კვლავ ჩემს ფრჩხილებს დაუბრუნდა.

ეს პირველი შემთხვევაა, კამილას ამბავი რომ არ სჭირდება. ეტყობა, თავის საკუთარ ამბავს თხზავს, ოღონდ უსიტყვოდ, და ეს იქნება ალბათ ამქვეყნად დარჩენილი უკანასკნელი წელიწადის ისტორია, განახლებული ცხოვრების ისტორია, სავსე აზრითა და ნუგეშით.

ენდერლინს ჩამოვეხსენი.

(არსებობს ხალხი, რომლებსაც ვერ ჩამოვეხსნები, თუნდაც მათ იშვიათად ან სულაც აღარ ვხვდებოდე. ამით როდი მინდა ვთქვა, თითქოს ისინი თან მდევენ ჩემს წარმოდგენებში. პირიქით, მე ვდევ მათ, მე არ [illegible] ცნობისმოყვარეობა, როგორ მოიქცეოდნენ ამა თუ იმ სიტუაციაში, [illegible] არ ვიცი, როგორ იქცევიან ისინი სინამდვილეში. მათმა ნამდვილმა საქციელმა შეიძლება იმედი გამიცრუოს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, სამაგიეროდ, ჩემი მოლოდინი რჩებათ საასპარეზოდ. ასეთ ადამიანებს ვერ დავეხსნები. მე ისინი მჭირდება, თუნდაც ვნება მოეყენებინოთ ჩემთვის. სხვათა შორის, ასეთები მიცვალებულთა შორისაც მოიძებნებიან. მათ სამუდამოდ მიმიჯაჭვეს ჩემი წარმოდგენებით. ისინი, ჩემს დღეში რომ ჩავარდნილიყვნენ, ალბათ სხვაგვარად განიცდიდნენ თავიანთ ბედს, სხვაგვარადაც მოიქცეოდნენ და გასაჭირიდანაც სხვაგვარად დაიძვრენდნენ თავს, სულ სხვაგვარად, ვიდრე მე, რომელიც საკუთარ თავს ვერ ჩამოვეხსნები. აი, ენდერლინს კი შემიძლია ჩამოვეხსნა).

ამბავი კამილასათვის.

(მანუგეშებელი).

ალი, როგორც სახელი გვიბნევათ, არაბი გახლდათ. იგი ევფრატის ზემო წელზე მწყემსავდა ფარას, და აი, დადგა დრო, როცა ალიმ დაცოლშვილება მოინდომა. მაგრამ ალი ღარიბი იყო. ხეირიანი ქალიშვილი იმ მხარეში მაშინ 15 ფუნტი ღირდა, ეს კი დიდი ფული გახლდათ ახალგაზრდა მწყემსისათვის. ალის მხოლოდ 10 ფუნტი გააჩნდა. სადღაც ყური მოჰკრა, სამხრეთში საპატარძლოები უფრო იაფად იშოვებათ. ჰოდა, ბევრი აღარ უფიქრია, შეჯდა თავის ვირზე, ტიკჭორები წყლით დაავსო და დაადგა სამხრეთისაკენ მიმავალ მრავალკვირიან გზას. ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე კაცს დაცოლშვილების დრომ მოუწია და რა ექნა. ასე იმედით ალსავსე მიაჭენებდა თავის ვირს ევფრატის ნაპირ-ნაპირ, როგორც მოგახსენეთ, კვირეების განმავლობაში, ჯიბეში 10 ფუნტი ედო და შიმშილს ინდის ხურმით იკლავდა. როგორც იქნა მიაღწია ნანატრ მხარეს, იქ მისი მოსაწონი ასულებიც ბევრი დახვდა და მათი გაყიდვის მოსურნე მამებიც, მაგრამ ამასობაში სამხრეთშიც აწეულიყო საპატარძლოების ფასი და 10 ფუნტად გონჯ ქალიშვილსაც კი არავინ მოგათხოვებდა. მაჩანდა თორმეტ ფუნტზე იდგა. 11 ფუნტზე იშვიათად თუ ჩამოვიდოდა. მრავალი დღე ამაოდ ეჭაჭრებოდა ალი სასიმამროებს. 10 ფუნტს ფასად კი არა, შეურაცხყოფად იღებდა ყველა. და როცა ალი მიხვდა, რომ თავზევით ძალა არ იყო, შეჯდა ისევ თავის ვირზე, ტიკჭორები დაავსო და გულმოკლული გაუდგა ჩრდილოეთისაკენ მიმავალ გზას. 10 ფუნტი კვლავ ჯიბეში ედო, გროშიც არ დაუხარჯავს, თითქოს ჯერ კიდევ სჯეროდა, რომ სასწაული შეიძლებოდა მომხდარიყო. და, რა თქმა უნდა, რაკი ასე სჯეროდა, სასწაული უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდეც. ეს იყო სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალ გზაზე, ერთ ჭასთან, სადაც ალი საკუთარ თავსა და თავის ბეხრეკ ვირს არწყულებდა. იქ ალიმ, თავის სიცოცხლეში რომ არ ენახა, ისეთი მშვენიერი ასული დაინახა, გოგონა სილამაზით ყველა იმ ქალს სჯობდა, 10 ფუნტად რომ ვერ მოიხვეჭა ალიმ, მაგრამ ვაგლახ, რომ იგი ბრმა იყო. სამაგიეროდ, არა მარტო სილამაზით ჯაბნიდა ყველას, არამედ სათნოებითაც, რადგან ბრმა გახლდათ და თავისი სილამაზე ჯერ არც ერთ ჭაში არ ჰქონდა შემოწმებული. და როცა

ალიმ ყველა იმ სიტყვით შეუქო სილამაზე, რაც კი შეიძლებოდა არაბ მწყემსს ენაზე მოსდგომოდა, გოგონამ შეიყვარა ვაჟი და მამას სთხოვა, [illegible] მიმყოდეო. იგი იაფი ღირდა, მამას ესწრაფებოდა ბრმა ქალიშვილის თავიდან მოშორება, იგი საშინლად იაფი ღირდა — 6 ფუნტი, რადგან ევროპულ ბაზრებზე არავის უნდოდა ბრმა ქალი დაესვა ცოლად. ალიმ მაინც წამოიყვანა [illegible] შესვა თავის მოლოზნიერებულ ვირზე და ალილი უწოდა. თვითონ ფეხდაფეხ მიჰყვა ვირს. სოფლებში, სადაც კი ალი გამოჩნდებოდა თავის ალილით, ხალხი თვალს არ უჯერებდა, ცხადში რა სათქმელია, სიზმრადაც არავის ენახა ალილზე უფრო მშვენიერი ასული. მაგრამ ვაგლახ, რომ ქალიშვილი ბრმა იყო. სამაგიეროდ, ალის კიდევ 4 ფუნტი ედო ჯიბეში და შინამდე მოაღწია თუ არა, ქალი ჯადოქარ ექიმს მიუყვანა და უთხრა: აი, 4 ფუნტი, ახლა ისე ქენი, რომ ალილმა თავისი ალი დაინახოსო. ჯადოქარმა ექიმმა თვალი აუხილა ქალს. ალილმა დაინახა, რომ მისი ალი სხვა მწყემსებზე გონჯი იყო, მაგრამ სიყვარული არ განელებია, რადგან ალიმ თავისი სიყვარულის წყალობით აჩუქა სამყაროს ყველა ფერი და ბედნიერება მიანიჭა ალილს. ალიც ბედნიერი იყო და ალი და ალილი უბედნიერესი წყვილი გახლდნენ უდაბნოს კიდეზე...

კამილას იმედი გაუცრუვდა.

— ასე იყოს, — თქვა მან, არც ამოუხედავს და არც მანიკიური შეუწყვეტია, — კარგი, ასე იყოს, მაგრამ ეს ხომ ზღაპარია.

კამილას აღარ უნდა მოსმენა.

— დამაცადეთ! — ვეუბნები მე. — დამაცადეთ!

კამილა ფრჩხილებს მიქლიბავს.

...ზღაპარი ერთ წელიწადს გაგრძელდა და დასრულდა. ალილის სენი ალის გადაედო და ნელ-ნელა დაუშრიტა თვალში სინათლე. და დადგა ავი დრო: დაბრმავებულ ალის აღარ სჯეროდა ალილის სიყვარულისა და რამდენჯერაც ალილი კარავიდან გავიდოდა, ეჭვიანობდა. ალილის ფიცი არ სჯეროდა. ვინ იცის, იქნებ მართლა დადიოდა სხვა მწყემსებთან ალილი, ალი მაინც ხომ ვერაფერს დაინახავდა, ჰოდა, ასეთ ორჭოფულ ცხოვრებას რომ ვეღარ გაუძლო, ცემა დაუწყო ცოლს. ეს კარგი საქმე ვერ იყო. ერთი სიტყვით, საცემრად თუ შეახებდა ხელს, თორემ ისე თავის ალილს აღარ ეკარებოდა. ასე გაგრძელდა დიდხანს, სანამ ალიმ შური არ იძია ცოლზე და სხვა ქალიშვილს არ დაუწყო ხვევნა-კოცნა. ის ქალიშვილი სულ უფრო და უფრო ხშირად შემოსრიალდებოდა ხოლმე მის კარავში. არც ამან უშველა ალის, პირიქით, დღითიდღე უკან-უკან მიდიოდა მისი საქმე. ალილს თუ კარავში მოიხელთებდა, დაუზოგავად სცემდა, ქალის ტირილი ცას სწვდებოდა და ალისა და ალილზე უბედური წყვილი აღარ მოიძებნებოდა უდაბნოს კიდეზე. ეს ამბავი ქვეყანას მოედო და ჯადოქარი ექიმის ყურსაც მისწვდა, მათი საცოდაობით გულდამწვარი ექიმი ალის განსაკურნავად გამოეშურა, თუმცა ალის სულს აქეთ გროში აღარ ებადა. ალის თვალი აეხილა, მაგრამ თავის ალილს არაფერი გაუმხილა, რადგან უნდოდა თვალყური ედევნებინა ცოლისათვის. ასეც მოიქცა. მაგრამ რას ხედავს? მან დაინახა, როგორ ტიროდა ნაცემი ალილი, მერე ისიც დაინახა, როგორ მოიბანა ქალმა პირი და ვითომ სხვა ქალივით შემოუსრიალდა კარავში, რათა ბრმა ალის მკერდში ჩაჰკვროდა...

— არა, — თქვა კამილამ, — მართლა?

მანიკიური დაამთავრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მართლა ნამდვილი ამბავია? — მეკითხება იგი და მაკრატლებსა და ქლიბებს ალაგებს.

— ჰო, — ვეუბნები მე, — ნამდვილი უნდა იყოს.

მე მგონი, ბრმის სათვალით, ბორდიურზე მისაკაკუნებელი [illegible]ხითა და სამკლავურით თამაშიც მობეზრდება ადამიანს თანდათან. [illegible]რი მაინც ხომ ყოველ გამოსვლაზე სხვა პიჯაკის სახელოზე რჩება და განტენბაინს შინ მიბრუნება უხდება ხოლმე. არ გამიკვირდება, განტენბაინმა უეცრად რომ დასთმოს თავისი როლი და ჩემს თავს დაჟინებით ვეკითხები, რას იზამდა ლილა, განტენბაინი ერთ მშვენიერ დღეს რომ გამოუტყდეს, ვხედავო.

ცდუნება დღითიდღე იზრდება.

რა საჭიროა ეს თვალთმაქცობა?

ვზივარ ბუხართან, შუაღამეა, ხელში ჭიქა მიჭირავს, ჭიქაში ყინული აგდია და ჭიქის გარყევისას წკარუნებს. იქნებ ბევრი დავლიე უკვე. როგორც იქნა, წავიდნენ ჩვენი სტუმრები. კვლავ გამიძნელდა მეთამაშე განტენბაინი და ადამიანებისათვის არ მეთქვა ის, რასაც ვხედავ. ეს-ესაა ბუხარში შეშის ნაპობი შევაგდე, ლილა გაზეთს კითხულობს. ვუყურებ, როგორ ნელ-ნელა აბოლდა მინავლულ ნაღვერდალზე დადებული შეშის ნაჭერი: უეცრად წამოყელყელავდა პირველი ალი, პატარა, წამიერი. წუცისოფელო, ყვლური ყინი და მაშინვე ჩაქვდა. მაგრამ რამდენიმე კვამლიანი წამის შემდეგ ისევ წამოჰყო თავი ტკაცუნა, კაშკაშა ალმა. სხვა არაფერი არ ჩდება. ლილამ ჩვენს სტუმრებს ერთხელ კიდევ მოუთხრო და, ჩვეულებისამებრ, დიდი წარმატებითაც, მის საგრიმიოროში შემოსული ბრმა განტენბაინის ამბავი. როგორც ვთქვით, სტუმრები წავიდნენ და ალბათ ჩვენც მალე დავიძინებთ. ხელში ჭიქა მიჭირავს, ჭიქაში ყინული აგდია და ჭიქას რომ გავარყევ, წყნარად და მხიარულად წკარუნებს, ვზივარ და შევყურებ ჩვენს ბედნიერებას. ვითომ ლილას კიდევ სჯერა ჩემი სიბრმავე? ვხედავ მის ფეხებს, მარცხენა ფეხი მარჯვენაზე აქვს გადადებული, ვხედავ მის მუხლს, ზედ გადაჭიმულ ქვედაკაბას. შემდეგ თვალით მის ხელებს ავყვები, გაზეთი რომ უჭირავს. ვხედავ მსხვილი შრიფტით აწყობილ სათაურს. სათაური მკვლელობის ამბავს იუწყება.

— წაიკითხე? — მეკითხება ლილა.

ასეთ კითხვებს განგებ არ იძლევა ლილა. ხშირად იცის ასე, ოღონდ განტენბაინის გამოცდაა როდი ლამობს.

— ჰო, — ვპასუხობ მე, — წავიკითხე.

პაუზა.

— არა, ნუთუ ეს შესაძლებელია!

იგი მკვლელობას გულისხმობს.

— შემაძრწუნებელია! — დასძენს მერე.

მანამდე ვსვამ, სანამ ჭიქაში სულ არ გადნება ყინული, მერე ჭიქა ხელში მიჭირავს და დაძაბული ველოდები, ლილა უცებ მიხვდება თუ არა, რა ვუთხარი, მაგრამ ამაოდ ვიცდი და რაკი არაფერი ხდება, ვიმეორებ:

— ჰო, წავიკითხე.

არც გაუგონია ჩემი ნათქვამი.

— ვისკი თუ დარჩა? — მეკითხება იგი.

დარჩენილა.

— გმადლობთ, — მეუბნება შემდეგ, — გმადლობთ.

სიჩუმე.

— ლილა, მე რაღაც გითხარი.

— უკაცრავად! — მეუბნება იგი.

ბოლოს და ბოლოს, გაზეთს დებს, მაგრამ სახეზე გაოც[illegible], მხოლოდ ვისკის ჭიქას იღებს ხელში და მოსასმენად ემზადება.

— რა მითხარი?

ვყოყმანობ.

— მე გითხარი, — ვიღიმები მე და ჩელახლა მიმაქვს პირთან ჭიქა. პირში უგემური, ნადნობი წყალი მხვდება და ღიმილის ხალისს მიკარგავს, — მე გითხარი, წავიკითხე-მეთქი.

— შემაძრწუნებელია, არა?

იგი ისევ მკვლელობას გულისხმობს.

— ჰო.

ვხედავ, რომ საკმარისი იყო განტენბაინი ახლა გაჩუმებულიყო, ჩვეულებისამებრ, სიგარეტი გაებოლებინა და ყველაფერი ძველებურად დარჩებოდა, მაგრამ ალბათ ბოლმა თუ მოაწვა, — ამის წარმოდგენა არ გამიჭირდება, — ეს ბოლმა კი ვიცი, კარგად არ დამთავრდება და ცარიელი ჭიქა ორივე ხელით მიჭირავს, რომ განტენბაინმა იგი კედელს არ მიამსხვრიოს. რა მერე! ვხედავ ბუხარში აალებულ შეშის ნაჭერს, ვხედავ ლილას, როგორ სვამს ვისკის, მერე ისევ როგორ იღებს გაზეთს, ვხედავ მსხვილი შრიფტით დაბეჭდილ სათაურს, მკვლელობის ამბავს რომ იუწყება.

დანარჩენი მხოლოდ წარმომიდგენია:

ჯერ ხმას არ იღებს, თითქოს დამშვიდდა კიდეც, მას შემდეგ რაც ვისკის ჭიქა კედელს მიამსხვრია აღელვებისაგან გაფითრებულმა, თან არც იცის, სინამდვილეში რა უნდა, მხოლოდ ის იცის, რომ გაჩუმება ერჩივნა, მაგრამ ახლა ხმაც რომ აღარ ამოიღოს, ნამსხვრევებს მაინც ვეღარაფერს მოუხერხებს. განტენბაინი ისეთ დღეშია, რომ საბრალო ლილა მართლა შეშინდა. სათვალე მოუხსნია (როგორც მხოლოდ სარეცელზე და ცურვისას იცის ხოლმე) და სიბრაზისაგან ცახცახებს, რომ ახლა (ისე, კაცმა რომ თქვას, რა რჯის?) თავის საიდუმლოს ამხელს, სათვალე ხელში უჭირავს, მე ბრმა არა ვარო, ამბობს იგი და აქეთ-იქით აწყდება, დიახ, ბრმა არა ვარო. იცინის იგი და ლილასკენ არ იხედება, სიბრაზისაგან დაბრმავებული, ხრინწიანი ხმით გაჰყვირის, რა არ დამინახავს ამ ხნის განმავლობაშიო, დიახ, დაუნახავს, სულერთია, ლილას სჯერა თუ არა ეს, დიახ, ბრმა არა ვარო, ისე ღრიალებს იგი, რომ მთელ მეზობლობას ესმის, სიბრაზისაგან პირზე დუჟი ადგება — ლილას ახლა მიწა უნდა გაუსკდეს, ის კი ნამსხვრევებს კრეფს, ხოლო განტენბაინი თვალხილულობის დამტკიცებას ლამობს და წიხლით აბრუნებს სავარძლებს, შემდეგ ისევ იმეორებს, ყველაფერს ვხედავდი, ყველაფერსო. ლილას დუმილი ბრაზს ვერ უოკებს და მაგიდაზე ურტყამს ხელს, რომელსაც თურმე ასევე ხედავდა ამ ხნის განმავლობაში. ისე იქცევა, თითქოს ეს წლები თვითონ კი არ ეთვალთმაქცოს, ლილას ეთამაშოს ბრმის როლი, ლილას ხელს ავლებს და მანამდე ანჯღრევს, სანამ ქალი არ ატირდება. განტენბაინმა გონება დაკარგა, დიახ, თვითონაც ხედავს ამას, რომ გონება დაუკარგავს, სავარძლები იატაკზე ყრია, დიახ, ხედავს წაქცეულ სავარძლებს და საქმეს ვერაფერს შველის, რომ თვი-

თონვე აყენებს სავარძლებს ფეხზე, ნათქვამ სიტყვას უკან ვერ დაიბრუნებს. ლილა ისე ალუკუნებს, თითქოს განტენბაინს ეღალატოს მისთვის, თუმცას მარგალიტის მძივეც გაუწყდა. დიახ, ბრმა არა ვარო, ამბობს განტენბაინი და ცდილობს სიგარეტით დაიმშვიდოს თავი, მაგრამ მოთმინება [illegible] არ ჰყოფნის, ჯერ სიგარეტი ნახევარზეც არ დაუყვანია, რომ [illegible] სძლევს და შეტევაზე ხელით თუ არა, სიტყვით გადმოდის. ცხენი რომ უეცრად წაიფორხილებს და დაეცემა, განტენბაინიც ისეა [illegible] და გადარეული...

შემდეგ რაღას იზამენ?

ბოლოს და ბოლოს, განტენბაინი დაწყნარდა, მარგალიტის მძივის გაწყვეტისათვის ბოდიშიც მოუხადა ლილას. ასე რომ, ლილას ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა. მის თვალში განტენბაინს თავისი ღისრებით არც მოაკლდებია და არც მომატებია სიბრმავე. განტენბაინისათვის კი, რაც ბრმის როლს აღარ თამაშობს, მართლაც ახალი ცხოვრება დაიწყო...

წარმომიდგენია:

ერთხელ (ამ ამბიდან ცოტა ხნის შემდეგ) ლილა შინ აფორიაქებული ბრუნდება. ეს პირველი შემთხვევა არ არის, მაგრამ პირველია მას შემდეგ, რაც ლილამ იცის, ბაქანზევე რომ ვხედავ ყველაფერს. მე ტაქსს ვუქნევ ხელს, ის კი მეუბნება, ჰენრიმ მოგიკითხაო. მადლობას ვუხდი. შენსკენ რა არისო ახალი? ეს რამდენიმე დღეა საძაგელი ამინდები იყო, ვწუწუნებდი-მეთქი, მივუგე. — შენ რამე ხომ არ შეგემთხვა?

ეს თურმე მძღოლის თანდასწრებით არ ითქმება, ამაზე სჯობია, მერე ვილაპარაკოთ. ნაშ გუშინწინ ჰენრისთან და მის ცოლთან ყოფილა, ჰენრის ცოლიც მოკითხვას მითვლის. ასე ცნამჭვერი არასოდეს ყოფილა ლილა. რუსული ბალეტი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს, მაგრამ მაშინვე დავიჯერე, რომ დიდებული იქნებოდა. კიდევ? უკვე ვხვდები, რაც უნდა მითხრას და მეშინია: ლილა ისევ გერმანულ ფილმზე დადებდა ხელშეკრულებას. ჰოდა, თქვას, რაღას აყოვნებს! მაინტერესებს, რას იტყვის. რატომ არ იკოცნი? იმიტომ, რომ ვეწევი. მამაჩემი უკეთაა, გმადლობთ, ამინდი კი, აბა, პირდაპირ დაუჯერებელია, რა სხვადასხვანაირია ამინდი სხვადასხვა ქვეყანაში. ჰამბურგში, მაგალითად, მზე ანათებდა, დიახ, მაინცდამაინც ჰამბურგში. აქ კი, სამი დღეა წვიმსმეთქი, ვეუბნები მე. ამასობაში ვგებულობ, რომ სხვათა შორის, ლილა თავის პირველ ქმარს შეხვედრია. სხვათა შორის რას ჰქვია! თავი შემაწყინაო, გულახდილად ამბობს ლილა. ეს გულახდილობა რაღა საჭიროა? მაშასადამე, სვობოდას თავი შეუწყენია ლილასათვის. ამას ვინ იფიქრებდა! რაც სვობოდას სახელი მესმის, ასე აშკარად პირველად გავიგონე, თავი შემაწყინაო. ჰო, კიდევ რა? სხვათა შორის, სვობოდა მოკითხვას მითვლის. მთელი დუნია მე მითვლის მოკითხვას. სხვათა შორის, მეც უნდა გამოვტყდე: ავარია მომიხდა, მანქანა დამიცურდა მოლიპულ გზაზე. მოლიპული გზა?! ახლა წვიმს, გუშინწინ კი გზა მართლა მოლიპული იყო. აი, ჩვენი ტაქსის მძღოლიც დამემოწმება. შინ ლილას პალტოს ვხდი, საკიდზე ვკიდებ და თან ვეკითხები, რა ამბავია, ლილალაინ, რა მოგივიდა-მეთქი. ორი ჭიქა გამომაქვს, ლილა გახარებულია, რომ მანქანას მოუვიდა რაღაც და არა მე. იძულებული ვარ, გავიმეორო: ოთხმოცდაათით მოვდიოდი, დიდი-დიდი სამოცით, მაგრამ მოლიპულ გზაზე რას გახდები-მეთქი. მაშ გაგიმართლა! მაგრამ ლილა თავის პირველ ქმარს ვეღარ

ეშვება და ერთხელ კიდევ გადმოძცემს მის მოკითხვას. განა შეიძლება პირველი ქმარი ასე მოსაწყენი გახდეს? შემომაქვს ყინული. რატომ დააგვიანდა ლილას თვითმფრინავზე, ეს საკითხი ღიად რჩება, რადგან მე, როგორც უკვე ყინული შემომაქვს, ხოლო ლილა იმასვე ფიქრობს, კიდევ ვინ შემოიყვანა მოკითხვა. იმედი მაქვს, კიდევ გამოჩნდება ვინმე, ხოლო ის ვინც მოკითხვას არ მითვლის, უსახელო გახლავთ. არ ვიცნობ და ამიტომაც არ მითვლის მოკითხვას. ყველაფერი კარგად მესმის. როგორც გავიგე, რუსული ბალეტის შემდეგ ახალგაზრდა სტუდენტების ერთი ჯგუფი გამოჩენილა. არა, მე სწორად ვერ გავიგე. არა, რა თქმა უნდა. მთელი ჯგუფი არ აპირებს ლილას ცოლად შერთვას, ერთი კაცი აპირებს მხოლოდ. მაინც როგორ წარმოუდგენია იმ კაცს ლილას ცოლად შერთვა? როგორც გავიგე, ლილასაც საგიჟედ მიაჩნია ეს ამბავი, მაგრამ ჩემი საზრიანობის იმედი აქვს. ოღონდ მე როგორღა გავიგო ის, რაც არ ვიცი? მე მოვითხოვ, ამიხსნან ყველაფერი, ვიძიებ ყოველ წვრილმანს, ასეთი წვრილმანი არასოდეს ყოფილა განტვენბაინი და ლილა გულხატკენი და იმედგაცრუებული რჩება. იგი დუმს, რომ ამით მიხვდეს, როგორ გაუცრუვდა იმედი, გამოდის, რომ ჩვეულებრივ წყვილად უნდა ვიქცეთ, არა? მოკლედ, ეს იყო ორშაბათს, არა, კვირას, თუმცა სულერთი არაა, რა დღე იყო, ყოველ შემთხვევაში ეს ამბავი მოხდა წარმოდგენის შემდეგ, რომელმაც სხვათა შორის, დიდი წარმატებით ჩაიარა. რაა? ხომ მითხრა ლილამ, სტუდენტების ჯგუფი იყო და კიდევ მოცეკვავეებისაცო. ვცდილობ წარმოვიდგინო ეს ყველაფერი. მეც ვყოფილვარ სტუდენტი, მაგრამ იმ ყმაწვილისოდენა სითამამე არასოდეს გამომიჩენია, ვისაც ლილა, ოღონდ კი სწრაფად მოათავოს სათქმელი და, საძაგელს უწოდებს. ლილას ნაძალადევ პატაკში იმ ჭაბუკის გენიალურ თვისებებს ვჭვრეტ და ჭიქას ვივსებ. მესმის. როგორ არ მესმის, კარგად მესმის და მომწონს კიდეც, ოცი თუ ოცდაერთი წლის სტუდენტი, სხვა დრო რომ ვერ მოიხელთა სალაპარაკოდ, ქალს პალტოს აცმევს და მიუკიბ-მოუკიბავად ეუბნება, ურუგვაიში გავფრინდეთ და იქ ვიცხოვროთ ერთადო, ისიც კარგად მესმის, რომ ეს ქალი, ესე იგი, ლილა, ასე თუ ისე შეცბუნებული იქნება. რატომ ვიცი ყველაფრის ასე ცუდად გაგება? მაშასადამე, ის ყმაწვილი სტუდენტი კი არა, მოცეკვავე ყოფილა, არა, მე ისევ ვურევ რაღაცას, ეს არის ერთი ვიღაც საძაგელი ტიპი და მორჩა, ჰოდა ის საძაგელი რა გვარია, ამას მართლაც არა აქვს არავითარი მნიშვნელობა. ამგვარად, მას ლილა შინ, ესე იგი, სასტუმროში მიუცილებია. მერე? მე ისევ ცუდად ვიგებ ყველაფერს. მერე არაფერი! მაშასადამე, უნდა დავკმაყოფილდე იმით, რომ არსებობს ერთი სტუდენტი თუ მოცეკვავე, რომელიც, ეტყობა, გენიოსი უნდა იყოს, რადგან ყველაფერს სახელმოხვეჭილს, მათ შორის რუსულ ბალეტსაც, დრომოჭმულად თვლის და იმ სტუდენტსა თუ მოცეკვავეს ლილას ცოლად შერთვა უნდა დაუყოვნებლივ. ასეთი ყოფილა ჩემი ბედი! რატომ ვარ ვითომ აუტანელი? ხომ არ მეკითხავს, იმ კაცს ფული აქვს თუ არა, მხოლოდ ის ვიკითხე, თუ იცის, ლილას ქმარი რომ ჰყავს-მეთქი. ვსვამ და ვდუმვარ. მაინც რა ბანალური აზრები მომდის თავში! სადაც სიყვარულია, იქ ურუგვაიში მიმავალი თვითმფრინავიც გამოჩნდება. ლილა მამშვიდებს, თუმცა მე მასზე უფრო მშვიდად ვარ. არა, მოცეკვავე არ არის, არც სტუდენტია, მოკლედ, არც ლილამ იცის, ვინ არის. ამიტომაცაა ის კაცი დიდებული. ჩვეულებრივ ქორწინებაზე რომ არ არის აქ ლაპარაკი, ესეც მესმის.

ამ წინადადებაში სულ სხვა რამ იგულისხმება, ლილას არ უნდა იმ სხვას სა-ხელი დაარქვას და მე ვამბობ: რაღაც უსაშველო და ყოვლის მომცველი არა? ლილა აღიარებს, ისიც ამას გულისხმობსო. ვავიფიქრე, ახლა ერთი სილა რომ გავაწნა ჩემს ლილას, რა თქმა უნდა, პირველი სილა, რა იქნება-მეთქი, და შევკრთი. მერე საქმიანად ვეკითხე, პავესადმი შენისთანა მგზნებარე ქალი ურუგვაის კლიმატი როგორ წარმოუდგენია-მეთქი, და აღმოჩნდა, რომ ურუ-გვაიზე კი არა პარაგვაიზე ყოფილა ლაპარაკი. ლილას უბრალოდ შეშლია სახელი. ლილაც სულ დაიბნა და იმასაც უსამართლოდ ვეპაევე. მე ყვე-ლაფერი ავურ-დავურიე: ლილას ცოლად შერთვა რომ უნდა, ეს პირველივე სა-ღამოს კი არ უთქვამს, გამომგზავრების წინ უბრძანებია, ბაქანზე. თავი შე-ვირცხვინე. აღსარების მაგიერ, რომელიც მოუალბუნებოდა ჩემს მამაკაცურ თავმოყვარეობას, ისეთ განცდებს ვისმენ, სიტყვებით საერთოდ რომ ვერ გა-მოიხატება. მაშ სიტყვებსაც მოვეშვათ! ლილა გაოგნებულია. ამას კარგად ვხე-დავ. დამტკიცებულია, რომ ლილა იმ ყმაწვილს ვერ იტანს, თან იგი ლამაზი ყოფილა; ლამაზი, მაგრამ აუტანელი, დიახ ლამაზი. თან სადაგელი, ხომ თქვა ლილამ, სადაგელიაო, ღმერთო დიდებულო, რამდენჯერ უნდა თქვას, მერე რო-გორ ლაპარაკობს თურმე. მისი ყოველი სიტყვა ზიზღსა ჰგვრის ლილას, ბავ-შვივით უტიფარია და აბეზარიც, მაგრამ რომ შეიცქერის, თავს ველარ ვიმორ-ჩილებო. ის ზღვის ღორი, ის გველი ისა! ლილა ასე არ ამბობს, მაგრამ ისედაც ვხვდები. მე პარაგვაი არ მინახავს, მაგრამ მშვენივრად მესმის, ის ყმაწვილი რატომ ვერ გაიგებს, ლილას, ანუ ლილასავით ქალს განტენბაინთან რა დარ-ჩენია. იქნებ ფირფიტა დავუკრა? ისე ვამბობ, სიტყვაზე. ნეტავ გვშიოდეს მაინც! მე მგონი, ჩემი შეკითხვა, ამიერიდან როგორ წავა საქმე-მეთქი, არც ისე სულელური იყო, რომ ლილას ამის გამო ეყვირა ჩემთვის. არაფერიც არ მოხდება, ღმერთო დიდებულო, საერთოდ არაფერი არც მოხდება, და არც მომხდარაო. განა ლილას ბრალია, ვიღაც გიჟს რომ გადაეყარა? ეს ლილას სი-ტყვებია. ფირფიტას ვდებ, ფირფიტაზე ხელის აუკანკალებლად ვდებ ნემსს, მართლაც ხომ არაფერი მომხდარა, ლილა მეუბნება, აუტანელი ხარო, განა არ გითხარი, რომ მისი დანახვაც არ შემიძლია, დიახ, არ შემიძლიაო. სამწუხა-როდ, მას ვერ უთხრა ეს, ამას მე მეუბნება. სწორედ ამას განიცდის ლილა: განა შეიძლება სადაგელი ასე ლამაზი იყოს? ფირფიტა ბრუნავს, მაგრამ ჩვენ არ ვუსმენთ. მესმის: ის ლაწირაკი თვალებით მონუსხავდა და რასაც უნდოდა იმას ეუბნებოდა თურმე! ლილა იმეორებს: ის ლაწირაკი ისა! მეც რომ ლაწი-რაკი მეძახა, არ ივარგებდა. მით უმეტეს არც ვიცი, იმ კაცს მართლა ლაწი-რაკი ეთქმის თუ არა. ეს მერე გამოჩნდება. ალბათ, ამ დღეებში ჩამოვა, არა? ვკითხულობ მე და როგორც იქნა ჩიბუხს ვუკიდებ. რა უკბილოდ ხუმრობო, მეუბნება ლილა. რისთვის უნდა ჩამოვიდეს? ლილას წასაყვანად ალბათ. ლი-ლას ჩემი იუმორი უადგილოდ ეჩვენება. ჩვენ ბრანდენბურგულ კონცერტს ვუსმენთ, თუ არ ვცდები, მეხუთე კონცერტი უნდა იყოს, ხოლო ცოდნით ერ-თი რამ მინდა ვიცოდე: დღეს შუადღისას როგორ დასცილდნენ სადგურზე ერთმანეთს, არა, იმას არ ვგულისხმობ, მზიანი ჰამბურგის სადგურზე ერთმა-ნეთს კოცნით გამოემშვიდობნენ თუ არა, მხოლოდ ეს მაინტერესებს, რა პი-რობით დასცილდნენ ერთმანეთს. ლილა ჩემს კითხვაზე პასუხს არა მცემს, მხოლოდ იმეორებს: ის გიჟი ისა! აი, კიდევ რა მინდა ვიცოდე: იმ ყმაწვილს რამენაირად გააგებინა თუ არა ლილამ, რომ ამქვეყნად არსებობს განტენბა-

ინი. ლილას ბრამსის მოსმენა ურჩევნია. განა იმდენს ვერ მიხვდებოდა, რომ ლილა მარტო არ ცხოვრობს? ბრამსს ვძებ. ლილა მართალია — [illegible] შეკითხვას ვიძლევი. რაკი მისი ცოლად შერთვა მოინდომა, იმიტომ უნდა გაენდო უცხო მამაკაცისათვის თავისი ინტიმური ცხოვრების ამბავი? ლილა მართალია. რა იმ ლაწირაკის საქმეა ლილა და განტენბაინი, რამდენადაც მე [illegible]ერები რომ არიან? ფირფიტას ვდებ. ლილა მართალია. ნემსს დატრიალებულ ფირფიტას ვადებ...

ჭერჭერობით ყველაფერი რიგზეა.

დილით დეპეშა რომ მოვიდა, არ გამკვირვებია. ფოსტა გულუბრყვილოდ, ტელეფონით გადმომცემს დეპეშას. მე ვიწერ:

*ჩამოვდივარ ხვალ აინჰორნი*[1].

ფოსტას მადლობას ვუხდი, ლილას სძინავს. თუ დღესვე აპირებს ურუგვაიში გამგზავრებას, დროა ბარგს ალაგებდეს, ესე იგი, ახლავე უნდა გავაღვიძო: იქნებ დამეცადა, სანამ მღელვარება გადაივლიდეს, თუმცა ასე მშვიდად ალბათ აღარასოდეს აღარ ვიქნები. ერთხანს საუზმეს ვუნდები, შემდეგ ვიცვამ და ჰალსტუხის გაკეთება არ ნავიწყდება. ხომ შეიძლება, დეპეშა გუშინ გამოეგზავნათ, ჩვენ რომ ბრამსს ვუსმენდით, სწორედ მაშინ და ის „ხვალ“ დღეს იყოს? ლილა მეუბნება, ნამდვილად შეიშალე, სულ შეიშალეო. ისე მიჯავრდება, თითქოს დეპეშა მე გამომეგზავნოს. შეუძლებელიაო, ამბობს ლილა, მაგრამ ეს სათქმელადაა ადვილი. ლილას ხალათი მიუტანე. ხომ არ ჰგონია ლილას, რომ იმ მარტორქას მე გავუღებ კარს და ვეტყვი, ლილა ვერ მიგიღებთ-მეთქი? დიახ, ლილას სწორედ ასე ჰგონია თურმე. მერე მარტორქას არ გაეცინება? ლილას რომ ჰკითხოთ, დიდი უხამსი კაცი ვყოფილვარ, რაკი იმ კაცს ლაწირაკის მაგიერ მარტორქას ვეძახი. არაფერზე, არაფერზე ჩვენ არ შევთანხმებულვართო, ამბობს ლილა. ლილა ჩემზე უფრო გაოცებულია, ჩემი უსიტყვო მზერიდან თუ გამოიტანა იმ კაცმა დასკვნები, თორემ თქმით არაფერი მითქვამსო და მე მეუბნება ცხადად და აშკარად, რაც მარტორქასათვის ვერ მოახერხა ეთქვა: მისი ნახვის არავითარი სურვილი არა მაქვსო. მაგრამ თუკი იგი გზაშია უკვე? ლილას ვერ გაუგია, საიდანა აქვს იმ კაცს მისი მისამართი, ესე იგი ჩვენი მისამართი. ბუნებრივია, მაინტერესებს მარტორქასთან როგორ უნდა მეჭიროს თავი და ახლა მე გამოვდივარ გიჟი: ლილამ, ბოლოს და ბოლოს, ერთი შეხედა იმ კაცს, მან კი ყველაფერი სერიოზულად მიიღო. დილის ხალათი ჯერ კიდევ ხელში მიჭირავს. რა ქნას ლილამ, სულაც არ უნდა, რომ ის ჩამოვიდეს, ამაზე სიტყვის გაგონებაც არ უნდა! ოღონდ არ მესმის, მე რატომ მიჯავრდება. ახლავე დეპეშა უნდა გავუგზავნო, მისამართი თუ გაქვს-მეთქი, ვეკითხები საქმიანად, სანამ ლილა თავის ხელჩანთაში იქექება. მადლობა ღმერთს, ჰქონია. პირველი, რაც თავში მოსდის: *ქალაქში არ ვიმყოფები*. რაკი აზრს მეკითხებიან, უნდა გამოვტყდე: მე რომ მარტორქა ვიყო, ამას არ დავიჯერებდი. ტყუილის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ გაოცების, უფრო სწორად, შეძრწუნების გრძნობა მიპყრობს: ეტყობა, ლილა და მარტორქა ისე დაახლოებულან, რომ იძულებულნი არიან ტყუილი მოიშველიონ. მეორე რედაქცია: *ჩამოსვლა სამწუხაროდ შეუძლებელია*. არც აქედან ჩანს, ლილა და მარტორქა ერთმანეთს შენობით

[1] „აინჰორნი“ გერმანულად მარტორქას ნიშნავს (მთარგმნ.).

ელაპარაკებიან თუ არა და რაკი მეკითხებიან, ვპასუხობ, მისი ჩამოსვლა არათუ შეუძლებლად, სავსებით კანონზომიერად მიმაჩნია-მეთქი. მაგრამ ლილას რომ არ უნდა მისი ნახვა! არა მგონია, ამ დეპეშიდან ასეთი აზრი გამოიტანოს მარტორქამ. მაინც რას ნიშნავს „სამწუხაროდ"? ამას რომ წაიკითხავს, დაასკვნის, ლილას სულმოკლე ქმარი ჰყოლიათ. მაშინ ასე: ნ ა ხ ვ ა  შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა. ლილას მართლა არ უნდა მისი ნახვა, ამას წყალი არ გაუვა. მაგრამ ახლა მე მინდა იგი ვნახო. მე ხომ არასოდეს მინახავს მარტორქა. მესამე რედაქცია: გ ა თ ხ ო ვ ი ლ ი  ვ ა რ. ეს მოულოდნელი სულაც არ იქნება მისთვის. მაინც რას ვურთულებ ლილას საქმეს? იქნებ სჯობდეს, ერთხელ ჩაეხედონ ერთმანეთს, სანამ ურუგვაიში ან პარაგვაიში წასვლაზე მიდგებოდეს საქმე? ეს ხმამაღლა არ მითქვამს, არა, ისიც კი შემრცხვა, გულში რომ გავივლე... მე მგონი, ახლა ლილამ დილის ხალათი თუ არ ჩაიცვა, ნამდვილად გაცივდება. მაშინ ასე: ა რ ა  ღ ვ თ ი ს  გ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს  ა რ ა. ნათელია და გასაგები. ახლა ხომ ვარ კმაყოფილი? თითქოს ეს იყოს თავი და თავი. კმაყოფილი ის უფრო დარჩება. ეს რა ყვირილი გავიგონე! თანახმა ვარ, არაფერი მაქვს პათოსის საწინააღმდეგო, როცა ეს პათოსი გრძნობითაა ნაკარნახევი. ასეთი დეპეშით ბევრი ოცდაერთი წლის ყმაწვილი ვერ დაიტრაბახებს. რაკი მეკითხებიან, ვპასუხობ: ამ წუთში მაგონდება, ლილამ ერთხელ დონა პრუეზა რომ ითამაშა, მაგრამ უფრო იმაზე ვიმტვრევ თავს, როგორ მოვიქცე, მარტორქა მაინც რომ ჩამოვიდეს? მისი გვარი სულაც არ გახლავს აინჰორნი, შენ სცენას მიწყობო, მეუბნება ლილა. მე კი მხოლოდ ის მინდა ვიცოდე, რისთვის უნდა მოვემზადო. იქნებ მეც მიძნელდება საჭირო სიტყვის გამოძებნა. მე ხომ არ ვიცი, რა მოხდა. მხოლოდ ვხედავ, რა დაბნეულია ეს მოწიფული ქალი. ვმკითხაობ — უმნიშვნელო შემთხვევითობაა ეს თუ ბედისწერა? როგორც ჩანს, ყველაფერს უნდა მოველოდე და ამიტომაც მიპყრობს მღელვარება, ლილა რომ უხმოდ დგება (ჩემზე გაბრაზებული!) და დეპეშის გადასაცემად ტელეფონთან მიდის. ნეტავ რომელ ვარიანტს აირჩევს? მაგრამ ლილა კარს ხურავს და არაფერი მესმის, ვდგავარ და სიგარეტს ვეწევი...

ასე დამთავრდა ეს სცენა.

განტენბაინი, რაც ბრმას აღარ თამაშობს, აუტანელი გახდა. შეშფოთებული ვარ... ხუთშაბათს საღამოს ისე გონივრულად და გულახდილად საუბრობენ ლილა და განტენბაინი, თითქოს ეს ამბავი უკვე წარსულს ჩაბარებოდეს და არც ღირდეს სალაპარაკოდ. ხუმრობასაც კი ურევენ, რომელიც არც ერთს არა სწყინს. თან ღვინოს სვამენ, ბევრს არა, მაგრამ სავანგებო ბოთლში ჩამოსხმულს. ფირფიტას არ უკრავენ, უფრო მეტიც: უეცრად ისეთ რამეებზე ლაპარაკობენ გულახდილად, რაზეც წინათ არასდროს დაუძრავთ სიტყვა. განტენბაინი და ლილა დიდი ხანია ასე ახლოს აღარ ყოფილან ერთმანეთთან...

ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა.

მეორე დილით, პარასკევს, მოდის დეპეშა და ვხედავ, ლილა ჩემს თვალწინ როგორ ნაკუწებად აქცევს ქაღალდს. ეს იყო საუზმობისას. ლილა ნაკუწებს დილის ხალათის ჯიბეში იყრის და მეკითხება, გრენკები კიდევ გინდა თუ არაო. მე საერთაშორისო მოვლენებზე ჩამოვაგდე სიტყვა. ლილამ კი უეცრად ცხვირსახოცი მოიძებნა. ცხვირსახოცი დილის ხალათის ჯიბეში ჩასატენად სჭირდება, რომ ნაკუწები არ ამოუცვივდეს. მე ვეკითხები, სასინჯი გადაღებები როგორ მიმდინარეობს-მეთქი. იმ ნაკუწებს ქაღალდების კალათაში არავინ

ყრის, ისინი გულმოდგინედ ჩამოშვებულ წყალს მიაქვს. წასასვლელი ვარ, უკვე პალტო მაცვია და ამ დროს ლილა შეხვეწება, დღესვე გავემგზავროთ სადმე. მივხვდი: ის ჩამოდის! ლილას შემდეგ კვირაში ერთადერთი სინჯი გადაღება აქვს და იმას გადაადებინებს. იმ გიჟის ნახვა აღარ უნდა. გავემგზავროთო? მე ვეკითხები, მარტო რატომ არ გინდა წახვიდე-მეთქი. [illegible], პირველივე მამაკაცს, ვინც კი ჩვენს კარზე დარეკავს, ყბა არ მოვუქციო? ამის მსგავსს არაფერს ვაპირებ, მაგრამ რა ვიცი, კაცი ვართ. ვხედავ, რა დამფრთხალია ლილა... კიდევ შევძლებდი გადამეთქმევინებინა ეს უეცარი და უგეგმო გამგზავრება, მაგრამ მის ცრემლებსა და თხოვნას ვერ ვუძლებ. ცრემლებს ლილა ჩემს გონივრულ მოსაზრებებს უპირისპირებს, მაგრამ ასეა თუ ისე, ამ დღეებში მაინც ვერაფერზე ვეტყვი უარს, მაშ, მივდივართ! მერე რა, რომ წვიმს, სადღაც დედამიწის ზურგზე ხომ ანათებს მზე, ელბაზე, ენგადინში ან მაიორკაზე...

წარმომიდგენია:

განტენბაინი და ლილა ერთად არიან თითქმის უკაცრიელ პლაჟზე. მზიანი დილაა, მაგრამ ქარი უბერავს და ლილას ჩვეულებისამებრ ბიკინი აღარ აცვია, ჯერ განტენბაინსაც რომ არ უნახავს, ისეთი მოდელის საბანაო კოსტიუმი ჩაუცვამს. ეს მოდელი მარტო განტენბაინს როდი მოსდის თვალში, იგი იმ ბრინჯაოსფერ ფეხშიშველა ჭაბუკებსაც ძალიან მოსწონთ, საპირფილობლებს რომ აქირავებენ. სხვა მობანავეებიც, ვითომ ნიჟარებს დაეძებენო, აუვლიან და ჩაუვლიან ლილას, განსაკუთრებით კი იმ ქალებს რჩებათ აქეთ თვალი, საკუთარი თავი რომ აღარ მოსწონთ ბიკინიში და განტენბაინის აზრით, არც სცდებიან. ლილას ანტიბიკინი აცვია: ბარძაყები და ფეხები, რა თქმა უნდა, შიშველი აქვს, მთელ ტანზე კი თოლიას ბუმბულივით ქათქათა ტრიკო შემოტმასნია, აცვია გრძელსახელოებიანი, დიახ, მაჯებამდე შემოსხეპილი, მაგრამ საღამოს კაბასავით ღრმად გულამოჭრილი საბანაო კოსტიუმი. ლილა ცურვისას ქუდს არ იხურავს და წყლისაგან დატალღული სველი, შავი თმა ანტიკური ქანდაკებასავით ღალაღებად აყრია მხრებზე. ასე წევს ლილა სილაში, ხელი ჩემს მუხლზე უდევს, განტენბაინი ზის, მარტორქას არ ახსენებენ. ან ლილა პირაღმა წევს, სიგარეტს ეწევა და კითხულობს, ხოლო განტენბაინი ამ დროს კვლავ ბარჯით ერთობა. ისიც ბედნიერია, დიახ, მას შემდეგ რაც ბრმის სათვალე დათმო, ისევ შეუძლია აიღოს ხელში ბარჯი, ზღვის სიღრმეებს მოინადიროს და აღარ დამალოს, რა ნაირნაირ პოლიპებს, ზღარბებსა და მედუზებს ნახულობს ზღვაში. იგი ხედავს, რომ ლილასაც აღარ აგონდება მარტორქა, ერთი წუთითაც არ აგონდება. ამას სახეზე ატყობს. კეთილი და პატიოსანი. საათობით თამაშობენ ლილა და განტენბაინი ჭრელ ბურთს ან ნაპირთან მოგორებულ ტალღებს მკერდით ეგებებიან და არ იციან, რა დღეა დღეს. არავინ იცის მათი მისამართი (სასტუმრო „ფორმენტორი“, მაიორკა), დედამიწის ზურგზე არავინ. არც თეატრში იცის ვინმემ, დეპეშასაც კი ვერავინ გამოუგზავნით. ლილა ზღვისპირას აშენებულ სახლზე ოცნებობს, რომლის ხსენება რომ არ იქნება, ისეთ ცხოვრებაზე ოცნებობს, სადმე შორს კინოსა და ტელევიზიისაგან, მაინცდამაინც „ფორმენტორში“ ნუ იქნება, თუნდაც სადმე სხვაგან, ოღონდ ზღვისპირას იდგეს სახლი, ხომ არის ასეთი სახლები. ეს მხოლოდ ფულის საქმეა, ერთი ფილმის საქმეა. ხაზავენ პროექტს. ნაპირზე მოგორებული ტალღა ნახაზს შლის, მაგრამ არა უშავს, ახალს დახაზავენ. შენ

სადღა მიდიხარ? განტენბაინი მალე უკანვე ბრუნდება და ოლეანდრის ტოტები მოაქვს ბაღის უკეთ წარმოსადგენად. მაინც რა გამჭრიახები და მარჯვენი არიან მამაკაცები, ლილას კი თოლიას ბუმბულივით ქათქათა სახლზე სადამოს კაბა აცვია, სიგარეტს აბოლებს და აღტაცებულია პროექტით, რომლის წაკითხვა არ შეუძლია. მან მხოლოდ ერთი რამ იცის: იმ სახლში ბევრი ოთახი უნდა იყოს, ზეთისხილიც საკუთარი უნდა ჰქონდეთ და ღვინოც, თვითონ სახლი სადა სჯობია, დიახ, ძალიან სადა, მაგრამ აბაზანები უეჭველად უნდა ჰქონდეს და იატაკზეც ხალიჩა უნდა ეგოს, დიახ, ხალიჩა ნამდვილად საჭირო და აუცილებელია. თუ აშენებაა, აშენება იყოს. განტენბაინი და ლილა სავსებით სერიოზულად ლაპარაკობენ. თავიანთ სიბერეზეც კი ლაპარაკობენ, ოდესმე ერთად რომ დაუდგებათ: ფილემონი და ბავკიდე...

წარმომიდგენია:

აღარასოდეს დაუყვირებენ ერთმანეთს!

წარმომიდგენია:

ფილემონი და ბავკიდე ერთი კვირის მერე შინ ბრუნდებიან, სახლში წერილები დახვდებათ, მაგრამ ფილემონს მხოლოდ თავისი წერილები აინტერესებს, იგი კვლავ გონებრივ მუშაობას უბრუნდება.

ბავკიდე რაღას იქმს?

ბავკიდეს ერთი ანტიკვარულსაკეტიანი უჯრა აქვს, რომელიც მუდამ ჩაკეტილია. საიდან ვიცი ეს? არასოდეს არ მიცდია უჯრა გამეღო. ამას როგორ ვიკადრებდი! მე მხოლოდ ვხედავ, რომ ბავკიდე იმ უჯრას ყოველთვის გასაღებით აღებს ხოლმე და ყოველთვის ვეუბნები ფილემონს, შენ ამ უჯრასთან არაფერი გესაქმება-მეთქი. ამაზე შეთანხმებულნი ვართ. ფილემონს მხოლოდ იმაზე ეცინება, რა დიდის ამბით მალავს ხოლმე ბავკიდე უჯრის გასაღებს. და აი, ერთ მშვენიერ დღეს, ალბათ ქალის დაუდევრობის გამო, ის უჯრა გამოწეული დაუხვდა. იქნებ დაუდევრობა არაფერ შუაშია და ქალი მას ცდის? ღმერთმა ხომ იცის, რომ ფილემონს სხვა საქმეც ბევრი აქვს. ვითომ მივიდეს და უჯრა შეაწიოს, რომ ბავკიდე არ შეშინდეს? არა, ეს არ ივარგებს, მე მგონი, ახლა აჯობებს ფილემონი ან იმ დაწყევლილი გადასახადების ანგარიშს ჩაუჯდეს ან სხვა ყოველდღიურ საქმეს მოჰკიდოს ხელი. ქალმა ეს წუთია დარეკა, პარიკმახერთან ვარ და შემაგვიანდებაო. თავიდან ვიშორებ ფიქრს, ეს რაიმე ფანდი არ იყოს-მეთქი. ახლა რომ ფილემონი ადგეს და პარიკმახერთან დარეკოს, ბავკიდეს მართლა შეაგვიანდება ორი საათი თუ არაო, არ ივარგებს. ეს ფილემონისა და ბავკიდეს ურთიერთობის სტილს არ შეეფერება.

მართალია, ფილემონი მერე მაინც რეკავს საპარიკმახეროში, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ანგარიშისათვის მართლა სჭირდება ერთი ცნობა, თუმცა თავისთავად ცხადია, ქალი იმ ცნობას თმის საშრობიდან ვერ მოაწვდის. ასეა თუ ისე, ბავკიდე, ეტყობა, მართლაც პარიკმახერთანაა. განა ფილემონს ეეჭვებოდა ეს? რამდენჯერაც ჩაუვლის იმ ადგილს, ხედავს, რომ უჯრა წერილებით არის გამოტენილი. შეეძლო ორი საათის განმავლობაში ეკითხა წერილები. ვითომ ეს მარტორქას წერილებია? აქ ორი გამოსავალი არსებობს: ან ჩაიდენს ამას, ან თავს მოერევა. რა თქმა უნდა, თავს მოერევა, მაგრამ თავის შეკავება რომ სჭირდება, ამის გამო ბავკიდეზე მოსდის გული. ბოლოს და ბოლოს, სხვაც ბევრი აქვს საქმე. მაშ ასე: წერილებს არ წაიკითხავს.

გულზე მოეშვა.

რა გასაკვირია, მსახიობ ქალს, რომელსაც მილიონები უყურებენ ტელეეკრანზე, წერილები მოსდიოდეს. გასაკვირი მხოლოდ ის არის, ამდენი დანიურმარკიანი წერილი საიდან მოდის. როგორც ჩანს, დანიელები ტელევიზიის დიდი მოყვარულები ყოფილან და თან ყველას ერთნაირი [illegible] ჰქონია. ისიც გასაკვირია, იმ წერილებში, ბავკიდეს რომ კვირეობით უყრია მაგიდაზე, დანიურმარკიანი წერილები რატომ არ ურევია ხოლმე. ამას ყურადღებას ნუ მიაქცევს — მხოლოდ ეს შემიძლია ჩვენს ძვირფას ფილემონს ვურჩიო. უსიამოვნო წერილი ხომ არ მიგიღიაო, ეკითხება ბავკიდე საუზმეზე და თან დანიურმარკიან წერილს (ფილემონი დანიურ მარკებს უკვე სამ-ოთხი მეტრის მანძილიდან ცნობს) ღილის ხალათის ჯიბეში იდებს, რომ გრენკები არ დაეწვას. ფილემონის შეკითხვა, რა არის ახალიო, სხვა ქვეყნის მარკიან წერილებს ეხება და ბავკიდეც პასუხობს. საშუალოდ კვირაში მოდის ორი-სამი დანიური წერილი და გამომგზავნის მისამართი არც ერთს არ აწერია ხოლმე. ბუნებრივია, ფილემონს საკუთარი თავის რცხვენია, იმ წერილებს რომ ითვლის, და მე რაღაში მჭირდება ვუთხრა, რბილად რომ ვთქვა, სულელი ხარ-მეთქი.

სჯობია სხვა რამეზე ვიზრუნოთ!

მაგალითად:

ორად გაყოფილ გერმანიაზე. დავსვათ კითხვა: რა წინამძღვრებია საჭირო, ისე აღსრულდეს გერმანიის გაერთიანების ნამდვილი თუ მოჩვენებითი სურვილი, რომ ეს გაერთიანება ევროპისათვის საფრთხედ არ იქცეს და მშვიდობას არ დაემუქროს? რატომ არ ვაკეთებთ ყველაფერს ამ წინამძღვრების შესაქმნელად?

ანდა:

ავიღოთ ესპანეთში შექმნილი ვითარება...

ანდა:

ჩვენი ტბების გაბინძურების საკითხი...

ამაზე ვიზრუნოთ!

რაც შეეხება ფილემონსა და ბავკიდეს, ცნობილია, რომ ეჭვი, საფუძვლიანი იქნება ის თუ უსაფუძვლო, იშვიათად დაძლეულა უსიტყვო და ღირსეული თავშეკავებით. ეჭვს ისევ საკუთარი ორგულობა თუ დათრგუნავს, თუნდაც ფილემონისა და ბავკიდეს კლასიკური მითი არაფერს ამბობდეს ამაზე. სწორიცაა. ისიც კმარა, ფილემონმა რომ ეს იცის. მას არ სცოდნია, როგორ ეხერხება თურმე ტყუილი და გაოცებულია. ფილემონს დიდი ხანია, ტყუილი არ უთქვამს და ამიტომ გახდა ასე მგრძნობიარე. მხოლოდ თავის ბავკიდეს დანახვაზე კრთება წამით, ჰგონია, რომ მისმა ბაგეებმა უნდა იგრძნონ ეს ტყუილი. მაგრამ ბავკიდე იმას ვერ ამჩნევს, რასაც მისი ბაგეები გრძნობენ და ბედნიერია, ფილემონსაც უბრუნდება მხნეობა და როცა სიყვარულს უფიცებს ბავკიდეს, სიმართლეს ამბობს, თუმცა სამი საათის წინ სხვა ქალი უყვარდა. უკვირს, რა მართალია მისი სიყვარულის ფიცი, ღიახ, მართალია ისევე, როგორც მისი საიდუმლოება.

ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა.

ფილემონი ეს ერთი კვირაა ცელქობს და ცოლს დანიურ წერილებს უმალავს. წერილები კი მაინც მოდის და მოდის. არ ვიცი, რას გამოელის ფილემონი აქედან. ცელქობს მხოლოდ. იქნებ მე უნდა მიჩვენოს, ხედავ, არაფრად

რომ აღარ ვაგდებ ამ ამბავსო. იგი კითხულობს, რა არის ახალიო. ბავკიდე კი კვერცხს ტეხავს ან ჩაის ასხამს და არც ეკითხება, ჩემს სახელზე წერილი ხომ არ მოსულაო. ერთი კვირის შემდეგ ფილემონს მოუსვენრობა დაეტყობა. გულჯიბეში უკვე სამი წერილი უდევს. სამი დანიურმარკიანი წერილი. ბედ-ნიეროდ, ბავკიდე თავს არ იწუხებს მისი კონვერტების [illegible] ხომ გამოჩნდებოდა მისი კაიკაცობა! ერთი სიტყვაც რომ დასცდეს ბავკიდეს, ერთი რომ შეხაროს წარბი მღელვარების ნიშნად, ფილემონი გულჯიბეზე იტაცებდა ხელს, გულმავიწყობისათვის ბოდიშს მოიხდიდა და დანიურ წერილებს ხელუხლებლად ჩააბარებდა ცოლს, ხელუხლებლად! ამის მაგიერად დაზღვე-ული საჩქარო წერილი მოდის. იგი ფოსტალიონს მოაქვს და ამგვარად, პი-რადად ბავკიდეს უვარდება ხელში. ბავკიდე წერილს იქვე ხსნის, თითქოს გრენკები არ ავიწყდება და ფილემონს არც ეკითხება, სულ ცოტა სამი წერი-ლი ხომ არ დაგიმალავს ჩემთვისო. ბავკიდე ხმას არ იღებს, ფილემონი კარაქს ისვამს გახუხულ პურზე და თან დილის გაზეთს ჩაჰკირკიტებს. ჩემს თავს ვე-კითხები: რა უნდა უყოს ახლა იმ სამ წერილს? ფილემონი უკვე თავის მან-ქანაში ზის, სტარტერიც ჩართული აქვს და ფიქრობს, სახლში ხომ არ შევ-ბრუნდე და ბავკიდეს, ამ მართლა პირწავარდნილ არტისტს, პასუხი ხომ არ მოვთხოვოო. ფილემონ! — ვეუბნები მე და ხელს სტარტერზე ვტოვებ. განა პატივად არ უნდა ჩათვალო, რომ წერილები ასე იშვიათად მოდის სახლში? ვცდილობ დავაშოშმინო. განა ეს არ ნიშნავს, რომ წერილმან კაცად მაინც არ გთვლიან? მე ვამბობ: დაიძარი! ძრავა უკვე დიდი ხანია ჩართულია და გულზე მეშვება, როცა იგი, ბოლოს და ბოლოს, ხელთათმანს იცვამს: მხო-ლოდ სარკეში არეკლილი მისი სახე მადარდებს. ასე რატომ იბღვირება? არ ამბობს, რაზე ფიქრობს, ალბათ არაფერზე არ ფიქრობს. მე ვფიქრობ: აქამდე ფილემონი უზადოდ იქცეოდა. აქამდე! როცა ერთხელ ორი დანიური წერილი მოვიდა ერთად, აიღო და არც კი [illegible], ხელსახოცის გვერდით ისე და-უწყო ცოლს. ბავკიდეს სახეზე შეაშრა ღიმილი, მოიღუშა, მოიწყინა, აწრი-ალდა [illegible]. მეტი რაღა უნდა? მე მესმის: ფილემონს უნდა თავიდან მოიშოროს ის სამი წერილი. თავიდან მოიშოროს წაუკითხავად! ამის იმედი ვიქონიოთ. რატომ უკვირს, რომ მისი ბავკიდე, როგორც დანიიდან ატეხილი განგაშიდან ჩანს, კვირაში სულ ცოტა ორ წერილს მაინც გზავნის დანიაში? ეს მართლა უკვირს ფილემონს. ხომ არ ეგონა, ის დანიელი ისეთი ბურთებით თამაშობდა პინგ-პონგს, რომლებიც უკან არ ბრუნდებიან? ერთხელ კიდევ უნდა შევახსენოთ, რომ ფილემონი აქამდე უზადოდ იქცეოდა. უტაქტობა არა-სოდეს გამოუჩენია და დანიური წერილები ზემოდან არასოდეს დაუწყვია. მხოლოდ ის დაზღვეული წერილი აწუხებს და ისიც, ბავკიდემ დაკარგული წერილები რომ არ მოიკითხა. იქნებ სჯობდა ზემოთ ასულიყო და ბოლოში მიეხედა? ბოლოს ასეთი აზრი მოუვიდა თავში: ახლავე წავა მთავარ ფოსტა-ში და ამ სამ წერილს ყუთში ხელახლა ჩაყრის. მორჩა. მხოლოდ შიშობს, რომ ფოსტა თავისი წესრიგიანობის წყალობით იმ წერილებს ხელახლა დაარტყამს დამღას და თან თარიღიან დამღას. მერე? გამოსავალი მხოლოდ ერთია: მარ-თალია, ფილემონს სხვა საქმეზე მიეჩქარება, მაგრამ ტყეში გავა და იმ სამ წერილს იქ დაწვავს.

ამგვარად, ფილემონი ტყისაკენ მიემართება.

ვერ გამიგია, ასე შორს რა უნდა?

ფილემონს არ უნდა ვინმემ დაინახოს, მეტყევეებმაც კი არ უნდა მოჰკრან თვალი. წვიმს. ღილაა. ტყეში კაციშვილი არ ჭაჭანებს. რა დასანანია, რომ კაცი ტყეში უფრო ხშირად არ დადის წვიმიან ამინდში, როცა [illegible]ულობს, რომ მწვანე გვიმრა თელოს, მუხლამდე ჩაეფლოს მის სველ, მარაოსებრ ტოტებში, ან თავი წიფელს შეაფაროს, კარავივით რომ [illegible] მისაგან, ირგვლივ კი მწვანე წვიმის ქნარი გაბამს კვნესას. წვიმაში ჭიანჭველების გუნდი ირევა, ხავსის წიწვები გორად დახვავებულა. იგი ყავისფერია და სველი, იქვე მომავო, ღრუბელივით დასვრეტილი ხავსი გაფენილა, წლის სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად ისვრიტება ხავსი, აქა-იქ ხის ძირები მოჩანს, მიწაზე წკაპუნით ეცემა წვეთები, ბუჩქებში შქერის გუშინია, ყოველი ტოტი შხაპივითაა, ჩიტები განაბულან, მწვანე ქოლგებს ქვეშ სიჩუმეს დაუსადგურებია, ყველაფერი გაყუჩებულა, ხედავ ობობას ქსელს, მაგრამ შიგ ობობა არა ჩანს. ფესვები სისველისაგან შავად ლაპლაპებენ. ზოგან ფეხი დაგისხლტება, ზოგან კი ხალიჩასავით მშრალია მიწა. წვიმს სადღაც მაღლა, წვიმის შრიალი ძირამდე ვერ აღწევს, გზებზე ყავისფერი გუბეები დამდგარა. ეტყობა, იქ ჩამოუღწევია წვიმას. შხეფები ტოტებზე ნელ-ნელა მიგორავს წვიმის მსხვილი წვეთები, შტაბელებად დაწყობილ მორებში ხოჭოები დაბუდებულან, გამომშრალ მორებს ხავსი მოსდებია, გადახაჭერი ბოლოები კვერცხის გულივით ყვითლად პრიალებს, მიწას რუხი ოხშივარი ასდის, მწვანედ მოსველებულ გალუმპულ ზვეტებზე ჩამომხობილ მოწყენილ ცას ლილისფერი დასდებია... რა დასანანია, რომ ფილემონი ვერაფერ ამას ვერ ხედავს, იგი მეტყევეებს უფრთხის. სადღაც დაულანდავს ჩექმებიანი კაცები, ბრეზენტის კარვის ქვეშ გნომებივით რომ შეყუჟულან. მაგრამ ისინი ორ თუ სამ კილომეტრზე არიან აქედან. დიახ, სწორედ იქ შეუფარებიათ თავი, სადაც წერილების დაწვას აპირებდა. ამასობაში ფილემონმა მოიფიქრა, რა იქნება, ბანკში წავიდე და წერილები სეიფში ჩავაკეტინო. ამ ვარიანტის უპირატესობა: თუ მათი ხსენება დასჭირდა ოდესმე, ყოველ წუთს შეუძლია ხელთ ჰქონდეს. ნაკლი: ყოველთვის შესძლებდა მათ წაკითხვას, კვირისა და უქმე დღეების გარდა. მე დაწვის მომხრე ვარ, ოღონდ ჩქარა. სჯობია საქმეს შევუდგეთ. ვითომ ამ ხრეშის კარიერს რა უჭირდა? მართალია, მე მოთმინება აღარ მყოფნის, მაგრამ, სამაგიეროდ, ფილემონია დაბნეული. მანქანიდან ისე გადმოდის, რომ მინის მწმენდავების გამორთვა ავიწყდება. იქნებ ხრეშის კარიერში ჩამდგარი გუბეები დანიის თავთხელ ზღვას აგონებს. მაშ წერილები აქეთ! შესაფერი ადგილია, მოშიშვლებული, მიტოვებული კარიერის პირას დაჟანგული ფირნიში მოჩანს: „ა ხ ლ ო ს  მ ი ს ვ ლ ა  ა კ რ ძ ა ლ უ ლ ი ა." უეცრად ტყის თავზე თვითმფრინავის გუგუნი ისმის. ეტყობა, „ვამპირი" ზედ ხრეშის კარიერის თავზე მოფრინავდა, მაგრამ წვიმის ღრუბლებში არ ჩანდა აქამდე. შემდეგ ისევ წვიმის წვეთების წკაპუნით სავსე სიჩუმე ჩამოვარდა. ფილემონის შავი მანქანა, გუბეებში სიარულისაგან გაშხეფილი, ალმაცერად დგას გზის პირას. საქარე მინაზე რიტმულად მოძრაობენ მწმენდავები. ახლა კიდევ შაშვნარიდან ჩხიკვი გამოფრთხიალდა და დაიჩხავლა, მაგრამ ფილემონი მისი გულისთვის არ შეყოყმანებულა. წერილებს წვიმაში რა უნდა, ისინი უჯრაში უნდა ელაგოს, საცოდავები ნამტირალევს დამსგავსებიან, მოეკიდებათ კი ცეცხლი? ამას რა დიდი მიხვედრა უნდა, რომ გაუხსნელ წერილებს მხოლოდ კიდეები შემოეწვება და ასე კიდეებშემომწვარი ეყრება აქ, უკეთეს შემთხვევაში,

ახრჩოლდება და დაიგრიხება, მერე ფილემონი იძულებული გახდება ჩაიმუხლოს, ცეცხლს სული შეუბეროს და ამ დროს რამდენიმე დაუნახშირებელი სიტყვა ამოიკითხოს კიდეც. ის სიტყვები მას არ შეეხება. ეს იქნება წინადადების ნაშთები, რომლებიც გულისმომკვლელად უაზრო იქნება, მას ახლა ფეროვლის გაშიფვრა მოუხდება, დანარჩენს ამოკითხულ სიტყვებს დაუკავშირებს და ისე ამოიცნობს, მერე ის სიტყვები ტვინში ჩაებეჭდება და იქ განაგრძობენ წვას. არ წაიკითხავს — ინანებს, წაიკითხავს — ინანებს. იქნებ აჯობებდა პატარა ორმო ამოეთხარა და წერილები შიგ ჩაემარხა? ვხედავ, როგორ დაეძებს ტოტს ორმოს ამოსათხრელად, მაგრამ ტოტი უტყდება. თიხა მაინც თიხაა. მეორე ტოტიც ასევე უტყდება. ხრეში მაინც ხრეშია. ვხედავ, როგორ წითლდება ბრაზისაგან, დიახ, თქვენზე ბრაზობს. წვიმამ დაუშვა, იგი გრძნობს, რომ თქვენ ფილემონს მასხარად იგდებთ. დიახ, თქვენ! მაგრამ ეს ხომ ეჭვიანობის დასაწყისია, უკვე მრავლობითში რომ გახსენებთ, წყვილად რომ გახსენებთ! ახლა მართლა ხსნის ფილემონი წერილებს, სამივეს ხსნის, როგორც ვხედავ, აუჩქარებლად, მაგრამ მტკიცედ. მე ხელს ვერ შევუშლი. მხოლოდ იმას ვფიქრობ, რომ ამისათვის გალუმპულ ტყეში წამოსვლა არ იყო საჭირო. რას ჰგავს ამ წუთში ფილემონი, შარვალი რას უგავს, თიხაში ამოთხუპნული ფეხსაცმელები რას უგავს! მანქანისაკენ მიემართება, იქნებ წერილები ისე წაეკითხო, თავზე მაინც არ მაწვიმდესო. ერთხელ კიდევ ვეუბნები: ფილემონ! ვხედავ, რომ დანიურმარკიანი წერილები გაუხსნია, მაგრამ ჯერ არ წაუკითხავს. მაინც რა უნდა ეწეროს შიგ? იგი ყოყმანობს.

მე შემიძლია ვუთხრა, რა წერია იმ წერილებში:

კოპენჰაგენი, ჩრდილოეთის პარიზი, ამ გაზაფხულზე მთვარესავით უდაბურია: (წერილებიდან ასე ჩანს) ერთი დანიელი ქალიც კი არ ჰპჰანებს სადმე, კოპენჰაგენში ცხოვრება აუტანელია, აუტანელია ბავკიდეს გარეშე, მაგრამ მთავარია, რომ ბავკიდემ დაისვენა, კოპენჰაგენშიც წვიმს, ფილემონს არ ახსენებენ, სამაგიეროდ, ბევრი ტკბილი სიტყვა წერია ლილაზე, მისი გულისთვის გადაუწყვეტიათ ჰამბურგში წასვლა (ძახილის ნიშნები), შემდეგ მოდის მიუნჰენში გასტროლების იმედები (კითხვის ნიშნები), სასტუმრო „წლის ოთხი დრო", ხანდახან ამ წერილებიდან კოპენჰაგენში გაივლევს და ხანამ ხმას ამოიღებდეს, სადღაც ჩაიკარგება ერთი პიროვნება, ერთი აჩრდილი, თავის მოკვლა რომ უნდა, ამას მოჰყვება საიდუმლო მისამართი, ცოტაც და გვეშველებოდა, აქა-იქ გაიელვებს საშინაურებრივი წარმატებანი, ისინი სხვათა შორისაა ნახსენები, იმიტომ, რომ სილიბერალურად არცა ღირს, ბევრი ჰქვიანური შეხედულებაა გამოთქმული ფილმებზე, ათასი მილი ხელს არ უშლით, ერთნაირი აზრი ჰქონდეთ კინემატოგრაფიაზე. კოპენჰაგენი მილიონიანი ქალაქია, მაგრამ ერთადერთი ადამიანი, ვისაც შეუძლია გაგიგოს, კოპენჰაგენში არ იმყოფება და მთავარი ფოსტისაკენ მიმავალი ქუჩა, სადაც რამდენიმე დღეა წერილი არ მოსულა, თითქოს სახლებით კი არა, იუნგფერნშტიგზე მოგონებებითაა შემოჯარული, თანაც კოპენჰაგენში ბევრი მოხდენილი ბინაა სწორედ დამოუკიდებლად ცხოვრების მოსურნე ქალებისათვის, მადლობა ფოტოსურათისათვის, სწორედ ახლა სახლის თავზე თვითმფრინავმა გადაიფრინა. ასე გადის, ასე გადის დრო, მადლობა ერთხელ კიდევ ფოტოსურათისათვის, ენატრება ცხელ აბაზანაში ცივი ვისკი და ასე შემდეგ.

ამგვარად:

ფილემონს წერილები არ წაუკითხავს, პირველი სიჩქარე ჩართო და მუხრუჭი აუშვა, ესღა აკლია, ახლა თქვენი გულისათვის ამ ორმოდან ვეღარ ამოვიდეს. ბორბლებმა კარგა ხანს იბზრიალეს თიხაში, მერე როგორც იქნა დაიძრნენ, მანქანა ორმოდან ამოყოფხდა, მაგრამ ფილემონმა ვეღარ დააღწია თავი თავისი გრძნობების თიხას, გრძნობები ერთ ადგილზე ბზრიალებენ, ბზრიალებენ და ადგილიდან ვეღარ იძვრიან...

და ასეა მთელი დღე!

ბავკიდეს ძალდაუტანებელი, ჩვეული გულთბილობა, მისი უბრალო და უსაყვედურო კითხვა, ასე გვიან საიდან მოდიხარო, მისი კმაყოფილი შენიშვნა, როგორც იქნა ახალი ფეხსაცმელი გიყიდიაო, მანქანაც, ბოლოს და ბოლოს, გაგირეცხიაო, ეს სავსებით ბუნებრივი და გულწრფელი, ყოველგვარ ნაძალადეობას მოკლებული სისადავე, გეთანხმებით, რომ აღმაშფოთებელია, ოღონდ იმ პირობით, თუ სამ დაწიურ წერილში დაახლოებით ის წერია, რაც მე ვივარაუდე. მაგრამ დამტკიცება რომ არ შემიძლია!.. მანქანა გარეცხილია, მაგრამ ერთ ადგილზე შეჭყლეტილა, ალბათ იმ სლიპინა ორმოდან ამოსვლისას სადმე ხის კორძს თუ გაეხახუნა. შეჭყლეტილი ადგილი საკმაოდ კარგად აჩნია. ეს ისე, სხვათა შორის.

ფილემონი ტყუის.

— ახ, — ამბობს იგი, — ეს დიდი ხნის ამბავია.

ახლა ისღა აკლია, რომ მას, ფილემონს, ქენჯნიდეს სინდისი, დიახ, ესღა აკლია თვითონ ვერ გაუსწოროს თვალი სხვას...

ძალიან ბევრ ვისკის სვამო, ფილემონ.

არ ეუბნებიან, ახალგაზრდა აღარა ხარო, შენი ხნის მამაკაცი თავს უნდა უფრთხილდებოდესო. ამაზე სიტყვაც არ თქმულა, მაგრამ ეს იგულისხმება...

ძალიან ბევრს მუშაობო, ფილემონ.

— ჰო, — ამბობს იგი, — კინოში წავიდეთ.

— ერთი ფილმი გადის, — ამბობს ბავკიდე, — არაჩვეულებრივი ყოფილა, ამბობენ, სტილისტურად სულ სხვანაირადაა გადაწყვეტილიო.

— ვინ ამბობს?

— არ გინდა წამოსვლა?

— სტილისტურად რას ნიშნავს?

— როცა ფილმს საერთოდ არა აქვს არავითარი სიუჟეტი, — ეუბნება იგი, — გესმის, ერთადერთი ამბავი, ასე ვთქვათ, თვითონ კინოაპარატია, საერთოდ არაფერი არ ხდება, გესმის, მხოლოდ აპარატი მოძრაობს, ხომ გესმის, და ამბებსაც თვითონვე აკავშირებს ერთმანეთთან...

— ვინ ამბობს ამას?

წამით იფიქრებთ, თითქოს ფილემონი პასუხს სთხოვდეს ბავკიდეს. ჩვენში ეს ფილმი პირველად გადის, მან კი არარსებული სიუჟეტის ამბავიც იცის და ისიც კარგად მოეხსენება, სტილისტურად როგორაა ფილმი გადაწყვეტილი...

— წავიკითხე.

წაიკითხა!

— ჰო, გუშინდელ გაზეთში ეწერა.

მაშ, განვაგრძოთ ამბავი:

იგი ბავკიდეს თვალწინ საკანალიზაციო ჭაში ჰყრის სამივე წერილს, სამ გახსნილ წერილს, მაგრამ ბავკიდე ყურადღებასაც არ აქცევს, თუმცა იგი

თითოეულ წერილს ცალ-ცალკე აშველებს ფეხის წვერს. ბავკიდე ხედავს, რომ ეს წერილებია, მაგრამ ფილემონის ფოსტა მას საერთოდ არ აინტერესებს.

ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა.

თბილ აბაზანაში ცივი ვისკი შენატრებაო, ეს ნამდვილად არ უნდა მეთქვა, მე ხომ არ ვიცოდი, რა ეწერა იმ წერილებში, ეს ჩემი ვარაუდი იყო მხოლოდ, ახლა კი ვხედავ, როგორ უჭირავს ხელში ფილემონს ცივი ვისკი და თვალგაშტერებული ფანჯრის წინ დგას.

ვეკითხები, რაზე ფიქრობ-მეთქი.

პასუხს არ მაძლევს.

ეჭვიანობ?

რა მაქვს საეჭვიანო?

მაინც, მაინც-მეთქი?

საქმე ისაა, როგორ ესმის კაცს ეჭვიანობაო. მაგალითად ის აზრი, საყვარელი ქალი სხვა მამაკაცთან ერთად თბილ აბაზანაში ცივ ვისკის რომ სვამს, ეს ჩემი გამოგონილი თუა, მაშინ კიდევ არა უშავს, მაგრამ...

მაგრამ რა?

გულახდილად რომ ვთქვა, ამის წარმოდგენა არ მსიამოვნებსო, ამბობს იგი.

მეცინება.

მას თვალი უშტერდება.

ფილემონს ვეკითხები, ასეთი ყურით მოთრეული ამბების წარმოდგენა რატომ გიყვარს, ეს ხომ ჩემი ვარაუდია და მეტი არაფერი-მეთქი. ან იქნებ სჯერა, ნათელმხილველი ვიყო და წაუკითხავად ვჭვრეტდე, რა წერია წერილებში? იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ასეთი ამბები საერთოდ არ არის ჩვენი საქმე...

ფილემონ, წადი, იმუშავე!

კიდევ კარგი, რომ წერილები საკანალიზაციო ჭაში ყრია, თორემ ახლა თუნდაც მხოლოდ იმისთვის წაიკითხავდა, რომ ჩემი ვარაუდი გაებათილებინა.

— ფილემონ, — ვეუბნები მე...

შემოდის ბავკიდე.

მაინტერესებს, რა უნდა, ბოლოს და ბოლოს, ფილემონს.

ბავკიდე ლილინებს.

ერთხელ კიდევ უნდა მოგახსენოთ, რომ თბილ აბაზანაში ცივი ვისკი მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ბრმა ვარაუდია და არავითარ ჭეშმარიტ სამხილზე არ არის დამყარებული, ეს ვარაუდი ჩემი საკუთარი საიდუმლოებების არსენალიდან არის ამოღებული და მეტი არაფერი.

ბავკიდე ღიღინებს.

რატომ არ მოსთხოვს პასუხს?

არავინ მპასუხობს.

ეშინია?

წარმომიდგენია: ფილემონი პასუხს მოსთხოვს ბავკიდეს და ბავკიდესაც ექნება სათქმელი. ფილემონი ხმას არ აუმაღლებს. მე ვიცნობ მას. ისე მოიქცევა, ვითომც აქ არაფერიაო და შემდეგ ჩიბუხსაც მოუკიდებს ხელახლა, რადგან ამასობაში ჩიბუხი ჩაუქრება. მაშ, მართალი ყოფილა! ეს იქნება ერთადერთი, რაც თავში მოუვა: მაშ მართალი ყოფილა! ეს აზრი იმ ნემსსა ჰგავს,

ჯერ რომ არ უმოქმედია, შეიძლება ამ დროს გავიღიმო კიდეც და ბავკიდემ ინანოს, რატომ იანვარშივე არ ვუთხარი ყველაფერი. იანვარშიც, ცოცხლობს იგი, იანვარში? მაგრამ თარიღის დასახელება ბავკიდეს აზრით [illegible] ხელმძ-ტია, მისთვის ისიც კმარა, რომ მე სიმშვიდეს ვინარჩუნებ. ფილემონს რაღა-ში სჭირდება იმის სახელი? სახელი ალბათ იმიტომ ამოირჩევა [illegible] ყველა-ფერი მოსდის თავში. რა ჩემი საქმეა, იმ კაცს წილში ჰქვია თუ ილაფი? მაგრამ ფილემონი ვერ ისვენებს. ახლა აქ რომ არ ვიყო, ურჩევნია. მე ხომ ვიცი, რომ ამ ამბავს გადაიტანს. ბავკიდეს ნამდვილად უყვარს თუ არა ის სხვა, მომავალი როგორილა წარმოუდგენია, ეს ლიტონი კითხვებია, რომლებიც მეც დავსვი. მაგრამ ამ კითხვების ხელახლა დასმას ფილემონს ვერ დავუშლი. ოღონდ მე აღარ ჩავერევი. ნეტავ რად უნდა ვიყო ყველაფრის მოწმე? ბავკიდეს პასუხს ყურს არ ვუგდებ. მეორე ფინჯან ყავას ვისხამ და კარგად მესმის, რომ ბავკიდე ახლა აფორიაქებულია და შაქარს ყურ მომაწოდებს. ამ ჩვეულ ჟესტს ტაქტის მტკივნეული გრძნობა უკრძალავს. არავითარი სურვილი არა აქვს მოჩვენებითი იდილია შექმნას. ახლა ყველაფერი იცით. ამბობს ბავკიდე, მე კი ამ დროს ყავაში შაქარს ვყრი და ენაზე ნაცნობ გემოს ვგრძნობ. ორი საათია. კაცმა რომ თქვას, დროა მუშაობას შევუდგეთ. ბავკიდე ფინჯნებს ალაგებს. რატომ არ გააწნავს სილას? ჩვენ თანდათან გვიფაქიზდება ახალი და ერთხელ უკვე განცდილი გრძნობების გარჩევის უნარი. ოღონდ ამას მოწიფულობასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ამ წუთებს მხოლოდ და მხოლოდ მოგონებასავით აღვიქვამ. მაგონდება, რამდენიმე წლის უკანაც რომ არ დამიყვირია. რადგან არც მაშინ მივემია პირველად ღალატი, ხოლო ქალისაგან პირველად რომ მოვისმინე, სხვასთან გავატარე ღამეო, მაშინ მხოლოდ იმიტომ ვიყვირე, რომ მისი აღსარება საესებით დაემთხვა ჩემს ეჭვს, ისევე როგორც მას შემდეგ ყოველი ღალატი იმ პირველი ღალატის მოგონებას ემთხვევა ხოლმე.

ამგვარად:

ფილემონი პასუხს არა სთხოვს ბავკიდეს.

მე სამუშაოდ მივდივარ.

ერთი კვირის შემდეგ, მოულოდნელად, ბავკიდეს მანქანა უყიდეს, პატარა სპორტული „ოსტინი", დიდი ხანია რომ უნდოდა, ზუსტად ისეთი. როგორ გინდათ გაიგოს ქალმა ეს ამბავი, როცა წარმოდგენაც კი არა აქვს იმ სცენაზე, შავი ყავის დალევის დროს რომ არ გათამაშებულა? ვხედავ, როგორ ზის ბავკიდე ელეგანტურ სპორტულ „ოსტინში". მას მანქანის მართვის წესებს უხსნიან, მართალია, ოდნავ შეცბუნებულია, მაგრამ უმიზეზოდ მიღებული საჩუქარი მაინც ბედნიერებას ანიჭებს და ვერ გაუგია საერთოდ რა ხდება.

ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა.

გულზე მომეშვა, ფილემონმა პასუხი რომ არ მოსთხოვა. ვთქვათ, მოეთხოვა პასუხი, სულ ერთია, ბავკიდეს აღსარებას ასე უცებ ვერ დაივიწყებდა, მაგრამ მალე ამ ამბავს მოინელებდა, ან ეგონებოდა მოვინელეო და ქალს ბოდიშს მოუხდიდა. ჯერ არ შემხვედრია ქალი, სხვა მამაკაცთან გაეთიოს ღამე და ბოდიშის მოლოდინში არ ყოფილიყოს და მომავლის დაკარგვის შიშით მამაკაცს, ესე იგი მე, ბოდიში არ მომეხადოს მისთვის.

რომელი მომავლის? ფილემონისა და ბავკიდეს მომავლის. მერე? რა მერე? ვითომ რატომ არ უნდა დავლიოთ შამპანური? ადამიანი ერთხელ ცო-

ცხლობს ამ ქვეყანაზე. რა საჭიროა მომჭირნეობა? იგი ძლივსღა სცნობს თავის ფილემონს, პირდაპირ შეგეშინდება, ისე გალაღებულია ფილემონი, თან ისეთ სიტყვებს აფრქვევს, რომ სიცილისაგან თავს ვერ შეიკავებ, ხოლო მერძენებლის მიმოხრაც რომ შეუძენია, ამას თვითონაც კარგად ამჩნევს. ბავკიდა ისე მონუსხულა ამ ერთადერთი, განუმეორებელი მამაკაცის სიდიადით, რომ პატარა გოგონასავით შესციცინებს თვალებში. საუბარში იგი თამამად დააბიჯებს ბეწვის ხიდზე და თან ასთაკვის ფეხებს აკანტურებს. მხოლოდ ხანდახან თუ გაჰკრავს გულში შიში, როცა ხედავს, ბავკიდეს სულ რომ აღარ ახსოვს თავისი უწინარი დანიელი, ვისაც ამ გარდატეხას უნდა უმადლოდნენ. გაორებულ კაცს რომ დაინახავენ, ფრაკიანი ოფიციანტები ქანდაკებად იქცევიან, ყოველი მისი ჭირვეულობის წინაშე იხრიან ქედს და კიდევ ერთი ცალი ლიმონის მოსატანად მიჰქრიან. თითქოს საგანგებოდ, ცაზე უბრალო კი არა, სავსე მთვარე ქათქათებს. ბავკიდე ნეტარებს, იგი მფარველის ხელს გრძნობს. ფილემონი თავის სიცოცხლეში პირველად ბედავს გახსნილი ბოთლი შეცბუნებული სახით კი არ მოიწონოს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გააბრუნოს უკან... ახსნა-განმარტება საერთოდ ვერაფერს შველის, მხოლოდ აყალ-მაყალს იწვევს, აყალ-მაყალი კი იმით მთავრდება, რომ ღვინის მეორე ან მესამე დაჭაშნიკებაზე ნებდები და დიდსულოვანი, ირონიული ღიმილით აქნევ თავს. არა, საუბარი არც უნდა შესწყვიტო, ერთი უსიტყვო გადახედვა, შუბლის ერთი შეჭმუხნვა, ან ჩაღიმება კმარა, რომ მტვრიანი ბოთლი ოფიციანტის თეთრი ხელთათმანით შემოსილ ხელში გაუჩინარდეს. ვითომ რატომ არ შეიძლება შენს საყვარელ ქალს ჰყავდეს სხვა მამაკაცები? არაბუნებრივი აქ არაფერია, შენ როგორ მოგწონს? ისე ეკითხება ბავკიდეს, რომ აშკარად საჭმელს არ გულისხმობს. სიტყვებით ასე თამაში თვითონვე დანასავით ესობა გულში, მაგრამ ბავკიდე, საბედნიეროდ, ვერ მიუხვდა ქარაგმას, ფორთოხალთან ერთად შემწვარი ხოხობიც არაჩვეულებრივად გემრიელი გამოდგა, თან ყველაფერ ამას სავსე მთვარე და ფილემონის საამური ოცნება დაემატა, მარტო ცხოვრებას ვაპირებთ. რა აზრით ამბობთ მაგას, ეკითხება ბავკიდე. ახლა სხვა ღვინო უნდა გავსინჯოთ. მარტო ცხოვრება რას ჰქვია? იგი თავს უქნევს ოფიციანტს, უსიტყვოდ რთავს ნებას, ისიც შვებით ამოისუნთქავს და ბურგუნდული ღვინით მოხდენილად ავსებს ჭიქებს. ერთხანს ტკბებიან ამ ჩუმი რიტუალით. ბავკიდე კვლავ მიწის ნაკვეთზე ლაპარაკობს, ფილემონი კი ნიუ-იორკში მარტოხელა ცხოვრებაზე ოცნებობს. რა საწყენია, რომ ბავკიდეს მადა არა აქვს, ნიუ-იორკში რა გინდათ, ეკითხება იგი ფილემონს, მაგრამ ფილემონს ახლა სიგარა მოუხდა: Romeo y Julieta[1]. რა იქნება, ახლა ბავკიდეს ბავშვი რომ შეეძინოს? ეტყობა, ფილემონს მაინცდამაინც არ აინტერესებს, ვისი იქნებოდა ის ბავშვი, არხეინად აბოლებს სიგარას, ღამეულ ტბას გასცქერის და ტბების დაბინძურებაზე ლაპარაკობს, რაც სერიოზულ პრობლემადაა ქცეული ჩვენში. დიდი ხანია ფილემონს ამდენი არ ულაპარაკია. სადილს კონიაკი დააყოლეს; საჭმლის მონელების პროცესი თავისთავად მოდუნებას იწვევს და ფილემონი ვერ ხვდება, რა აწუხებს ბავკიდეს. დანახარჯი გადაიხადა, ახლა მხოლოდ ჩურჩულს ელოდება და ამასობაში ცხადი ხდება, რომ ფილემონი და ბავკიდე ერთად წავლენ შინ...

[1] რომეო და ჯულიეტა.

წარმომიდგენია:

ერთ დღეს, ამ ამბიდან კარგა ხნის შემდეგ, მიუნჰენში მივდივარ ლილას ჩამოსაყვანად და ჰოლში მის ბარგს ველოდები. ეს არის სასტუმრო „წლის ოთხი დრო“. ვხედავ ახალგაზრდა კაცს, რომელიც ანგარიშს აწორებს. კარგად ვერ გავიგე, ის ანგარიში ერთსაწოლიანი ნომრის იყო, თუ ორსაწოლიანისა და, რა თქმა უნდა, სასაცილოა, რომ მაშინვე ის დანიელი მომაგონდა, თუმცა ის ახალგაზრდა სულაც არ გახლდათ ქერა. ვიცდი და გაზეთს ვკითხულობ, რომ რეალობის შეგრძნება არ დამეკარგოს. კარგად მახსოვს, ნამდვილად არ ვიცოდი, რა ეწერა იმ წერილებში. ოღონდ კი ფილემონი შემეჩერებინა და წარმოვადგენინე, რა შეიძლებოდა ყოფილიყო იმ წერილებში, მან რომ შემდეგ საკანალიზაციო ჭაში ჩაყარა: კოპენჰაგენი გაზაფხულზე, წარმატებანი სამსახურში, აბაზანაში ვისკის მონატრება, მსჯელობა ფილმებზე, მიუნჰენში შეხვედრის იმედი, სასტუმრო „წლის ოთხი დრო“ — ყველაფერი მე მოვიგონე. ფაქტი ისაა, რომ ახლა ამ ჰოლში ვზივარ, სასტუმრო „წლის ოთხი დროის“ ჰოლში და ვიღაც ახალგაზრდა ფრანტმა (რატომ ფრანტმა?) ეს-ესაა გაასწორა ანგარიში. ალბათ შავთმიანი დანიელებიც არსებობენ. მე ხომ არ ვიცი კირკეგორი ქერა იყო თუ არა. ასევე არ ვიცი ეს ახალგაზრდა ფრანტი (დიახ, ფრანტი რომ არის, ჩაცმულობაზე ეტყობა!) დანიელია თუ არა. ხელში რომ გერმანული გაზეთი უჭირავს, ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, ყველა დანიელმა იცის გერმანული, აქ კი დანიური გაზეთები არ იყიდება. თან ლილას, რამდენადაც ვიცი, დანიური არ ესმის, ამიტომ მან მაინც ხომ უნდა იცოდეს გერმანული. მეორე მხრივ, ყველა კოკობზიკა, ვინც კი გერმანული იცის, სავალდებულო არ არის ლილას საყვარელი იყოს. დიდ ვინმედ კი მოაქვს თავი, მაგრამ საამისოს ვერაფერს ვატყობ. გაზეთს თეძოზე რომ იტყაპუნებს, ეტყობა, ნერვიულობს. ჩემმა ჩამოსვლამ ხომ არ გაანერვიულა? თუმცა შეიძლება სხვა მიზეზიც ჰქონდეს რამე. საიდან უნდა მიცნოს? უკვე მეორეჯერ რომ შემომხედა, ამასაც შეიძლება ჰქონდეს სხვა მიზეზი — ადამიანს თუ მიაჩერდი, აუცილებლად შემოგხედავს... აი, შენც აქ ყოფილხარო, მეუბნება ლილა. სამგზავროდ გამოწყობილი ლილა თავზე წამომდგომია. როგორც ვხედავ, გადაღებებზე, ჩვეულებისამებრ, შეფერთხილა. ჩემი შეკითხვა, ანგარიში თუ გაასწორე-მეთქი, არ გაუგონია, იმ წუთში ბარგის თვალიერებით იყო გართული. გაზეთი დავკეცე და შევამჩნიე, რომ ის ფრანტი გამქრალიყო. კარგი იყო სახეზე შემეხედა, მაგრამ უკვე შუშის კარებში გასულიყო, ტროტუარზე იდგა და გაზეთს კვლავ თეძოზე იტყაპუნებდა. ჩემი ფილმი ისევ საშინელებებით აღსავსე იქნებაო, მანქანაში მეუბნება ლილა. მე ხელთათმანებს ვიცვამ და სარკეში უსიტყვოდ ვიყურები. სამწუხაროდ, სარკეში მხოლოდ ფეხსაცმელები და შარვლის ტოტები მოჩანს, მეტი არაფერი. ზედატანი, ასე ვთქვათ, უფრო პიროვნული ნაწილი, გადაჭრილია და ვერ ვბედავ, სარკე შემოვატრიალო. ძრავას ვრთავ და ისე ვიცდი, თითქოს ძრავას გახურება სჭირდებოდეს. ვითომ რა მოხდება, დაძვრამდე სიგარეტს რომ მოვუკიდო? უკვე ველარ გავიხსენე, იმ ახალგაზრდა კაცს წვერი ჰქონდა თუ არა. შეიძლება ჰქონდა კიდეც, მაგრამ უეცრად დავეჭვდი. მოძრაობას ვაფერხებთო, მეუბნება ლილა, მაგრამ მე ვერავითარ მოძრაობას ვერ ვხედავ, ვხედავ მხოლოდ ჟილეტიანი კაცის ქვედა წელს. ახლა იმ კაცმა მარჯვენა ხელი შარვლის ჯიბეში ჩაიდო, რომ ხელი არ დაგვიქნიოს, კარგად მესმის, ტაქტიანი კაცი სხვაგვარად ხომ არ მო-

იქცევა! ნეტავ რას ფიქრობს ჩემს კეფაზე? მე საფერფლეს ვუჩხიკინებ, რომელიც ისევ გაიჭედა. ვითომ რატომ არ შეიძლება ახალგაზრდა კაცს ეცვას ჟილეტი? შემდეგ ერთხელ კიდევ ვეკითხები ლილას, ანგარიში თუ გაასწორე-მეთქი. მამაკაცი ცდილობდეს ყველაფერზე იფიქროს. კეთილი და პატიოსანი: პირველ სიჩქარეს ვრთავ, მუხრუჭს ვუშვებ. ფარანს [illegible] ვანთებ, მოკლედ, ყველაფერს ისე ვაკეთებ, როგორც წესია, თან სარკეში ვიყურები, უკანიდან საფრთხე არ გვემუქრებოდეს-მეთქი. მაგრამ სარკე ალმაცერად დგას, უბრალოდ, ძალიანაა ძირს დაშვებული, უნდა გავასწორო, ღმერთმანი, სარკეს მართლა სჭირდება გასწორება. ამასობაში ჩვენგან დანიელად მონათლული ახალგაზრდა სულ გამოვიდა სარკის არედან. ნეტავ რა მესაქმება, წვერი მოშვებული აქვს თუ არა. როცა მანქანა გზატკეცილზე გავიყვანე, ჩვეულებისამებრ გამოვიხედე ფანჯრიდან და ერთხელ კიდევ შევამოწმე საფრთხე ხომ არ გვემუქრება-მეთქი, იგი უკვე ზურგით იდგა ჩვენსკენ. ამგვარად, წვერის საკითხი გადაუჭრელი დარჩა. გიჟივით ნუ მიაქროლებთ, მთხოვს ლილა. როგორია ხარ-მეთქი, ვეკითხები მშვიდად, რათა ვაგრძნობინო, რომ სისწრაფეზე ზედმეტია ლაპარაკი. როცა ერთხელ კიდევ შევეკითხე, ანგარიში თუ გაასწორე-მეთქი, ლილას გული მოუვიდა: აბა რას იზამდით! სასტუმროდან გაპარულთა სიაში რომ მოხვდეს ჩემი გვარი, ამას ვერ ავიტან. მანქანას 160 კილომეტრით მივაქროლებ და ლილა მემუქრება, მანქანიდან გადმოვალო, სასწრაფოდ ასზე ჩამოვდივარ, რომ ჩამოსვლა გავუადვილო. ერთხელ კიდევ რომ დაიწუწუნა, მანქანა სულ გავაჩერე: ბატონი ბრძანდებით! ვიცი, რომ აუტანელი ვხდები...

მაინც რა მოხდა?

ბაუკიდეს ახლა საკუთარი სპორტული „ოსტინი" ჰყავს, ხოლო სხვა დანარჩენი სინამდვილეში არ მომხდარა: არც საუბარი შემდგარა შავი ყავის სმის დროს, არც ასტაკოები მიყრთმევიათ ტბაზე გადმომდგარ რესტორანში სავსე მთვარის შუქზე, არც გზატკეცილზე მოვქცეულვარ უმსგავსოდ. არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა! ერთადერთი, რაც მართლა მოხდა: ბაუკიდეს ახლა თავისი თეთრი სპორტული „ოსტინი" ჰყავს. „ოსტინი" აღტაცებას ჰგვრის და გზებზე ჩინებულად დააქროლებს.

ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა.

ფილემონი კი არის კაცი, რომელსაც კვლავ გამოესვლება ხალხში. მამაკაცების წრეში ღირსებას ინარჩუნებს, თავის თანამედროვეთა მსგავსად აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დგას, ნამდვილი მოქალაქეა, თუმცა უშედეგოდ, მაგრამ მაინც ილაშქრებს ატომური იარაღის წინააღმდეგ, მკითხველია, მეგობარი, ქორწილში დამხმარე, მოჭადრაკე, მოაზროვნე, იმ საზოგადოების წევრია, რომლის გარდაქმნა აუცილებლად მიაჩნია. დილიდან საღამომდე შრომობს, მოლაშქრე კაცია, ხან რაღაცის მომხრეა, ხან მოწინააღმდეგე. აინტერესებს მსოფლიოს ბედი, ხალხების გასაჭირი, ხალხების იმედები, ხელისუფალთა სიცრუე, იდეოლოგიები, ტექნიკა, წარსული და მომავალი, კოსმონავტიკა — იგი ადამიანია... აი, რა აზრები უტრიალებს თავში: მილიონობით წლის შემდეგ ჩვენი დედამიწა გაცივდება, ასევე მილიონობით წლის შემდეგ ვენერაც გაცივდება, ვენერაზე ატმოსფერო გაჩნდება და მაშინ სიცოცხლე შეიძლება კოსმოსში გადაინერგოს (Science and Future)[1].

[1] მეცნიერება და მომავალი (ინგლ.)

გულზე მომეშვა.

რაც შეეხება დანიურ მარკიან წერილებს, მათი ცვენა შეწყდა და მე რაღა მრჯის, სისულელეები ჩავიდინო. ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი მიმოწერა იშრიტება. ფილემონს თვითონ არა აქვს სინდისი, სუფთა და ეს ულრესად ბუნებრივი ამბავიც აწყენს აღუძრავს. საკუთარი გამოცდილებით შეკოწიწებული ეჭვი მარტივია: მათ შეამჩნიეს, რომ სამი წერილი დაიკარგა და ახლა სხვა მისამართზე სწერენ ერთმანეთს. თუნდაც ასე იყოს! მე თუ მკითხავთ, ეს მიზეზად არ კმარა, რომ ჩაკეტილი უჯრა გატეხო. მე ვეუბნები, შენ ხომ მთვრალი ხარ-მეთქი! ეტყობა, უეცრად წამოუარა ამ სურვილმა. ბავკიდეს ეძინა, მას კი ძილი გაუტყდა და დაუძინებელ წამალს დაუწყო ძებნა. მერე რა შუაში იყო ის უჯრა? გატეხილს ვეღარ გაამთელებ. ახლა რაღას იზამ? ის უჯრა რომ წერილებითაა სავსე, ჩვენ უკვე ვიცით. მერე? თითქმის იმედი მაქვს, რომ ბავკიდე გაიღვიძებს, ოთახში შემოვა და თავზე წაადგება მის საწერ მაგიდასთან ატუზულ ქმარს. რა მოხდება მერე? მაგრამ ბავკიდეს სძინავს, კურანტების სამი ჩამორეკვა ძილს ვერ უფრთხობს. იგი თავისი სირცხვილის ანაბარა სტოვებს ფილემონს. მას სძულს ბავკიდე. პიჟამას ამარა, ფეხშიშველა ფილემონს აძაგძაგებს, მაგრამ უხარია, რომ ბავკიდესადმი სიძულვილს გრძნობს. ეს სიძულვილი პირველი სიყვარულივით მხურვალეა და ცხადი. მას სძულს იგი. აი, სადამდე მიიყვანა ბავკიდემ. მაინც, რითი? მას სძულს იგი და ეს სიძულვილი სულ უფრო და უფრო მეტად აძლევს უფლებას, გატეხოს მისი უჯრა, რაც, სხვათა შორის, უკვე გააკეთა კიდეც. ფილემონს მეტს ვეღარ შევაკავებ... „ძ ვ ი რ ფ ა ს ო", ამაზე ვერაფერს იტყვი, აქ არაფერია უჩვეულო და გაუგებარი, „ჩ ე მ ო ძ ვ ი რ ფ ა - ს ო", არა, მხოლოდ ის აინტერესებს, როგორ მიმართავენ ერთმანეთს. „შ ე ნ, ჩ ე მ ო ძ ვ ი რ ფ ა ს ო", ამის სათქმელად მაინცდამაინც დანიიდან მოვლენილი ჭკუა არ არის საჭირო, „ჩ ე მ ო ლ ი ლ ა ლ ი ლ", ესეც არ არის ახალი, ასე ფილემონიც სწერდა ხოლმე ლილას და საერთოდ მამაკაცები, ეტყობა, ერთმანეთს ჰგვანან, მხოლოდ ხელწერა აქვთ განსხვავებული. მაინც რას ლღარჭნის ის ვაჟბატონი ასოებს, გატეხილი უჯრის წინ, ამ სიჩქარეში ბევრ სიტყვას ვერ არჩევს ფილემონი, თან გულსაც ბაგაბუგი გააქვს, უეცრად რომელიმე სტრიქონს მიეჯაჭვება მზერა ისევე, როგორც სიღრმეში ჩასრიალებული ლუზა მოედება ხოლმე რაღაცას, მაგრამ იქიდანაც ჭირს აზრის გამოტანა. სიყვარულის შიფრი ძნელი ამოსახსნელი არ არის, მაგრამ ძალიანაც რომ ჩაუკვირდე, აზრს მაინც ვერ გამოიტან. პირდაპირ გასაოცარია, რა ცოტა რამ სწერია ხოლმე სატრფიალო ბარათებში, თითქმის არაფერი, თუ ძახილის ნიშნებს გრძნობის გამოხატულებად არ მივიჩნევთ. ერთადერთი აზრიანი წინადადებაა: „გ ე ლ ო დ ე ბ ი კ ი ო ს კ თ ა ნ", ზემოთ, მარჯვენა კუთხეში, დროა მინიშნებული: „ხ უ თ შ ა ბ ა თ ს, შ უ ა ღ ა მ ი ს ა ს, ზ ე ნ ი წ ა ს ვ ლ ი ს შ ე მ დ ე გ". რიცხვი არ აწერია, დიახ, ყოველი ალმაცრენა ისწრაფვის მარადისობისაკენ, ვიცი, რომ უძირო მარადისობისაკენ ისწრაფვის, მაგრამ ნურას უკაცრავად. იქნებ საფოსტო დამღამ გვამცნოს თარიღი? მაგრამ კონვერტები გადაყრილია, დიახ, უჯრა სავსეა გახსნილი ბარათებით, ხოლო კარგად რომ ჩაუჯდეს, მართლა დააზარისხოს და ისტორიკოსივით შეისწავლოს წერილები, საამისოდ ფილემონი მეტისმეტად მთვრალია. მხოლოდ ზეზეურად, აძაგძაგებული, კარსაც რომ არ კეტავს, ვითომ წინასწარ განზრახული არაფერი მქო-

ნიათ, მხოლოდ ასე თუ მისცემს თავს ნებას უკადრისად იქექოს წერილებში, ასე ბუნდოვანნი რომ არიან ცნებისაგან, არაფრისმთქმელნი, მაგრამ ისე ალსავსენი სინაზით, რომ ფილემონი თავის საკუთარ წერილებსაც ვეღარ ცნობს. ერთადერთი წერილი დევს თავის კონვერტში, ერთადერთი ძველ უჯრაში და ისიც მისი პირველი ქმრის აღმოჩნდა. „შენი ერთგული [illegible] რომ თქვას, მშვენიერი წერილია, საქმიანი, თარიღიც აქვს, [illegible] ერთი წერილი, სავარძლის სახელურზე ჩამომჯდარმა ფილემონმა მთლიანად რომ წაიკითხა და ამ წერილმა ერთდროულად გაართო და დააშინა კიდეც. წერილში სინაზე თუმცა არ არის ქცეული, იგი ზომიერადაა ჩაქსოვილი საქმიან საუბარში, წერილის დამწერი შესაფერად ეპაუბრება ადრესატს, მეტი არაფერი. მეც იმ აზრისა ვარ, რომ ასეთი სინაზე უფრო უკეთ უძლებს დროს, ვიდრე ექსტაზით აღსავსე დეპეშები: მალე წრტ ზეგ წრტ სადამოს წრტ მალე წრტ სულ ორი დღე დარჩა წრტ მალე. ჰო, კარგი. რატომ არ უნდა ფილემონს, რახან უკვე იქექება წერილებში, დეპეშის თარიღი ნახოს? ვეღარ ისვენებს, რადგაც არაჩვეულებრივი სწყურია და აჩის ბაგიერ აი, რას წააწყდა: „შენი ხმა, შენი ხმა, გუშინ ტელეფონში გავიგონე შენი შორეული ხმა, შენი ხმა, უეცრად გავიგონე, შენი ხმა“. მე თუ მკითხავთ, ეს უბრალოდ, მოსაწყენი, ცხოვრებისეული ბანალობა გახლავთ, მაგრამ როგორც კი ამ წერილებში ნამდვილი პიროვნება გამოჩნდება და არა მხოლოდ ხვადი, რომელიც ბურთულიან კალამს აწვალებს ანდა საბეჭდ მანქანას უკაკუნებს, პიროვნება, რომელიც ინტელექტით სჯობია მას, ყოველ შემთხვევაში მთვრალს მაინც, მაშინ იგი არ კითხულობს მისი მძინარე მეუღლის პატივისცემით გამსჭვალულ სიტყვებს, არ კითხულობს გონივრულ ხოტბას, რომელსაც თვითონაც გაიზიარებდა, არა, ასეთ წერილებს არ კითხულობს. სამაგიეროდ, ასეთებს ეტანება:

„მომწერე, სად გამოგიგზავნო წერილები, რომ უსიამოვნება არ შეგხვდეს“. აი, ეს კი ულრმავებს ჭრილობას. „რომ უსიამოვნება არ შეგხვდეს“, წერილი მეორე გვერდზე გრძელდება, „თუ სვობოდას არ უნდა, რომ ჩვენ ერთმანეთს ვწერდეთ...“ რაო, სვობოდაო? გამოდის, რომ საკუთარ წერილებს კითხულობს. აბა რა გეგონა, მხოლოდ ახლა შეამჩნიე?—ვეუბნები მე. უცნაურია, ხანდახან რა უცხოდ შეიძლება მოგვეჩვენოს ჩვენი საკუთარი ხელწერა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოულოდნელად წააწყდებით ჩვენს წერილებს სადმე, როცა უჯრას ვტეხთ, რათა მძინარე ქალის ინტრიგები გამოვიძიოთ და ანახობაში საკუთარ ინტრიგებს კი ამოვქექავთ ხოლმე.

ფილემონ, ვეუბნები მე, წადი დაიძინე!

საკეტი გატეხილია...

ეს ერთი.

ფილემონი აღსარებას ვერსად გაექცევა, ბავკიდე ამის წყალობით უფრო ფრთხილად იქნება, ფილემონს კი ამიერიდან მხოლოდ ის ეცოდინება, რომ ბინაში სხვა სამალავიც გაჩნდება სადმე...

ეს მეორე.

ფილემონ, ვეუბნები მე, მოეშვი ამ საქმეს!

ვხედავ მძინარე ქალს:

მის გაშლილ შავ თმას, მან ეს-ესაა იცვალა მხარი, ვხედავ მარჯნისფრად აწკეცილ ყურს, სახესთან ბალიშზე დაწყობილ თითებგავარსხულ ხელს. წყნარა და ზომიერად სუნთქავს, როგორც ღრმად ჩაძინებულმა ადამიანმა იცის, ტუ-ჩებს არ ამოძრავებს, ბავშვური ბაგე ოდნავ გაპობია. მხარი და მკერდის და-საწყისი მოშიშვლებია, ტანზე მხოლოდ ზეწარი ახურავს. [illegible] ი-ნაკვთება მისი სხეული, როგორც ნიკეს ქანდაკების მარმარილოს ნაოჭები ამხელენ ქალღმერთის ტანის სილამაზეს. ოღონდ ეს სხეული თბილია, უფრო მეტიც, ცხელია ძილისაგან, მშრალია და მხურვალე, შავ თმაში მარჯნისფერი ყური გამოსჭვივის. ყურზე ხელი რომ შევახო, ვერც კი იგრძნობს, წამწამები ხანდახან უკრთის, მაგრამ მას სძინავს. დახუჭული ქუთუთოები მოცისფროდ, სანთელივით ცვილს უპრიალებს, სათვლიას ფურცლივით გამჭვირვალე ქუ-თუთოები თვალებს ჩამოჰფარებია, ისინი არ ირხევიან, მხოლოდ თმა ფხიზ-ლობს თითქოს, მგონი, სახესთან მიტანილი თითების წვეროებსაც არ უნდა ეძინოთ, მაგრამ არა, მას სძინავს, ძილი კეფაში ჩაბუდებულა, უსიზმრო, ნო-ტიო ძილი, უფრო ღრმად ჩაბუდებულა კეფაში, ვიდრე სახეში, სახე კი თითქოს ძილის ზედაპირზე მიცურავს მოლივლივე ანარეკლივით.

ლილალილ.

ფილემონ, გეუბნები მე, შენ გიყვარს იგი!

ამ სიყვარულთან სხვა ყველაფერი მონაგონია.

აფრიკაში (ასე გვიამბო ერთმა სტუმარმა) ერთი ველური ტომი ყოფილა, სადაც თურმე წილისყრით წყვეტენ, რომელ კაცს რომელი ქალი შეხვდება. მამაკაცი ვალდებულია იზრუნოს ამ ქალზე, ავადმყოფზეც და კარგადმყოფზეც, ახალგაზრდობაშიც, სიბერეშიც და შვილოსნობაშიც. ისე კი, ვისაც ვისთან უნდა, იმასთან წყვილდება და (იმ სტუმრის სიტყვით) თურმე ეს ტომი ყოფი-ლა დედამიწის იმ მივარდნილ კუთხეში ყველაზე მშვიდობიანი. ბუნების კა-ნონების შესაბამისად ეროსიც, სათემო მიწისა არ იყოს, საერთო კუთვნილე-ბადაა ქცეული, სქესი და პიროვნება ერთ კანონს არ ემორჩილება. ამიტომაა, რომ ტუპოლები (თუ რაც ჰქვიათ) ერთმანეთს არასოდეს არ ჰკლავენ ქალის გულისთვის. თავიც და ხელიც მხოლოდ ნადირობისათვის სჭირდებათ. ჩხუბი მხოლოდ ნადავლის გაყოფისას მოსდით. ქურდობა სიკვდილით ისჯება. დასჯის სახეობას კი მოპარული ნივთის ღირებულება განსაზღვრავს. უბრალო სიკვდი-ლი, საძილე არტერიაში ჩხვლეტით, საოჯახო ნივთების ქურდს ერგება წი-ლად. მაგრამ სამკაულების ქურდს, მაგალითად, ქალის საყურეების მომპარავს, ორ პალმას მიაბამენ, ქარის პირველივე დაქროლაზე პალმები დაირწევიან და მის ქურდ სხეულს გაგლეჯენ. ტანაიდან ყველაზე დიდ სიმდიდრედ ისრები ითვლება, ისრების ქურდს ჯერ ასაჭურისებენ და მერე ცოცხლად მარხავენ მიწაში. ქურდ ქალებს თავიანთი ქმრები სწვავენ. ქურდობის გარდა ეს ხალხი არაფერს თვლის სამარცხვინოდ და სასჯელის ღირსად და სხვა რამეზე თავს არც იწუხებენ...

ბავკიდე ალტაცებულია!

ამ ალტაცების გარდა, რასაც, სხვათა შორის, სხვა მანდილოსნებიც იზი-არებენ, და იმ დანიური წერილების გარდა, რომლებიც ასევე არაფერს ამტკი-ცებს, რაკი მათი შინაარსი არ ვიცით და თან, როგორც ვთქვით, აღარც მო-დის, კაცმა რომ თქვას, არაფერი მომხდარა ისეთი ხელმოსაკიდი, რომ ფილე-მონს ეეჭვიანა, ბავკიდე ტუპოლურ ცოლ-ქმრობას ხომ არ ეწევა.

ფილემონ, გეუბნები მე, მეტს ველარ მოვცდები!

იმ ქილეტიან ფრანტს რაღა ვუყოთ?

ფილემონ, გეუბნები მე, ხომ არ შეიძლება, მე რაც თავში გამიელვებს, ყველაფერი ბრმად დაიჯერო?

მაინც ვერ დავაშოშმინე.

ნდობის აღსადგენად იგი გულახდილობის ხერხს მიმართავს: არავინ ატანს ძალას, არც არაფერს ეკითხებიან, ის კი მაინც უყვება ერთ პატარა სტენოგრაფისტ ქალთან თავისი მიჯნურობის ამბავს, მაგრამ შეხეთ, ბავკიდეს არც არაფერი სცოდნია, მაგრამ არც ახლა უნდა არაფრის გაგონება...

ხელი მოეცარა!

გულახდილობისა ბევრი არაფერი მწამს, ჩვენს ფილემონს კარგად ვიცნობ, ვიცი, რომ აღსარება დუმილზე უფრო ნიღბავს საიდუმლოს, შეიძლება ყველაფერი თქვა და საიდუმლო კი შენს სიტყვებს უკან მიიყუჟოს. ეტყობა ჯერ კიდევ არ არის სიმართლე, თუნდაც თავი დავანებოთ იმას, რომ ადამიანი ყველაფერს არასოდეს არ ამბობს, ვთქვათ, უჯრის გატეხვის ამბავს. ჩვენი გულახდილობა, როგორც ასეთი, მეტწილად ხომ სიცრუეზე აგებული მაქინაციაა და სხვა საიდუმლოებათა დასაფარავადაა მოგონილი.

ბავკიდეს დუმილი უფრო ჰიგიენურია.

იმღამინდელი დანაშაულის აღიარებას, ვაი რომ ვეღარ გაექცეოდა ფილემონი, თორემ შეიძლებოდა დამლაგებელ ქალს დაბრალებოდა უჯრის გატეხვა. აღსარება შედგა შავი ყავის სმის დროს, დიახ, ზუსტად იმ სავარძლებში და ზუსტად ისე, როგორც ადრე ბავკიდეს აღსარება წარმომედგინა, ოღონდ შეცვლილი როლებით. ბავკიდეს არც ამის გაგონება უნდა. ამჯერად ის აღარ იღებს ხმას, გაფითრებულა და სიგარეტს საფერფლეზე სრესავს, ხოლო შავ ყავას ფილემონი უსხამს და შაქრის შეთავაზება ვერ გაუბედია. ბავკიდე თვალს არიდებს ფილემონს, ის კი მოუთმენლად მოელის მის შემოხედვას. მხოლოდ სიყვარული იცრემლება თავისთვის, ჩუმად. ბავკიდეს სულაც არ ეღიმება, როცა იგი პატიებას სთხოვს, ერთ საღამოს ჩემი საკუთარი წერილები წავიკითხეო, ბავკიდეს ეს ამბავი სულაც არ ეჩვენება სასაცილოდ.

— კარგი, ახლა რაღა ვქნათ? — კითხულობს ბავკიდე.

ფილემონი ხელზე ჰკიდებს ხელს.

— არ გინდა, — ეუბნება ბავკიდე.

ასეთი კაცის კოცნა რად უნდა, თავის საკუთარ წერილებს რომ კითხულობს. ამას შენგან არ მოველოდი, მეგონა, გიცნობდი, მაგრამ თურმე ჩემს წინ უცხო კაცი ზის.

რა იქნება შემდეგ?

ბავკიდე ავადაა, მაგრამ მძიმედ არა, მხოლოდ სიცხე აქვს და თავი სტკივა, ასეა თუ ისე, ლოგინში წევს და ჩაის მე ვადუღებ, ვდგავარ სამზარეულოში და სანამ წყალი ადუღდებოდეს, ჩემს სამუშაოზე ვფიქრობ. ვზივარ მისი საწოლის კიდეზე. ფილემონი და ბავკიდე, ზუსტად ისე, როგორც წიგნში წერია. ასპირინის იმედი მაქვს, მაგრამ ასპირინი ვერ ვიპოვე. ბავკიდე ვერ არის კარგად, მთხოვს, ასპირინი ჩემი ხელჩანთიდან ამოიღეო. არა თუ ნებას მრთავს, არამედ მთხოვს, ისე ცუდადაა. მაგრამ, სამწუხაროდ, ხელჩანთა აქ ვერსად ვნახე, ეტყობა, სასტუმრო ოთახში უნდა იყოს. ყოველთვის მიკვირდა, ისეთი დომხალი სუფევდა ხოლმე მის ჩანთაში და ახლა ნამდვილი სასწაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნება, ალალბედზე ჩავყო ხელი და ასპირინი ამოვყვეს, როგორც ეს ამ საბრალოს ჰგონია. ვცადე, მაგრამ სასწაული არ მოხდა. სამაგიეროდ, რა აღარ არის ხელჩანთაში: გასაღებები, ფული, პომადა, ცხვირსახოცი, ხელთათმანები, თვითმფრინავის ბილეთი, პინცეტებიანი ნესესერი, სხვადასხვა ქვეყნის მონეტები, მიუნხენის რომელიღაც მუზეუმის ორი ბილეთი, ბურთულიანი კალამი, მძღოლის მოწმობა, სავარცხელი, სიგარეტები, საპუდრე, სასტუმრო „წლის ოთხი დროის" ანგარიში, ერთსაწოლიანი ნომერი აბაზანითურთ, მანქანის გასაღები, გაზეთის ამონაჭერი, საყურეები, დანიურმარკიანი ერთი წერილი, თარიღი გუშინწინდელია, მისამართი „მოთხოვნამდე", წერილი გახსნილია...

ფილემონ, ვეუბნები მე, თავი შეიკავე!

ფილემონი ასე არ უნდა გაიაფდეს.

აჰა, ვიპოვე, ვიძახი მე!

კვლავ მისი საწოლის კიდეზე ვზივარ, ხელში ცარიელი ჭიქა მიჭირავს, მეორე ხელი მის ცხელ, გაოფლილ შუბლზე მიდევს...

ფილემონისგან რას არ უნდა მოელოდე:

გამგზავრების წინადღეს უეცრად უჩვეულო ჰკვიანური ეჩვენება, ჯობდეს მარტო გაუშვას ჰამბურგში, გონება უეცრად გაუნათდა და ტვინში ამ მხიარულმა აზრმა დაიბუდა. ბევრი ვეფიქრე და დავრწმუნდი, ახლა ჰამბურგში ჩემი წასვლა სისულელეა-მეთქი. მაშინ არც მე წავალო, ამბობს ქალი. ვითომ რატომ? არა, ყოველ შემთხვევაში კამპენში მაინც აღარ წავალო. ნუ სულელობ, დამიჯერე, კამპენში ერთი კვირის გატარება ძალიან მოგეწონებაო, ეუბნება იგი. უშენოდ? ეკითხება ქალი, მთელი გულითაც ეხვეწება, წამოდიო. მაგრამ არაფერი გამოდის. იქნებ იმედი აქვს, რომ ქალი წასვლას ვერ გაბედავს? ეს სისულელე იქნებოდა. ვითომ რატომ არა აქვს ამას მისთვის მნიშვნელობა? მისთვის მნიშვნელობა არა აქვს. ეშმაკობს? დასცინის? არაფერი ამის მსგავსი. მაინც რას აპირებს? მუშაობას. აბა, ჰამბურგში რა მინდაო, ამბობს იგი და თავისი გააქვს. მეორე დღეს ცოლი აეროპორტში მიჰყავს და მართლა მხიარულ გუნებაზეა: კამპენი მშვენიერი დასასვენებელი ადგილია; ყველაფერი დღესავით ნათელია და აქას არავითარი ახსნა-განმარტება არ სჭირდება...

არავითარი სხვა გადაწყვეტა არ არსებობს:

უბრალოდ და მარტივად, ეს თავისუფალი ასპარეზის მიცემას ნიშნავს... სანამ ერთ მშვენიერ დღეს ჩვენს კარზე ზარი არ დაირეკა. ლილას ჯერ კიდევ სძინავს და კარებთან მე მივდივარ. ზღურბლზე ახალგაზრდა კაცი დგას, რომელსაც, ჩემი ფიქრით, მაშინვე ვცნობ, თუმცა პირველად ვხედავ. ვთხოვ შემობრძანდეს. მიხარია, რომ უკვე ჩაცმული ვარ, თუმცა ჰალსტუხი ჯერ არ მიკეთია. შემოსვლაზე არ შეყოყმანებულა, ჯიბიდან ჩიბუხი ამოიღო. ალბათ არც მე უნდა წამოვუდგე, რაკი თვითონ არ გამეცნო. ჰოდა, დგას ახლა ჩემს წინ პირმომღიმარი, აყლაყუდა, ჩვენთან შედარებით ახალგაზრდა, თმაჯაგარა სტუდენტი თუ მოცეკვავე; ოღონდ არც წვერი აქვს მოშვებული და არც ჟილეტი აცვია. ლამაზია თუ არა, ვერ ვიტყვი. ყოველ შემთხვევაში, საძაგელი ნამდვილად არ ეთქმის. მისი მზერა ჩემზე არ მოქმედებს, მაგრამ ის ჩემთან არც მოსულა. ვეკითხები, ბარგი თუ გაქვთ-მეთქი. დაბნეულად მპასუხობს. არ შეგაწუხებთ, თერთმეტ საათზე ისევ მოვალო, მეუბნება იგი. ბარგს ალბათ აეროპორტში დატოვებდა, რომ ხელები ლილას ბარგის წასაღებად გაენთავი-

სულელებივით. მაინც ცოტა არ ექნებათ, თუ ურუგვაიში აპირებენ გაფრენას. პალტოს არ იხდის. ოდნავ დარცხვენილი კი ჩანს, მაგრამ, ეტყობა, მხოლოდ ჩემს გამო. ალბათ ლილამ თუ მისწერა, სცენებს მიწყობსო. მე თავს მოვერევი, ამ სტუდენტსა თუ მოცეკვავეს გავაოგნებ, მაგრამ ამ[illegible] გავხდები. ეტყობა, კარგად იცის, რომ ლილა მის მზერას ვერ[illegible] ვერ ეტყვის. მაშ ფეხს ნუღარ ვითრევთ! თქვენ ლილა გნებავთ, არა? ჩემს სტანდარტულ შეკითხვაზე ეღიმება. ლილა შინ გახლავთ! — ვეუბნები და ზევით, საწოლი ოთახისაკენ მივუძღვები: წამობრძანდით. უკანასკნელი სიტყვა, ცოტა არ იყოს, მქვახედ მივახალე და ახალგაზრდა კაცმა აღარ იცის როგორ მოიქცეს. ვითომ ალმაცერნამ გაუარა? მაინც მომყვება, ჩიბუხი ხელში უჭირავს, კარზე რომ დავაკაკუნე, ჩიბუხი პალტოს ჯიბეში ჩაიდო, ალბათ ორივე ხელის განთავისუფლება თუ უნდოდა. ამ წუთში თვითონაც ვერ გამიგია, რატომ ვიქცევი ასე, ყოველ შემთხვევაში არც მგონია, სხვაგვარად თუ შეიძლება მოვიქცე და ჩემს საქმეს სავსებით გულდამშვიდებული განვაგრძობ. ერთხელ კიდევ ვაკაკუნებ კარზე. ჩემი ლილა არ მინდა შევაშინო, თუ იმას ვუფრთხი, რომ ამ ახალგაზრდა კაცის წინ წესიერებას რაიმე არ შევიფერო და სახლიდან არ გამოვჩნდე, არ ვიცი. მოგეხსენებათ, სიყვარულში საკუთრება არ არსებობს. ავერად, ვაკაკუნებ. პასუხი არ ისმის. მაშინ წყნარად ვაწვები სახელურს, რომ ლილას ხმაურზე ძილი არ დაუფრთხეს — უხეშად გამოღვიძებას ვერ იტანს ლილა. ამ ვაჟბატონს არ აწყენდა ეს კარგად დაემახსოვრებინა. ზღურბლზე რატომღა იცდის? სინათლეს ვანთებ, რადგან შტორები ჩამოშვებულია. განა არ იცოდა, რომ საერთო საძინებელი ოთახი გვექნებოდა? მგონი, მართლა ეძინა, თორემ ჩიბუხს ისევ პირში არ გაიჩრიდა. ლილა, როცა გაღვიძება არ უნდა, მხარს იცვლის ხოლმე. მე მხარში ვკიდებ ხელს. დროა სინამდვილეს დაუბრუნდეთ, ჩემო კარგებო, დროა! ცოტა ხანიც და ლილა ნებიერად იზმორება. მე ვეუბნები: ლილალაინ! და რაკი თვალს მაინც არ ახელს, ვუმატებ: მარტორქა ჩამოვიდა! თითქოს ბავშვს ელაპარაკებოდე. ვინ ჩამოვიდა? მთქნარებით კითხულობს იგი, ხოლო პალტომოდებული სტუდენტსა თუ მოცეკვავეს, რომელიც ეტყობა, ასეთ დახვედრას არ მოელოდა, გაოგნებისაგან კვლავ ჩიბუხი აუღია ხელში. ლილამ ისე წამოიკივლა, თითქოს საწოლ ოთახში ბუხრის მწმენდავი დაინახაო, და წამოიკივლა ერთადერთი სიტყვა: ჩემი სახელი, რომელსაც, მე თუ მკითხავთ, ამ ვითარებასთან საერთო ბევრი არა აქვს რა. ვიცინი, მაგრამ მაშინვე ვიკავებ თავს. ბოდიშს გიხდით-მეთქი, ვამბობ, ოთახიდან გამოვდივარ და გარედან ვკეტავ კარს, გასაღებს შარვლის ჯიბეში ვიდებ, ნელ-ნელა მიპყრობს ძრწოლა, რომ ეს მართლა ჩავიდინე, არა მარტო გავიფიქრე, არამედ ჩავიდინე კიდეც. სააბაზანო ოთახის კარებზე დაკიდულ პალსტუხს ვხსნი, ყელზე ვისკვნი, ვიღებ პიჯაკს და ერთხანს ასე ვდგავარ, მერე ვამოწმებ, მანქანის გასაღები ჯიბეში მაქვს თუ არა. ცოტა ხანს კიდევ ვაყოვნებ და რაკი არაფერი ხდება, სახლიდან გამოვდივარ, მანქანაში ვჯდები, აუჩქარებლად ვრთავ მოტორს და მივდივარ. მზიანი დილაა და ტენტი გადახდილი მაქვს, ქარი თმაში მიქრიქინებს, ვუსტვენ, საჭეზე მხოლოდ მარჯვენა ხელი მიდევს, ვუსტვენ, მარცხენა ხელი კარზე მაქვს გადმოდებული, მანქანა ნელა მისრიალებს ამწვანებულ ხეივანში. დრო ბევრი მაქვს. სტვენა რაღაც უსიამო გრძნობამ შემაწყვეტინა, გულში უეცრად გამკრა რაღაცამ, სწრაფი რბოლა არაფერს მშველის, უეცარი

ეჭვი მღრღნის, ლილას ოთახში რომ კაცი ჩაიკეტა, ნამდვილად „ის" იყო თუ არა. ეჭვი მოსვენებას არ მაძლევს, პოლიციელივით დამივლის თავს, [illegible] შუა გზაში მაჩერებინებს და საბუთს მთხოვს. ის თუ არ არის, მაშინ? [illegible] საბუთი მართლაც არა მაქვს, ნამდვილად არ გამაჩნია არავითარი საბუთი. საიდან შეცოდინება, სინამდვილეში როგორია მარტორქა? ჯ[illegible] მა-ვივლე. მათი ოთახის გასაღები მართლა მიდევს შარვლის მარჯვენა ჯიბეში. მაშ, სიზმარში არ ვყოფილვარ. ერთხანს ვითომ ფიქრებს მივყვები. მაინც რას ვფიქრობ? გულის დასაწყნარებლად ამოღებული სიგარეტი ისე გადავაგდე, არც მომიკიდებია, უკანა სვლა ჩავრთე, საჭე ორივე ხელით მოვატრიალე და გაზი ისე ძლიერად მივეცი, თითქოს ამ ამბავს სისწრაფით ეშველებოდა რამე... კარი გამოუმტვრევიათ, საწოლი ოთახი ცარიელია, ისინი ქვევით სხედან სასტუმრო ოთახში, ლილას ლურჯი დილის ხალათი აცვია, იმას პალტო გაუხდია, დაუგორგლებია და მუხლებზე უდევს. ახალგაზრდა კაცი თურმე სამედიცინოზე სწავლობს, მაგრამ თეატრისკენ მიუწევს გული და ლილას რჩევას სთხოვს. კვლავინდებურად გაოგნებულია ჩვენი ოჯახის წეს-ჩვეულებებით, მაგრამ არაფერს იმჩნევს. ლილა ისე საქმიანად ლაპარაკობს, თვალში აღარ გხვდება, შილიფად რომ არის ჩაცმული. საუბარი კიდევ ნახევარ საათს გრძელდება. როცა სტუმარი მიდის, ლილა მეუბნება:

— მე მივდივარ.

ერთი კვირის შემდეგ (სამწუხაროდ, ზედმეტად ნათქვამი სიტყვა მთელი სიცოცხლის მანძილზე წარუშლელი რჩება) ლილა წავიდა. გიჟთან არ გაეძლება. ეს კარგად მესმის.

მერე რა, რომ ყველაფერს ეხედავ!

ვზივარ სავარძლის ზურგზე და კორპსაძრობს ვათამაშებ. რბილ იატაკს თეთრი ტილო აფარია. საფერფლეები დაცლილია. საყვავილეებიც დაცლილია, რომ შმორის სუნი არ დადგეს, ვზივარ პალტოგაუხდელი, ქუდმოუხდელი, რადგან გარეთ წვიმს. ხალიჩები დაგორგლილია, დარაბები დახურული. იმ პირებზე, აქ რომ უცხოვრიათ, ერთი რამ შეიძლება ითქვას დაბეჯითებით: ერთი მამაკაცი ყოფილა, მეორე ქალი. კარადაში ვხედავ კოფთებს, ქალის საცვლებს, რაც ჩემოდანში ვერ ჩატეულა. მეორე მხარეს ჰალსტუხები და ჩემი პიჯაკები ჰკიდია. ძირს ჩემი ფეხსაცმელები აწყვია, ზოგიერთში კალაპოტი დევს, თითქოს საძლეუმოდ იყვნენ გამწკრივებულები. ყველა კარი ღიაა. სამზარეულოში ონკანი წვეთავს, სხვამხრივ ოთახებში ისეთ სიჩუმეს დაუსადგურებია, თავი პომპეიში გეგონება. პალტოც მაცვია და ქუდიც მახურავს, ორივე ხელი შარვლის ჯიბეებში მიწყვია. თავი პომპეიში გეგონება: შეგიძლია იბოდიალო ოთახებში, ხელები ჯიბეებში გეწყოს, წარმოიდგინო, როგორ ცხოვრობდნენ აქ, სანამ ცხელი ფერფლი წანამქრავდათ უეცრად. აქაურობას არაფერი აკლია, ოღონდ სიცოცხლე გამქრალა. მას შემდეგ დიდი ხანი არ უნდა იყოს გასული. სააბაზანო ოთახში ჯერ კიდევ ჰკიდია მისი ლურჯი დილის ხალათი. არ ვიცი, რა მოხდა სინამდვილეში...

ჩვენ ისევ ბუხართან ვზივართ, შუაღამე გადასულია, კარგა ხანია ხმა აღარ ამოგვიღია. ლილას ხელში გადაშლილი გაზეთი უჭირავს. ბედნიერი ვარ, რომ ვისკის ჭიქა, თუნდაც ცარიელი, ჯერ კიდევ ხელში მიჭირავს. ლილა ამთქნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს, ნაკვერჩხლებზე დადებული ნაპობი ისევ ჩაინავლა. ძილის დროა. სიტყვა-სიტყვით ვიგონებ, უკანასკნელად რა ვთქვით.

— წაიკითხე?

— ჰო, — მივუგე მე, — წავიკითხე.

პაუზა.

— არა, — თქვა მან, — ნუთუ ეს შესაძლებელია!

იგი მკვლელობას გულისხმობდა.

— წარმოგიდგენია, — შემეკითხა იგი, — როგორ უნდა ჩაიდინოს კაცმა ეს? რა საშინელებაა.

— ჰო, — მივუგე მე, — წავიკითხე.

— ვისკი ხომ დარჩა? — მკითხა მან.

— ლილა, მე რაღაც ვთქვი.

— უკაცრავად! — წამოიძახა მან და სახეზე შევხედე, როცა მკითხა: — რა თქვი?

— მე ვთქვი, წავიკითხე-მეთქი.

— შემაძრწუნებელია, არა?

— ჰო...

მეტი აღარაფერი გვითქვამს.

— ჰო, — ამბობს ლილა, — დავიძინოთ!

განტენბაინობას არა ეშინია.

ჩემს თავს ვეკითხები, რა პროთეზისას შეიძლება მოჰყიდოს ხელი განტენბაინმა, ისე რომ არ დასთმოს ბრმის როლი. ჩემი აზრით, არჩევანი დიდია, მაგალითად, აკროპოლის გიდობა: ბრმის სათვალეთა და ხელჯოხით შეიარაღებული განტენბაინი თავის ჯოხს აკროპოლის მარმარილოს კიბეებზე მიაკაკუნებს, როგორც ჯგუფი აჰყვება. განტენბაინი ერთადერთი კაცია ჩვენს დროში, რომელსაც არა თუ საკუთარი თვალით არ უნახავს ის, რასაც მოგზაურები ხედავენ, არამედ კინოში და ფოტოსურათებზეც კი არ უხილავს აკროპოლი. იგი ხალხს არ უუბნება, მარცხნივ და მარჯვნივ ამას და ამას ხედავთო, პირიქით, მათ ეკითხება და ისინიც იძულებულნი არიან სიტყვით აუწერონ, რასაც თვალით ხედავენ. ხანდახან ჩამოჯდება და შუბლიდან ოფლს იწმენდს. განტენბაინი არავის აგრძნობინებს, რამდენ რამეს ვერ ხედავენ ისინი. ტურისტები ფოტოაპარატებს აჩხაკუნებენ. განტენბაინს ვერ გაუგია, რა აქვთ ამდენი საჩხაკუნო და სანამ ისინი ჩხაკუნით იჯერებდნენ გულს, ჩიბუხს უკიდებს. იგი გულისამაჩუყებელ კითხვებს იძლევა. პართენონის ყველა სვეტი ერთი სიმაღლისაა თუ არა? ამას ვერ დავიჯერებო, ამბობს განტენბაინი. მისი მოსაზრებანი ყურადსაღებია. სვეტები თანაბარი მანძილითაა დაშორებული ერთმანეთისაგან თუ არა? ვიღაც ხაზის უწევს და ზომავს. არა! განტენბაინს არ უკვირს ეს ამბავი, ძველი ბერძნები ბრმები როდი იყვნენ. ხანდახან ფეხს ვერ მოიცვლი ადგილიდან, იმდენ კითხვებს დაგაყრის განტენბაინი, თან ისეთ კითხვებს, კინოაპარატით რომ ვერ უპასუხებ. იგი ვერ ხედავს ავტობუსს, რომელიც საზოგადოებას ელოდება, ამჯერად სუნიონში წასაყვანად. თავს იკატუნებს, თითქოს არ იცოდეს, რომ მას უცდიან. ჩიბუხს ტენის და თავი ისე უჭირავს, თითქოს თვითონ უცდიდეს იმ ხალხს, აკროპოლის ცქერით რომ ვერ გამაძღარან. საზოგადოების ყურადღებას უპირველეს ყოვლისა იმით იპყრობს,

რომ აღტაცებას არ გამოხატავს. რა საცოდაობაა, განტენბაინი აქაურობას რომ ვერ ხედავს! ისე ჩამომჯდარა ერთ-ერთი სვეტის ნამტვრევზე, თითქოს აკროპოლში არც იყოს, მხოლოდ თავის ჩიბუხს უკირკიტებს, სწყინდება და არც იმის იმედი ასულდგმულებს, რომ იქნებ შემდეგ ფერად სლაიდებზე მაინც ნახოს, სად იყო დღეს. მას ხელით დაატარებენ, რათა დაანახონ ერეხთეიონი, აი, იქ ნიკეს ბაზილიკა აღმართულა, შორს სალამინის იისფერი ყურე მოჩანს, იქით დიონისეს თეატრი, და საკმარისია განტენბაინმა კვლავ საწინააღმდეგო მხრისაკენ იბრუნოს პირი, რომ სხვებმა კიდევ უფრო უკეთესად დაინახონ ეს ღირსშესანიშნაობანი. ზოგიერთებს ისე ეცოდებათ განტენბაინი, რომ გამორჩეულ სიტყვებს ეძებენ ამ კურთხეული ადგილების ასაწერად და ამასობაში თვითონვე ეხილებათ თვალი. მათი სიტყვები უმწეოა, მაგრამ, სამაგიეროდ, აღტაცებისაგან თვალები უელავთ; განტენბაინი თავს უქნევს და უსმენს, თავს უქნევს და ჩიბუხი უქრება. განტენბაინი დარდობს, სამარეში ისე ჩავალ, აკროპოლის ნახვას ვერ ვეღირსებიო, ეს კი სხვას აფიქრებინებს, ძვირი დაგიჯდა თუ იაფი, ღირდა ეს მოგზაურობაო. ბრმა გიდთან ურთიერთობა ძნელია, მაგრამ მომგებიანია: მოგზაურებისათვის სულიერად, განტენბაინისათვის კი ეკონომიურად — რასაც ისინი სლაიდებზე დაზოგავენ, ის განტენბაინის ჯამაგირს წაემატება...

მე გამოვაქვეყნებ განცხადებას:

„იმოგზაურეთ ბრმასთან ერთად! ამ შთაბეჭდილებებს ვერაფერი შეედრება! მე თვალს აგიხელთ! გთავაზობთ მოგზაურობას ესპანეთში, მაროკოში, საბერძნეთში, ეგვიპტეში და სხვაგან“.

განტენბაინობას არა ვთმობ. ლილაც ბედნიერია...

საიდან ვიცი?

რა თქმა უნდა, ეს განტენბაინი არც ისეთი ფაქიზი სულის პატრონია, როგორც მე გიხატავთ. ერთხელ, მგონი, მაინც წაიკითხა ლილიური წერილი და რამდენიმე წინადადება დაიმახსოვრა კიდეც.

„ყოველთვის შენთან მიგულე“.

(სამწუხაროდ, წერილი დაუთარიღებელია).

„ასეც არა უშავს, რა გატირებს? ყველაფერი მესმის. რატომ უნდა გაგიბრაზდე, თუკი, როგორც იწერები, შენდაც ბედნიერი ხარ? ასეც არა უშავს“.

მაშ ლილა ბედნიერი ყოფილა.

მეტი რაღა უნდა განტენბაინს?

„როდის ავალთ მეშვიდე ცაზე? შენი ლილი“.

განტენბაინი გიდი...

განტენბაინი კალმახს არჩევს...

განტენბაინი თამაშობს ჭადრაკს...

განტენბაინი „კრუიზ ლაინერზე“...

განტენბაინი მასპინძელი...

განტენბაინი ქალაქის ექიმთან...

განტენბაინი შინ მოკლე ჩართვისას...

განტენბაინი დიორის Boutique-ში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

განტენბაინი თაიგულს კრავს...
განტენბაინი აეროდრომზე...
განტენბაინი ბრმა მეუღლის როლში.
ეს ყველაფერი წარმომიდგენია.
მაგრამ განტენბაინი — მეგობარი?

ერთმანეთს ქუჩაში ვხვდებით, განტენბაინს ყვითელი სამკლავური უკეთია და მის დანახვაზე გული მეწურება, ვლაპარაკობთ სამყაროზე, რომელსაც იგი ვერ ხედავს. თუმცა ყოველ შეხვედრაზე მეკითხება, როგორა ხარო, მაგრამ პასუხის გაცემას ვერ ვბედავ. ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს. კარიერაზე არ ლაპარაკობენ, როცა სხვა ამ კარიერას ვერ ხედავს. ტრაბახა ხომ არა ვარ. განტენბაინმა იცის ჩემი ოდინდელი შეხედულებანი და რაკი დარწმუნებული ვარ, რომ განტენბაინი მაინც ვერ ხედავს, წლიდან წლამდე როგორ იცვლება ჩემი ცხოვრების წესი, თავს ისე ვაჩვენებ, თითქოს ხელის ჩამორთმევიდან ჩამორთმევამდე არც ერთი არ შევცვლილიყოთ. განტენბაინიც ასევე იქცევა...

მაგრამ ერთხელ განტენბაინი ჩემთან სტუმრად მოდის. მე დამავიწყდა, როგორ შეიცვალა ჩემი ცხოვრების წესი, შევეჩვიე კიდეც ასე ცხოვრებას, სტვენა-სტვენით შემოვდივარ სახლში, მაგრამ ქუდს ვკიდებ თუ არა, ვკრთები: ქუდი ნამდვილად ჩემია, მაგრამ ახალია. ამ ქუდს ხელოვნური ტყავის სარჩული ოფლისაგან გაზინთული არა აქვს. ძლივს დავდექი ისევ სტვენის გუნებაზე, რომ ვხედავ, ჩემი პიჯაკიც ახალი ყოფილა: ნატის პიჯაკია, ოღონდ საყელო ოფლისგან არა აქვს გაზინთული. ეტყობა, ასეთი პიჯაკი რამდენიმე მაქვს და ვერც ვიგებ, ისე იწმინდება ხოლმე. ოფლს ვერსად გაექცევი და რამდენადაც მახსოვს, ღია ფერის ნატი ძალიან იოლად ჭუჭყიანდება. ასეა თუ ისე, პიჯაკი ისე დაუდევრად მიაგდე, თითქოს ეს ჩემი ძველი ქურთუკი ყოფილიყოს და მეც ჩემს სტუდენტურ სოროში დავბრუნებულიყავი. ამ დროს გარეთ ყეფა მოისმის. ვხედავ ჩემს თავს საბელით ხელში. საბელი ღორის ტყავისაა და ისიც ახალი გახლავთ. ყეფის გაგონებაზე შევკრთი. იქნებ დოგი გაგვიჩნდა სახლში? იმედია, არ იკბინება. დაუდევრად მიგდებული ნატის პიჯაკი მოვიძებნე, რადგან ძაღლის ყეფაზე მივხვდი, ვიღაც იქნებოდა მოსული, დაბნეული ვიყავი, მაგრამ მაინც შევამჩნიე, რომ პიჯაკი უკვე საკიდზე დაეკიდებინათ კოხტად. მაშ, მსახურებიც გვყოლია. თავი მეტად აღარ შემიწუხებია და ვიკითხე, დოგს ასე რა აყეფებს-მეთქი. ვიღაც ბატონი გელოდებათ ჰოლშიო. აჰა, მაშ ჰოლიც გვქონია. მოახლე მეუბნება, იმ ბატონის გვარი განტენბაინიაო. მოახლის ტონი მიმანიშნებს, თუ თქვენი და მისი ძაღლი ვერ მორიგდებიან, მე თქვენს მხარეზე ვიქნებიო, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოახლეს კარგ ჯამაგირს ვუხდით. იგი ახლა პიჯაკს მიმარჯვებს. ყეფამ ცოტა დამაბნია და განტენბაინს ბოდიშს ვუხდი — ეტყობა, იგი მეორე მსახურს შემოუყვანია ჰოლში. ჯერ დოგს, თუ რაც არის, საბელი უნდა შევაბა. ბოდიშს გიხდი! ვეუბნები ჩვენს სახლში პირველად შემოსულ ბრმას და ერთის მაგიერ სამ დოგს ვხედავ, რომლებიც პატრონის დანახვისთანავე თვინიერდებიან. ადგილზე! ვამბობ მე და საბელი აღარ მჭირდება. დოგებს სკივრზე ვაწვენ. სკივრი ახალი არ გახლავთ! პირიქით, მას აშკარად სიძველის ბეჭედი აზის. ბოდიშს გიხდი! ვიმეორებ მე, ხოლო განტენბაინი ისე იქცევა, თითქოს ამასობაში მოახლეს კი არა, მე ჩამომერთვას მისთვის პალტო და ახლა ხელს

ვართმევდე. ერთმანეთს ძველებურად მივესალმეთ. მხოლოდ დოგებმა დაშაშნიეს ერთი წუთით, თორემ მისი დახახვა გულწრფელად გაუხარდა. რაკი იქვე პოლში ჩამოკიდებულ მატისზე არაფერს ამბობს, უფლება მაქვს ვიფიქრო, რომ ნამდვილად ბრმა არის და ეს აზრი ნელ-ნელა მა[illegible]ის პიჯაკი მეხამუშება მხოლოდ. დაბრძანდი-მეთქი, ვეუბნები [illegible]ქარძელს ვერ ხედავს, სავარძლისკენ მიმყავს და გულზე მეშვება, განტენბაინი ჩვენს სასტუმრო ოთახს რომ ვერ ხედავს. სამაგიეროდ, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ამ ოთახს მე თვითონ პირველად ვხედავდე. ისე ვეკითხები, შენსკენ ახალი რა არის-მეთქი, თითქოს აქ ყველაფერი ძველებურად იყოს. როგორაა შენი ლილა? ვეკითხები და თან განტენბაინს, ჩვენს ძველ მეგობარს, თვალს არ ვაცილებ. ვითომ მართლა არ ათვალიერებს აქაურობას? თვალიერებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ეტყობა, იმას კი გრძნობს, რომ ბარში ერთადერთი ბოთლი არ უნდა მედგეს და კამპარის რომ ვთავაზობ, კონიაკს ამჯობინებს. კონიაკი არა მაქვს! ვეუბნები შვებით და ეს სიმართლე გახლავთ. სამაგიეროდ, არმანიაკი მაქვს, თოთხმოცდაათი წლის არმანიაკი, მაგრამ ამის თქმა აუცილებელი არ არის. იგი ისედაც ხვდება. აი, ეს მესმის! ამბობს იგი, თითქოს ის საგანგებოდ ჩამოსხმული შვიდლიტრიანი ბოცაც დაენახოს, რომელიც შეიძლება დიდებულადაც გამოიყურებოდეს, მაგრამ სინამდვილეში ბითუმად ყიდვა უფრო იაფი გიჯდება...

სალაპარაკო თემა ვერ გამომინახავს, მხოლოდ იატაკზე დაფენილ ნოხს ვხედავ...

არმანიაკით დამტკბარი განტენბაინი ლილაზე იწყებს ლაპარაკს, მადლობა ღმერთს, ჩვეულებისამებრ ალერსიანად ახსენებს. უფრო მის ხელოვნებაზე ლაპარაკობს პატივისცემით (რათა ინტიმური ამბებით არ მომაბეზროს თავი) და ამით ამ ქალის გარშემო დარხეულ ჭორებს (რაც ყველამ იცის და, ბუნებრივია, მეც მეცოდინება) აბათილებს. იმედი მაქვს, თავს არ იტყუებს, გულწრფელად მინდა არ ტყუვდებოდეს. ლილა ნამდვილად დიდი მსახიობია.

ამგვარად, ხელოვნებაზე ვლაპარაკობთ...

მე ვხედავ:

იატაკზე გადაკრულ მოცისფრო ნოხს და მის ფონზე ჩემს მარცხენა ფეხსაცმელს. ფეხსაცმელი ახალია, არაფერს შველის ის, რომ ხან მარჯვენა ფეხს გადავიდებ მარცხენაზე, მარჯვენა ფეხსაცმელიც ახალია, ფეხსაცმელი დარბაისლური მაცვია, თავვისფერია და წინდაც მისი შესაფერი მაქვს შერჩეული. მხოლოდ წვივის კანი და ზედ ამოსული ბალანი არ არის ახალი. უეცრად ჩვენი ბავშვები შემოზრიალდნენ ოთახში, მაგრამ განტენბაინი ისე დიდებულად თამაშობს ბრმის როლს, რომ ბავშვებმა დაირცხვინეს და სტუმარს ისე მიესალმნენ. არც ბავშვები არიან ახლები, მხოლოდ გეჩვენება ასე, რადგან ვიტრინიდან ეს-ესაა გამოლებულივით ახალთახალი და მაღალხარისხოვანი აცვიათ ყველაფერი, თვით საშინაო ფეხსაცმელებიც კი. აბა, გარეთ! ვეუბნები ბავშვებს, მაგრამ არც ეს ცვლის იმ ფაქტს, რომ პერანგზე ოქროს საკინძები მიკეთია. შეუმჩნევლად ვიქაჩავ ჯემპრის სახელოებს და აბრეშუმის მანჟეტებს ვმალავ. რაზე ვლაპარაკობდით? ჰო, ბავშვებზე, როგორ იზრდებიან ბავშვები, არა? ის იყო დავაპირე, ბავშვების ერთი ენამოსწრებული ნათქვამი გამეხსენებინა, მაგრამ მაშინ ისიც უნდა მეთქვა, კანარის კუნძულებზე რომ ვიყავით და თავი შევიკავე. ამის მაგიერ განტენბაინს ვკითხე, ხომ არაფერი გიშლის-

მეთქი. გაჭირვება, იმედია, ფულთან არ იქნებოდა დაკავშირებული, თორემ უყოყმანოდ დავეხმარებოდი და მაშინ გამჟღავნდებოდა კიდეც, რომ ახლა მდიდარი კაცი ვარ.

დუმილი.

პოლიტიკაში ძველებურად ერთნაირ პოზიციაზე ვდგავართ, მხოლოდ სერიოზულობის ხარისხით განვსხვავდებით ერთმანეთისაგან. ორივენი მემარცხენეები ვართ, ოღონდ პოლიტიკას მე უფრო სერიოზულად ვეკიდები. განტენბაინი რომ მემარცხენეებზე ოხუნჯობს, ასე ოხუნჯობის უფლებას მე თავს ნამდვილად ვერ მივცემდი.

გაისმის საათის რეკვა.

— მემკვიდრეობით გვერგო, — ვამბობ მე.

განტენბაინი აქეთ-იქით არ იხედება, მხოლოდ ყურს უგდებს, სანამ ჩემი მემკვიდრეობა ხმიანობს და შემდეგ კიდევ ერთ ჭიქა არმანიაკს მთხოვს. არა გცხელა? ვითომ სხვათა შორის ვეკითხები და ნატის პიჯაკსაც ვიძრობ და ჰალსტუხსაც. ვაი რომ, ფარდებს, შპალიერსა და ნოხს ფერადულის მოვუხერხებ. განტენბაინის აზრით, ოთახში არათუ ცხელა, პირიქით. გრილა კიდეც და ახლა იმას ვფიქრობ, ბუხარი გავაჩაღო თუ არა. მინდა ბუხარზე ფიქრი მოვიშორო თავიდან (ეს ბუხარი ერთი ტოსკანური სასახლიდანაა წამოღებული), ამ დროს სწორედ წიგნების თაროებით დაფარულ კედელს ვუყურებ და ბალზაკის პირველ გამოცემას ვახსენებ, ახლახან რომ ჩამივარდა შემთხვევით ხელში. ჩალის ფასად ვიყიდე! ვამბობ და ფასსაც ვეუბნები, რომ განტენბაინმა უფრო მეტი არ იფიქროს და რაკი ფეხზე ვარ, სიგარასაც ვთავაზობ. რა სიგარები გაქვს? მეკითხება იგი და უეცრად მიკვირს, რატომ ვცდილობ თვალში ნაცარი შევაყარო. ყველანაირი მაქვს. განსაკუთრებული სიგარებიც კი მაქვს, განტენბაინს ჯერ გასინჯულიც რომ არ ექნება: ჰავანური სიგარა, მაგრამ დაწნული, დიახ, ასეთიც არსებობს. ჩემი მომმარაგებელი მაწოდებს. გასინჯე ერთი! ვეუბნები და საუბარს არ ვწყვეტ. რაზე საუბარს? ვითომ ვერცხლისტარიან ჯაყვას ვერ ვპოულობდი. სიგარას ბოლოს ვაჭრი და ისევ ვჯდები. საფერფლე წინ გვიდევს, ჩინური პორცელანის საფერფლე. ისიც უნიკალურია, განტენბაინი ვერც საფერფლეს ხედავს, მე კი ყველაფერს ვხედავ, მგონი მუსიკაზე ვსაუბრობთ, ელექტრომუსიკაზე და ვნანობ ჩემი მეუღლე არ შემოგვესწრებოდეს. მუსიკაზე თუ ჩამოვარდა სიტყვა, ყოველ სტუმარს თავისი ქნარი უნდა უჩვენოს, რომელიც ახლახან შემთხვევით იყიდე. ძვირი არც ის დამჯდომია, შემდეგ ჩემი მეუღლე ქნარს აიღებს ხოლმე და აღმოჩნდება, რომ ნოტების ზარდახშაც ძვირფასი ყოფილა, შუა საუკუნეების ნაზელავი, მგონი, სამხრეთ საფრანგეთში გაკეთებული. როცა განტენბაინი არ ლაპარაკობს, სიჩუმეა, მაგრამ ამ სიჩუმეს მაინც არ ეთქმის სიჩუმე. მაშინ თითქოს ირმისტყავგადაკრული თეთრი დივანი ლაპარაკობს, საითაც არ უნდა გაიხედო, ყველაფერს გემოვნების ბეჭედი აზის, განა რამეა გადამეტებული, არა, მაგრამ არც ერთი ნივთი აღარ შეიძლება კიდევ უფრო უკეთესი, უფრო მშვენიერი ან თუნდაც უფრო გამოსადეგი იყოს. თითქმის მახარია, განტენბაინი, აქაოდა ბრმა ვარო, ჩვენს თეთრ ირმის ტყავს რომ სწვავს ერთვან სიგარით. არაფერს ვიმჩნევ. ბურგუნდიულზე რას იტყოდი-მეთქი? განტენბაინი ისევ ხელოვნებაზე ლაპარაკობს, ოღონდ ჰავანური დაწნული სიგარის შექებაც არ დავიწყებია, არ შემიძლია არ დავეთანხმო განტენბაინს, რომ ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოვნება შინაარსისაგან უნდა დაიცალოს, ხელოვნებას არ სჭირდება არავითარი დასაბუთება, ცხადია, სამყაროს შეცვლა ხელოვნების ამოცანა არ არის. საბედნიეროდ, ოთახში აღმოჩნდა ერთი ბოთლი ღვინო და მოახლის [illegible] აღარ დამჭირდება. მოახლე გაგვაწყვეტინებდა საუბარს. ბოთლს საცობს ვაძრობ, არ ვიცი, განტენბაინს ვინ ვგონივარ. ჩვენ აზრები და [illegible] კი არ გვაშორებს ერთმანეთს, არამედ მხოლოდ ეს საფერფლე [illegible] ნები, იგი რომ ვერ ხედავს. შემცვალა თუ არა სიმდიდრემ? გემოვნება ყოველთვის მქონდა, ოღონდ წინათ არ შემეძლო ჩემი გემოვნება სინამდვილედ მექცია. რა მერე? ჰოდა, ახლა ჩემს გემოვნებას კიდევ ჩემი მეუღლის გემოვნება დაემატა... მაგრამ განტენბაინი ხომ არაფერს ამბობს, ბურგუნდულს აქებს მხოლოდ. საწყალი, ვითომ რა უჭირს, ერთი ყუთი ღვინო რომ გავუგზავნო? სიხარულით გავუგზავნიდი, ცუდად თუ არ გამიგებს. ეს სხვათა შორის. ახლა მეც ვატყობ, რომ ცივა. ბუხრის გაჩაღება არ იქნებოდა ურიგო. მიკვირს, ნეფრიტის კოლოფიდან რომ ვიღებ, ის ასანთიც, პალაცოს ბუხარში რომ ვაწყობ, ის ნაძვის შეშაც და წიფლის კუნძებიც ჩვეულებრივი ხე რომ არის და ჩალის ფასი რომ ღირს. თუმცა რატომღაც სწორედ იაფფასიანი საგნები მაგონებს ხოლმე ფულს.

შემდეგ შემოდის ჩემი მეუღლე.

ეტყობა, იგი მთლად დარწმუნებული არ არის, რომ განტენბაინი ბრმაა და ამიტომ ატმოსფერო იძაბება. მე კი ნამდვილად მჯერა, რომ განტენბაინი ვერ ხედავს ჩემი მეუღლის სამკაულებს. ყოველ შემთხვევაში, თავი ისე უჭირავს, ვითომ ამ სამკაულებს ისიც ჩემსავით იყოს შეჩვეული.

მე ჩემს სამუშაოზე ვლაპარაკობ.

ბევრს ვმუშაობ: მეტი სიმდიდრის მოსახვეჭად არა, უბრალოდ, მუშაობა აუცილებელია. რასაც არ უნდა მოვკიდო ხელი, ჩემთვის სიმდიდრე მოაქვს. თან იმდენს ვხარჯავ, რაც გონიერების ფარგლებს არ სცილდება. ვყიდულობ ბორცვს ტესინში, ყურეს მილოვის მახლობლად, ტყეს ავსტრიაში. მყავს ვექილი, რომელიც ჩემი წყალობით მდიდრდება, ნაგრამ, სამაგიეროდ, თავს არ იზოგავს და მეც მამდიდრებს. და ის ერთადერთი არ არის — ყველა ცდილობს გამამდიდროს. რა ვქნა, თუკი ფულმა კალაპოტი შეიცვალა და ჩემსკენ მოედინება. რა ჯანდაბად მინდა ბორცვი ტესინში, სულ ერთხელ მეტად რომ არ მინახავს? ბალახი ერთ მოხუც გლეხს ვაჩუქე სათიბად, ჩემთვის უსარგებლო წაბლის ხეებიც და მაყვალიც ზედ დავუსართე. იმ ბორცვმა კი არ იკითხავთ, რა ჰქნა? თავისი ფასი სამმაგად ამოიღო. რაც უნდა უბრალოდ იცხოვრო, ასეთ ამბებთან მაინც ვერაფერს გახდები. მე ჩემდა თავად თავზე ნაცარს წავიყრიდი, მარტო რომ ვრჩები, ისედაც სოსისზე და კარტოფილის სალათაზე გადავდივარ ხოლმე, ჩემი თანამშრომლებივით კვირაში ხუთ დღეს როდი ვმუშაობ, ხშირად დღე და ღამეს ვასწორებ, მაგრამ მაინც ვმდიდრდები და ვმდიდრდები. აბა რა ვქნა, გოლფი ვითამაშო? ამას, რა თქმა უნდა, არ ვამბობ, მხოლოდ გულში ვფიქრობ, როცა ჩემს სამუშაოზე ვლაპარაკობ ხოლმე. ჩემს მეუღლეს სწყინდება ეს ლაპარაკი, ისედაც იცის ყველაფერი.

— შენ ბევრს მუშაობ.

მე განტენბაინის გასაგონად ვლაპარაკობ, რომ ესმოდეს ჩემი. რატომ არაფერს ამბობს? მხოლოდ მაიძულებს, რაზეც კრინტს არ ვძრავ, ის დავინახო. რატომ არ მეუბნება, ეს ყველაფერი, ჰოლში დაკიდული მატისიდან

დაწყებული და ჩემი მეუღლის პლატინის საათით დამთავრებული, გულის ამრევი რომ ეჩვენება?

ჩვენს მეგობრობას ბოლო მოეღო.

ეს აზრი გულს მტკენს.

თუმცა იგი ბრმას თამაშობს, სიტყვით მაინც ჩავუმწარე... [illegible]ურ-ზე გასასვლელად გარაჟიდან ჩვენი „ფოლკსვაგენი" გამოვიყვანე [illegible] „იაგუარი", რომ განტენბაინს, თუ მართლა ბრმაა, სხვებით არ გამოეცნო ჩემს ცხოვრებაში მომხდარი ცვლილება.

განტენბაინი ირწმუნებს მიკარგავს.

ჩემს თავს ვეკითხები, მიყვარს თუ არა იგი...

წაგებული პარტიის შემდეგ მე და ბური ქალებზე ვსაუბრობთ, ვითომ ქალებზე, სინამდვილეში კი მამაკაცებზე, ქალზე რომ დიდი აზრის იქნება, ის მამაკაცი რა უბედურებას არ გადაეყრება.

ბურის შეხედულებანი (რამდენადაც გავუგე):

კაცი რომ საკუთარი ცოლის გამო იტანჯება, ის თვითონაა ყველაფერში დამნაშავე... კაცს იმორჩილებს თავისივე სიძულვილი ქალის მიმართ. ამაში საკუთარ თავსაც რომ არ უტყდებიან, იმიტომ არიან იძულებულნი ქალი გააღმერთონ და თვალზე თავისი ნებით გადაიკრან ლიბრი, ხოლო სინამდვილე რომ მწარე დარტყმას აგემებთ, მაშინ სხვასთან გარბიან, თითქოს ის სხვაც ქალი არ იყოს და თავის ოცნებას მაინც ვერ ელევიან... აი, რა იწვევს სიძულვილს: ქალის პასიურობა, კეკლუცობა იქაც კი, სადაც სულ სხვა ამბავი ტრიალებს, მათი მუდმივი მისწრაფება, ყველაფერი დაიყვანონ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობამდე. ყველა სხვა ინტერესს თუ გავამწვლებთ, ან საამისო საბაბი აღმოჩნდება, ან შენიღბვა ან ინტერმეცო. საძულველია ასევე სიყვარულის დაუოკებელი წყურვილი მათი, ისიც, ჩვენს სამსახურს რომ იფერებენ (ასანთის მიწოდება), იმედგაცრუებულნიც რომ ყოველთვის თვითონ უნდა დარჩნენ, საძულველია საერთოდ მათი მიდრეკილება საყვედურებისადმი, თან საყვედური უნდა გამოიცნო კიდეც, საძულველია მათი დუმილის ნიჭიც. ქალებს სურვილიცა აქვთ და ძალაც შესწევთ საკუთარი თავისთვისაც კი ამოუცნობნი დარჩნენ, უსაზღვრო მოთმინების უნარიც გააჩნიათ და მსხვერპლად ქცევის ცბიერი ნიჭიც. ამას დაუმატეთ მათი ამაზრზენი უნარი, რა წუთშიც გნებავთ საკუთარი თავის ნუგეშისცემა რომ შეუძლიათ, კეკლუცობას ბედნიერების ჟამსაც კი არ დაიშლიან, ყოველთვის ჰყოფნით ცბიერება, მამაკაცს გამოაჩენინონ ინიციატივა, ხოლო საქმე საქმეზე რომ მიდგება, მაშინ იმის უნარიც შესწევთ, მამაკაცს ნათლად არასოდეს აგრძნობინონ, რისი იმედი უნდა ჰქონდეს. ისინი აიძულებენ მამაკაცს, მან გადაწყვიტოს, რაც გადასაწყვეტია და ანით დანაშაულსაც წინასწარ მასვე აკისრებენ. საძულველია მათი ფხიზლიანობა, მათი მიდრეკილება, ოღონდ კი ვინმეს ზურგს ამოეფარონ და უშიშრად იგრძნონ თავი, თვითონ კი ისე იქცევიან, ვითომ ყოყმანი ვერ დაეძლიოთ... მოკლედ, ყველაფერი ის, რასაც მათი ჯილო ჰქვია... მამაკაცი მით უფრო დიდი რაინდი ჩანს, რაც უფრო მეტი სიძულვილი აქვს დასაფარავი... ბიოლოგიური განსხვავება: ქალს შეუძლია ერთ ღამეში ათ მამაკაცს გაუძლოს, მამაკაცი ათ ქალს ვერ დაიფარავს. მამაკაცს სურვილი უნდა მოერიოს, ქალისთვის კი სურვილი აუცილებელი არ არის. ამიტომ არსებობს

კაბა და არ არსებობს წესი მამრობითი სქესის შესატყვისი. ქალი იძულებულია მამაკაცის პატივმოყვარეობის გამო იპირფეროს და ითამაშოს ნეტარებისაგან მოთენთილის როლი, მაშინაც კი, როცა ვერაფერს გრძნობს. მამაკაცმა არასოდეს არ იცის მტკიცედ, რას განიცდის სინამდვილეში ქალი. მამაკაცი გასცემს თავს, ქალი კი არა. ეს მამაკაცს უნდოს ხდის... ქალი ატყუებს მანამდე, სანამ შეიყვარებენ, თუმცა, ხანდახან მას შემდეგაც [illegible] ადამიანობა. როგორც კი შეიყვარებენ, საოცრებად იქცევა და მასზე დანდობა აღარ შეიძლება...

— კარგი, — ვეუბნები მე, — ვითამაშოთ.
— მეთანხმები?
— სავსებით არა, — ვეუბნები მე. — შენი სვლაა.
თავის სვლის შემდეგ ბური ამბობს:
— რაც შეეხება შენს ლილას...
— ჩე-ე-მს?
სვლა გავაკეთე.
— აჰა, — ამბობს ბური, — აჰააა.

ლილას პროფესიას ვუცვლი.
(თეატრი მომყირჭდა).

ლილა მსახიობი აღარ არის, მეცნიერია, ექიმი. თეთრი სამუშაო ხალათი აცვია, ასისტენტად მუშაობს უნივერსიტეტის რენტგენოლოგიის ინსტიტუტში, ყველაფერი იცვლება: ლილა სანდომიანი ქალია, მაგრამ შავგვრემანი კი არ არის, ქერაა, სულ სხვა ლექსიკონი აქვს, რაც განტენბაინს თანდათან აშინებს, ყოველ შემთხვევაში, პირველ ხანებში მაინც ძლივს სცნობს თავის ლილას, ლილა ამბობს იმას, რასაც მსახიობი არ ამბობს და მუნჯდება ისეთ შემთხვევებში, სადაც მსახიობი ლაპარაკობს, მოკლედ, იცვლება საჩოთირო ცნებები, ჩნდება სხვა ინტერესები, სხვა მეგობართა წრე, უპირველეს ყოვლისა კი იცვლება ლექსიკონი, იმდენად იცვლება, რომ ბევრი საუბარი ლილასა და განტენბაინს შორის, დაწყებული პირველი კოცნიდან, თავიდან გასამეორებელი ხდება. მისი სააბაზანო ნივთები, რომელთაც განტენბაინი ხედავს, იგივე რჩება...

ანდა:

ლილა ვენეციელი ვიკონტესაა, კათოლიკე, მორფინისტი, საუზმეს ლოგინში მიირთმევს, ემსახურება ლურჯხალათიანი ლაქია. თვალები ალუბლებს მიუგავს. ლექსიკონი ისევ შეიცვალა, შეიცვალა მეგობართა წრეც, რომელიც განტენბაინს ბრმად თვლის. მოქმედების ადგილია პალაცო. მისი სააბაზანო ნივთები, რომელთაც განტენბაინი ხედავს, იგივე რჩება.

განტენბაინი არ იცვლება.

გამოვიდა ახალი ჟურნალი, მთავარი რედაქტორია ენდერლინი, პირველი ნომერი ურიგო არ არის, უფრო მეტიც, ჩინებულია, მაგრამ ენდერლინს უკვე ჩამოვეხსენი და აღარ მივუბრუნდები.

ლილა ვიკონტესას როლში:
(ასეც რატომ არ გამოდის არაფერი?)
იგი მართლა ვიკონტესაა, საუკუნეების მანძილზე მიეჩვია, რომ არ უნდა

დაუყვირონ და არც მე მომივიდოდა თავში, დავეყვირა მისთვის, თვითონ რომ არ გაიძახოდეს წამდაუწუმ, ნუ მიყვირით, მე მხოლოდ ის ვკითხე, ნუთუ გონგის ხმა არ გაგიგონია-მეთქი. ეს იყო ჩვენი ბედნიერების დასაწყისში, მას შემდეგ ვიცი, რა მგრძნობიარეა, რა მფრთხალი, რა ფაქიზად იქცევა შეკითხვებში ქვეტონებს და აღარ ვეკითხები, ნუთუ გონგის ხმა არ გაგიგონია-მეთქი. უბრალოდ ვიცდი, სანამ სუფრასთან მოვიდოდეს, [illegible] რომ დროის შეგრძნება აკლია, სამაგიეროდ, სხვა უფრო მნიშვნელოვან რამეებზე, ღმერთმანი, მეტისმეტად გამახვილებულიცაა აქვს გრძნობა. მაგალითად, არ აკლია სტილის გრძნობა და მარტო ეფექტურ ჟესტში როდი ამჟღავნებს თავის სტილს, მის ლექსიკონში ერთი ვულგარული სიტყვაც არ ურევია, მაგრამ რასაც უნდა, მშვენივრად გამოთქვამს და მის დუმილსაც კი თავისი სტილი აქვს. წარმოუდგენელია, ვინმე ვიკონტესასავით არ მოიქცეს. მის გვერდით შემთხვევით მოხვედრილი ადამიანებიც კი სტილს იძენენ. ამას ყოველ ნაბიჯზე ვხედავ. განტენზაინსაც ვატყობ — იგი ვიკონტი არ არის, მაგრამ თავი ვიკონტივით უჭირავს, მით უმეტეს, რომ ჯერ არ შეხვედრია ვიკონტი, ნამდვილი ვიკონტივით რომ იქცეოდეს. ამგვარად, მე ვიცდი.

სადილს არ ველოდები, მხოლოდ იმიტომ ვიცდი, რომ სადილობის დროა. ველოდები ვიკონტესას, იგი ყოველ წუთს შეიძლება შემოვიდეს, რადგან ახლა სადილობის დროა. ლოდინში მუშაობა არ შემიძლია. ამგვარად, მე ვიცდი: ველოდები არა ვიკონტესას, არამედ იმ წამს, როცა იგი ლოჯიდან შემოვა ან კიბეს ჩამოივლის... იქნებ ჯერ კიდევ სძინავს და გონგის ხმა არ გაუგონია... დროის გასაყვანად შემეძლო ახლა ამეწერა, როგორ შემოვა იგი ლოჯიიდან ან კიბეს როგორ ჩამოივლის: დილის ხალათი ეცმევა, მაგრამ თმა დავარცხნილი ექნება, ან დილის ხალათი ეცმევა ან შარვალი, სახეზე ბავშვური გაოცება ექნება აღბეჭდილი, რომ ამქვეყნად ისევ დამდგარა შუადღე; იგი გამხნევებას ელის, ფერმკრთალია, მაგრამ მშვენიერი, ალუბლებივით თვალები უზედუროდ იმზირებიან, პირში გრძელი მუნდშტუკი გაუჩრია (ქარვისა) სიგარეტთან ერთად, სიგარეტი ცეცხლს ელოდება... ამგვარად, მე ვიცდი... იქნებ ახლა სწორედ თმას ივარცხნიდეს... ამგვარად, მე ვიცდი, საათს არ ვუყურებ და ვცდილობ გამოვიცნო, რას უშვრება იგი დროს, ჩემს დროს, თავის დროს. მას სულ სხვა დრო აქვს და ამიტომ არ ღირს საათს უყურო. საათები გუნებას უფუჭებენ ვიკონტესას, საათები ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიან, თითქოს ერთადერთი დრო არსებობდეს ამქვეყნად, ასე ვთქვათ, საერთო დრო... იქნებ ახლა წიგნს კითხულობს და საინტერესო ადგილს ვეღარ მოსწყვიტა თვალი, ან იქნებ ძაღლს ეთამაშება, იქნებ აქეთ მოდის უკვე, განა ღასანანი არ იქნება, ახლა (ჩემი ჭკუით 45 წუთის ცდის შემდეგ) უკანასკნელ ნახევარ წუთში დავკარგო მოთმინება. ყოველგვარ მოუთმენლობას, თუნდაც შეკავებულს, იგი შენიშვნად ღებულობს, ხოლო ყოველ შენიშვნას აყალ-მაყალს ეძახის. ამგვარად ვიცდი და ვიცდი დაუსრულებლად და საათს არ ვუყურებ. მოთმინება რომ არ დამეკარგოს, მშვენიერი ხედით ვტკბები...

ასეა ყოველდღე.

ერთხელაც რომ დამიყვირო, ჩემოდანს ჩავალაგებ და აღარასოდეს დაგიბრუნდებიო, მეუბნება იგი... თან ძალიან ბედნიერები ვართ.

ანტონიო, ჩვენი თეთრხელთათმანიანი მსახური, სასადილო ოთახში გამავალ სარკეებიან კარს აღებს, საოჯახო სუფრა გაშლილია, მაგრამ რაკი ზაფხუ-

ლია, ალბათ ტრაპეზი ცივი იქნება, ყოველ შემთხვევაში განტენბაინი არაფრით არ ამჟღავნებს, რომ ეჩქარება. ჰოდა, ეს სრულქმნილი მსახურიც (ჩვენ იგი ერთი თვეა, რაცა გვყავს), ბუნებრივია, ფიქრობს, განტენბაინი ვერ მიხვდება და არც ამბობს: pronto![1] მხოლოდ უსიტყვოდ ათვალიერებს ოთახს, ვიკონტესაც აქ არის თუ არაო. მას სძინავს. ანტონიომ უკვე მთელმა [illegible] იცის, რომ ხანდახან შეიძლება სამ საათამდეც გასტანოს ლოდინმა და ამიტომ ჯერ კიდევ არ ამბობს: pronto! მხოლოდ თავის საათზე იყურება. ანტონიო გულისამაჩუყებელია, არ იცის, რომ განტენბაინი სარკეში ხედავს და ფეხის წვერებზე გადის ოთახიდან, ვითომ ჯერ მხოლოდ თორმეტი საათიაო. განტენბაინსაც ვითომ ასევე ჰგონია. სამწუხაროდ, სახლში ბაროკოს სტილის ქანქარიანი საათიც დგას და ბრმასაც აგებინებს, რომ უკვე ორი საათია. რაღაც უნდა იღონონ. მართალია, განტენბაინს არ შია, მაგრამ კაცია და მუშაობა უნდა, ანტონიოს კი ნაშუადღევიდან თავისუფალი დრო ერგება, ოთხ საათზე ან ფეხბურთის მოედანზე უნდა იყოს ან თავის სატრფოსთან და ამ უფლებას ვერ წაართმევ.

ანტონიო! ვეძახი მე.

ანტონიო ისე იქცევა, ვითომ შორეული სამზარეულოდან მორბისო, რათა, ბოლოს და ბოლოს, უთხრა pronto და თან თავს ისე გაჩვენებს, თითქოს ამ სიტყვას ვიკონტესას უბნებოდეს. უკვე იცის, ბატონს გული მოსდის, ვიკონტესას მთელი დღე რომ სძინავს. თან ეს ყოჩაღი ბიჭი, როგორც ვთქვით, ჯერ ერთი თვეა, რაც სახლში გვყავს, ხოლო ჩვენი სახლი, რაღა თქმა უნდა, რენესანსის სტილის პალაცო გახლავთ.

ლილა, მოდი, ვამბობ მე.

და შემდეგ მსახური თავს არ იზოგავს, ყოველნაირად ცდილობს, განტენბაინი არ გაბრაზდეს, არ შეამჩნიოს, კვლავ მარტო რომ უზის სუფრას. განტენბაინი მშვიდ სახეს ღებულობს და უსიტყვოდ აფათურებს ხელს ხელსახოცის ასაღებად, თეთრხელთათმნიანი მსახურიც მშვიდ სახეს ღებულობს, რაკი ნაშუადღევი გაინაღდა და ყოველნაირად ცდილობს, ვიკონტესას იქ ყოფნა გასაგონი მაინც გახადოს. ვხედავ, როგორ აჩოჩებს მუხლით ვიკონტესას სავარძელს: ცნობილია, რა ყურმახვილნი არიან ბრმები. მსახური მარჯვედ იქცევა: სანამ ცივი ბულიონის მოსატანად გავიდოდეს, ერთ გრისინისაც შეახრამუნებს და ვხედავ, როგორ მოეშურება აქეთ, რომ ჩვენი ცოლქმრული დუმილი საჭიროზე მეტად არ გაჭიანურდეს. თუმცა მაინც კარგა ხანი გადის.

ისეირნე ცხენით? ვკითხულობ მე.

ლილა სდუმს. მას სძინავს. ალბათ გუშინ ისევ გადაყლაპა ნარკოტიკი უბედურმა და რაკი დარწმუნებულია, განტენბაინი ჩემს ავთიაქს მაინც ვერ ხედავსო, თავის თავსაც ვერ უხსნის იმ შხამის შედეგებს.

ექიმთან თუ იყავი? ვკითხულობ მე.

ანტონიო კარებში დგას, სარკეში ვხედავ, როგორ ყოყმანობს, შემოვიდეს თუ არა. სასადილო ოთახი პირდაპირ მომაჯადოებელია, კედლები გობელენებითა და სარკეებითაა მოფენილი, ასე რომ, თუ გინდა, კაცი საკუთარ კეფასაც დაესაუბრება. არ ვიცი, ანტონიო რატომ იქაჩავს თავის თეთრ ხელთათმანებს და რატომ ყოყმანობს.

რა გითხრა ექიმმა? ვკითხულობ მე.

[1] ინებეთ (იტალ.).

ანტონიოს ახლა ფინჯნები შემოაქვს და ცხადია, ვიკონტესა, აქაც რომ იყოს, მსახურის თანდასწრებით ექიმის დიაგნოზზე არაფერს იტყვის. ამდენად, სიჩუმე კვლავ ბუნებრივი ხდება. ანტონიო მარჯვედ საქმიანობს — პირველ ფინჯანს წესისამებრ მძინარე ვიკონტესას თეფშზე დგამს, დგამს საკმაო ხმაურით, რომ განტენბაინმა გაიგონოს. ამას მართლაც დიდებულად აკეთებს მოსირმულ თეთრ პიჯაკში გამოწყობილი ეს ღარიბი მეთევზის შვილი. ოთახიდან ფეხს არ იცვლის, სანამ განტენბაინი ბულიონს დახვრეპდეს: მსახურის თანდასწრებით ლაპარაკი მიღებული არ გახლავთ. ესღა გვაკლია, ახლა კოვზი არაკუნოს ვიკონტესას ფინჯანზე. იგი კოვზს არ არაკუნებს და მხოლოდ ის ისმის, როგორ ხვრეპს განტენბაინი ცივ ბულიონს. ვიკონტესას ჩამი-ჩუმი არ ისმის...

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მერე?

მხოლოდ იმის იმედი მაქვს, რომ ლილა ახლა არ გამოჩნდება და სისწრაფეს ვუმატებ, მაგრამ თევზი შემოაქვთ და განტენბაინს სხვა რაღა დარჩენია — ამ ჩინებულ თევზს უნდა მოულხინოს. მინდა ანტონიო დავარწმუნო, რომ განტენბაინი მართლა ბრმაა და ეს რა თევზია-თქო, ვეკითხები, საიდან მომრავლდა ვენეციის წყლებში, ვეკითხები საერთოდ ყველაფერს, რაც კი მეთევზეობასთან არის დაკავშირებული, როგორ ისვრიან აქ ბადეს, რა ღირს თევზი, რა უჭირთ და რა ულხინთ მეთევზეებს. ის არაფერი, ანტონიომ, მეთევზის შვილმა, ყველაფერი რომ იცის, ის უნდა ნახოთ, როგორ მაჩვენებს თავს, თითქოს ეს ამბები ჩვენს ვიკონტესასაც აინტერესებდეს, თევზი ხელუხლებლად რომ უცივდება ფაიფურის თეფშზე. მაგრამ განტენბაინი სულ მსახურთან ხომ ვერ ილაპარაკებს, მაშინ ცხადია, ცოლ-ქმარი წაჩხუბებული ეგონება ვინმეს. ახლა, სანამ მსახური ყველს შემოიტანდეს, განტენბაინმა უნდა ილაპარაკოს, მაგრამ რაზე? მე ვლაპარაკობ კომუნიზმზე და ანტიკომუნიზმზე, ეს ისეთი თემაა, რა პოზიციაზეც უნდა იდგე, ვერავინ შეგეკამათება, რადგან საწინააღმდეგო მოსაზრებები ისედაც ცნობილია და ახლა სწორედ მათ გაბათილებას უნდები. თან შეუსვენებლივ როდი ვლაპარაკობ, ხან გრისინის გავკვნეტავ, ხან ღვინოს მოვსვამ, არ ვცხარობ, ჩემს აზრს ისე ლაპიდარულად და მტკიცედ გამოვთქვამ, რომ ვიკონტესას დუმილი გაუგებარი აღარ გეჩვენებათ. იქნებ ანტონიო Service Room[1]-შია და მისმენს, მაგრამ მისი აზრი არ მაინტერესებს. განტენბაინი ლილას ელაპარაკება, ლილას ძმა კი წმინდა წყლის კომუნისტია. თუ ანტონიო გარედან მისმენს, შეამჩნევდა, რომ იმ ხალხს, ვისაც იგი ემსახურება, წოდებრივი ამპარტავნობა არ ახასიათებს, ყოველ შემთხვევაში ღარიბი მეთევზის შვილს მაინც არ უცქერიან ქედმაღლურად. ჩვენ იტალიაში ვართ. ვიკონტებშიც გამოერევიან, რა თქმა უნდა, ცოფიანი ფაშისტები, მაგრამ ისინი აქ სასიქადულო ადამიანებად არ ითვლებიან. პირიქით, არისტოკრატიულობა (იტალიაში) სწორედ იმაში მჟღავნდება, რომ არისტოკრატებს ბურჟუებივით არ ეშინიათ კომუნიზმისა. ასეთ შიშს კი, მოგეხსენებათ, ყოველი მასობრივი შიშის მსგავსად ვულგარულობის დაღი აზის. აი, რატომ შეეძლო განტენბაინს ვიკონტესას თანდასწრებითაც ასე გულახდილად ელაპარაკა და არც ის სცემოდა ვინმეს თვალში, რომ ვიკონტესა ოთახში არ არის, ის კი ლაპარაკობს და ლაპარაკობს. ეს ანტონიო რაღას დაფათურობს ამდენ ხანს? ადამიანს რომ არავინ შეეკამათება, მაშინ

[1] დამხმარე სათავსო (ინგლ.).

საკუთარ თავს უწყებს ხოლმე კამათს. ეს თითქმის გარდუვალია. განტენბაინი ვიღას ეკამათოს, თუკი ვიკონტესას სძინავს? ჰოდა, ისიც მის ძმას ეკამათება. განტენბაინს სიცილად არ ჰყოფნის, რომ დინო, ეს ახალგაზრდა მე[illegible]ლე, კომუნისტია, თან დინო რომანტიული ყმაწვილი სულაც არ გახლავთ, არა, დინოს ჭკუა უჭრის, ხოლო შესახედავად წარმართულ, [illegible] ჰგავს, მგონი, ჰერმესს, რომელიც ყველას თავს უტოლებს. იგი არ [illegible] თავის კათოლიკურ აღზრდას, დინოზე მოგახსენებთ, ლილას ძმაზე, და ვიკონტი რომ კომუნისტია. (იგი მხოლოდ პოლიციასთან შეჯახებისას უწოდებს თავს ვიკონტს), ამას მისი მსახურებიც კი ვერ ამჩნევენ. დინო მუშტმოღერებული პროლეტარი არ გახლავთ, დინოს ჩუმ-ჩუმად ეღიმება იმ ხალხზე, მის გაფიცულ გლეხებს რომ კიცხავენ. იგი არაფერს ქადაგებს, თავს არავის აბეზრებს თავისი კომუნისტობით, იგი ერთ-ერთი იმ უმცირესობათაგანია, ვისაც კომუნიზმისა გაეგება, ვისაც ძალა შესწევს შეისწავლოს კომუნიზმი და კომუნიზმს სწორედ იმით ემსახურება, რომ კაპიტალისტივით ცხოვრობს. დინო მეოცნებე არ არის, არა, მან იცის, რომ კერძო გამოხდომებით სამყაროს ვერ გარდაქმნი, ამაზე კიდევ ბევრის თქმა შეიძლება და განტენბაინი მართლა ვეღარ ამჩნევს, რომ ყველი კარგა ხანია მოართვეს. მსახურს ისეთი სახით უჭირავს ხელში ლანგარი, თითქოს მას არ უსმენდეს. გორგონცოლას მიირთმევთ თუ მოცარელას? განტენბაინი მხოლოდ თავით ანიშნებს, ყველის გულისთვის არ შეწყვეტს ლაპარაკს ვიკონტესასთან, რომელსაც სძინავს, ანტონიო კი ამ დროს კვლავ ჭიქას უვსებს.

დიახ, განა ასე არ არის? ვკითხულობ მე.

დუმილი.

განტენბაინი ლაპარაკს განაგრძობს, მე ვხედავ, ისევ როგორ იღებს ანტონიო მძინარე ვიკონტესას ჭიქას და სვამს, კარგად მესმის მისი, ასე რომ არ ქნას, ჭიქას ვეღარ შეავსებს, მერე ბოთლს საკმაოდ მაღლა სწევს, რომ განტენბაინმა მართლა გაიგონოს ღვინის რაკრაკი.

ვითომ მართლა სჯერა, რომ განტენბაინი ვერაფერს ამჩნევს?

თუ განტენბაინს ჰგონია, მსახურს ასე სჯერათ?

შემდეგ. შავ ყავას ლოჯიაში გაშლილ სუფრაზე მოართმევენ და იქ თამაში საჭირო აღარ არის. ანტონიო გაიპარა, უკანასკნელი მოვალეობაც შეასრულა — ყავა ორ ძვირფას ფინჯანში დაასხა და ამით ვიკონტესას ცოლქმრული ვალიც მოიხადა. თან ვიკონტესა ვითომ იქ ყოფილიყოს, ისე გასცა რაღაცაზე მოკლედ პასუხი. ხომ შეიძლებოდა მტრედების ფრთხიალში განტენბაინს ვერ გაეგონა ვიკონტესას უბრალო შეკითხვა, მით უმეტეს, რომ იგი ყოველთვის წყნარად ლაპარაკობს.

— Come no, Contessa, come no! [1].

ნიჭიერი ბიჭია.

— Come mai, — იცინის იგი, — come mai! [2].

უკანასკნელ პასუხს იგი უკვე შორიდან იძლევა, ვხედავ, ამ სიტყვებისთანავე როგორ წაიძრო თეთრი ხელთათმანები. ვიკონტესას წინაშე ამას ვერ გაბედავდა. შემდეგ ანტონიო გაიპარა, მაგრამ განტენბაინი ახლა მართლა (ოღონდ მსახურის გასაგონად არა) ელაპარაკება მძინარე ვიკონტესას, ვიკონ-

[1] ოღონდაც, ვიკონტესა, ოღონდაც! (იტალ.).

[2] რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ! (იტალ.).

ტესას კვლავ სძინავს, რადგან ისევ მიულია თავისი ნარკოტიკები, ხოლო ნარკოტიკებს იმიტომ ეტანება, რომ უბედურია.

ლილა, ვეკითხები მე, რატომ ხარ უბედური?

საბედნიეროდ, განტენბაინი ყავაში შაქარს არ იყრის, [illegible] იცის და ამგვარად, მეუღლეს შაქარს რომ არ აწვდის, ეს მის ი[illegible] არ ამჩნევს.

განა ვაჟკაცობა გაკლია? ვეკითხები მე.

განტენბაინი ყავას სვამს და Canale Grande-ს [1] გადაჰყურებს, რომელიც ადამიანს შეიძლება მოყირჭდეს კიდეც.

ჩემს გამო ხარ უბედური?

რაკი ვიკონტესა სძინავს, ეს კითხვა მაინც აღარ რჩება უპასუხოდ, ხოლო გულახდილობას გულახდილობა მოჰყვება ხოლმე, სიმართლე მწარეა, მაგრამ ცხადია, ადამიანს ზოგჯერ ურჩევნია, ზუსტად იცოდეს ყველაფერი, რაკი ამაზე მიდგება საქმე! განტენბაინი მარტო დარჩა ორ ძვირფას ფინჯანთან. სანამ ენას ისევ მოაბრუნებდეს, ორივე ფინჯანს ცლის, მე კი ვიკონტესას ვეკითხები, ჩემი ალერსი სხვა მამაკაცების ალერსისაგან თუ განსხვავდება და რითიმეთქი. ამ კითხვას გემოვნებიანი ქალი მაინც არასოდეს არ უპასუხებს და ამიტომ დუმილი კვლავ არ ნიშნავს იმას, რომ ვიკონტესა აქ არ ბრძანდება.

ღუღუნებენ ვენეციის მტრედები.

ლილა, ვეუბნები მე, ასე ცხოვრება აღარ შეიძლება!

იგი არ მეკითხება, რა იყო, რას გულისხმობ ამაწით, იგი ხომ აქ არ არის, მაგრამ ეს არ იგრძნობა, აქაც რომ ყოფილიყო, ასევე გაჩუმდებოდა, სანამ ჯიქურ არ ვკითხავდი, რა ურთიერთობა გაქვს ნილსთან-მეთქი.

დუმილი.

თუ სხვა გყავს ვინმე? ვეკითხები და ეს პირველი შემთხვევაა, ასე პირდაპირ და თან მშვიდად რომ ვლაპარაკობთ. ის ვერ იტყვის, მიყვარხარო და ამიტომ სდუმს, განტენბაინი კი იღიმება. მე ვტკბები მისი სიმშვიდით, მისი ვაჟკაცობით, მისი ბრმა მზადყოფნით, ყოველგვარ ფაქტს გაუსწოროს თვალი და ლილას ხელახლა ვეკითხები: თუ სხვა გყავს ვინმე?

პასუხს არავინ მაძლევს.

მაშ ვინ არის იგი? ვეკითხები, მაგრამ მესმის, რომ ამ კითხვაზე ვერ მიპასუხებს. ეს განტენბაინის საქმე არ არის. ან იქნებ მაინც გეშინია, რომ დავუყვირებ? მხოლოდ იმიტომ, რომ ვთქვა რამე და თან ვაჩვენო, რა მშვიდადაა განტენბაინი, ცნობილი მტრედების ღუღუნით აღსავსე პაუზის შემდეგ ვამბობ: ყოველთვის მეგონა, რომ ეს ნილსი იყო.

პირველად წარმოვთქვი ნილსის სახელი და არ გამიკვირდება, თუ ვიკონტესა ახლავე შეჰკრავს ბარგს, რომ აღარასოდეს დაბრუნდეს უკან, შეჰკრავს დღესვე; თუნდაც ნილსთან არ მიდიოდეს, რადგან ეს ძველი ამბავია უკვე, ამიტომაცაა კომიკური, მაგრამ სიცილის გუნებაზე არავინ არის ახლა, ყოველ შემთხვევაში, ვიკონტესას არ ეცინება და რაკი ვენეციურ ლოჯიაში მარტო დარჩენილ განტენბაინს ეს სახელი წამოსცდა, აღსარებას ველარსად გავექცევი: ერთხელ წავიკითხე დანიური წერილი...

რა უნდა მიპასუხოს ვიკონტესამ ამ საშინელ აღსარებაზე? ვიკონტესამ, რომელსაც სძინავს...

---

[1] დიდი არხი (იტალ.).

დასასრული იქნება

# რუსი პოეტები

## ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### მიხეილ ლერმონტოვი

თარგმნა არნო ონიალმა

#### სიზმარი

შუადღის ხვატი. დაღესტანის წყნარი ხეობა,
ტყვიანაკრავი უხმოდ ვიწექ. სისხლი მდიოდა
შეუჩერებლივ, წვეთ-წვეთობით. გარს მეხვეოდა
ზოლი, რომელიც ჭრილობიდან ამოდიოდა.

ვიწექ მარტოკა სილაზე და... ახე ვწვალობდი.
შორს კლდის ქონგურებს შავ აჩრდილთა შუქი ეფინა,
და მზით იწვოდა ნაცრისფერი მთის მწვერვალები,
მეც მაცხუნებდა, მაგრამ მაინც მკვდრისებრ მეძინა.

მესიზმრებოდა შორეული მხარე მშობელი,
წვეულების და დროსტარების იყო საათი,
და ბანოვანნი, ყვავილებით თავშემკობილნი,
მხიარულობდნენ... ჩემზე ჰქონდათ სჯა-მასლაათი.

იქ იჯდა ერთი ახალგაზრდა ქალი სტუმარი,
მას როდი სურდა საუბარი ლამაზმანებთან,
არას ამბობდა მისი ვარდის ბაგე მდუმარი,
სული მოეცვა ამოუხსნელ რაღაც ზმანებას.

ესიზმრებოდა დაღესტანის წყნარი ხეობა,
სადაც ნაცნობის გვამი ეგდო. სისხლი სდიოდა
შეუჩერებლივ, წვეთ-წვეთობით. გარს ეხვეოდა
ზოლი, რომელიც ჭრილობიდან ამოდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიკოლოზ ოგარიოვი

## თავისუფლება

როცა ყრმა ვიყავ თვინიერი, უმანკო, წყნარი,
ვიყავ ჭაბუკი მომთაბარე, ვით ნიავქარი,
მერე ხნოვანი და სიბერის მიჯნასთან მდგარი,
ვისმენდი, მაგრამ ვერ ვხედავდი და დიდად მწყინდა,
ეს იყო ერთი ნათელი და ბრწყინვალე სიტყვა:

თავისუფლება!

მონობით კრული და სულ მუდამ გაუხარელი
დავტოვე მხარე მშობლიური და საყვარელი,
რომ გულახდილად, ჩემი ზრახვით დაუფარველით
უცხოეთიდან მეთქვა ის, რაც ათასჯერ მითქვამს,
სწორუპოვარი, სანუკვარი, ფრთიანი სიტყვა:

თავისუფლება!

უცხოეთში ვარ. შუაღამე არის გვიანი...
უცბად შორიდან ხმა მოისმის ომახიანი,
ქარი ბობოქრობს, წყვდიადია ხიფათიანი,
და მოგუგუნე ამ ტაროსში მესმოდა დიდხანს
მშობელ ქვეყნიდან დარხეული ლამაზი სიტყვა:

თავისუფლება!

და გული ჩემი, ეჭვითა და ჭმუნვით დევნილი,
როგორც ფრინველი გალიიდან გამოფრენილი,
იმღერდა შვებით, დღემდე მუდამ ობლად შთენილი,
და ალტაცებით, შთაგონებით, ვით ლოცვა წმინდა,
ამღერდა ახლა ყრმობიდანვე ნაცნობი სიტყვა:

თავისუფლება!

და მელანდება ისევ თოვლი, დუმილი ტყეთა,
სოფლელ ყმაწვილთა შავწვერიან სახეებს ვხედავ,
თავდახრილნი რომ დერეფანში საუბრად სხედან,
და ბორკილთ მსხვრევის საამური ხმა მესმის თითქოს,
თან სანუკვარი და უცვლელი ძვირფასი სიტყვა:

თავისუფლება!

მაგრამ თუ ხვალ-ზეგ დაგვემუქრა კაცთაკვლა, გლოვა,
თავისუფლებამ ბრძოლისათვის თუ მომათხოვა,
ხალხო!.. მამულის დასაცავად უმალვე მოვალ...
და თუ დავეცი ბრძოლის ველზე, ღიმილით მითქვამს
სწორუპოვარი, უძლეველი, დიადი სიტყვა:

თავისუფლება!

იქნებ სიკვდილი მიწერია უცხო მხარეში?
მოვკვდე, ურყევი რწმენა ჩამყვეს ცივ სამარეში,
და სიკვდილის წინ — მშვიდობიან სამყუხარეში —
შენ, ამხანაგო, ჩამჩურჩულე ეს წმინდა სიტყვა:
თავისუფლებისათვის.

## ივან ტურგენევი

### ბალადა

ვოევოდას წინ დგას ჭაბუკი — ვინმე ფირალი,
თავდახრილი და ნაღვლიანი თვალით მზირალი.

აწ ველარ ნახავს თავის ნაბადს და თოფ-იარაღს,
სისხლი სდის... მკერდზე რამდენიმე უჩანს იარა.

ხელებზე სუნდი და ფეხებზე ბორკილი ადევს,
მაშ, კვლავაც იგი დამლაშობით ვერ ინავარდებს!

ფიქრის მორევში ჩაძირულა, ძლივს სუნთქავს თანაც,
ვაგლახ... ჩანს უკვე ეოხოვება უდარდელ ხანას.

„გაები, არა? აწ სარბენად გეყო ტყე-ველი,
დიდი ხანია არ უხილავს ჩემს ხაფანგს მგელი!

რად სდუმხარ!.. შენზე მე ამბავი მსმენია ბევრი,
კარგად მღერისო, ამაყობსო ხმით მშვენიერით.

თუმცაღა დღეს შენ ხმის კილოსი არა ხარ მჩენი,
ხვალ კი მოვისმენთ, როგორია სიმღერა შენი!"

ჭაბუკმა მკაცრად დაიძახა: „სცდები ძალიან!..
არც დღეს და არც ხვალ სასიმღეროდ არა მცალია!

ხვალ ვაჟკაცური სიკვდილისთვის ვარ განწყობილი,
ხვალ შენ იმღერებ მხიარული და კმაყოფილი.

ჩვენ ვდილინებდით მხიარულად და რისაანად,
ხევს რომ შევვედით ვაჭრებიან-სიმდიდრიანად...

თუმცა, კაცმა რომ თქვას, მაშინ ჩვენი ეს ხელოვნება
იმ ცბიერ ვაჭრებს არცთუ დიდად სიამოვნებდათ.

იცი რა კიდევ?—ვინ გაიგებს ვინ და სად ლხინობს,
მე მივირთმევდი შენი მარნის ანკარა ღვინოს.

ფიალებს ვცლიდი... ჩემს კისერზე იყოს ეს ცოდვა:
მე ხვევნა-კოცნით თავს ვიქცევდი შენს კეკლუც ცოლთან!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ილია სურიკოვი

### სიკვდილით დასჯა სტენკა რაზინისა

მქუხს წითელი მოედანი,
მოსოქარი ზღვაა თითქოს!
თხემ-ადგილზე რომ პრიალებს,
ნეტავ ეს რა უნდა იყოს?

ეს ჯალათის ნაჯახია,
იქით-აქეთ ჩრდილს რომ ისვრის.
ცა კამკამებს... მის ტატნობზე
ნატამალი არ ჩანს ნისლის.

დიდი კრემლის ქონგურები
გასცქერიან დილის არილს,
ფიცარნაგის გარშემო კი
ორ მწკრივად დგას მეფის ჯარი.

მათრახები აზუზუნდნენ,
ხალხი მყისვე გადგა განზე...
სტენკა ხელ-ფეხგაბორკილი
შემოჰყავდათ მოედანზე.

აღარ შვენის კაზაკს თავს
ხუჭუჭი თმა მშვენიერი,
შიში?.. რაა... ოდნავადაც
არ შეცვლია სახის ფერი.

მის გამჭრიახ თვალებს ახლაც
არ შორდება ცის ნათელი,
ახლაც მის წინ სიზმარივით
მიჰქრის ყამა წინანდელი:

წყნარი დონის სავრცეები,
ვოლგის ზვირთთა ლაღი სრბოლა,—
სად ვაჭართა გემებიდან
მოიხვეჭდა ურიცხვ დოვლათს.

სადაც ქროდა ის კაზაკურ
შემართებით, ქუყხვის დარად,
და ბიჭებით თავს ატეხდა
რისხვას ცეცხლის ნიაღვარად...

მამაც ვაჟკაცს ბოლმა ახრჩობს,
შურისძიებას ვერ სთმობს თანაც,
მაგრამ... რა ჰქნას!.. სუნდ-
ბორკილთა
მოცილება ძალუძს განა?!

ვეღარ ხედავს თავის ლაშქარს,
ვერც ბრძოლისკენ მოუწოდებს,
თავხედი რომ აწყველინოს
ბოიარებს, ვოევოდებს.

აგონდება: შორს სიმბირსკთან
ომი ჰქონდა... სადაც სპანნი
გაუწყვიტეს, და გადარჩა
მხოლოდ თვითონ—ატამანი.

„ათას ხიფათს გადავურჩი,
ბედასწყრა აქცდა აგე,
ამ ჯალათმა, ამ ნაჯახმა
წამაცალოს უნდა თავი".

მდუმარე ხალხს მიუხალმა,
ცის გუმბათი ჩანდა შავად...
ნაჯახმა კი სტენკას თავზე
გაიბრწყინა შემზარავად.

ხალხს შეხედა ერთხელ კიდევ
გადაავლო ყველას თვალი...
და კაზაკის ლამაზ მხარ-ბეჭს
მოსწყდა თავი.

□





# მარიო ვარგას ლიოსა —პერუ—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ლეკვები

მოთხრობა

თარგმნა ამირან გაბესკირიამ

I

კუელიარი შამპანიას[1] სკოლაში რომ მოიყვანეს, ჩვენ მაშინ ანცი და დაუდეგრომელი ბიჭები ვიყავით. ყველაფერს ვიძიებდით და ყველას სულს ვუწუხებდით. გვეცვა მოკლე შარვლები, როგორც დაწყებითი კლასის შეგირდებს შეჰფეროდა, თამბაქოს ჯერ არ ვექაჩებოდით, ახლახან ვისწავლეთ ტალღებში შესრიალება, „ტერასის"[2] მეორე ტრამპლინიდან ხტომა, თუმცაღა ფეხბურთი ყველაფერს გვერჩივნა ამქვეყნად.

მართლა ახალი მოწაფე გვეყოლება, ძმაო ლეონსიო? მესამე „ა"-ში? ლეონსიო ბერი ცალი ხელით თმას ისწორებს — მართალია, მართალი, ახლა კი ჩუმად იყავით.

კუელიარი მამამ რომ მოიყვანა ხელჩაკიდებული, ყველანი დილის მწკრივში ვიდექით. ლეონსიო ბერმა პირველი ჩააყენა მწკრივში, მაშინ რისაზე პატარა იყო ტანით, კლასში კი ჩვენთან დასვა. შენ — აქ იჯექი, ჩემო ბიჭო, აქ არავინ ზის. რა გქვია? კუელიარი. შენ? ახმახა. შენ? ჭიკჭიკა. შენ? მანიუკო. შენ? ლალო. მირაფლორესიდანა ხარ? თურმე წინა თვეს გადმოსულა მისი ოჯახი მარშალ კასტილიას ქუჩაზე, კოლინის კინოს გვერდით, მანამდე კი წმინდა ანტონიოს ქუჩაზე ცხოვრობდნენ.

მეცადინე ბიჭი იყო (განა კაჭკაჭივით მოზუპირე), პირველსავე კვირას მეხუთე ადგილი დაიკავა, მეორე კვირას — მესამე, მერმე კი, ვინემ ის უბედურება შეემთხვეოდა, მუდამ პირველი იყო კლასში. შემდეგ, რა ლაპარაკი უნდა, ხელად ჩამოვარდა პირველობიდან და ცუდი ნიშნებიც გაირტყა.

აბა, კუელიარ, თოთხმეტი ინკი[4] დამისახელე, ეტყოდა ლეონსიო ბერი,

---

[1] კერძო სასწავლებელი დიდგვაროვან ოჯახიშვილთათვის პერუში.
[2] წარჩინებულთა ერთ-ერთი კლუბი ლიმაში.
[3] არისტოკრატიული უბანია ლიმაში.
[4] იგულისხმება ინკთა მეფეები ესპანელების ბატონობამდე.

და ისიც მაშინვე უშეცდომოდ ჩაუბულბულებდა, ახლა ათი აღთქმა მითხარი, აბა ჩვენი ჰიმნის სამი კუპლეტი თქვი, ლოპეს ალბუხარის ლექსი „ჩვენი დროშა" თუ იცი? კუელიარიც სულმოუთქმელად მიაყრიდა, ერთს არ წაიბორძიკებდა. ყოჩაღ, ბიჭო, ეუბნებოდა ლალო. ჩინებული მეხსიერება გაქვს, ჩემო ბიჭო, — ეტყოდა ლეონსიო ბერიც და მერე ჩვენ მოგვიბრუნდებოდა — ამას მიბაძეთ, თქვე ცუღლუტებო! კუელიარი კი იდგა. პიჯაკის გულისპირზე ფრჩხილს ისვამდა და ისე გამოჰყურებდა ბიჭებს, გეგონება, ყოყოჩობსო. სინამდვილეში კი სულაც არ ყოყოჩობდა, პამპულაობდა მხოლოდ — მასხრობი იყო რაღა... ამხანაგობაც კარგი იცოდა: გამოცდაზე ყველასთვის გვკარნახობდა, დიდ შესვენებაზე კრემიან ვაფლზე დაგვპატიჟებდა. რა გიჭირს, ბედნიერი კაცი ხარ, ეუბნებოდა ახმახა, ფული ჩეჩქივით გაქვს. ოხერო, ჩვენ ოთხს ერთად იმდენი ვინ მოგვაშავა, რამდენსაც შენ ერთს გაძლევენ. იმიტომ, რომ კარგი ნიშნები მაქვსო, იძახდა. ღმერთს უმადლე, ეგეთი გოგრა რომ გაბია, მართლა ყოჩაღი ხარ ყველაფერში, ეგა გშველის სწორედ — ვეუბნებოდით ჩვენ.

დაწყებითი კლასებში ოთხ საათზე თავდებოდა სწავლა, ხუთის ათ წუთზე ლეონსიო ბერი შინ უშვებდა ბიჭებს, ხუთის თხუთმეტზე კი ყველანი ფეხბურთის მოედანზე იყვნენ დარჩენილნი. ჩანთები, პიჯაკები, ყელსახვევები — პანტაპუნტით ცვიოდა ბალახზე: აბა, ჭიკჭიკ, ჩქარა კარში დადექ. ეგინემ კაცრიმელი არია. იუდა გალიაში ბორგავს — ჰამ — კუდი ლარივით გასჭიმვია — ჰამ, ჰამ — კბილები დაუკრიჭავს — ჰამ, ჰამ, ჰამ — ლაშის ჭერამდე ახტეს — ჰამ, ჰამ, ჰამ, ჰამ — მავთულს აწყდება. აქ არ გამოხტეს ეს მუდრეგი გალიიდან, — იძახის ჭიკჭიკა. მანიუკო კი — თუ გამოხტა, არ გაგიქცევით. დოგი მარტო იმას კბენს, ვისაც შიშს შეატყობს. — წინ საიდან იცი? ჩემმა ბებერმა მითხრა. ახმახამაც დაიყოლა — მე აგერ ბოძზე ავძვრები წამში და კარგად მეყოლის, იხტუნოს მერე, რამდენიც უნდა, ვერარ მომწვდება. კუელიარს კი ჯიბიდან დაუძვრია დანა და — ჭრიკ-ჭრიკ — ხან გაშლის, ხან დაკეცავს; უა-უა-უო-უო-უა! — უმატებს იგი თანდათან ხმას. უ-უ-უო-უო-უო! — თავს მაღლა აიწევს, — უ-უ-უო-უო-უო-უო-უო! — ხელისგულები მიუმიჯნავს პირთან, — უ-უ-უ-უუუუო-უუუუუო-უო-უო! — ტარზანია ნაღდად!

თუმცა ვინ გაცლიდა დიდხანს თამაშს. ხუთ საათზე მეორე განყოფილების ბიჭები მოცვივდებოდნენ და ფეხბურთის მოედნიდან დაგვითრევდნენ. გაოფლიანებულნი, თმაგაჩეჩილნი ჰაჰარით წამოვუსვამდით ხელს წიგნებს, პიჯაკებს, ყელსახვევებს და რა ჩვენი იყო, შინ წავეხეტებოდით. დიაგონალის ქუჩით ბაღამდე ჩავუყვებოდით და იქ კალათბურთს გავახურებდით ჩანთებით. — აბა, დაიჭი, ლედიკოს ბიჭო! — „განცხრომის" კაფესთან გადავჭრიდით ბაღს — ვერ მოგართმევს, მამიკოს ბიჭო! — „დ' ონოფრიოს" საშაქარლამოში ვაფლიან ნაყინს ვყიდულობდით. ვანილიანი? თუ ფენა-ფენა? აბა, მოტყუება არ იყოს, ჩოლო[1], ბლომად დაადე, ნუ წუწურაქობ, ლიმონი და ხენდროც დაამატე! მერე ისევ გავუდგებოდით გზას, „ბოშურ ვიოლინოს" რესტორნამდე ჩუმად მივდიოდით, ქუჩასაც ასევე უბრად ჩავივლიდით. მთავარი იყო, ნაყინი არ ჩამოგვეწუწოდა, ვს-ს, ვს-ს, ვსრუტუნებდით ყველა. ხელში დნებოდა ეს ოხერი... შუქნიშნიდან კი ასკანკილით მივირბენდით წმინდა ნიკოლოზის ტაძრამდე, სადაც კუელიარი უნდა დაგვშორებოდა.

[1] მესტისო, ნახევარი ინდიელი.

რანაირი ხარ, ცქვიტო, ჯერ ადრეა, ამას არ სჯობია „ტერასას“ სპორტ-დარბაზში წავიდეთ. ჩიხვლის დუქნიდან წავიღებთ ბურთს... კაცმა რომ თქვას, ვითომ რატომ არ თამაშობ, კუჭლიარ, ჩვენი კლასის ნაკრებში? იტყვით ალბათ, ცოტა მაინც ხომ უნდა ვიყო ნავარჯიშევი! წამო, ნუ გააჭირებ [illegible] სა-ათამდე ვაგორებთ ბურთს, ექვსს არ გადავაცილებთ. კუჭლიარს [illegible] არი, მამა მიკრძალავს, სამეცადინოც ბევრი მაქვს. ბიჭები შინამდე მიაცი-ლებდნენ. ისე კი მართლა როგორ უნდა ითამაშოს ჩვენს ნაკრებში, როცა ნა-ვარჯიშევი არაა? — ვიძახდით. ბოლოს კი უმისოდ გავეშურებოდით ხოლმე კლუბში.

კარგი ბიჭია, მეტისმეტად რომ არ აკლავდეს თავს სწავლას, გაკვეთილე-ბი ურჩევნია ფეხბურთს, ამბობდა აზმახა. — რა მაგისი ბრალია, მამა ჰყავს ალბათ ჭუპაკი, — დაასკვნიდა ლალო. ჭიჭიკოც — ნალეში ჯერ ექნება, თორემ თითო ცხრაში თუ სიზმარში ჩვენთან გამოპარვა ელანდება. მანიუკო კი — ნაადრევია მაგისთვის ჩვენს გუნდში თამაში: არც სუნთქვა ჰყოფნის და არც დარტყმა აქვს მაგარი. მალე იღლება. სამაგიეროდ თაური იცის ზორბა, — იძახდა აზმახა. — სულ ლევა ჩვენი გუნდისათვის, როგორმე ჩვენთან უნდა ჩავრიცხოთ. ჭიჭიკოც — მუდამ ჩვენ გვიჭერს მხარს. მანიუკოც — ბევრი ლა-ილაი არ უნდა ამას! თავი წოვიკლათ და აგრე ვქნათ!

თვითონ კუჭლიარიც კვდებოდა, ისე უნდოდა ჩვენს ნაკრებში თამაში. ისეთი შეუპოვარი და მოუდგა ცელიკა იყო. მთელი ზამთრული ივარჯიშა და მე-ორე წელს მარცხენა ნახევარმცველობა გაიტეხა. Mens sana in corpore sano[1], ამბობდა აგუსტინ ბერი, ხომ ხედავთ, თურმე წერილება კარგი სპორტს-მენიც იყო და ბეჯითი შეგირდიც. მისგან ისწავლეთ მაგალითი! საიდან ისწავლა მაინც, იძახდა ლალო, რა გადაცემა აქვს, რა დარტყმა, რა კუთხური, წაგართ ხარ, ძმაო! გეყოთ, ბიჭებო — იღიმებოდა კუჭლიარი, ძველი ამბავი! ბიძაშვილს ეთამაშებოდა, მამასაც სტადიონზე დაჰყვებოდა, იქ უყურა ბევრ ფეხბურთს, ჰოდა, რაღაცეები ისწავლა, ცასაგებია? ეს სამი თვეა ფეხი არ გაუდგამს არც ზღვაზე, არც კინოში: მთელი დღე ბურთს დასდევდა. აბა, გაუსინჯონ ფეხის კუნთები!

კაცი ველარ იცნობს! — ეუბნებოდა აზმახა მათ მწვრთნელ ლეონსიო ბერს. — ბიჭი ვარ, მაგან უნდა თქვას! ლალოც — თავდამსხმელიც ამას ჰქვია, გუფუარულს, ლარბის. ჭიჭიკოც — ვერ ნახე, გუშინ როგორი შეუტია! რაც მოთა-ვარია, ერთხელ არ დაურღვევია წესი. მანიუკოც — პირდაპირ კარისკენ ვა-აქანე ბურთი, მოწინააღმდეგე რომ მოგვაწვა. გახსოვთ, ძმაო ლეონსიო? მო-დით და ჩვენს გუნდში ჩავრიცხოთ! კუჭლიარი გახარებული იცინოდა, ფრჩხი-ლებს იორთქლავდა და ჭიისურაზე ისვამდა (მეოთხე „ა“-ს დიდებული მაის-ურები გვეცვა — თეთრსახელოიანი და ლურჯგულისპირიანი). საქმე გაიჩარხა, კუჭლიარ, გუნდში ჩავრიცხეს, ოღონდ არ გაყოყოჩდე.

ივლისში ყველა კლასი ემზადებოდა სასკოლო ჩემპიონატისათვის. ავგუს-ტინ ბერმა ნება დაგვრთო მეოთხე „ა“-ს კვირაში ორჯერ ევარჯიშა — სამშაბა-თობით და პარასკევობით, ხატვისა და მუსიკის გაკვეთილების დროს. ჭერორე შესვენების შემდეგ მეოთხე „ა“-ს თერთმეტი მოთამაშე ფეხბურთის მოედან-ზე გარბოდა კისრისტეხით. ნაწვიმარი ეზო ცარიელი იყო, ახალთახალი ბურ-თივით ბრიალებდა, ჯიხურებში იცვამდნენ სპორტულ ფორმებს და მაგ ბუცებს,

[1] ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული დგას (ლათ.).

ჩამწკრივდებოდნენ და სპორტული ნაბიჯით შუა მინდვრისაკენ გაემართებოდნენ, წინ ლალო მიუძღოდათ, კაპიტანი. ფანჯრებიდან შურიანი თვალები მიაცილებდათ, გრილი ნიავი აუზის წყალს ალივლივებდა (ხომ არ გეშინიათ, ჰა? არა, მერე იყოს, ბრრრ — (ვივა!) — ვაჰ, რა კუთხურს ურტყამდნენ [illegible]ბდა სკოლის ყვითელი გალავნის მიღმა დარგულ ევკალიპტის ხეთა კენწეროთ, — რა თავგამოდებით დასდევდნენ ბურთს მინდორზე.

დილა თვალის დახამხამებაში გაფრინდებოდა. კარგა ნაგრიადი ფირმინეთ კია, ამბობდა კუელიარი, ნახეთ, ყველას თუ არ ვაჯობებ! ერთი საათის შემდეგ ლუსიო ბერი თითს დააჭერდა ზარს და, ვინემ ყველა კლასი მოედანზე ჩამწკრივდებოდა, წუთიკე „ა“-ს მოთამაშენი ფაცხაფუცხით იცვამდნენ, რათა ყველაზე ადრე გაპარულიყვნენ შინ. ესაა, კუელიარი გვაგვიანებდა ჰქუდამ (ყველაფერში კოჭაობს! როგორი ბიჭია), ვარჯიშის შემდეგ ცივი წყალი უნდა გადავევლო. ხანდახან ყველანი ერთად შევცურავდებოდით საშხაპეში. იმ უკულმართ დღეს, — ჰაჰ, ჰაჰ — როცა გასახდელის კარებში იუდა შემოიჭრა — ჰაჰ, ჰაჰ, ჰაჰ — მხოლოდ ლალო და კუელიარი იყვნენ იქ — ჰაჰ, ჰაჰ, ჰაჰ, ჰაჰ — ახმახა, ჭივჭავა და მანიუკო იმავ წამს ფანჯრიდან გადახტნენ. ლალომ იწივლა — გაიქეცი, ცქვიტო! — გავარდა და ჯიხურის კარი ცხვირწინ მოუკეტა დოგს.

იქ, საშხაპის ჯიხურში (ლაპლაპებდა თეთრი კაფელი, მოხატული ფილები, მოთქრიალებდა წყალი) შიშისაგან მოკრუნჩხულმა და აკანკალებულმა ლალომ ყველაფერი გაიგონა: ყეფა, ტირილი, არაადამიანური ღმუილი... მერე ბღლარძუნიც გაიგონა, მერე რაღაც ზლართანით დაეცა იატაკზე... მერე მარტო ყმუილი ისმოდა, რამდენიმე ხნის შემდეგ კი ლეონსიო ბერის შემზარავმა ყვირილმა შეხსნა იქაურობა (მაინც რამდენი წუთი გავიდა, ლალო? ორი? მეტი. ხუთი? მეტი, ბევრად მეტი!) შემდეგ ლუსიო ბერმა იბღავლა, უკანასკნელი სიტყვებით იგინებოდა (ესპანურად, ჰო, და ფრანგულადაც, მერე გაიგე ფრანგული, ლალო? რას გვეუბნები, შტერო, ბრაზისაგან გადაფითრებული იყო კაცი), დასაკლავი გოჭებივით ჭყიოდნენ ყველანი — კარამბა[2], გააგდე აქედან, ღმერთო, შენ შემიწყალე, ეს რა ღვთის წყრომაა! მე კი ლამის შიშისაგან სული გამძვრა.

კარი იმ წუთს გამოაღო ლალომ, როცა კუელიარი უკვე საკაცით მიჰყავდათ. შავი ანაფორის კალთები ეფარებოდა და ძლივს დაინახა. უგონოდ იყო? აბა რა! ტიტველი? აბა რა! სისხლი შადრევანივით მოჩქეფდა, იატაკზე იმდენი ესხა — გაგიჟდებოდი! მაგრამ მერე რა მოხდა, ვიდრე თვითონ ჩაიცვამდა, ეს აღარ იცის ლალომ. ჭივჭავამაც უთხრა — ავგუსტინ და ლუსიო ბერებმა კუელიარი დირექტორის მანქანაში შეიყვანეს, ჩვენ კიბიდან ვუყურებდით. ახმახამაც — პირდაპირ ოთხმოცით დასძრეს მანქანა (არა, ასით! ჩაურთო მანიუკომ), საყვირს ისე აბღავლებდნენ, სახანძრო მანქანა თუ სასწრაფო დახმარება გეგონებოდა! ლეონსიო ბერი იუდას გამოეკიდა დასაჭერად, ის კი ეზოში დარბის, აქეთ-იქით ხტის, ახლოს არ იკარებს. მაინც დაიჭირა ის მარხილი, გალიაში შეაგდო და მავთულებიდან დაუშინა მათრახი (მოკვლა უნდო-

[1] ასე ეძახიან პერუში პროფესიონალ სპორტსმენებს.

[2] ეშმაკმა დალახვროს (ესპ.).

და მისი — თქვა ახმახამ — ნეტა გენახა, როგორ უზამუნებდა, გაგიჟდებოდით, თვითონ ჭარხალივით იყო გაწითლებული, თმაგაბურძგნული, შეგაშინებდა პირდაპირ!

იმ კვირას მესამე, გაკვეთილებამდე თუ გაკვეთილების შემდეგ, ჩვენ კუელიარის განკურნებას შევთხოვდით ღმერთს. მაგრამ რა წამს [illegible] ამბავზე ჩამოვაგდებდით სიტყვას, ბერები მაშინვე აყვირდებოდნენ: [illegible] ჩაკმინდეთ, ნუ ლაპარაკობთ. სულ თითებს უკაკუნებდნენ მაგიდას: საღამოს ექვსამდე აქ გაყურყუტებთ, იცოდეთ. ჩვენ კი მხოლოდ ეს ამბავი გვეკერა პირზე ყველა შესვენებასა თუ გაკვეთილზე. მეორე კვირის ოთხშაბათს კუელიარი მოინახულეს ბიჭებმა „ამერიკულ კლინიკაში“ და ძალიანაც გაიხარეს: თავ-პირი და ხელები უვნებლად გადარჩენოდა. პალატაც ლამაზი იყო — გამარჯობა შენი, კუელიარ, — კედლები თეთრად ქათქათებდა, მოყვითალო ფარდები ეკიდა, — როგორაა საქმე, ცქრიტო, გადარჩი? — ფანჯარაში ბაღი ჩანდა, ყვავილები, მდელო და მაღალზე მაღალი ხე, — ნუ გეშინია, მაგის ჯავრს ჩვენ ვიყრით, ბებერო, ყოველ შესვენებაზე ქვებს ვუშენთ ხოლმე, სულ დავალურჯეთ. ყოჩაღ, ბიჭებო! — ეამა კუელიარს. ფერმკრთალი იყო, გამხდარი. როცა გამოწერენ, ღამით შეიპარებიან სკოლაში, სახურავიდან ეზოში ჩაძვრებიან, იქ კი... ჩახ, ჩუხ, გაუმარჯოს არწივის თვალს, პუფ, პუფ! იმ წუპაკ იუდას მასზე უარეს დღეს დააყრიან, ღმერთმანი!

კუელიარის სასთუმალთან ორი სენიორა იჯდა: ბიჭებს შოკოლადებით გაუმასპინძლდნენ, მერე ბაღში გავიდნენ. მეგობრებს ეჭუკჭუკე, გულო. ჩვენ პაპიროსს მოვწევთ და მოვალთ. კუელიარი იცინოდა, კარგ გუნებაზე იყო. თეთრები რომ აცვია, დედაჩემია, მეორე დეიდა. აბა, მომყევი, ცქრიტო, რა იყო, როგორ იყო, ძალიან გეტკინა? არ მითხრა! მაინც სად გიკბინა, მე პარაზიტო? სად და... გაჩუმდა, აღარ გააგრძელა. ჭუჭულაში? მაშ. გაწითლდა კია და ჩაიხითხითა. ჩვენც ავხითხითდით. ამ დროს ორივე ქალმა ფანჯარაში შემოიხედა — ნახვამდის, გულო, ჩვენც გვითხრეს, დიდხანს არ დარჩეთ, კუელიარი სულ მთლად არ გამორჩენილაო. კუელიარმა თვალები მოჭუტა, — ოღონდაც, სუს, არავისთან დაგცდეთ, მის ბებრებს არა სურთ, ვინმემ გაიგოს. იცოდე, ბიჭი, იცოდე, ჩემო გულო, არავის უთხრა, ასე თქვი, ფეხზე მიკბინა-თქო, გაიგე, ჩოლიტო? ოპერაცია მთელი ორი საათი გაგრძელდა. ათიოდე დღის შემდეგ გამოწერენ. ექიმს უთქვამს, ბედი გქონია — არდადეგები გაგიგრძელდაო!

კლასში, რა თქმა უნდა, ყველამ მოინდომა ჩვენთვის დაეცინცლა, რა იყო, როგორ იყო. მართლა გაუკვეთეს მუცელი? რითი? ნემსით და ძაფით? იქნებ არ უნდა ვილაპარაკოთ ამაზე, აკი მაშინვე შეცბა, დაირცხვინა — თქვა ჭიჭავამ. ლალომ კი — დიდი ამბავი, თვითონ მას, მაგალითად, ყოველდღე ჩასჩიჩინებენ: კბილები გამოიხეხე, შვილიკო, ერთ ადგილას უკვე იყავი? მანიუკომაც — საწყალი კუელიარი, რა გადაიტანა, მაგ ადგილზე ბუზიც რომ მოგკბევდეს, ის აგაბლავლებს. ძაღლმა გიკბინოს კი არა! მერედა, რა ეშმები აქვს — წამო, ქვები მოვზიდოთ და მინდორში წავიდეთ. ერთი, ორი, სამი! — ჰაჰ, ჰაჰ, ჰაჰ. არ გევასა, ლდინძალლო? მეტის ღირსიც ხარ.

მაშ, საწყალი კუელიარი, იძახდა ახმახა, ვეღარ მოიწონებს თავს ხელდა-

დელ ჩემპიონატზე. მანიუკოც — ამდენი ვარჯიში წყალში ჩაეყარა. ლალოც — შენ რაა თქვი, გუნდი რომ დაგვიძაბუნდა. თავი არ უნდა დავზოგოთ, აქ არ ჩავფლავდეთ. არ დაიზოგავთ, ლალო, დარდი ნუ გაქვს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

II

ნაუქმევს დაბრუნდა კუელიარი სკოლაში. თითქოს უნდა შეჯავრებოდა ფეხბურთი (რაც გინდა თქვი და მაინც ფეხბურთის გამო დაემართა ეს ამბავი), პირიქით, უფრო გადაირია სპორტზე, სწავლაზე კი გული აიყარა თანდათან, მალე მოისაზრა (ბუკო, ნუ ცემინია, არ აკლდა), რომ გაკვეთილების ზუთხვა სულაც არ სჭირდება: გინდ კოლები გამოჰყვეს, გინდ ცუდი ნიშნები, გამოცდებზე მაინც გაიყვანენ და არ ჩაჭრიან. სწორი პასუხი ვერ მიიღე — რა მოხდა მერე, ორიოდ სიტყვა თუ დაჯღაბნე — ჩინებულია, გაიძახიან.

ახლა ძალიან ვულოლიავებიან-თქო, ვეუბნებოდით, წილადებში ინჩიბინჩი არ იცი და მაინც თექვსმეტი შეაგროვე. მესაზე ის ეხმარებოდა ლეონსიოს — კუელიარ, კატეხიზმი შენ წაიკითხე — ზეიმზეც მას მიჰქონდა საპატიო ვიმპელი, — კუელიარ, დაფა გაწმინდე, გენაცვალე, — მას ამღერებდნენ გუნდში, — რვეულები შენ დაარიგე, ძვირფასო. — უზიარებელი ცხადდებოდა ხოლმე საუზმეზე. შენ უნდა თქვა, სამოთხეში ვარო, ეუბნებოდა ახბახა, ნეტა ჩვენ დაგვებადნეთ იუდას. ნუ ჩმახავთ რაღაცას, იტყოდა, ჩემი ბებრის ხათრით მეფერებიან, ბერებს ცეცხლივით ეშინიათ მისი. ჩემს ბიჭს რა უყავითო, თქვე ნაძირალებო, უთქვამს, სკოლას მიგიხურავთ და ყველას ციხეში ჩაგალპობთო, თქვენ რა იცით, ვისთან გაქვთ საქმე! ის საშინელი იუდა კი არა, კინაღამ დირექტორი მიახრჩო. დაეძგერა ყველა — დაწყნარდით, სენიორ, დამშვიდდით, ეუბნებიან. ის კი დირექტორის საყელოში სწვდა. ღმერთი-რჯული, არ ვცრუობ, ამბობდა კუელიარი, კლინიკაში მოვკარი ყური, დედა და მამა რომ ჩურჩულებდნენ. ამიტომაც ხელისგულზე დამატარებენ ახლა.

მართლა საყელოში სწვდა? რა ყოჩაღი მამა გყოლია! — თქვა ლალომ. ჭორჭავამაც — იქნებ მართალია, ის ნაძირალა იუდაც რომ გაქრა, აღარ ჩანს... ნეტა გაყიდეს თუ თვითონ გაიქცა? ან იქნებ სხვას აჩუქეს? არ დაიჯეროთ, იძახდა კუელიარი, მამაჩემი გამოუყვანდა წირვას. თუ თქვა, მოკვდება და შეასრულებს. აი, თურმე რატომ დაცარიელდა ერთ დღეს გალია. ერთი კვირის შემდეგ იმ გალიაში იუდას ნაცვლად თეთრი კურდღელი გაჩნდა. სალათი წაუღე ბაჭიებს, კუელიარ. აი, სტაფილოც მიუტანე, ჩემო კარგო, — ემლიქსებოდნენ ბერები, — წყალი გამოუცვალე. კუელიარსაც სხვა რა უნდოდა.

მასწავლებლები კი არა, მშობლებიც თავს ევლებოდნენ კუელიარს. ფეხბურთის სათამაშოდ ახლა ყოველდღე დაგვყვებოდა იგი „ტერასაზე“. მაშ შენი ბერიკაცი აღარ გავრობს? პირიქით, სულ მეკითხება — ვინ მოიგოო? ჩემმა გუნდმა-მეთქი. შენ რამდენი ბურთი გაიტანეო? სამი-მეთქი. ყოჩაღ, ჩემო ბიჭო! ამას წინათ ძვირფასი პერანგი გახეხა. დედას რომ ვუთხარი, ნუ გაწყუნება, შემთხვევით გაიხია-მეთქი, ასე მითხრა, შენი ჭირი წაუღია, ჩემო გულო, მოახლე გაკერავს, შენ მაინც ჩაიცვამ, მოდი მაკოცე, ჩემო ბიჭო. მერე შევიპარებოდით კინოებში, ხან „ექსცელსიორში“, ხან „რიკარდო პალმაში“, ხან „ლეუროში“, როცა ახალი კოვბოური სურათი გადიოდა, ან ისეთი კინო იყო,

„უფროსებისთვისო“ რომ ეწერა, ან კომედია კანტინფლასისა თუ ტინტანის[1] მონაწილეობით.

კუელიარს ყოველდღე უტოვებდნენ ჯიბის ფულს. — უარს კი არავის მეუბნებიან, რასაც მოვინდომებ, ხელდახელ ყიდულობენ, იმათ ჯიბეში ჩემს/ნებაზე ვაფათურებ ხელს. ლამის ილოცონ ჩემზე, არ იციან, როგორ მომეფერონ. ჩვენში პირველს მას უყიდეს ციგურები, ველოსიპედი, მოტოროლერიც კი კუელიარს, უთხარი შენს ბებიას, ჩემპიონატის თასი გვიყიდოს, აუზში წაგვიყვანოს შეჯიბრზე, უთხარი, კინოს მერე გამოგვიაროს. მამამისიც — კი, გენაცვალე, — აღმა-დაღმა დაგვაქროლებდა მანქანით, ოღონდაც შვილისთვის ეამებინა.

სწორედ იმ ხანებში (საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ ერთი თვეც არ იქნებოდა გასული) პაშტა შეარქვეს, ჩვენივე კლასში შეარქვეს — რა იცი, სულაც იმ თუქსუსმა გუშუსიომ არ მოუგონა? მის გარდა აბა ვის მოუვიდოდა თავში! კუელიარი ჯერ ტიროდა — ძმაო აგუსტინ, მაბრაზებენ. — ვინ? ვინ გაჯავრებს? რას გეუბნებიან? ცუდ სიტყვას, თქმისაც მრცხვენია — ბლუკუნებს და ცრემლები ღვარ-ღვარად ჩამოსდის. შესვენებაზე სხვაკლასელებიც მიადგებიან — როგორაა საქმე, პაშტა? ახალი რაა, პაშტა? ის ხან აგუსტინ, ხან ლეონსიო თუ ლუსიო ბერს მივარდება ტირილით, ხან კანიონ პარედესს: აი, ეს, აი, ის, აი, ესეც მაჯავრებსო.

კუელიარი ჩიოდა, გულზე სკდებოდა: აბა გაიმეორე! ჰო, ჰო, გაიმეორე! გგონია, მეშინია, ვერ გავიმეორებ — შე პაშტა შენა! საწყალი თვალების დახუჭავდა და მყის მამის ხმა ჩაესმოდა ყურში: იცოდე, მაგრად დაუდექ, ზედ სიფათში ხეთქე — მივარდება შეურაცხმყოფელს, — ფეხი დაუდე, — მუშტებს სეტყვასავით დააყრის ცხვირ-პირში, ნეკნებში, ყურისძირში, იქით, აქეთ — წაქციე და მორჩება საქმე — ყველგან მუშტი-კრივზე გადადის: ფეხბურთის მოედანზე, გაკვეთილებზე, ეკლესიაში — თითს აღარ დაგაკარებენ მერე, შეეშინდებათ!

რაც მეტად ფიცხობდა, მეტად ამწარებდნენ, საშველს არ აძლევდნენ. ერთხელაც დიდი აურზაური მოხდა: მამამისი მობრძანდა და დირექციას შავი დღე აყარა, — მის შვილს აწვალებენ, დასცინიან, ამას არავის შეარჩენს, ნუ დაავიწყდებათ, რომ მაინც მამაკაცები ჰქვიათ. ის ლაწირაკები დასაჯონ, თორემ თვითონ მოუვლის საქმეს, ყველას მოიყვანს ჭკუაზე, — ეს რა თავხედობაა! — თრახ, მუშტი ხეთქა მაგიდაზე, — რა უმსგავსობაა! — თრახ, ისევ მუშტი მაგიდაზე.

მაგრამ მეტსახელი საფოსტო მარკასავით მიეწება კუელიარს, მერე გარეთაც გავრცელდა და მალე მირაფლორესამდე მიაღწია. არ გასჭრა ბერების თავის მოქაჩილებამ — არა გრცხვენიათ, ადამიანები არა ხართ, სად დაკარგეთ სინდისი, — არ გასჭრა არც დასჯამ და არც დირექტორის ხვეწნა-მუდარამ, — ეგეთი უგულოები როგორა ხართ, — არ გასჭრა კუელიარის ცრემლებმა, მუშტებმა თუ მუქარამ. იმ საცოდავმა სიკვდილამდე ვერც მოიცილა ეს სახელი.

პაშტა, ბურთი მომე, რას მიგიწებებია! მოდი გავცვალოთ, პაშტა: ჩემი თაფლისკვერი, შენი ღვეზელი! ალგებრაში რა მიიღე? არ დაგავიწყდეს, პაშტა, ხვალ ჩოსიკაში მივდივართ, უნდა ვიცუროთ. ბერები ხელთათმანებს წამო-

[1] მექსიკელი კომიკოსი მსახიობები

ილებენ და შეგიძლია რინგზე გაუსწორო ანგარიში გოგონებს. ჩექმები თუ გაქვს, პაშტა? ცხენი მთაზე ავლენ, იქიდან კი ქალაქში გადმოხედავენ. აბა, რას იტყვი, პაშტუნა?

თვითონაც ძალიან ცდილობდნენ თავიდან ეს სიტყვა არ წამოსცდენოდათ, მაგრამ ერთხელ წამოსცდათ, მეორედ და მერმე, წავიდა და წავიდა... ყარ-რა, კუელიარ, ღმერთმანი. წამომცდა, გეყოფა, მე უნებლიედ, თავისთავად გა-მომიფურინდა, და თხლაშ! — ისევ „პაშტა" ახეთქა... ფერი ეცვლება, გადა-ფითრდება კუელიარი, რაო, რაო? სისხლი მოაწვება პირისახეზე — მაშასა-დამე, შენც, ჰიჯმავ? თვალებს გადმოკარკლავს, შემოგაშტერდება. — ბოდიში, კუელიარ, განა განზრახ, უბრალოდ ისე ვთქვი. მაშასადამე, მეგობრებმაც ასე, ხომ? ვეყო, ბებერო, ნუ ბრაზობ, სხვები რომ გეძახიან, მეც უნებლიეთ... მაშ შენც, ახლაც? თვითონაც არ ვიცი, როგორ წამომცდა, — ეუბნება ისიც. მანიუკო, შენც ასე? მაშასადამე, ყველანი ასე მეძახით ზურგს უკან? მაშასა-დამე, პირს იბრუნებს თუ არა — მათთვისაც პაშტაა?

აბა რას ამბობ? რამ მოგაფიქრა? — ვეხვევით, ვამშვიდებთ — ღმერთი, რჯული, მეტად აღარ ვიტყვით. ისე კი სულ ტყუილა ცოფდები — რა ისეთი სა-ხელია. განა შენ თვითონ არ ეძახი „ორატორას" ენაბლუ როდრიგესს, „ჩლახოს" როდრიგეს ვიოლოს, ცალ ფეხს რომ მიათრევს, „ღრანჭიას" პეროსს, ღრანჭი რომ განზე მოქცევია. განა შენ არ ეუბნები ამას „ახმახს", იმას „ჭიპჭყავს", ამას „მანიუკოს", იმას კიდევ „ლალოს"? სულ ტყუილად ბრაზობ, ბებერო, სჯობია ითამაშო. შენი დარტყმაა.

მერე და მერე კუელიარიც შეეგუა, ბევრს დაწინაურდა. მეექვსე კლასში უკვე აღარ ტიროდა, გულს აღარ აკლდებოდა, მუშტი-კრივზე აღარ გადადიოდა, აღარც იმჩნევდა არაფერს. ხანდახან კიდეც ხუმრობდა: პაშტა კი არა, პაშტეტი არ გინდათ, ხა-ხა-ხა! მერე, ერთი-ორი წლის შემდეგ ისე მიეჩვია ამ სახელს, კუელიარს რომ დაუძახებდი, ეჭვით შემოგაცქერდებოდა, რამე ხრიკს ხომ არ მიწყობსო... უცხო ბიჭებსაც რომ გაეცნობოდა, ასე ეტყოდა: ძალიან სასი-ამოვნოა, მე პაშტა კუელიარი გახლავართ.

გოგოებს, ცხადია, ასე არ ეცნობოდა, მარტოოდენ ბიჭებს. უნდა ითქვას, რომ უკვე გოგოებზე გვეჭირა თვალი. კლასში ჩურჩულ-ჩურჩულით ლაპარაკი დავიწყეთ: იცი, ბიჭო, გუშინ ჩვენს ლალოს მის ტურფასთან წავასწარ, — ხან შესვენე-ბაზე ვჩურჩულებდით, — სანამიროზე ხელგაყრილი დასეირნობდნენ, მწუ, პირდაპირ ტუჩებში ჩაჰკოცნა. ზარის შემდეგ კი — პირდაპირ ტუჩებში? აბა არა, ღმერთმა იცის, რამდენ ხანს აკოცნებოდნენ.

მალე სხვაზე აღარც ლაპარაკობდნენ. კიკე რობასი თავისზე უფროს გო-გოსთან დადის, ქერა, ლურჯთვალა, კვირას მანიუკომ ნახა, ორნი რომ შედიოდ-ნენ „რიკარდო პალმაში" დღის სეანსზე, კინოს შემდეგ კი თმაგაწეწილი გამო-ვიდა გოგო, გასაგებია, რასაც აკეთებდნენ. ნუ გეშინია, დროს ტყუილად არ გაატარებდნენ. მეორე დღეს მერხთანაკლასელ ვენესუელს, აი, იმ ღრუბლიანს (მწოველას რომ ეძახიან), იცი, ახლახან სად წავაწყდი? მანქანაში იჯდა ვიღაც გათხოვილ ტურფასთან ერთად, ნაღდში საქმე აქვთ ერთმანეთთან. შენ კი, ლალიკო, ტურფა არა გყავს? პაშტა, არც შენ? ხა-ხა-ხა! ამ ჩვენს მანიუკოს კი პარიკო საენსის და მოსწონს. ავერ ახლახან ამას ფინიშით ნაყინი იყიდა და ფული რომ აღარ ჰქონდა — ჩინოს დაუვედრა. ჩინოსგან კი იმ გოგოს სურათი გა-მოუყვანია. დღესასწაულზე რომ წითელმაჯიანი იყო. ხა-ხა, ლალო, ნუ ბაქიობ,

ჩვენ ხომ ვიცით, ის ლოქო რომ შეგიყვარდა, რომბაც. შენ კი, პაწია, არავინ არ გიყვარს? ალიკ ხან წითლდება — ზედა სიმწიფე არა მაქვს. ხან ფითრდება — გული არ იყო, ხა-ხა; შენ კი, შენ კი...

სკოლიდან ზუსტად ხუთზე რომ გამოხვიდოდ და [illegible] გაშვერილ სტალ-მოჩუქურთმებულ ჩარჩოში, „ლა რუპერტსიონში"¹ გაკვეთილების [illegible] მოუსწრებ. ჩვენ ქუთხეში ავიტანებით — შენც, შენც, ავერ [illegible] მესამე „ა"-ს გოგოები სხედან, ავერ იქ, ფანჯარასთან, კანეპას ლაი ხედავ? ხე-ლი დაუქნიე, ჩაო, ჩაო, აბა ფიფრო, გადიამა, ჰო, გადიამა. აი ის წრიბა პა-სუხად ხელს იქნევს, მომაკვდავე, ნასვამივითა. მაიქ, შე სულელო, შენ ვინ გეწნეს ტელს, ავერ [illegible]...

ხანდახან წვრილებს მივაქცევდით და ქალაქებს მეტროებზე გავაპარებ-დით ხოლმე მათეგნ. „შენ ძალიან ლამაზი ხარ, მომწონს შენი კაკანები, ბა-ლიან გიხდება ფორმა, შენი მეგობარი ლილი". ფურჩულად, პეპერო, მონა-ზონებ დაგვინახა, შენ ლილს დაეყრის გოგოებს რა ქვია? შე [illegible] მქვია, იქნებ კვირას კინოში წავიდეთ, ჰა? მაშინ ხვალ [illegible] წვრილით მასუხი შე-მომითვალე, ან ავტობუსიდან თავი დახარე [illegible] ნაწილზე. კედლიან, შენ თუ მოგწონს ვინმე? მამა, აი, ფუკან რომ ზის, საათევლიანი? არა, მის გვერდით რომაა. ზედა როგორ წერილს არ სწერ? რა უნდა მივწერო? რაც გინდა. ეგრე იყოს, მივწერ — „გინდა ვიმეგობროთ?" არა, ასე სჯობს. „შენთან მეგობრობა მსურს, გიგზავნი კოცნას". აი, ეგ უკეთესია. პეპერო, თოთონ ფუ-რო ჩაახუტებუბე. კი ბატონო — ხა-ხა-ხა. „ხაზავ კეთები და [illegible] არ ვკარგავ". ხა-ხა-ხა. აი, მადაქალო! ახლა შენი გვარი და სახელი მიაწერე და რამე მიახა-ტე. მაინც რა? რაც გინდა, გინდა მოხვევრი, გინდა ყვავილი, გინდა... ბალერინის კრანტი.

ასე დავსდევდით „ლა რუპერტსიონის" ავტობუსებს, ასე კატაობდით დროს გაკვეთილების შემდეგ. ხანდახან არეულობა [illegible] გავრბოდით „ვილია მარიას"² [illegible] გოგოების სანახავად. პირველი ზიარებიდან მოდიხართ? ხანდახან კი [illegible] წმინდა [illegible] სადღესასწაულოდ მიგვიყვა-ნენ, რომ იქ „წმინდა უბისლიანეა" თუ „ქრისტეს გულის" სკოლების გოგოები-სთვის [illegible] თვალი. [illegible] მათთვის [illegible] ყოფნა [illegible] მომაყვავ.

მერე დღეობებზე გოგოების მიპატიჟებაც დაიწყეს. თუმცა ჩვენ პაში ვყურყუტებდით ამ დროს, თუმცა ყასიდად [illegible] სალკობის, მეზობლობა-ნას, წყაროზანას, დამალობანას ან ფანტობანას ეთამაშობდით, თვალი და ყური მაინც სასტუმროსკენ გვეჭირა, ნეტა რა ხდება იქ, რას აკეთებენ გოგოები და დიდი ბიჭები? ცეკვავენ? ნეტავ ჩვენ ვიყოთ მაგათ ადგილზე!

ერთ მშვენიერ დღეს კი გადავწყვიტეთ ცეკვა გვესწავლა. მას აქეთ ყოველ კვირა თუ შაბათღამე ეროთმანეთის ვეცეკვებოდით. ლილოსთან შეიკრიბე-ბით? არა, ჩემთან — ჩვენთან უფრო ხალვათობაა, თანაც ახალი ფირფიტები გვაქვს, იტყოდა ანწაბა. მანოუკი კი — სამაგიეროდ მე და მყავს და ის გვას-წავლის, ხოლო კუელიარი — არა, ჩემთან მოხვალთ. ბიძაჩემმა უკვე ყველა-ფერი იცის, ამ დღეებში შინ მივედი, ვნახოთ, მაგიდაზე მავნიტოფონი დგას. ეს დედიკომ გაჩუქა, გული. მე მარტო? ჰო, საყვარელო, განა ცუდია. შენს

¹ ქალთა სკოლა ლიმაში.

² ქალთა პანსიონატი დიდგვაროვანთა ოჯახის შვილებისათვის.

ოთახში დადგა, როცა გინდა მეგობრები მოიწვიე, განა დრო არაა ცეკვა ისწავლო? წადი, გული, „საუკუნის მელოდიაში“ ფირფიტები იყიდე, რა ლაპარაკი უნდა, ჯგროდ გავცვივდით მაღაზიაში, ქვეყნის ფირფიტები ვიყიდეთ — მამბო გინდა, ვალსი, უარაჩა[1], ბოლერო, ანგარიში კი მისი ბებრის სახელზე გავაგზავნინეთ — მარშალ კასტილიას ქუჩა, სახლი რვა, სე[illegible] მირაფლორესი, და მორჩა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალსი და ბოლერო იოლზე იოლი გამოდგა: ითვალე და თან დაიხსომე — შენ აქეთ, ის იქით, მუსიკა აქ დიდი თავსატეხი არაა. უარაჩა კი, გიყვარდეს, ძნელია, იმდენი ილეთი უნდა ისწავლო, ჭკუიდან აიშვება კაცი, — ამბობდა კუელიარი. მაშინაც კი თავდაჭერებული ყოფილა — ხან მოტრიალდით, ხან შენს მეწყვილეს ხელი უშვით, ხან ისევ სტაცე ხელით, ამასთან არც შენი თავის გამოჩენა დაივიწყო. თითქმის ერთდროულად ისწავლეს ცეკვაც და პაპიროსის ქაჩვაც, ერთმანეთს ფეხებს ამტვრევდნენ, „Lacky“-სა და „Viceroy“-ს ბოლით იხრჩობოდნენ, ხორხართულებივით ბზრიალებდნენ — უჰ, მორჩი, ბებერო, — ახველებდნენ, იბურჭყებოდნენ — მიდი, გაინძერი, — თავი ურატრატებდათ და თავბრუ ესხმოდათ — ჩიქარავს, ენის ქვეშა აქვს კვამლი დაგროვილი. პიშტამ თქვა — მერე რა? სამაგიეროდ ხომ ხედავთ? რვა, ცხრა, ათი — ახლა, თუ შეიძლება, რგოლ-რგოლად, აი, ასე, ახლა პირდაპირ ცხვირიდან, ახლა კი ნახეთ, როგორ უნდა შემობზრიალება, ერთხელ კიდევ, — და დადგა, ადგილზე გაჩერდა, ფეხიც კი არ შეშლია!

თუ წინა წლებში სპორტი და კინო ყველაფერს ერჩიათ და ფეხბურთისთვისაც სულს არ აშურებდნენ, ახლა ყველას ფიქრი მხოლოდ გოგოებისკენ ქროდა, მხოლოდ ცეკვები აღარდებდათ. ახლა აქეთკენ ყველაფერს დათმობდნენ, ოღონდაც ისეთ ოჯახს სწვეოდნენ საღამოს, სადაც პერეს პრადოს[2] ფირფიტებს დაუკრავდნენ და პაპიროსის ქაჩვას არავინ დაუშლიდათ. ასე კი ყოველ შაბათს იკრიბებოდნენ ხოლმე ოჯახებში მიწვეულებიც და მიუწვევლადაც. თუ არ დაპატიჟებდნენ და ისე დაესხმოდნენ თავს სახტად დარჩენილ მასპინძლებს, ჯერ ჩინელის სარდაფში შეივლიდნენ, თბილაშ — ფულს დაახეთქებდნენ დახლზე და ხუთ კაპიტანს[3] მოითხოვდნენ. თუ გინდა სისხლი აგიჩუხჩუხდეთ, გვეტყოდა პიშტა, აი, ასე უნდა ყლუპოთ, ყლუპ-ყლუპ, კაცებივით, ჩემსავით.

პერეს პრადო და მისი ორკესტრი ლიმაში ჩამოვიდნენ. ჩამოვიდნენ და, რა თქმა უნდა, ისინიც კისრისტეხით გაცვივდნენ კორპაკში[4]. აბა ვინ მომყვება? — შემოგვძახა პიშტამ, შექუჩულ ხალხში გაძვრა-გამოძვრა, ჯიქურ მიეახლა პერეს პრადოს, პიჯაკში ჩააფრინდა და მთელი ხმით იყვირა: „მამბოს მეფეს გაუმარჯოს!“

ღმერთი-რჯული, პერეს პრადომ გაიღიმა, ჩვენაც ჩამოგვართვა, ჩემი ავტოგრაფების ალბომშიც ხელი მომიწერა, აჰა, ნახეთ, თუ არ გჯერათ!

თქმა რად უნდა, ზღვა თაყვანისმცემლებთან ერთად ისინიც გაჰყვნენ პერეს პრადოს. ბობი ლოსანომ თავისი მანქანით მიიყვანა ბიჭები სან-მარტინის

---

[1] კარიბის ზღვის ქვეყნების ცეკვა.

[2] ცნობილი კუბელი მომღერალი.

[3] არაყისა და ვერმუტის კოქტეილი.

[4] ლიმის აეროპორტი.

მოედნამდე — მერე კი თვითონ იმარჯვეს და მზის ტრიბუნაზე გადვრნენ, მამბოს ფესტივალს დაესწრნენ, აღარ ახსოვდათ არც არქიეპისკოპოსის [illegible]თა და არც ლეონსიო და ლუსიო ბერების ქადილი და მუქარა.

ყოველ საღამოს კუელიარის სახლში რადიოთი „ელ სოლის" პროგრამას ვიჭერდით და აღტაცებული და გაბრუებული ვუსმენდით პერეს პრადოს — ვერაც ამას ჰქვია, აი, რიტმი, ბუბერო, ვაჰ, რა ხმაა!

იმ დროისათვის უკვე მოიწიფნენ, გრძელი შარვალი ჩაიცვეს, ქოჩორი ჯაგრისით გადაივარცხნეს, ერთი სიტყვით, დაიზარდნენ, მეტადრე კუელიარი. მანამდე თუ ტანდაბალი და ჯაბანი იყო, ახლა ყველას გაასწრო სიმაღლეში და ღონიერიც მას ეთქმოდა. გაყვარდეს, ბიჭი ხარ, პაშტა, გამოფენაზე უნდა გაგაგზავნოს კაცმა, რაღა შენ და რაღა ტარზანი!

III

პირველად ლალო გაგვიმიჯნურდა — მაშინ მესამე კლასში ვიყავით. ერთ საღამოს ეს ჩვენი ლალო „Cream Riga"-ში შემოვარდა ისეთი გახარებული და გაბადრული, ყველანი მივცვივდით — რა იყო-თქო? გაიბერა, მაგრამ რა გაიბერა, ფარშევანგივით გააფოფრინა კუდი: ბიჭებო, ჩაბუკა მელინა ჩემი „გოგოა", პოო — მითხრა! მთელ ჯგროდ წავიდნენ მაშინ „ჩასკი"-ში[1] ამ ამბის აღსანიშნავად. ორი ჭიქა ლუდი რომ ყლურწა, კუელიარი მოიმალა — როგორ აუხსენი, ლალო, სიყვარული? ჩაბუკამ კი რაო? ხელი თუ დაუჭირე? ჩაბუკამ კი რა ქნაო? — აღარ მოეშვა და აღარ, — მერე შენ აკოცე? ლალოს ახალი აბაზიანივით უბრწყინავს პირისახე, ყველაფერზე დიდი ხალისით იძლევა პასუხს. ახლა თქვენი სადღეგრძელო იყოს, დროა თქვენც გაიჩინოთ გოგოები. კუელიარი კი მაგიდას ურახუნებს ჭიქას და ისევ თავისას გაიძახის: იმან რა გითხრა, შენ რა უთხარი, იმან კიდევ რა გიპასუხაო.

რაღა შენ და რაღა ჩვენი მღვდელი, იცინოდა ლალო. კუელიარი კი — აბა, მოჰყევი, მოჰყევი, ნუ წელავ რეზინასავით. სამ-სამი „ბროლი" დალიეს და შუაღამისას კიდეც მოთავდა პაშტა. ქალაქის საავადმყოფოსთან ბოძს მიეყრდნო და აღებინა. ჰაი, შე ჭკუის კოლოფო, ვეუბნებით, ლუდით როგორ ირწყავ ქუჩას, ფული არ გენანება! კუელიარს კი სულაც არ ეხუმრებოდა — ლალომ გვიღალატა, — თავის ჭკუაზე არ იყო, — შენ მოღალატე ხარ, ლალო! — პირზე დორბლი მოადგა, — უჩუმრად გაგვეპარე, გომბიოს გადაეკიდე, — ზედ პერანგზე ჩამოსდიოდა ნერწყვი, — თან რომ არც ჰყვება, რა უქნა, როგორ მოარჯულა.

პაშტა, შეცვალე ფირფიტა, გირჩევნია, თავი გადმოსწიო, თორემ სულ ამოითხვრები. ვინ დაგიჯერა — მოღალატე და მოღალატეო, ძმაკაცებმა ეგრე არ იციან, შენ ვინ გეკითხება, გაუშვი, ამოვითხვარო! მერე, როცა კაცს ძლივს დავამსგავსეთ, ბოღმა გაუქრა, დაღონდა, მოიმჩვარა — ახლა ლალოს თვალითაც ვეღარ ვნახავთ, მთელ კვირადღეებს ჩაბუკასთან გაატარებს, მაგ წურბელას ჩვენი სახლის გზაც დაავიწყდება. ლალომ კი უთხრა — კაი ერთი, პაშტა, გოგოს თავისი ადგილი აქვს, ძმაკაცებს — თავისი, ტყუილა ნუ ცხა-

[1] კაფეა ლიმაში.

რომ. ბიჭებმაც მართლაც გიჟის, პამტა, მიჟი, შეურიგდი, ხელი ჩამოართვი. კუელიარმა კი ქვა ააგდო და თავი შეუშვირა — მოწყდეს იქვე, იმ თავის ჩამოჯდნილ წვეროიან! კუელიარი მინამდე მივაცილეთ, გზაში სულ ლუღლუღებდა. — გაიგეთ, ბიჭებო, როგორაც ლუღლუღებდა. — ვერაფერი ვერ იხმარეთ, ჩემზე ძლიერი ფეხსაცმელები იმაზე კიბეზე, თორემ ბიჭები გაილეოდნენ და ჩავვარდნოდნენ. კუელიარმა კი განზრახ ატეხა ყვირილი, კარს მუშტები და წიხლები დაუშინა — გამიშვით, გაიღვიძოთ, გაუშვით, ჩამავლეთ, ფეხებზე მკიდია, მშობლების არ მეშინია, თქვენ კი, თქვენ თავები — ლაჩრები ხართ, რას გარბიხართ, რომ გარბიხართ, დაიჩივლებდნენ და დამტკბარიყავით სეირით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა უცურე, რანაირად მოიშალა, — თქვა მანიუკომ, როცა დიაგონალს ქუჩაზე მივუახლოვდით, — შენ რომ იტყვი, ჩიტუკა მოეჩვენებოდა, მიწისქვეშა დაღლილი და გულიან მოუშვებს. ახლაგანაც — კი, შერით გაიკვეთ. იმიტომაც დათვრა. ქიცბერთმაც — ალაპარაკდით, მშობლებისაგან მოელოდება!

თურმე არაფერიც არ შეიძლებოდა. ვინ გაიგო ცერი? ლეიგამ. მერე გაუყურე? არა, აქედან, ეს რა ყოფილა, ჩვენი გული, შენი ხმისა საპორტიდან სასმელს ვინ სვამს? მამამისიც გამოსულა, ცალყბად გაიღიმებოდა და კარები დარეკ? არა, მაშინ შენ თვითონ არ გრცხვენია? მრცხვენია, პაპა. დაბანეს თვალში, ლოგინში ჩააწვინეს. ფიცარს კი მათემატიკა დღე-ღამის, ლოთობისკენ მოუბრუნდა — არ გეწყინოთ, ლოთები თავში ამოეჭრათ, ხომ არ შემოგრეხდებით ან გამოიტყუებთ? და ართმევდა, ვინ არ მოისვენა შაბათამდე, თავი მოიტყუ. შეურიგდით, ჩვენ ხომ ძმაკაცები ვართ, ავსტრალიელთა ყოფილი ურთიერთობა.

მაგრამ ფეხბურთიც კი ისწავლა: კუელიარმა ზიდავს აიძულა, რომ არ ეკითხა: ყურადღება დაუთმო მარჯვნივ, ასწავლა კი ასწავლიდნენ, ცემულზე ნავთს ასხამდნენ — მაშ ვერ გაბედავ ჩემი ბებიის მინდვრის? არა ძმაო, თუ ბიჭი ხარ, ისიც დაიკარგება გამოძრახდა მამამისის კარადიდან მანქანა და ყველას მიაჩოქდებოდა კონტრაბანდის მძღოლი-მოხელეთ ბრძანი, მან, ვერ ავიღებ ბიძია ლონდონის რეკორდს? არა შენ იცი, პამპა, ასიც ფეხ-ყელი — ვერ სანაპიროზე გაფრინდა, მერე ყელ-ყელი — ბუხაოლოვსკიდან კუბრაცოდეს მიქროლდა თან წყალ-ნაპირიდან. გაჭედეთ შიში თუ არა? მანიუკომ პირჯვარიც კი გადაიწერა — მოიგონეს და ეტყო. შიშისგან ხომ არ გაგიშრესა, ჩოლო, ჰა? მან ვერ აქციეთ ბიჭებს კუჭში „ვიშ, რა ზორბაა" მუქთად და ფულსაც არ გადაიხდის? ბიჭი ხარ და სცადე, პოლო, ასისაც წააქციე იმ აიფელში, პამბურგერთ ბუტერბროდებს გვახვრინეს. ძალის კოტილეტი წრეებში, გასტრონომთან ხეთქეს, მერე თითო-თითოდ გამოიძებნენ და მწოლიარე ჭაბუკა ნამგზავრი ტაძართან მოითქვეს სული. იქიდან ფლოვენთდება კუელიარი, როგორ ვეფხვიც ერთიანი წყლის ... მერე ... და ჩვენ გამოიქცევა ...

არა ვინ გაიმარჯვა? გრინგოთ მამამისის ფულით ... და იმ სახლში ... ჩაეჩქარა ... არა მეგო, რაღას ფიქრობ! ... დაწყნარდი ... რას არ აკეთებდა, თავი რომ გამოეჩინა და ყველანი გაეოცებინა, — შეგვამჩნიეთ თუ არა? — ... მოგვე, — შენ

[1] გზატკეცილი ოკეანის პირას.

დაფრთხი, მე კი არა! — ეგრაღა ვერ აპატია, ჩაბუკავთან რომ დადიოდა. შეიძულა პირდაპირ ბიჭი.

მეოთხე კლასში ახმახმა ფინა ვალიას დაუწყო კურკური და მერე, მერე „გოგო“ გახდა, მანიკიური — პუდრი ლანიას და იქაც დიდში ჩოჯინებს სახლს. კუელიარს მთელი თვე წინიდან არ მოუცილებია ფეხი და ყალბი მორიდებით ესალმებოდა ბიჭებს. გამიგონე, რა მოგივიდა? არაფერი. რატომ აღარ მოდიხარ, რატომ აღარ მოგვყვები არაყზე? კუელიარი გულჩახრწნილი გახდა რატომღაც, სულ შარზეა, სულ გაფხორილი დადის, ყველაფერი სწყინს, ვიცხვლით ბიჭები. მაგრამ მერე მაინც მოიბრუნა გული და ისევ დაგვიბრუნდა. კვირაობით ისა და ჭივჭავა კინოში დადიოდნენ ლოლას ყვავილებზე (ჰაი თქვე საცოდავო კიკოებო!), აღარ იცოდნენ, დრო როგორ მოეკლათ. უხმოდ დაყიალებდნენ ქუჩა-ქუჩა ჯიბეში ხელებჩაწყობილნი. — იქით შევუხვიოთ თუ აქეთ? — კუელიართან ღიროფლებს უსხდნენ, ჰყვებოდნენ ანეკდოტებს, თამაშობდნენ კარტს, ცხრა საათზე კი ბოლისკენ გასწევდნენ, სადაც ბიჭებს უნდა მოეყარათ თავი, თავიანთი ტუროვების გარეშე. აბა, როგორაა საქმე, კარგად? — ელმიჭებოდა კუელიარი სამილიარდოში შემოსვლისას. ჩვენ ფული მოჯაგვახდილი და სახელოვაკაპიწებული ველოდით. ისიამოვნეთ, ბიჭუკაებო? — ხმა უსიცოცხლო ჰქონდა, დაბოღმილი და უგუნებო. ბიჭებმა რომ შეუტიეს — ფიროფლა გამოცვალე, ლოზლანდიურობას მოეშვი. მაინც თავისი განაგრძო — ტუჩი ტუჩს შეაწებეთ, მკლავი მკლავს გადააჭდეთ, ხომ! თან თვალებს აფახულებდა, თითქოს კვამლმა დაუწვა, ფარნის შუქმა მოსჭრაო. ჩვენ გავეცხარდით — აბა, რას ბრაზობ, პამტა, შენც მოიჩანგლე გოგო, ვინ გიშლის, ენის ფხანას ეგ არ სჯობია. ის კი ისევ — დააწრიჩვეთ ხომ კოცნით? თან ახველებს, აფურთხებს, გეგონება, მთვრალიაო. — გაბევი წამოუწიეთ, ლულაბუცეთ? — თან ქუსლს უსვამს ილტაკზე. ისინი კი — შურით კვდება პატარა. — გოგო ჩაატანეთ ხომ, დატკბით ხომ! — გადაირევა ეგ უბედური, გაიცინეს მაინც. კუელიარი კი მოქოქილივით ისევ თავისას განაგრძობს — პო, რას აკეთებთ გოგოებთან, ჰკოცნით? აბა, როგორ? ისევ დაიწყო თავისი. მოკეტე, გული ნუ გაგვიწყალე. ლოლო ერთხელაც გაცოფდა — მე ნუხვო შენა, ხომ არ გინდა ცხვირ-პირი ამოგინაყო, უთხარით მაგას. ჩვენს გოგოებზე კრინტს ნუ სძრავს, „კალთამაღლიანები“ ხომ არ ჰგონია ეგენი. რის გაჭირვებით გავშველეთ, მერე, როგორც იყო, შეარიგეს. მაგრამ რა ექნა, თავს ვერ მოერეოდა, თავი ვერ დაეძლია კუელიარს, ყოველ კვირა ისევ თავიდან იწყებდა: აბა ვინ მიაღწიეთ საწადელს? ვის გაუღიმა ბედმა? ვის არა?

მეხუთე კლასში ჭივჭავამ თვალი დაადგა ბება რომერონს, მაგრამ უარი მიიღო, შემდეგ ტულა რამირესს დაუწყო დევნა — იქაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. მაშინ იაპონელა სალდივარს დაუტრიალდა — და არც შემცდარა. ერთხელ სვლაზე გამიმართლდაო, იკვეხებოდა ჭივჭავა.

ეს საქმე „სამბისტების ბარში“ აღვნიშნეთ, სან-მარტინის ქუჩაზე.

ყველამ ძალიან მოილხინა. მხოლოდ კუელიარი მიკუნჭულიყო კუთხეში საცოდავად და ლუდსა სვამდა. რას მოგიწყენია, სულელო, ახლა შენი რიგია. უნდა ამოარჩიოს გოგო და „მოჩანგლოს“, ისინიც დაეხმარებიან, ხელს შეუწყობენ, გოგოებიც არ დააკლებენ ცდას. კი, კი, ასეც მოიქცევა — „კაპიტანს“ „კაპიტანი“ მიაყოლა ზედიზედ. ერთბაშად წამოდგა სუფრიდან — ჩაო, მისი წასვლის დროა: დღეს ადრიანად უნდა დაიძინოს. რომ არ წასულიყო,

ცოტაც და ატირდებოდა, თქვა მანიუკომ. ახმახამაც — ძლივძლივობით შეიკავა თავი, ჰოქავამაც — არ ატირდებოდა და მაშინდელივით მოიქცეოდა, ლალომაც — უნდა უშველონ რამე, დაეხმარონ, გოგო უნდა აშოვნონ, თუნდაც მათხოვარი იყოს, დაწყნარდება, თავის გულს აღარ შეასკდება, კი, კი, ყველა მიეხმარება, კაი ბიჭია, თუმცა ზოგჯერ თარსი და მოუთმენელი, მერეც კია, მაგის ადგილზე... ან რაა გასაკვირი. ცოდვა ბიჭია კუელიარი, კუელიარს ემატიება, კუელიარი ყველას უყვარს, კუელიარის სადღეგრძელო იყოს. შენ გაგიმარჯოს, პაშტა.

მას აქეთ მარტო დადიოდა კუელიარი კინოში კვირაობითაც და უქმეებზეც (დავინახეთ, უკანასკნელ რიგში იჯდა და ასანთის ღერებს უკიდებდა, ხიბნელეში შეყვარებული წყვილები რომ დაენახა). ბიჭებს კი საღამოობით ხან საბილიარდოში ხვდებოდა, ხან „ბრანსასა"[1] თუ „Cream Riga"-ში, ცხვირპირი ჩამოსტიროდა. — აბა როგორ გაერთეთ კვირას? — ეკითხებოდა გესლიანად, — მე დიდებულად, თქვენ კიდევ უკეთესად, არა?

მაგრამ ზაფხულში კუელიარი თითქოს დამშვიდდა. ჩვენ ერთად დავდიოდით პლაჟზე, ოღონდაც მირაფლორესში არა. ნამგალაზე[2] — კუელიარის მანქანით, ბებრებმა რომ საშობაოდ აჩუქეს. გიყვარდეს, კუელიარი ფეხით მოსიარულეთ აფრთხობდა ამ თავისი ფორდ-კაბრიოლეტით. შუქნიშნები მაგას არ სწამდა, წარმოუდგენელი სიჩქარით მიქროდა და წარამარა საყვირს აპამპნებდა.

ასე იყო თუ ისე, იგი მაინც დაუმეგობრდა ჩვენს გოგოებს და ჩინებულადაც შეეწყო. ეს კია, გოგოები წარამარა უჩიჩხინებდნენ, გასაჭანს არ აძლევდნენ. — რას იპრანჭები, კუელიარ? შენც მოძებნე ვინმე, მაშინ ხუთი წყვილი ვიქნებით, ერთად გავიქროლებდით ხან სად და ხან სად. კუელიარი კი ვითომ ხუმრობით იტყოდა — ჩემი ფორდი რეზინისა ხომ არ გგონიათ, ათი კაცი ვერ ჩაეტევა, ერთ-ერთს ფეხით ცუნცულით მოუწევს, ისედაც გაჭედილია მანქანა. არა, მართლა, ამბობდა პუსი, მის გარდა ყველასა ჰყავს მეგობარი, რა გაჭირია საქმე ბოლოს და ბოლოს? გაწრიპულ გამოსთან მაინც გააბას სიყვარული, გოგო დნება და ჰქნება მისი გულისთვის, ამას წინათ თეთიამ გაუტყდა გოგოებს, როცა „ბაღობანას" თამაშობდნენ. მიდი, სცადე, კუელიარ, რა ჭირად უნდა „სიყვარულობია", თავისუფლება ყველაფერს ურჩევნია — ამბობდა კუელიარი და თან ზემოდან უყურებდა ბიჭებს, დაცინვით იღიმებოდა, — მარტოობას რა სჯობია! აბა, რად გინდა თავისუფლება, კუელიარ, იმიტომ რომ ათასი სისაძაგლე ჩაიდინო, ავიყო შენს ნებაზე?! — ეუბნებოდა იაპონელი. ჩაბუკიც ასევე — უაჩებთან, იმ კახპებთან რომ ეთრიო? კუელიარი კი იდუმალად, თავხედურად იღიმებოდა, ბილწად და მუქარით: ვინ იცის, ვინ იცის...

რატომ აღარ მოდიხარ ჩვენთან საცეკვაოდ? — ეკითხება ფინა, — აკი ერთ საღამოსაც არ გამოტოვებდი, რა მხიარული ბიჭი იყავი, რა კარგად ცეკვავდი! რა დაგემართა, კუელიარ? გული რად გაუტეხია, იარის მათთან, გოგოსაც მონახავს თავის გემოზე და „მოიჩანგლავს" ბოლო-ბოლო, — მიატანა ჩაბუკამაც. მაგრამ გინდა ეს გითქვამს კუელიარისთვის და გინდა ცარიელი შეგეგინა კედლისთვის. — მათ ქეიფებზე მოწყენით მოკვდება კაცი, — ბრაზით ამბობდა

[1] კაფეა ლიმაში.

[2] სანაპირო ლიმას გარეუბანში.

ეგი — ან იქ რა უნდა, როცა იმისთანა ნაღდი დროის სატარებელი ადგილებია, კაცი გაგიჟდება. ეგ იმიტომ, რომ, — უთხრა ფინამ, — წ[illegible] გოგოები არ მოსწონს. კუდლიანმა კი — არაა სწორი. წესიერებთან მეგობრობა როგორ არ შეიძლება, გოგოებმა კი — დროის ტარება კი ჩვეულებრივ იმ „კალთამოღლიანებთან", იმ იაფფასიან გოგოებთან, არა? ბაშუტა — სისულელეა, მას ძალიან მოსწონს წესიერი გოგოები. მაგრამ ეს გაზრდილი გოგოში კი თვალში არ მოსდის. გოგოებმაც — აჰა, ხომ დაიხია უკან. იმან კი — ახლა გა-გამოცდები მიქვს და სასიამაგიეროდ ა-არა მცალია. ან დროს ჩვენც მივაშველეთ ხმა — გეყოფათ. მოეშვით მაგ ბიჭს, რას ჩააცივდით, მაგას თავისი საქმეები აქვს, თავისი გეგმები, რა თქვენი საქმეა. ეს გაერშეყება და ვის არა. აბა, ჩქარა გაგვაქროლე, ბაშუტა, ვერა ხედავ, რა მზეა, ნაპირებზე ალბათ იწვის ყველაფერი. მიდი, შენი ფორდი ნაგავი რამეა, ხელად მიგვაქროლებს.

ყველანი „თოლიების"[1] პირდაპირ ბანაობდნენ. ვინემ ოთხი წყვილი ქალვაჟი სილაზე თბებოდა, კუდლიანი ტალღებში ყვინთავდა: აბა შეხედეთ, რა ბიჭი ვარ!

ეგერ იმ ზორბა ტალღას თუ შეეჭიდები? — ეკითხება ჩაბუკა. ბაშუტაც ერთი ნახტომით წამოიჭრებოდა გახურებული სილიდან — აკი სული მისდიოდა, ვისმე ეს ეთხოვა. ამ საქმეში მეტოქე არავინ ევულებოდა. — აბა ვცდი, ჩაბუკიტა, ილოცედდაც მიყურე! და გაქანდებოდა წყლისაკენ. თავგადაგდებული და მკერდგამობერილი. ტყავ და უკვე წყალში იყო! მერე ლამაზად მოიქნევდა ხელებს და სწრაფად გაცურავდა ტალღის შესახვედრად. რა ზორბაც ცურავს, იძახდა პუსი. ეგერ კუდლიანი ტალღას მიუახლოვდა, უკვე, წყლის ვეება მთას, უკვე წამოფოფრილსა და დასანთქმელად გამზადებულს. უყურეთ, უყურეთ, — ყვიროდა იამონელა, — ახლა სულ წვერზე მოექცევა.

კუდლიანმა ცალი ხელი აამუშავა (ცალი ტანზე მიეკრა), სწრაფად მოექცა ტალღის ქიმზე და იმავე წუთს იმ ტალღასთან ერთად დაენარცხა ძირს. ქაფის მორევმა დამალა. ერთი შეხედეთ, — კიოდა ფინა, — ახლა დააზრიალებს, გადმოატრიალებს. მაგრამ კიდევ რამდენიმე წუთი და ვეებერთელა ირიბმა ტალღამ კუდლიანი წინ გამოაქანა. ახლა უკვე კარგად ხედავნენ — ტანი რკალივით მოეხარა, ფეხები ჰაერში გადაეჯვარედინებინა, თავი ოდნავ უჩანდა წყლიდან. ეგერ უკვე მშვიდად უახლოვდება ნაპირს, დამცხრალი ტალღა ნელ-ნელა მოაცურებს.

რა ღმერთივით ცურავს, რა ყოჩაღია! — აღტაცებული გოგოები თვალს არ აშორებდნენ კუდლიანს; ის კი გოგოებს ხელს დაუქნევდა და ისევ ტალღების შესახვედრად გაქანდებოდა.

აფსუს, რა ლამაზი, რა გულიანი ბიჭია და გოგო კი არა ჰყავს! ნეტავ რა სჭირს? ბიჭები ერთმანეთს გადახედავდნენ. ლალი ჩაიფრუტუნებდა. ფინა კი — რას იცინით, ვერ გვეტყვით, რაა მიზეზი. გაწითლებული ახმახა კი — არაფერიც, აბა ვინ იცინის. ფინა კი — ნუ მიედ-მოედებით, ვერ მოგვატყუებთ. ახმახა კი — ვინ მიედ-მოედება, ნუ იგონებთ, ღმერთმანი. რაღაცას. მორცხვია და იმიტომ არა ჰყავს გოგო, იძახდა ჭიკჭავა. — მორცხვია, როგორ არა, მორცხვობის მაგას რა სცხია, — განაცხადა პუსიმ. ჩაბუკამაც — აბა დაფიქრით. რა

[1] სპორტული კლუბი.

სჭირს? ჰამინ კი ლალომ — თავისი მოსაწონი გოგო ვერ ნახა და რა ქნას. როცა იქნება, ესეც მონახავს. იაპონელამ კი — ხუ სტყუით, რა უნდა მონახოს, როცა არც ეძებს, ისკვერზე ეგ არ დადის, სხვაგანაც ვერსად ნახავ. ჩამუკამაც — ჰო, ჰო, გვითხარით, რატომ არა ჰყავს ბოლოს და ბოლოს [illegible]

გოგოებმა ყველაფერი იციან, თქვა ლალომ, თავს [illegible] არა. იციან და თვალთმაქცობენ, არ გიციათ. რატომ? იმიტომ რომ მეტი დაგვცინცლონ, მეტი გამოგვტყუონ. ვერ ხედავთ, რა თვალებით იყურებიან, რა ეშმაკურად გვაკვირდებიან. ახლაც კი — ნუ მიქარავ, ჩვენმა გოგოებმა ყველაფერიც არ იციან, რაც გვეკითხებიან, [illegible], აქამდე რომ [illegible] ჰყავს და შეყვარებულთ [illegible], ახლა თუ არ იციან, ერთ [illegible] [illegible] გაიგებენ. — თქვა ჩოკლო. — ჰამინ კი თავის თავს დაბარებული [illegible], რა გაუჭირდა, რომელიმე გოგოსთან ისეირნოს, თვალის ახახვევად ბაიცა! ჩამუკამაც — ოჰო, მამასადამე, რომელია სარჩო! მაწიუკოპაც — რას ჩაიციკლე, რა შენი საქმეა. მოვა დრო, [illegible] შეიყვარებს: ახლა კი [illegible] — აქეთ მოდის.

[illegible] ყველაფერი უფრო და უფრო გულჩახვეული ხახდა, ნიადაგ [illegible] ჩამოსცილდებოდა გოგოებთან. კრინტს არ სძრავდა. სულ გადაიარა, სულ თავზე ხელი: მუსიკის ფირფიტებზე მთელი ზუნდალური მოწყენები მობოჭა და ფანჯრიდან მოისროლა. მუსიკა, რასაკვირველია, ტრიალი ორიოთ. მაწიუკოს მოლი მოუტეხა და ბანქოს [illegible] ეტყვი, იმან კი სიტყ თბილისა. ერთი ავირის შემდეგ [illegible] იქნა [illegible] შეეკითხეთ, მაპაჯი, მაწიუკო, მეც არ ვიცი, რა მზიები მიცნობს, კარგი, კარგი, უბიაკო. მეც გავაერთიანე მანინ, აი, ჩვენკვე იპა დღეს, ალაპ იბუებზა. თავისთან გაეზბუნტდება. ერთხელ [illegible] გახედული მილოსის მოლილა სამოსით შესახედ: ლალომ და ახმახმა ზურგზე მოკიდეს და ილიეს [illegible] ბაიაბუ, გაწიწვით, ეს ბიჭები... ბრიოლა დაკოდილივით, — [illegible] [illegible] [illegible] — [illegible] და [illegible] — ჯამბაზი მოწვია ახლა. მეტი არ მინდა! დაინახა რაც კინოს, დამთვრეული? ჩვენ სხვ არ უნდა გაესროლო! — წიბლუებს ეწყებდა გოგოებთ. — კი, კი! იმსაკ ვეცვრი, ეგერ რომ მოჩანჩალებს. შენცა და ბოროს ჩვენ თავსაც შეგაყოლებს! ბუმ, ბუმ! ერთ კვირა დღეს კი თავის ყველფი პორტალის ჰიპოდრომის გაზონზე შეაგდო და ბაცში დააჯინა. საშინელი წივილი შეიქნა! კარნავალზე ყველა გოგო [illegible] გაეპრანცუ — რა არ ეცვათ. ხან მყრალი საფეიერვერკოები, ხან ნაფცქვენები, ხან დამბაჩის ვაშლები, შარმით სავსე რეზინის ბუშტებიც კი. საბირო, ტაღახიო, [illegible] თუ [illegible] [illegible] ყველახი, ლოტოს, ვალს, ბოროტყები, ბარბანკერი. — ეძახოდნენ გოგოები... უკმე დღეებში მაიოტეკუნელით აჩქულ-დაჩაჩული, გაზინჯქური და დაბუბუნებული მიდიოდა „ტერასაზე", პარკში გაფარულ ცეკვებზე, „Laun tennis"[1]-ში. როდეს ხელში დიდროანი ბუშტები ეკავა — ბაც-ბაც, ბაც-ბაც-ბუმ! მის თვალში მოვარდნი — ხა-ხა-ხა-ხა. ბაც-ბაც, ბაც-ბაც! დაბრმავება გოგო, ვერაფერს ხედავს! მოცეკვავეების ფეხებში კოხი უხდებათ, იატაკზე რომ გაჩხლართულიყვნენ — ვაჰ, ბოდიშს ვიხდით ძალიან შეწუხდაბით დაგრჩნა! ყველა ჩხუბსა და აყირავებაში ერთოდა, კარგა ბლომა მუშტებიც ხვედროდა. რაც შეგვეძლო, ვესარჩლებოდით, ჩვენი ძიმუკა დაიწიოდა, ყველანი თავს წავიდა, იცოდე, სულ კი არ შეგარჩება, უკუბნელბოდით.

[illegible] ცალი სახელი გადაერქვა. ჰქონდა წიგნი, შელაბიერ, ერთი ფე-

[1] სპორტული კლუბი.

ვე — არიგებდა ჰოვჰავა. ახმახაც — კაცს გული გაუსკდება შენს შეხედვაზე. მანიუკიც — გოგოებს შენი დანახვა არ უნდათ, დათხვეულია, შეშლილია და ყარაღით. კუდლიარიც, თითქოს გზას მოცდა, ხან ფალობებით იტყოდა, მოო-ჩა, მეტს აღარ იზამს, თვითონვე რცხვენია, ღმერთი-რჯული! ხან კი უცხოდ მოწ-ყევად და მრაზიანად — მაშ ყარაღს ეძახიან, ხომ! მაშ, ეს შენი ...-პინებმა, ხომ, ფეხებზეც არ ჰკიდია, ნახავს ჰაგათ კუბოს, ჰაგათ...

გამოსაშვებ საღამოზე ყველა შეიკრიბა, — იყვნენ უფროსებიც, უკრავდა ორი ორკესტრი, „Country club"-ი — მთელი ქალაქი მოგროვდა კუდლიარის გარდა. ნუ სწუხდები, — უჩურჩულებდით, — შენც ჩვენთან უნდა იყო, ერთ ჩოჩქოლსაც გამოვიძებნით, პეპსი ფაქტ მოდელებმა კოკის, ფისა — ილუსს, იამონელა — ელენაა, ჩაბუკა — ფლორას, კედლებიან, ისე უნდით შენთან ყოფ-ნა; აირჩიე, რომელიც გინდა. კუდლიარმა თავი მოიკლა. რა ჩააცვნან ან მშვიდად სმოკინგს, სულაც არ ჰკიდება იმ საღამოზე წოსვლა, ამას სჯობია ზარტოდ ბიჭები შევკრივდნენ მერე. კისერი გიტყდება, — უთხრეს ბიჭებმა. — თვითონვე იწვალებ თავს... რიღაი ასეა. მაგრამ ორ საათზე დავცვლოდი „ჩასკოდის". გოგოებს გავაცილებთ და მოვალთ. თითო-თითო ბოთლს დავლევთ ამ დღის აღსანიშ-ნავად. კუდლიარმაც დალონებით, მეტისმეტად დალონებითაც — დავლევთ, მაშ არ უნდა დავლიოთ...

IV

მეორე წელს ჰოვჰავა და ნანიუკი უკვე საინჟინრო ფაკულტეტის პირველ კურსზე სწავლობდნენ, ლალი — სამედიცინოს მოსამზადებელზე, ახმახი „wiese-ს"[1] ფირმაში მუშაობდა. ჩაბუკას ახლა ჰოვჰავა ეარშიყებოდა ლალის მაგივრად, იამონელას კი ლალი ჰოვჰავას ნაცვლად. სწორედ იმხანად ჩამოვი-და მირაფლორესში ტერესიტა არარატე. დაინახა კუდლიარმა ეს გოგო და, რომ იტყვიან, ერთ დღეში შეიცვალა. თავი ანება ხულიგნობას, ჩაიცვა გაუთო-ებული პიჯაკი, გაიკეთა ყელსახვევი, ელვის პრესლივით[2] გადაივარცხნა თმა, გაიპრიალა წაღები. ეს რა სასწაულია შენს თავს, პაწიავ? ველარ გცნობთ პირ-დაპირ, გეგონება, ბიჭი ხარ, ბუზს არ აიფრენ! ისიც გაიბადრება — აბა კი, — პიჯაკის გულისპირზე ფრჩხილს დაისვამს, ალერსიანდელივით თავმომწონედ გა-მოგხედავს, — ოდესმე ხომ უნდა გამოვეწყო ნიკდეს კაცი. აბა, უყურე, რო-გორ გამხიარულდი, ჯიგარო, ასე შეცვლა გავიგეო! იქნებ გვითხრა, რა მიზე-ზით, ჰა? მყის გაუბრწყინდება სახე — ალბათ არის მიზეზი. — ტერესიტა ხომ არა? ლამის დადნა ბიჭი — ვინ იცის, ვინ იცის. მოსწონს განა? ვერ იტყვის, ვერ იტყვის...

კუდლიარი ისევ ის ბიჭი გახდა, როგორსაც დაწყებით კლასებში ვიცნობ-დით. კვირაობით მესაზე დადიოდა (რამდენჯერმე შევასწარით მღვდელთან ზი-არებაზე), მესის შემდეგ ჩვენი უბნის გოგოებს მუსაიფს გაუბამდა. რასა იქმთ, ახალი რა არისო თქვენკენ. მერე ტერესიტას მიუბრუნდებოდა, ბაღში წავიდეთ, აი, ამ სკამზე დავსხდეთო ჩრდილში! შებინდებულზე სახლამდე მიდიოდა. რომ გაიშხლართებოდა, ხა, ხა, თვითონვე ხარხარებდა, თავის თავს

[1] ავტომანქანებით მოვაჭრე უცხოური ფირმა.
[2] ცნობილი ამერიკელი მომღერალი.

დასცინოდა, — მოდი, ტერესიტა, სრიალი გასწავლო! რომ დავეცე? არ დაეცემი, ხელს ჩაგჭიდებ და ერთიც ვცადოთ! ტერესიტაც დაეთანხმებოდა, — კარგი, ერთიც ვცადოთ! აწითლდებოდა გოგო, თვალებს ააჟუჟუნებდა, ნამდვილი თოჯინა იყო: ქერა, ფუნჩულა, თავზე ჩამოქუჩებული [illegible] ჰქონდა. იმხანად კუელიარმა „რეგატას" იახტკლუბში მოუხშირა [illegible] მამა, ჩამწერე იმ კლუბში, მთელი ჩემი მეგობრები იქ დადიან. მამამაც — ო, კეი, შვილო, ვიყიდოთ აქციები. შეჯიბრი ხომ არაა?

კვირა საღამოს კმაყოფილი ღიმილით დასეირნობდა სალაზარის ბაღში კუელიარი, მუდამ ახალი ანეკდოტი ეკერა პირზე — ტერესიტა, აბა თქვი, რა საერთო აქვთ ქრისტესა და სპილოს; მუდამ ნაზი და მზრუნველი იყო — ტერესიტა, ჩემი სათვალე გაიკეთე, მზე თვალს მოგჭრის. ენაწყლიანად მოსაუბრე — ტერესიტა, ახალი რაა თქვენკენ, თქვენები როგორ არიან? მუდამ გულისხმიერი — ტერესიტა, ნაყინს ხომ არ მიირთმევ ან Hot dog-ს[1], იქნებ ბუტერბროდი, ანდა milk shake[2] ინებო?

რას მოვესწრაფით, კუელიარიც გაგვიმიჯნურდა, იძახდა ფინა. ჩაბუკაც — გამიჯნურდა რომელია, ტერესიტას დანახვაზე ელეთ-მელეთი ემართება. ბიჭებიც სიამოვნებით ბილიარდის მაგიდასთან სულ ამაზე ლაპარაკობდნენ. ნეტა თუ მოჩანდებოდეს? ეყოფა კი გამბედაობა? — ამბობდა [illegible]. შეიძლება — განა თუ ტერესიტამ ყველაფერი იცის? კუელიარისთვის კი პირდაპირ ვერაფერი ეკითხათ, ხოლო გადაკრულად ნათქვამს ის ყურად არ იღებდა. ნახე ტერესიტა? ჰო. კინოში იყავით? ჩინებული ფილმია, ოთხივე ნახეთ. კუელიარი პიჯაკს გაიხდიდა, სახელოებს დაიკაპიწებდა, კიის მოიმარჯვებდა, ხუთივესთვის ლუდს მოატანინებდა და გვიანობამდე თამაშობდნენ. ერთხელაც, მეფის კარამბოლის შემდეგ, მალვა არ აუხდიათ, ისე ჩაილაპარაკა, — მკურნალობას მპირებენ. — თან ცარცით მიაწერა თავისი ქულები, — ოპერაციას გამიკეთებენ; ჰამ, საავადმყოფოში უნდა დაწვე, პაპიტა? — მიაძახეს ბიჭებმა, — გვიამბე რა. იმანაც, ერთობ სხვათა შორის, თქვა — რა მოხდა მერე! თურმე ასეთ ოპერაციებსაც აკეთებენ, ლონდონსა და ნიუ-იორკში. მამამ უნდა წაიყვანოს იქ. ეს რა კარგი რამალაა თქვი, ჯიგარო, — ერთხმად შესძახეს ბიჭებმა, — მალე გაემგზავრებით? კუელიარმაც — ჰო, მალე, ერთი თვის შემდეგ. ბიჭებმა კი — ბედი გქონია, სულ ყირაზე უნდა იდგე ახლა და ყვირილით შესძრა ქვეყანა. კუელიარმა კი — ჯერ ვნახოთ, პასუხი უნდა მოვიცადო ექიმისაგან. მამამ გუშინ გაუგზავნა წერილი. ჩვეულებრივი ექიმი ხომ არ გეგონოთ, დიდი მეცნიერია, მხოლოდ საზღვარგარეთ არიან ეგეთი ექიმები... დღეები დღეებს მისდევდა. კუელიარიც — მამა, წერილი არ მოსულა? მერე დედასაც — ფოსტა უკვე იყო, დედიკო? არა, შვილო, ნუ ღელავ, მოვა წერილი. ხოლო როცა ეს დიდი ხნის ნალოდინები წერილიც მოვიდა და მამამ წაიკითხა, შვილს მხარზე მოხვია ხელი, — თურმე ამ საქმეს არაფერი ეშველება, ჩემო ბიჭო, ვაჟკაცურად უნდა შეხვდე ამ ამბავს. რა საწყენია, პაპიტა, ეუბნებოდნენ ბიჭები. პაპიტამ კი თქვა — რა იცი, იქნებ სხვაგან გამოვიდეს რამე, გერმანიაში, პარიზსა ან ლონდონში. მამაჩემი ამ საქმეს ასე არ დატოვებს. ყველგან გაგზავნის წერილს. ფულს არ დაზოგავს, რადგან შეპირდა, კიდეც აასრულებს. ჩვენ კი — აბა არა,

[1] სოსისები (ინგლ.).

[2] რძის კოქტეილი (ინგლ.).

აბა არა. ხოლო კუელიარი რომ წავიდოდა — საწყალი, რა ცოდვაა — ვიძახდით, მაინც რა ჯანდაბად ჩამოეთრა ეს ტერესიტა, — ბრაზობდა ჩოტო, ჩინგოლოც — უკვე შეჩვეული იყო თავის ბედს, ახლა კი ველარ მოითმინა, — მანუკოც — იქნებ მეცნიერებამ მიაკვლიოს რაღაცას, რაღაცა გამოიგონოს? აქ კი ლალოც ჩაერია — არა, ბიძაჩემი ექიმია, ასე თქვა: მაგ საქმეს ვეღარაფერი ეშველებაო.

ბიბლიოთეკა

კუელიარი კი — როგორაა საქმე, მამა? ჯერჯერობით არაფერი ჩანს, შვილო. პარიზიდან თუ მოვიდა პასუხი, დედი? რომიდან, გერმანიიდან?

ახლა ისევ ყველა წვეულებაზე დადიოდა კუელიარი. უწესო ბიჭის სახელი რომ მოეცილებინა და კარგ ოჯახებში ნდობა დაემსახურებინა, სამაგალითოდ იქცეოდა. არავის და არამც არ დააგვიანებდა არც დღეობასა და არც პიკნიკზე, აღარ თვრებოდა, მუდამ საჩუქრები მიჰქონდა — ეს შენ, ჩაბუკიტა, ეს ყვავილები კი დედას მიართვი, ტერესიტა უკვე აქაა? გოგოებთან დინჯად, წესიერად ცეკვავდა, ხანდაზმული კაცივით, თითქოს განზე გამდგარი: გაიწევდა ხოლმე მოწყენით მოყურყუტე გოგოებისაკენ, — მოდი, ფუნთუშა, ვიცეკვოთ, ერთ-ორ სიტყვას გადაულაპარაკებდა დედებს, ერთ-ორს მამებს, დედებს ღიმილს შეაფრქვევდა — წვენს ხომ არ ინებებთ, ნათესავებს გაუცინებდა — ერთი წვეთი მაინც მოსვით. ქათინაურს დროულად ჩაურთავდა — რა მშვენიერი გულსაბამი გაქვთ, როგორ ბრჭყვიალებს თქვენი ბეჭედი. არასოდეს არაფერი შეეშლებოდა — ბრძანდებოდით სულ ბოლო დოლზე, სენიორ? ვინ მოიგო ბევრი? სიტყვით ყველას აქებდა — ჭეშმარიტი კრეოლი ბრძანდებით, ქალბატონო, მომწონს თქვენი სიდინჯე, ნარნარი რხევა! მასწავლეთ, თქვენებრ როგორ შემოვტრიალდე, დონ ხოკინ, აჰ, ნეტა თქვენსავით შემეძლოს!

თუ რამეზე ვსაუბრობთ (გინდა ბარში, გინდ „Cream Riga"-ში თუ ქუჩაში) და უცბად ტერესიტა მოგვიახლოვდა, კუელიარი მყის სულ სხვა კაცი ხდება. მისთვის იკლავს თავს, მას ეტრფიალება, მას უნდა მოაწონოს თავი, ვამბობდით ბიჭები. დაიწყებდა ლაქლაქს რელიგიაზე (განა შეიძლება მომკვდარიყო ყოვლისშემძლე ღმერთი, თუკი უკვდავი იყო?), პოლიტიკაზე (ჰიტლერი გიჟი იყო, მაგრამ როგორც წერენ, არც მთლად ისეთი: სულ მოკლე ხანში განვითარებულ ქვეყნად აქცია გერმანია), სპირიტიზმზეც ჩამოაგდებდა სიტყვას (ეს ზღაპრები კი ნუ გგონიათ, მეცნიერულად დასტურდება! საფრანგეთის ერთ უნივერსიტეტს ისეთი მედიუმები ჰყავს, სულის გამოძახება რაა, სურათიც შეუძლიათ ამ გამოძახებულ სულს გადაუღონ. თავისი თვალით აქვს წიგნში ნანახი. ტერესიტას თუ უნდა, მოუტანს ამ წიგნს), მოჰყვებოდა, რას აპირებს მომავალში, როგორ მოეწყობა კათოლიკურ უნივერსიტეტში. ტერესიტაც ნაზად ულიმის — რა დიდებულია! პაწია თეთრ ხელებს ცხვირწინ უტრიალებს, — ვინ გამოვა, ვექილი? — რა ფუნჩულა თითებია, რა გრძელი ფრჩხილები. — ფუი, რა ცუდია! — ფრჩხილებზე ხორცისფერი ლაქი უსვია — ცხვირს უკმაყოფილოდ იბზუებს. კუელიარიც — არა, ხიმანკლობასა და ყბედობას სულაც არ აპირებს, იქ იმიტომ შევა, Torre Tagle[1]-ში მოხვდეს, დიპლომატი გამოვიდეს. ტერესიტა აღფრთოვანებული აქნევს ხელებს, აკუჭუნებს თვალებს, აფახულებს წამწამებს... კუელიარიც — დიახ, დიახ! მინისტრი მამამისის მეგობარია, მამა უკვე ელაპარაკა ამის თაობაზე. მამასადამე, დიპლომა-

[1] ამ სახელითაა ცნობილი პერუს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

ტი იქნება, — ტუჩებზე ღიმილი ეფურჩქნება გოგოს, — რა საუცხოოა! კუელიარიც აღტაცებისგან ფრენს, — აბა არა, დიპლომატები იმიტომ მოგზაურობენ. ტერესიტაც — გაუთავებელი საზეიმო წვეულებანი აქვთ, დარბაზობანი!

სიყვარული თურმე სასწაულს ახდენს, [illegible], რა [illegible] და თავაზიანი ყმაწვილი დადგა. პიჩულა კი — უცხოური სიყვარულის [illegible] ტერესასთვის, რაღას აჭიანურებს, ვერ მოათავებს საქმეს! ჩაბუკაც — ორი თვეა კლუბში დასდევს, მაგრამ შედეგი რაღაც არა ჩანს. ბიჭები კი ერთმანეთს ეუბნებოდნენ: იციან თუ თავს იკატუნებენ? თუმცა გოგოებთან ესარჩლებოდნენ ამხანაგს: აჩქარებით ვის მოუგია. ამაყია და არ უნდა თავი დაამციროს, გაწბილდეს, იძახდა ჩინგოლო. დაეკარგება რა შეუძლია, ამბობდა ჩოტო, ტერე თანახმაა მასთან იაროს. ისე უპასუხებს თვალებს, გეგონება! იამბობდლაც — კი, კი, თვალებს [illegible], ეუბნება: რა მშვენიერად დასრიალებთ [illegible], რა ლამაზი პულოვერი გაცვიათ, რა [illegible], მე და თქვენ ერთად ვისრიალოთ.

ტერესიტასთან [illegible] არაფერი დაიჯერება, ამბობდა მანუკო: ლალოს [illegible], ჩვენ კი [illegible]! ფრანს და პიპსან კი თავი გამოიდეს: არაფერიც არა, ტერეს რომ ჰკითხეს, პიჩულაზე შეეკითხეს, წინააღმდეგი არ იქნება; ჩაბუკამაც — რას ლაპარაკობთ? ტერესიტა არაა, ყველგან რომ დაჰყვება კუელიარს? [illegible] სახლთან ცდასავს? მართლა ბრიყვი უნდა იყო, ვერ მიხვდე, რა [illegible] გოგოა. იამბობდამაც — ვინმე [illegible] და ეტყვის: ტერესას რომ მოეწონოს ვინ? უნდა [illegible]. ნუთუ აჭიანურებს, [illegible] პირობას [illegible], ცეკვებს მოეშვებოდა მანოლოს ან ჩოტოსან, ან ჩაბუკასთან თუ ფრანსთან, მერე კი ისე მოეგებოდა, [illegible] თერთმეტს. ბიჭები კი საბილიარდოში ლაპარაკობდნენ: რა ჩერჩეტები არიან, არაფერი ესმით, ან იქნებ ესმით და ჩვენთან მალავენ...

სანამდე უნდა გაგრძელდეს ასე, გამოაცხადე ერთხელაც ლალომ, პიჩულა არ გვავიწყდეს ამასობაში, რაღაც უნდა გავაკეთოთ. ბიჭებმაც — ცხადია მართალი ხარ, მაგრამ რა? მანუკომაც — მოდი, შევეშინჩხლოთ, მართლა უყვარს ტერესიტა თუ ართობს მხოლოდ?

ისინი მის მიჰყვნენ ტერეს, გამოჰკითხეს. როგორ და რით. ტერესიტამ კი (სწორედ ასე მეგონა!) თავი მოისულელა, თითქოს კარგა ლამაზად გაიცურა. კუელიარზე მეკითხებით? — ირგვლივ იყო დასკუპებული, — აკი თქვენ რაღაც საშინელ სახელს ეძახით! ხელი აიწევა საქანელაზე, ფეხები გამოიწვდინა. — კოხტა ფეხები კი ჰქონია — კუელიარი? სადაა იცით? — ნუ თვალთმაქცობ, ყველამ მშვენივრად იცით: შენც, გოგოებმაც, მთელმა მირაფლორესმა, — თქვეს ახლავე. მან კი ცხვირი მოჭმუჭნა, თვალები აახამხამა, მართლა? — თან ისე იცქირება, გეგონება, ეს წუთია მთვარიდან ჩამოვარდნილი. — აქამდე არაფერი გაუგია. მანუკომაც — გეყოფა, ტერესიტა, გამოტყდი პატიოსნად, ვერა ხედავ, რა დღეშია ბიჭი? გოგომ კი — ვაი, ვაი, ვაი! წამწამები აახამხამა, ხელები გაშალა, კბილები გააელვა, ფერხისაცმელები დაგვანახა, ოდნავ ჩიჩინით დახუნძლული, თუ კონდოთ მიყურებთ და ... ბოლოში კი ვერ გავაბამთ.

თუნდაც ეგრე იყოს. მაგრამ ისინი ხომ მეგობრები არიან, სხვა არაფერი. ისე კი, სიმართლე თუ სურთ, — ყველაფერი ლამაზი და კოხტა აქვს ტერესიტას, თითებიც, ფრჩხილებიც, ხმაც, — გული მოუკლეს ბიჭებმა და ევაა. კუ-

ელიარს ხომ მასთან სიტყვა არ დასცდენია ამაზე. — ხლაპრებს ნუ ამბობ, რა-
ღაცას მაინც გეტყოდა, თუნდაც ქათინაურს — უთხრეს ბიჭებმა. ...ავარ,
არა, იქნებ თავის ბაღში ამოთხარა ორმო და ყველა სიტყვა ... —
ლამაზი აქვს გოგოს თმაც, კისერიც, ყურებიც, — ჩემთვის ...
ვამს, გინდ დამიჯერეთ, გინდ არა: განა ვერ ხედავ, კუ...
კუდში დაგდევს? თქვა პირველმა ტერესიტაზეც: მერე რა, ამხანაგია, მეგობარი,
ვაი, ვაი — ქალები ააპატიენა, ხელები მომეწონა, მკერდი გამობერილა, სიცაა
წელშიც გადატყდება. რა ლამაზი ფეხია, ბიჭები უნდა გადაყლაპო. საიდან არ
მოვუარეთ, რა აწყენი არ გადავუგდეთ — მაშ ხელიც არ მოუკიდია შენთვის? —
არა. არც მოგხვეწებია? — არა. (დაიცა, თუ ტყუილში არ დაგიჭირეთ!) აყ-
ვარულშიც არ გამოგტეხია? არა. (კი ბატონო, სხვა მხრიდან დავუვლით!) კუ-
ელიარი მორცხვი ბიჭია, თქვა ლალომ. ზაგრებში იცოდე, მალე გათამამდება, შენ
კი როგორ მოიქცევი, ეს ჯერ არ ვიცით. რა არ იცით? — შუბლზე ნაოჭი აის-
ხა, — მოწყალეთ და ვცდა. — ლოყები ჩაეწითლა, წამწამები აახამხამა, წარბები
გადაიკრა. — მაინც ვისზეა ლაპარაკი? კუელიარზე? ბანიელისაც — აბა ვის-
ზე, არ თქვას ახლა, თვითონაც არ მოსწონს! არა, ჭორიკანობით ასეს ვერ
იტყვის.

ამახამაც — ნუ იტყვები, მოგწონს, კიდეც აგრძნობინე. ტერესიტამ
კი — არაფერიც არა. ახამდე არ მისულა საქმე და ალბათ არც არასოდეს მივა.
ბიჭებმაც: ნუ სტყუი, შეგრძნობინებსაც აგრძნობინე. — შენი ახლოთ მოსაწონი
ბიჭია? — ჯიქურ ჰკითხა ლალომ. ტერეზ კი — კის. კუელიარი? — რა ფეხსხი-
ლა იდაყვები ჰქონია, რა მრგვალი მუხლისთავები — მგონი, კი, აი ხედავ, შენ-
ვე ამბობ, მაშასადამე, მოგწონს! — აღარ მოვეშვით ჩვენ. ტერესიტა კი — არა-
ფერიც არ უთქვამს. ტყუილად ნუ უგონებენ რაღაცას. აბას აქიმია. ავერ იმ
პეპელას შეხედონ, ავერ იქ, ნემსიწვერაზე რომ ზის ბაღში, თუმცა იქნება პე-
პელა არც იყოს! — წამოიცა, თითი გაიშვირა, თითონ ქუსლები ჰქონია ფეხ-
საცმელზე. ან ეს სიძველი სახელი რატომ შეარქვეს? რატომ არიან ასეთი
უხეშნი? უფრო ლამაზი ვერ მოიგონეს, ვთქვათ, „სუზერენენი", „ტარზანი",
„ბობი"? მაშ არ ყოფილა შენთვის სულ ერთი, რაკი გულზე მოგხვედა, მაშ
მოგწონს, — ვუთხარით ისე. ტერესიტამ კი — ვცოდები და იმიტომ. აბა სცადონ
და ამისთანა სახელით იარონ ქვეყნად. მაშასადამე, უყვარს ხომ? უყვარს? ჰო,
ცოტა კი, — თვალები აიფუფუნა, ჩაიცისკისა, — როგორც მეგობარი.

ტერესიტა თვალთმაქცობს, ტყუილად იძახის, არაო, თორემ, ლაპარაკი
არ უნდა, უყვარს! ასე გადავწყვიტეთ ჩვენ... პაშტა უნდა დატრიალდეს. მაგ-
რამ როგორ გინდა უთხრა!

კუელიარი კი მაინც თავისას განაგრძობს: კუდში დასდევს ტერესიტა
არარტებს, თვალს ვერ სწყვეტს, აღარ იცის, რითი მიიმხროს. ჰაი, შე ბრიყვო,
უნიათო, შე ფინთავ შენა, დასცინოდნენ ის მირაფლორესელი ბიჭები, ვინც
არაფერი იცოდა. გოგოებიც წარამარა მისძახიან: „როდისლა, როდისლა", რა
არის გაიმწარონ, ბოლოს და ბოლოს რაღაცა აკისრებინონ. ერთ საღამოს მი-
რობის თანხმად კინო „ხეობაში" წავედით. იცი, პაშტა. მოდი და მაგ შენი
ფორდით ნამგალაზე გავეიქროლე, — ვუთხარით გზაში. — ო-კეი! — თქვა კუ-
ელიარმაც. იქ ლუდს მოატანინებს და ფეხბურთსაც ითამაშებენ, მისი ფორდი
წამში მიავრიალებთ. მართლა ისე მივქროდით, მოსახვევებზე საბურავებს წკი-
პინ-წკიპინი გაუდიოდა. სანაპიროზე პოლიციელმა გაგვაჩერა. ნუთუ ახლა მე-

ტია, სენიორ! — „აჰ, საყვარელო, ნურასოდეს ნუ მოვიგონებთ!“ — მერე კუელიარს საბუთები მოსთხოვა. იმან კი ორი ქაღალდის ფული მისცა. სენიორ, ჩვენი სადღეგრძელო შესვით... „აჰ, საყვარელო, ნურასოდეს ნუ მოვიგონებთ!“

ეროვნული

მალე უკვე ნამცალაზე მივრიალდნენ და „ნაციონალის“ [illegible] შევიდნენ. ხალხი ბლომად იყო, მეტწილად ჩოლოები. შეხე, ამ ეპარიტას არა უშავს რა, თურმე აქაც სცოდნიათ ცეკვა! კუელიარი აქეთ-იქით აფრქვევდა ღიმილს, მასხრობდა და ქილიკობდა. ჩვენ კი ორი ჭიქა „ბროლის“ შემდეგაც ვერ გავბედეთ და ვერ დავძარით კრინტი. ვერც ოთხი ჭიქის მერე გავბედეთ. მხოლოდ მეექვსე ჭიქის შემდეგ ივაჟკაცა ლალომ — ხომ შენი მეგობარი ვარ, პაშტა? პაშტა კი იცინის — გამოთვერი უკვე? — ჩვენ ყველას გვიყვარხარ, ბებერო, — დასძინა მანიუკომაც. კუელიარმა კი — გული უკვე აგიჩუყდათ? რაღაც მალე მოგეკიდათ. მანიუკომ კი ისევ — უნდა მოგელაპარაკოთ, ცქეიტო, გირჩიოთ რაღაც. კუელიარს მაშინვე ეცვალა ფერი, ერთბაშად გამოსცალა ჭიქა. რა სასაცილო ქალ-ვაჟია არა, ბიჭებო? თუმცა გოგო კაია, ბიჭი ჩანს დოყლაპია. ლალომაც — მიკიბ-მოკიბვა რად გინდა, ბებერო! ხომ გიყვარს შენი ტერესიტა? კუელიარს ხველება და ცემუყვება აუტყდა. მანიუკომაც — მოკლედ მოსჭერი, პაშტა, ლაილაი არ გინდა: გიყვარს თუ არა. კუელიარმა გაიცინა, მაგრამ მაშინვე დახარა თავი და ჩუმად, ძლივს გასაგონად თქვა — ჰო-ჰოო, ძ-ძალიან შეუყვარდა. კიდევ ორი ჭიქა „ბროლი“ და კუელიარმა ისევ — არ ვიცი, ახლა რა-რა ვ-ვქნა. ახმახამ კი — როგორ რა ქნა? კუელიარმაც — როგორ მოვიქცე, ჭიჭაკვ? ჭიჭაკვამაც — კაი ერთი, პაშტა, ისე მოიქეცი, როგორც სხვები. ჯერ ჰკითხე, უყვარხარ თუ არა ტერესიტას. ეჭვი არ გქონდეს, მიყვარხარო, გეტყვის! მერე, მანიუკო? ვთქვათ და დამთანხმდა, მერე? მერეზე მერე იწუხე, უთხრა ლალომ, ახლა კი ნუ გააჭირე საქმე, უთხარი, მიყვარხარ-თქო, რა იცი, იქნებ გიმკურნალონ და მოგარჩინონ. კუელიარმა კი თითქმის ჩურჩულით — ახმახ, მეგობარო, იქნებ იცის უკვე ტერესიტამ, იქნებ ვილაცამ უამბო. არაფერიც არ იცის, — მივაძახეთ ყველამ, — ჩვენ უკვე ველაპარაკეთ, ტერე გელოდება, ისე უყვარხარ. პაშტამ უმალ მოიცა ხმა — მე მიყვარვარ? ჰო, შენ, აბა ვინ! იქნებ მართლაც მოვრჩე! ჰა? ამას რა მტკიცება უნდა. ოღონდაც გაბედე, თავს ნუ იწამებ, გულს ნუ იხეთქავ, თორემ ვერ გაუძლებ. ლალომაც — ტერესიტას მხრივ საქმე დამშია: ბოლო-ბოლო შენც შეყოლება გოგო! კუელიარმა კი — ჰო, მაგრამ შემდეგ? ახმახამ კი — შემდეგ შენც იმას გააკეთებ, რასაც სხვები. მანიუკომაც — ჯერ მკლავზე მოკიდებ ხელს, ჭიჭაკვამაც — ერთი-ორჯერ აკოცებ, ლალომაც — ხელებსაც მოუთათუნებ, თუ ნება მოგცა.

კი, მაგრამ შემდეგ? — ძლივს გასაგონად წაილუღლუღა კუელიარმა — შემდეგ? ბიჭებმაც — შემდეგ? ჰო, როცა დიდები გახდებიან, როცა დაცოლშვილების ხანა მოუვათ, როგორც შენ, ლალო, შენ, ჭიჭაკვ, შენ, მანიუკო? ლალომაც — გამარჯობა შენი, ნახა რაღა თავსატეხი, ეს ყველაფერი, კაცმა რომ თქვას, სისულელეა, დრო რომ მოვა, მოიმიზეზებ რაღაცას, წაეჩხუბები და მორჩა. კუელიარმაც — უხალისოდ, დარცხვენა არ დაიმჩნია, — არა, ასე არ ივარგებს, ტე... ტერესიტა მართლა ძალიან მოსწონს. მაგრამ ცოტა ხნის მერე (უკვე ათი „ბროლი“ ჰქონდა ნაყლურწი) — რა ყოჩაღები ხართ, ბიჭებო! მართლა „მოვჩანგლავ“, ცოტა ხანს ვივლი და მერე მივატოვებ.

მაგრამ კვირა კვირას მისდევდა — და გაგიგონია, ძვრა არ იყო არაფრის.

როდისღა, პაშტა? ხვალ, ხვალ. ხვალაც რომ ვერ გაბედო? ღმერთი, რჯული, ხვალ. ასე გატანჯული, ასე გულმოკლული არც მანამდე და არც მერე არავის გვენახა. გოგოები კი სულ მოდურ ბოლეროს უმღეროდნენ ყოველ შეხვედრისას: „რა იცი, იქნებ, რა იცი, იქნებ, რა იცი, იქნებ!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, მაშინ გადაირია კუელიარი, წნედიანივით მოუვლიდა ხოლმე ფიქრები. გაიხედავ და უცბად კინოს დაბანარცხებს იატაკზე („მოჩანგლე“. ამერიკა). გაიხედავ და უცბად საბილიარდოში ბოთლებს დაერევა და ლაწალუწს აუტეხს, ნამწვებს ისვრის, ყველას ეშარება. უცბად კი ატირდება: დღეს გეფიცები, თუ ხვალ არ ვუთხრა. ან ვეტყვი ყველაფერს ან აღარ მინდა სიცოცხლე. გაიხედავ და უცბად კინოდან გამოვარდება („მიდის დღეები, შენ კი დარდი გკლავს“), გიჟივით დარბის ლარკოს გაშზირზე, ჩვენ უკან დავდევთ. თავი გამანებეთ, მარტო მინდა ვიყო. ბიჭები კი — გაბედე, პაშტა, გადაწყვიტე, „მოჩანგლე“, ნუ გეშინია, ჰო, გაბედე ბოლოს და ბოლოს. „რა იცი, იქნებ, რა იცი, იქნებ, რა იცი, იქნებ!“

ხან „ჩასკიში“ წავიდოდა და უბედურად გამოთვრებოდა. რომ იცოდე, როგორ მეზიზღება თავი, ლალო, როგორ მიმძიმს. ჭიუჭავ! ნეტა ვინმე მომაკვლევინა! ლამის ზურგით მივათრევდით ხოლმე შინ. გაბედე, პაშტა, გადაწყვიტე, ბოლოს და ბოლოს გაბედე! გოგოებიც საშველს არ აძლევდნენ: „ვისაც შესტრფიხარ, ვინც გირჩევნია ამქვეყნად ყველას, რაღას უყურებ, როდემდე გინდა არ უთხრა სიტყვა!“ ცუდადაა საქმე, ვიძახდით, დაიღუპება, გაგვილოთდება ბიჭი, მაწანწალად, ყაჩაღად გადაიქცევა...

ასე გამოხდა ზამთარი, დადგა ზაფხული, და მზესა და თბილ დღეებთან ერთად მირაფლორესში კაჩიტო არნელიაც გამოჩნდა. იგი საარქიტექტურო ფაკულტეტზე სწავლობდა, საკუთარ „პონტიაკს“ დააქროლებდა და ჩინებულად ცურავდა. ეს კაჩიტო მაშინვე ჩვენს დასს მოეწება. თავიდან ყველა ბღვერით შევხვდით. გოგოებიც ჩვენს მხარეზე დადგნენ: აქ რა გინდა, ვინ დაგპატიჟა? მაგრამ ტერესიტა გამოესარჩლა, თავი მოიკლა — მოეშვით! — თეთრი ბლუზა ეცვა — რას გადაეკიდეთ! — დაკეცილ-დაკეცილი ქვედა წელი. — აგერ ჩემთან დაჯდეს, მე დავპატიჟე, — მეზღვაურის ქუდი ეხურა, blue jeans. დაბრმავდი, ბებერო, ვერაფერს ამჩნევ? — უთხრეს ბიჭებმა. კუელიარმა კი — მე ყველაფერს ვამჩნევ. ბიჭებმა კი — შტერო, კაჩიტო ეკურკურება, ადგება და წაგართმევს, ნუ აჭიანურებ, თორე ჩახაშმრალი დარჩები. — კუელიარმაც — წამართმევს და წაართვას, აი დარდი! მერე გული არ დაგწყდება? კუელიარმაც — ვ-ვითომ რატომ უნდა დამწყდეს? მაშ არ გიყვარს? — კუელიარმაც — ვ-ვითომ რატომ უნდა მ-მიყვარდეს?

კაჩიტომ „მოჩანგლა“ ტერესიტა იანვრის ბოლოს. საწყალი პაშტა, ვიძახდით ჩვენ, რად უნდა მომხდარიყო ასე! მაინც რა ქერქეტა და უსინდისო ყოფილა ეს თოჯინა. გაგონილა ასეთი უნამუსობა! მაგრამ გოგოები გამოესარჩლნენ ტერესიტას: ძალიან კარგადაც მოიქცა, ყველაფერი კუელიარის ბრალია. სანამ ეცადა მაგისთვის! — თქვა ჩაბუკამ. იაპონელამაც — ეგ თვითონაა უსინდისო, გოგო რა შუაშია. რამდენი დრო გაატარა მაგის გულისთვის, რამდენი უცადა, მობეზრდა ბოლო-ბოლო! პუსიმაც — კაჩიტო მშვენიერი ბიჭია. ფინამაც — კი, კარგი ბიჭია, თან ლამაზი, ყველაფერი რიგზე აქვს! ჩაბუკამაც — დოყლაპიაა ეგ თქვენი კუელიარი, მეტი არაფერი, იაპონელამაც — ბოთე ყოფილა საწყალი.

V

მაშინ კი ისევ აიწყვიტა თავი პიჩულა კუელიარმა, ეს რა დღეში [illegible] ლა-ლო, მაშასადამე, წმინდა კვირას მართლა ტალღებში დგომა თავად? ტალღებ-შიო? ეს ტალღები ხუთ და ცხრა მეტრსაც უწევდა — [illegible], ახლა-ხანაც — იმისთანა გრუხუნი იდგა, მეტი არ შეიძლება, [illegible] ტალღები წყალმა დაფარა. ჩაბუქნამაც — სანაპიროზე ასხამდა, მანქანები სულ გაწუწა... კაციშვილმა ვერ შეცურა პიჩულას გარდა!

ეგებ ტერესიტა არარტესათვის უნდოდა კვლავაც თავი მოეწონებინა? აბა არა! ჯიბრზე გააკეთა, მისი კარიტა რომ გაემიჯნებინა? არა არა! აი, შეხედე, რა ბიჭი ვარ! შენი კარიტო ჩემთანაც მიდის, რომ იყვებნის, ცეტი კიცო! ეგებ ის გოგონები თუ იმ წრიაბენით ინდოზა. პო, მიყურე, მიყურე და მიხვდი, რა ბიჭი ვყოფილვარ!

ნეტა ამ წმინდა კვირას ისე რად ბობოქრობს ზღვა? — თქვა ჯინჩ პაპინგლამ კი — ვულკანებზე წყრება, ქრისტე რომ მოჰკლეს. ახლახან კი — ვულკანებმა მოკლეს, მე მგონი, რომ[illegible] ათსეულ-მეთქი! აი, სულელი.

ყველანი მიაჯრზე ვისხედით, ჩინა — საცურაო სამოსი გვეცვა, ახლა — თვალები ძირს გვქონდა ჩაკიდული, — მანოლო — თავზე მხრები ვეხვიდა, — იჯაპინგლო — ტალღები ხაზინს ემარცხებოდა, ჩოტო — წყალი ძალიან ცივი იყო, — პოპეი — შავი და მუქყვიანი, ჩინგოლო — ქაფიც მოშავო-მოწითალო, — ტერესიტა — ბილახებით, წყალმცენარეებით თუ ნაყარნუყარით სავსე — და კარიტო ჰრწყალია.

ერთიც უნახოთ, — ჩუმათ, ჩუმად, კუელიარი მოდის! ნეტა მიდა ჩვენთან, ტერესიტა, თუ თავს მოიკატუნებს, ვითომც ვერ დაგვინახა? კუელიარმა ფოლადი ბან-კლუბის წინ დააყენა, სანაპიროსკენ ჩამოვიდა, „ტერაცებლებისკენ" გასახდელში შევიდა, იქიდან კი საცურაო კოსტიუმით გამობრძანდა, ახალი ეცვა. — თქვა ჭოეშიკაპ, — ყვითელი, მგონი, ამერიკული უნდა იყოს, ახლახანაც — ყველა ჩვენში ისე გაითამაშა, ყურადღება რომ მიგვექცია. პირსახოცი მარჯვნით ჩამოიკიდა, მიდლურზე მიდლური მზის სათვალე გაიკეთა. მაშ, ლალო! დაცინვით მოხედა მიაჯრზე მჯდარ აბუზულ მოზმანეებს, მერე სანაპიროს, გამხეცებულ ტალღებს გახედა. ქერმაც რომ მორყოდეს, ხელი დაგვიქნია და ჩვენკენ დაიძრა. გიმარჯობა მენი, კუელიარო! როგორ მიგწონს ეს რაი-რაი? გაგვიმარჯოთ, გაგვიმარჯოთ, თან თითქოს უკვირს. ნეტა რაზე მეუბნებოდით? სომ სჯობია იაჰტ-კლუბის მასეინში ვიცურაოთ, კუელიარო, ვითომ რატომ? შემოგვეცქერის, თითქოს ვერ გაიგო. შენც კი გაიცურებთ, ჩვენთან მიდიხართ — ამ ტალღებზე მიუბნდებით? კაი ერთი, ამას შეგიმჩნევთ! (ბა-ბა, გაპიროდ მოაქვს თავი, თვითონ კი მუხლებზე ეკანკალებას ალბათ, კანკალებს ბიჭი). ღმერთს სწორედ მისწრებაა ზღვა. ტერესიტა ოჯალებში ჩახედა — მართლა აპირებს? აბა არა, იმისთანა ტალღებზე სრიალს რა სჯობია. სუზრომას თუ? ფუნჩული ხელებს იქნევს ტერესიტა. ტერესიტა ზრუნავს, კანიტომაც — არა, მართლა გაბედავს და იმისთანა ზვირთებში შევა? აბა არა, გინდ გასცურავს და გინდ საცურაო ლივერს წაიღებს. არა სჯერით? ტყუილად იცინით, ამ იქნებ გშინიათ? ჩვენ უფრო კი არ გვშინია? არა, აბა, რა, — წამოსხდებით, ფეხურჯულები? აბა არა?!

გვიხედეთ, კუელიარმა მოიხსნა პირსახოცი, შენცდა ტერესიტა არარტეს

(ნუთუ არ შერცხვა, არ გაწითლდა ეგ უსინდისო? — იკითხა ლალომ. ახმახამაც — როგორ არა, სირცხვილით მოკვდა. კარიტომ რა ქნა? — ეგ მაშინვე ჩაიფუშა), ჩაირბინა სანაპირო, ყირა გააკეთა და ტალღებში ღურთა თავი. ტალღის დახამხამებაში გაცურა ათიოდე მეტრი და აქაფებულ მორევში ამოჰყო თავი. შესრიალდება წამოყალყულ ტალღაში, ქვეშ გაუძვრება, ისევ ჩაყვინთავს, ისევ გაძვრება და ისე მიიწევს წინ. რას ჰგავდა? თევზს? დელფინს? დაიცათ, სადაა? აგერ, აგერ — ისმის წივილ-კივილი, იქნევენ ხელებს, — ჩანდ კი არა, აგე სადაა! პაშტა ნელ-ნელა დაშორდა ნაპირს, აგერ უკვე წერტილივით ჩანს. და ჰა, კიდეც მიაღწია იმ ადგილს, სადაც წყლის უზარმაზარი მთები ახორხლილიყო.

ვაჰ, ლალო, შენ ხომ არ იცი, რა უზველური ზვირთები იყო, ლამის ცასა სწვდებოდა, როდის-როდის ენარცხებოდა ძირს. (ვაიმე, ვაიმე, არის ერთი ხელების ქნევა, თვალების ტრიალი, — აგერ ის თეთრი წერტილია?) მართლა მაგარი გაძლება ჰქონია! ხან წინ მიაქანებს ტალღა, ხან უკან მოისვრის, ხან ქაფით ფარავს, ხან ისევ წინ წაათრევს. რას ჰგავდა? ქაღალდის გემს, ან იქნებ ზღვის ფრინველს?

უკეთ რომ დაენახა, ტერესიტა მოაჯირზე შედგა, მას ჩაბუკა, ჭიკჭავა და ახმახა მიჰყვნენ. რაღას ელის? რად აჭიანურებს? და ჰა, დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო. თავი ნაპირისკენ მოაბრუნა, ალბათ ჩვენ მოგვძებნა თვალით, ხელი დაგვიქნია, ჩვენც დავუქნიეთ, ჯერჯერობით, ძვირფასო, ჯერჯერობით.

აგერ ერთი ზვირთი წამოიმართა, მერე მეორე, ხოლო როცა მესამეც უნდა წამოფაფრულიყო, ყველამ დაინახა, უკეთ, მიხვდნენ, წინ როგორ წაიღო კუელიარმა ხელი წონასწორობის დასაცავად, როგორ დაჭიმა მთელი სხეული და ფეხები აამუშავა. შემდეგ მკლავები გაშალა და ზვირთის თხემზე მოექცა (აბა რამდენი იქნებოდა, რვა მეტრი? — იკითხა ლალომ. მეტი, მეტი. როგორც ამ სახურავამდე? უფრო მეტი. ნიაგარის ჩანჩქერის სიმაღლე ხომ არ იყო მართლა? რას ამბობ? იმაზე მეტი!) და გადასხეპილ თხემთან ერთად დანარცხებულ წყლის მთის ქვეშ გაქრა. (სადაა? სად?) მერე ისევ გამოჩნდა უზარმაზარი ზვირთის ქეჩოზე, გუგუნ-გუგუნით რომ მოაქანებდა თვითმფრინავივით, ქაფის ნაგლეჯებს ისროდა (ეს ხომ კუელიარია! კუელიარია!) და ნელ-ნელა ილეოდა. აი, მაშინ დაინახა ყველამ ცხადლივ, რომ კუელიარი ამ ტალღაზე არხეინად იწვა და ტანზე წყალმცენარეები შემოხვეოდა. აბა, უყურე, რამდენ ხანს დაჰყო წყალში. ფილტვებიც მაგას ჰქონია! კუელიარი კი არხეინად წამოდგა სილიდან და ჩვენკენ გამოემართა. აფერუმ, ბიჭო! მოკვდა და მაინც ყველას აჯობა, ლალო, ყველა კი ვერ შესძლებს ამას! აი, იმ დღიდან მოჰყვა კუელიარი ძველ ოინებს.

ასე შუა წელიწადში, ეროვნული დღესასწაულის შემდეგ, კუელიარმა მამამისის ქარხანაში დაიწყო მუშაობა. ახლა მაინც დაჭკვიანდება, იძახდნენ ბიჭები, ახლა მაინც კაცი დადგება. გაგიკვირია! პირიქით მოხდა ყველაფერი. კუელიარი მუშაობას ექვს საათზე ამთავრებდა, შვიდზე უკვე მირაფლორესში იყო, რვის ნახევარზე კი „ჩასკიში“ იჯდა დახლთან, სვამდა (ერთი „ბროლი“, გოგონი, და ერთიც „კაპიტანი“ მოიტა) და ნაცნობებს ელოდებოდა კაჩოს სათამაშოდ. მთელ საღამოებს იქ ატარებდა, ნამწვებჩაჭყლეტილ საფერფლეებსა, ჯიბგირებსა, ბანქოს თაღლითებსა, დაორთქლილ ლუდის ბოთლებს შორის, შუაღამემდე კი მეორეხარისხოვან სახელგატეხილ კაბარეებში იჯდა, შოუს მსა-

ხიობი გოგოების ცეკვას უყურებდა. ხოლო როცა ფული შემოელეოდა, სადღაც ჯურღმულში გამოტყვრებოდა და საწინდრად ხან პარკერის კალამს, ხან „ომეგა“ საათს, ხან ოქროს სამაჯურს ტოვებდა... დილაობით ხშირად ვნახავთ თვალებდალილავებული, თავპირდაკაწრული, მკლავახვეული.

წახდა კაცი, ვიძახდით ჩვენ, ნაძირალებსა და ავაზაკებს დაუმეგობრდა, პედერასტებს დაუახლოვდა. საწყალი მაგის დედ-მამა — აპობდნენ გოგოებიც. მაგრამ ყოველ შაბათს კი კუელიარი ჩვენთან იყო. ვიკრიბებოდით საუზმის შემდეგ: თუ იპოდრომზე ან სტადიონზე არ გვეპრიანებოდა წასვლა, ჰივჰავის ან მანიუკოს მივადგებოდით და სადილობამდე პოკერს ვუსხედით. მერე ჩვენ-ჩვენს სახლებში წავიდოდით, ვიბანავებდით, გამოვკოხტავდებოდით. კუელიარიც გამოგვივლიდა, ახლა უკვე ფორდი კი არა, დიდებული „ნეშე“ ჰყავდა (მამაჩემმა დაბადების დღეზე მაჩუქა, მამ-ჩამ!).

ბიჭო, უკვე ოცდაერთი წლის ვაჟკაცი ხარ, უკვე არჩევნებში შეგიძლია მიიღო მონაწილეობა! ჩემო გულიკო, ეგრე სწრაფად ნუ დაგყავს მანქანა, დაიმტვრევი! — ეუბნებოდა დედაც. კუთხის სარდაფში გადავყლურწავდით თითო-თითო ჭიქას — სად წავიდეთ, „ჩინურ რესტორანში“? — ვეძახებოდით ერთმანეთს, — არა, კაპონეს ქუჩაზე, სჯობია! — ვყვებოდით ანეკდოტებს, — იქნებ „ხილისძირა“ კაფეში წავსულიყავით, იქ დიდებული ანტიკუჩოსი[1] იციან! — პაშტა ანეკდოტებში ფალავანი იყო, — არა, პიცერიაში გავშმვეთ — თუ იცით ანეკდოტი ბაყაყსა და გენერალზე?

ნასადილევს, ღვინით და ანეკდოტებით კარგა მაგრა შეხურებულნი, ნაირნაირ დაწესებულებებს მოაკითხავდნენ, ხან „Embassy“-ში, ხან „Ambasader“-ში დასხდებოდნენ შოუს პირველი განყოფილების სანახავად, საღამოთი კი გრაუს გამზირზე ნანელასთან მიდიოდნენ.

ოჰო! მირაფლორესელებს ვიხილავართ (აქ უკვე გვიცნობდნენ). გაგიმარჯოთ, ბიჭებო, რასა იქმ, პაშტა( ჩვენი სახელებიცა და მეტსახელებიც იცოდნენ), როგორა ხარ? ჩიტუნები ხი-ხი-ხი, ხითხითებდნენ, ჩვენც ავყვებოდით. ის კი — გმადლობთ, არა მიშავს რა. ხან კი გაბრაზდებოდა, ერთ ამბავს ატეხდა, წავიდოდა, კარს გაიჯახუნებდა — ჩემს ფეხს აქ ვერ ნახავთ! მაგრამ უფრო ხშირად თვითონაც ჩვენთან ერთად იცინოდა. მერე ან ცეკვავდა ან ლუდის ჭიქით მუსიკალურ ავტომატს მიუჯდებოდა, ნანელას ეჭორავებოდა და ჩვენ გველოდა. ჩვენ კი „ჩიტუნებს“ დავინაწილებდით, ზემოთ ავიყვანდით და შემდეგ ისევ სალონში ჩამოვბრუნდებოდით. ასე უცნაური რა იყო, ჰიუჩავ. იძახდა იგი, ან: რა ჰქენი, ისიამოვნე, ჯიგარო? ან: რაღაც ძალიან კი შეაგვიანე, მანიუკო, ანდა: თურმე უპალავო ალაგას ამოგსვლია თმა, ლალო, — ჰუჰრეტანიდან დაგინახე. ერთ ასეთ შაბათს სალონში რომ გამოვბრუნდით, კუელიარი იქ აღარ დაგვხვდა. ნანელამ თქვა — უცებ წამოდგა სკამიდან, ლუდის ფული მომიყარა და არც დამშვიდობებია, ისე გავარდაო. მანქანაში დაუხვდა ბიჭებს: იჯდა, საჭეს დამხობოდა და მთელი ტანი უცახცახებდა. რა დაგემართა, ჯიგარო? ტირის, ბიჭო, ვერ ხედავ! ვინ გაწყენინა! ვინ მოგშალა, თქვი, ახლავე შევბრუნდებით და სეირს ვაჩვენებთ! — უთხრეს ბიჭებმა. — იმ გომბიოებმა ხომ არ გაგაჯავრეს? მანიუკომაც — ერთი შენც, პაშტა, მიაფურთხე, ნეტა რა გატირებს. კუელიარი კი ისევ საჭეზეა დამხობილი, არ გვიყურებს, უსიცოცხლოდ გაიძახის

[1] ძროხის გულის მწვადები.

მხოლოდ: — არა, არავინაც არ აწყენინა — თან ქვითინებს, — ნეტა მართლა ეწყენინებინათ! — ცრემლს ცხვირსახოცით იწმენდს. მოგცლია ერთი, ბიჭერო! რა იყო, ბევრი ხომ არ დალიე? არა. ან იქნებ გტკივა რამე? — არა, ყველაფერი რიგზეა.

ბიჭები მხარზე უტყაპუნებდნენ ხელს, ჰო, ჰო, გეყოფა ახლა ამ წუწუნით, ანუგეშებდნენ: რა მოხდა ასეთი, პაშტა, რა იყო, შე უხიაკო! აბა, გაიცინე, მაგ შენს დიდებული „ნემეთი" გაგვაქროლე. აქ უქმად ყურყუტს არა სჯობია „ტურბილიანში" შევიაროთ, სწორედ შოუს მეორე განყოფილებას მივუსწრებთ. მიდი, პაშტა, დააჭი ფეხი!

როდის-როდის დამშვიდდა კუელიარი, ხოლო „18 ივლისის" გამზირზე რომ გავუხვიეთ, უკვე იცინოდა. — ჰაი, შე ბებერო, რა იყო, რამ მოგშალა, ჩვენ მაინც გვითხარი, რა მოხდა? იმან კი — არაფერი, კარამბა, უბრალოდ, სევდა შემომაწვა, ეს იყო და ეს. ბიჭებმაც — ვითომ რა მიზეზით, ჰა, განა ღმერთივით დროს არ ატარებენ. იმან კი — სადარდებელს რა გამოლევს ქვეყანაზე. მანიუკომაც — მაინც რა დარდი გაქვს ასეთი, ვერ იტყვი. კუელიარმაც — მაგალითად, ის, რომ ხალხმა ღმერთი დაივიწყა. ლალომაც — სად უკაკუნებ ნეტა. ახმახამაც — იქნებ გინდა თქვა, ყველა ადამიანი ცოდვილიაო. იმან კი — ჰო, ჰო, და საერთოდაც, ეს ცხოვრება მურდალი რამაა. ჭივჭავამ კი — კაი ერთი, ცხოვრებას რას ერჩი, ცხოვრებაში ყველაფერი რიგზეა. იმან კი — ნუ როშავ რაღაცას, მაგალითად, კაცი მთელი დღე წელს იწყვეტს, ჭიპზე სკდება, ან პირიქით, სხვას აზის კისერზე, არხეინად ცხოვრობს და უცებ — სიბერემ უწია, მალე სიკვდილიც მოუკაკუნებს. განა უკუღმართი არაა ცხოვრება? მაშ ამაზე ფიქრობდა ნანეტასთან? ამ გუნებით მიდიოდა „მხიარულ ჩიტუნიებთან"? ჰო, ჰო! ამიტომ აღვარღვარებდა ცრემლებს? ჰო. კიდევ იმიტომაც, რომ ყველა დაჩაგრული ეცოდება: ბრმა, კოჭლი, მათხოვარი, ის წიკამაკო ხალხიც, გაზეთებს რომ ჰყიდიან (რა ბრიყვი ვარ, არა?), ის წვინტლიანი ჩოლოებიც, სან-მარტინის მოედანზე რომ სხედან და ხალხს ფეხსაცმელს უპრიალებენ (რა სულელი ვარ, არა?). ჩვენ კი — აბა არა ხარ! ახლა თუ მოდი გუნებაზე? რა საკითხავია! თუ დაივიწყე ყველაფერი? რაღა თქმა უნდა! მაშინ გაიღიმე, თორემ არ დაგიჯერებთ! ხა-ხა-ხა! მიდი, მიაწექ, პაშტა, გამოძალე მაგ ჯართს, რაც შეუძლია, თორე ველარ მივუსწრებთ მეორე განყოფილებას. ნეტა თუ იცით, იქნება ის მულატი გოგო? იქნებაო, თქვეს. რა ჰქვია? ანა. კუელიარი რაღას იტყვის ამ გოგოზე? გოგო კი არა, ცეცხლია! აბა, პაშტა, რაღაი გუნებაზე მოხვედი, გაიღიმე, ჰო! ხა-ხა-ხა! გაიცინა კუელიარმაც.

## VI

ლალომ რომ ჩაბუკა შეირთო და მანიუკომ და ჭივჭავამ ინჟინრის დიპლომები მიიღეს, მაშინ კუელიარს კარგა ბლომა ავარია ჰქონდა გადამხდარი. მისი „ვოლვო" მიტყლეკილ-მოტყლეკილი, წინ და უკან დაფხაჭნილი დაქროდა ქუჩებში. ასე არ შეიძლება, ჩემო გულო, დაიმტვრევი; ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს, ყმაწვილო, — ეუბნებოდა მამაც, — დროა ჭკუას მოეგო. თუ ერთხელ კიდევ გამეორებულა მსგავსი რამ, ერთ სენტავოსაც ველარ მიიღებ, გონზე მოდი, გამოფხიზლდი, დედა მაინც შეიცოდე, ხომ ხედავ, შენი დარდით

აღარ არის...— უკვე დიდი ხარ, პიჩუკა, დასრულებული კაცი, — ჩაგჩიჩინებდით ჩვენც — ეგ ლაწირაკები რა ჯანდაბად აგიტორღიალებია?

იმიტომ, რომ ვიღაც ავარებსა და მაწანწალებს დაუმაკაცდა, მთელი საღამოები კარტს ეთამაშებოდა იმ ვიგინდარებს „ჩასკიდან" [illegible]ოდან", „ბარტიში" ვიღაც ჯოლოლო-მოლოლოებთან ლოთობდა [illegible], ეშმაკმა იცის, ვისთან არ ატარებდა დროს! (ნეტა როდისღა ასწრებ მუშაობას? ან იქნებ ტყუილა ყოყოჩობ, ვმუშაობო?) — დღისით კი ჯეიმს დინივით[1] მორთული — ეცვა შემოტკეცილი ლურჯი ჯინსი, თეთრი მოკასინები, ჭიპთან განასკვული მოჩითული პერანგი, ქერა ღინღლით გაბანჯგლულ მკერდზე ოქროს ძეწკვი ეკიდა — მირაფლორესის ქუჩებში დაყიალობდა, ჩიკორობანოს ეთამაშებოდა „კოკაკოლელებს"[2], პელოტას კი ვიღაც ბიჭბუჭებს გარაჟებში, აწრიპინებდა ტუჩის გარმონს...

მისი ვეებერთელა „ვოლვო" მუდამ გაჭედილი იყო თოთხმეტი, თხუთმეტი და ცამეტი წლის ბიჭებით. კვირაობით მიდიოდა „ვაიკიკიში" (მამა, იმ კლუბის წევრი მინდა გავხდე, თურმე იქაური ჰავაური ტივები მისწრებაა ყოფილა ქონის დასაყრელად; კარგ ამინდში რესტორანშიაც შეიძლება სადილი, ზედ ზღვისპირზე დგას) იმ ლაწირაკების ხროვასთან ერთად. ერთი შეხე, რა ამფსონები შეურჩევია მაგ სულელს.

კუელიარი ასწავლიდა ამ ბაჭბუჭებს „ვოლვოს" ტარებას. სანაპიროზე ორ ბორბალზე შეაყენებდა მანქანას და ისე თავზეხელაღებით მოატრიალებდა მოსახვევში, ალტაცებული ბიჭები ლამის ჭკუაზე შეშლილიყვნენ. სტადიონსა და კოლიზეუმზე, დოღსა და კრივზე, წყლის პოლოსა და სამბოზე დაათრევდა ამ ბიჭბუჭებს წიადაგ. ნაღდი პედერასტი გახდა! — ვიძახდით ჩვენ. — თუმცა საკვირველი არცაა, სხვა რაღა დარჩენია, ისე კი მაგასთან ერთად ხალხში გამოჩენა მართლა აღარ შეიძლება! ყველა დასცინის, ყველა მას უყურებს, თითით საჩვენებელი გახდა. ახლახან კი — მაშ ასე ფასობს თქვენთვის ვიღაც ბაქიების ნათქვამი? მანოლომ — ყველა მაგაზე ლაპარაკობს, ლალომაც — მაგასთან ერთად რომ დაგვინახონ... ჩინგოლომ კი — მაშინვე პედერასტად მოინათლები, ხომ?

ერთი ხანობა კუელიარი ისევ გაიტაცა სპორტმა. თავი უნდა გამოიჩინოს, აქაოდა, პაჩუკა კუელიარს მანქანაც ისევე კარგად დაჰყავს, როგორც ცურავსო, — იძახდნენ ბიჭები. იგი ატოკონგოს სპორტულ გადარბენაში მონაწილეობდა და მესამე მივიდა: „ქრონიკასა" და „კომერსიოში"[3] კი დაბეჭდეს სურათი, სადაც არნალდო ალვარადოსა ულოცავდა გამარჯვებას. ცხადია, მაგასთან მე ვერ მოვალო.

ან რა აურზაური ატყდა, როცა პაჩუკამ და კიკე გარსიამ სანაძლეო დადეს: დილაუთენია მანქანებით უნდა გაჯიბრებოდნენ ერთმანეთს სან-მარტინის მოედნიდან სალავერის ბაღამდე, პაჩუკა — მოძრაობის საწინააღმდეგოდ, კიკე კი — ჩვეულებრივ. პოლიციის პატრული რომ ხავიერ პრადოს ქუჩაზე დაედევნა კუელიარს, ორი მაისის გამზირზეღა დაეწია, ისეთი სისწრაფით მიჰქროდა. მთელი დღე პოლიციის კომისარიატში აყურყუტეს. გვეგონა, ამის შემ-

---

1 ამერიკელი კინოსახიობი, ავარიაში დაიღუპა.

2 ასე ეძახიან [illegible] მოზარდ ბიჭებს პერუში.

3 გაზეთები პერუში.

დეგ მაინც დაჭკვიანდება, გონს მოეგება-თქო, მაგრამ არ გასულა ორი კვირა, უარესი ჩაიდინა: თვალებახვეულმა და საჭეზე ხელებმიბმულმა ანგამოსის გამზირზე გააქროლა მანქანა და, რა თქმა უნდა, კიდეც დაიმტვრია.

მეორედ მაშინ მილეწა მანქანა, როცა ლალოს ქორწილის წინ ნიშნობა-გობა მოვაწყვეთ. თავს ნუ იგდებ, გეყოფა, ეუბნებოდა ჭივჭავა, გააჩერე მანქანა, ამისთანა ოინები აღარ შეგვფერის. მანქანიდანაც კი დააპირეს გადმოსვლა, მაგრამ კუელიარმა ყური არავის ათხოვა. მაშ, თქვენი ძმაკაცის აღარ გჯერათ? ამისთანა ზორბა ბიჭები ხართ და შიშით შარვლებს გაავსებთ! ეჰ, ნეტავი ახლა ნაწვიმარი იყოს, მეტი არაფერი მინდა! სულ გაგიჟდა ბიჭი, არაფერმა მასზე არ გასჭრა. გეყოს, კუელიარ, მორჩი, სახლებში წაგვიყვანე: ლალო ხვალ ჯვარს იწერს, სულაც არ უნდა ქორწილის წინა ღამეს გამოეთხოვოს სიცოცხლეს, გონს მოდი, ტროტუარზე ნუ მიძვრები, წითელ შუქზე ნუ მიაქროლებ, გზაჯვარედინზე მაინც დაამუხრუჭე! არ გესმის, რას გეუბნებიან! ალკან-ფორესის ქუჩაზე ტაქსს მიასკდა კუელიარი. კიდევ კარგი, ლალო გადარჩა, არაფერი დაშავებია, მანიუკო და ახმახა კი ლამის ერთი თვე დაწოლილნენ თავპირგასიებულნი. კუელიარსაც სამი ნეკნი ჩაუმტვრია. ისინი წაიჩხუბნენ, მაგრამ ორი კვირის შემდეგ ისევ დარეკა კუელიარმა და ბარში დაპატიჟა ძმაკაცები. შერიგებით კი შერიგდნენ, მაგრამ მას შემდეგ კუელიართან ვეღარ იყვნენ ძველებურად.

ჩვენ უკვე იშვიათად ვხვდებოდით მას. მანიუკომ რომ ცოლი ითხოვა, კუელიარს ღია ბარათი გაუგზავნა, ცოლს ვირთავო, მაგრამ არც კი დაპატიჟა და, რასაკვირველია, არც კუელიარი მოსულა მეჯვარეობაზე. ჭივჭავა რომ ჩამობრუნდა შეერთებულ შტატებიდან ცოლ-შვილით — კოხტა ამერიკელი გოგო შეერთო და უკვე ორი ბავშვიც გაეჩინა, ძლივს ჩლიფინებდნენ ესპანურად — კუელიარი მთებში იყო, ტინგო მარიაში. ასე ამბობდნენ, მამამისის ყავის პლანტაციებში მუშაობსო. ლიმაში თუ ჩამოვიდოდა და შემთხვევით ქუჩაში შევხვდებოდით, თითო-ოროლა სიტყვას ვეტყოდით ერთმანეთს. სალამი, ახმახავ, — რას იქმ, პიშტა, — რა მიშავს, — აბა კარგად მენახე. მშვიდობით, ჩაო. შემდეგ ისევ დაბრუნდა მირაფლორესში და იმისთანა ამბები დაატრიალა, ახლაც ტანში მცრის. მერე კი ჩრდილოეთში გაემგზავრა და იქ დაიღუპა. რაო, რა თქვი, მანქანა დაეჯახაო? სად? იმ უკუღმართ პასამაიოს მოსახვევში?! საწყალი ბიჭი, — ამბობდნენ ისინი დაკრძალვაზე, — რა გაიტანჯა, რარიგ მოძულებული ჰქონდა თავი, სიკვდილს ეძებდა და აკი მოძებნა!

ჩვენ მაშინ უკვე საკმაოდ დადინჯებული ხალხი ვიყავით. ყველას გვყავდა ცოლ-შვილი, მანქანა. ჩვენი შვილები შამპანიას, წმინდა მარიასა და უბიწო ჩასახვის სკოლებში დაიარებოდნენ. ვინ ანკონაში, ვინ სანტა-როსაში თუ სამხრეთ სანაპიროზე ვიშენებდით აგარაკს. თანდათან გვემატებოდა წონა და სისქე, უკვე ვმალავდით ღიპს, ჭამა-სმის შემდეგ უკვე გვძალავდა მუცელში, სათვალესაც ვიმარჯვებდით კითხვისას, ჭაღარაც გაგვერია, შავი ლაქებით აგვიჭრელდა სახე და ნაოჭებმაც აქა-იქ დაგვისერა პირისკანი.

□

# თადეუშ რუჟევიჩი

## პოემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლონურიდან

თარგმნა მიხეილ ქვლივიძემ

### დაშვება

ანუ

ვერტიკალური და ჰორიზონტალური ელემენტები
თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში

წინათ დიდი ხნის წინათ
არსებობდა სოლიდური ფსკერი
და ამ ფსკერზე
ადამიანს დაშვება შეეძლო
და მაშინ „ნაძირალას“ უწოდებდნენ ასეთ კაცს

ადამიანს რომელიც
თავისი დაუფიქრებლობის გამო
ან მახლობელთა შემწეობით
ფსკერზე დაეშვებოდა
უყურებდნენ ზიზღით ცნობისმოყვარეობით
სიძულვილით სიხარულით
თითს იშვერდნენ მისკენ
ის კი ამოძრომას ცდილობდა
მაგრამ უკანვე ეშვებოდა
ტალახში ამოსვრილი

ის იყო სოლიდური ფსკერი
ან უფრო სწორედ ფსკერი მეშჩანური
იმ დროს თავისი ფსკერი ჰქონდათ
დედაკაცებს და მამაკაცებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ იყვნენ მაგალითად ზნედაცემული
თავშერცხვენილი ქალები
იყვნენ გაკოტრებულნი
(ამ ჯურის ხალხი ახლა თითქმის გადაშენდა)
საკუთარი ფსკერი ჰქონდა პოლიტიკოსს
მოძღვარს ვაჭარს ოფიცერს მოლარეს და
სწავლულს

ოდესღაც არსებობდა სხვა ფსკერიც
ამის შესახებ ბუნდოვანი მოგონებაღა დარჩა
ახლა ის ფსკერი აღარ არსებობს
და არავის ძალუძს ფსკერზე დაშვება

ფსკერი მშობლებს რომ ახსოვთ
უცვლელი იყო
და ყველა ვინც იქ აღმოჩნდებოდა
წარმოადგენდა რაღაც გარკვეულს
ის იყო ადამიანი დაღუპული
ადამიანი წამხდარი
ადამიანი რომელიც
ფსკერიდან ამოძრომას ცდილობს

ფსკერზე მყოფს შეეძლო ხელები აღეპყრო
ეღაღადა „უფსკრულიდან“
ახლა ამგვარ მოძრაობას
მნიშვნელობა აღარ აქვს
თანამედროვე მსოფლიოში
ფსკერი როგორც ასეთი გაუქმებულია

მუდმივ დაშვებას არ ესაჭიროება პოზა
ჟესტი
მოხდენილი მოძრაობა
სტატიკური
La Chute დაცემა შესაძლებელია კიდევ
მხოლოდ ლიტერატურაში
ოცნებაში ციებ-ცხელების დროს
თქვენ გახსოვთ ის მოთხრობა

პატიოსან ადამიანზე

იგი არ გაქცეულა დასასმარებლად
იგი „გარყვნილ“ ცხოვრებას ეწეოდა
სტყუოდა არაერთხელ უცემიათ
და ამ აღსარებისთვის

უდიდეს გარდაცვლილ შესაძლოა უკანასკნელ
თანამედროვე ფრანგ მორალისტს, პრემიაც მიაკუთვნე
რა უწყინარი ყოფილა ზოგჯერ დაცემა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გახსოვთ ის მკვლელისმკვლელი
დიდი დიდი ხნის წინანდელი
Confessiones —
ეპისკოპოსის აღსარებანი
Hippo Regius-ში

ჩვენი ვენახის მახლობლად ერთი პანტას ხე იდგა. კარგად ესხა, მაგრამ ნაყოფი მკვახე იყო და ვერც ფერით, ვერც გემოთი ვერ მოხიბლავდა ადამიანს. მახსოვს, ჩვენ, უმწიფარმა ყმაწვილებმა, თვალი დავადგით იმ ხეს, და ერთხელ, ამისთვის განგებ გავაჭიანურეთ თამაში ეზოში, — კარგად რომ დაღამდა, მეზობლის ბაღში გადავიპარეთ. უამრავი პანტა წამოვიღეთ, მაგრამ არ გვიჭამია, სულ ღორებს მივუყარეთ. თან გვიხაროდა, რადგან ამის გაკეთება აკრძალული იყო.
აი, გული ჩემი, უფალო, გული ჩემი, რომელიც შეიბრალე შენ, როცა იგი უფსკრულის ფსკერზე აღმოჩნდა...
„უფსკრულის ფსკერზე"

ცოდვილნო და ცოდვამონანიებულნო
წმინდა წამებულნო ლიტერატურისანო
ბატკანნო ჩემნო
თქვენ ხართ ვითარცა მუმუსი ბავშვნი
რომელნი შეკლენ სასუფეველსა შინა
(სამწუხაროა რომ იგი არ არსებობს)
—ღმერთი გწამთ? — მოულოდნელად იკითხა სტავროგინმა.
— მწამს.
— აკი ნათქვამია: რწმენა შეუძლებელს შესძლებსო. მთას რომ უბრძანოს მორწმუნემ, წადიო, მთა ადგილს შეიცვლისო... მაპატიეთ ეს სისულელე. მე მაინც მაინტერესებს, შეგიძლიათ თუ არა ადგილიდან მთის დაძვრა?
ამგვარ შეკითხვებს იძლეოდა „შეჩვენებული" სტავროგინი
გახსოვთ მათი სიზმარი
კლოდ ლორენის სურათი დრეზდენის გალერეაში
„აქ ერთხანს შესანიშნავი ადამიანები ცხოვრობდნენ"
კამიუს La Chute დაცემა
ეჰ, ჩემო ძვირფასო, ღმერთოდ დარჩენილი მარტოსული ადამიანისთვის ღღეთა ხიმძიმე — აუტანელია.

1 იგულისხმება ა. კამიუ, ცნობილი რომანის „დაცემის" ავტორი, რომელმაც 1957 წ. ნობელის პრემია მიიღო.

ამ ჯარისკაცმა ბავშვის გული რომ აქვს
ამსტერდამის წრიული არხები
ჯოჯოხეთის შრეებად წარმოიდგინა
რასაკვირველია მეშჩანური ჯოჯოხეთისა
„ჩვენ აქ უკანასკნელ შრეში ვიმყოფებით"-ო
უთხრა შემთხვევით მეინახეს
სამიკიტნოში
ფრანგული ლიტერატურის უკანასკნელ მორალისტს
ბავშვობის დღიდან სჯეროდა ფსკერის არსებობა
ალბათ ღრმად სწამდა ადამიანი
ალბათ ძალზე უყვარდა დოსტოევსკი
ალბათ იტანჯებოდა იმის გამო
რომ არ არსებობს ჯოჯოხეთი სამოთხე
ბატკანი
ტყუილი
მას ეგონა თვითონ აღმოაჩინა ფსკერი
თვითონ დაეშვა ძირს და ფსკერზე თვითონ აღმოჩნდა
ამასობაში კი

ფსკერი აღარ არსებობდა
სალომე ხყვდევ
და ამას უნებლიეთ მიხვდა
ერთი პარიზელი ქალიშვილი
და შეისხა ნაწარმოები
შეუღლებაზე — გამარჯვება, მოწყენავ
სიკვდილზე — გამარჯვება, მოწყენავ
მადლიერი მკითხველები კი
ეგრეთ წოდებული რკინის ფარდის გაღმა-გამოღმა
ოქროს ფასად ყიდულობდნენ იმ წიგნს

ის ქალიშვილი ქალი
ის ქალი ქალიშვილი
მიხვდა რომ არ არსებობს ფსკერი
არც ჯოჯოხეთის შრეები
არც ამაღლება არც დაცემა
სუყველაფერი თამაშდება
კარგად ნაცნობ ვიწრო ასპარეზზე
Regio genus anterio-ს
Regio Pubice-ს
და Regio oralis-ს შორის
ხოლო იმას
ჯოჯოხეთის შესასვლელი რომ ერქვა ძველად
მოდაში შემოსულმა მწერალმა-ქალმა
vestibilum
vaginae დაარქვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენს მშობლებს ჰკითხეთ იმათ ახსოვებათ
როგორ გამოიყურებოდა ის ძველი
რეალური ფსკერი
სიღარიბის ფსკერი
ცხოვრების ფსკერი
ზნეობრივი ფსკერი

„Dolce vita"
ანუ კრისტინა კელერი ფსკერზე ცხოვრობდა
ლორდ დენინგის მოხსენება ამტკიცებს რაღაც
სრულიად საწინააღმდეგოს
Mons pubis
ამ მწვერვალიდან დაუსაბამო სივრცე იშლება
თავისი შორეული და
მიუწვდომელი ჰორიზონტებით

სადღაა მწვერვალები
სადღაა უფსკრულები
სადღაა ფსკერი

მე ზოგჯერ მეჩვენება
ის ფსკერი თანამედროვეთა ფსკერი
მიწის წიაღში კი არ არის
ცხოვრების ზედაპირზეა
მაგრამ ესეც ალბათ მორიგი შეცდომაა
იქნებ „ჩვენს დროში"
საჭირო გახდა აუცილებელია
შეიქმნას ახალი
ჩვენი მოთხოვნილების შესაბამისი
ფსკერი

Mondo Cane
რად მოახდინა ამ სურათმა ჩემზე
ესოდენ დიდი შთაბეჭდილება
განუწყვეტლივ რომ  იზრდება სულ იზრდება
Mondo Cane ein Taustschlag ins Gesicht[1]
Mondo Cane კინო-ფილმი კინო-ვარსკვლავების გარეშე
Mondo Cane
ამ ფილმში ადამიანები სჭამენ ცეკვავენ იცინიან
„სიყვარულს სჩადიან" ცეკვავენ ლოცულობენ იხოცებიან
ფერადი რეპორტაჟი აგონიაზე
მოხუცთა აგონიაზე
ჩინურ კერძებზე

[1] „სახეში მუშტის გარტყმა". (გერმ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზვიგენის აგონიაზე
სანელკებლებზე
ძველი ავტომანქანების მოკვდინებაზე
დაწნეხვაზე მოჭერაზე
ფორმების გაჭყლეტაზე
ლითონის გახრესაზე
დასადუმავად განწირული ძარის
ღრჭენა და კრაჭუნი
მანქანის შიგნეულობა გარეთ გადმოყრილი
მანქანების სასაფლაო
მხატვრობის კიდევ ერთი ხერხი
ღვთაებრივი მუსიკის რიტმს აყოლილი
პარიზში თეთრ ტილოებზე სხეულის ანაბეჭდები
წმინდა ვერონიკას მანდილი
ხელოვნების ფერი
მილიონერთა ტუჩები მათი ხასების ტუჩები
შემწვარი ჭიანჭველები მატლები მწერები
შავი ხვავი ვერცხლის თეფშებზე
ცმაცუნა ტუჩები
ჭიაფერი ტუჩები Mondo Cane-ში
ჭიაფერი უზარმაზარი ცმაცუნა ტუჩები
Mondo Cane-ში

შემდგომ ამისა დაიწყო კამათი
წმიდათაწმიდა ეკლესიის სქემის III ნაწილის თაობაზე
ღვთის გლახებისა და ერისკაცების საკითხს რომ ეხება
კარდინალმა რუფინიმ თქვა
ღვთის გლახის ცნება არაზუსტია
რამეთუ III ნაწილს კენჭისყრის დროს
ხმის უმრავლესობა არ მიუღიაო
და ეს საკითხი დასაზუსტებლად
ლიტურგიულ კომისიაში იქნა გადატანილი
ჩვენი ვენახის მახლობლად ერთი პანტის ხე იდგა. კარგად ვსხა, მაგრამ ნაყოფი მკვახე იყო და ვერც ფერით, ვერც გემოთიო... გამოტყდა ავგუსტინე.

თუ შეგიმჩნევიათ
თანამედროვე ეკლესიის ინტერიერი
ვაგზლის ან აეროპორტის
მოსაცდელ დარბაზს ჰგავს

დაშვების დროს ჩვენ არ შეგვიძლია
ვერტიკალური მდგომარეობის შენარჩუნება
ძალაუფლების ნიშნები ხელიდან გვივარდება

დაშვების დროს ჩვენ ყანას ვმარგლავთ
დაშვების დროს ბავშვებს ვზრდით
დაშვების დროს კლასიკოსებს ვკითხულობთ
დაშვების დროს ხელნაწერს ვასწორებთ

სიტყვა დაშვება არ შეესატყვისება
თანამედროვე ადამიანის
სულისა და ხორცის მოძრაობას

ამბოხებული ადამიანები
დამხობილი ანგელოზები
თავდაყირა ეშვებოდნენ
თანამედროვე ადამიანი
ეშვება ყველა მიმართულებით
ზევით ქვევით წინ უკან
ქარს მინდობილი ფოთოლივით

ძველად დაცემა ან ამაღლება
ვერტიკალურად ხდებოდა
ახლა ჰორიზონტალურად
ეცემა ადამიანი

□

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარტინ არმსტრონგი

## კუპიდონი ლიფტში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან

თარგმნა ზურაბ გემაზაშვილმა

მარტინ არმსტრონგი — პოპულარული ინგლისელი მწერალი, პოეტი, ნოველისტი, კრიტიკოსი და იუმორისტი. მ. არმსტრონგი დაიბადა აღმოსავლეთ ინგლისში, ქალაქ ტაინის ნიუკასლში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ვაჟთა დახურულ სკოლაში, შემდეგ დაამთავრა კემბრიჯის უნივერსიტეტი. იყო ჟურნალისტი, მსახურობდა ჯარში, სამხედრო სამსახურის შემდეგ დაიწყო მუშაობა ჟურნალ „სპექტეიტორის" ლიტერატურული განყოფილების რედაქტორად.

მის ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „შვილობილი", „თანავარსკვლავედი და ფარგალი" და „დედინაცვალი".

●

ლიფტი ქვედა სართულზე გაჩერდა, კარი ფართოდ გაიღო. სხვებთან ერთად ლიფტში ოთხი მგზავრიც შევიდა.

ესენი გახლდნენ: ოთხმოც წელს მიტანებული მის ლემბი, ერთობ ამპარტავანი და თავდაჭერილი შინაბერა. ჭაღარას ოდნავ დაეთრთვილა მისთვის თმა.

წინა დღეს, ოცნებაში წასულ მის ლემბს ასეთი რამე ეზმანა: ნაზი მაქმანით გაწყობილი ღია ლიმონისფერი კოფთა ეცვა და ყელმოღერებული ხელს ართმევდა ვიღაც ფრიად მედიდურ და თავმომწონე ვაჟბატონს.

ახლა მის ლემბი უნივერსალური მაღაზიის მეხუთე სართულზე მიბრძანდებოდა, იქნებ სიზმარში ნანახი ნაზმაქმანიანი, მკრქალი ყვითელი კოფთის მაგვარი რამე შევიძინოო.

მის გვერდით ჯორჯ პავიშემი იდგა. ისიც მეხუთე სართულზე, საგალანტერიო განყოფილებაში მიდიოდა. ცოდვა გამხელილი სჯობს და, საყიდელი არც არაფერი ჰქონდა, უბრალოდ ამ ჯენტლმენს დროდადრო უყვარდა მაღაზიაში შეევლო ისე, სხვათა შორის და უკანასკნელი მოდის ჰალსტუხ-წინდა-პერანგებისათვის თვალი შეევლო. თუმცა ზოგჯერ ცთუნებას აჰყვებოდა და რაიმეს შეიძენდა კიდეც. მისტერ პავიშემი საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობდა ჩაცმა-დახურვას, მაგრამ გულახდილად რომ ითქვას, ამაოდ ირჯებოდა, რადგანაც ისეთი კიტრივით წაგრძელებული თავი ჰქონდა, კოხტა ჩაცმა-დახურვა აბა, რას უშველიდა! ასეთი ბედი ჰქონია საბრალოს და რა უნდა ექნა, ბედისწერას სად გაექცეოდა. მუდამ სუფთად იყო გაპარსული, თვალგაბრწყინებული, ერთობ

მიამიტად გამოიყურებოდა. იგი ოცდაჩვიდმეტი წლისა გახლდათ და უცოლო ბრძანდებოდა.

მისის პორტერი და მისი პატარა ვაჟიშვილი მესამე სართულზე, სათამაშოების განყოფილებისაკენ მიეშურებოდნენ. ხალხით გაჭედილ ლიფტში მისის პორტერის ყურადღება მხოლოდ მის ლემბმა და სახეგაბადრულმა ჯენტლმენმა მიიპყრო. ქალბატონებმა, თუ სიმართლე გნებავთ, იოტის ოდენადაც არ აინტერესებდა მის პორტერს, [illegible] შემთხვევამ ისინი ერთად შეჰყარა და ესეც არ იყოს, ბოლოს და ბოლოს, რაღაცას მაინც ხომ უნდა შეხედო, როდესაც უსაქმოდ დგახარ და თითის განძრევის საშუალებაც კი არა გაქვს!

ლიფტი ჯერ მეორე სართულსაც არ ასცილებოდა, რომ უცებ აღმაშფოთებელი რამ მოხდა. სარგადაყლაპულმა, ამპარტავანმა ქალბატონმა უცებ ასწია ხელთათმანიანი ხელი და მის გვერდით მდგომ პირბადრ ჯენტლმენს მარცხენა ლოყაში სილა სტკიცა. კაცს თითქოს მეხი დაეცაო, გაშეშდა, მოულოდნელობისაგან ენა ჩაუვარდა და თვალები დააჭყიტა. მარცხენა ლოყა ალისფრად შეეფეთქა.

შეცბუნებული მისის პორტერი გულისფანცქალით ელოდა, რა მოჰყვებოდა ამას. ლიფტი ოდნავ შეძაგძაგდა და მესამე სართულზე გაჩერდა. კარი ფართოდ გაიღო. გულს მოფონებულმა მისის პორტერმა ბავშვს გასასვლელისაკენ უბიძგა და მასთან ერთად სათამაშოების განყოფილებას მიაშურა. ლიფტში მიჭყუნა ყბაჩამოვარდნილი, პირდაღებული მისჩერებოდა მის ლემბს, და მისის პორტერმა შვებით ამოისუნთქა, რაკი ასე ჩქარა მოავილა ბავშვი ამ უსიამოვნო ამბავს.

ლიფტმა კი, ვითომც აქ არაფერიაო, თავისი გზა განაგრძო. დაბნეული მგზავრები უხერხულობისაგან იშმუშნებოდნენ. მხოლოდ ერთი-ორ კაცს აღმოაჩნდა ისეთი მდარე გემოვნება, რომ ამ უსიამოვნო სცენისაგან რაღაც სიამე განეცადა და ახლა დაუფარავი ცნობისმოყვარეობით ელოდნენ დრამის გაგრძელებას. მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. უკარება ქალბატონის სახეს უფრო მკაცრი იერი რომ არ დასდებოდა და არ გაფითრებულიყო, ხოლო სილაწაკრავ ლოყას უფრო მეტად რომ არ მოსდებოდა ალმური, ყველამ ისე დაიჭირა თავი, ვითომც იქ ბეწვიც არავის აფრენოდეს.

სინამდვილეში კი ამით არ დასრულებულა ეს ამბავი. ლიფტი მეოთხე სართულზე გაჩერდა და თუმცა მის ლემბი და მისტერ ჰავიშემი მეხუთე სართულზე მიბრძანდებოდნენ, ახლა შეთქმულებივით ერთდროულად გამოვიდნენ ლიფტიდან.

მის ლემბს სურდა, რაც შეიძლება ჩქარა გასცლოდა ამ საშინელ მამაკაცს, ხოლო მისტერ ჰავიშემი... დიახ, მისტერ ჰავიშემი ისე შეაძრწუნა და შეურაცხჰყო ამ ამბავმა, რომ საერთოდ გადაავიწყდა, რომელ სართულზე მიბრძანდებოდა.

ასეა თუ ისე, ორივენი წიგნების განყოფილებაში აღმოჩნდნენ.

მის ლემბი ნიშფასავით სწრაფი და მსუბუქი ნაბიჯით ისე მკვირცხლად გაეშურა დარბაზის მოპირდაპირე მხარეს, თითქოს სატირის გაურბისო, თანაც ისეთი გულისყურით ათვალიერებდა ხუროთმოძღვრების წიგნებს, ეგონებოდათ, ამის მეტი ქვეყნად სხვა არარაფერი აინტერესებსო. თუმცა, ცოდვა გამხელილი სჯობს, არქიტექტურისა არაფერი გაეგებოდა. წიგნებს მხოლოდ იმისათვის დაუწყო თვალიერება, რომ ამახობაში გონს მოსულიყო და დამშვიდებულიყო.

მადლობა უფალს, როგორც იქნა თავი დააღწია იმ საზიზღარ ადამიანს. ის კაცი იქვე ლიფტთან შეჩერდა და წიგნებით აჭრელებულ ვეებერთელა ვიტრინას დაუწყო თვალიერება.

„ღმერთო ჩემო! — ფიქრობდა მის ლემბი. — ეს რა ხდება ამ ქვეყანაზე?! მალე ალბათ ლამაზი, თვალ-ტანადი ქალი ვეღარც გამოვა გარეთ".

ამას წინათ რესტორანში საუზმობდა. უცებ იგრძნო, რომ ვიღაც უთვალთვალებდა. თავი ასწია და მამაკაცის უტიფარ მზერას წააწყდა. კიდევ კარგი, ორი მაგიდის მოშორებით იჯდა. იმ ვაჟბატონს, ბოლოს და ბოლოს, ეყო სინდისი და თვალი აარიდა.

არა, კაცმა რომ თქვას, ასეთი ამბები არ იყო მისთვის უცხო ხილი. მაგალითად, ძალიან ხშირად, როცა ქუჩაში მიმავალს უკან მიუხედავს, შეუმჩნევია, ვიღაც მისდევდაკუდში.

ასეთი შემთხვევისათვის ერთობ იოლი ფანდი ჰქონდა დამუშავებული. შეჩერდებოდა რომელიმე ვიტრინასთან და როდესაც ის „თაყვანისმცემელი" იგრძნობდა, დანაშაულზე წამასწრესო, პირში ჩალაგამოვლებული განაგრძობდა გზას.

ასეთი რამ მის ლემბს არასოდეს სიამოვნებდა, მაგრამ ლიფტში მომხდარმა ამბავმა ყველაფერს გადააჭარბა.

ამ დროს კი ჯორჯ ჰავიშემი, რომელიც სკოლის სახელმძღვანელოების განყოფილებაში დაბორიალობდა, ნელ-ნელა მოეგო გონს. ასეთმა მოულოდნელმა თავდასხმამ თავზარი დასცა კაცს, ენა მუცელში ჩაუგდო, თანაც მისი უსათუთესი გრძნობები შეურაცხჰყო. ახლა, როცა ყველაფერი კარგად აწონ-დაწონა, მისტერ ჰავიშემი საკუთარ თავს გამოუტყდა, რომ მომხდარი ამბით, სადღაც სულის სიღრმეში, ერთობ კმაყოფილიც კი ბრძანდებოდა.

სიმართლე თუ გნებავთ, თუმცა მას სრულიადაც არ ეპიტნავებოდა ამის აღიარება, ქალთა სქესის წარმომადგენელმა დღეს პირველად მიაქცია სათანადო ყურადღება. არა, ჩვენ იმის თქმა სულაც არ გვსურს, რომ მისტერ ჰავიშემს საერთოდ არაფრად აგდებდნენ ქალები, როგორ გეკადრებათ! პირიქით, მას საკმაოდ ბევრი მეგობარი ქალი ჰყავდა. უფრო მეტსაც მოგახსენებთ — ქალებს იგი მოსწონდათ კიდეც, მაგრამ ისე არა, როგორც ეს თვით მას სურდა. ის ქალბატონები ისე ექცეოდნენ, როგორც ერთ-ერთ თავის მეგობარ ქალს და გულახდილად რომ ითქვას, ჰავიშემი ვერაფრით იგებდა ამის საბაბს.

ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ იშვიათად თუ ვისმეზე შეუყვარდებოდა გული, უფრო სწორად, სიყვარული მას მხოლოდ ერთხელ ეწვია და ყველაფერი ძალზე უიღბლოდ დამთავრდა. მისი სატრფო პეგი ორტონი იყო. ჯორჯმა მას გული გადაუშალა და ხელიც სთხოვა, მაგრამ პეგის ეს ამბავი სიცილადაც არ ეყო.

— ცოლად გამოგყვეთ?! თქვენ?! ჯორჯ, ძვირფასო, ღმერთმა დაგიფაროს, არასოდეს!!

მაშინ ნირწამხდარმა ჯორჯმა მხოლოდ გაიცინა საპასუხოდ, ვითომ ვხუმრეო. გულში კი საშინლად ნაწყენი დარჩა. ამ ამბავმა თვალი აუხილა — მიხვდა, მისი მეგობრები, კაცებიცა და ქალებიც, მას სრულფასოვან ადამიანად არ მიიჩნევდნენ. მაგრამ ისინი ძლიერ სცდებოდნენ, ჯორჯი ამაში ღრმად იყო დარწმუნებული, რაკი შესანიშნავად იცნობდა საკუთარ თავს. მხოლოდ მან იცოდა, რომ მხიარული ხასიათი და თავაზიანი ქცევა ნიღაბი იყო, რომელიც მალავდა მის იდუმალსა და ერთობ საშიშ ბუნებას. ერთ მშვენიერ დღეს მისი „მეგობარ-ნაცნობებიც" დარწმუნდნენ ამაში.

როცა სიყვარულში ხელი მოეცარა, მისტერ ჰავიშემი ცოტა არ იყოს გამოიცვალა. ახლა იგი უფრო მეტ ანგარიშს უწევდა იმ იდუმალებით მოცულ, საშიშ პიროვნებას, რომელიც მის არსებაში მიმალულიყო.

დროდადრო, ხან უმიზეზოდაც კი, იგი მწველი ვნებით ანთებულ თვალებს მიაშტერებდა ხოლმე რომელიმე მეგობარ ქალს. ჯერ კი განცვიფრდებოდნენ ქალები, მაგრამ შემდეგ ყველაფერს ისევ სიცილ-ხუმრობაშიატარებდნენ.

— ძვირფასო ჯორჯ, თუ ღმერთი გწამს, აგვიხსენი, რატომ აბრიალებ მაგ თვალებს? ავად ხომ არა ხარ?

კაცი პასუხის ნაცვლად მხოლოდ მხრებს იჩეჩავდა.

ასეთი მრავლისმთქმელი მზერა თანდათანობით ჩვევად ექცა:

ახლა კი, უდავოდ, ამ ქალმა ლიფტში ისე აშკარად და შეუცდომლად გამოიცნო მის არსებაში მიმალული მხეცი, რომ თავი ვეღარ შეიკავა...

ასეა! ადრე თუ გვიან ეს უნდა მომხდარიყო!

ქალი თითქოსდა არც უყურებდა მას, მაგრამ ცხოველური შიშით ატანილმა წამსვე გუმანით იგრძნო კაცის მზერა. დიახ, ეს არის თავი და თავი მთელი ამ ამბისა!

ლიფტიდან გამოსვლისთანავე მისტერ ჰავიშემმა კარგად შეამჩნია, საითაც გაეშურა ქალი. ჯორჯმა ირგვლივ მოატარა თვალი.

უცნაურად საოცარი გამბედაობა იგრძნო. — მივა ახლა იმ ქალთან და გამოელაპარაკება, ყოველგვარი მიკიბულ-მოკიბული შესავლის გარეშე პირდაპირ მოსთხოვს, გვითხარით, ამიხსენით, სილა რატომ მტკიცეთო. რა ლარი და ხაზი უნდა, რომ თავის საქციელს ვერაფრით გაამართლებს. ან იქნებ თვით იმ ქალბატონმაც არ იცოდეს, რატომ მოიქცა ასე. ჩანს, უაღრესად მგრძნობიარე არსებაა და ვერ მოთოკა თავი. ისედაც მეტისმეტად საინტერესოა რას იტყვის, ან როგორ დაიჭერს თავს.

მისტერ ჰავიშემი დინჯი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით გაეშურა ქალისაკენ. მის ყოველ

ფეხის გადადგმაზე იგრძნობოდა, რომ მოდიოდა ძლიერი ნებისყოფის, შეუდრეკელი ბუნების მამაკაცი.

წიგნებში და თავის ფიქრებში ჩაფლულ მის ლემბს უცებ ზურგს უკან წყნარი ხმა მოესმა:

— უკაცრავად...

ქალი გველნაკბენივით შემოტრიალდა. — „ო, თურმე ეს ურჩხული აქ ყოფილა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ურჩხულმა" მისალმების ნიშნად შლაპას შეახო ხელი და გაუღიმა.

— მომიტევეთ, მაგრამ იძულებული ვარ გკითხოთ, რატომ გამარტყით სილა?

მის ლემბმა ძლივს შეაკავა თავი, გრძნობდა, ახლა რაღაც უჩვეულო, მეტად ამაღელვებელი რამ უნდა მომხდარიყო, მაგრამ ღირსეულად შეხვდა მოზღვავებულ გრძნობას.

— თქვენ ბედავთ კიდეც ამის კითხვას?!

— დიახ, — თავაზიანად უპასუხა კაცმა. — ვალდებული ვარ მოგთხოვოთ ახსნა-განმარტება. განა ვინ მოგცათ იმის უფლება, რომ სრულიად უცხო ადამიანი ყოვლად უმიზეზოდ, როცა მოგეხასიათებათ, მაშინ გაასილაქოთ...

— უმიზეზოდ?! — წამოიძახა მის ლემბმა და თვალები დაკვესა.

— დიახ, ყოველგვარი ცხადი, აშკარა მიზეზის გარეშე, — წყნარად გაიმეორა მისტერ ჰავიშემმა.

— სხვა ქალი ჩემს ადგილას გადაგცემდათ ლიფტიორს და აი, მაშინ ნახავდით სეირს! — უთხრა მის ლემბმა.

— მე მგონია, ეს არც ისე იოლი საქმე იქნებოდა, — უპასუხა ჰავიშემმა. — თქვენ ვერავითარ ბრალდებას ვერ წამომიყენებდით. მე კი, თუ მოვისურვებდი ოფიციალურ პასუხს, მოწმეებად ლიფტში მყოფთ დავასახელებდი, რომელთაც საკუთარი თვალით იხილეს როგორ გამაწანით სილა, გულახდილად რომ მოგახსენოთ, ჯერ არც გადამიწყვეტია როგორ მოვიქცე. იქნებ სასამართლოში გაგვერჩია ეს საქმე, ჰა?

მის ლემბმა შესანიშნავად იგრძნო ამ მოსაზრებათა დამაჯერებლობა. მას, რაღა თქმა უნდა, ასეთი მოწმის მოყვანა არ შეეძლო, და კიდეც რომ შესძლებოდა, სასამართლოში ჩივილს მაინც ვერ გაბედავდა. ქვეყნის სამასხროდ ხომ არ გაიხდიდა თავს. ამ აუტანელმა კაცმა ყველაფერი კარგად იცის. ამიტომაა დიდ გულზე და ემუქრება კიდეც!

მის ლემბმა ამრეზილად ახედ-დახედა ჰავიშემს.

— ახლავე მომწყდით თავიდან... საძაგლად იქცევით...

ჰავიშემს წარბიც არ შეუხრია. როგორ, ვიღაც ქალმა შეაშინოს?!

— ფეხსაც არ მოვიცვლი, — განაცხადა მან. — ჩემს ქცევაში ვერაფერს ვხედავ ისეთს, რასაც თქვენ სისაძაგლეს უწოდებთ. მაგრამ რაკი ჩემი გაშავება და არამზადად გამოცხადება გნებავთ, მაშინ იძულებული ვარ, ვიღონო ისეთი რამ, რაც...

მან სათქმელი შუაზე გაწყვიტა, შემდეგ ხმაც თითქოს დაურბილდა და უმანკოდ გაუღიმა მის ლემბს:

— ...ისე კი, სულაც არ ვაპირებ ამ ამბის გაშუქებას, თუმცა მატკინეთ...

მის ლემბმა თვალი გააპარა მისი ლოყისაკენ, რომელიც ახლა ისე აღარ ჰქონდა ავარდისფერებული, თუმცა კარგად ახსოვდა, რა უცებ იფეთქა წითლად, როცა ალიყური აჭამა. ისიც გაახსენდა, მთელი ათი წუთი როგორა სტეხდა მაჯა, და გულში სიბრალული შეეპარა.

— დავუშვათ და მე ბოდიში მოგიხადეთ, — მტკიცედ განაგრძობდა ჰავიშემი, — მე დიდად ვწუხვარ, თუ რაიმე უსიამოვნება მოგაყენეთ, მერე? თქვენც მომთხოვთ შენდობას იმ მწარე სილისთვის?

ქალი შეყოყმანდა, თვალები ძირს დახარა.

კაცი უსიტყვოდ უცდიდა, მაგრამ რაკი პასუხს ვერ ეღირსა, შეტრიალდა და წასვლა დააპირა.

— არ გინდათ პატიება ითხოვოთ? რას იზამ, კარგად ბრძანდებოდეთ. მე თქვენგან დიდსულოვნებას ველოდი. სხვა ჩემს ადგილას უფრო მკაცრად მოგექცეოდათ.

მისტერ ჰავიშემი ისე გულწრფელად ამბობდა ამას, რომ ანგარიში ვერ გაუწია, რაოდენ დიდი შეურაცხყოფა მიაყენა მის ლემბს. ქალი გულწრფელად იყო გაოცებული მისი მოქმედებით, ლამის გული აუჩვილდა. ნუთუ საკუთარმა უბიწოებამ აიძულა ყველაფერი ასე სერიოზულად აღექვა?! ეს კაცი, შესაძლოა, ისეთი უეშმაკოა, ვერც კი წარმოუდგენია რა ჩაიდინა. ის უფრო თავკასულ, განებივრებულ ბავშვსა ჰგავს, ვიდრე მოთავებულ არამზა-

დას. იქნებ უფრო ჭკვიანური იქნებოდა ეპატიებინა ყველაფერი? მით უმეტეს, რომ ეს „საშინელი არსება" მას თანდათან მოსწონდა. ახლა სიბრალულითაც კი შესცქეროდა მის საცოდავად წამოსიებულ ლოყას.

— კარგი, — თქვა მის ლემბმა, — მეც ბოდიშს გიხდით. ნამდვილად ვწუხვარ, რომ სილა გაგარტყით. რაც არ უნდა ყოფილიყო...

მის ლემბმა სიტყვის დამთავრებაც ვერ მოასწრო, ღიმილისაგან [illegible] ჰავიშემმა ხელი გაუწოდა.

— გმადლობთ, — უთხრა მან. — დიდად გმადლობთ. სხვა რამეს არც ვთხოულობ თქვენგან.

მათ იმდაგვარად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი, თითქოს ვიღაც უხილავმა პიროვნებამ გააცნო ისინი ერთმანეთს. ორივენი ოდნავ უხერხულად გრძნობდნენ თავს. წამით მის ლემბს იმის შიშმაც კი გაჰკრა გულში, ახლა ეს კაცი შლაპას მოუხდიდა და სამუდამოდ გამოემშვიდობებოდა. თითქოს დაამთრა კიდეც — ხელი ასწია... ოღონდ შლაპა კი არ მოუხდია, იმ წიგნებისაკენ გაიშვირა თითი, რომელთაც მის ლემბი ათვალიერებდა.

— გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფია გაინტერესებთ? — ჰკითხა მან. მის ლემბს აქამდე ყურადღებაც არ მიუქცევია, რას ათვალიერებდა ასეთი დიდი გულისყურით. მიუხედავად ამისა, დაუყოვნებლივ მიუგო, ძალიან მიტაცებსო ასეთი ლიტერატურა.

— ნამდვილად საინტერესოა ადამიანთა ცხოვრებაში ჩაწვდომა, მათ სულიერ სამყაროში ჩახედვა, — თქვა ჰავიშემმა. — ხანდახან მიფიქრია, ჩემი ბიოგრაფია ხომ არ დამეწერა-მეთქი.

ქალმა ეჭვის თვალით შეხედა.

— ასეთი რამ შესაძლოა ყოველ ადამიანს შემთხვეოდა, ისე რომ...

— სრულიადაც არ არის აუცილებელი! — შეესიტყვა ჰავიშემი.

— ყველაფრის მოყოლა, თუ გნებავთ დაწერა, მე მგონი, არავის შეუძლია, — თქვა მის ლემბმა. („ნუთუ ამას შეუძლია რაიმეს დაწერა?.." — გაიფიქრა მან).

— თქვენ ვერაფერი შეგიშლით ხელს, — თქვა ჰავიშემმა. — უფრო უკეთ რომ გამოვთქვა ჩემი აზრი, ისეთს ვერაფერს ჩაიდენდით, გულახდილობისა გეშინოდეთ.

მაგრამ მის ლემბი სულაც არ აპირებდა გული გადაეშალა ამ კაცისათვის და ეღიარებინა, რომ იგი ერთი ჩვეულებრივი არსება გახლდათ, ვისაც არც საკუთარი ცხოვრება გააჩნდა და არც ხიფათითა და იდუმალებით აღსავსე სამყარო. ქალს ლაწვები ვარდისფრად შეეფაკლა.

— ძალიანაც რომ მომენდომებინა, მაგას ვერ შევძლებდი, — თქვა მის ლემბმა. — ოცნებითაც კი ვერ წარმომიდგენია მასეთი რამის დაწერა. იმას ხომ ყველა ჩემი მეგობარი წაიკითხავდა...

— მეგობარი, — დამცინავად ჩაიფრუტუნა ჰავიშემმა. — რა მნიშვნელობა აქვს იმათ აზრს!.. ისინი... — მან თავი ველარ მოაბა სათქმელს და გაჩუმდა. შემდეგ ისევ ქალს მიუბრუნდა: — ნუთუ კიდევ დიდხანს აპირებთ ამ აუტანელი წიგნების ქექვას? მე ეს უკვე ყელში ამომივიდა...

ამის შემდეგ არ გაუვლია დიდხანს და ისინი ისე მიემართებოდნენ ლიფტისაკენ, თითქოს რაღაც საერთო მიზნისაკენ მიილტვიანო.

— ახლა ერთი ფინჯანი ჩაი ურიგო არ იქნებოდა — ისეთ კილოზე უთხრა ჰავიშემმა მის ლემბს, თითქოს მათ შორის შავ კატას კი არა, ჭიანჭველასაც არ გაერბინოს.

მალე ქალბატონ ლემბს ისევ დაუბრუნდა თანდაყოლილი თავდაჯერებლობა. ბოლოს და ბოლოს, იგი ამ კაცს სულ რაღაც ოციოდე წუთის წინ შეხვდა და თანაც არც თუ ისე ჩვეულებრივ გარემოში.

— მე მგონი... — ყოყმანით დაიწყო მან.

— გთხოვთ უარი არ გამაგონოთ, — ძველი მეგობარივით დაუყვავა მამაკაცმა. — დარწმუნებული ვარ, თქვენ ახლა სიამოვნებით მიირთმევდით ერთ ფინჯან ჩაის. რაზედაც არც მე ვიტყოდი უარს. ალბათ შეამჩნიეთ, პირველ სართულზე შესანიშნავი რესტორანია. წამობრძანდით, ნუ მეტყვით უარს!

მის ლემბმა უცებ გამბედაობის მოზღვავება იგრძნო, იგი უცებ გადაიქცა თამამ და მხიარულ ქალად.

— არც ვაპირებ უარის თქმას! — სიცილით განაცხადა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ჩაი მიირთვეს, ისინი იმ პირობით დასცილდნენ ერთმანეთს, რომ მომავალ კვირას ერთად ისაუზმებდნენ.

იმ დაუვიწყარი საუზმის შემდეგ მათ ძალიან მოუხშირეს ერთმანეთთან შეხვედრას. ოთხი თვის შემდეგ კი, მეგობართა გასაოცებლად, გამოაცხადეს, [illegible], და ქორწილის დღეც დათქვეს.

მაგრამ, მოდით, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ. იმ ამბიდან სამიოდე დღის შემდეგ მის ლემბმა ერთხელ კიდევ შეიარა იმ მაღაზიაში, სადაც ჰავიშემთან უსიამოვნებით აღსავსე შეხვედრა ჰქონდა. იგი მიდიოდა ნაზ, ღია, ყვითელი მაქმანით გაწყობილი კოფთის შესაძენად, რომლის ყიდვაც, იმ შემთხვევის წყალობით, მაშინ ვერ მოახერხა.

მის გონებაში ისე ირეოდნენ მაქმანიერთ დახლართული აზრები, რომ ვერც კი შეამჩნია მისის პორტერი და მისი ვაჟიშვილი ბილი, რომელნიც სულ რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით იდგნენ იმავე დახლთან. მის ლემბმა ისინი სამი დღის წინაც ვერ შეამჩნია ლიფტში მომხდარი არეულობის დროს.

ბილიმ კი მაშინვე იცნო მის ლემბი.

— დედიკო, აგერ ის ქალი.

მისის პორტერმა ალმაცერად გახედა მის ლემბს.

— მართალი ხარ. — ჩურჩულითვე უპასუხა ბიჭუნას. — ეს ის საშინელი ქალია, მაშინ ლიფტში ერთი ამბავი რომ ატეხა.

— მართლა საშინელი ვინმეა, — კვერი დაუკრა ბილიმ. — ისე მაგრად დამაბიჯა ცერზე ფეხი, რომ კინაღამ სული გამძვრა... მეც ავიღე და ვუჩქმიტე...

— რაო, რა თქვი, ბილი?! — წარბები აზიდა მისის პორტერმა.

ბილიმ გაიღრიჭა:

— კი, დუნდულაზე ვუჩქმიტე.

□

# ევა შტრიტმატერი

## ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა მედეა კახიძემ

### ჩემს სოფელში

ერთმა გოგონამ სოფელში ბუში შობა,
ერთ ქორწინებას გამოეთხარა ძირი,
ფოსტალიონი გარდაიცვალა. ჰოდა
მარტოკა დარჩა ფოსტალიონის ქვრივი,
მაგრამ ქვრივს, თურმე აღარ სცილდება ძაღლი,
ძაღლი, რომელიც კვლავ ისაკლისებს პატრონს,
ქვრივი ყვებოდა „—ღამით ტირისო გაბმით,
ფხიზლად მდარაჯობს და აღარ მტოვებს მარტო,
ამ სათინო ქვრივის მხრებზე ჰკიდია გვირა,
მომიტანს ნეტავ, თუ არ მომიტანს ბარათს,
ო, მეგობრებო, შემეხმაურეთ ხშირად,
თქვენ თუ არ მომწერთ, სხვამ ვინ მომწეროს განა?
თქვენ დიდ ქალაქში გისდებათ მუდამ ყოფნა.
მაგრამ ხომ იცით ყოველთვის თქვენზე ვფიქრობ,
ხომ თავად ნახეთ რაგვარად ვცხოვრობ სოფლად,
რომ როგორც პური მჭირდება თქვენი სითბო.
ნუ დამივიწყებთ გულთბილ ბარათებს ველი,
მე დავეცემი თუ დამიძვირებთ წერილს,
აქ ისე ვცხოვრობთ, როგორც ცხოვრობდნენ წინათ,
კვლავინდებურად მოდის თოვლი და წვიმა,
და ყველამ იცის სიკვდილი გვიქსოვს ბადეს,
რომ გლოვის შემდეგ ცხოვრება სიცილს დათესს,
თუ ერთი კვდება სწორედ იმ წუთში სადმე,
სასაფლაოსთან ვაჟი გოგონას აცდენს,
მე ვუმხედრდები ოდითგან ნასწავლ ჩვევებს,
უმწეო მერქვას არ მსურს, არა და არა,
ვეხმაურები ჩემი სოფლიდან ქვეყნებს,
მეგობრებისგან ყოველდღე ველი ბარათს,
ნუ მიმატოვებთ თქვენზე ფიქრებით დაღლილს,
არ დაივიწყოთ ქვრივიც თავისი ძაღლით!

## ბრანდენბურგის მხარე

მიზიდავს და მაღელვებს
ქვიშიანი გზები,
ძველ ქვიშიან მხარეში
ვეხეტები გზნებით.
ახვილების ტევრები,
ბურქნარები ანწლის...
გარდასული დღეების
მოგონება მაწვიმს.
ძველ მაჯნებთან ყანების
ძოლი ხაოჯყეანები
კვლავ მიამბობს ჩურჩულით,
იმ გარდასულ დროზე,
მე ჯერ ქვეყნად მოსული
არ ვიყავი ოდეს.
რაც ვიხილე პირველად
ჰგავდა სასმრად ნაჭახს,
ჩემდა გასაკვირველად
შემოვცინე ბალახს,
გავიგონე იმ წუთში
ტოროლას ხმა მიმწუხრში,
ვიგრძენ სუნი ქვიშის
და მას შემდეგ მიწასთან
განშორება მაჭირს.
ვით წყეული ან კურთხევა
მიწა დამდევს ყველგან,
როცა ქვიშას გარდავქმნი
აზრად, ფიქრად, სიტყვად
მე ყოვლმერთებ იმწამს,
მაგრამ თურმე ნებაზე
არ დაგყვება მიწა...

## ცხოვრების ნახევარგზა

მე განმიცდია ცხოვრებაში მრავალი მარცხი,
მაგრამ მივლია გამარჯვებულს
მარჯვნივ თუ მარცხნივ.
შეკითხვებს ყურს არ ვათხოვებდი
არადროს მარტივს,
დღესაც პასუხის დაბრუნებას
საჭიროდ არ ვთვლი,
მე მოთამაშეს ვგავდი მუდამ —
აგებს რომელიც,
მაგრამ კვლავ ბედს ცდის,
გამარჯვების დღეებს მოელის,
მე ვთამაშობდი, ბედს ვენდობდი.
მაღალ განგებას,
არ ვწუწუნებდი, უფლის ნებად
ვთვლიდი წაგებას.
ახლა სიბერე გადმომიხტა
ისე ვით კრულვა,
მაგრამ კაცს თურმე სიბერისგან
იმედი ჰკურნავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლეგენდა

სადღაც წავიკითხე წიგნში,
ქალაქში ამტყდარა ვაი და ვიში,
თურმე დაანგრიეს
მრავალი ხის სახლი ძველი
და ვიოლინოები გათალეს სელით,
მათ უნდა ემღერათ
უმშვენიერესი ხმებით,
რადგან მოგონებებს
ასწლობით სძინავთ ხეში,
ძველ ვიოლინოებს
ჰქონიათ სხვაგვარი ჟღერა,
ხალხს ასე სჯეროდა
და დღესაც ასევე სჯერა,
ვიოლინოზე როდესაც დაცოცავს ხემი,
ჯერ დაუწერელი
სხვაგვარი ბგერები გვესმის.
თითქოსო მუნჯებმა
დიდინით ჩაგვიარეს გვერდით,
ეს არის ლამაზი ლეგენდა.
და დღემდე ვოცნებობ ეგება,
მეც ვიგრძნო მუნჯების,
გულების ფეთქვა მესმის
და მათი სათქმელი გარდავქმნა ლექსად.

## ნოემბრის სიმღერა

გარეთ ნოემბერი მღერის,
შავად მოქუფრული მოდის შეღამება,
ქვეყანა იქცევა თუ ნიაღვრობს ჩქერი.
საწოლში ვწევარ, ადგომა მეზარება.
ქარი ქრის, ქოხში ვიღაცა წივის,
კატასაც ეშინია ქარის და წვიმის,
ნეტავი ვინ მოგვცემს შეკითხვას ისეთს,
რომელზეც პასუხის გაცემა ღირდეს,
ყველაფერს სავსი და ობი ეკიდება,
თავში მიტრიალებს შეკითხვები,
ირგვლივ აბლაბუდა მახეებს ხლართავს.
ოდესღაც სამყარო იქცევა ჯართად,
იქცევა სამყარო ყინულის ქვეყნად,
აწ აღარ ერქმევა, რაც ერთ დროს ერქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეტავ რას გვიქადის სამყაროს ტრიალი,
წაგვლეკავს თუ არა ყინული ტიალი?
არსებობს თუ არა აღდგომა საერთოდ,
და დღეებს მომავლის
ვენდოთ თუ არ ვენდოთ!
უნდა ვიმოქმედოთ—ვისწავლოთ სიბრძნე,
გავზომოთ ცხოვრების სიგანე, სიგრძე,
ვისაც ღრმად გეძინათ
და ძილით დაოსდით.
ცხადია არასდროს გინახავთ ქაოსი.

## მზის ბილიკი

ვეგეტატიური სიცოცხლე.
წვიმები, ნისლების ამალით,
ზამთარი... უხმაუროდ მიცოცავს,
სოფელი... შორს ყივის მამალი,
მწვანე და მალიან ყვითელი,
საბრალო, დამჭკნარი ფესვები,
მეძებენ უსაგნო ფიქრები.
უსიტყვოდ, თუ ხელის ცეცებით.
მე დამეპატრონა სიმუნჯე
და სიტყვებს ვერაფრით ვიუნჯებ.
ვოცნებობ მარტომ თუ შევძელი
ავაგო მზის დიდი ბეღელი,
ზედიზედ დავაწყობ მზის ზვინებს,
და მთელი ზამთარი ვიძინებ,
ფიქრები მზის ბეღელს ეძებენ,
ვოცნებობ მზის ლამაზ ბეღელზე,
რომელიც ჩემს სულში გიზგიზებს.
მაგრამ მე ვერაფრით შევძელი
ვერც სიტყვით, ვერც სულის შებერვით,
საჩინო გავხადო ხანძარი,
რომელიც გულიდან დავძარი,
ქვეყანას მოვფინო დიდი მზე —
სულში რომ მუდმივად გიზგიზებს.
მე კი ვწერ ნისლზე და წვიმაზე
და კიდევ იმაზე,
თუ როგორ ვარსებობთ, ვმრავლდებით,
რომ სადღაც სოფელში შეცდომით
გაზაფხულს უხმობენ მამლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზღაპარი

ადამიანი ფრინველია,
რომელმაც ერთ დროს
ფრთები დაკარგა,
რადგან ციურ ფერიებს ენდო.
მთაჯადოვეს უნაზესი ანკარა ხმებით
და ამიტომაც სამუდამოდ დაკარგა ფრთები.
ახლა სულ ცდილობს
აღმაფრენა შესძინოს სიტყვებს,
უფრთო სიტყვებმა აიტაცონ ზეცაში იქნებ,
საწუთრო სულის მობრუნებას
არადროს გვაცლის,
აგვავსებს ზოგჯერ აღმაფრენით,
ზოგჯერ კი მარცხით!

## შიში

შაშვის გალობა მუხლებში მკეცავს,
საცაა კვირტი თვალებს გაახელს,
ვაი, თუ უცებ წახვიდე ზეცად
და სისახსახე შერჩეთ ბალახებს,
იქნებ მე, მიშენს სიკვდილი ხეტყვის
და სიხარულის სათავეს კეტავს,
შაშვი ამაზე ვერაფერს მეტყვის,
ო, ვინ მიშველის ამაღამ ნეტავ?

## კვლავ სექტემბერი

ხატისფერები
ლურჯი ცა ხის ტოტზე
სიწითლე ვაშლის
თეთრი ბედაური
ისე ვით ხატი
უხმოდ დგას ჯეჯილის ზღვაში
ვერ ვხედავ აღვირს
ვერც ამაყ რაინდს
ჯვაროსნულ ომებში დაღლილს
ვუცქერ სექტემბერს
ჩახჩახა ამინდს
სურათის ფერებად დაღვრილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შაგალი

თუ კაცს სურვილი
ქორივით დააცხრება,
შეუძლია მსოფლიოს დამარცხება.
თუ გული სიყვარულით შეიძვრება,
ვიტებსკსაც გადუფრინო შეიძლება,
დახატე ორი ვარდით
    თეთრი ბედაური,
ზეცაში გაფრინდები, მთებს დაუვლი.
ზეციდან ჩამოიტან მელოდიებს,
რომელსაც ვიოლინო ელოდება.
ზემოთ თუ ქვემოთ
    მუსიკის ჰანგებია,
წითელს თუ მწვანეს
    თევზების ფარფლებიანს
ფრთებში გამოესხათ
    ლამის გასაფრენად,
ისეთი დიდია აღმაფრენა.
დრომაც დაივიწყა
წუთები, საათი,
შორს არის სიკვდილთან
ჭიდილი... კამათი!

## დრო

ჩემს შორიახლო
სიცოცხლე რთული
მიედინება ვით წყაროს წყალი,
ვისთან შეხვედრაც მეწადა გულით,
მათ მოიხადეს ცოცხლებთან ვალი.
დროს მფლანგველივით
რადგან ვექცევი,
გამისხლტებიან წუთები მდურვით,
საწუთრო ხელში შემომადნება
როგორც მშიერ კაცს ნატეხი პური.

□

# აზიზ ნესინი

## სევიმი და საითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**იუმორისტული რომანი**

თურქულიდან თარგმნა **ზურაბ ბათიაშვილმა**

### რა არის ფსიქოანალიზი?

საითი ბედნიერი კაცი იყო. დილით რეფიქთან წავა. იქიდან სადილად ეწვევა ფერეიდუნებს და კვლავ ნახავს სევიმს. აღარასოდეს, აწი აღარასოდეს გააბრაზებს სევიმს.

რეფიქის ცოლმა გულთბილად მიიღო სტუმარი. საითი გაოცებული და გახარებულიც კი იყო, როცა ნახა, რომ მის მეგობარს ჩინებული ოჯახი მოეწყო. მას კარგად ახსოვდა, რა ხელმოკლეობაში გაატარა რეფიქმა სიყმაწვილე. საითმა ჯერაც არ იცოდა, რომ რეფიქი ცნობილი ფსიქიატრი გახდა, უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა, იყო მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წევრი, რომ ამერიკაში სახელი მოიხვეჭა, როგორც საუკეთესო ფსიქოთერაპევტმა.

საუბრისას რეფიქი შეუმჩნევლად ადევნებდა თვალს საითის ყოველ მოძრაობას. გამოცდილ ექიმს არ გამოეპარა, რომ საითი ფსიქიურად დაავადებული კაცი იყო და მისი მკურნალობა დაუყოვნებლივ უნდა დაწყებულიყო. ყავის სმა რომ მოითავეს, ექიმის კაბინეტში გავიდნენ. საითი რეფიქის მხარდაჭერას, რჩევას და დახმარებას ელოდა — იგი ხომ ლიცეუმში სწავლის წლებშიც ეხმარებოდა საითს.

— შენ როგორ გგონია, ვითომ შევძლებ ფეხბურთის თამაშს? — ჰკითხა საითმა რეფიქს.

— რასაკვირველია, შეძლებ.

— მე რომ ასეთი გამხდარი და სუსტი ვარ, ალბათ ბურთსაც ვერ დავეწევი.

— მე, როგორც ექიმი, გეუბნები, კიდეც დაეწევი და კიდეც დაარტყამ-მეთქი.

— არა, ვერ შევძლებ, მზიან ამინდშიც კი ვერავის ვხედავ.

— ამაზე ნუ ვიკამათებთ. ერთს კი გეტყვი, თუ მოინდომებ, უსათუოდ ჩინებული ფეხბურთელი გახდები. რასაკვირველია, ასე ერთბაშად ვერა. ახლა შენ ფიზიკურად სუსტი ხარ, მაგრამ გიმკურნალებ, მომაგრდები, თვალში სინათლე მოგემატება, ოღონდაც საკუთარი თავისა უნდა გწამდეს. — რეფიქი ლაპარაკობდა და თან მეგობარს აკვირდებოდა. მას არ სუროდა და არც შეეძლო ისე დაეკითხა საითი, როგორც სხვა სულით ავადმყოფებს ესაუბრებოდა ხოლმე. ვითომ ჰიპნოზი სცადოს? მაგრამ ჰიპნოზით მკურნალობისას ავადმყოფმა უნდა იცოდეს, რითაა ავად... დაა, საითმა იცოდეს, რომ მას მხოლოდ სიბეცე სჭირს და სწორედ ამას მკურნალობენ.

დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე" № 3, 1978 წ.

საუბარი ფსიქოთერაპიაზე ჩამოვარდა. რეფიქმა ჰიპნოზზე ბევრი რამ უამბო მეგობარს. უსმენდა საითი და არ სჯეროდა, რომ შეიძლება ადამიანი შეგონებით დააძინო.

— მე შენ ვერ დამაძინებ... ძილის წამალიც ვერაფერს მაკლებს... შენ კი გინდა ლაპარაკით თუ ცქერით დამაძინო?.. მაგით ბითური ხალხი მოატყუე, ჩემთან არ გაგივა...

— მხოლოდ ძლიერი ნებისყოფის ხალხი არ ემორჩილება ჰიპნოზს, — უპასუხა რეფიქმა.

ვიდრე რეფიქი ფიქრობდა, როგორ მოვიქცეო, საითმა მოქნარება დაიწყო. ექიმის მეგობრულმა კილომ, ყვავილებმა, მქრქალმა შუქმა თუ კაბინეტის მოწყობილობამ (ეს კაბინეტი ბავშვის ოთახს უფრო ჰგავდა), საითი ძილის ბურანში გაახვია. საითს მთელი წინა ღამე ფეხბურთის მოედანი ესიზმრებოდა, ყოველ წუთს ბურთი გაჰქონდა კარში, ახლა კი ყველაფერი დაავიწყდა, დამშვიდდა. ტახტის საზურგეს მიეყრდნო, ქუთუთოები დაუმძიმდა და მალე ჩაეძინა. რეფიქი მძინარე საითის წინ სავარძელში ჩაჯდა და სხვადასხვა კითხვა მისცა. მძინარე საითიც პასუხობდა. ადამიანს ეგონებოდა, ორი ძველი მეგობარი ტკბილად ბაასობსო.

სარიოღლუთა სასახლე ერთ დროს ხალხმრავალი იყო, ამ სასახლეს უამრავი ოთახი ჰქონდა და ყოველ ოთახში შესული ქალ-ვაჟი გარეშე თვალს არც ერიდებოდა, ისე სჩადიოდა ცოდვას. სახლის თითქმის ყოველ კუთხეში გარყვნილება დაბუდებულიყო. საითი რომ წამოიზარდა, რცხვენოდა ამისა, რაც სახლში ხდებოდა, მაგრამ ოთახების საკლიტურში მაინც შეიჭყიტებოდა ხოლმე. ყველაზე მეტად საკუთარი დედის ქცევა აცოფებდა. თავისი ასაკისათვის მან ბევრი რამ იცოდა და ასეთ გარემოცვაში აღზრდილი გულჩათხრობილი, მორიდებული, ერთი სიტყვით, ავადმყოფი კაცი დადგა.

რეფიქს თავისი პარიზული თავგადასავლებიც უამბო. რასაკვირველია, მადლენის ამბავი კარგად ვიცოდი. მაგრამ არ ვიმჩნევდით. ოჰ, როგორ უნდოდა თუნდაც ერთხელ, თავის ცხოვრებაში ერთხელ მოკარებოდა ქალს. თითქმის იგივე ხდება ახლა, როცა იგი სევიმს გადაეყარა. რასაკვირველია, მან კარგად იცის, რომ სევიმი იტყუებს, იგი არ არის სევიმის ბავშვის მამა, მაგრამ ყველაფერს ითმენს, ცდილობს ყურადღება არ მიაქციოს დაცინვას, ყუყუჩად მოაქვს თავი, რადგან მაინც უნდა მამა გახდეს, თუნდაც [illegible] გახდეს მამა.

საითს საღამო ხანს გამოეღვიძა. ტკბილად დაამთქნარა, გაიზმორა, მიმოიხედა, ეს სადა ვარო. რეფიქი რომ დაინახა, იკითხა:

— მეძინა?

— გეძინა, — ექიმმა საათს დახედა, — მთელი ორსაათ-ნახევარი გეძინა.

საითი აფორიაქდა.

— ნუთუ დამაგვიანდა?

— სად მიდიოდი?

— პასიფ ბეიმ სადილზე მიმიწვია.

— ჯერ ადრეა, მოასწრებ.

— როდისღა უნდა გამსინჯო?

— მე შენ თითქმის აღარ მჭირდები, თუ ებრალოდ გამოივლი, კარგი იქნება, ვიმუსაიფოთ, ლიცეუმი გავიხსენოთ.

— აკი გიმკურნალებო?

— ეგ ამბავი ნუ გაფიქრებს, შენ სხვა ექიმი გიმკურნალებს, ჩემი კარგი ამხანაგი.

საითმა მადლობა გადაუხადა და წასვლისას კიდევ ერთხელ ჰკითხა:

— მაშ, შენ გგონია, რომ შევძლებ ფეხბურთელი დავდგე?

— თუ ძალიან მოინდომებ, შესძლებ. აი, ჩემს ამხანაგთან მიგიყვან, ის გაგსინჯავს და ვნახოთ, რას იტყვის.

საითმა ეშმაკურად გაიცინა.

— ტყუილად დაკარგე დრო იმ ამერიკაში, შენმა ხელოვნებამ ვერ გასჭრა, მე ჩემით ჩამეძინა. აბა დროებით!

— ნახვამდის!

საითი მანქანაში ჩაჯდა და შინისკენ გაქანდა. ფეხბურთელებთან წასვლა ჯერ ადრე იყო, ამიტომ აბაზანა მიიღო და ისე იგრძნო თავი, თითქოს ხელახლა დაიბადაო. დიდი ხანია ასეთ ჩინებულ გუნებაზე არ ყოფილა. დედასა და მამას ანცელად თავაზიანად აკოცა და მხიარულად, სტვენა-სტვენით გამოვიდა სახლიდან.

ბერინ ხანუმ ეფენდი ძველი ადათების ქალი იყო, ამგვარ საქციელს ვერ იტანდა და საითის კოცნა მისი სიგიჟის კიდევ ერთ დადასტურებად მიიჩნია.

# სადილი

საითს ძალზე დაბნეული და მორცხვი კაცის გამოხედვა ჰქონდა. საცოლესთან ხელზე საკოცნელად რომ მივიდა, თავის აწევაც ვერ გაბედა, სევიმის შეხედვისა შეეშინდა. სევიმს კი ისე ეჭირა თავი, თითქოს ის არასასიამოვნო ამბავი დიდი ხანია დაავიწყდა. ახლა იგი ხმამაღლა იცინოდა.

შეეშვი მაგ ჰიხვანს, — კბილებს შუა გამოსცრა ახმედმა, — მე ხომ ვიცი, მერე ტირილს დაიწყებ.

კაზინოსაკენ დუნდარ-დუზარა ბეის მანქანით გაემართნენ. ახმედი წინ დაჯდა, დანარჩენები უკან მოთავსდნენ. საითი და სევიმი ფერფერიკებს შუა ისხდნენ. ვერც მეპჯურე ხანუმსა და ვერც ჰასიფ ბეიზე ვერ იტყოდით გამხდარნი არიანო, სიმსუქნე ორივესათვის კარგად მიეცა ღმერთს, ამიტომ საითი და სევიმი ერთმანეთს მიაკვროდნენ. ბედნიერებისაგან მთვრალი საითი ღმერთს სულ იმას ევედრებოდა, ღმერთო, ამ გზას ნუ დაასრულებ, ნეტა მთელი ცხოვრება სულ ასე ვისეირნოთო. დუნდარ-დუზარა ბეის ადრევე დაურეკია კაზინოში და, როგორც საქვეყნოდ ცნობილი კაცი, მისი სტუმრებისათვის გამოსაჩენ ადგილას, ზედ ესტრადის ცხვირწინ გამოუყოფეს. ასეთი პატივი დიდ პოლიტიკურ მოღვაწეებსაც კი იშვიათად რგებიათ წილად.

სადილზე წარამარა ისმებოდა საითისა და სევიმის სადღეგრძელო. საითი პირველად იყო კაზინოში და რასაც დაუსხამდნენ, სულმოუთქმელად სვამდა, ამიტომ მალე დათვრა და ახმედს შეუჩერებლივ ელაპარაკებოდა. ისიც კი არაფრად ჩააგდო, სევიმი რომ მიეხუტა. ამაზე დედიკომ ასე დაარიგა სევიმი:

— შენ ძალიან ანებივრებ, შვილო, მაგ ბიჭს. მამაკაცები სანდონი არ არიან. თუ კაცმა დაინახა, რომ ქალი ჰკუას კარგავს მასზე, ძალიან უწყინარიც რომ იყოს, ღმერთმა იცის, რამდენ სისულელეს ჩაიდენს.

— ეგ ხომ საკუთარ ცხვირსაც ვერ ხედავს, დედი!

— ეგეთ ხალხს უფრო უნდა ერიდო, — განაგრძო გამოცდილმა მეპჯურე ხანუმმა. — მაგათ არაფრად უღირთ საბრალო ქალიშვილის მოტყუება. გულახდილად რომ გითხრა, ეგ ბიჭი სულაც არ მიმაჩნია სანდო კაცად. ვნახოთ, რა მოხდება, ღმერთმა ქნას, ქორწილი გადავიხ[illegible]

ბოლოს, როგორც [illegible] საცოლეს მოუბრუნდა, მისი ხელი ნაზად აიღო და უთხრა:

— უნდა გამოგიტყდეთ, სევიმ ხანუმ... ერთ ძალზე მნიშვნელოვან საკითხზე უნდა მოგელაპარაკოთ.

— თქვი, ნუ წვრილდები, — გაამხნევა საცოლემ.

გამბედაობისათვის საითმა რამდენიმე ყლუპი ღვინო მოსვა და უცებ თქვა:

— მე ფეხბურთელი გავხდები, თქვენი სიყვარულის ღირსი რომ ვიყო, ფეხბურთელი გავხდები.

სევიმმა გადაიხარხარა.

— ბურთზე ფეხი თუ დაგირტყამს ოდესმე?

— კი, ერთხელ... ლიცეუმში სწავლის დროს... ბავშვებმა ორი გუნდი შეადგინეს სწორედ იმ მოსწავლეებისგან, რომლებმაც თამაში არ იცოდნენ. მე გაქცევა მინდოდა, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

— თამაშე?

— მერე როგორ! ხუთი ბურთი გავიტანე.

სევიმი გაოცდა.

— ხუთი ბურთი? აბა, რატომ აღარ თამაშობდი?

— იმიტომ, რომ ვიდრე თამაში დამთავრდებოდა, იმდენი მირტყეს, იმდენი...

— ვინ გირტყა? მოწინააღმდეგე გუნდმა?

— არა.

— გულშემატკივრებმა?

— არა.

— მსაჯმა?

— არა! ჩემი გუნდის ბიჭებმა მცემეს.

— მაგათ რაღაზე გცემეს? — სიცილით ჰკითხა სევიმმა.

— იმისთვის, რომ ხუთი ბურთი გავიტანე.

— ალბათ. შურიანი ბიჭები იყვნენ.

— არა, სევიმ ხანუმ, ხუთივე ბურთი ჩვენს კარში გავიტანე. მზე თვალებში მიჭყიტინებდა და ბურთს ვერ ვხედავდი, სირბილმა კი სულ ამირია ტვინი. მოთამაშეებს რომ ხელი არ შეეშალათ, კიდევ გავიტანდი ბურთს. სულ კუდში მდევდნენ, სადაც გავიქცეოდი, იქით მომდევდნენ.

რომელ კარითაც შევირბენდი, იქ ვარტყამდი. თითქოს ჯიბრზეო, ხუთივე ბურთი ჩვენს კარში დავარტყი და გავიტანე კიდეც.

— მაშ, შენს კარში გაგქონდა ბურთები? — სიცილისაგან იხრიწებოდა სევიმი.

— განა ასე მინდოდა! ყველა რომ დარბის და ღრიალებს, იმის დრო აღარ გრჩება, მეკარეს ჰკითხო, ეს ჩემი კარია თუ მოწინააღმდეგისაო.

საითი საკმაოდ მხნედ გრძნობდა თავს, რისგან იყო ასე — ღვინისგან თუ იმის გამო, რომ რეფიქთან განოიძინა? ეს კია, თვითონაც ველარ შეამჩნია, შენობით როგორ დაელაპარაკა სევიმს. რამდენიმეჯერ ისიც კი უთხრა: „ჩემო ძვირფასოო".

— იმისათვის, რომ შენი ღირსი გიყო, მე უთუოდ გავხდები ფეხბურთელი, ჩემო ძვირფასო. ერთი რამ უნდა გთხოვო, — უთხრა საითმა.

— აბა, მითხარი.

— გაზეთებში ხშირად იბეჭდება განცხადებები, ესა და ეს კაცი თანაწედროვე ან კლასიკური ცეკვის გაკვეთილებს ატარებსო...

— შენ რა, ცეკვა გინდა ისწავლო?

— არა, მე ფეხბურთის თამაში უნდა ვისწავლო... ამიტომ ფეხბურთის მასწავლებელი მჭირდება... შენ ალბათ იცნობ ასეთ ხალხს, ჩემო ძვირფასო, დამეხმარე...

სევიმმა სიცილი შეწყვიტა. უცებ მოუნდა კარგად დაკვირვებოდა ამ კაცს, — მართლა ასეთი სულელია თუ თავს ისულელებს, სევიმსა და მთელ ქვეყნიერებას დასცინის? ნუთუ მართალია მეძავური ხანუმი და ამ კაცს მართლა შეუძლია სევიმი გაიმაიმუნოს? გაამაიმუნოს სევიმ-სვავი, ქალი, რომელსაც არაფერი დაჰკლებია აქამდე, ყველაფერი უნახავს, ყველაფერი განუცდია? არა, თუ საითი მორალი სულელი არ არის, ეს არ მოხდება. სევიმს ანაზდად შიში დაეუფლა.

— საით, მოიხსენი ეგ სათვალე. — ბრძანა მან.

— სათვალე რომ მოვიხსნა, ვეღარ დაგინახავთ, სევიმ ხანუმ, ვერაფერს დავინახავ.

— მე რომ გეუბნები, მოიხსენი, — ხმა აუკანკალდა სევიმს.

— კი ბატონო, ახლავე... მომიტევეთ... ახლავე, აჰა!.. მაგრამ ასე მგონია, რომ ხალხით სავსე მოედანზე შიშველ-ტიტველი ვდგავარ, რაც თავი მახსოვს, სათვალე არ მომიხსნია.

საითმა სათვალე რომ მოიხსნა, სევიმმა თვალის ორი მაწია გუგა დაინახა. ასე ეგონა, ბრმა მომზირებსო. არა, ასეთი კაცი ვერავის ვერ მოატყუებს, ვერც სამკუთარ თავსაც.

— ჩქარა, ჩქარა გაიკეთე სათვალე! — აღელვებით თქვა მან.

ვერავინ მიხვდა, რა მოხდა სასიძოსა და საპატარძლოს შორის, ოღონდ დუნდარფუზარა ბეიმ იგრძნო, რომ განწყობილება შეიცვალა, ამიტომ მყისვე შეავსო სასმისები და წარმოთქვა:

— დავლიოთ, ნეკიბრები, ბედნიერების სადღეგრძელო.

— მე საერთოდ ასეთი კაცი ვარ, — ლუღლუღებდა საითი, — მე საერთოდ არაფერი არ მინდა, მაგრამ... მაგრამ... თუ რამე მოვინდომე... უსათუოდ მივაღწევ... უსათუოდ მივაღწევ... მინდოდა და მათემატიკოსი გავხდი, ახლა კი ფეხბურთელი გავხდები... დიახ, ფეხბურთელი გავხდები.

— გააჭირე საქმე და ეგ არის, რას აიჩემე ეგ შენი არითმეტიკა! — სიტყვა გააწყვეტინა სევიმმა.

— მათემატიკა... არითმეტიკა, — ენას ძლივს აბრუნებდა საითი, — არითმეტიკა მეცნიერებათა მეცნიერებაა... და მე არავის მივცემ ნებას, რომ...

— თუ ღმერთი გწამს, გაჩუმდი! ისედაც თავი მტკივა.

— ჰო, კარგი, კარგი. ჩემო ძვირფასო, ძალიან გთხოვ ფეხბურთის მასწავლებელი მიშოვო, — კვლავ დაუწყო ხვეწნა-მუდარა საითმა, — ვივარჯიშებ და ვნახოთ...

— ფეხბურთის მასწავლებელი მე არ გამიგია...

— არა, თქვენ უსათუოდ გეცოდინებათ, სევიმ ხანუმ... იფქირან ბეიმ მითხრა, წვენს ახლოს ფეხბურთის პროფესორს ეძახიანო, სთხოვეთ, რომ დაგეხმაროთ, უარს არ გეტყვით, გასამრჯელოზე გულს არ დაგწყვეტ.

— თუ ღმერთი გწამს, მომაშორე ეს გიჟი, თორემ არ ვიცი, რას მოვიმოქმედებ, მეტი აღარ შემიძლია, — ახმედს მიუბრუნდა სევიმი.

სევიმი ახმედთან გადაჯდა, საითს კი დუნდარ-ფუზარა ბეი და ერთლ იფქირან ბეი მოუსხდნენ. „თოზკოფარანის" გვამებზე ჩამოაგდეს სიტყვა.

— ძალიან დიდი შეხვედრა გველის წინ, რუმინელებს უნდა ვეთამაშოთ, — ამბობდა დუნდარ ბეი. — თამაშამდე ორიოდე თვეღა დარჩა, სევიმი აპირებს ჩვენთან ერთად წამოვიდეს ბუქარესტში, რათა გა-

ამხნევის თურქეთის საუკეთესო გუნდი. თქვენც ხომ არ წამოხვიდოდით?

დუნდარ ბეის ნათქვამმა საითი აალელვა. ეს როგორ, ჩემი საცოლე სევიმი „თოხკოფარანთან" ერთად რუმინეთში წასვლას აპირებს და მე არ უნდა ვიცოდე?

იფქირან ბეიმ უმალ აუღო ალღო, რაც მოხდა, ჭიქები შეავსო და წამოიძახა:

— სასიძოსა და საპატარძლოს დღეგრძელობისა იყოს!

მაგრამ საითს სმა აღარ უნდოდა.

კაზინოს ესტრადაზე წითელხალათიანი მომღერალი ავიდა და სიმღერა დაიწყო:

მხოლოდ შენ ხარ ჩემს გულში,
არა მაქვს მოსვენება...

საითს არასოდეს გაეგონა ეს სიმღერა და ახლა გულზე მოხვდა იგი. თითქოს მასზე შეთხზეს ეს სიმღერა. მომღერალი უკვე სულ სხვა სიმღერას მღეროდა, მაგრამ საითს მაინც ის ჰანგი ჩაესმოდა ყურში: „მხოლოდ შენ ხარ ჩემს გულში, არა მაქვს მოსვენება"... და თვალწინ სულ სევიმი ედგა. ღვინო თანდათან უფრო მოერია.

— „გამინათე ღამე ბნელი, მომიშუშე იარა", — ღიღინებდა საითი, მერე უცებ ხმამაღლა თქვა, — აი, ნახავთ, თუ ფეხბურთელი არ გავხდები, ფეხბურთის ვარსკვლავი. ექიმმაც ასე მითხრა. ფეხბურთის მეფე მე ვიქნები, მხოლოდ მე... და კვლავ სიმღერა წამოიწყო: „გზა დამეხშო მიჯნურის, აღარ ვუყვარვარ მას".

სასიძოს უჩვეულო საქციელმა სევიმი გაართო. ნუთუ ალაჰს არ შეეძლო ოდნავ უფრო მომხიბვლელი გაეჩინა საითი?

კაზინოდან ნაშუაღამევს გამოვიდნენ. დუნდარ-დებარა ბეიმ ყველანი ბოსფორზე მიიპატიჟა.

— რა აუცილებელია, ყველანი ერთ მანქანაში ჩავეყაროთ, საითი და სევიმი ტაქსით გამოგვყვებიან. თავისუფლადაც იგრძნობენ თავს.

ასეც მოიქცნენ. სევიმის გვერდით მჯდარი საითი იმ ლექსის სტრიქონებს ღიღინებდა განუწყვეტლივ: „მხოლოდ შენ ხარ ჩემს გულში, არა მაქვს მოსვენება", ღიღინებდა და თვალთაგან ცრემლი სდიოდა.

— მანქანას რატომ არ ყიდულობ? — ჰკითხა მოულოდნელად სევიმმა.

— მანქანას? მე რომ ტარება არ შემიძლია, ვინ უნდა ატაროს?

— მე ვატარებ.

— მართლა? თუ ასეა, ვიყიდი, რატომაც არ ვიყიდი, აქამდე გეთქვა, ჩემო ძვირფასო.

სევიმმა დაკვირვებით შეხედა.

— პირობას მაძლევ?

— რასაკვირველია, შენ და მე ერთად ვიყიდით...

სევიმმა ისე გადაუსვა საითს თავზე ხელი, როგორც პატარა ბიჭს მიეალერსებიან. საითს კვლავ ცრემლი მოერია. რატომ მოერია ცრემლები? „გზა დამეხშო მიჯნურთან, აღარ ვუყვარვარ მას".

სევიმმა აკოცა საითს.

— როდის?

საითი ვერაფერს მიხვდა.

— რა როდის?

— მანქანას როდის იყიდი-მეთქი?

— ხვალვე. „შეიბრალე მიჯნური, ცხოვრებად ჩამთვალე".

ბოსფორის სანაპიროდან რომ ბრუნდებოდნენ, სევიმმა დედას უთხრა, საითმა მანქანა უნდა მიყიდოსო, და დასძინა:

— ასეთი საჩუქრის აღსანიშნავად ამაღამ საითი ჩვენსა უნდა დავტოვოთ.

მშობლებმა უარი განაცხადეს, ეს რა წესიაო, ეს როგორ შეიძლებაო, მაგრამ სევიმს არაფრის გაგონება არ უნდოდა და თავისას გაიძახოდა:

— რა მოხდა, რა არის ამაში ცუდი, ჩემს ფეხბურთელებს ჩემთან ღამე არ გაუთევიათ?

— ფეხბურთელები სხვაა, საქმრო კიდევ სულ სხვა.

ახმედმაც სევიმს დაუჭირა მხარი და სევიმმა თავისი გაიტანა. იფქირან ბეიმ და ახმედმა ძლივს აათრიეს საითი კიბეზე და ტახტზე დააწვინეს. ფერფერიკებმა ახმედს სთხოვეს, ყოველი შემთხვევისათვის შენც დარჩიო, მაგრამ ახმედმა თავი შორს დაიჭირა.

საითმა დილაადრიან გაიღვიძა. ყველას ეძინა. გაბრუებული წამოჯდა ტახტზე, არ იცოდა, სად იყო. უსათვალოდ ვერაფერს ხედავდა, ხელების ფათურით სათვალე იპოვა. იატაკზე ეგდო თურმე. მხედველობა რომ დაიბრუნა, წამოდგა, ჩაიცვა და ჩუმად, არავინ გავაღვიძოო, ქუჩაში გამოვიდა.

რამდენიმე წუთში უკვე შინ იყო. ღვინო ჯერაც არ განელებოდა. მერინ ხანუმმა რომ მთვრალი საითი დაინახა, ერთი კი წამოიყვირა და ლამის გრძნობა დაკარგა.

## თურქული ფეხბურთის პირველი გაკვეთილები

— არ შემიძლია, ტყუილუბრალოდ ფულს ვერ ავიღებ.

— ნუ სულელობ, ახმედ, ასეთი შემთხვევის ხელიდან გაშვება არ იქნება. გაკვეთილებს ჩაუტარებ და ფულს მიიღებ. რა მოხდა?

— მაგისგან არ მიკვირს, ცალტვინა კაცია, მაგრამ შენ რამ გადაგრია? როგორ შეიძლება ეგ ფეხბურთელი გახდეს, სიცოცხლეში ბურთისთვის ფეხი არ დაუკარებია.

— ახლა დააკარებს... მიეცი ბურთი და თავის ბაღში, რამდენიც უნდა, იმდენი ირბინოს, — თავისას არ იშლიდა სევიმი.

— ვერ შესძლებს, ბურთს რომ ფეხი დაარტყას, წაიქცევა და ვეღარც ადგება.

— შენ რა გენაღვლება, შენ ფული ჩაიჯიბე. ყველას უთქვამს, ახმედი ფეხბურთის პროფესორიაო, ჰოდა, მას უნდა შენ ასწავლო, ბატონო პროფესორო. სული ამომხადა, მოულაპარაკე, იქნება მიგარჯიშოს. შენ ეს მითხარი, კიდევ რამდენი წელი შესძლებ თამაშს? დროა მომავალზე იფიქრო. მდიდარი საცოლე რომ მოგვეძებნა, არც ის გაწყენდა, თორემ მერე გვიან იქნება.

— მართალი ხარ, დრო უცებ გარბის.

— ეგ მდიდარია, ცოტა რომ შენც იხეირო, მაგით არ გაღარიბდება. მაგათ ფული ბლომად აქვთ, ხან მაღაზიას ყიდიან, ხან რომელიღაც სახლს.

— თამაშს რომ თავს დავანებებ, მწვრთნელი გავხდები.

— მაინც ბურთთან გექნება საქმე. სპორტული მაღაზია რომ გახსნა? ჰოდა, ეგ ფული მაგ საქმეში გამოგადგება, უფულოდ ვერაფერს გახდები.

მართლაცდა, რატომ არ უნდა გახსნას მაღაზია? განა მისი სახელი ყოველგვარ რეკლამას არა სჯობია? ამ საქმის წყალობით მუშტარი ალბათ არასოდეს დაელევა. ამ ცოტა ხნის წინათ წერწეტა ბიჭი იყო, მსუბუქი, ნიავივით დაქროდა მოედანზე, ვინ დაეწეოდა, მაგრამ ახლა გასუქდა და ისე მკვირცხლად ვეღარ მოძრაობს, ხაში რომ მოემატა, ამიტომაც უჭირს თამაში, თუ დარწმუნდებოდა, ბურთს ვეღარ მივეწევიო, მოთამაშეს ფეხებში ურტყამდა, დარტყმა კი ოსტატური იცოდა,— ყველა მსაჯი როდი შეამჩნევდა.

სევიმი მიხვდა, ახმედს [illegible] ჩემი ნათქვამით, და [illegible]

— დიდი ვარჯიშიც ეგ არის, კვირაში ერთხელ წადი, — ერთი-ორი საათი არბენინე თავის ბაღში და მორჩა.

ახმედი რომ დაიყოლია, სევიმი ტელეფონს ეცა და სიით დაურეკა. ყურმილი ბერინ ხანუმმა აიღო. სიითი უნივერსიტეტში წავიდა ლექციის მოსასმენადო, უთხრა სევიმს.

— გადაეცით, რომ მე დავურეკე.

— უსათუოდ გადავცემ, — ცივად უპასუხა ბერინ ხანუმმა. ეს გაუზრდელი გოგო თავიდანვე არ მოსწონდა და მასთან საუბარიც არაფრად ეპიტნავებოდა.

სევიმმა ყურმილი დასდო და თქვა:

— ამ ჩემმა სულელმა სულ აალრინა. ახლა უნივერსიტეტში წასულა ლექციის მოსასმენად. — სევიმს თავის ცხოვრებაში ერთხელაც არ მოუსმენია ლექცია და ასეთი რამ სიგიჟედ ეჩვენა.

— ბიჭებმა რომ გაიგონ ეს ამბავი და მასხრად აგვიგდონ? — ჰკითხა ახმედმა.

— სიითს ვეტყვი, კრინტი არსად დასძრაო-თქო, საიდუმლოს შენახვა კარგად იცის.

ვიდრე სევიმი და ახმედი ამაზე ბჭობდნენ, როგორ გაეცურებინათ სიითი, სიითი რეფიქის ლექციას ისმენდა. რეფიქი სწორედ იმ ავადმყოფობაზე ლაპარაკობდა, რაც სიითს სჭირდა. ლექციის პირველ ნაწილში ავადმყოფობის ნიშნებზე იყო ლაპარაკი. სიითი ალბათ ვერც მიხვდებოდა, რეფიქი რომ მასზე ლაპარაკობდა, მაგრამ როცა ექიმი მკურნალობის ხერხებს შეეხო, სიითს ყველა ხერხი დიახაც ეცნო.

— ამგვარი ავადმყოფობის მკურნალობისას უნდა ვცინჯოთ სხვადასხვა ხერხი, სპორტული ვარჯიშიც, ფსიქოთერაპიაც, წამლების შეშხაპუნებაც.

ლექციის მერე სტუდენტები რეფიქს შემოეხვივნენ, ჩინებული ლექცია მოვისმინეთო. სიითმაც მიულოცა მეგობარს, მაგრამ თუ რამეს მიხვდა, არ შეამჩნევინა. რეფიქს რომ დაშორდა და შინ წავიდა, გონების თვალით კვლავ ლექციას გადახედა. აგერ უკვე ერთი თვეა, რაც სიითი მკურნალობს და გაცილებით უკეთ გრძნობს თავს. ახლა მხედველობაც უკეთესი აქვს, აღარ სჭირდება წიგნი თუ გა-

ნეთი ცხვირთან მიიტანოს, ბურთს ფეხს აღარ აცდენს და კარგად ურტყამს. ოღონდაც ის ვერ გაეგო, ორივე ექიმი რატომ ურჩევდა ასე დაჟინებით, ამერიკაში უნდა გაემგზავროთო. რაში სჭირდება ეს ამერიკა? იგი მზად არის კვლავ დალიოს წამლები, გაუძლოს ყველანაირი ნემსის ჩხვლეტას, ოღონდ სევიმს არ დაშორონ. დიდი ბერინმა სადილი თვითონ მიართვა, თუმცა არ უთქვამს, სევიმმა დაგირეკაო. ერთი ბოთლი ღვინოც დაუდგა მაგიდაზე. ახლა საითი სადილობისას ორიოდე ჭიქა ღვინოსაც კი სვამდა ხოლმე. ბერინ ხანუმმა რომ რეფიქს შესჩივლა, ამ ბოლო დროს საითი ღვინოს ეწევაო, რეფიქმა ძალიან გაიხარა და ისიც კი თქვა, კარგი იქნება ბანქოს თამაში, ცეკვა და ქალებთან არშიყიც დაიწყოს, ყველაფერი კარგად მიდის, მკურნალობას შედეგი მოაქვს და საითი ცხოვრებას უბრუნდებაო.

ტელეფონის ზარი გაისმა.

— საით, ჩემო ძვირფასო, — ეუბნებოდა სევიმი საითს, — უნდა გაგახარო! როგორც იქნა, დავიყოლიე, ჰო, დავიყოლიე. — ამ „ჩემო ძვირფასომ" ისეთი თავბრუ დაახვია საითს, რომ ვერაფრით ვერ მიხვდა, ვინ დაიყოლია სევიმმა ან რაზე დაიყოლია, შეკითხვა კი ეუხერხულა.

— ჯერ გაიძახოდა, დრო არა მაქვსო, მაგრამ მე ძალიან ვთხოვე, ბევრი ვეხვეწე და როგორც იქნა, დამყაბულდა. ალო, ალო, საით, მისმენ თუ არა? არ გიხარია, რომ ეს საქმე გავიკეთე?

— ძალიან მიხარია, ძალიან.

— რატომ მადლობას არ მიხდი? მე იმდენი ვეცადე შენთვის, იმდენი, რომ შეგიძლია ხვალვე შეუდგე. აი, ახმედი აქ არის, დაელაპარაკე.

საითი ახლაღა მიხვდა ყველაფერს.

— ახლავე, ამ წუთს თქვენთან გავჩნდები...

* *

ახმედი ყოველ ორშაბათს და ხუთშაბათს ნასადილევს მოდიოდა საითთან. ბაღში ჯერ კიდევ ციოდა და მადამ ანჟელამ მესამე სართულზე ერთი დაცარიელებული დარბაზი გაუღო სპორტსმენებს. თავიდანვე მადამ ანჟელამაც და დიდი ბერინმაც არად ჩააგდეს ახმედის ასეთი ხშირი სტუმრობა, მაგრამ მერე დაინტერესდნენ, რატომ იკეტებიან დარბაზში ახმედი და საითიო. მართალია, მადამ ანჟელას ხან ჩაი შეჰქონდა და ხან ყავა, მაგრამ მაინც ვერაფრით ვერ მიხვდა, რას აკეთებდნენ იქ. დიდი ბერინს მიყურადება და თვალთვალი უკადრის საქმედ და ცოდვად მიაჩნდა მუდამ, მაგრამ დაწყევლილმა ცნობისმოყვარეობამ ისიც დაავიწყა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აი, რა გაიგონა ერთ დღეს:

— ფეხბურთში, მაშასადამე, თამაშის დროს არის ზოგიერთი ისეთი წესი, რომელიც უთუოდ უნდა დაიხსომო. პირველი, მაშასადამე, ეს არის: როგორც კი დაინახავ, რომ ბურთი მოწინააღმდეგეს აქვს და ვერაფრით ვერ წაართმევ, რა უნდა ქნა მაშინ?

— არ ვიცი, ალბათ ალაჰს უნდა ვთხოვო, მოწინააღმდეგემ ფეხი წამოჰკრას რამეს და წაიქცეს.

— სულელო! ყური მიგდე და კარგად დაიმახსოვრე ყველაფერი, რასაც გეტყვი. მაშასადამე, როგორც კი მას გვერდით მოხვდები, კუდუსუნში ფეხი ამოარტყი და იმ წუთში დაეცი, მიწაზე იკოტრიალე, თან ისეთი ყვირილი მორთე, თითქოს ვინმე დასაკლავად მოგდევდეს. გაიგე? თუ წვიმს და ტალახში მოგიწია კოტრიალი, რას იზამ, ფეხბურთელის ყოფაც ესაა. მენავეს ერთი ადგილი მუდამ სველი აქვს... მაშ ასე, მაშასადამე, შენ მიწაზე კოტრიალობ, დრო კი მიდის, კაცი არაა იმის გამრჩევი, ვინ ვის ამოარტყა წიხლი, ეს მხოლოდ შენ იცი და იმან, ვისაც ამოარტყი. ჩვენს გულშემატკივარს კი მუდამ ის ებრალება, ვინც მიწაზე აგდია.

— რატომ?

— ეგ იმიტომ, ძმობილო, რომ ფეხბურთის გულშემატკივარსაც, მაშასადამე, ბევრი სიმწარე უგემია ცხოვრებაში. იგი იწყებს, მაშასადამე, სტვენას, რომ შენი მოწინააღმდეგე მოედნიდან გააძევონ. შენ კი მიწაზე გდიხარ და ყვირი... ჰო, კაცო, არ დამავიწყდა! როცა შენი მოწინააღმდეგეც დაეცემა, მაყურებელს ჰგონია, გვატყუებსო, და კიდევ უფრო უმატებს სტვენას და ყვირილს. ამასობაში შენკენ საკაცით მორბიან. შენ ძლივს წამოდგები, ორივე ხელი წელზე გიდევს, რადგან გტკივა, მაგრამ ისევ დაეცემი, ვინაიდან ფეხზე დგომა არ შეგიძლია. მერე კვლავ წამოდგები და კოჭლობით განაგრძობ თამაშს. ახლა შენ შეიძლება, მაშასადამე, მკითხო, რატომაო? იმიტომ, რომ ხალხს აჩვენო, თუ როგორი თავდადებული ხარ შენი გუნდისათვის, მზადა ხარ თავიც არ დაზოგო, აი, ამის გამო გაფასებენ გულშემატკივრები და ალ-

ფრთოვანებისაგან ცრემლიც კი ერევათ. ტაშსაც უფრო გამეტებით გიკრავენ. გაიგე?

— დიახ, კი.

— ეს ხრიკი ჩვენთან ნამდვილად სჭრის, მაგრამ როცა გერმანელებს ეთამაშები, ასეთი რამ არ ჩაიდინო. გერმანელები სულ სხვა ყაიდის ხალხია. ჩვენებს ჰგონიათ, ვინც მიწაზე აგდია, გერმანელები კი ასეთ კაცს უსწორდებიან, ძირს დაცემული ნათ არ ებრალებათ, თუ გლახა ხარ, ეგდე კიდეც მიწაზე. თურქებს ებრალებათ სუსტი, რომელიც იგებს, გერმანელი კი შვილსაც არ დაინდობს, თუ წააგო. გერმანელი ძლიერს უჭერს მხარს, გამარჯვებული მუდამ მართალია. გაიგე? ჩვენები ამბობენ, გამარჯვებულს ისიც ეყოფა, რომ მოიგოთ და დამარცხებულს თანაუგრძნობენ. რატომ? იმიტომ რომ თურქები თვითონ არიან ცხოვრებაში გაწამებულნი.

სათი რამდენიმე წელი საფრანგეთში ცხოვრობდა და ამიტომ ძალიან დაინტერესდა, ფრანგები როგორნი არიანო.

— არც ფრანგები ჰგვანან თურქებს. ამ ხრიკით ფრანგს ვერ გააცურებ. მან კარგად იცის, ვინ ვის ამოარტყა წიხლი და ვინ იტყუება. აი, მსაჯს თუ მოატყუებ, ტაშს დაგიკრავენ, მაგრამ თუ მსაჯი ეშმაკობას მიგიხვდა, სჯობია თვითონვე დატოვო მოედანი, თორემ იქნება სახეშიც მოგაფურთხონ.

— ინგლისელები?

— ინგლისელების მოტყუება გუნებაშიც არ გაივლო, იმიტომ რომ ეგ ამბები მაგათი მოგონილია! მაგათ ყველაფერი ადრევე იციან. დაიმახსოვრე, რომ ინგლისელი მსაჯი ლაჩრულს არ დაგაწყებს და უმალ გაგაძევებს მოედნიდან. ასეთია ფეხბურთის ანბანი, სათი ბეი. ეს სიბრძნე მთელი ოცი წლის გამოცდილებით შევიძინე, შენ კი ოც წუთში გასწავლე. წიხლის ამორტყმა უბრალო საქმე ნუ გგონია, რაც დღეს გითხარი, კარგად დაიხსომე, სწავლა ხომ შენი საქმეა! ეგ უფრო იოლია, ვიდრე მოედანზე სირბილი.

შემდეგ გაკვეთილზე სათიმ წაიკითხა პირველი წესი, რომელიც ჩაეწერა:

„თუ ბურთი მოწინააღმდეგეს აქვს და შენ არ ძალგიძს აართვა, კუდუსუნში წიხლი უნდა ამოარტყა, ამის შემდეგ წიხლის ამომკვრელი უნდა წაიქცეს და ღრიალი მორთოს, რათა ვერც მაყურებელი მიხვდეს რაიმეს და ვერც მსაჯი. ეს ხერხი არ გამოდგება გერმანელებთან თამაშისას“.

— ყოჩაღ, ძმობილო, მეცნიერულად ჩამოგიყალიბებია. მხოლოდ ერთი რამ უნდა დაიხსომო: ჩვენ მაგ ხერხს არავის ვუმხელთ! ოღონდაც ასჯერ გადაწერე და გაიმეორე, თუ არ გინდა ტყუილუბრალოდ მიიღო ფული. ახლა მეორე წესს გასწავლი: მოწინააღმდეგე შენს კარში ზედიზედ გააქვს ბურთები, ისე მოგქანცა, რომ არაფერი გამოგელია, სუნთქვაც არ შეგიძლია, ძალა აღარ გყოფნის. რა უნდა ჰქნა?

— შევეცდები დავისვენო.

— ყავახანაში კი არ ზიხარ, ფეხბურთს თამაშობ და დასვენება პირველსა და მეორე ტაიმს შორის შესვენებისას შეგიძლია მხოლოდ! მაშ, როგორ უნდა მოიქცე?

— არ ვიცი.

— აბა დაიხსომე! მოწინააღმდეგე გუნდის რომელიმე ფეხბურთელთან მიირბინე და დაეცი.

— პირველი წესიც ხომ ამას ითვალისწინებდა?

— პირველი წესის მიხედვით შენ ჯერ კუდუსუნში ურტყამ და მერე ეცემი, აქ კი მიირბენ და დაეცემი, ეგდე მიწაზე, მანამ სანამ ყურადღებას არ მოგაქცევენ. გაიგე? იგდიხარ ბალახზე და ისვენებ. ერთხელ ასე ვისვენებდი და მხოლოდ მაშინ მოვედი გონს, როცა ბურთი მხვდება თავში. რომ მიხვდები, ძალა გელევა, დაწექი და დაისვენე, შეიძლება ორი ტაიმის მანძილზე ორმოც წუთზე მეტი არც ითამაშო. ნურაფრის მოგერიდება, ეს წესი არავის გაუმხელია, თორემ ფეხბურთის მოედანი ბლოკს დაემსგავსება. გაიგე?

— კი, გავიგე.

— მომავალ გაკვეთილამდე ასჯერ გადაიწერე და ზეპირად დაისწავლე.

ყოველი გაკვეთილის შემდეგ ახმედი თავის ჯიბეში კონვერტში ჩადებულ ფულს აღმოაჩენდა ხოლმე. სათი იმედებს აძლევდა ახმედს, რადგანაც არც ერთ მწვრთნელს არ დაესიზმრებოდა. ვარჯიშის შემდეგ ახმედი სევიმთან მიდიოდა.

— კიდევ ერთი გაკვეთილი ჩავუტარე იმ შენს ხეიროს... ისეთ სისულელეებს ვუბნები, რომ მოისმინო, ჭკუას დაკარგავ. ეგ კიდევ არა მარტო იწერს, ზეპირად სწავლობს.

მალე ახმედს მოეჩვენა, სათი დამცინისო, თუმცა გაკვეთილის შემდეგ კი ისე მოსწყინდა ეს თამაში, ლამის ჭკუიდან შეშლილიყო.

— აღარ შემიძლია, თუ გინდა, მომკალი. ათი წესი ვასწავლე, მეტი ვეღარ ვეე-

რი მომიფიქრებია, ნაგისი ფეხიც არ მან-და.

— ახმედ, საყვარელო, ცოტაც მოითმი-ნე, ფულს მოუღლობ, ისე ხომ არ არი, რა გენაღვლება! სიცილი მაინც არ გინდა!

— ვინ ვის დასცინის, ეს კიდევ საკი-თხავია. ასე მგონია, ეგ შენი ხვითო მე დამცინის. მეტად აღარ გავეკარები, ნუ-ღარც მთხოვ.

— ახლა უბრძანე ჩვენი ფეხბურთის ისტორია შეისწავლოს.

ახმედს ეს აზრი მკუაში დაუჯდა.

— ახლა, ძმობილო, ჩვენი მშობლიური სახელოვანი ფეხბურთის ისტორია უნდა შეისწავლოთ.

საითი ბიბლიოთეკაში ჩაცკუტა, ჩაჰკირ-კიტებდა ჟურნალ-გაზეთებს და აოცებდა, თუ რამდენს წერდნენ ახმედ კედილას შე-სახებ.

ერთხელ, ვარჯიშის მერე, დარბაზში ბერინ ხანუმი შევიდა და დაინახა, რომ იატაკი ცარცით იყო დახაზული. ბერინ ხა-ნუმმა სასწრაფოდ გამოიძახა მადამ ანჟელა. მადამ ანჟელას ნაცადმა თვალმა მაშინვე და-ადგინა, რომ ეს ფეხბურთის მოედნის სქე-მა იყო.

ფეიდამ არ დააყოვნა და ყველაფერი რეფიქს აცნობა. ექიმი ამ უკანასკნელი ცნობითაც კმაყოფილი დარჩა და თქვა, საითი სრული გამოჯანმრთელების გზას ად-გასო.

საითი კი ასე ბედნიერი არასოდეს ყოფილა! ძილი აღარ ჰქონდა. ორშაბა-თობით და ხუთშაბათობით მასთან მოდი-ოდა პროფესორი ახმედ კედილა, სხვა დღეებში კი თვითონ დადიოდა რეფიქთან და პროფესორთან.

## მწვრთნელ ტომპსონის შათერაკები

ბოლოს ის დღეც დადგა, როცა ახმედ კედილამ დაბეჯითებით განაცხადა, ეს გი-ჟების სახლი ყელში ამომივიდა, საითს აღარ ვავარჯიშებო.

— მილიონიც რომ მომცეს, აღარ გა-ვეკარები, მომწყდეს თავიდან.

— კი მაგრამ, ძვირფასო!..

— „ძვირფასო" მეტად არ გამიგონოს. ერთადერთი, რაც შემიძლია გავაკეთო, ესაა, რომ ინგლისელ მწვრთნელ ტომპ-სონს მივაჩვიო. მაგ გიჟურს მაინც არ მოე-წონებართ, ვარჯიშებზე არ დადიხართო. მოდა, ადგეს და საითი ავარჯიშოს. ეგ ინგ-ლისელი ჩვენთან მაინც დიდხანს აღარ დარჩება — ხელშეკრულების ვადა იწურე-ბა.

— გემუდარები, ახმედ, ეგ ტომპსონი სულ გაასავათებს ამ ჩემს ხვითოს. იგი სე-რიოზულად მოეკიდება საქმეს, ნამდვილად ავარჯიშებს, არბენინებს, ახტუნავებს. მაგ საცოდავს კი სადა აქვს ამდენის თავი, სუ-ლი ძლივს უდგას, ქორწილამდე გაფშიკავს ფეხს და მე რაღა ვქნა... ღმერთმანი, მებ-რალება კიდეც.

— თქვენც ნუ გააჭიანურეთ ქორწილი. დედაშენს უთხარი, ნუ აუხირდა, აი, შეა-ლამაზებს სახლს, ავეჯს გააწყობს და მორ-ჩა! ტომპსონი კი თავად მიხედავს, თუ რა სჭირდება მაგ შენს ხვითოს!

ახმედმა თავისი სიტყვა შეასრულა — მან დაწერილებით უამბო ტომპსონს საი-თის ამბავი. ტომპსონი ფულზე წუწკი კი იყო, მაგრამ ახლა ქვა ააგდო და თავი შე-უშვერა, მაგ მდიდარ სულელს არაფრით არ გავავარჯიშებო — ტომპსონი მხოლოდ და მხოლოდ პროფესიონალ ფეხბურთე-ლებს სცემდა პატივს. მაგრამ როცა ახ-მედმა საითის თავი შეაბრალა, აუწერა, თუ რა მაგ დღეში იყო ჭაბუკი და ერთადერთ წამლად ექიმებსაც და თვითონაც ფეხ-ბურთი მიაჩნიათო, ინგლისელი დათან-ხმდა.

ფეხბურთის მეცნიერებათა დოქტორმა ახმედ კედილამ საითს ყველაფერი ასე აუხ-სნა: ვარჯიშის თეორიული ნაწილი დამთავ-რებულია, ახლა პრაქტიკული მეცადინეობა არის საჭირო, ამიტომ „თოხკოფარანის" მწვრთნელს ტომპსონს მოველაპარაკე და დღეიდან ის გავარჯიშებსო. ოღონდაც ეს კი სთხოვა საითს: თურქული ფეხბურთის საიდუმლოებანი ინგლისელს არ გაუზიარო.

ტომპსონსა და საითს უმალ მოეწონათ ერთმანეთი. ჯერ ერთი, ისინი მამა-შვილი-ვით ჰგავდნენ ერთმანეთს. განსხვავება ის იყო, რომ ტომპსონი უფრო ენერგიული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მე-ორეც — ორივე, საითიც და ტომპსონიც უწყინარნი, მაგრამ თავისი საქმით გატა-ცებული, ახირებული ადამიანები იყვნენ.

ინგლისელის ერთადერთი სიხარული ამქვეყნად ის იყო, რომ ფეხბურთის ცაზე ახალ-ახალი ვარსკვლავები ამოეყვანა და თავისი ცხოვრების მანძილზე არა ერთი და ორი ვარსკვლავი ამოიყვანა კიდეც. ახლა ეს ვარსკვლავები სხვადასხვა ქვეყნის ფეხბურთელთა გუნდებს ამშვენებდნენ. რაც უფრო ნედლი მასალა ჩაუვარდებოდა ხელთ, რაც უფრო გამოუცდელი იყო ფეხბურთელი, ტომპსონი მით უფრო სიამოვნებით მუშაობდა მასთან და უეჭველ კაცის პირველი კლასის ფეხბურთელად ქცევა უდიდეს სიხარულს ჰგვრიდა.

ტომპსონი თურქეთში მაშინ მოხვდა, როცა თურქებმა შეიტყვეს, თუ რა ღვაწლი დასდო მან მსოფლიო ფეხბურთის განვითარების საქმეს. „თოზქოფარანს" კი იმ დროს მსოფლიო სახელის მქონე მწვრთნელი სჭირდებოდა. ინგლისელ მწვრთნელს არაფერი გაუვიდა „თოზქოფარანში". იქნებ მისი დიდების ამბავმა ძალიან გვიან ჩამოაღწია თურქეთში და ახლა ტომპსონი ის აღარ იყო, რაც მაშინ, როცა ეს სახელი გაუვარდა? ან იქნებ „თოზქოფარანს" არ გააჩნდათ ის ნედლი მასალა, ტომპსონი რომ იყო ნაჩვევი? ასეა თუ ისე, გუნდს ტომპსონი არ მოსწონდა და ტომპსონს კიდევ — გუნდი. „თოზქოფარანი" დღითი დღე უარესად თამაშობდა. როგორც წესი, ამაში მწვრთნელს სდებდნენ ბრალს. ასე რომ ტომპსონს უმუშევრობა ემუქრებოდა. და აი, ამ დროს გამოჩნდა საითი. საითის გაცნობამ მომავლის რწმენა ჩაუნერგა, ამიტომაც აღელვებული გზნებით შეუდგა საითის წვრთნას. ხოლო როცა საითი ჯერ ფრანგულად გამოელაპარაკა, ხოლო შემდეგ ინგლისურად, მწვრთნელი უსაზღვროდ მოიხიბლა. ტომპსონის სულში კვლავ გაღვივდა იმედის ნაპერწკალი, ფეხბურთის ახალ ვარსკვლავს აღმოაჩენო.

საითმა რეფიქსა და პროფესორს გაიცნო ტომპსონი. ამ სამმა კაცმა შეიმუშავა საითის გამოჯანსაღების მეცნიერულად დასაბუთებული გეგმა. საითი ბედნიერი იყო, მის ოცნებას ფრთები ესხმებოდა!

რას არ აკეთებდა საითი მწვრთნელის ბრძანებით — თოკზე ხტებოდა, ვარჯიშობდა, სიმძიმეებს სწევდა, დარბოდა. პირველ ხანებში ისე იღლებოდა, რომ განძრევის თავიც არა ჰქონდა. ზოგჯერ თავში გაუელვებდა, ყველაფერს მივატოვებო, მაგრამ უმალ სევდა გაახსენდებოდა და სულსწრაფობას კვლავ მტკიცე გადაწყვეტილება ცვლიდა: რადაც არ უნდა დამიჯდეს, ჩემსას უნდა მივაღწიო!

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ რეფიქი კვლავაც ჩააგონებდა საითს, უსათუოდ დიდი ფეხბურთელი [illegible] რომ თქვეს, თავად [illegible] სჯეროდა თავისი ნათქვამისა. მისთვის მთავარი იყო საითის განკურნება და თუ საამისოდ ფეხბურთის სიყვარულს დაიხმარებდა, განა ეს არ იყო ფსიქოთერაპიის ხელოვნება?

ერთი ჩვეულებრივი დღე იდგა. უკვე დამეგობრებული ტომპსონი და მისი მოწაფე სარიოღლუთა სასახლის ბაღში ვარჯიშობდნენ. ამ ბაღში კარგა ხანია კაციშვილს არ დაედგა ფეხი. ამიტომ იგი თითქმის გაუკაცრიელებული იყო, შამბი მორეოდა, განსაკუთრებით გალავნის გაყოლებით. საითი ჯერ სახლის ირგვლივ მდელოზე დარბოდა, მანძილს დღითი დღე ზრდიდა. მალე ეს მდელო ძალიან პატარა ეჩვენათ. ამიტომ მისტერ ტომპსონმა თქვა, გალავნის გაყოლებით უნდა ირბინოო. საითი ადგილს მოსწყდა, სისწრაფეს მოუმატა, თხუთმეტიოდე მეტრი გაირბინა და უცებ ისე გაქრა, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. მისტერ ტომპსონი მდელოზე დასეირნობდა და მშვიდად ელოდა საითის გამოჩენას. საითი რომ აღარ გამოჩნდა, მოუთმენლობა დაეტყო, ამ ხნის მანძილზე მთელ ბაღს ნელი ნაბიჯით მოივლიდაო კაცი. რამდენიმე ხანი საით, საით, იძახდა. მერე, ხმა რომ არავინ გასცა, საითის გზას დაადგა, მაგრამ ხშირმა ეკლიანმა გზა გადაუღობა, კიდევ ერთხელ დაიძახა, საით, და შინ შებრუნდა. სახლში მაღამ ანჟელა შეეგება.

— საით ბეი არ გინახავთ?

— განა საით ბეი თქვენთან არ არის? ამ ცოტა ხნის წინ დავინახე, ბაღში დარბოდა.

ფანჯარაში ბერინ ხანუმი გადმოდგა.

— რა მოხდა?

— ტომპსონ ეფენდი ამბობს, მგონი, საით ბეი დაიკარგაო.

მწვრთნელი ერთმანეთში ურევდა ინგლისურსა და თურქულ სიტყვებს და ძლივს გააგებინა დიდებს, საითი გალავნის გასწვრივ გარბოდა და უცებ გაქრაო. ბერინ დიდა ძალიან შეშფოთდა.

დაიწყო ძებნა. ჯერ სასახლის ყველა ოთახი მოიარეს, სხვენზეც ავიდნენ, სარდაფშიც ჩავიდნენ, მერე ბაღში გავიდნენ და მორთეს ყვირილი: „საით, საით!".

ხმას არავინ სცემდათ.

— იქნებ ლალავანს გადაალტა? — იკითხა მადამ ანჟელამ.

— რას ამბობთ, მადამ ანჟელა, განა შეიძლება ჩვენს გალავანს ადამიანის შვილი გადაახტეს? — თქვა ბერინ ხანუმმა და ისე დაიწყო ხელების მტვრევა და ტირილი, თითქოს საათის ცხედარი უკვე წინ ესვენა.

მადამ ანჟელა კვლავ სახლში დაეძებდა საათს, დეიდა ბერინი კი პირისახეს იხოკდა და ყვიროდა:

— ამ წყეულმა ქალმა წაართვა ჭკუაგონება, ვეღარ აიტანა ამდენი წამება და თავი მოიკლა. ოი, წყეულო ქალო, ალაჰმა გადაგიხადოს სამაგიერო. ოჰ, ის ახმედი, ოჰ, ის გიაური, ისა! ალაჰ, განა წესიერ ოჯახში აღზრდილი კაცი მთელ დღეს სირბილსა და ხტუნაობაში გაატარებს?

ოი, ოი...

ბერინ ხანუმი ტელეფონს ეცა, რომ სარიოღლუს საგვარეულოსთვის ემცნო ეს უბედურება. პირველად მოხუც აბდულშუქურ ბეის დაურეკა. აბდულშუქურ ბეიმ ის კი გაიგო, რომ საათი დაიკარგა, მაგრამ რომელი საათი, ამას ვერაფრით ვერ მიხვდა.

ბერინ ხანუმმა ყველა ნათესავს ჩამოურეკა. მათ უსაქმურობისა და მოწყენილობისაგან ლამის ობი მოეკიდებოდათ და საათის დაკარგვამ გამოაცოცხლათ. ყველანი უმალ შეიკრიბნენ სარიოღლუთა სასახლეში.

ჯვარედინი დაკითხვის დროს ვერც ბერინ ხანუმმა, ვერც მადამ ანჟელამ და ვერც მისტერ ტომპსონმა ვერ უპასუხეს, საათი გალავნის გასწვრივ რატომ დარბოდა.

— მისდევდა ვინმე? — იკითხა ერთმა.

— ალაჰ, ალაჰ, ამ ხნის კაცს რა არბენინებდა? — იძახდა მეორე.

— ჩვენი საათი ვარჯიშობდა. მას ტომპსონ ეფენდი წვრთნიდა, საათს უნდოდა ფეხბურთის თამაში ესწავლა, — თქვა ბერინ ხანუმმა.

ბერინ ხანუმს უყვარდა ამბის აუჩქარებლად და დაწვრილებით მოყოლა, ამიტომ ჩამოჯდა და ყველაფერი თავიდან დაიწყო, თან ისეთ ახალ ფაქტებს იგონებდა, რომელიც არც შეიძლებოდა მომხდარიყო.

— გამოდის, რომ საათი მოიტაცეს, — დაასკვნა ისმეთ ეფენდიმ.

— ვინ მოიტაცა, არ ვიცი, მაგრამ ბევრნი კი იყვნენ.

— საათს რატომ მოიტაცებდნენ, ქალი ხომ არ არის?

— კი, მაგრამ საათი ყველა ქალზე ლამაზია.

— ახლა კაცებსაც იტაცებენ, რომ მერე გამოსასყიდი ფული მიიღონ.

— არა, ეს ამბავი არაამქვეყნიური ძალების საქმეა, — განაცხადა დეიდა შუქრენ ხანუმმა, რომელსაც სპირიტიზმი იტაცებდა. — მე ხშირად შემიმჩნევია, რომ საათი საკუთარ თავს ელაპარაკებოდა, ესე იგი საათი არაამქვეყნიურ ძალებს ელაპარაკებოდა, იმათ წაიყვანეს საათი.

ბოლოს რომელიღაც საღად მოაზროვნემ წინადადება შემოიტანა, ეს ამბავი პოლიციას შევატყობინოთო. ატყდა ერთი კამათი. სარიოღლუთ არ უყვარდათ პოლიცია. პოლიციელებს ჟურნალისტები აედევნებოდნენ და იქნებოდა ამ დიდებული გვარის თრევა გაზეთების ფურცლებზე.

მაგრამ პოლიციაში მაინც დარეკეს. ოღონდაც პოლიციის სევიმმა მოასწრო. სახლის ზღურბლზე გადმოდგა თუ არა ფეხი, თმის გლეჯა და პირისახის ხოკვა დაიწყო, ისეთი ყვირილი ატეხა, მთელი უბანი შესძრა. სევიმი იმდენად ბუნებრივად გამოხატავდა მწუხარებას, სარიოღლუნი, რომლებსაც არასოდეს გულზე არ ეხატათ სევიმი, ახლა მის დამშვიდებას ცდილობდნენ.

— უჩემოდ რატომ წახვედი, მე რად დამტოვე! — ყვიროდა სევიმი.

ამ არაამქვეყნიური სიყვარულით შეძრწუნებული სარიოღლუთა მთელი საგვარეულო საპატარძლოსთან ერთად სტიროდა.

„აი, რას ნიშნავს სიყვარული! ზუსტად ისეა, როგორც ლეილი და მეჯნუნი, რომეო და ჯულიეტა!" — ჩურჩულებდნენ მოხუცები და ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ ნახევრადშიშველ სევიმს. საბრალო ქალს სიჩქარეში კაბის ჩაცმაც დავიწყნიათ!

სარიოღლუთა საგვარეულოს მამაკაცთა სამწუხაროდ, მადამ ანჟელამ აქვითინებულ საპატარძლოს თეთრი ზეწარი მიაფარა. სევიმის ქვითინში უკვე ისმოდა ქვრივი ქალის მოთქმა — მან მოასწრო და ზუბეიდა ხანუმს გადაუჩურჩულა, ხომ იცით, საათმა ფეხმძიმედ რომ დამტოვაო. ამ ამბავმა კიდევ უფრო მეტად შესაბრალისი გახადა იგი სარიოღლუთა თვალში.

— საბრალო გოგო, რა ახალგაზრდაა და უკვე დაქვრივდა, თანაც ბავშვს ელოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამო ხანს პოლიციის წარმომადგენლებიც გამოცხადდნენ. მოწმეთა დაკითხვის შემდეგ ყველანი შემთხვევის ადგილისაკენ გაეშურნენ. მისტერ ტომპსონი დამტვრეული თურქულით მოჰყვა, თუ როგორ დაიკარგა საითი.

— მე აქ დგას... საით მეი იქ გარბის... უცებ მე ხედავს... მაი დაიკარგა.

ცნობილი ზუსტად იმ ადგილას დადგა, საიდანაც საითი იდგა და სწორედ იქით გაიქცა, საითაც საითი. წუთი და ისიც მოულოდნელად გაქრა.

— ვაიმე! — შეშით აღმოხდა ყველას.

— მისტერ ტომპსონ! — დაიძახა პოლიციამ.

პასუხი არავის გაუცია.

პოლიციელმა იარაღის ბუდე გახსნა, რევოლვერი ამოიღო და გაბედული ნაბიჯებით მიჰყვა გაქრობილი ინგლისელის კვალს; ბუჩქნარს მიუახლოვდა, შედგა, მიმოიხედა, მერე გადადგა ერთი, ორი, სამი ნაბიჯი და . . . ისიც უმალ გაქრა.

იქ მყოფთ ერთხმად აღმოხდათ გაოცების შეძახილები და ბუჩქნარისაკენ გაეცქირდნენ. ვიწრო ბილიკი ერთი ძველთაძველი მილოვებული ჭისკენ მიიკლაკნებოდა. ეს ჭა გარეული ცხოველების ხაფანგს წარმოადგენდა. სწორედ ამ ხაფანგში ჩაცვივნულიყვნენ სამივენი: საითი, მისტერ ტომპსონი და პოლიციელი.

თვითონ ღმერთი ბერიანსაც კი დავიწყებოდა ამ ჭის არსებობა და საით როგორ ეცოდინებოდა ივა! ჭა კარგა ხნის წინათ ამომშრალიყო. ძირზე შამბი მოსდებოდა, ბუჩქებსა და ბალახებს კი ისე დაეფარათ ჭა, რომ თვალით უხილავი გაეხადათ.

ამ ექვსმეტრიან ჭაში ჩავარდნილმა საითმა თავი ქვას დაარტყა და უმალ გრძნობა დაკარგა. გონს მაშინ მოვიდა, როცა ტომპსონიც გადაიშვა ჭაში, და თვალის გახელისთანავე იყვირა: „არის, არის, გაიტანე", ხოლო როცა ჭაში პოლიციელიც ჩავარდა, საითს შუბლში მისი რევოლვერის ტარი მოხვდა.

ჭაში ჩავარდნილთა გადასარჩენად სასწრაფოდ უხმეს სახანძრო რაზმს. სახანძრომ არ დააყოვნა და ნაშუადღევს მობრძანდა. ორიოდე პროჟექტორებით გაანათეს და ჭაში კიბე ჩაუშვეს. ამ კიბეს ჯერ მისტერ ტომპსონი ამოჰყვა, შემდეგ პოლიციელი, გულწასული საითი მეხანძრეებმა ამოიყვანეს.

დიდიამ უმალ რეფიქს დაურეკა და სთხოვა, იქნება მოხვიდეთ, ამისა და ამის მერე საითი გულწასულია და ვერაფრით ვერ მოვაბრუნეთო...

საითი რომ გონს მოვიდა და გაკვირვებულმა თვალი გაუშტერა ყველას, ვერაფრით ვერ მიხვდა, რა ემართებოდა და რა მოხდა. რეფიქი რომ დაინახა, ჩვეულებისამებრ უთხრა:

— ტყუილუბრალოდ ცდილობ, ჰიპნოზით ვერ დამაძინებ.

ექიმმა ყურადღებით გასინჯა საითი და საგანგაშო ვერაფერი აღმოაჩინა. უფრო მეტიც, ზერინ ხანუმს ისიც კი უთხრა, ამ ამბავმა იქნებ სასწაულებრივი გავლენა მოახდინოს საითის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზეო.

მართლაც საითმა გონს მოსვლისთანავე შეამჩნია, რომ ახლა გაცილებით უკეთ ხედავდა და უკეთ ერკვეოდა ყველაფერში, რაც მის ირგვლივ ხდებოდა.

საითი დღითი დღე თავს უკეთ გრძნობდა. თუ ადრე ამერიკის გაგონებაც არ უნდოდა, ახლა ერთი სული ჰქონდა, როდის წავალთო. სევიმმა და ლეილამ რომ უთხრეს, ბოლოს და ბოლოს ქორწილიც ხომ უნდა გადავიხადოთო, საითმა ერთობ დიპლომატიურად უპასუხა, ყველაფერს მოვიფიქრებ და გეტყვითო. ყველაზე მეტად სევიმი ჩქარობდა, სადაცაა ბავშვი გაჩნდება და ქორწილის დაყოვნების დრო აღარ არისო. მართალია, საითმა სულაც არაფერი იცოდა იმაზე, რომ სევიმმა კარგა ხანია კიდევ ერთი პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ უკვე აღარ ეწადა ახლავე ბავშვის მამა გამხდარიყო. ახლა იგი დღედაღამ იმას ფიქრობდა, ფეხბურთელი უნდა გავხდეო, სხვა აღარაფერი აინტერესებდა. ერთ დროს ფეხბურთელობა აუხდენელ ოცნებად მიაჩნდა, მაგრამ ახლა, როცა რეფიქმა, პროფესორმა და მისტერ ტომპსონმა ჩააგონეს, ფეხბურთელი გახდებიო, ქორწილს სულაც არ ეშურებოდა. ტომპსონს ზოგჯერ „თიზყოფარანის" ვარჯიშზეც კი მიჰყავდა ხოლმე. რამდენჯერმე მეორე შემადგენლობაშიც გამოიყვანა. მართალია, ეს ძვლებზე ტყავგადაკრული კაცი უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენდა ფეხბურთელებზე, მაგრამ ხმას არავინ იღებდა. ყველამ იცოდა, თუ როგორ ელოლიავებოდა საითს დუნდარ-დუმბარა ბეი. დუნდარდუმბარას კიდევ ბევრი ჰქონდა, იქნებ რამე დაგვიცანცლოთო. ამიტომ ფეხბურთელები ისე ექცეოდნენ, როგორც თანატოლს.

საითი ფერფერაკების ოჯახში თითქმის

აღარ დადიოდა. ვარჯიშის თუ ექიმების წყალობით წუთი აღარ ჰქონდა მოცლა. დეიდა ბერინი სიხარულით ცას სწვდებოდა. მისი საითი ლამაზი და მშვენიერდებოდა — ლოყები ამოევსო, წონაში მოიმატა, მოქნილი გახდა.

სევიმი თითქმის ყოველდღე რეკავდა მასთან, მაგრამ პასუხად მუდამ ერთი და იგივე ესმოდა:

— საით ბეი ვარჯიშშია...

— საით ბეი მწვრთნელთან წავიდა...

— საითი დღეს თამაშობს...

— ტომპსონ ეფენდის [illegible] ყავ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აისელი და ამერიკაში გამგზავრება

საითი დიდ გასაჭირში იყო, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ფერფერიკები და ახმედ კედელა ჩაიჩიჩინებდნენ, ქორწილი გადაეხადოთო, რეფიქი და პროფესორი კი ამერიკაში გამგზავრებას სთხოვდნენ დაჟინებით. მართალია, სევიმისა და საითის გაცნობის დღიდან წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ სევიმი კვლავ არწმუნებდა, ფეხმძიმედ ვარო. უკვე დრო იყო საითს ძალა მოეკრიბა და სევიმს რიგიანად მოლაპარაკებოდა, მაგრამ იგი დარბაისელი გვარის ადათებზე აღზრდილი კაცი იყო და არ შეეძლო სევიმისთვის ეთქვა: „განა არ ვიცი, რომ ბავშვი შენში არ არის!“ — ან კიდევ: — „მოწაფეებმაც კი იციან, რომ ერთი კოცნით ბავშვი არ ჩნდება“.

საითს არაფერი უთქვამს, მაგრამ სევიმი ისედაც კარგად ხვდებოდა ყველაფერს. ამიტომ ისე იქცეოდა, როგორც მამაკაცისგან მოტყუებული ქალები იქცევიან ხოლმე. ქვითინებდა, გული მისდიოდა, თმას იგლეჯდა, რას არ აკეთებდა, ოღონდ საითს შებრალებოდა. დაბნეულმა საითმაც ვეღარ აიტანა ამდენი, ერთხელ მუხლებში ჩაუვარდა და აღუთქვა:

— ჩემო ძვირფასო, ჩვენ მხოლოდ მაშინ დავქორწინდებით, როცა მე მთლიანად დაგიპყრობთ თქვენ, სათანადო ადგილს დავიჭერ თქვენს გულში.

სევიმმა ქვითინი შეწყვიტა, დამშვიდდა და დაფიქრებით შეხედა საითს. საითი კი ჯერაც ვერ გარკვეულიყო იმაში, რაც თქვა — ნუთუ ასე გამოვიცვალე, ერთი კვირის წინ ასეთ რამეს ხომ ვერაფრით ვერ შევბედავდიო.

სევიმმა თავზე ხელი გადაუსვა და მშვიდად ჰკითხა:

— ამერიკაში მიდიხარ?

ვინ უთხრა სევიმს, რომ საითი ამერიკაში აპირებს გამგზავრებას? ამაზე ხომ მხოლოდ საითმა, რეფიქმა და პროფესორმა იცოდნენ. საითი ისე გაწითლდა, როგორც ცელქობაზე წასწრებული ბავშვი.

— ვინ გითხრა?

— მაშ, მიდიხარ?

სევიმმა კაბა აიწია, ცრემლები მოიწმინდა და... საითის თვალწინ ყველაფერი ერთბაშად აირია.

— ექიმები დაბეჯითებით მთხოვენ, რომ წავიდე.

— ერთხელ მაინც გეთქვა, საით, სხვებმა რატომ უნდა მითხრან ჩემი საქმროს ამბები, მაშ უჩემოდ მიდიხარ? — რა საშინელი ხმა ჰქონდა სევიმს.

საითი ხმას არ იღებდა.

— არა, შენ ამერიკაში არ წახვალ, — ბრძანა სევიმმა, — უჩემოდ ამერიკაში ვერ წახვალ. მალე „ოოხტოლდერანი“ რუმინეთში თამაშობს. ამ დროისათვის ჩვენც დავქორწინდებით და ერთად წავალთ. იქიდან შვეიცარიაში გადავალთ, შვეიცარიიდან კი — იტალიაში. ეს ჩვენი საქორწინო მოგზაურობა იქნება. ხომ თანახმა ხარ? — თქვა სევიმმა და იმით განაიარაღა საითი, რომ ლოყაზე აკოცა.

საითმა თავი ჩაქინდრა, სევიმმა კი მისი დუმილი თანხმობის ნიშნად ჩათვალა, სიხარულით წამოხტა, მუსიკა ჩართო და ოთახში დაუარა.

საითი შესცქეროდა სევიმს და, ვგონებ, პირველად თავის ცხოვრებაში მოინდომა გაეგო, თუ რა ადამიანი იდგა მის წინ, ან როგორ შეუძლია ადამიანს კიდეც იტიროს და კიდეც იცინოს, კიდეც დატუქსოს და კიდეც მოუალერსოს. ნუთუ ამგვარ რამეებს სკოლაში ასწავლიან ადამიანებს? საითი უკვე დარწმუნდა, სევიმი რომ თვალთმაქცი იყო, მაგრამ ისიც იცოდა, სევიმის ერთი გამოხედვა, მისი ერთი კოცნა ყველაფერს დაავიწყებდა და თუ სევიმი მოსთხოვდა, წყალშიაც გადავარდებოდა.

საითი რეფიქთან წავიდა და ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

— შენ თვითონ უნდა გადაწყვიტო, წახვალ თუ არა, — რეფიქი გადაჭრით არიზონდეს ელაპარაკებოდა საითს. — მხოლოდ ერთი რამ არ დაივიწყო — სევდამ რომ ახმედის ან სხვისი თანდასწრებით აეწია კაბა და ასე მოეწმინდა ცრემლები, მათ ისიც ეცოდინებოდათ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. შენ კი მზადა ხარ ამის გამო წყალში გადავარდე.

საითმა ისე აახამხამა თვალები, თითქოს ცრემლები ახრჩობდა.

— აი, ამიტომაც გირჩევ ამერიკაში წასვლას, — განაგრძო რეფიქმა, — იქ მეგობრები მყავს, ჩინებული სპეციალისტები არიან. თუმცა შენი საქმისა შენ უკეთ იცი.

საითმა გადაწყვეტით თქვა:

— წავალ! — და თვითონვე შეუცნაურა თავისი ხმა.

რამდენიმე დღის შემდეგ საითი გულამოვარდნილი მოვარდა რეფიქთან და ზღურბლიდან დაუყვირა:

— ვხედავ, რეფიქ, ყველაფერს ვხედავ!

რეფიქი ღიმილით შესცქეროდა აფორიაქებულ მეგობარს. საითმა უამბო: საწვრთნელი თამაშის დროს მოწინააღმდეგის კართან ერთი ზედახორა შეიქნა და ამ არეულობაში სათვალე დავკარგე. შეშინებულმა იმწამსვე თვალები მოვხუჭე, ხოლო როცა კვლავ გავახილე, დავრწმუნდი, რომ ჩინებულად ვხედავო.

— ეს ხომ სასწაულია, ნამდვილი სასწაული! — ყვიროდა იგი, — სასწაული მეწია.

— სასწაული ადრე გეწია, — ღინჯად უპასუხა რეფიქმა, — სწორედ მაშინ, როცა ჭაში ჩავარდი.

— და დღეიდან სათვალე აღარ დამჭირდება?

— მხოლოდ და მხოლოდ ზაფხულში, მზის საწინააღმდეგოდ.

ახლა საითი მთელი გატაცებით ვარჯიშობდა და ფერფერიკებს სულაც აღარ ეკარებოდა. სევიმი წარამარა რეკავდა, მაგრამ საითი წვრთნაზეა წასული, პასუხობდნენ. ერთხელ თავად მიადგა სარიოლლუთა კარს, მაგრამ მადამ ანჟელამ კარი გამოაღო თუ არა, იქვე მიახალა, ახალგაზრდა ბატონი სტადიონზეაო.

„მაჯერობაბასთან" შეხვედრის დღე ახლოვდებოდა, მაგრამ „თოზკოფარანის" წამყვანი ფეხბურთელები ან სულაც არ ცხადდებოდნენ სავარჯიშოდ, ან არადა უგერგილოდ თამაშობდნენ. ვისაც არ შეჩივლა საბრალო ტომპსონმა, გუნდი ძალიან ცუდ დღეშია და დროზე საჭიროა მიხედვაო, ყველა ერთსა და იმავეს პასუხობდა: „ვიდრე ახმედ კეღელა გუნდშია, დარდი არაფრის არ უნდა გქონდეთ".

— კარგი ვარჯიში არ იქნება, რომელი გუნდი მოიგოთ? — გაკვირვებით კითხულობდა გამოცდილი მწვრთნელი.

— ყველაფერი რიგზე იქნება, — ეუბნებოდნენ ტომპსონს და „თოზკოფარანის" ბრწყინვალე გამარჯვებებს იხსენებდნენ.

— ყოველ ერს თავისი ხასიათი აქვს, — ჩასჩიჩინებდნენ საყოველთაოდ ცნობილ მწვრთნელს, — შენ უცხოელი, თუნდაც ინგლისელი, ჩვენ, თურქებს ვერ გაგვიგებ. ჩვენში ამბობენ: თუ მდინარესთან ჯერაც არ მისულხარ, წყალში გასახდელად რად ემზადებიო.

— როგორ თამაშებს, როგორ თამაშებს, ვერაფერი გავიგე, — მაინც თავისას გაიძახოდა უკმაყოფილო ტომპსონი.

— დაუჯერებელი რა არის. ალაჰია ჩვენი შემწე, აი, ნახეთ, როგორ გავიტანთ ბურთებს.

— მაშინ მე რაღად ვიღებ ფულს?

— ოჰ, — გული მოუვიდა ფუნდარ-დუბარა ბეის, — შენ კაცს გადარევ და ეგ არის, თურქული არ გესმის?

— მესმის, მაგრამ ცუდად.

საყოველთაოდ ცნობილ ტომპსონს იმიტომ კი არ უხდიდნენ ფულს, რომ გუნდი ხეირიანად გაეწვრთნა, არამედ იმიტომ, რომ ასეთი კარგი მწვრთნელის სახელს მოწინააღმდეგის გუნდზე ზეგავლენა მოეხდინა, — თქვენ ჩვენთან როგორ მიხვალთ, მწვრთნელები უცხოეთიდან მოგვყავსო.

ამგვარი საუბრების შემდეგ ინგლისელმა ყველაფერზე ხელი ჩაიქნია და მხოლოდ საითს ავარჯიშებდა გატაცებით, რადგან მასზე დიდ იმედს ამყარებდა. ძალიან უხაროდა, რომ ახლა საითი უსათვალოდ თამაშობდა, კუნთებიც გაუმაგრდა, მაგრამ ყველაზე უფრო საითის თადარიგიანობა მოსწონდა — საითი მტკიცედ იცავდა რეჟიმს, ამიტომ მოწაფეს ისე ამუშავებდა, როგორც მოქანდაკე ქვას.

დადგა შეხვედრის დღეც. ეროლ იქბარან ბეიმ, რომელიც ბოლო ხანს ერთი წუთითაც არ სცილდებოდა საითს, თამაშზე ერთად წავიდეთო, შესთავაზა. ეროლს ძალიან უნდოდა საითისათვის ერთი ახალგაზრდა ქალი, ასული გაეცნო. ასულს ურწყვი შავი თმა, შავგვრემანი პირისკანი

და მაყვალივით შავი თვალები ჰქონდა. ამიტომაც შეარქვეს ესპანელი აისელი. იგი „ჰაჯეთბაბას“ კლუბის ერთგული თაყვანისმცემელი იყო.

ამ ბოლო ხანს ეროლ იფქირან ბეიც კი „ჰაჯეთბაბას“ ქომაგობდა, რადგან დუნდარ-დებარა ბეისა და მას წყალი აემღვრათ. თუმცა ეს ხელს არ უშლიდა უწინდებურად მიუდგომელი კომენტატორი ყოფილიყო.

სევიმი და აისელი ორი ერთმანეთის მოქიშპე ფირმასავით მტრობდნენ ერთიმეორეს. მართალია, სევიმი აისელს იმით სჯობნიდა, რომ უფრო მეტი ფათერაკი გარდახდენოდა თავს, მაგრამ აისელს სხვა დიდი უპირატესობა ჰქონდა. იგი ახლახან გათხოვდა ერთ ხნიერ კაცზე, ვისაც უზომოდ უხაროდა, აისელი რომ ხალხში — „ჩემო ძვირფასო ქმაროო“, დაუძახებდა ხოლმე.

ყოველი მკვლევარი ესწრაფვის თავისი ნაშრომით რაღაც ახალი აღმოუჩინოს კაცობრიობას. აისელიც მკვლევარის ბუნებისა იყო — მან ფეხბურთის ბევრი ახალი ნიჭი გამოავლინა, ბევრი ახალი ვარსკვლავი აღმოაჩინა. ნუ დავიწყებთ იმის მარჩიელობას, თუ რატომ აკეთებდა ამას აისელი. ასე იყო თუ ისე, იგი ძალიან განსხვავდებოდა სევიმისაგან. სევიმს მხოლოდ ის შეეძლო, კუდში ასდევნებოდა ვარსკვლავებს.

თუ აისელი რომელიმე ყმაწვილ ფეხბურთელს ჩაისვამდა მანქანაში, ყველამ იცოდა, რომ ორიოდე წელიწადში ეს ყმაწვილი ფეხბურთის ვარსკვლავი გახდებოდა. ფეხბურთის ვერც ერთი დიდი მცოდნე ვერ შეაფასებდა ისე ზუსტად და შეუმცდარად დამწყებ ფეხბურთელს, როგორც აისელი. ამიტომ ყოველი გუნდი ცდილობდა ხელში ჩაეგდო ის დამწყები ფეხბურთელი, რომელსაც აისელმა დაადგა თვალი. აისელი კი მთელი თურქეთის მოზარდებში ისე დაეძებდა ფეხბურთელებს, როგორც პროდუსერი კინოვარსკვლავებს.

სწორედ მან, აისელმა აღმოაჩინა და ასპარეზზე გამოიყვანა „ჰაჯეთბაბას“ ცნობილი მოთამაშენი კაზიკ ოთზერი, დირექ ალი, ბიბერ ოსმანი თუ სხვანი. აისელზე ზუსტად ვერავინ შეაფასებდა, რამდენი ღირდა ესა თუ ის ფეხბურთელი, იგი განსაკუთრებით საჭირო იყო მაშინ, როცა მოთამაშე გუნდიდან გუნდში გადადიოდა. საკმარისი იყო აისელს ვინმეზე დასცდენოდა, მაგის ფასი გაბერტყილი შაურიაო, და იმ ფეხბურთელს აღარავინ იყიდდა.

აისელი ჯერ კიდევ იმ დღიდან ადევნებდა თვალს საითს, როცა იგი სევიმმა ამოიღო მიზანში. მან კარგად იცოდა, სევიმი საითზე გათხოვებას რომ აპირებდა. ამიტომაც სთხოვა იფქირანს, საითი გააცნონიო — უნდოდა ეს ქორწინება ჩაეშალა და თავისი მოქიშპე სევიმისათვის [illegible] მიეწვა. აისელი ჯერაც არ იყო დარწმუნებული, რომ საითი პირველხარისხოვანი ფეხბურთელი დადგებოდა, მაგრამ გარკვეული სიფრთხილითა და გადაკვრით ის კი თქვა, იმედებს იძლევაო. აისელისთვის მთავარი იყო შეესრულებინა „ჰაჯეთბაბას“ კლუბის ხელმძღვანელობის დავალება და ინგლისელი მწვრთნელი რამენაირად ამ კლუბში გადმოებირებინა.

ეროლ იფქირან ბეიმ ჯერ კიდევ მანქანაში დაიწყო იმის მოყოლა, თუ ვინ იყო აისელი.

— ოჰ, ძმაო, რომ იცოდე, რა ქალია! მერედა რა შორსმჭვრეტელია. საკმარისია ერთხელ შეავლოს თვალი ახალდაბადებულს, რომ იქვე თქვას, თუ რამდენ ბურთს გაიტანს იგი. ყველა ცნობილმა ფეხბურთელმა მაგის ხელში გაიარა, ყველაზე ნაცადი მწვრთნელიც კი არაფერია მაგასთან შედარებით. თუ ალაჰმა კეთილი თვალით გადმოგხედა და სტადიონზე მოვიდა, უთუოდ გაგაცნობ.

აისელი დღეს გულშემატკივრებთან ერთად კი არ იჯდა ტრიბუნაზე, არამედ საპატიო სტუმართა ლოჟაში ბრძანდებოდა, იფქირანი რომ დაინახა, ხელი დაუქნია. იფქირანმა საითი მიიყვანა და გააცნო.

— ნება მომეცი ერთმანეთი გაგაცნოთ, — საით სარიოღლუ... აისელ ხანუმი.

აისელმა საითს მის გვერდით თავისუფალ სკამზე მიუთითა.

— რამდენჯერმე საწვრთნელ თამაშზე გნახეთ, — თქვა აისელმა, — საკმაოდ კარგად ურტყამთ ბურთს.

საითი გაწითლდა.

თამაში ჯერაც არ დაწყებულიყო და სტადიონი ფუტკრის სკასავით ზუზუნებდა. უამინდობის გამო ვერ ჩამოფრინდა ამ თამაშზე მოწვეული უცხოელი მსაჯი, ამიტომ ძლივს დაიყოლიეს თურქი მსაჯი, ისიც საერთაშორისო კატეგორიისა. სტამბოლი მკვდარ ქალაქს დამსგავსებოდა, რადგან ყველა — დიდი თუ პატარა — სტადიონზე მოსულიყო. საითი კი პირველად ესწრებოდა ამგვარ მატჩს.

აზმელმა თამაშის დაწყებისთანავე ფეხი დაუდო ოსმანს და ოსმანმაც კარგა ათ მეტრზე იგორავა.

— ძმობილო, ამას ყურადღებას ნუ მიაქცევ, — ხმადაბლა ჩაულაპარაკა საითს ყველაზე მიუდგომელმა კომენტატორმა ეროლ იოქრან ბეიმ, — ამ თამაშის ბედი უკვე გადაწყვეტილია.

— ეს როგორ?

— როგორ და ძალიან უბრალოდ, ძმაო. ერთმა სარწმუნო წყაროებიდან მაცნობეს, რომ დღეს „თოხკოფარანი" უნდა გაბითურდეს, გაბითურდეს სწორედ ახმედის გამო. ასე მოისურვა ამ არამზადა დუნდარ-დუბარა ბეიმ. — კომენტატორი მიხვდა, რომ საითმა მაინც ვერაფერი გაიგო, და განაგრძო: — ფული, ჩემო მეგობარო, ფული! ფული ბევრ საქმეს აკეთებს. დარწმუნებული ვარ, ახმედს ქრთამი მისცეს. — ეროლ ბეი საითისაკენ გადაიხარა და ჩასჩურჩულა, — ჩვენში დარჩეს და ერთი საიდუმლოც გაგანდოთ: „ბაჯეთბაბას" თავდამსხმელებს დოპინგი გაუკეთეს, თანაც ცხენის დოზა. ეგ დოზა კი ისეთია, რომ ბებრუხანაც ისე ითამაშებს, ზამორა და იაშინიც კი ვერ იხსნის კარს..., გაიგე?

— როგორც ჩანს, თამაში საინტერესო უნდა იყოს, — ახლა ასხელი გადმოიხარა საითისაკენ. — თქვენ ცხადია, „თოხკოფარანს" ქომაგობთ, არა?

— დაე, მოიგოს იმან, ვინც უფრო ძლიერია, — დიპლომატიურად მიუგო საითმა, რადგან იცოდა, რომ მისი მომხიბვლელი თანამოსაუბრე „ბაჯეთბაბას" მხარეზე იყო.

პირველ ტაიმში ბურთი არც ერთ გუნდს არ გაუტანია. მაშასადამე, ბრძოლა კიდევ წინ იყო. შესვენებისას იოქრანი პრესის წარმომადგენლებისათვის განკუთვნილი ლოჟისაკენ გაეშურა.

— გავიგე, ამერიკაში წასვლას აპირებთ, — თქვა ასხელმა.

— დიახ, ვაპირებ, მაგრამ ჯერაც არ ვიცი როდის, — მიუგო საითმა, თან გულში გაიფიქრა, ნეტა საიდან იცის ეს ამბავიო.

— განა სტამბოლში ვინმე გაკავებთ?

საითმა პასუხი არ გასცა.

— მე რომ თქვენს ადგილას ვიყო... მე ვნახე თქვენი ვარჯიში და შემიძლია ვთქვა, რომ ნიჭი გაქვთ. უნდა წახვიდეთ ამერიკაში.

ასხელი ძალდაუტანებლად ლაპარაკობდა, ენამოსწრებულად ხუმრობდა და საითი მის გვერდით კარგად გრძნობდა თავს.

მეორე ტაიმის დასაწყისში გულშემატკივართა მღელვარებამ უკიდურესად იმატა. მსაჯმა იგრძნო მოსალოდნელი კატასტროფა და ბრძანა, სათადარიგო გასასვლელი ღია იყოს, ვაითუ მაყურებლები მოედანზე გადმოცვივდნენო. წვიმა დაიწყო. ფეხბურთელები ტალახში დარბოდნენ და თითონაც გატალახიანდნენ. ბურთისთვის არავინ აქცევდა ყურადღებას, რადგან ერთმანეთს დასდევდნენ; მაგრამ თუ ბურთი რომელიმე ფეხბურთელთან აღმოჩნდებოდა, უსათუოდ [illegible] დაარტყამდნენ და [illegible] მირბოდნენ. მეთხუთმეტე წუთზე ბურთი ტრიბუნებზე გადავარდა, მაგრამ ეს არავის შეუმჩნევია. და უცებ, თითქოს ქვეყნიერებას რაღაც უბედურება დაატყდაო თავს, შემაძრწუნებელი ღრიალი: „გოოოოოლ!!" გადაუარა სტადიონს. მსაჯმა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, სასტვენს ჩაბერა.

სინამდვილეში კი აი, რა მოხდა: „ბაჯეთბაბას" ერთ-ერთ თავდამსხმელს დაეზარა მიერბინა ბურთთან, რომელიც მისგან ხუთ, ათ ნაბიჯზე მიგორავდა. ამიტომ ტალახის გუნდას გაჰკრა ფეხი. გუნდა კი „თოხკოფარანის" კარში შეგორდა.

„თოხკოფარანელები" მსაჯს მიეჭრნენ, ჩვენს კარში ბურთი არა და არ გასულა, მოდით და ნახეთ. კარი ცარიელიაო. ხანგრძლივი და მომქანცველი კამათისა და მექარის შემდეგ გოლი აღარ ჩათვალეს. თამაში განახლდა.

— ვაჰ! — უცებ იყვირა ასხელმა, — ვიღაცას სცემენ.

— ვისა?

— ვერ გავარჩიე, ალბათ რომელიმე ჩვენიანი ჩავარდა „თოხკოფარანელთა" ხელში.

მოედანზე პოლიციელები გამოცვივდნენ, ფეხბურთელი კი საკაცით გაიყვანეს. თურმე „თოხკოფარანის" ბიჭები თავიანთსავე დამცველს შესდგნენ ფეხებით. კაცმა ვერ გაიგო, რატომ ურტყეს — ვერ იცნეს თუ თავი მობეზრდათ. მიდიოდნენ, ამ მკაცრი ბრძოლის ველს, ახალ-ახალი მსხვერპლი ტოვებდა. ბოლოს ორივე გუნდში ჩვიდმეტი მოთამაშეღა დარჩა.

— ალბათ ამ მშრალი ანგარიშით დამთავრდება თამაში, — თქვა საითმა და ასხელს ხელზე მოუჭირა ხელი, თუმცაღა თავისი გამბედაობისა თვითონვე გაუკვირდა.

— არა, ჩვენები მოიგებენ, — თქვა ასხელმა და თვითონაც მოუჭირა ხელი საითს.

— „თოხკოფარანის" დაცვას ვერც იოლად ვერ გაარღვევს.

— დაცვა აქ არაფერ შუაშია, ჩემო ძვირფასო, — თქვა ასხელმა, — შეხედეთ, რა გააკეთეს თქვენმა თოხკოფარანელებმა — კარი ღია დატოვეს.

— თქვენი აზრით, როგორ მოიგებთ?

— „თოხკოფარანის“ დახმარებით.

აისელმა ვერც კი მოასწრო წინადადების დამთავრება, სტადიონზე თითქოს დაიქუხაო, ერთხმად იყვირეს: „არიიის!“

— აი, ხომ გეუბნებოდით, ახმედმა თავის კარში გაიტანა ბურთი.

მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთი რჩებოდა, რომ მსაჯმა დამთავრების ნიშანი მისცა, რადგან იფიქრა, არ ღირს თავის გამეტებაო, და სათადარიგო გასასვლელისაკენ გავარდა. ჩვენს გულშემატკივრებს კი ავრე იოლად ვერ გააცურებს კაცი! მათ გზა მოუჭრეს მსაჯს, მსაჯმაც უმალ იცვალა მიმართულება, ორჯერ შემოურბინა სტადიონს, მერე უცებ ღია კარებში გავარდა და ქუჩაში აღმოჩნდა. როგორც იქნაო — თავისუფლად ამოისუნთქა, მაგრამ მისი სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. გააფთრებული გულშემატკივარნი აგერ-აგერ წამოეწეოდნენ: მსაჯი გარბოდა და ფიქრობდა: „ოჰ, ერთი თავისუფლების ობელისკამდე მიეირბენდე და მერე არარაფერი მიჭირს“. თაქსიმის მოედანზე შევარდა, სამჯერ შემოურბინა თავისუფლების ობელისკს და თავის მდევართ კუდში მოექცა. „დაიჭით ეგ უგვანო, ეგა“! ყველაზე ხმამაღლი იყვირა მსაჯმა და ამით გადაირჩინა თავი. ბრბო ცოტა ხანს კიდევ დარბოდა, მაგრამ ჩამორჩენილნი და თანაც დაღლილნი მალე მიმოიფანტნენ.

მატჩის შემდეგ აისელმა საითი შინ მიიწვია, თითო ფინჯანი ჩაი დავლიოთო. ეს მიწვევა იმდენად მრავლისმეტყველი იყო, რომ საითმა უარის თქმა ვეღარ გაბედა.

ამ ქალის სიახლოვეს საითს საოცარი სიმშვიდე დაეუფლა. ასე ეგონა, ამ ქალს უხსოვარი დროიდან ვიცნობო. მხოლოდ რეფილთან თუ გრძნობდა თავს ასე თავისუფლად. მის ცხოვრებაში პირველად ხდებოდა ისეთი რამ — ქალი არ დასცინოდა და თანასწორად მიიჩნდა იგი.

საითმა ჩინებულად გაატარა ის ღამე აისელთან, პირველი ბედნიერი ღამე თავის სიცოცხლეში.

რომ გაიღვიძა, შუადღე გადასული იყო.

— აისელ, ძვირფასო, ერთი ჭიქა წყალი მომიტანე! — დაიძახა საითმა და თვითონვე შეეშინდა. იგი ხომ მადამ ანჟელასაც არ დაასაქმებდა ასე უბრალოდ. „ამ ერთ ღამეში ასეთი რა გამიკეთო?“ აისელი ღიმილით ჩამოჯდა საწოლზე და წყალი გაუწოდა.

ნასაუზმევს საითი მიხვდა, რომ მის არსებაში რაღაც საოცარი ცვლილება მოხდა: ნუთუ მისი მორიდებულობა ასე უკვალოდ გაქრა? რადგან ამაყი და დამოუკიდებელი კაცის იერით მიაბიჯებდა ქუჩაში! და როგორც ეს არაერთხელ მომხდარა, ძალიან მოუნდა ყველაფერი რედფილსათვის ეამბნა. ტაქსი დაიქირავა, [illegible] შევარდა და ოთახის ზღურბლიდანვე [illegible]:

— არის! ასწრაფული მოხდა!

რეფიქს არაფერი უკითხავს, ისედაც მიხვდა ყველაფერს და საითზე ნაკლებ როდი გაიხარა.

დილის გაზეთები მხოლოდ გუშინდელ თამაშზე წერდნენ. „თოხკოფარანს“ მწარედ და სამართლიანად აქაქებდნენ: „თოხკოფარანის“ ფეხბურთელები თავიანთ კართან ისე ცეკვავდნენ, თითქოს „პაჯეთბაბას“ ბიჭებს ეხვეწებოდნენ, მოდით, ბურთი გაიტანეთო. „პაჯეთბაბა“ კი ამაზე ასე პასუხობდა: „თუ ასე გულით გინდათ ბურთების გატანა, თვითონვე გაიტანეთ, ჩვენ თავი დაგვანებეთო“.

ასე იყო თუ ისე, მთავარი გახლდათ ჩემპიონის არამარტო დამარცხების მიზეზების პოვნა, არამედ დამნაშავის მონახვაც. ამჯერად მიზეზად არ გამოდგებოდა იმის თქმა, მზე თვალებში გვაჭყიტებდა ან კიდევ ქარმა ხელი არ შეგვიწყოო. ამიტომაც ბრალი ინგლისელ მისტერ ტომპსონს დასდეს. ამან კი ძალზე გაახარა „თოხკოფარანი“.

საბრალო ტომპსონს ორი გზაღა დარჩენოდა: ან უნდა აეკრა გუდა-ნაბადი და თურქეთიდან წასულიყო, ამის სურვილი კი ტომპსონს არ ჰქონდა, ან კიდევ „პაჯეთბაბას“ მწვრთნელი გამხდარიყო.

ხალხს ვერაფერს დაუმალავს ადამიანი, ხალხი მალე აჩურჩულდა აისელისა და საითის ურთიერთობაზე. ეს ამბავი სევიმის ყურსაც მისწვდა. სევიმი კი, როგორც ყველამ ვიცით, გაბედული ქალი იყო და არავის დაუთმობდა იმას, რაც კანონიერად ეკუთვნოდა. ჰოდა, როცა საითი აისელის მანქანაში საკუთარი თვალით დაინახა, ლამის გული არ გაუსკდა. დღისით, მზისით, თვალსა და ხელს შუა საქმროს ხელიდან აცლიდნენ!

სევიმი თავის ოთახში ჩაიკეტა, მისი ქვითინი მთელ უბანს ესმოდა. ფერფერიკებმა სასწრაფოდ ახმედი დაიბარეს.

— აბა, კარი გააღე! — მტკიცედ დაუძახა ახმედმა.

სევიმმა იცოდა, თუ კარს არ გააღებდა, ახმედი მარცხენა ფეხის ერთი დაკვრით შემოამტვრევდა, ამიტომაც დანებდა. ამის შემდეგ ახმედმა და სამივე ფერფერიკამ

ერთობლივად განიხილეს შექმნილი მდგომარეობა.

ჰასიფ ბეიმ თქვა:

— რასაკვირველია, ყველაფერი შენი ბრალია, მეჰჯურე! განა ტყუილად ამბობენ, პური მანამ უნდა ჩააკრა, ვიდრე თონე ცხელიაო. განა ასე არ არის, ახმედ? შენ კი შენსას არ იშლიდი. ხან უნიტაზი არ მოგწონდა, ხანაც ბროლის ჭურჭელი. ახლა რაღას იტყვი...

ცრემლმორეულმა სევიმმა თქვა:

— დედამისიც კი ამას ამბობს, ამდენმა ვარჯიშმა, წამლებმა და ვიტამინებმა ჭკუა დაგვაკარგვინაო. შენი ბრალია, ახმედ, შენ გაიცანი ის ინგლისელი.

ახმედი არ იყო დაჩვეული თავი დამნაშავედ მიეჩნია და ამიტომაც თქვა:

— შენ რა, იმ ბოშა ინგლისელზე ხომ არ ეჭვიანობ?

— იმ ჯოჯოხეთის მაშხალაზე როგორ ვიეჭვიანებ!.. მაგრამ ეს რომ ქორწინების მერე მომხდარიყო, კრინტსაც არ დავძრავდი. დახე, რა მარჯვე ბიჭი ყოფილა! იყო ბრმა იყო? თვალის სინათლე მაინც რომ დაუბრუნა?

ჰასიფ ბეიმ კვლავ თქვა:

— ვაჭრობას ხელშეუხებელი, წმინდათაწმინდა კანონი აქვს. გაყიდული საქონლის დაბრუნება ან გაცვლა აკრძალულია, რახან დაინიშნენით, ვალდებულია, ცოლად შეირთოს.

— მე საქონელი არა ვარ, — შეჰკივლა სევიმმა.

— საქონელი ხარ, საქონელი! — დაამშვიდა ახმედმა სევიმი და სწორედ იმ ადგილას შემოკრა ხელი, სადაც ჯერ არს შემოკრო.

— ეგ საქმე მე მომანდეთ, მე ყველაფერს მოვაგვარებ, — თქვა ჰასიფ ბეიმ.

— შენ სულ გაიძახი, მე მომანდეთ, ყველაფერს მოვაგვარებო. რას იზამ?

— სასამართლოში მივცემ, იხადოს ფულები!

— რაც არ გეკითხებათ, ნუ ერევით, თქვენთვის დაეტიეთ, — მტკიცედ მოითხოვა სევიმმა, — ჩემს საქმეს მე მოვუვლი.

ამის შემდეგ სევიმი ერთხანს შორიდან შესცქეროდა თავისი საქმროსა და აისელის სამიჯნურო ოინებს. თავის მომხიბვლელობაში იმდენად იყო დარწმუნებული, რომ ფიქრობდა: სათი მე ზურგს ვერ შემაქცევსო. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტა, ბოლოს და ბოლოს უნდა გაარკვეს ჩვენი ურთიერთობაო, და სათის სახლისაკენ გაეშურა.

ბერინ ხანუმი ალერსით მიეგება და სასტუმრო ოთახში შეიყვანა.

— როგორა ხართ, ჩემო გოგონავ? — ჰკითხა მან.

— მადლობელი ვარ, ხანუმ ეფენდი, თქვენ როგორ ბრძანდებით? — [illegible] არაფერი გაწუხებთ.

— მადლობა ალაჰს, ჩვენთან ყველაფერი რიგზეა. თქვენი ღრმად პატივცემული დედიკო როგორ არის?

— გმადლობთ, ხანუმ ეფენდი, პატივისცემით მოგიკითხავთ.

— მადლობელი ვარ, შვილო, ჩემგანაც ისეთივე პატივისცემით მოიკითხე. თქვენი პატივცემული მამიკო რასა იქმს?

სევიმმა იფიქრა, ამდენი თავაზიანობით ავერ-ავერ ჭკუას დავკარგავო, მაგრამ თავი შეიკავა:

— გმადლობთ, ხანუმ ეფენდი, მამილო კარგად გრძნობს თავს, განსაკუთრებულ მოკითხვასა და ასევე განსაკუთრებულ პატივისცემას გითვლით.

— მადლობელი ვარ, შვილო, ახმედ ბეი როგორ არის? — დედა ბერინს სამართლიანად მიაჩნდა, რომ ახმედიც მათი ოჯახის წევრი იყო.

სევიმს ბრაზი ყელში მოაწვა, მაგრამ ხმის ამოღება ვეღარ მოასწრო, რადგან მადამ ანჟელამ ყავა შემოიტანა და, როგორც დიდებულ სარაიულთა ოჯახში მცხოვრებ ქალს ეკადრება, ზრდილად იკითხა:

— როგორა ხართ, შვილო ჩემო?

— გმადლობთ, კარგად, — კბილებში გამოსცრა სევიმმა.

— თქვენი პატივცემული მშობლები როგორ არიან?

— გმადლობთ, კარგად.

ტელეფონმა დარეკა. მადამ ანჟელა აპარატისაკენ გაეშურა, თანაც ჩაიბუტბუტა:

— ალბათ ისევ ის ქალი ურეკავს სათ ბეის... გააწყალა გული.

ბერინ ხანუმმა უკმაყოფილოდ შეიკრა შუბლი, სევიმი კი ერთიანად დაიძაბა, რომ არც ერთი სიტყვა არ გამორჩენოდა. მადამ ანჟელამ ყურმილს ხელი დააფარა, მობრუნდა და თქვა:

— ხომ გითხარით, ის არის...

დედა ბერინი შეიშმუშნა და გაწითლდა.

— შვილო ჩემო, ეს მერამდენედ რეკავს დღეს, — ყვიროდა მადამ ანჟელა — კაცს ეგონება, თურქული არც გესმით,

სხვანაირად როგორ გელაპარაკოთ? — ქვლავ ყურმილს დააფარა ხელი, ბერინ ხანუმს მიუბრუნდა და თქვა: — ნამდვილად შეიშალნენ ეს ქალები. ყველას ჩვენი საით ბეი უნდა. ასე ხომ ვერ გაიჭრება საბრალო საითი?

გულახდილად რომ ვთქვათ, საითს არც არავინ ურეკავდა, მაგრამ მადამ ანჟელამ განიზრახა გუნება წაეხდინა სევიმისათვის, იგი ხომ ასე აწამებდა მის საყვარელ საითს.

ბერინ ხანუმმა მიიჩნია, გულითადი საუბრის დრო დადგაო, და თქვა:

— შვილო ჩემო, მე მინდა გულახდილად მოგელაპარაკოთ, ნურაფერი გეწყინებათ ჩემისთანა მოხუცი ქალისაგან. არ უნდა გადავდოთ ეგ ქორწილი. ახლა საითი სულ გამოიცვალა.

მადამ ანჟელამ სიხარულით დაიქნია თავი.

— დიახ, დიახ, ძალიან გამოიცვალა ჩვენი საით ფაშა!

— ადრე ანგელოზივით იყო, — განაგრძო ბერინ ხანუმმა, — ქალის ხმას რომ გაიგონებდა, წითლდებოდა და ყვითლდებოდა, ახლა კი თითქოს შეგვიცვალეს.

— ყველაფერი იმ ინგლისელმა მოიმოქმედა, იმან შეცვალა ჩვენი საითი, — არ ცხრებოდა მადამ ანჟელა.

— მოდით, ერთად ვიხსნათ საითი, საითს უყვარხართ, შვილო. მას თქვენი სჯერა, რაიმე უნდა მოიმოქმედოთ. ადრე ყველაფერს მიამბობდა, ახლა კი ხმას ვერ ამოაღებინებ. შვილო ჩემო, მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ იხსნათ იგი. მალე იქორწინეთ და ჩამოაშორეთ ამ ფეხბურთს.

სევიმი უსმენდა ბერინ ხანუმს, მაგრამ სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. ახლა, როცა მასა და საითს შუა აისელი ჩადგა, იგრძნო, რომ ვერაფრით ვერ იტყოდა საითზე უარს, მას სჭირდებოდა საითი.

— მე იმიტომ მოვედი, რომ მეგონა, სახლში ვნახავდი. სად არის? — იკითხა მან.

დაბნეულმა ქალებმა ერთმანეთს გადახედეს.

— განა თქვენ ერთმანეთს არ ხვდებით?

— გუშინწინ შემოიარა ჩვენსა, — იცრუა სევიმმა.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა.

— შვილო ჩემო, განა თქვენ არ იცით?.. — დაიწყო ბერინ ხანუმმა.

— რა უნდა ვიცოდე?

— საითი რომ ამერიკაში გაფრინდა.

— ჰოო, — ამოიკვნესა სევიმმა, — კი მეუბნებოდა, რომ უნდა წავიდეო, მაგრამ... თუ... ასე ჩქარა... ასე მოულოდნელად... ჰო, თუმცა მე სტამბოლში არც ვიყავი... მარტო გაფრინდა?

— კი, მარტო...

— როდის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

საითი ერთი კვირის გაფრენილი იყო, მაგრამ რახან სევიმმა თქვა, გუშინწინ ჩვენსა შემოიარაო, თავაზიანმა ბერინ ხანუმმა პირი აღარ გაუტეხა.

— გუშინ დილით, შვილო.

— რასაკვირველია, ჩვენსას შემოივლიდა, მაგრამ მე ალბათ შინ არ დავუხვდი...

სევიმს არ ახსოვდა, როგორ აღმოჩნდა ქუჩაში.

აეროდრომზე საითის გასაცილებლად რეფიქი, იფქირან ბეი, მისტერ ტომპსონი და აისელი მივიდნენ. საითი და აისელი ისე დაშორდნენ ერთმანეთს, როგორც მოსიყვარულე ცოლ-ქმარი. აისელმა თვალებზე ცრემლმორეული აიფარა და ჩურჩულით თქვა:

— ძალიან ხშირად, ჩასვლისთანავე წერილი მომწერე.

დიდად ბერინიც აპირებდა აეროდრომზე გასვლას, მაგრამ საითმა დაუშალა. იმ დღეს გამცილებლებმა თითქოს ერთმანეთში პირი შეკრეს, საითის გამგზავრების ამბავი არავის უთხრეს და ამიტომ არც გაზეთებს დაუწერიათ რამე.

სევიმი კარგა ხანს ელოდა საითის წერილს, მერე შეეცადა გაეგო მისი მისამართი ამერიკაში, მაგრამ საითი არავის არავის წერდა წერილებს.

ამასობაში „თოხკოფარანის" ბუქარესტში გამგზავრების დღეც დადგა. სევიმმა მტკიცე უარი განაცხადა რუმინეთში წასვლაზე. სულ იმას ფიქრობდა, სტამბოლს დაეტოვებ თუ არა, იმ დღესვე საითის წერილი მოვაო.

ერთღ იფქირან ბეიმ ერთ მშვენიერ დღეს თავისი გაზეთის პირველ გვერდზე საითის სურათი დაბეჭდა. საითს ფეხბურთელის ფორმა ეცვა. სევიმმა საკუთარ თვალებსაც არ დაუჯერა. სურათის ქვეშ ეწერა: „მაჭუთბაბას" ახალი ვარსკვლავი საით სარიოღლუ. ამერიკა მიესალმება თურქული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავს". რამდენიმე დღის შემდეგ დაიბეჭდა კიდევ ერთი სურათი — საითი თანაგუნდელებთან იყო გადაღებული. პატარა ცნობაში აღნიშნული იყო, თუ რა წარმატებებს აღწევს ახალგაზრდა თურქი ფეხბურთელი, რომელმაც რამდენიმე ბურთი

გაიტანა მოწინააღმდეგის კარში.

სათიზე სხვა გაზეთებიც ალაპარაკდნენ. სევიმი სულ დაიბნა: ნუთუ მართალი იყო ყველაფერი, რასაც სათიზე წერდნენ? ჯერ ერთი, ყველასათვის ცნობილია, რომ ამერიკული ფეხბურთი ახლა იდგამდა ფეხს, მეორეც — როგორღა მოასწრო სათიმ „მაჯლიბობის" გუნდში შესვლა?

ვიდრე სევიმი სათიზე ფიქრობდა, „თოზკოფარანზა" წარმატებით წავიდა ბუქარესტში. გაზეთებში არცთუ ორაზროვნად წერდნენ, სწორედ სევიმ ფერფერიჯის ბრალია ამ დაუმარცხებელი გუნდის წაგებაო. ამის გამო რუმინეთიდან დაბრუნების შემდეგ ახმედის გარდა „თოზკოფარანის" არც ერთ მოთამაშეს არ მოუნახულებია სევიმი.

ამას სრულიად გაუთვალისწინებელი ამბავი მოჰყვა — სათის მიერ დაქირავებული სახლის პატრონმა სასამართლოში იჩივლა, სამი თვის ქირას არ მაძლევსო. სახლის პატრონის უწყება რომ მიიღო, მერინ ხანუმი ჯერ ძალიან დაიბნა, მერე კი თავის ვექილებთან გავარდა. ეს ვექილები ერთ დროს სარიოღლუთა ინტერესების დამცველები იყვნენ და საქმიანად მოითხოვს ხელი, მაგრამ ახლა დიდად არ შეუწუხებიათ თავი, რადგან იცოდნენ, სარიოღლუთა ქონება დაილია.

— შეეცადეთ, იქნებ დაიყოლიოთ სახლის მეპატრონე, რომ სათის ჩამოსვლამდე დაელოდოს, — სთხოვა ვექილებს მერინ ხანუმმა.

— ეს დროის უქმი დაკარგვა იქნებოდა, უნდა გადაუხადოთ, თორემ ყველაფერს გაგიყიდიან.

მერინ ხანუმმა გადაწყვიტა, სევიმს მოვეთათბირებიო. სათი ხომ ამ ბოლოს მასთვის წერდა. ჯერ დარეკა, შენთან უნდა მოვიდეო, და მერე ფერფერიჯების ოჯახში ძვირფასი საჩუქრებით ხელდამშვენებული მივიდა.

სევიმმა ძალიან გაიხარა, იქნებ სათიზე გაიგო რამეო. თავაზიანად ესალმა, მერინ ხანუმის უამრავ კითხვას უპასუხა, მოთმინებით მოისმინა მისი არეულ-დარეული საუბარი იმაზე, თუ როგორ უჭირდათ ახლა სარიოღლუთ ეკონომიურად. ეს ამბავი ფერფერიჯებისათვის მეტად მოულოდნელი აღმოჩნდა. ვინ მოელოდა, რომ ქონება ასე მალე ამოიწურებოდა და მემკვიდრე უკაპიკოდ დარჩებოდა. მეშჯურე ხანუმს ახლა სინდისიც კი ქენჯნიდა — ეს გაუთვალისწინებელი წუნიაობა რომ არა, სევიმი უკვე დაოჯახებული მეყოლებოდაო.

— თქვენ კარგად იცით, ხანუმ ეფენდი, — ამბობდა მერინ ხანუმი, — რომ სათიმ წინასწარ გადაიხადა ერთი წლის ქირა. მე, მართალია, ერთხელაც არ მინახავს ეს ბინა, მაგრამ როგორც სათი ამბობდა, თქვენ კმაყოფილი [illegible] სათის, ალაჰმა ჯანი მისცეს, [illegible] გამო სულ დაავიწყდა, რომ წელიწადი კი არა, მეტიც გავიდა. სახლის პატრონი იმუქრება, ავეჯს გაგიყიდითო. მეც იმიტომ მოვედი, რომ ჭკუა გკითხოთ, არავინ იცის, როდის ჩამოვა სათი, იქნებ კი მომწერა, ავეჯი გაყიდე და სახლის პატრონი გაისტუმრეო.

ფერფერიჯთა ოჯახის თავს ეს ამბავი ქალიშვილმა უამბო. მასიდ ბეიმ ცივად თქვა:

— მოვიფიქრებ.

სევიმი ატირდა.

— რა გატირებს? მე ხომ ვთქვი, მოვიფიქრებ-მეთქი! მოფიქრებაც არ შეიძლება?

ვიდრე მასიდ ბეი ფიქრობდა, მივიდა თუ არა ბინის ქირაო, სევიმმა გაიგო სათის მისამართი და გრძელი, გულისამაჩუყებელი წერილი გაუგზავნა. სათის პასუხმა დაიგვიანა. როცა სევიმმა პასუხის მიღების ყოველგვარი იმედი დაკარგა, სათისაგან პაწია ღია ბარათი მოვიდა, სადაც იტყობინებოდა, უახლოეს ხანში ჩამოვალო. ბინის თაობაზე არაფერს სწერდა. ამასობაში მასიდ ბეიმ დაწვრილებით გამოიკითხა სარიოღლუთა ფინანსური მდგომარეობა და გამოარკვია, რომ ისინი დღეს თუ ხვალ გაკოტრდებოდნენ. მერინ ხანუმსაც თავისი მეურვეობის წილი უკვე გაეყიდა. მასიდ ბეი დარწმუნებული იყო, რომ მისი გონიერი შვილი ახლა უთუოდ უარს ეტყოდა საქმროს, მაგრამ სევიმს ამის გაგონებაც არ სურდა, ცრემლებით ითხოვდა, მამაჩემმა ის ვალი დაფაროსო.

— იმ შენს საქმროს აღარაფერი აქვს, გაკოტრდა!

— ვიციქ! ახლა მით უმეტეს ვერ მივატოვებ!

მეშჯურე ხანუმმაც ქმარს დაუჭირა მხარი:

— რამ გადაგრია? ანდა რამ შეგაყვარა? არც ფული აქვს, არც სილამაზე, არც სახელი! რა მოგწონს მასში?

მაგრამ სევიმს ვერაფერი აიძულებდა ელიარებინა თავისი დამარცხება.

# ამერიკიდან სულ სხვა საითი ჩამოვიდა

პირველ ხანებში ამერიკიდან წერილების ნიაღვარი მოდიოდა, საითი ყოველ დღე სწერდა ოისელს. თანდათანობით ეს ნიაღვარი მდინარედ იქცა, მდინარე ნაკადულად და ბოლოს სულაც დაშრა.

საითი რომ ამერიკიდან დაბრუნდა, აეროპორტში სამი ადამიანი დახვდა: რეფიქი, ეროლ იფქირან ბეი და მისტერ ტომპსონი (ასეთი იყო საითის სურვილი, ჩემი ჩამოსვლის ამბავი არავის შეატყობინოთო).

საითი იმდენად შეცვლილიყო, რომ რეფიქიც კი გაოცდა. ძველი საითისა არაფერი ეცხო, თითქოს ის საითი სამუდამოდ დარჩენილიყო ამერიკაში. თუ წინათ საითისათვის სულ ერთი იყო, როგორ ჩაიცვამდა — პიჯაკი მუდამ ფომფლოდ ეცვა და შარვალიც ლამის ჩავარდნოდა — ახლა თვითმფრინავიდან კოხტად მორთული მამაკაცი გამოვიდა, თვალები ცოცხლად უელავდა, პირზე დამატყვევებელი ღიმილი დასთამაშებდა.

ამ საითს არც სევიმი უხსენებია და არც ოისელი.

ბერინ დეიდამ სახლის კარზე მომდგარი საითი რომ დაინახა, გული შეუწუხდა და მაღამ ანქელას მოსაბრუნებელი გახდა. გონს რომ მოვიდა, საითს ყველაფერი უამბო. დეიდა ბერინი სწორედ ისე მოიქცა, როგორც საითმა მოსწერა: ავეჯი გაყიდა და სახლის მეპატრონის ვალი გაისტუმრა, თუმცა იგი იძულებული გახდა თავისი ძვირფასეულობაც გაეყიდა.

ამ საუბრის მერე საითი თავისი ოთახისაკენ გაეშურა, კარზე დარეკეს. სამშენებლო ფირმის აგენტებს გაეგოთ საითის ჩამოსვლა და საქმიანი წინადადებით მოსულიყვნენ: ამ თქვენი სასახლის ადგილზე თანამედროვე ბინებს ავაშენებთო.

— საით, სულ დამავიწყდა ამ ხალხზე მეთქვა რამე. შენი გამგზავრების მერე სული ამომხადეს თავიანთი ვიზიტებით. ვეტყვი, რომ დაღლილი ხარ, მერე მოვიდნენ.

საითი ქვედა სართულზე ჩამოვიდა და კარგა ხანს ესაუბრა მათ. ისინი რომ წავიდნენ, დეიდა ბერინმა ჰკითხა:

— შვილო, ძალიან გთხოვ, მარტო ნურაფერს გადაწყვეტ. ჩვენებს უნდა მოვეყაროთ თავი.

— ვინ ჩვენებს, — [illegible]ით ჰკითხა საითმა.

— როგორ ვინ ჩვენებს? აბდულმუქერ ბეის, ქისმეთის ბეის, ზაჰნი ბეის, ზიუბეიდე ხანუმს, გახსოვს, შენი დანიშვნის ამბავი რომ გადაწყვიტეს?

— მაგ გადაღორღოვებულ ბებრუხუნებს?

დეიდა ბერინმა სახეზე ხელები აიფარა, რათა საითს მისი ცრემლები არ დაენახა. ოჰ, ამერიკავ, ამერიკავ, ეს რა უყავი დეიდა ბერინის ძვირფას ბიჭუნას?

— დამშვიდდით, დეიდა, თქვენ რომ ჩვენებს ეძახით, ისინი უკვე გამოჩერჩეტებული ხალხია. მათ რომ სულ მცირეოდენი უფლება ჰქონდეთ ამ სახლზე, ეგრევე დაშლიდნენ და ნაწილ-ნაწილ წაიღებდნენ, ისედაც დიდხანს ლოკეს ჩვენი თავი.

ამ სიტყვებმა ბერინ ხანუმი შეაძრწუნა. ნუთუ საითი მეც ამ ოჯახში შემოკედლებულად მთვლისო?

— დეიდა, არ გახსოვთ, ყველამ რომ ზურგი გვაქცია? რატომ მოიქცნენ ასე? დარწმუნდნენ, აღარაფერი დაგვრჩა, ჩვენ ეს დანგრევის პირას მისული სასახლე დაგვიტოვეს და თვითონ დაიფანტნენ.

ეროლ იფქირან ბეი შეეცადა საითის ჩამოსვლის ამბავი სტამბოლის ყველა გაზეთში დაბეჭდილიყო. ამ ცნობას ყველა გაზეთი დიდი სათაურებით ბეჭდავდა.

სევიმმა საქმროს ჩამოსვლა გაზეთების მეოხებით გაიგო და ჩაფიქრდა, — ახლა როგორ მოვიქცე, თვითონ მივიდე მასთან, თუ დაველოდო, აქეთ როდის მოვა.

სევიმი დიდხანს ათვალიერებდა საითის სურათებს. როგორ არა ჰგავდა ეს საითი იმ ადამიანს, ვისაც იგი ასე დასცინოდა.

სასტუმრო ოთახიდან ლაპარაკის ხმა ისმოდა, სააბაზანოში გასვლისას დერეფნიდან თვალი მოჰკრა, რომ მაგიდასთან ვიღაც სასიამოვნო გარეგნობის კაცი იჯდა და ყავას სვამდა. ხოლო აბაზანაში ჩაწვა თუ არა, შინამოსამსახურემ დაუკაკუნა და ჩურჩულით უთხრა:

— სევიმ ხანუმ, თქვენი საქმრო, საით ბეი გვესტუმრა.

სევიმი წამოხტა, სქელი ხალათი მოისხა და სასტუმრო ოთახში გამოვარდა.

— საით! — იყვირა და ყელზე ჩამოეკიდა საქმროს, — შენა ხარ? ნუთუ მართლა შენა ხარ?

სევიმმა საითი სავარძელში ჩასვა, თვითონ მის გვერდით ხალიჩაზე მოიკალათა, მუხლებზე ხელები დაადო და ალაპარაკდა:

— როგორ გამოცვლილხარ, როგორ გამოცვლილხარ, საკუთარი თვალებისა არ მჯერა.

მართლაცდა სევიმის წინ ძლიერი, საკუთარ თავში დარწმუნებული [illegible] იჯდა.

— გახსოვს, რომ ამბობდი, მხოლოდ მაშინ შევირთავ ცოლად, როცა შენს გულში მტკიცედ დავიმკვიდრებ ადგილსო.

ამას რა დაავიწყებდა საითს! ახსოვდა, როგორ არ ახსოვდა, მაგრამ წარსული ახლა აღარაფერს ნიშნავდა მისთვის.

მამაკაცებმა ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს. ახმედი დაუფარავი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა საითს, თითქოს მის წინ სრულიად უცხო კაცი იდგა. მერედა რა დიდებულად ეცვა ამ კაცს!

— რას დალევთ? — იკითხა სევიმმა.

— თუ შეიძლება ვისკი, — დამატყვევებელი ღიმილით მიუგო საითმა.

სევიმმა ღიღინით მოიტანა ვისკი. მერე ჩვეულებისამებრ ახმედს მიუჯდა გვერდით, ისიც კი ვერ მოისაზრა, რომ საქმროს დასანახად ასეთი რამ არ გაეკეთებინა. საითს კვლავ უნებურად გაუელვა: ამ ოჯახში არაფერი, სრულიად არაფერი არ შეცვლილიყო.

— რატომ იღიმები? — ჰკითხა სევიმმა.

— ისე...

— ახლა რაზე ფიქრობდი? მითხარი რა!

— არაფერზე.

საითს კი მოაგონდა დიდი ხნის წინათ, ძალიან დიდი ხნის წინათ როგორ იჯდა ამ ოთახის კუთხეში და ისმენდა, თუ როგორ ეჭიკჭიკებოდა სევიმი ახმედს, მერე კი ნიშნობის ბეჭედი სახეში მიახალა. მხოლოდ იმიტომ, რომ ძალიან მოკრძალებულად ჩაერია მათ იდუმალ საუბარში.

საითი დღეს ამ ოჯახში მხოლოდ მოვალეობის გრძნობას არ მოუყვანია, არც ჩვეულებრივ ზრდილობას, არა, იგი იმიტომ მოვიდა სევიმთან, რომ ეთქვა, დღეიდან თავისუფალი ხარ, ჩვენი ქორწინება შეუძლებელიაო.

საქმიანი საუბარი, ცხადია, ახმედმა წამოიწყო. მან საითს პირდაპირ ჰკითხა, ქორწილი როდის გექნებათ ან სად ცხოვრებთო.

საითმა პირდაპირი პასუხი არ გასცა, მოიარებით დაიწყო:

— წარმოიდგინეთ [illegible] თვითმფრინავი ჩამოვარდა და დაიმსხვრა. გაზეთებში ერთი ამბავია, ზოგი რას მიიჩნევს კატასტროფის მიზეზად და ზოგი — რას. ყველა ნაწილი კარგად მუშაობდა, ამიტომ დამაჯერებით პასუხს ყველა არიდებს თავს. ძრავიც კარგად მუშაობდა, მაშ, რაღად დაიმსხვრა თვითმფრინავი? აქ შეიძლება ერთი ჰიპოთეზური ვერსია წამოაყენოს ადამიანმა — ლითონი მოკვდაო.

საითს ყურადღებით უსმენდნენ, მაგრამ ვერც ერთმა ვერაფერი გაიგო. საითმა ახლა სხვა მაგალითი მოიშველია:

— ვთქვათ, სრულიად მოულოდნელად დაინგრა შენობა, ვერავინ გაიგო დანგრევის მიზეზი: ვერც არქიტექტორმა, ვერც მშენებლებმა და ვერც ინჟინრებმა. შენობა კი მსუბუქმა მიწისქვეშა ბიძგმა დაანგრია. ეს მიწისქვეშა ბიძგი თურმე აშენების დროს არ გაუთვალისწინებიათ. ან, მაგალითისათვის, ავიღოთ უძველესი საგვარეულო. ამ გვარის ხალხი სულ გენერლები, სახელმწიფო მოღვაწეები, მეცნიერები იყვნენ, მაგრამ ეს საგვარეულო თანდათან გამოიფიტა, მთლიანად გადაგვარდა, გვარი თითქმის მოკვდა.

საითის ასეთმა ერუდიციამ და განათლებამ სევიმსაც და ახმედსაც ლამის გული შემოჰყარით, მაგრამ ვერაფერი გაიგეს. საოცარია, ადრე ყველა გაიძახოდა, ამ ოთხთვალამ თავისი არითმეტიკის მეტი არაფერი იცისო. თურმე ახლა აღარც ის ოთხთვალა საითი არსებობს!

ახმედს მობეზრდა ამდენი ლაილაი და წავიდა. ახმედმა კარი გაიხურა თუ არა, სევიმმა ერთი ალიაქოთი ატეხა საითს. მერე ჩვეული მოძრაობით იმ თითს წაავლო ხელი, რომელზეც ნიშნობის ბეჭედი უნდა ჰქონოდა. კიდევ ერთხელ მიახალი სახეში საითსო, მაგრამ უცებ გაშეშდა, ბეჭედი თითზე არ ეკეთა. ვიდრე საითი ამერიკაში იყო, მას ერთხელაც არ გახსენებია ეს ბეჭედი.

— თავს ნუღარ შეიწუხებ, — თქვა საითმა და სავარძლიდან წამოდგა, — მშვიდობით, კარგად მენახე!

# „თოზკოფარანის" წლიური კრება

„თოზკოფარანის" მარცხმა ხალხში იმდენად დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რომ კლუბის გამგეობაშიც განხეთქილება ჩამოვარდა. კლუბის ხელმძღვანელობას ოპოზიცია დაუპირისპირდა, იქმნებოდა ცალკეული დიდი თუ პატარა დაჯგუფებანი.

— აი, ნახავ, ძმაკაც, — უთხრა იფქირან ბეიმ საითს,—ვინემ „თოზკოფარანის" წლიური კრების დღე დადგებოდეს, დუნდარ-დუბარა ბეი ამ ოპოზიციაში კიდევ შექმნის პატარ-პატარა დაჯგუფებებს.

— ეგ როგორ? — გაოცდა საითი.— თავისსავე მტრებს გაიჩენს?

ეროლ იფქირან ბეი არ ცხრებოდა.

— ყოველ ასეთ ჯგუფში დუნდარ-დუბარას თავისი ხალხი ჰყავს. იცი, რატომ ვამბობ ამას? ყოველთვის, როცა ძველი გამგეობა იშლება, დუბარა ბეი ახლის სათავეში ექცევა.

ოპოზიციური დაჯგუფებანი ისე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, რომ საქმე სასამართლომდე მივიდა. „დაუმარცხებელმა თოზკოფარანმა" იჩივლა, კლუბის გენერალური საბჭო კლუბის ფულს ნიავქარს ატანსო. სასამართლომ დაადგინა, კლუბის სალარო შემოწმდესო.

დუნდარ-დუბარა ბეიმ მოიწვია გენერალური საბჭოს სხდომა და ერთადერთი კითხვა დასვა: „ოპოზიციას საკადრისი პასუხი უნდა გავცეთ თუ არა", და თვითონვე უპასუხა ამ კითხვას: „რასაკვირველია, პასუხი საკადრისი უნდა გავცეთ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ „დაუმარცხებელმა თოზკოფარანმა" ჩვენ თვითმარქვიებად გამოგვაცხადა. განა გენერალური საბჭოს შემადგენლობაში ფარული კენჭისყრით არ ავირჩიეს? მეგობრებო, ჩვენ შემხვედრი სარჩელი უნდა წარვადგინოთ". საბჭოს წევრებმა ერთხმად მიიღეს ეს წინადადება.

ყველა გაზეთში დაიბეჭდა ცნობა, ამა და ამ დღეს, ამა და ამ საათზე ამა და ამ ადგილას „თოზკოფარანის" კლუბის წევრთა წლიური კრება გაიმართებაო.

„თოზკოფარანის" ტრადიციული წლიური კრება დაძაბულ ვითარებაში დაიწყო.

— აი, იმ კაცს ხედავ? — მხარი გაჰკრა იფქირანმა საითს, — ამბობენ, დუნდარის ადგილს ეგ დაიჭერს და გენერალური თავმჯდომარე იქნებაო. თუ ეგრე მოხდა, ჩვენი დუნდარი გამგეობის წევრობასაც ველარ ელირსება. ხმა დაირხა, [illegible]-ელის აპირებს და დუნ[illegible] გაიძრობს, მის საქმიანობას ერთიანად გამოაამჟღავნებსო, მაგრამ არც ჩვენს დუბარას აქვს კურდღლის გული, ასე რომ დღეს დიდი ამბები გველის.

პრეზიდიუმის არჩევისთანავე დუნდარ-დუბარა ბეი ტრიბუნაზე ავარდა.

— ერთი წინადადება მაქვს.

— ჩამოდი მაგ ტრიბუნიდან და ეგ შენი წინადადებაც თან შეაყოლე, — უყვირა სელიმ ბეიმ.

დარბაზი ახმაურდა.

— წინადადება შემომაქვს, — დუნდარ ბეი ხმამაღლა ლაპარაკობდა, იქნებ ამ ხმაურში ვინმეს რამე გავაგონოო, — რომ დღევანდელი კრების თავმჯდომარედ ავირჩიოთ პატივცემული სელიმ ბეი! მეგობრებო, ვინ არის ჩვენი კლუბის ყველაზე ღირსეული წევრი? რასაკვირველია, სელიმ ბეი!

ხმაური უცებ დაცხრა, ყველა ორატორს შეაცქერდა.

— ვინ გაუწია ყველაზე დიდი სამსახური ჩვენს კლუბს? რასაკვირველია, კვლავ სელიმ ბეიმ.

— ეს რა მტრობაა, — გაოცდა საითი,— ხომ ხედავ, როგორ აქებს სელიმ ბეის.

— ეს ფანდია, ძმაკაც, მაგრამ ვერ გამიგია კი, საით უმიზნებს დუნდარ ბეი!

— სელიმ ბეი ჩვენი უფროსი ძმაა,—იქაჰქებოდა დუნდარ-დუბარა ბეი, — „თოზკოფარანისათვის" მან ყველაფერი გააკეთა, რისი გაკეთებაც შეუძლია ადამიანს. ამიტომ წინადადება შემომაქვს დღევანდელი კრების თავმჯდომარედ სელიმ ბეი ავირჩიოთ.

ხალხმა ტაში დასცხო.

— პოი, რა ძაღლის შვილია! ეს რამ მოაფიქრა? — წამოიძახა იფქირან ბეიმ, — ხედავ, რა უყო სელიმ ბეის? დაიბა, ახლა იგი კრინტსაც ვერ დაძრავს, მიხვდი?

— რატომ, განა თავმჯდომარეს არ შეუძლია სიტყვა წარმოთქვას?

— არა, არა აქვს უფლება. მან მხოლოდ სხვებს უნდა მისცეს სიტყვა.

— არ მინდა, არ ვიქნები თავმჯდომარე, — ყვიროდა სელიმ ბეი, — მე კამათში უნდა ჩავეწერო.

მაგრამ დუნდარ-დუბარა ბეიმ უკვე გა-

აქვთ თავისი საქმე — რამდენიმე კაცმა სელიმ ბეი ხელში აიყვანა, დარბაზში გაატარა და ისე დასვა თავმჯდომარის სავარძელში. სელიმ ბეიმ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, მას კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ დუნდარ-დუბარამ არ დააცალა და კვლავ ტრიბუნაზე ავარდა.

— წინადადება შემომაქვს ფეხზე ადგომითა და წუთიერი დუმილით პატივი ვცეთ ჩვენი დიდი გმირების ხსოვნას.

მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა. გავიდა ერთი წუთი, ორი, სამი, ხუთი. დარბაზი ელოდებოდა, თუ როდის ანიშნებდა დუნდარ-დუბარა ბეი, დასხედითო.

დარბაზში აჩურჩულდნენ. იუქერანმა საათს გადახედა, ეს თავი მომწყინდა, თუ მაგას რამე არ ეშველება, ჩავიქცევი-ლით.

დუნდარ-დუბარა ბეიმ დარბაზს ანიშნა, დასხედითო და იმის შემდეგ, სიტყვა არავის წამართვასო, უმალ დაიწყო:

— მეგობრებო, წუხელ ბეიოღლუზე პოლიციამ ერთი მთვრალი ახალგაზრდა კაცი დააკავა, დიახ, დიახ, ჩხუბის გამო დააკავა. პოლიციელს უნდოდა ეს ახალგაზრდა პოლიციაში წაეყვანა, მაგრამ დაკავებულმა განაცხადა, თითსაც ვერ დამაკარებთ, რადგან ეროვნულ ნაკრებში ვთამაშობო. ხედავთ, მეგობრებო? მე მინდა ვიკითხო, ნუთუ არ დადგა დრო, რომ სერიოზულად განვიხილოთ საკითხი: ფეხბურთელის მორალური სახე.

დაიწყო და რა დაიწყო! ერთი ამბავი ატყდა, ყველას უნდოდა თავისი აზრის გამოთქმა. თავმჯდომარე ხალხის დამშვიდებას ცდილობდა. მაგრამ გამგონე ვინ იყო. დუნდარ-დუბარა ბეი კი ამაყად იდგა ტრიბუნაზე.

— ერთი წუთით, ერთი წუთით! — იყვირა ვიდაცამ ბოლო რიგებიდან, — თქვენ ხომ არ დაგავიწყდათ ფიფასა და ორი წლის თამაშზე ატეხილი კამათი? ეს მორალიც ისეთივე ფანდია, გვატყუებენ, ჩამოდი ტრიბუნიდან, გონს მოდით, ხალხნო!

— გთხოვთ მომცეთ სიტყვა განცხადებისათვის, — ითხოვა ისევ დუნდარ ბეიმ.

საბრალო სელიმ ბეის სხვა არაფერი დარჩენოდა და სიტყვა მისცა.

— ძვირფასო მეგობრებო, ჩვენს მთავრობას არასოდეს დაუკლია ზრუნვა „თოპკაფურანისათვის". წინადადება შემომაქვს ჩვენი კრების სახელით მთავრობას მისასალმებელი დეპეშა გავუგზავნოთ.

ეს წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

— ჩამოდი ტრიბუნიდან, თორემ ამ კრებას ვერასოდეს დავამთავრებთ, — იყვირა ვიღაცამ.

ამ დროს წიგრიკი შემოვიდა და თავმჯდომარის მაგიდაზე მთელი დასტა დეპეშებისა დაალაგა.

— პატივცემულო მეგობრებო, — თქვა სელიმ ბეიმ, — ჩვენი კრების სახელზე მოსულია დეპეშები, პრეზიდიუმის მდივანი ახლავე გაგაცნობთ ამ დეპეშებს.

მდივანმა დაიწყო დეპეშების კითხვა. ერთ დასტას რომ დაამთავრებდა და ხალხს ეგონა, სულ მოვითქვამთ, მეორეს ერთი ამდენი კიდევ შემოჰქონდა.

— მე მგონია, რომ ეს დეპეშები თვით დუნდარ-დუბარა ბეის გამოგზავნილი უნდა იყოს, — თქვა ერთმა ჟურნალისტმა.

ამასაც მოეღო ბოლო და დუნდარ-დუბარამ სიტყვა ითხოვა:

— მე მინდა, ერთი რამ განვაცხადო, ძვირფასო მეგობრებო! ძალიან მიჭირს ამის თქმა, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს, საბედნიეროდ ამგვარი უნდა გაუწყოთ. „თოპკაფურანის" შემადგენლობაში განხეთქილებაა, შეიქმნა რამდენიმე დაჯგუფება. ეს პირველი შემთხვევაა ჩვენი კლუბის ხანგრძლივი არსებობის მანძილზე და იმის ნიშანია, რომ ჩვენი სპორტული მოძრაობა ერთიანობის დიდი საფრთხეს ემუქრება. ამიტომ შესაძლოა კენჭისყრის დროს რამე გაუგებრობას ჰქონდეს ადგილი. გაუგებრობა რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა ახლავე დავაზუსტოთ სია — წინადადება შემომაქვს გამგეობის წევრობის კანდიდატთა სიაში ყოველ გვარს მივაწეროთ, თუ რომელ დაჯგუფებას ეკუთვნის ესა თუ ის კანდიდატი.

კანდიდატების სიას შეალამომდე აზუსტებდნენ. საათი იმდენად გაიოგნა ნანახმა და გაგონილმა, რომ ერთი სიტყვაც არ უთქვამს იუქერანისათვის, ისე გაეცალა იქაურობას. მეორე დღეს, დილაადრიან გაზეთების მეოხებით შეიტყო, დუნდარ-დუბარა ბეი კვლავ „თოპკაფურანის" კლუბის გამგეობაში წევრად აირჩიესო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# და ამობრწყინდა ახალი ვარსკვლავი

საითს სულ დაავიწყდა, რომ სევიმის სიყვარულმა დააწყებინა ბურთის თამაში. ახლა ფიქრობდა, ფეხბურთი გასაჯანსაღებლად, ჩემი გაუბედაობისა და ფიზიკური უძლურების დასაძლევად დავიწყეო.

ტომპსონთან მეგობრობამ სულ ჩამოაშორა „თოზკოფარანს". მერე როცა ინგლისელი „პაჯეთბაბას" მწვრთნელი გახდა, საითიც იმ გუნდში გადავიდა და ერთმანეთს აღარ შორდებოდნენ.

საითისათვის სრულიად ახალი ცხოვრება დაიწყო. ზონალური შესარჩევი მატჩები ტარდებოდა. ტომპსონი ახლა უფრო ხშირად ათამაშებდა საითს ძირითად შემადგენლობაში და საითსაც თითქმის ყოველთვის იხსენიებდნენ სპორტულ ქრონიკაში. ცენტრალურმა გაზეთებმაც მიაქციეს ყურადღება და ატყდა ჩვეულებრივი ალიაქოთი. სად უნდა ითამაშოს საითმა? მწვრთნელმა თავდასხმაში მარჯვენა გარემარბის ადგილი მიუჩინა, მაგრამ დღემდე ამ ადგილზე პაიდარი თამაშობდა, პაიდარს კი ისეთი ძლიერი დარტყმა ჰქონდა, რომ ხალხმა ყუმბარა შეარქვა. თანაც „პაჯეთბაბას" კლუბმა პაიდარ-ყუმბარას შესყიდვისას კარგა ძალი ფული დახარჯა.

სეზონი ახლახან დაიწყო. „პაჯეთბაბა" ჩემპიონობას უმიზნებდა, ამიტომ ყოველ თამაშს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ცუდ დღეში ჩავარდა ტომპსონი, რომელი აერჩია — პაიდარი თუ საითი? ტომპსონმა თავისი გასაჭირი იფქირანს გაუზიარა. იფიქრა იფქირანმა, იფიქრა და ასეთი რამ მოიფიქრა: შესარჩევ მატჩამდე სამი დღით ადრე პაიდარს შეხვდა, არც დღე მოსცილებია, არც ღამე — ერთად სვამდნენ, დროს ატარებდნენ, ცეკვავდნენ, რესტორნიდან ბარში მიდიოდნენ, ბარიდან — კაზინოში, კაზინოდან — ისევ რესტორანში და ასე გაილია ეს სამი დღეც.

ტომპსონმა გადაწყვიტა — თამაშის პირველ ნახევარში პაიდარს გავიყვან მოედანზე, მეორე ნახევარში კი საითს, ასე უკეთ გავიგებ, რომელი რომელს სჯობიაო.

მაგრამ თამაშზე ყუმბარა აღარ ყუმბარობდა, მოედანზე ულონოდ დალასლასებდა. ასე რომ, მოწინააღმდეგის კარმა ვერ იგრძნო პაიდარის დარტყმის ძალა. ხოლო მოწინააღმდეგის კართან ერთი ზედახორის დროს პაიდარს ტრუსიც შემოეხა და ამხანაგებით გარშემორტყმულმა დატოვა მოედანი. პაიდარი საითმა შე[illegible] შიშმა შეიპყრო, რადგან [illegible] დღეს წყდებოდა მისი ბედი — თუ დღეს კარგად ითამაშებდა, „პაჯეთბაბას" პირველი თავდამსხმელი გახდებოდა, ყველა მატჩში მიიღებდა მონაწილეობას და ჩემპიონობისთვის იბრძოლებდა. საითი კი არა, მუდამ მშვიდი და აუღელვებელი ტომპსონიც კი ღელავდა. საითის ჩავარდნა მწვრთნელის ჩავარდნასაც ნიშნავდა.

თამაში დაიწყო და საითს შიშის გრძნობაც თანდათან გაუქრა, შიშის ნაცვლად საკუთარ თავზე გამარჯვების რწმენა დაეუფლა. რაც უფრო მწვავდებოდა ბრძოლა მოედანზე, მით უფრო დაჯერებულად და შეუცდომლად თამაშობდა საითი, — მისტერ ტომპსონის მეცადინეობას უქმად არ ჩაევლო.

ამ მატჩის ბედი საითის გატანილმა ერთადერთმა ბურთმა გადაწყვიტა. უსაზღვრო იყო მაყურებლის აღტაცება. საითი თანაგუნდელებმა ხელში აიტაცეს და ისე გამოიყვანეს მოედნიდან. დღეიდან მარჯვენა გარემარბის ადგილს ვეღარავინ შეეცილებოდა.

თუმცა ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ საითის გამარჯვებასა და პაიდარის დამარცხებაში მიუდგომელ კომენტატორ იფქირან ბეისაც ედო წილი. კიდევ კარგი, ეს ამბავი საითმა არ იცოდა, თორემ სიხარული ჩაშხამდებოდა.

მისტერ ტომპსონი თავისი მოწაფისაკენ გაეშურა, უნდოდა ასეთი დიდი გამარჯვება მიელოცა, მაგრამ გასახდელთან აისელს შეხვდა. აისელმა საქვეყნოდ გადაკოცნა საითი ასეთი დიდი მიღწევისათვის, საითს კი სინდისი ქენჯნიდა — ამერიკიდან წერილების გზავნას ვიღა ჩიოდა, სტამბოლში ჩამოსვლის შემდეგაც კი არ ინახულა აისელი. საითს აღარც ახსოვდა, როგორ აღმოჩნდა ესპანელი აისელის მანქანაში. ვინც საითი აისელის მანქანაში დაინახა, ყველა მიხვდა, ფეხბურთის ცაზე ახალი ვარსკვლავი ამოვიდაო. აისელი სევიმს როდი ჰგავდა. მას ერთხელაც არ მოსვლია აზრად ამერიკიდან დაბრუნებული საითი მოენახა ან დაერეკა მისთვის.

— რას შერები, როგორა ხარ? — ისე

იკითხა აისელმა, თითქოს გუშინ დაშორდა საითს,— დღეს ჩინებულად ითამაშე.

— სტადიონზე იყავი?

— განა შემეძლო შენი პირველი თამაში არ მენახა? მით უმეტეს, რომ დღევანდელი დღე ძალზე მნიშვნელოვანი იყო შენთვის. განა პირველმა მე არ გიწინასწარმეტყველე ეს მომავალი?

დილის გაზეთებმა ქებით მოიხსენიეს საითის თამაში, იფქირანმა კი დაწერა: „ფეხბურთის ცაზე ახალი ვარსკვლავი ამობრწყინდა"...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!

საითმა სწრაფად მოიხვეჭა სახელი. პირველსავე სეზონში ცნობილი კაცი გახდა. გაზეთებში ყოველდღე იბეჭდებოდა მასზე წერილები, მისი სურათები, მასთან საუბრები და ათასი სხვა. ყველაზე მეტს მაინც იფქირანი ცდილობდა. რაკილა ყოველ ცნობილ ფეხბურთელს მეტსახელიც უნდა ჰქონდეს, ამ ყველაზე მიუდგომელმა და სამართლიანმა კომენტატორმა საითს „საათოფსაიდი" დაარქვა. როცა პირველ თამაშზე საითმა „თოზკოფარანის" კარში ბურთი გაიტანა, თოზკოფარანელები მსაჯს შემოეხვივნენ და აყვირდნენ: ოფსაიდია, ოფსაიდი! რასაკვირველია, არავითარი ოფსაიდი არ იყო, საითმა სავსებით კანონიერად გაიტანა ბურთი. საითს ასეთი ტაქტიკა ჰქონდა და ფეხბურთის ოსტატებიც ასე ამბობდნენ მასზე: ეგ ბიჭი მუდამ ოფსაიდის ზღვარზეაო.

ერთი სეზონის განმავლობაში საითმა სამჯერ ითამაშა ეროვნულ ნაკრებში, მაშინ როცა ახმედი მხოლოდ ერთ თამაშზე მიიწვიეს (არადა, სულ ცოტა ხნის წინათ ახმედს ნაკრების დაცვის მთავარ ქედსა და ფეხბურთის მეფეს ეძახდნენ).

მართალია, ახმედს ძველი დიდება კვლავ შემორჩენოდა, მაგრამ ფეხბურთის მეფეს უკვე უჭირდა გვირგვინის ტარება, იგი მობერდა.

ამას კარგად ამჩნევდა სევიმიც. მართალია, სევიმს ბევრი რამ აკავშირებდა ახმედთან, მაგრამ ახლა საკმაოდ გულგრილი გახდა. იგი მხოლოდ საითზე ფიქრობდა, თავისი თავისთვის ვერ ეპატიებინა, რომ ასეთი ნადავლი დაუძვრა ხელიდან. ეს ამბავი ვერც თავისი მშობლებისთვის ეპატიებინა. ფერფერიძეები საითს სასიძოდ აღარ სცნობდნენ, რადგან გაკოტრებული დიდკაცი სულაც არ იყო ფირმა „მასიდ ფერფერიძე, ქალის საცვლების" ერთადერთი მემკვიდრის ტოლი და ღირსი. რაც უფრო მაღლა მიიწევდა საითის ვარსკვლავი, მით უფრო ნათლად ხედავდა სევიმ-სვავი, თუ ვინ დაკარგა. კიდევ განუცხადა ახმედს: „ამქვეყნად თუ ვინმე მყვარებია, არა მგონია, ჩემოდ საითი მიყვარსო". სევიმი ისე გულისამაჩუყებლად ლაპარაკობდა თავის გრძნობებზე, ისე მწარედ ღვრიდა ცრემლებს, რომ ახმედსაც კი აუცრემლდა თვალები. ახმედი გულწრფელად ამოუტყდა სევიმს, ამ თეთრი ბიჭის წინაშე, ადრე რომ კაცადაც არ მიმაჩნდა, სრული უძლური ვარო. ასლახან რომ „პაჯელობაბამ" „თოზკოფარანი" დაამარცხა, ეს უწინარესად ახმედის დამარცხება იყო. უკვე წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ახმედი მთელი ძალით თამაშობდა და „ფეხბურთის მეფეს", „ფეხბურთის პროფესორს" ეძახდნენ. უკვე კარგა ხანია თამაშს თავი დაანებეს იმათ, ვინც მასთან ერთად გამოდიოდა მოედანზე. ყველა რაღაც საქმეს მოეკიდა. ზოგი მწვრთნელი გახდა, ზოგი — საქმოსანი, ზოგმაც მდიდარი ცოლი შირთო. ისინი ყველას მიავიწყდა. ერთ დროს ახმედს ბევრი ფული ჰქონდა. კლუბიდან კლუბში რომ გადადიოდა, თავის წილადაც კარგა ძალი რჩებოდა. ეგონა, მუდამ ასე იქნებაო, მაგრამ ახლა აღარც ის დიდება იყო და ფულებიც ისე შემოელია, როგორც ახალგაზრდობის წლები. რას უქადის მომავალი? გაისად გუნდიდანაც გაისტუმრებენ და მორჩა! ოთხივე კუთხივ ხსნილი გაქვს გზა, საითაც გინდა იქით მიბრძანდი. ეჰ, დროზე უნდა გაეცალოს ფეხბურთს, დროზე უნდა წავიდეს, ვიდრე სახელი აქვს, ვიდრე მთელი თურქეთი პატივსა სცემს. თვალებში ცრემლი ჩაუდგა ახმედს. მოუნდა სევიმი დაემშვიდებინა, მოეფერებინა, თავზე ისე გადაუსვა ხელი, როგორც ბავშვს მოეფერებიან ხოლმე. მაგრამ მისთვის უჩვეულო ეს სიტკბილი უმალ დაიოკა და წამოიძახა:

— ვაჟოფა, შენც ნახე რა! საითისათვის სტირი?

— რა მეშველება? — ქვითინებდა სევიმი, — ჩვენ ხომ დანიშნულები ვართ. ხალხს როგორ შევხედო თვალებში?

— ახლავე მორჩი, ისე ქვითინებ, თითქოს დიდი განძი დაგეკარგოს!

— განძი არაა, მაგრამ მე რა ვქნა, რა ფასი მაქვს ამის შეძლება? — თქვა სევიმმა და თვითონვე შეაშინა თავისმა ნათქვამმა, — თქვენ ხომ მეგობრები ხართ, მოელაპარაკებოდი საითს.

ახმედმა სევიმს ხელი წაავლო და თავისკენ მიიზიდა:

— გეყოფა, თავი გაანებე იმაზე ფიქრს. უსაშველო რა გჭირს, სულელო! დაილია ქვეყნად ხალხი! რამდენიც გინდა, იმდენს ვიპოვით, შენნაირი საქონელი არ ჩაწყდება.

ორივე დადუმდა, თავთავიანთ გასაჭირზე ჩაფიქრდნენ.

— იცი, დიდებული აზრი დამებადა, — წამოიძახა უცებ სევიმმა, — ოჰ, რა კარგი იქნება!

— ასეთი რა მოიფიქრე?

— სარიოღლუების ოჯახი უფულოდ დარჩა.

— იქნება მამაშენს შეეხვეწო, ფული ასესხოს?

— ნუ მაიმუნობ, მე მართლა ვამბობ. რა იქნება, რომ საით „თოზკოფარახში" გადმოვიბიროთ? ჰა, რას იტყვი? დუნდარ-დუბარა სიხარულით გადაირევა. ნაღდად ასე უნდა ვქნათ. უფული საითისთვისაც მისწრება იქნება.

ახმედი პირგამეხებული დუმდა, ბრაზი ყელში აწვებოდა. „ამით რა უნდა სევიმს, ვისი გახარება სურს? დუნდარის, საითისა თუ ჩემი? განა შეიძლება ასეთი ქალი დაინდო?"—გაიფიქრა ახმედმა და წამოდგა.

— ასე უცებ რატომ მიდიხარ?

— საქმე მაქვს, — ჩაიბურტყუნა ახმედმა და გავიდა.

სევიმი ვერც მიხვდა, რატომ წავიდა ასე უცებ ახმედ კედელი. სევიმს [illegible] დუნდარ-დუბარა ბეის თავისი [illegible] კლუბის თავმჯდომარე სიხარულით ცას ეწია. ახლავე, ამ წუთში უნდა შეეძლო საქმეს. ამაზე დიდ საჩუქარს „თოზკოფარანს" ვერ გაუწევდ. თუ საითს ახლავე შევათანხმებთ, რომ მომავალი სეზონიდან „თოზკოფარანში" უნდა გადმოვიდეს, ბურთს მაინც ლარ გაიტანს ჩვენს კარში — ფიქრობდა დუნდარ-დუბარა ბეი. იგი ახლავე გრძნობდა, რა ბედნიერება დაიწყებოდა სეზონის ბოლოს საითზე. „თოზკოფარანს" ახლა სიძუნწე არაფრად არგებდა, „ჰაჯეთბაბა" ავრე იოლად არ დაუთმობდა საითს.

— თუ მისი გადმობირება ვერ მოახერხე, უნდა მოვიტაცოთ, — დაბეჯითებით თქვა დუნდარ-დუბარა ბეიმ, — გახსოვს, ახმედი როგორ გადმოიბირე? ჰო, მართლა, ახმედი რომელიმე პროვინციულ გუნდს უნდა შევთავაზოთ. ხომ ხედავ, ველარაფერს აკეთებს, რაც უფრო ცუდად თამაშობს, მით უფრო უხეშობს. მაინცდამაინც დიდ ბაქს არ მოვითხოვთ და მოვიცილებთ თავიდან.

სევიმს თითქოს რაღაც ჩასწყდა გულში. „მოკვდა ნეფე!" გაუელვა მას, თუმცაღა თავისი ძველი მეგობრის დასაცავად ერთი სიტყვაც არ დასცდენია — ეშინოდა, ვაითუ ავტირდეთ.

## დიდი მატჩი

„თოზკოფარანისა" და „ჰაჯეთბაბას" შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა, ვინ იქნებოდა ქვეყნის ჩემპიონი. ეს თამაში იმასაც გადაწყვეტდა, ვის გამოაცხადებდნენ სეზონის პირველ ფეხბურთელად. სამი ფეხბურთელი ერთმანეთს ეცილებოდა ამ წოდებას. ამ სამს შორის საით სარიოღლუც იყო. საითს რომ ერთი ბურთი მაინც გაეტანა „თოზკოფარანის" კარში, „ფეხბურთის მეფე" გახდებოდა.

ყველგან ამ ისტორიულ თამაშზე ლაპარაკობდნენ. გაზეთები წერდნენ, ეს მიმდინარე წლის უდიდესი მატჩიაო. სტამბოლი ცოცხალიანივით იყო და განა მხოლოდ სტამბოლი? „ჰაჯეთბაბასაც" და „თოზკოფარანსაც" ბევრი გულშემატკივარი ჰყავდა თურქეთში. გაზეთები იტყობინებოდნენ, რომ აქა და იქ ამა და ამ გუნდების გულშემატკივრები ერთმანეთს დაერივნენ, ერთი თავ-პირის მტვრევა და დანების ტრიალი იყოო. ხალხი ფრიად აღგზნებული გახლდათ. გულშემატკივარნი ერთმანეთში სანაძლეოს სდებდნენ ხუთიდან ათი ათას ლირამდე. გაზეთებში ახალი და ახალი ცნობები იბეჭდებოდა: „თუ ჩვენმა „თოზკოფარანმა" მოიგო, სტამბოლის მეწაღეები თითო წყვილ ფეხსაცმელს ვაჩუქებთ არა მარტო ფეხბურთელებს, მათი ოჯახის წევრებსაც". ერთ-ერთი რესტორნის პატრონმა განაცხადა: „ჰაჯეთბაბა" თუ მოიგებს, ერთი თვე მთელ გუნდს უფასოდ ვუმასპინძლებ!" სტამბოლის მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელმა თანამშრომელმა ავტორიტეტულად განაცხადა: „ოღონდ „თოზკოფარანმა" მოიგოს და ქალაქის საზოგადოებრივი სარგებლობის დაწესებულებებში უფასო შესვლის

ნებართვას გვეცემით“... რაც შეეხება დუნდარ-დუბარა ბეის, თავის ბიჭებს დაპირდა: თუ მოიგებთ, ექვს-ექვს ათას ლირას გაჩუქნით თითოეულსო.

ეროლ იფქირან ბეიმ თავის გაზეთში დაბეჭდა ერთი გოგონას სურათი, სურათის ქვეშ კი ეწერა: „პაჯეთბაბას“ ერთგულმა გულშემატკივარმა ნურჩენმა განაცხადა: „თუ ჩემი გუნდი დამარცხდა, თაქსიმის მოედანზე ცეცხლს წავიკიდებ და დავიწვებიო“.

იმას ვინღა მოსთვლის, რამდენ ოჯახში ატყდა უთანხმოება, არა, ეს გუნდი მოიგებს და არა ეგაო. ბევრი ცოლ-ქმარი გაიყარა კიდეც.

ცნობილ ადამიანებს მისვლენებას არ აძლევდნენ, ყოველდღე ეკითხებოდნენ: „თქვენი აზრით, რომელი გუნდი გახდება ჩემპიონი?“ არც სევიმი დაუვიწყნიათ. აი, რა პასუხი გასცა სევიმმა ამ კითხვას:

— მოგეხსენებათ, ბურთი მრგვალია. ახლა ძნელია იმის თქმა, თუ ვინ იქნება ჩემპიონი. როცა საკითხი ასეთ გუნდებს ეხება, მარჩიელობა უხერხულია. თუ „თოზკოფარანი“ ტექნიკური გუნდია, „პაჯეთბაბა“ ამჟამად კარგ ფორმაშია. ძნელია საით [illegible] დაჭერა, მაგრამ არც აწნევ კედელის მოტყუებაა ადვილი.

— თქვენ რომელ გუნდს უჭერთ მხარს? ალბათ ახმედ კედელის გუნდს, არა? — ყველაფრის ერთად გაგება მოისურვა ჟურნალისტმა.

— ნება მომეცით ამ კითხვაზე არ გიპასუხოთ, — უპასუხა სევიმმა, მაგრამ საუბარი ამით არ დამთავრებულა. იმ არაჩვეულ ჟურნალისტმა სევიმს საშინაო ალბომიდან რამდენიმე სურათი დასტყუა და გაზეთში დაბეჭდა. სურათზე აწნევი და სევიმი ხელიხელ გადახვეულნი იდგნენ პლაჟზე.

ასეულსაც ჰკითხეს, ვინ იქნება ჩემპიონიო. ასულმა სევიმივით კი არ მიკიბ-მოკიბა, მოკლედ მოსჭრა:

— რასაკვირველია, „პაჯეთბაბა“!

ნანატრი დღეც დადგა. ქალაქში ყველაფერი ჩაკვდა. სტამბოლი დაცარიელდა, ყველანი სტადიონისაკენ გაეშურნენ.

მატჩის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე „თოზკოფარანი“ დუნდარ-დუბარა ბეის მეთაურობით ეიუბსულთნის მეჩეთში წავიდა ნამაზის ჩასატარებლად.

სევიმი რამდენიმე კვირა ამაოდ დაეძებდა საითს. მან არ იცოდა, თუ სად ცხოვრობდა ახლა საითი. „პაჯეთბაბას“ კლუბში მისვლაც ვერ გაებედა. დღეს დაუყოვნებლივ უნდა გადაწყვეტილიყო ყველაფერი. თამაშის დაწყების წინ ნახავს საითს და ეტყვის, „თოზკოფარანი“ ძალიან ფულს გთავაზობს, თუ ჩვენს გუნდში გადმოდიო. ცხადია, საითი იმ გუნდში დაუბრუნდება, ხოლო თამაშის შემდეგ ორივენი ერთად წავლენ სახლში, [illegible] მორთულია, სევიმის სახლში. სევიმმა დღეს უნდა დაარწმუნოს საითი, თუ როგორ უყვარს იგი. სევიმი ყველაფერს გააკეთებს, რომ საითს მოაწონოს თავი, მოეფერება, მოეალერსება, გაშა ტკბილად ეძახის სევიმ-სვავს! სევიმს დღეს ძალიან ეწადა „თოზკოფარანის“ დამარცხება.

ხალხი უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა სტადიონისაკენ. გულშემატკივრები ისევე უტევდნენ სტადიონის კედლებს, როგორც რამდენიმე საუკუნის წინათ მათი წინაპრები ბიზანტიის დედაქალაქს. დღეს მათ ჩინური კედელიც ვერ დააბრკოლებდა.

სევიმი ისე ემზადებოდა ამ მატჩისათვის, როგორც ბალზე წასასვლელად ემზადებიან ქალები — ჩაიცვა ყველაზე ლამაზი კაბა, ჩამოიკიდა ძვირფასი სამკაულები, ნიშნობის ბეჭედიც არ დაივიწყა. სახლიდან გასვლისას დედამ უკანასკნელი დარიგება მისცა:

— შვილო, კაცს არასოდეს არ უნდა აგრძნობინო, რომ გიყვარს, თორემ თავზე დაგაჯდება. ჭკვით მოიქეცი, შვი...

— შეყო ამდენი ჭკუის სწავლება, — აფეთქდა სევიმი, — შენზე ნაკლებ არ ვიცი ეგ ამბები.

— როგორ მიბედავ, ისე როგორ მელაპარაკები, — აყვირდა მეჭეჭურე ხანუმი, — ერთი ამ უშადურს დამიხედეთ, რა საძაგლობას მკადრებს, როგორ მიბედავს!

— გიბედავ, გიბედავ და კიდევაც გაგიბედავ, — აწივლდა სევიმი, — ყველაფერი შენი ბრალია, ახლა ეს ბიჭი არ მომწონს, ახლა ეს რა სტილიაო, ახლა...

— მიშველეთ, ვკვდები, — იყვირა მეჭეჭურე ხანუმმა, თვალები მიბნიდა და სავარძელში ჩაეშვა.

სევიმს წარბიც არ შეუხრია, ისე გაიჯახუნა კარი და წავიდა.

— შენ დაგიბრმავდეს ეგ თვალები, შენა! — შეუკურთხა მშობელმა დედამ.

სევიმს ვერ გადაეწყვიტა, საით წასულიყო: „თოზკოფარანის“ ბიჭებთან თუ იმ ოტელში, სადაც „პაჯეთბაბას“ გუნდი იყო. „იქაც უნდა მივიდე და იქაც“, ბრძნულად დაასკვნა ბოლოს და „თოზკოფარანისაკენ“ გაეშურა.

— ღმერთი შეგეწიოთ, ბიჭებო! — შესძა-

ხა სევიმმა მოჩვენებითი მხიარულებით „თოზკოფარანის“ ბიჭებს, ოტელში რომ შევიდა.

მაგრამ ბიჭები არც განძრეულან. ვიღაცამ მძიმედ ასწია თავი და ჩაიდუდღუნა:

— ო, ჩვენი სინდის-ნამუსი მობრძანებულა...

— როგორა ხართ, ბიჭებო? — რიხი დაეკლდა სევიმის ხმას.

ახმედი მოტრიალდა, მაგრამ არ წამოდგა.

— როგორც გვიყურებ, ისე ვართ. გუშინ ჩვენს ღრმად პატივცემულ მფარველ ეიუბსულთანს ვეწვიეთ და დღეს ალაჰის შემწეობით უნდა მოვიგოთ.

ახმედის სიტყვებზე ყველას გაეცინა.

— მოდი, ჩემო ლამაზო, გვერდით მომიჯექი, რომ დღეს იღბლიანად ვითამაშო.

სევიმი ახმედს მიუჯდა, მაგრამ მალე მარტოობა იგრძნო. ადრე მოსვენებას არ აძლევდნენ, ელაპარაკებოდნენ, ეხუმრებოდნენ, ახლა კი... წამოდგა და ჩუმად გამოვიდა გარეთ.

ტაქსი დაიქირავა და იმ სასტუმროსკენ გაეშურა, სადაც „პაჯეთბაბას“ გუნდი იყო გაჩერებული.

პორტიემ არ შეუშვა.

— რაო? — გაბრაზდა სევიმი, — რატომ არ შეიძლება შესვლა? რას ჰქვია აკრძალულია, ასეთი წესები ვინ შემოიღო?

— ცოტა ხანს დაიცადეთ და ტომპსონ ბეის ვაცნობებთ თქვენი მოსვლის ამბავს.

— ეგ აქ ვინ არის?

— გუნდის მწვრთნელია.

— მერე და როდის აქეთ დაიწყო ფეხბურთელის საქმეში ცხვირის ჩაყოფა! თუ მწვრთნელია, მოედანზე მიხედოს გუნდს, აქ კი შეეშვას!

ეს სიტყვები მისტერ ტომპსონმაც გაიგონა, სევიმს მიუახლოვდა და უთხრა:

— გამარჯობათ... თქვენ მართალი არის... მე უფროსი... ყველაფერი მეხება... თქვენ საითის ნახვა უნდა?

— დიახ.

— მე ნებართვა მოგეცი თქვენ იმის ნახვა ცოტა ხნით. მალე სტადიონზე მივდივართ... გთხოვთ, მეორე სართული, მცირე სასტუმრო ოთახი.

მცირე სასტუმრო ოთახში რომ შევიდა, სევიმი ადგილზე გაიყინა. საითი და აისელი მაგიდას უსხდნენ და ჩაის შეექცეოდნენ. საითმა რომ სევიმი დაინახა, წამოდგა და ხელი გაუწოდა.

— გამარჯობა, სევიმ.

— მადლობელი ვარ, ჩემი სახელი რომ არ დაგვიწყნია.

საითი გაჩუმდა, სევიმმა ხელი გაუშვა.

— მგონი, ხელი შეგიშალეთ...

— არა, რას ამბობ, მოდი, დაჯექი ჩვენთან, გთხოვთ, — უთხრა საითმა.

— სათვალე რა უყავი? — მოულოდნელად ჰკითხა სევიმმა.

— შენი შემწეობით სათვალე აღარ მჭირდება, მხოლოდ მაგ სათვალეს თუ ვიხმარ, მზის საწინააღმდეგოდ, — გაიღიმა საითმა და სიტყვა სხვაზე გადაიტანა, — მაპატიეთ, ჯერ კიდევ არ გაგაცანით ერთმანეთი.

სევიმმა ჩაიცინა.

— ოი, ალაჰ, ესპანელ აისელს ვინ არ იცნობს?

— რა მოგდით, სევიმ, დღეს, როცა თქვენ ბიჭებს უნდა ამხნევებდეთ, აქ მოხვედით? მისამართი ხომ არ შეგეშალათ? „თოზკოფარანი“ სულ სხვა სასტუმროშია, — თქვა აისელმა.

გაავთრებისაგან კონტროლდაკარგული სევიმი აისელს ეცა და თმაში ჩააფრინდა, თითქოს სწორედ ამას ელოდაო, აისელი მოხერხებულად შებრუნდა და სევიმს ხელი უტაცა. ქალების წივილ-კივილზე ფეხბურთელებმა მოირბინეს, მაგრამ მოჩხუბართა გაშველება არც ერთს არ უცდია. ეს ჯანიანი ბიჭები სიცილით იჭაჭებოდნენ და კიდევ უფრო აქეზებდნენ ქალებს.

— თვალში მოხვდე, თვალში, აისელ!

— აბა, სევიმ, შენ იცი, არ შედრკე!

— ესპანელო, არ გაფუჭდე!

ქალები იატაკზე გაკოტრიალდნენ.

საითი ისე იყო შეძრწუნებული, ადგილიდან ვეღარ დაიძრა. ამ დროს ოთახში ტომპსონი შემოვარდა, ქალების ჩხუბს ყურადღება არც მიაქცია და ბიჭებს უხმო:

— აბა, ჰე, ბიჭებო, ოტობუსი მოიყვანეს, წასვლა! — და ყველა გაჰყარა ოთახიდან. საითსაც ხელი ჩაჰკიდა და ისე გაიყვანა.

ყველანი რომ წავიდნენ, ჩხუბი შეწყდა. ორივე ქალი უგონოდ ეგდო იატაკზე...

პირველად აისელი მოვიდა გონს, დამლოგებულ ქალს დაუძახა და უთხრა: — აი, აქ ჩემი ქმრის ტელეფონის ნომერი წერია, დაურეკეთ და უთხარით, რომ ცუდად ვარ.

# და ჩაესვენა ვარსკვლავი

ხალხით გაჭედილი სტადიონი გუგუნებდა. ერთიმეორის საპირისპირო ტრიბუნებზე მსხდარი გულშემატკივარნი ჯოხს ურტყამდნენ ცარიელ ბიდონებს, კასტრულებს, ქილებს, სტვენდნენ, ყვიროდნენ, საყვირებს აჭყვიპინებდნენ, აბრახუნებდნენ, ლოზუნგებს აფრიალებდნენ.

მოედანზე რომ „ჰაჯეთბაბას" გუნდი გამოვიდა, ერთი ტრიბუნის ხალხი ლამის სტვენით გასკდა, მეორე ტრიბუნაზე კი ტაში ატყდა. ივივე განმეორდა „თოზკოფარანის" გამოსვლაზეც.

პირველი ათი წუთი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, ფეხბურთელები მოედნის შუაგულს არ გასცილებიან. მეთე წუთზე კი ბურთი საითმა ჩაიგდო. „ჰაჯეთბაბას" ქომაგებმა ერთი ღრიალი მორთეს:

— ოფ-ოფ-ოფსაიდ! ოფ-ოფ-ოფსაიდ!!!

საითი მარჯვნივ გავარდა, საჯარიმო მოედანს მიუახლოვდა და ახმედ ქედლის პირისპირ დარჩა. ახმედ კედელი მიხვდა, საითს ბურთს ვერ წაართმევდა, და ისე ძლიერ ჩასცხო წვივში, რომ საითი ტკივილისაგან დაიგრიხა და ადგილზევე ჩაიკეცა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ლურსმანი ჩააჭედეს წვივში. ახმედი რომ ასე არ მოქცეულიყო, საითი ცალად გაიტანდა ბურთს.

— თოჰ, — აღმოხდათ „ჰაჯეთბაბას" ქომაგთ. ახმედი მისცა, მაყურებელი საითს თანაუგრძნობდა, და სულ გაცოფდა, ტრიბუნებს მუშტებით დაემუქრა.

თამაში თანდათან დაძაბული გახდა, „ჰაჯეთბაბა" მეტოქის საჯარიმოს არ სცილდებოდა, ბურთი წუდამ კარიან ტრიალებდა, მაგრამ ანგარიში მაინც „თოზკოფარანმა" გახსნა — ერთ-ერთი შეტევის დროს მათ „ჰაჯეთბაბას" კარში გაიტანეს ბურთი.

პირველი ტაიმი დამთავრდა 1:0 „თოზკოფარანის" სასარგებლოდ. მეორე ტაიმის მეშვიდე წუთზე საითმა საპასუხო ბურთი გაიტანა „თოზკოფარანის" კარში. ამ ბურთმა თითქოს ახალი ძალა შემატა „ჰაჯეთბაბას" გუნდს. ისინი უფრო გათამამდნენ. საითი, დაქერა შეძლებული შეიქნა, ისე მიისწრაფოდა „თოზკოფარანის" კარისაკენ.

— ძალიან ლუსმად თამაშობს დღეს ახმედი, — აღნიშნა რადიოს სპორტულმა კომენტატორმა, — თუმცა მისი ფეხშობა მასვე ვნებს... ვაი, ეს რა ქნა! აი, ახლა ნახავთ თამაშს შეაჩერებს, თუმცა არა! თქვენ ალბათ გესმით, როგორ ბრაზობს მაყურებელი. აი, ბურთი აქვს [illegible], მოატყუა ერთი, მოატყუა [illegible] წინ... ნამდვილად გაიტანს ბურთს... ალაჰ, ალაჰ, ეს ახმედი საიდან გამოტყვრა?! არა, საშინელებაა... ოჰ. ახმედ! ახმედ! როგორ წააქცია საითი ოფსაიდი, ზედ საჯარიმო მოედანზე წააქცია, საითთან მსაჯი მიირბინა... ინიშნება თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა. დასარტყმელად ემზადება „ჰაჯეთბაბას" კაპიტანი ბეშერ ოსმანი. დარტყმა!.. არის! ანგარიში გახდა ორით ერთი „ჰაჯეთბაბას" სასარგებლოდ...

— დიახ, საითი დღეს სასწაულებს ახდენს, — განაგრძობდა კომენტატორი, — როგორც ჩანს, სწორედ ის მოიპოვებს საუკეთესო ბომბარდირის წოდებას. სწორედ საითია მოედნის ბატონ-პატრონი და მთელი თამაშის დირიჟორი. თქვენ ალბათ გესმით, როგორ ხვდება მას მაყურებელი... დიახ, დღეს ძალიან დაძაბული მატჩია. ბრძოლა თანდათან მწვავდება... ო, ბურთი აქვს საითს, მოატყუა ერთი, მოატყუა მეორე, მესამე, მიუახლოვდა კარს... ყოჩაღ, საით, მიდი, საით... ჰა.., დარტყმა! არის! არის!!! ძვირფასო რადიომსმენელებო, ანგარიშია სამით ერთი „ჰაჯეთბაბას" სასარგებლოდ.

„ჰაჯეთბაბა" ჩემპიონი გახდა, საითი კი — „ფეხბურთის მეფე". ამხანაგებმა ხელში აიტაცეს იგი. „თოზკოფარანის" გულშემატკივარნი ისე გაცოფდნენ, რომ მოედანზე ისროდნენ ბოთლებს, ჯოხებს, ქილებს და ყველაფერ ამას საითს უმიზნებდნენ. და აი, საითმა უცებ თავზე წაივლო ხელი, წაიქცა კიდეც. ხელი სისხლით მოესვარა, ბალახზე დააწვინეს და ფეხბურთელები ირგვლივ შემოეჯარნენ.

— არაფერია, არაფერია, — ამბობდა საითი, — მე თვითონ, მე თვითონ... ახლავე. — წამოდგომა მოინდომა, მაგრამ სისხლი ჩქრიალით წამოუვიდა და ხელში აყვანილი გასახდელში გაიყვანეს.

თამაში გაგრძელდა, ტრიბუნებზე ღრიანცელი არ წყდებოდა. ხუთიოდე წუთის შემდეგ საითი თავშეხვეული გამოვიდა მოედანზე. ის დაუოკებლად თამაშობდა, ვერა ძალამ ვერ შეაჩერა და მალე მოწინააღმდეგის კარში ბურთიც გაიტანა.

გაისმა მსაჯის სასტვენის ხმა. თამაში დამთავრდა. მაყურებლები მოედანზე გადმოცვივდნენ, ისინი ვერც პოლიციელებმა შეა-

კვევს და ვერც ჟანდარმებმა. ესენი უმთავრესად „პაჯეთბაზას“ გულშემატკივარნი იყვნენ. „თოზკოფარანის“ მომხრეთა ტრიბუნებზე სამარისებური, ტრაგიკული დუმილი გამეფებულიყო.

მოედანზე ხალხი თანდათან მატულობდა. საითს ეჩვენება, რომ ყველანი მისკენ მორბიან. იგი არ იყო გულადი კაცი, პირიქით — შეიძლებოდა გაუბედავიც კი გეთქვა მასზე, მაგრამ ახლა გაქცევაზე არც უფიქრია, იდგა და შესცქეროდა მისკენ გამოქცეულ ხალხს. რაც მოსახდენია, მოხდესო, ამის გაფიქრებაც ვერ მოასწრო, რომ ათობით ხელმა უცებ ჰაერში აიტაცა. ადამიანები რაღაცას ყვიროდნენ, ხმამაღლა, გულიანად ხარხარებდნენ. მიწაზე რომ დაუშვეს, გადარჩით, გაიფიქრა და გასახვლელისაკენ გაეშურა. მაგრამ ჯერ სად იყო! კვლავ შემოეხვივნენ აღფრთოვანებული მაყურებლები, ტანზე შემოახიეს ტრუსი, მაისური და ნაკუწ-ნაკუწ აქციეს, იქნებ ამ ძვირფასი სუვენირიდან ერთი პაწია ნაგლეჯი მაინც გვერგოსო. ამას რომ მორჩნენ, გასისხლიანებულ სახეზე ეცნენ და თავიდან აგლიჯეს. პოლიციამ ძლივს იხსნა საითი ფეხბურთის ფანატიკოსებისაგან.

პროჟექტორები ჩაქრა და სტადიონი წყვდიადმა მოიცვა. საითი გასახდელისაკენ არ წასულა, მოედნის განაპირას ბალახზე დაჯდა, ხელები მუხლებზე შემოიწყო და დაფიქრდა...

საითი იჯდა და იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ შეელის ფეხბურთი ადამიანებს თავისი მე გამოაჩენუჩროს, გული მოიოხოს, ბოლმისაგან გათავისუფლდეს... აბა, სხვანაირად რით უნდა აიხსნას, რომ ათი ათასობით კაცი მოდის იმის საყურებლად, თუ როგორ ამტვრევს ოცი ყმაწვილი ერთმანეთს თავ-პირს ერთი ციცქნა ბურთისთვის, რომ საპრალონი, ღარიბნი, ავადმყოფნი, უხელონი თუ ცალთვალანი უკანასკნელ კაპიკებს, ერთი კვირის გასამრჯელოს აძლევენ თითო ბილეთში? იქნებ სტადიონი ამათთვის საკუთარი სახლი ან სავადმყოფოა? მაგრამ განა აქ მოსვლა მათ განკურნავთ? განა საზრუნავი აღარ ექნებათ? განა მათ გასაჭირს ბოლო მოეღება? რასაკვირველია, არა, მაგრამ მათ უნდათ გულში დაგუბებულ ბოლმას გზა მისცენ. მართლაცდა, აქ შეუძლიათ თავის ნებაზე იყვირონ, შეურაცხყოფა მიაყენონ მსაჯსაც, ფეხბურთელსაც, გვერდით მჯდომ მაყურებელსაც, ამის მერე ბოლმისაგან დაცლილნი რამდენიმე ხანს მშვიდად არიან. ასე გრძელდება მომავალ თამაშამდე. აი, ამიტომაც უწყობს ხელს მთავრობა ამგვარ სანახაობებს...

საითმა არ იცოდა, რამდენი ხანი იჯდა ბალახზე. სტადიონზე ადამიანის ჭაჭანება არ იყო, უჩვეულო დუმილი [illegible] ირგვლივ. ამ სიჩუმეში [illegible]ვის ტკივილმა. ძლივს წამოდგა და გასახდელისაკენ გაემართა ჩასაცმელად. საითს შეეძლო მეგობრებთან წასულიყო, კარგად იცოდა, სადაც იქნებოდნენ ისინი, მაგრამ არ ისურვა. კარის დაკეტვისას „თოზკოფარანის“ გასახდელიდან ხმამაღალი კვნესა მოესმა. შევიდა და დაინახა, რომ ახმედ კედელს ტკივილისაგან ეკლაკნებოდა. ახმედის ირგვლივ სტადიონის ორი თანამშრომელი ტრიალებდა.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა საითმა ახმედს.

— ცუდადა ვარ... ძალიან ცუდად, — ძლივს თქვა ახმედმა.

— თქვენ გარდა თუ დარჩა ვინმე? — ახლა სტადიონის თანამშრომლებს მიუბრუნდა საითი.

— ქრავენ დარჩა, წავიდნენ!

— რაღაც უნდა ვიღონოთ.

— სასწრაფო დახმარება გამოვიძახეთ, მაგრამ არა ჩანს.

საითი ქუჩაში გავარდა, ტაქსს გააჩერებო. იქ ხევიში და აისელი ელოდნენ. ერთი საკუთარ მანქანაში იჯდა, მეორე — ტაქსში. ორივე ქალი გრძნობდა, რომ დღეს წყდებოდა თვითეული მათგანის ბედი, ვის დარჩებოდა საითი. საითმა იფიქრა, ტაქსი თავისუფალიაო, და იქით გაიქცა. ხევიში მანქანიდან გადმოხტა.

— ჩემო ძვირფასო, ჩემთან წავიდეთ თუ შენს მეგობრებთან? — შესძახა სიხარულით საითს.

საითმა ცივად გადახედა და ხევიშიც მიხვდა, წავაგეო, ამიტომ ზუსტად ისე იქცეოდა, როგორც დღემისი მეჭურე ხანეში კიოდა.

— რაო, რას მომჩერებიხარ, იქნებ არ მოგწონვარ?!

კვლავ წაიძრო თითიდან ნიშნობის ბეჭედი და ზიზღით ესროლა საითს, მერე საჭეზე აიფარა ხელები და აქვითინდა. ალაჰ, რა ეშველება ახლა? არადა, როგორ უყვარდა საითი!

თავისი მანქანიდან აისელი გადმოვიდა და ღიმილით მიუახლოვდა საითს. აისელს უნდოდა ხელკავი გაეკეთებინა საითისათვის, მაგრამ „ფეხბურთის მეფემ“ მოხერხებულად აარიდა თავი და მთელი ძალით დაარტყა ფეხი მანქანას.

ეს იყო საითის უკანასკნელი დარტყმა!..

საითმა ტაქსი გააჩერა დასტადიონზე დაბრუნდა. ახმედი ხელში აყვანილი გამოიყვანა, მანქანაში ჩასვა და საავადმყოფოში გააქანა. ექიმმა საგულდაგულოდ გასინჯა ცნობილი დამცველი და თქვა, თუ სასწრაფო ოპერაცია არ გაუკეთეთ, შეიძლება დაიღუპოსო.

— ჯერჯერობით კი ტკივილის გამაყუჩებელ წამალს შევუშხაპუნებ, დილამდე ჩაიძინებს.

ახმედს რომ უთხრეს, ოპერაცია უნდა გაგიკეთოთო, სულ გაოგნდა საბრალო:

— მორჩა, ყველაფერი დამთავრდა, მე აწი ბურთს ვეღარ მივეკარები. ადრე უნდა მომეტოვებინა თამაში... ვერ გავბედე... რა მეშველება! როგორ ვიცხოვრო?.. თავი რით ვირჩინო?. დიდი მადლობა, საით,— თვალებში ცრემლი ჩაუდგა ახმედს.

— რას ამბობ, ახმედ, მე უნდა ვიყო შენი მადლიერი.

საითი საავადმყოფოდან გამოვიდა. ღელდებოდა. სახლამდე ფეხით მივიდა, გადაწყვიტა. უნებურად ხარ[?]ოდლუთა სასახლისკენ წავიდა; სასახლეს უკვე ანგრევდნენ — მის ადგილას ახალი სახლები უნდა აეშენებინათ. ხვალ ამ სასახლიდან ქვაც აღარ დარჩება. გული[?] მიიწია, მაინც იხეტიალა ბაღში, დაჯდა იმ ქვასთან, სადაც ერთ დროს ჩავარდა, გათენებას დაელოდა და, ცას რომ მტრედისფერი დაედო, მტკიცე ნაბიჯით გასწია შინ.

მიდიოდა და ძველი ჩვეულებისამებრ საკუთარ თავს ებაასებოდა, ხელებს იქნევდა. ამ დილაადრიან ქუჩები ცარიელი იყო, მაგრამ ვინმე რომ შეხვედროდა, საითი უსათუოდ გააჩერებდა და ეტყოდა:

— იცით რა, ეფენდი, მე მგონია, რომ შევცდი, სულ სხვა მხარეს წავედი. ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყო, მაგრამ არ ვიცი, საიდან დავიწყო, ახლა რა ვითამაშო?

მეორე დღეს ყველა გაზეთმა საითი ერთხმად აღიარა „ფეხბურთის მეფედ".

გავიდა კიდევ ერთი წელი და სტამბოლსა და მთელ თურქეთს სენსაციური ცნობა მოედო: „ფეხბურთის მეფემ" უარი თქვა თავის ტახტზე და ფეხბურთს განუდგა.

ყველაზე ნიჭიერმა ერთმა იქირან ბეიმ თავის გაზეთში დაწერა: „და ჩაესვენა ვარსკვლავი... ჩვენი ფეხბურთის ახალი ვარსკვლავი ანთებისთანავე ჩაქრა!"

□

# საიათნოვა

## ლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზერბაიჯანულიდან თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა

### გულო

მამა აბრამივით თუ გსურს იცხოვრო,
რწმენისა იყავი მჭირავი, გულო!
ვერსად ვერ წაუხვალ შუბლზე დაწერილს,
ღვთისა ნუ იქნები მკილავი, გულო!

უმეცარს რად უნდა, რას უზამს ლალსა,
ან კლდეს შეანარცხებს, ან მისცემს წყალსა.
ვაჭარი თუ ვერ სცნობს ხამსა და ზარსა,
შენი ვერ იქნება მსყიდავი, გულო!

გულო, ყური მიგდე, გესაუბრები,
რჩევა უნდა მოგცე, არ გეხუმრები:
მოდი, ავ მასპინძელს ნუ ესტუმრები,
შენთვის შხამიხაა მწიდნავი, გულო!

კაცისთვის ხიკვდილი ჯოჯოხეთია,
წყალზე იქ გადადი, სადაც ხიდია;
თესლს ნუ სთეს, სად კლდე და კოლბოხეთია,
გახმება, წაილებს ჭივჭავი, გულო!

გულო, სულს დაუდგი წმინდა კარავი,
ლუკმა არ ინდომო მონაპარავი.
რა აქვს ხაიათნოვას დახაფარავი,
შენამც არ მომიკვდე, იყავი, გულო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემო ეფენდი

ყური მიგდეთ თქვენსა მონა-მორჩილსა:
თქვენს სიმღერას ყრუ თუნდ ჩქამად ჩათვლის,
ვერ ჩათვლის, ჩემო ეფენდი!
ვინ დათვალოს ჩემი ნამღერ-ნალექსი,—
ცაში ვარსკვლავს განა ვინმე დათვლის კი?
ვერ დათვლის, ჩემო ეფენდი!

მართლის ადგილს ტყუილს უნდა გაძვრენა,
ჭიაყელას გველთან უნდა გაწვდენა,
ბულბულივით ყვავსაც უნდა დასტვენა,
მაგრამ ჩხავილს გალობაზე შესცვლის კი?
ვერ შესცვლის, ჩემო ეფენდი!

მელა მოდის ლომთან ძალის მსინჯველად,
სპილოს სათქმელს დაიკვეხნის ჭიანჭველა,
ედავება ხერხს ტირიფი შიშველა,
ხელეჩოსაც ქვის გათლა სურს, გათლის კი?
ვერ გათლის, ჩემო ეფენდი!

ღვთის ტაძარში შემოსულა წარმართი,
ჯომარდებში გარეულა ნამარდი,
სანთლის ალზე კალიამ ქნას ნავარდი,
ფარვანასებრ თავს სახმილში გაგდის კი?
ვერ გაგდის, ჩემო ეფენდი!

საიათნოვავ, ეშხი უნდა იძიო,
ცრემლის ღვარი თვალზე არ გაიციო.
ბევრი იტყვის, მეც სიმღერა ვიციო, —
მარაქაში ჰანგთა ლაშქარს აშლის კი?
ვერ აშლის, ჩემო ეფენდი!

## გაკადროს

გულო, ვინც ოდესმე ცუდი გაკადროს,
შენ უთხარი: „იცოცხლე შენის თავითა!“
ცუდი თქვას, არ აჰყვე იმას არაკადროს,
შენ იყავ სიკეთით სავსავეთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულნათელს ექნება პირიც ნათელი,
როგორც ნათელია ზეთით სანთელი.
მხხმოიარე ხეა თავის დამხრელი,
მატომაც იქება მუდამ ხვავით.

გაიგე ეს ლექსი, თუ ხარ მისანი,
არა სთქვა: ეს არი, ანდა — ის არი!
სანამ აქა ვართ და ამქვეყნისანი,
იყავი სულიერ საზრუნავით.

გულმართალი კაცი განა წბილი ჩანს,
რძესავით ჩიტისგან მოწველილი ჩანს.
ცოდვა მწარე არის, თუმცა ტკბილი ჩანს,—
ადამი სამოთხით მისთვის გავიდა.

მოდი, სააათნოვავ, დღეის, ხვალისა,
ახლობელ-უცხოსი გქონდეს ხალისი,
ერთხელ შენც მოჰკვდები შესაბრალისი,
თუნდაც რომ ათას წელს იყო ქვა ვითა.

## ნურასა სთხოვ

ნურასა სთხოვ კაცსა ახალგამდიდრებულს,
მაგისათვის ხალხი ქებით დაგამშვენებს;
დამიჯერე, ქალს ნუ ანდობ საიდუმლოს,
ვირზე შეგსვამს, დუნიაზე გაგაჭენებს.

ფირისაგან ღვინო მისვამს ძველისძველი,
ყური მიგდე, რჩევა მოგცე უიჭველი:
ობოლი რომ შეინახო ასი წელი,
სულ ერთია, ბოლოს დანას დაგაღერებს.

ყველა მხედარს როსტომ-ზალად არ იტყვიან,
თუნდ ადუღე, შხამსა თაფლად არ იტყვიან;
სხვათა სარჩოს შენთვის არად არ იტყვიან,—
უსაფქვავოდ წისქვილში ვინ დაგაყენებს.

სულს ევედრე, პურს ნუ აკლებ არსობისას,
როდის წახვალ, რას გაიგებ ამ სოფლისას.
ყური მიგდე: რჩევას ენდე მარტო მისას,
ვინც დაგბადა, ვინც გზარდა და დაგაბერებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საიათნოვაც, სიტყვა გვითხარ სიტყვის დარი,
შეიცანი — ვინ ლაქათა, ვინ რა არი,
აგაცილოს კაცის მტრობა, ქალის შარი,—
დამიჯერე, აგრემც ღმერთი აგაშენებს!

## ამბობენ

ვინ სატრფო არი, ვინ — დოსტი და ვინ — მეგობარი,
ზოგს ვარდი უყვარს, ზოგს — ამბარი, — ამას ამბობენ.
ზოგი — ბულბული, თუთიყუში არი ზოგიცა,
ვისას — ლაბლაბობს, ვისას ყანდის ჭამას ამბობენ.

ზოგი ილხენს და ზოგს აცვია ხევდის თათმანი,
ერთს მისხალი აქვს, მეორეს კი ხუთი ბათმანი.
ორსა დაახრჩობს ერთმანეთის მტრობა ასმაგი —
სიკვდილ-სიცოცხლეს, — თვალის ცრემლით ბანას ამბობენ.

ოქროს ეევნისთვის ჩაუვლია ზოგიერთს ჭანგი,
ზოგი დყანოს სვამს, ზოგსაც ჯავრით დაათრობს ბანგი,
ზოგი საზს უკრავს, ზოგსაც ხელში უჭირავს ჩანგი,
ვინ დროს ატარებს, ვინ — შხამსა სვამს, — ბალღამს ამბობენ.

ზოგსა ხმინავს და ზოგიერთი არი მღვიძარი,
ზოგი მთვრალია, ზოგიერთი ფხიზელიც არი,
ვინ ხელით არი, ფეხით არი — ვინ — სახიჩარი,
კვერცხის მალამოს დაადებენ, — ჩარას ამბობენ.

ეს საიათნოვა ნაჭერია რომელ ფართლისა,
ჰინდს თუ ჰამადანს — მზესა ჰფიცავს რომელ ქამდლისა?
ჩემი სამშობლო თბილისია, მხარე ქართლისა,
დედას — ავლაბრელს, ალაბელსაც მამას ამბობენ.

□

# ბ. ტრავენი

## ინდიელთა მოქცევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

გერმანულიდან თარგმნა გიორგი გოგოჭურმა

ესპანელ ბერს ჰოლცერდეს, რომელიც მექსიკაში ინდიელთა სულის საცხონებლად მისიონერული საქმიანობისთვის იყო ჩასული, ერთ დღეს ერთ-ერთი ტომის ბელადი პლუმა ნეგრა ესტუმრა.

იმ დროს მექსიკაში მოღვაწე მისიონერთა შორის ბევრი იყო ისეთი, ვინც ეკლესიის ძალიერი და პოლიტიკური ძალაუფლების გამტკიცებისათვის კი არ იღვწოდა მხოლოდ, არამედ მიჰყვებოდა სრულიად ჭეშმარიტსა და სასიქადულო ზრახვას — თავიანთ რჯულზე მოექციათ ინდიელები, ცოდვებისაგან ეხსნათ მათი სული და ეჩვენებინათ სამოთხის უმოკლესი გზა. ბევრი მათგანი ისე თავდადებით და უანგაროდ ემსახურებოდა ინდიელებს, რომ ძნელად თუ სადმე მოიძებნება მისიონერთა საქმიანობის მსგავსი მაგალითი. ბერებმა ინდიელები აზიარეს არა მარტო სულის საცხონებელ ჭეშმარიტ მცნებას, არამედ ბევრი რამ ასწავლეს ისეთი, რაც აქ, მიწაზეც არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ინდიელთა გვემული ხორცის გადასარჩენად: შეაჩვიეს ხელსაქმეს და შრომას. მარტო ის რად ღირს, აბრეშუმის ჭიის გამოყვანა, ქსოვა და ქარგვა, ანდა თიხის ჭურჭლის მოჭიქურება რომ შეასწავლეს.

ამიტომაც იქაური ინდიელები თავიანთი ნებით მიდიოდნენ ხოლმე ბერებთან, რათა ახალ სარწმუნოებაზე ქადაგება მოესმინათ. ამ მიზნით ეწვია ახლაც ჰოლცერდეს ტომის ბელადი თავის ორ მხლებელთან ერთად.

ბელადმა ბერს განუცხადა:

— ჩვენს უფროს ღმერთებზე სამდურავი არ გვეთქმის. მაგრამ მათი შვილები, უმცროსი ღმერთები კი ამ ბოლო დროს ბევრ საზრუნავს გვაჩენენ. მიწა რომ გადახმეს და დასკდეს, წვიმის ღმერთი ერთ ცვარსაც არ გაიმეტებს მაღლიდან, ხოლო თუ დარი მოგვენატრა, მშრალი ქარების ღმერთი ახლოსაც არ გაგვეკარება. ასე გადაგვიდგა ზოგიერთი უმცროსი ღმერთი. ახლა ჩემი ტომის უხუცესებმა ითათბირეს და გადაწყვიტეს, მე, პლუმა ნეგრა, გეახლო შენ და მოგისმინო სარწმუნოების მქადაგებელს, შეგვიძლია თუ არა შემოგვთავაზო უკეთესი ღმერთები. თუ შენი ღმერთები ჩვენსაზე უკეთესი აღმოჩნდებიან, მაშინ მათ ვიწამებთ, საკუთარს კი დავივიწყებთ. გველაპარაკე მე და ჩემს მრჩევლებს შენს სარწმუნოებაზე და ყველაფერს, რასაც შენს ღმერთებზე იტყვი, ჩვენიანებს გადავცემთ, ხოლო ჩვენს საბოლოო გადაწყვეტილებას უფრო შესაფერის დროს გაცნობებთ.

მამა ჰოლცერდეს ზედმეტი თავპატიჟი არ გაუდვია, სახარების უმთავრესი ამბები ისე უბრალოდ და მკაფიოდ გადასცა მოსულთ, როგორც ბავშვს მოუყვებიან ხოლმე. ბევრი რამ, რაც მსმენელებს დააბნევდა, შეგნებულად გამოტოვა. აბა, რას მოძღვარი იყო, თუ ყველას შესაფერისად არ აუხსნიდა თავის სათქმელს. ოღონდ ეს აწუხებდა ბერს, ინდიელთა ენაზე უნდა ელაპარაკა, ამ საქმეში კი დიდად არ იყო დახელოვნებული.

ბელადი იჯდა და დუმდა და მოთმინებით უსმენდა, ბოლოს, როცა ბერი ქადაგებას მორჩა, ინდიელმა უთხრა:

— ჩემო კეთილო მეგობარო, ყველაფერი გასაგებია, რაც მე და ჩემს მხლებლებს მოგვიყევი, შემეძლო ახლავე მომეცა პასუხი, მაგრამ ისეთი სიწრფელით ყვებოდი, მეშინია, ჩემი ნაჩქარევი პასუხით თვითონვე არ დამწყდეს გული. ვაითუ, შენი და შენი [illegible] შეუფერებელი რამ წამოსცდეს. მე კი ეს სულაც არა მსურს. მოდი, ღამეს აქ გაათევ [illegible] კარგად აწონ-დაწონი ყოველივეს, რაც ახლა გვითხარი. ხვალ კი დილაუთენია გეახლები და გეტყვი, რასაც მოვიფიქრებ და გადავწყვეტ. მაშინ პასუხი აღარ იქნება ნაჩქარევი, რადგანაც გულის სიტყვას ვიტყვი და უფრო სარწმუნოც იქნება. ამით არც შენ და არც შენს ღმერთებს გულს არ გატკენთ, ვინაიდან ჩემი დამშვიდებული გონების წმინდა ნაყოფს გადმოგცემ, ხოლო თუ კაცი დაფიქრდება და თავის სიმართლეს გულწრფელად იტყვის, ამას არც ერთი ღმერთი არ იწყენს, რადგანაც თვით ღმერთი შთაგვაგონებს ჭეშმარიტებას. რას იტყვით, თანახმა ხართ, ჩემო მეგობარო?

— ოღონდაც, ძმაო ჩემო, — მიუგო მოძღვარმა. — დიახაც თანახმა ვარ. ცათა მეუფე და უბიწო ქალწული წარმართავენ ფიქრთა შენთა, რათა მხოლოდ და ჭეშმარიტსა ზიარებას მიაგნოთ შენცა და შენიანებმაც. გფარავდეს უფალი!

დილით, როცა მოძღვარი წირვას მორჩა და ის იყო, საუზმედ ჯდებოდა, გამოცხადდა ბელადი ორივე მრჩევლის თანხლებით, რათა პასუხი ეცნობებინა. ბერს მაშინვე სურდა საუბრის დაწყება, მაგრამ ბელადმა შეაჩერა:

— ვხედავ, პურის ჭამას აპირებ. უმჯობესია, დამშვიდებულად მიირთვა კერძი, მშიერი რომ დარჩე, აქნებ მერე აჩქარდე. სარწმუნოებაში კი აჩქარება არ ივარგებს. არც ჩემსას გამოდგება და არც შენსას. ისაუზმე და როცა კარგად დანაყრდები, მაშინ ვისაუბროთ.

ბერმა საუზმე მოათავა და ეზოში გავიდა. ბელადი და მისი მხლებლები იქვე, ხის ძირში ჩამოსხდნენ, სამლოცველოს კარიდან. ბერი არ ჩქარობდა და არც ინდიელს ეკითხებოდა რამეს. იჯდა და იცდიდა, სანამ ინდიელი თვითონ არ დაიწყებდა საუბარს. მაშინ თქვა ტომის წინამძღოლმა:

— მე კარგად ავწონ-დავწონე გუშინდელი შენი ნათქვამი, როგორც გპირდი. შენმა ღმერთმა თავი გაამათრახებინა ხალხს. მართალს ვამბობ თუ არა?

— დიახ, რათა ცოდვანი ამა სოფლისანი თავად ეტვირთა, — მიუგო მოძღვარმა.

— ნება მისცა, ტალახი ესროლათ მისთვის, ლანძღვითა და ფურთხით შეებილწათ, გაემასხრებინათ, მერე კი სულელ მეფესავით ქვეყნის სასაცილოდ თავზე ეკლის გვირგვინიც დაადგეს. ასეა თუ არა?

— დიახ, რათა ადამიანთა ცოდვები თვითონვე ეტვირთა, — შეაგება პასუხი მღვდელმა.

— თავი მიალურსმნინა ძელზე და შარიანი ძაღლივით მოკვდა სამარცხვინოდ. მართალია თუ არა?

— დიახ, რათა ცოდვებისაგან ეხსნა ადამიანები, — უპასუხა ბერმა.

ტომის ბელადმა მშვიდად მიუგო:

— აი, რა შთამაგონა ღმერთმა წუხელ: ისეთი ღმერთი, რომელიც ადამიანებს იმოდენა კრძალვასაც ვერ ჩაუნერგავს, რომ მისი ლანძღვა, ფურთხება და ტალახით მოსვრა ვერ გაბედონ, ინდიელის ღმერთი ვერ იქნება. ვინც საკუთარ თავს ვერ დაიცავს, იმას არ უდგას წითელი სისხლი და არც მამაცია. ასეთი ღმერთი ინდიელის ღმერთი ვერ იქნება! ვისაც არც სურვილი აქვს და არც უნარი, თავი დაიხსნას ძელიდან, რომელზედაც თვითონვეა მიჭედილი, იგი სხვას როგორღა იხსნის. ასეთი ღმერთი ინდიელის ღმერთი ვერ იქნება! ვინც დედაბრული მოთქმისა და წუწუნის გარდა ვერაფერს ახერხებს, ძელზე გაკრული, ინდიელის ღმერთი ვერ იქნება!

ბელადი არ ცხრებოდა, ვერც ბერმა გამოიჩინა ისეთი მოთმინება, როგორც გუშინ ინდიელმა. შუა საუბარში ჩაეჭრა წინამძღოლს:

— ჩემი ღმერთი ჯვარს ეცვა, რათა ეხსნა ადამიანები. იგი ეწამა, რათა ყველას სანაცვლოდ თვითონ წამებულიყო.

ამაზე ბელადმა უთხრა:

— გამოდის, შენი ღმერთი ყოვლისშემძლეა და უსაზღვრო სიყვარულის მომნიჭებელი, ასეა?

— დიახ, სრული ჭეშმარიტებაა.

— თუ ნამდვილად ყოვლისშემძლეა, მაშინ რად არ იხსნის ადამიანებს ყოველგვარი ცოდვისა და დანაშაულისაგან ისე, რომ არ ეწამოს, არც გამანადგურებელ და [illegible]-[illegible]რებაში დალიოს სული? და თუ იგი მართლაც უსაზღვრო ურთიერთსიყვარულის ღმერთია, რატომ აგდებს ადამიანს ცოდვაში და, საერთოდ, რატომ აჭაჭანებს ცოდვას ამქვეყნად? ნუთუ მხოლოდ იმისთვის, რომ მერე თავისი უზადრუკი გულმოწყალება გამოაჩინოს? ტაკიმასხარა ვერ იქნება ინდიელის ღმერთი!..

— მაგრამ, — შეაწყვეტინა კვლავ ბერმა, — ღმერთმა ასე იმიტომ მოაწყო, რომ ყოველმა ადამიანმა თვითონ დაიმკვიდროს სასუფეველი ცათა შინა რწმენითა და მონანიების გზით.

ხოლო ინდიელმა დინჯად დასძინა:

— რად მოეუართოთ ასე შორიდან, ჩემო მეგობარო? რაღა ტანჯვა-წამებით მოვიპოვოთ ეს სასუფეველი, რომლის მოცემა ისედაც შეუძლია უსაზღვროდ მოყვარულსა და ყოვლად ძლიერ ღმერთს. განა ლედაჩემმა სიყვარულით არ მარგუსა კოველივე? სიყვარულით და თანაც უსასყიდლოდ. კითხვით კი ერთხელაც არ უკითხავს, ვიმსახურებ თუ არა ამ სიყვარულს, მწამს თუ არა მისი, ანდა თაყვანს ვცემ თუ არა დედაჩემს. ყოველივე სიყვარულით გაიმეტა ისე, რომ არც უანგარიშია და არც უვაჭრია. და მაშინაც ასე იქამდა, მე რომ იგი, დაე, ღმერთმა დამიფაროს — მელანძღა, გამებრაზებინა, ანდა მეცემა კიდეც: დედაჩემი შენს ღმერთზე დიდია, რამეთუ მის სიყვარულს არა აქვს საფასური და მის შენდობას — საწყაო, რამეთუ არ არის დახარბებული ლოცვასა და აღიარებას.

მოძღვარმა აქ სათქმელს გადაუხვია და სიტყვა ისე წარმართა, იმედი ჰქონდა დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა ინდიელზე, და თქვა:

— ჩემი ღმერთი ისე არ გარდაცვლილა, როგორც შენ ფიქრობ. ცხადია, კარგად ვერ გაგიგია. ჩემი ღმერთი მესამე დღეს აღსდგა და ცად ამაღლდა ნათლითმოსილი.

— რამდენჯერ? — ცივად მოუჭრა ბელადმა.

— ცხადია, მხოლოდ ერთხელ, — უპასუხა შეცბუნებულმა ბერმა.

— და ის, ეს იგი, შენი ღმერთი, ამის შემდეგ არც ერთხელ აღარ მობრუნებულა?

— არა, — აღიარა ბერმა, — აღარ მობრუნებულა, მაგრამ დატოვა აღთქმა, რომ ოდესმე გამოგვეცხადება, რათა განიკითხოს და რათა...

— რათა შეაჩვენოს, არა? — აღარ დაასრულებინა ინდიელმა.

— დიახ, — ცოტა არ იყოს აწრიალდა ბერი, — დიახ, რათა შეაჩვენოს ყველა და ყოველნი, რომელთა არა ირწმუნეს იგი, რომელთა ყურნი დახშულან სიტყვათა მისთა სასმენად და გული უცხოა წმინდისა ზიარებისათვის, თუმცაღა, გაშლილითა ხელითა მიერთმევას და არცა რაი საზღაური მოეთხოვების.

ბელადს არ გადასცდენია ბერის მღელვარება. ბერი რომ ლაპარაკს მორჩა, ინდიელმა ისევ მშვიდად უთხრა:

— აი, რა ჩამიდო წუხელ ღმერთმა გულში, როგორც საბოლოო სიტყვა: ჩემი ღმერთი ყოველ საღამოს კვდება ჩვენთვის, თავისი ინდიელი შვილებისათვის, რომ ამით სიგრილე, **მშვიდობა და მოსვენება მოგვიტანოს.** იგი ჩაესვენება დიდებულად, ოქროს ბრწყინვალე ფრთებზეა და არა გამასხრებული, ან ნასროლი ტალახით შელანძღული. გარდაიცვლება ისეთი სილამაზით, რაიც ნამდვილად დიდებულ მეუფეს შეეფერება. მაგრამ დილით კვლავ აღსდგება მიცვალებულთა საუფლიდან, ჯერ დილის ბინდბუნდის მკრთალი ზეწრით მოსილი, ხოლო შემდეგ ოქროს შუბების ტრიალით აინთება ცის კაბადონზე, ლურჯი ჰაერის ზღვაში ღრუბლებთან მოთამაშე წამოიმართება დიდი, ბრწყინვალე და ძლიერი, რათა სინათლე, სითბო, სილამაზე და ნაყოფიერება გამოგვიგზავნოს, ყვავილებს ფერი და სურნელება მისცეს, ფრინველებს საამო **გალობა ასწავლოს, სიმინდის ღეროებს ძალა და სისავსე** მიანიჭოს, ხოლო ნაყოფს სიტკბო და მაცოცხლებელი ნექტარი ჩააწუროს. ზუსტად ჩემს საყვარელს დედას ჰგავს ჩემი ღმერთი, ალალი, მართალი, პურადი, არც ვინმეს შემჩვენებელი, არც ვინმეს დამლოცველი, არც ლოცვა-ვედრებას დანატრებული. ხოლო როცა კვლავ მოახლოვდება ღამე და დაჰკრავს ჟამი მისი, სიკვდილისა, ჩაესვენება, ოქროს სარეცელში არა წყევლა-კრულვით გაპიროტებული, არამედ

ნეტარი ღიმილით გახსხივოსნებული დალოცავს და ადიდებს თავის ინდიელ შვილებს; ადიდებს იმიტომ, რომ დილით ასევე მოევლინოს ციდან მუდამ ახალი, მუდამ [illegible], მუდამ მბრწყინავი, მწყალობელი და განახლებული ღმერთი ინდიელთა! აი, ასეთი საზეიმო სიტყვა შთამაგონა ღმერთმა: „არ გაცვალო შენი ღმერთი, ჩემო კეთილო შვილო, [illegible]ზობს შენს ცხოვრებას უკეთესს, მასავით ლამაზი, მასავით ხელშეხებელი, [illegible]. ამ სამყაროში არ არის სხვა ღმერთი მსგავსი ინდიელთა ღმერთისა".

და როცა ბელადმა თქვა თავისი სათქმელი, მღვდელმა მოასხურა მოძღვარ ბილეერებს შეგონებული მიღებისათვის. შემდეგ ჭილოფი დაახვია, რაზედაც იჯდა, მხარზე გადაიკიდა და მსლელებთან ერთად თავისი ტომისაკენ მიმავალ გზას დაადგა.

შინ დაბრუნებულმა მაშინვე ტომის ყველა მამაკაცი ახმობინა და მისიონერთან სტუმრობაზე უამბო. აქაურები გრძელი სიტყვის მოკლედ თქმას იყვნენ ჩვეულნი და სხვისგანაც ამასვე მოელოდნენ. მაგრამ ამჯერად მართლა გაოცებული დარჩნენ, როცა მოკლე და გასაგები სიტყვა მოისმინეს წინამძღოლისაგან ასეთი ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი მოლაპარაკების თაობაზე.

წინამძღოლმა შლუტა ნეგრამ თვალი მოავლო ხელგაშლილ თანამოძმეებს და წყნარად წარმოთქვა:

— გაცვეთ, არასოდეს გაუცვალოთ სხვას მოწყალე ოქროსფერი საშინელის ტარიგებით სავსე გადირი ისეთ პარამოკრულ გოდორზე, რომელშიაც რა არის, არ იცით.

ეს ტომი ხაყრა მაღრეს ჩრდილოეთით ბინადრობს და ჯერაც არ სცნობია მაღლა წმინდა ზიარებისა. კათოლიკურმა ეკლესიამ, რომლის ავტორიტეტი სწრაფად ეცემა, იმ ეკლესიამ, რომელიც მძლავრობის ქომაგობას ჩემულობს, ორიათასი წლის მანძილზე ვერ მოუტანა კაცობრიობას ვერც მშვიდობა და ვერც თავისუფლება. ამიერიდან იმასაც დაკარგავს, რომ ამ ტომის შვილებს და სხვა, ორმოცდაათიოდე ტომის ინდიელებსაც [illegible] სამოთხეში იხალავს, როგორც არფაზე ან ფლეიტაზე დამკვრელ ფრთოსნებს. ხოლო ჩვენ, ვითარცა ჭეშმარიტ ქრისტიანებს შეეფერება, ძალგვიძს, სხვათა სურვილის კვალობაზე, ყოველთვე აღვტანოთ ღრმა მორჩილებით და უღრესი თვინიერებით. ალელუია!

# ლეონარდ მოსლი

## გზა კრალისაკენ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან

თარგმნა ალექსანდრე ჩიქვაიძემ

### „როდემდე გასტანს ეს ფარსი?"

ეს მოხდა 1938 წლის 3 ოქტომბერს. უკვე ორმოცდარვა საათი იყო გერმანიის ჯარები ჩეხოსლოვაკიაში სუდეტის ოლქის რაიონებს ეპატრონებოდნენ. გზად ისეთი არეულობა სუფევდა, ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა. დიდი გერმანიის (ასე უწოდებდნენ გერმანიას ავსტრიის შემოერთების შემდეგ) შეიარაღებული ძალები, რომლებმაც პოლკოვნიკ ლინდბერგსა და ინგლის-საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვეს და ახლა, მიუნხენის ხელშეკრულების დადებისთანავე, ჩეხოსლოვაკიაში შეიჭრნენ, იმ კაცს მოგაგონებდათ, ზარის ხმაზე კარის გასაღებად რომ გარბის და თან შარვალს ფაცაფუცით იკრავს. ღმერთმა უწყის, რა მოხდებოდა, საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო და გერმანელებს ჩეხოსლოვაკიისაკენ გზა უბრძოლველად ვერ გაეკაფათ.

მართალს ბრძანებდა გერმანელი გენერალი ვალტერ ფონ რაიჰენაუ, გერმანიის მთელ არმიას მუშკეტერით შეიარაღებული ერთი ჩეხი გლეხიც კი კუდით ქვას ასროლინებდაო. რაიჰენაუ გენერალური შტაბის იმ მცირერიცხოვან ოფიცერთაგანი იყო, ვინც ნაციზმს გულმხურვალედ ეთაყვანებოდა, ჰიტლერი თავის კერპად მიაჩნდა და მის სამსახურში ათენ-ალამებდა. სწამდა ფიურერის პოლიტიკისა და არასოდეს შეუშლია ხელი მისი განხორციელებისათვის. ამიტომ იყო, რომ მიუნხენის მოლაპარაკების წინა დაძაბულ დღეებში, ჰიტლერის წინააღმდეგ შეთქმულებაში რაიჰენაუს ჩათრევა გულშიც არავის გაუვლია. შეთქმულებს თავზე ხელი რომ აეღოთ და ასეთი რამ შეეთავაზებინათ კიდეც, რაიჰენაუ უთუოდ ზიზღით უარყოფდა მათ წინადადებას, რადგანაც თავისი კოლეგებისგან განსხვავებით მას სულაც არ ეშინოდა, დასავლეთის სახელმწიფოები ჩეხოსლოვაკიაში გერმანელთა შეჭრის გამო საქმეს ომამდე მიიყვანენო. ჰიტლერივით მასაც ბრმად სჯეროდა, რომ დემოკრატიული ქვეყნები სულს ლაფავდნენ და იხრწნებოდნენ, რომ დასავლეთის სახელმწიფოები ომს არამც და არამც არ წამოიწყებდნენ, სანამ უშუალოდ მათ არ დაესხმოდნენ თავს, — ასეთ ვითარებას კი რაღაც პირი არ უჩანდა.

მაგრამ თვით რაიჰენაუსაც არ ეგონა, გერმანიის სამხედრო ძალები, რომლებმაც 1 ოქტომბერს გადალახეს ჩეხოსლოვაკიის საზღვარი, ამ კომპანიას ასე მოუმზადებელი და დეზორგანიზებული თუ შეხვდებოდნენ, გერმანიის ჯარებს წინ ათასი დაბრკოლება ეღობებოდათ, კავშირი წამდაუწუმ წყდებოდა. სარემონტო პერსონალის უნიათობის გამო სატანკო კოლონები საათობით იდგნენ ერთ ადგილზე. ბენზინის ჩასასხმელი პუნქტები ზოგი ალთას იყო, ზოგი — ბალთას. „მწვანე გეგმის" (ასე ეწოდებოდა ჩეხოსლოვაკიის დაპყრობის გეგმას) მომზადებას ერთ წელზე მეტი მოანდომეს, 1938 წლის მთელ ზაფხულს რეპეტიციას გადიოდნენ, მაგრამ ჰიტლერელებმა ჭკუა ვერა და ვერ ისწავლეს.

გენერალი რაიჰენაუ, რომელიც მე-4 არმიას სარდლობდა და ქალაქ აშიდან ავსტრიის საზღვრამდე ბოჰემიის ოკუპაციას აწარმოებდა, კოლონის მეთაურთა არაკომპეტენტურ-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საუნჯე" № 1

ტურობამ მოთმინებიდან გამოიყვანა. ჩეხოსლოვაკიის არმიას მაშინვე ფარ-ხმალი რომ არ დაეყარა, რაიჰენაუს თავი საქვეყნოდ მოეჭრებოდა.

ბენეშის მიერ მიუნხენის მოთხოვნილებათა მიღებისთანავე პრაღიდან ბრძანება მოვიდა, ჩეხოსლოვაკიის არმიასა და სამხედრო-საჰაერო ძალებს თავიანთი ბაზებიდან ფეხი არ მოეცვალათ. აბა რას იფიქრებდა გერმანიის უმაღლესი სარდლობა, რომ ჩეხოსლოვაკიაში შესვლისას ერთ პატარა წინააღმდეგობას მაინც არ წააწყდებოდა. ჩეხი ოფიცრები და მათი ხელქვეითები ამ ბრძანებას მკაცრად, უსიტყვოდ ასრულებდნენ. სუდეტის ოლქიდან გერმანიის საზღვრის გასწვრივ გადაჭიმული ბრწყინვალე თავდაცვითი ნაგებობანი და ბოჰემიის მთაგრეხილთა ციცაბო ფერდობები თავდაცვის შესანიშნავ პირობებს ქმნიდნენ.

ჩეხოსლოვაკიის ქვეითი ჯარი და არტილერისტები ბუნკერებიდან კრიჭაშეკრული გამოდიოდნენ და ყაზარმებს აფარებდნენ თავს. მფრინავები საბრძოლოდ გამზადებულ თვითმფრინავებს აეროდრომებზე ტოვებდნენ, თვითონ კი სასადილოებში იკრიბებოდნენ და გაოგნებული ბრენდს ეძალებოდნენ. ჩეხებმა შვიდას ორმოცდაათი ათასკაციანი ქვეითი ჯარის მობილიზაცია მოახდინეს. ათას სამას სამოცი საბრძოლო თვითმფრინავი მზად იყო გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების წინააღმდეგ გასალაშქრებლად და, ვიდრე მიუნხენის შეთანხმების ამბავი გახმაურდებოდა, ყველას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაეცვა თავისი ქვეყნის სუვერენიტეტი. ახლა კი, ორმოცდარვა საათის შემდეგ, ისინი მოთმინებით ელოდნენ გერმანელთა შემოსვლას.

ადოლფ ჰიტლერმა საზღვარი ვილდენაუსთან გადალახა და ტრიუმფით ჩაუარა სუდეტელ გერმანელებს, აღტაცებული შეძახილებით რომ ეგებებოდნენ თავიანთ ფიურერს. ჰიტლერს აინუნშიც არ ჩაუგდია გზისპირად უპატრონოდ დაყრილი ტანკები და საწვავის უქონლობის გამო გზადგახერგილი მანქანები. მთებში, კარლსბადის თავზე განლაგებული ჩეხთა ბუნკერები კი ყურადღებით დაათვალიერა და გენერალ რაიჰენაუს მხარზე ხელი დაჰკრა. ფიურერი სიხარულით ცაში დაფრინავდა. ამ შეუვალ სიმაგრეებს ასე უბრძოლველად რომ დაეპატრონა. „აბა ერთი ვნახოთ, რითაა ნაგები, — შესთავაზა ფიურერმა გენერალს. — მიდით, რამდენიმე ყუმბარა ესროლეთ".

ერთ-ერთი ბუნკერის წინ, ასე სამასი მეტრის დაშორებით, ტანკი ჩააყენეს და ბუნკერს ჭურვები დაუშინეს. სანამ ზედიზედ ხუთჯერ არ გაისროლეს, კედელს ძვრა ვერ უყვეს. ჰიტლერი ერთხანს ჩაფიქრებული იდგა, მერე გამხიარულდა და სიცილი აუტყდა: „ბეტონის სიმაგრეს რა ჭკუა აქვს, თუ ნებისყოფა ღალატობს!"

როცა ისინი კარლსბადში ბრუნდებოდნენ, გზები უკვე ჩეხი ლტოლვილებით იყო სავსე. ისინი სუდეტის ოლქიდან აღმოსავლეთისაკენ, საკუთრივ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიისაკენ გზას რის ვაი-ვაგლახით იკაფავდნენ. ჰიტლერმა თვალი ჰკიდა, ზოგიერთი გერმანელი ჯარისკაცი ლტოლვილებს ცხელი წვნიანითა და პურის ნატეხით რომ უმასპინძლდებოდა და მაშინვე წარბები შეიკრა: „მაშ ეს საქმეა?! ჩვენი ბარაქიანი გერმანული პური ამ ღორებს უნდა ჩაახეთქონ?" — მიუბრუნდა იგი გენერალ რაიჰენაუს.

მას აზრადაც არ მოსვლია, რომ ეს პური გერმანელების წაგლეჯილი ჩეხების ნაოფლარი გახლდათ. თითქოს ბაიბურშიც არ იყო, ჩეხებს მამაპაპისეული კერიდან აღმოსავლეთისაკენ ასე ცარიელ-ტარიელებს რომ აპანღურებდნენ. მიუნხენის მოლაპარაკების თანახმად, მათ ავეჯი და მთელი ავლა-დიდება ადგილზევე უნდა დაეტოვებინათ. ცხენებისა და ძროხების წაყვანის უფლებაც არ ეძლეოდათ. ამიტომაც პლზენისკენ მიმავალ ლტოლვილებს გზად ესესელებით დაკომპლექტებული ეინზაცკომანდოს საკონტროლო პუნქტებში საგულდაგულოდ ჩხრეკდნენ. აქაოდა, ხელს არაფერი გაატანონო.

სუდეტელ გერმანელებს, ვინც პრაღისკენ გაპარვას დააპირებდა, სულ თავბედს აწყევლინებდნენ, უმრავლესობას დასავლეთისაკენ — დახაუსა და ოსნაბრიუკის საკონცენტრაციო ბანაკებში ერეკებოდნენ.

3 ოქტომბერს გერმანელმა რაიჰენაუმ კარლსბადის სასტუმრო „პარკ-ოტელში" დაიდო ბინა, თავის დამქაშებსაც იქვე მიუჩინა ადგილი და სასტუმროში გადანახულ შამპანურს მიეძალა.

სასტუმროს ვეებერთელა ჰოლში გამოჭიმული თავის ამფსონებს ხრინწიანი ხმით უყვიროდა: „ასეთ სასაკლაოს ჩემს სიცოცხლეში არ მოვსწრებივარ! რა იციან ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა, როგორი გვაქვს მონასტერი არეული! ბენეშს ჭკუა რომ ჰქონოდა, უთუოდ შეგვებრძოლებოდა!".

მისი თანამესუფრე — მაიორი ჰანს გროსკურტი — აბვერიდან გახლდათ, როგორც

კი ვერმახტის პირველმა ქვეგანაყოფებმა საზღვარი გადალახეს, გროსკურტმა თავის ორ შეფთან — ადმირალ კანარისთან და პოლკოვნიკ ჰანს ოსტერთან ერთად მთელი სუდეტის ოლქი შემოიარა. დასავლეთ რაიონებში ნანახმა სურათმა რაიჰენაუსავით ისიც შეაცბუნა, მაგრამ გროსკურტს ჯარებში გამეფებულ დეზორგანიზაციაზე მეტად ჰიმლერის შეიარაღებულ მე-4 დივიზიის შემადგენლობაში მოქმედ ქვეგანაყოფთა საქმიანობა აოცებდა.

„ესესის პოლკის გერმანული ჯარისკაცები მხეცურად უსწორდებოდნენ და არბევდნენ ყველას, ხალხს შინიდან გარეთ ერეკებოდნენ, — წერდა იგი თავის პატაკში, — [illegible] ჩემი თვალით ვნახე ერთი საცოდავი გოგონა, რომელიც ამ გაიძვერათა ხროვას [illegible] უპატიურებინა. ჯერ მამა მიეხვრიტათ. საპირფარეშოში გამომწყვდეული დედამისის კივილი ცასა სწვდებოდა. როგორც ჩანს, ეს გოგო ჩეხი იყო. ჯარისკაცებს კი გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობები, თითქოს ჩეხები მხეცურად ექცეოდნენ ჩვენს ძმებს (სუდეტელ გერმანელებს), მართალი ეგონათ. მაგრამ ფერმა, სადაც ეს გოგო და მისი ოჯახი ცხოვრობდა, მაინც არ უნდა გადაებუგათ. ასე განსაჯეთ, ამას ქონების განიავება ჰქვია, რამეთუ ფერმა შეიძლებოდა სუდეტელი გერმანელისათვის გვეჩუქებინა".

მაგრამ ვინზალცკომანდის ჯარისკაცები და გესტაპოს აგენტები, რომლებიც ესესელთა პოლკის ქვეგანაყოფს კუდში სდევდნენ, დიდად არც სუდეტელი გერმანელების ღირსებას დაგიდევდნენ. იმ დღეს დილაადრიან გროსკურტი სუდეტელ გერმანელთა მეთაურის მეუღლეს სწვევია. ქალს დარდისაგან ღანა პირს არ უხსნიდა თურმე, ქმრის ბედი აწუხებდა. საშველს არ აძლევენ, მისი თავიდან მოშორება სწადიათო, — შეუჩივლია. — გესტაპოშიც იმდენი მტერი ჰყავს, რამდენიც ჩეხებს შორის.

გროსკურტს თავდაპირველად ეგონა, ქალი ალბათ ცოტას აზვიადებსო. მაგრამ ქალაქ ეგერში, კარლ ფრანკთან, ჰენლაინის მოადგილესთან, მოსათათბირებლად რომ ჩავიდა, სუდეტელ გერმანელთა ხელმძღვანელის წინააღმდეგ გაჩაღებულ ავბედით კომპანიაზე იქაც სიტყვა გადაუკრეს. განრისხებული ფრანკი სუდეტელ გერმანელთა მასობრივ დაპატიმრებას გესტაპოს აბრალებდა. მათ აქ რაიხის გერმანელების ჩასახლება სურთ. სამუშაოსაც იმათ მისცემენ, ჩვენ კი მშრალზე დაგვტოვებენო, — ბობოქრობდა იგი. „იცით რას გეტყვით, უკვე იმ დასკვნამდე მივედივარ, რომ ჩეხებთან ბრძოლა ზღვაში წვეთი იქნება, ისეთი ცხარე ომის გადატანა გველის. ჩვენ ჩვენი სამუშაო და მიწები კბილით უნდა დავიცვათ, რათა რაიხის გერმანელებმა არ გაგვაპანღურონ".

გროსკურტმა თავის დღიურში ჩაწერა: მარიენბადში რომ ჩავედი, გენერალ რაშიკსა და პოდპოლკოვნიკ კელერს, აბვერის სპეციალური ჯარების ნაწილის მეთაურს, ვესაუბრე. აღშფოთებას ვერ ფარავდნენ, რადგანაც გესტაპოს უკვე მოესწრო სუდეტელ გერმანელთა პარტიის რამდენიმე წევრის დაპატიმრება. ფრანკმა ეგერშივე შემოგვჩივლა, სერიოზულ დაბრკოლებებს ვაწყდებითო. ისიც გაეგო, რომ CD-ს (უშიშროების სამსახურის) ორ ოფიცერს ჰენლაინი ჭირის დღესავით სძულდა. ავსტრიის გენერალური შტაბის ყოფილ ოფიცერს, სუდეტის მხარის გამგებელს, ჩეხეთის სენატში სუდეტის წარმომადგენელს გაულაიტერ ფრანკსაც ვესაუბრეთ. მანაც გამოთქვა საყვედური გესტაპოელებზე. მაგ თაღლითებმა ყველაფერი წყალში ჩაგვიყარესო... არც ის დაუმალავს, რომ ჰენლაინის წინააღმდეგ ახალი კომპანია მზადდებოდა და სულ მალე ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ბინძური ომი უნდა გაჩაღებულიყო. ეს ამბავი არმიის ჯგუფის ხელმძღვანელსა და კარლსბადის შტაბის უფროსს დაუყოვნებლივ უნდა მოვახსენოთო, — უთქვამს მას.

და ახლა გროსკურტი კარლსბადში სასტუმრო „პარკ ოტელში" იმიტომ ჩამოსულიყო, რომ ეს ყველაფერი გენერალ რაიჰენაუსათვის ეცნობებინა, მაგრამ ცხენზე მჯდომი გენერლის ამღვრეულ თვალებს რომ შეხედა, იფიქრა, ახლა ჩეხების ან სუდეტელი გერმანელების გამოქომაგების დრო არ არისო. რაიჰენაუმ ვემოწმე შეახურა თავისი ყეყეჩი ჯარისკაცები სუდეტში ჯარის შეყვანის დროს გამოჩენილი უთავბოლობისათვის და შემდეგ ორ საყვარელ თემაზე, ჰიტლერსა და საკუთარ თავზე ჩამოაგდო სიტყვა.

„აბა ერთი წარმოიდგინეთ, — თქვა მან, — ჩეხოსლოვაკია ისე ჩავიგდეთ ხელში, თოფიც არ გაგვისვრია. განა მიკვირს? ჩემი ფიურერია ამ გამარჯვებების სულისჩამდგმელი. იგი ისე გაბედულად აგორებს კამათელს, რომ წააგოს კიდეც — რასაც შეიძლება დასავლეთის ქვეყნებთან ომი მოჰყვეს — შიშით მაინც არაფრისა ეშინია. იცით, რას გეტყვით, გროსკურტ, ფიურერი რომ პოკერით იყოს გატაცებული, ყოველ საღამოს ათიათასობით მარკას მოიგებდა, — მან შამპანური მოსვა და გაიცინა, — მაგრამ ახლა მას უფრო დიდი მოგების იმედი აქვს. დიახ, რასაკვირველია, ჯერ სადა ხართ, სუდეტი პირველი ეტაპია. ერთ საიდუმლოს გაგანდობთ: სულ მალე ფიურერი მთელი ჩეხოსლოვაკიის

საკითხის მოგვარებას აპირებს, მაგრამ იცოდეთ, ეს წვეთია ზღვაში. ცოტა მოითმინეთ, ნახავთ რა მარიფათსაც გამოაჩენს, მალე სხვებსაც ასევე წამოვაჩოქებთ".

რაიჰენაუს აბვერის ოფიცერმა თვალი თვალში გაუყარა და ლასტუნის ქუდივით თავი დიდის ამბით დაუქნია, მერე გაკადნიერდა და შენიშნა: ჯერჯერობით ფიურერის პოლიტიკა გერმანელი ძმების რაიხის შემადგენლობაში შეყვანას ისახავს მიზნად, რაც შეეხება ჩეხოსლოვაკიის დანარჩენ ტერიტორიას, საქმე სხვაგვარადაა [illegible] მისი ხელშეუხებლობის გარანტიაა მიცემული და ამჟამად დასავლეთი [illegible] აგრესიულ აქტს უპასუხოდ არ დატოვებსო.

„მაგისი შხო ვინ მისცათ! — გაწიწმატდა რაიჰენაუ: — გასდათ ვითხრათ, რას ფიქრობს ფიურერი ჩემბერლენსა და დალადიეზე? ჩემბერლენი მოხრწნილი ბებერია და ფიურერმა თუ მოინდომა, ადვილად ამოსდებს ლაგამს, დალადიე კი ხაბაზების[1] უსტაბაშია და სხვა არაფერი. დამიჯერეთ, ომი არ იქნება".

რაიჰენაუ ღვინოს ეძალებოდა, თან ტრაბახით იკლებდა იქაურობას — ჰიტლერს მზე და მთვარე ხუმზე ამოსდის და მალე დამპყრობლურებს კიდეც. შემდეგ ქებას მოჰყვა, ძალაუფლებას ხელში რომ ჩაიგდებ, გენერალურ შტაბს ზურგზე ზოლს ავადენო. გროსკურთმა გენერალი მიატოვა და კარლსბადის მთავარ ქუჩას დაადგა. წლიდრაულად მორთული ბალნეოლოგიური სამკურნალოს წინ, სახელდახელოდ გამართულ ესტრადაზე გერმანელების ორკესტრი უკრავდა. ერთ დროს აქ კაიზერი ვილჰელმი, მეფე ედუარდ VII და ხიერისის ქარებით დასნეულებული ევროპელი არისტოკრატები დასეირნობდნენ, ახლა კი, საითაც არ გაიხედავდით, ყველგან ყავისფერხალათიანი და შავმუნდირიანი გაბღენძილი ესესელები იდგნენ, ფაიფურის დოქებით ხელში, მინერალურ წყალს მიირთმევდნენ. ზოგიერთებს მეუღლეებიც წამოეყვანათ, ზოგსაც მიჯნური ახლდა. აღტაცებული ქალები სავაჭროზე ყბედობდნენ. ჭრელა-ჭრულა ტანსაცმელი, კოსმეტიკის საშუალებანი, ღვინო, რომელსაც რაიხში გერმანიაში თვალს ვერ მოჰკრავდით, აქ თავისუფლად იყიდებოდა და თან ძვირად ფასობდა, რაიხელი გერმანელები შემთხვევას ხელიდან არ უშვებდნენ და კოლოფებითაც ახალგურგებდნენ ჩეხების სარჩო-საბადებელს. გროსკურთმა ცინიკურად გაიფიქრა: ფორმაც რომ ეცვას სუდეტელ გერმანელს, მაინც ადვილად გაარჩევ რაიხელისაგან, რადგან სუდეტელს სახეზე აღფრთოვანების ნიშანწყალიც კი არ ეტყობა.

* *

პრაღაში, გრადჩანის სასახლეში პრეზიდენტი ბენეში თავისი კაბინეტის ფანჯრიდან ვლტავას გადაჰყურებდა. 4 ოქტომბერი იწურებოდა. საღამოს ცის თავანს ღრუბლები ეჯარებოდნენ, ჟინჟღლა დაიწყო. უეცრად ქალაქში ელექტროდენმა იკლო. პრეზიდენტის კაბინეტი და ძველ და ახალ ქალაქს შორის გადებული კარლოვის ხიდი ბინდბუნდში გაეხვია.

რამდენიმე წუთის შემდეგ აქ ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ შეიარაღებული ძალების ყოფილი მთავარსარდალი იან სიროვი, რომელიც სწორედ მიუნხენის კრიზისის წინ პრემიერ-მინისტრად დაინიშნა და საგარეო საქმეთა ახალი მინისტრი ფრანტიშეკ ხვალკოვსკი. ისინი თავიანთი თანაშემწეების თანხლებით პრეზიდენტთან საღამოს რვა საათსა და 15 წუთზე დანიშნულ თათბირზე უნდა გამოცხადებულიყვნენ. ედუარდ ბენეშს ამ თავყრილობაზე ფიქრიც კი უმძიმდა, რადგანაც შეხვედრას უკანასკნელი ხუთი კვირის განმავლობაში გათამაშებული ტრაგედიის დაგვირგვინების ელფერი ახლდა.

ბენეშს ვეღარ იცნობდით, ისე იყო დარდისაგან გაოგნებული. ერთ დროს ცენტრალურ ევროპაში ყველაზე მოწინავე და დიდად განსწავლული დემოკრატი, მხიარული, გონებამახვილი და სიცოცხლით სავსე ლიდერი ამჟამად დაქანცებული ქვეყნის სასოწარკვეთილი პრეზიდენტი იყო მხოლოდ. ედუარდ ბენეშს სხვისი გამტყუნება არ სჩვეოდა. საყვედური არც ახლა დასცდენია. შეეძლო კია ლანძღვა-გინებით გამასპინძლებოდა იმათ, ვინც ქვეყანა ამ დღეში ჩააგდო. იგი ყოველ დღე, ტელეფონით საუბრისას მას დღეს აურიდა თავის ელჩს ლონდონში იან მასარიკს, რომელიც უშვერი სიტყვებით თათხავდა ჰიტლერს, ჩემბერლენსა და დალადიეს. ბენეში ყველაფერს თავის თავს აბრალებდა და მართალიც იყო.

საწერი მაგიდის მინის ქვეშ პრეზიდენტი ერთი ამერიკული ჟურნალიდან ამოჭრილ

---

[1] გროსკურთს მოგვიანებით ერთი ოფიცრისათვის უთქვამს: ჰიტლერმა დალადიეს ხაბაზი უწოდაო, ოფიცერმა შუბლი შეიკრა თურმე და უპასუხა: „ყვავმა ყვავს მიაძახა, აშე ჩინჩლიანოო" (ავტორის შენიშვნა).

ფურცელს ინახავდა: „შენი გასაკეთებელი შენ თვითონ უნდა გააკეთო", ამ ანდაზას დაწუ-დავდა თუ არა, უმალვე ფიქრები აეშლებოდა.

სწორად მოიქცა კია ბენეში, თავის დასაცავად ჩეხოსლოვაკიას ხელი რომ [illegible] გა-ანძრევინა? სამართლიანია თუ არა კრიტიკა პრაღელი კომუნისტებისა, რომლებიც [illegible]-ცებენ, ბენეშის უბედურება ისაა, მშვენივრად იცის, მთელი ჩეხოსლოვაკია წყალმა რომ წაიღოს, თვითონ მაინც მშრალად გამოვაო? ქვეყანა ლაპარაკობდა: „ბენეშს [illegible] გვეჩვენება, რაღაც გეგმა მაქვს შემუშავებულიო. გეგმისა რა მოგახსენოთ, [illegible] თვითმფრინავი კი ნამდვილად აქვს და ასაფრენად გამზადებული აეროდრომზე ელოდება, სადმე უშიშარ ადგილს რომ მიაბრძანოს".

მიუნხენის შეთანხმებამდე ბენეში ერთი ხანობა საომრად იყო შემართული. სწამდა, რომ ხალხის უმრავლესობა მხარს აუბამდა, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ჯარი და სამხედრო-საჰაერო ძალები არა მარტო პირნათლად, საკმაოდ მარჯვედაც შეასრულებდნენ თავიანთ ამოცანებს[2]. ბენეშს დახმარება რუსებმაც აღუთქვეს, დახმარება კი არა და კონკრეტული მოქმედებაც შესთავაზეს: შუა სექტემბერში წითელმა არმიამ პოლონეთის საზღვართან, ჩეხოსლოვაკიის მახლობლად ოცდაათი ქვეით და ათ ცხენოსან დივიზიას, ერთ სატანკო კორპუსსა და თორმეტ საავიაციო ბრიგადას მოუყარა თავი. სამასოცდარვა ათასზე მეტი რეზერვისტი ჯარში გაიწვიეს. გარდა ამისა, 30 ქვეითი და 10 ცხენოსანი დივიზია საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს. 1938 წლის მთელი ზაფხული რუსებმა უკრაინაში, ვინიცასთან — ზედ რუმინეთის საზღვართან, აეროდრომის მშენებლობას მოანდომეს. სექტემბრის დამდეგს ამ აეროდრომიდან რუსების ოცი ბომბდამშენი აფრინდა, რუმინეთის ტერიტორიას გადაევლო და ჩეხოსლოვაკიაში, უჟგოროდის აეროდრომზე დაეშვა. ეს იყო პირველი წყება იმ დაგეგმილი სამოცი ბომბდამშენიდან, რუსები ჩეხოსლოვაკიის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელს მოსკოვში ზდენეკ ფირლინგერს რომ პირდებოდნენ. ეს თვითმფრინავები მათ ჩეხოსლოვაკიის სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის უნდა გადაეცათ ომის დაწყების შემთხვევაში გერმანელების წინააღმდეგ საბრძოლველად. თვითმფრინავების გარდა, საგარეო საქმეთა კომისარი ლიტვინოვი და მისი მოადგილე ვლადიმერ პოტიომკინი ჩეხებს შეჰპირდნენ, თუ ჩეხოსლოვაკიას გერმანია ომში ჩაითრევდა, რუსეთი მათ უთუოდ გამოექომაგებოდა, საბჭოთა კავშირი არც თვითმფრინავებს და არც მფრინავებს არ მოაკლებდა[3]. ლიტვინოვმა თან ბენეშსაც აცნობა, საბჭოთა ელჩმა ვარშავაში პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პოლკოვნიკი ბეკიც გააფრთხილაო. მან გაგონილი ჰქონდა, თუ გერმანია ჩეხოსლოვაკიას თავს დაესხმოდა, პოლონელები თავიანთ ჯარს შეიყვანდნენ ჩეხოსლოვაკიის ჩრდილო საზღვრისპირა რაიონებში მცხოვრები პოლონელებით დასახლებულ ტეშინოში. რუსებმა მოკლედ აუწყეს პოლონელებს, რომ აგრესიას ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ მოსკოვი მთელი სერიოზულობით მოეკიდებოდა და ამ შემთხვევაში საბჭოთა კავშირი საჭირო ღონისძიებებსაც განახორციელებდა.

აბა, რუსებს ამაზე უფრო გარკვევით როგორღა უნდა ეთქვათ ჩეხი მოკავშირეებისათვის, რომ მათ მხარს დაუჭერდნენ. 19 სექტემბერს ბენეშმა საბჭოთა ელჩი პრაღაში ალექსანდროვსკი მიიწვია და ორი შეკითხვა მისცა: 1. გამოვა კი რუსეთი ჩეხოსლოვაკიის დასაცავად, თუ საფრანგეთი არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას? 2. გერმანიის წინააღმდეგ ომში ჩეხოსლოვაკიას საფრანგეთი თუ გადაუდგა, როგორ მოახერხებს რუსეთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას? ალექსანდროვსკი

---

2 შემდგომ გერმანელებმა განაცხადეს, ჩეხოსლოვაკიას წინააღმდეგობა რომ გაეწია, ჩვენ ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი გვქონდა და მათ თვითმფრინავებსა და აეროდრომებს თვალისდახამხამებაში მიწასთან გავასწორებდითო, მაგრამ მაშინ არც ჩეხები დარჩებოდნენ ვალში და ალმოსავლეთ გერმანიას თავს დაესხმოდნენ (ავტორის შენიშვნა).

3 საბჭოთა კავშირის ამ და სხვა ამდაგვარ წინადადებებს ჩემბერლენი და ბონე ზიზღით ხვდებოდნენ. ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ჩეხოსლოვაკიასა და საბჭოთა კავშირს შორის მდებარე რუმინეთი საბჭოთა ჯარებს თავის მიწაზე ფეხს არ დაადგმევინებდა და არც თვითმფრინავებს მისცემდა რუმინეთის საჰაერო საზღვრების დარღვევის ნებას. ჩემბერლენი და ბონე არც კი დაინტერესებულან, ამ საკითხის შესახებ რუმინეთის პოზიცია გაერკვიათ. 15 სექტემბერს მოხდა ასეთი რამ: ჩეხოსლოვაკიისაკენ მიმავალი ერთი საბჭოთა თვითმფრინავი იძულებული გახდა რუმინეთის ტერიტორიაზე დაშვებულიყო, რუმინეთს წინააღმდეგობა არ გაუწევია. შეკეთების შემდეგ თვითმფრინავმა გზა განაგრძო. (ავტორის შენიშვნა).

მოსკოვს დაუკავშირდა. პირველ კითხვაზე დადებითად უპასუხეს. მეორე საკითხზე პასუხის გაცემა უფრო ძნელი იყო. ბენეშის თხოვნით ალექსანდროვსკი მოსკოვს განმეორებით დაუკავშირდა. 21 სექტემბერს საბჭოთა ელჩმა ბენეშს განუცხადა: „თუ საქმე იმამდე მივიდა და ამ ომში გერმანია აგრესორის როლს ითამაშებს, მაშინ ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ ოფიციალური საჩივარი უნდა შეიტანოს ერთა ლიგაში და ამით საბჭოთა კავშირს ნიშანი მისცეს, რათა მან ამ საჩივრის ნიადაგზე თავისი ვალდებულებები შეასრულოს“.

მაშ, რატომ დაჰკარა ბენეშმა ფარ-ხმალი გერმანელების წინაშე? იქნებ რუსებს არ ენდობოდა? არა, იგი ყოველთვის დარწმუნებული იყო, რომ რუსები თავიანთ სიტყვას არ გადავიდოდნენ, მაგრამ თვითონაც არ იცოდა, რა ემართებოდა. ალბათ სასოწარკვეთილებამ თუ სძლია და კომუნისტების გაბატონების შიშმა აიტანა. დასავლეთის ინტელექტუალთა მსგავსად ისიც ხომ ლიბერალურად მოაზროვნე ადამიანი იყო და ფრანგი მოკავშირეებისა და ე. წ. ბრიტანელი მეგობრების ღალატმა საბოლოოდ დააძაბუნა. დაიჯერა, რომ დამარცხება გარდუვალი იყო. საშინლად დაფრთხა და რუსების წინადადებას ყური არ ათხოვა. იმის გარკვევაც არ ინება, დახმარებას რის საზღაურად სთავაზობდნენ. რუსეთის წარმომადგენლები არავითარ საზღაურს არ მოითხოვდნენ და ბენეშის ნიშანს ელოდებოდნენ, რათა უმალვე მხარში ამოსდგომოდნენ. ხოლო პოლონეთმა საბოლოოდ ჩასცხო ბენეშს გულში ლახვარი, რწმენაც დააკარგვინა და სიამაყეც. ჩეხოსლოვაკიას პოლონეთთან მეგობრული ხელშეკრულება ჰქონდა დადებული და ბენეშს არაერთხელ უგრძნობინებია პოლონელებისათვის, რომ ტეშინის რაიონში ტერიტორიული მიჯნის შეცვლა მეგობრული ურთიერთშეთანხმების გზითაც შეიძლებოდა, მაგრამ პოლონელები სულ სხვაგვარად აპირებდნენ ამ საკითხის გადაჭრას. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბეკი რას არ სჩადიოდა, რომ თავისი ხალხი ჯერ მწვავე პოლიტიკური კრიზისის წინაშე დაეყენებინა და გამარჯვება მერე ეზეიმებინა. ჩეხები კი ფეხქვეშ ნიადაგს აცლიდნენ და ამ რაიონს უბრძოლველად თმობდნენ, რაც ბეკის მიზნებს ფრთებს უკვეცავდა. ამიტომ იყო, რომ მან უარი განაცხადა ბენეშის მეგობრულ წინადადებაზე. ბეკი ისე გათამამდა, რომ რუსეთის გაფრთხილებას ყურიც არ ათხოვა. 30 სექტემბერს პოლონეთის მთავრობამ ჩეხოსლოვაკიას ულტიმატუმი წაუყენა და 12 საათში ტეშინის რაიონის დაცლა მოითხოვა.[4]

ბენეშს წინააღმდეგობა არც ახლა გაუწევია. „მეტის ატანა აღარ შემეძლო, როგორც კი პოლონეთმა მეგობრულ მოლაპარაკებაზე უარი განაცხადა, უმალვე ფარ-ხმალი დავყარე, — იგონებდა შემდეგ. — მოსკოვის დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, პოლონეთის პასუხმა შემაჩერა და 1938 წელს გერმანიასთან ომში იმიტომ არ ჩავები, მაგრამ იმავე წლის ზაფხულში მივხვდი, რომ პოლონეთს ასეთი მოქმედების გამო პასუხს მკაცრად აგებინებდნენ“.

ტეშინში პოლონელები გასული საუკუნის ვამპირებივით ყვლეფდნენ და ძარცვავდნენ ყველას. არც მკვდრებს ინდობდნენ და არც ცოცხლებს. ბენეში გრძნობდა, აქაურობას სასწრაფოდ უნდა გასცლოდა, რადგანაც კრიზისის დროს თავი შეირცხვინა. მისი გამგზავრებაც ბედის დაცინვა იყო და სხვა არაფერი. სამშობლოდან შერცხვენილი და შეურაცხყოფილი გააპანღურეს. როგორც კი მიუნხენის შეთანხმებას ხელი მოაწერეს, ბენეშმა მტკიცედ გადაწყვიტა გადამდგარიყო, მაგრამ მეორე დღეს, როცა 1 ოქტომბერს ჩეხოსლოვაკია გერმანელთა ჯარებმა დაიკავეს, გერინგმა ჩეხოსლოვაკიის ელჩი ბერლინში დოქტორი მასტნი თავისთან იხმო და განუცხადა: სანამ ბენეში ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი იქნება, ჰიტლერი ვერ მოისვენებსო. იგი აუცილებლად უნდა გადადგეს და რაც შეიძლება სწრაფადაც; თუ ნებით არ გადადგა, გერმანიის მთავრობა მიუნხენის ხელშეკრულების განხორციელებისას კაცს არ დაინდობს. ამრიგად, პრეზიდენტის გადადგომაც კი ნაცისტების წინაშე კიდევ ერთ კაპიტულაციას მოასწავებდა.

კარზე დააკაკუნეს, მდივანი შემოვიდა და ბენეშს მინისტრების მოსვლა აუწყა. ედუარდ ბენეშმა ჩვეულებრივ სათათბირო მაგიდასთან თავისი ადგილი დაიკავა. ცალთვალაკრული

---

[4] შემდეგ ბენეში სინანულით წერდა, რომ პოლონეთის ულტიმატუმი „თითქმის ჰიტლერის იმ ულტიმატუმის იდენტური იყო, რომელიც მან ერთი წლის შემდეგ თვით ბეკს გაუგზავნა დანციგის საკითხის თაობაზე. ეს მეტად ნიშანდობლივია. ისინი ერთმანეთისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ პოლონეთის ულტიმატუმი ჩეხოსლოვაკიის მთავრობისადმი 12 საათს იძლეოდა“. გერმანელები კი პოლონელებს ორი საათის ვადას სთავაზობდნენ (ავტორის შენიშვნა).

გენერალი სიროვი, წამდაუწუმ ცრემლებს რომ იწმენდდა, პრეზიდენტის ხელმარჯვნივ დაჯდა, საგარეო საქმეთა მინისტრი ხვალკოვსკი კი მის ხელმარცხნივ მოკალათდა.

„ბატონებო, — დაიწყო ედუარდ ბენეშმა, — მძიმე განსაცდელის, მკაცრი გამოცდის ჟამი დაგვიდგა. ვიცი, საფიქრელი არ გაკლიათ, მაგრამ მხრებიდან ერთ ტვირთს მაინც წამოგხსნით, ალბათ გულზე მოგეფონებათ, როცა შეიტყობთ, რომ ამ წუთიდან მე, ედუარდ ბენეში, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტობაზე ხელს ვიღებ".

ქვევით, ძველ ქალაქში წმინდა ვიტუს ტაძრის სამრეკლოს ზარები მორწმუნეებს საღამოს წირვაზე ეპატიჟებოდნენ. მიუნხენის შეთანხმების გამოქვეყნების შემდეგ ეკლესიები ისე იყო ხალხით გატენილი, რომ შიგ ნემსი არ ჩავარდებოდა. ხალხი ღმერთს თავის ქვეყანასა და თავის პირმშოთ ავედრებდა, ცრემლებად იღვრებოდა. ქვეყნის დაქუცმაცებამ ყველა გაახელა და შეაშინა. ამ დილით წმინდა ვიტუს ტაძარში ბოჰემიის უძველესი სამეფოს ეპისკოპოსი ხელაპყრობილი ლაღადებდა: „ჩვენი წმინდა მიწა ეს-ესაა ურჯულოთა არმიამ წაბილწა, დაიპყრა ათასი წლის წინათ დადგენილი საზღვარი. ამ უბედურებას ჩვენი წმინდა ერი ჩვენს მოკავშირეს საფრანგეთსა და ჩვენს მეგობარ დიდ ბრიტანეთს უნდა უმადლოდეს. მე, ბოჰემიის უძველესი სამეფოს არქიეპისკოპოსი მამაზეციერსა ვთხოვ, მიიღოს მშვიდობის შესანარჩუნებლად გაღებული მსხვერპლი. თუ ამასაც დავშვრით, ღმერთმა შეუნდოს ყველას, ვინც ჩეხოსლოვაკიელ ხალხს ეს უბედურება დაატეხა თავს".

„ამინ" კვერი დაუკრა სამწყსომ, მაგრამ გულში ხალხი სულ სხვას ფიქრობდა.

* *

ბერლინში, ვილჰელმშტრასეზე, საგარეო საქმეთა სამინისტროში ე. წ. საერთაშორისო კომისიის წევრთა თათბირი მიმდინარეობდა. მიუნხენის ხელშეკრულების თანახმად სუდეტის ოლქიდან მშვიდობიანი მოსახლეობის გაყვანა და არსებულ ნაგებობათა გაუნადგურებლად ჩეხოსლოვაკიის არმიის ქვედანაყოფთა ევაკუაცია 10 ოქტომბერს უნდა დამთავრებულიყო. ამიტომ ჩეხოსლოვაკიის მეორე რესპუბლიკის საზღვრები სასწრაფოდ უნდა დაედგინათ. ამ საერთაშორისო კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბარონი ფონ ვაიცზეკერი, ანდრე ფრანსუა-პონსე, ბერნარდო ატოლიკო, ბატონი ჰენდერსონი, ჩეხოსლოვაკიის ელჩი ბერლინში დოქტორი ვოიტეხ მასტნი თავის თანამშრომლებთან და სამხედრო მრჩევლებთან ერთად. საზღვრის დადგენასთან დაკავშირებული ყველა საკითხი საერთო შეთანხმების საფუძველზე უნდა გადაწყვეტილიყო.

მაგრამ მორიგებას საშველი აღარ დაადგა. გერმანელებმა თავიდანვე აგრძნობინეს ყველას, რომ სხვა დელეგაციებს ყურსაც არათხოვებდნენ. სუდეტის ახლომახლო მდებარე მიწის ყოველი მტკაველის, სამრეწველო რაიონის თუ რკინიგზის ხაზის დაპყრობა მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი. კომისიის პირველი ოფიციალური სხდომის შემდეგ ბარონმა ვაიცზეკერმა გერმანიის დელეგაციის ხელმძღვანელობა შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი სარდლობის წარმომადგენელს პოლკოვნიკ ვალტერ ვარლიმონტს გადაულოცა. ამან კი დიპლომატების შეტევა უმალვე მოიგერია.

ნევილ ჰენდერსონი, რომელმაც საქმე მიუნხენამდე მიიყვანა, და თავის სიძულვილს ჩეხების მიმართ არასდროს მალავდა, ნაცისტებს ფიანდაზად ეგებოდა, თითქოს ეუბნებოდა: „ახლა კი, როცა ჩვენ ჩვენსას მივაღწიეთ და აბეზარ ჩეხებს თავისი ადგილი მივუჩინეთ, ხომ შეიძლება ცოტაოდენი სულგრძელობა გამოვიჩინოთ და დროდადრო მათი ეჭვები გავიზიაროთ".

ბრიტანეთის ელჩი ანგზის გაუკურებიათ იმ ადამიანებს, ვინც მის გარშემო ტრიალებდა. უმაღლესი სარდლობა სულგრძელობის გამოჩენას სულაც არ აპირებდა. გერმანელებს სურდათ ხელში ჩაეგდოთ ყველაფერი, რისთვისაც იბრძოდნენ. მაგრამ ახლა უკვე ესეც აღარ აკმაყოფილებდათ. როცა ვარლიმონტმა რუკაზე ძირითადად ჩეხებით დასახლებულ სამრეწველო რაიონს დაადო თითი, ესეც გერმანიას უნდა გადაეცესო, ჰენდერსონმა უსიამოდ ჩაახველა და დასძინა: „თქმა არ უნდა, მეტისმეტია, მოდით, ეს მაინც დავუტოვოთ?" „თქვენო აღმატებულებავ, კი გინდათ ჩეხებს ყველაფერი დაუტოვოთ, მაგრამ საამისო ძალა რომ არ შეგწევთ. ვერმახტის უმაღლესმა სარდლობამ ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტა, რომ ეს რაიონი სუდეტის ოლქის ნაწილია და შესაბამისად გაუქმებულ იქნება".

ჰენდერსონი კუდამოძუებულ ძაღლსა ჰგავდა. მისი კოლეგები იგონებენ, საერთაშო-

რისო კომისიაზე რომ წამოვარდებოდა სიტყვა, სირცხვილისაგან უმალ სახე აელეწებოდა.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლს მასტნის გერმანელები ისე აგდებულად [illegible]ოდნენ, რომ იგი ხმის ამოღებასაც ვერ ბედავდა. მისმა სამხედრო მრჩეველმა, გენ[illegible] გუსაროვმა სხვა ტაქტიკას მიმართა. ფრანსუა-პონსე განზე გაიხმო და უთხრა: „[illegible] არ გესმით, რომ გერმანელები მარტო თავდაცვით ნაგებობებს არ გვართმევენ[illegible]ზარბაზნებიც კი აღარ შეგვრჩება — შკოდის ქარხნებში დამზადებული [illegible]ლიოში ბადალს რომ ვერ მოუძებნით? როგორ გგონიათ, ამ ზარბაზნებს რომ დაეპატრონებიან, წინააღმდეგ ვის ამოიღებენ? ზიგფრიდის ხაზს გაამაგრებენ და მოგვცემთ ლხენა. საფრანგეთს კუდით ქვას ასროლინებენ".

ფრანსუა-პონსე გუსაროვს შეჰპირდა, სასწრაფოდ პარიზს დავუკავშირდები და საქმეში ჩარევის რწმუნებას მოვითხოვო. მან ყველაფერი საგარეო საქმეთა მინისტრს ჟორჟ ბონეს მოახსენა, რომელმაც ჯერ მოუსმინა, მერე კი უკმეხად უპასუხა: „კრიზისი აღარ დასძრათ. მოერიდეთ გერმანელებთან კამათს. არაფერზე უარი არ უთხრათ. რასაც ითხოვენ, ყველაფერი მიეცით".

სასოწარკვეთილი ფრანსუა-პონსე თავს აქეთ-იქით იქნევდა. „ასეა თუ ისე, მე ჩემს მთავრობას მოვეთათბირე მაინც, — თქვა მან. — ნევილ ჰენდერსონმა კი ენაც არ იძრა. კითხვითაც არაფერი უკითხავს, თავს აკანტურებდა მხოლოდ და ყველაფერზე თანხმობას აცხადებდა".

როგორც საფრანგეთის სამხედრო დელეგაციის წევრი, თათბირს კაპიტანი პოლ სტეჰლენიც ესწრებოდა. მას ჩეხები ძალიან ებრალებოდა. „კომისიის პირველ სხდომაზე დარბაზში მყოფ ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის ოფიცრებს თვალი რომ გადავავლე, მათი ცოდვით გული დამეწვა, — იგონებს სტეჰლენი. — სამხედრო ჯილდოებით, მათ შორის საფრანგეთის ლეგიონის ორდენებით, სამხედრო მედლებითა და ჯვრებით შემკული მუნდირები ეცვათ. აქაოდა, ერთ დროს საფრანგეთის დასაცავად ჩვენც ვიბრძოდითო. მაგრამ მეორე თათბირზე ისე გამოცხადდნენ, მკერდზე საფრანგეთის ერთი ორდენიც კი აღარ ეკეთათ. ამით გვაგრძნობინეს, ჩვენზე გულნატკენი რომ იყვნენ, არ მოელოდნენ, განსაცდელის ჟამს ზურგს ასე ვერაგულად თუ შეაქცევდით".

გერმანიის დელეგაცია წამდაუწუმ გვემუქრებოდა. სუდეტის ოლქის ოკუპაციის დროს ვერმახტის ბრძანებას მკაცრად დაიცავთ. მთავრობები თავიანთ დელეგაციებს გერმანელების სასარგებლო დირექტივებით ამარაგებდნენ. მორიგდითო, სიტყვას უგორებდნენ, რაც, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმას ნიშნავდა, „ნურაფერზე შეედავებით", ყოველ შემთხვევაში, როცა ჩვენს მთავრობებს რჩევას ვთხოვდით, პასუხს იმდენ ხანს აგვიანებდნენ, რომ გერმანელები ამ მდგომარეობას თავის სასარგებლოდ იყენებდნენ. თათბირის დროს პოლკოვნიკი ვარლიმონტი, როგორც ვნახეთ, სამჯერ გავიდა დარბაზიდან თავის კოლეგებთან ერთად, მერე უკან მობრუნებული სულ იმას გაიძახოდა: „ვერმახტის უმაღლესმა სარდლობამ გადაწყვიტა..." ჰიტლერი თავისი ვერაგული და თავხედური საქციელით თითქოს ყოველ წამს საზეიმო სილას გვილაწუნებდა. მიუნხენში ანთებული იმედის ნაპერწკალი მალე ჩაიფერფლა. ვითარება ისევ დაიძაბა, ხიფათი თანდათან ახლოვდებოდა.

ინგლისმა და საფრანგეთმა მიუნხენში ხელი მოაწერეს მოლაპარაკების დამატებით პუნქტს, რომელშიც ნათქვამი იყო: „შეერთებული სამეფოსა და საფრანგეთის მთავრობები ხელს აწერენ აღნიშნულ შეთანხმებას იმის საფუძველზე, რომ დაცული უნდა იქნეს ინგლის-საფრანგეთის წინადადებათა მე-6 პარაგრაფში შემავალი 19 სექტემბრის მოთხოვნები, კერძოდ, ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს ახალ საზღვართა ხელშეუხებლობის საერთაშორისო გარანტიის მოთხოვნა, ყოველგვარ გაუმართლებელ აგრესიას იქ ბოლო უნდა მოეღოს"...

ცხადია, ჩეხებს ამ პუნქტებმა გუნება მთლად გაუფუჭა. „ჩეხოსლოვაკიის დელეგაციამ მეორე დღესვე მკერდიდან ჩამოიხსნა საფრანგეთის მიერ ნაბოძები ორდენები და მას შემდეგ ფრანგებს, ინგლისელებსა და იტალიელებს ახლოს აღარ გაეკარებია, უშუალოდ გერმანელებთან დაიწყო მოლაპარაკება. „ნახეთ ერთი, — შენიშნა ინგლისის ატაშემ, — ისე იქცევიან, გეგონებათ, გერმანელების მოკავშირეები არიანო."

შეეძლოთ კი ასეთ ვითარებაში ჩეხებს, სხვაგვარად მოქცეულიყვნენ?

* *

აღტაცებული პარიზელები მიუნხენის შეთანხმების წყალობით ომის თავიდან აცილებას ზეიმობდნენ. მემარჯვენე ფრთის ჟურნალმა „ლე პტი პარიზიენ"-მა, რომელიც დიდი ტირა-

ყით გამოდიოდა (გერმანელთა რეგულარული სუბსიდიის წყალობით). შთაბეჭდილებათა წიგნი შემოიღო. შიგ თავისი გვარი უნდა ჩაეწერა ყველას, ვისაც მხარი უჭერდა მიუნხენის მოლაპარაკებას. რედაქციამ მილიონობით ხელმოწერა შეაგროვა. „პარი სუარმა" ფულის აკრეფა დაიწყო ნევილ ჩემბერლენისათვის სახლის შესაძენად დორდონში, რათა მას მშვიდად ეთევზავა და ბატონკაცურად ეცხოვრა. ფრანგები ჩემბერლენს მშვიდობის შენარჩუნებისათვის აჯილდოებდნენ. სამ დღეში თანხამ 500 000 ფრანკს[5] მიაღწია. მიუნხენიდან [illegible] ედუარდ დალადიეს შიშისაგან გული კინაღამ ბუდიდან ამოუვარდა, როცა [illegible] აეროპორტში თავშეყრილ ხალხს ჰკიდა თვალი და პილოტს უბრძანა, ერთ ხანს აეროდრომის თავზე ეფრინა. მაგრამ აეროდრომზე ჩასვლისას ბონემ იგი მხურვალედ გადაკოცნა. პარიზისაკენ მიმავალ გზაზე დალადიეს აღტაცებული ხალხი ისე ეგებებოდა, როგორც ნამდვილ გმირს. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტს მაინც გული ეთანაღრებოდა. გრძნობდა დოკუმენტი, რომელსაც მიუნხენში ხელი მოაწერა, საფრანგეთისათვის შეურაცხმყოფელიც იყო, საშიშიც და დამარცხების მომასწავებელიც. შემდგომ იგი იგონებდა: „იმ დღეებში მახლობელს ვინმეს ჩემთვის თანაგრძნობა გაეწია, მაგრამ მანუგეშებელი არავინ მყავდა". მას განსაკუთრებით პარიზის რომაული კათოლიკური ეკლესიის მეთაურის, კარდინალ ვერდიეს საქციელმა წაუხდინა გუნება. როცა მთავრობის ზოგიერთმა წევრმა კარდინალს სთხოვა, მშვიდობის ზეიმი პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ზარების გუგუნით ეუწყებინა ხალხისათვის, მან ისინი ცივი უარით გაისტუმრა: ზარებს არ ჩამოვრეკ, ასე უჩუმრად გამოვიტირებთ იმას, რაც მოხდა, უპასუხა.

* *

სინდისის ქენჯნა, რომელსაც დალადიე განიცდიდა, ჩემბერლენს ზიზღს ჰგვრიდა მხოლოდ. მიუნხენში მოპოვებულმა გამარჯვებამ პრემიერ მინისტრს მარტოოდენ პოპულარული გმირის სახელი როდი მოუხვეჭა. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ესოდენ საყოველთაო მოწონება სამართლიანად დაიმსახურა. მიუნხენის ხელშეკრულებას რომ თავი დავანებოთ, ჩემბერლენმა თავისი „წარმატება" ისეთი დოკუმენტის მიღებით დააგვირგვინა, რომელიც ისტორიის წიგნში უთუოდ უნდა შეიტანონ როგორც ყველაზე ავაზაკური, ცრუ დეკლარაცია (როგორც შინაარსით, ასევე მასში აღნიშნული დაპირებებით).

მიუნხენის ხელშეკრულების დადების შემდეგ, დილაუთენია, როცა გერმანიის არმია სუდეტის ოლქის ტერიტორიაზე გადასასვლელად ემზადებოდა, რომელსაც ისე [illegible] თოფიც კი არ გაუსვრია, როცა ჩეხი ლტოლვილები აღმოსავლეთისაკენ მიმავალ გზას მოედინენ, ხოლო პოლონეთისა და უნგრეთის არმიამ ჩეხოსლოვაკიის ფლანგებზე იწყო თავმოყრა, ნევილ ჩემბერლენი მიუნხენში ჰიტლერის აპარტამენტებს ეწვია. წინა ღამით, ვიდრე ჰიტლერი მუსოლინისთან ერთად მიუნხენის შეთანხმების აღსანიშნავ ზარ-ზეიმზე გაეშურებოდა, ჩემბერლენმა პირადად სთხოვა, თქვენთან შეხვედრა მინდაო.

უილიამ სტრენგი — ინგლისის დელეგაციის წევრი მიუნხენში — დასაძინებლად ღამის სამ საათზე დაწვა, შვიდ საათზე კი ტელეფონის ზარმა გააღვიძა. პრემიერ-მინისტრი ურეკავდა.

„ნასაუზმევს ბატონ ადოლფ ჰიტლერს უნდა შევხვდე, — აუწყა ჩემბერლენმა. — რაღაც განცხადების მსგავსი მჭირდება ინგლის-გერმანიის მომავალი ურთიერთობის შესახებ, ისეთი, ჰიტლერს რომ მოეწონოს და ხელი მოაწეროს. ასეთი ხასიათის დოკუმენტების შედგენა თქვენ უფრო გემარჯვებათ, კარგი იქნებოდა პროექტი მაინც მოგეხაზათ!"

სტრენგი მაშინვე წამოხტა საწოლიდან, ვიდრე ტანთ ჩაიცვამდა და ისაუზმებდა, სასწრაფოდ „სამი პარაგრაფი შეადგინა", რომლის ტექსტი მერე ჩემბერლენს მიართვა ნომერში. ამ უკანასკნელმა პროექტი ყურადღებით გადაიკითხა, მეორე პარაგრაფი გადააკეთ-გადმოაკეთა და აქა-იქ უმნიშვნელო შესწორებები შეიტანა. „ასე აჯობებს, — თქვა მან. — მე მგონი, ბატონი ჰიტლერი კმაყოფილი დარჩება... რა ხმაურია ქუჩაში?" — შეეკითხა მერე სტრენგს. სტრენგმა მოახსენა, ფანჯრებთან თავშეყრილი ხალხი „მშვიდობის შენარჩუნებისათვის" პრემიერ-მინისტრს მადლობას გიხდითო. თან ისიც სთხოვა, აივანზე გასულიყო და აღტაცებულ თანამემამულეთ თითოეულს მისალმებოდა. ჩემბერლენი მაშინვე გავიდა და ნასიამოვნები შემობრუნდა. „აი თურმე როგორ ვუყვარებივარ ყველას". — თქვა მან.

სტრენგი პრემიერ-მინისტრს შეეკითხა, იციან თუ არა ფრანგებმა, ჰიტლერთან შეხვედრას რომ აპირებთ და საჭირო ხომ არ არის განცხადების პროექტი წინასწარ იმათაც გა-

[5] სახლი არც აუშენებიათ და არც შეუძენიათ. ვერც ის გავარკვიე, მიწამ ჩაყლაპა თუ ცამ შეგროვილი თანხა (ავტორის შენიშვნა).

ვაცნობოთ. ჩემბერლენმა მას ცოტა არ იყოს, კუშტად გადახედა და მოკლედ მოუჭრა: ეგ რა იმათი ჭკუის საქმეა, ინგლის-გერმანიის ურთიერთობასთან ფრანგებს რა ხელი აქვთო.

ნახევარ საათში ჩემბერლენი უკვე ჰიტლერთან გაჩნდა. ხოლო ერთი საათის შემდეგ ფიურერის აპარტამენტებიდან გამოსული აეროდრომზე გაისტუმრეს, სადაც მას ინგლისისაკენ მიმავალი თვითმფრინავი ელოდებოდა. პრემიერ-მინისტრს ლონდონში, ისევე როგორც პარიზში დალადიეს, ისტერიულად აზავთებული ბრბო უცდიდა. [illegible] შეხვედრით აღფრთოვანებულ ჩემბერლენს ხელში ქაღალდის ფურცელი ეჭირა. „აი — მშვიდობა ჩვენი დროით", — განაცხადა მან და ფურცელი ააფრიალა. მერე იმ გახელებული გულშემატკივარივით, რომელსაც ვერასგზით ვერ დაუჯერებია, თავისი კერპის ავტოგრაფი ხელთ რომ ჩაუვარდა, ჩემბერლენმა წაიკითხა: „ეს მისი ხელმოწერილი ქაღალდია!" ინგლისი და გერმანია ერთმანეთის წინააღმდეგ ომს არასდროს არ დაიწყებენო, — იუწყებოდა დოკუმენტი, ადოლფ ჰიტლერის განცხადებას პრემიერ-მინისტრიც იმეორებდა, ირწმუნებოდა, გერმანია ევროპაში ტერიტორიულ პრეტენზიებს აღარასოდეს წამოაყენებს. ამიერიდან საბოლოოდ დამშვიდდება და თავს აღარავის შეაწუხებსო.

მაგრამ ინგლისში ამ ფაქტებისადმი სკეპტიკურად განწყობილი ადამიანებიც გვხვდებოდნენ. ერთ-ერთი მათგანი იყო კაბინეტის წევრი ალფრედ დაფ კუპერი, რომელიც საადმირალოს პირველი ლორდის პოსტიდან გადადგა. თემთა პალატის ტრიბუნაზე უინსტონ ჩერჩილი ავიდა, რათა მოსაწყენი სიტყვა წარმოეთქვა და დაწვრილებით დაესურათხატებინა მიუნხენში ინგლისის დამარცხება. პარლამენტის დანარჩენმა წევრებმა მას სიცილი დააყარეს. ჩემბერლენმა თავმომწონედ, აგდებით ჩაიცინა: „თუ ვინმე ინგლისის გაკრიტიკებას შეეცდება მიუნხენის შეთანხმების გამო, იცოდეს, ამით თავს გაიმასხრებს მხოლოდ". ხოლო პარლამენტის ერთ-ერთ წევრს, რომელმაც განაცხადა, ჩეხოსლოვაკიის მთავრობისათვის სესხის შეთავაზება „ოცდაათი ვერცხლის" ახალი ვარიანტი იქნებაო, დამშვიდების პოლიტიკის თავგამოდებულმა მომხრეებმა კინაღამ კუდით ქვა ასროლინეს.

მაგრამ სკეპტიკოსები მაინც არ ცხრებოდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა თავაკაცა და ჩემბერლენს თავისი ეჭვები გაუზიარა, ჰიტლერი ხომ არ გატყუებთო. ჰკადრა. — ღმერთმა უწყის, ფიურერს ფიცი რამდენჯერ დაურღვია, მაგრამ მალე ისევ ნიავისათვის გაუტანებიაო.

„რას ბრძანებთ, ჩემო ძვირფასო, — უპასუხა თურმე ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ამ კაცს, — ეს განსაკუთრებული შემთხვევაა: ჰიტლერი მე არ მომატყუებდა".

* *

მართალია, თავად ჩემბერლენი სიხარულით ცაში დაფრინავდა, მაგრამ სამაგიეროდ სულ მალე ინგლისელებს წაუხდათ გუნება. პირველი სიხარული ჩაიფერფლა და ისინი ანაზდად უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, თავს დამნაშავედ გრძნობდნენ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გაზეთებმა სუდეტიდან და ჩეხოსლოვაკიიდან მიღებული ამბების გამოქვეყნება დაიწყეს. განა მთავრობამ არ აღუთქვა, ჩეხოსლოვაკიას ისე დაეანაწილებთ, როგორც პატიოსან და კულტურულ ადამიანებს შეშვენითო, დაამშვიდა, ჩვენებს ნაცისტები უმთავრესად გერმანელებით დასახლებულ ტერიტორიებს ჩამოართმევენო მხოლოდ. ახლა კი გაზეთებში იბეჭდებოდა ცნობები ჯერჯერთილა რაიონების ულმობელი ანექსიის შესახებ წმინდა სტრატეგიული და ეკონომიური თვალსაზრისით, ყოველგვარი ეთნიკური დასაბუთების გარეშე. 1938 წლის 10 ოქტომბერს ჩეხოსლოვაკიამ მარტო პრეზიდენტი კი არ დაჰკარგა, მას ჩამოართვეს რკინიგზის სისტემის უდიდესი ნაწილიც, ფოლადისა და თუჯის მთელი რესურსების — 70%, ვაგონმშენებლი საწარმოების — 76%, სამეიქრო მრეწველობის — 80%, ცემენტის დამამზადებელ საწარმოთა — 80%, ფაიფურისა და მინის დამამზადებელ საწარმოთა — 90%, ხე-ტყის დამამზადებელ საწარმოთა — 40% და ელექტროენერგიის სიმძლავრეთა — 70%. ქვეყანას მოეფინა ჩეხების გასახლების ამბები. მათ აიძულებდნენ გასიზნულიყვნენ სუდეტის ოლქიდან, სადაც წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ.

ზოგიერთ ლტოლვილს ბედი კიდევ უფრო მწარე ხვედრს უმზადებდა. ვგულისხმობთ სუდეტის ოლქში მცხოვრებ გერმანელებს, რომელთა რიცხვი დაახლოებით ნახევარმილიონს შეადგენდა. ისინი ნაცისტურ პარტიაში შესვლაზე უარს აცხადებდნენ და სუდეტის ოლქის გერმანიასთან მიერთების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ: კონრად ჰენლაინმა ფიცი დადო, კაცი არ ვიყო, თუ იმათ განჯავით სული არ ამოვხადოთ. საზღვარზე გადასულ გერმანიის არმიას, რომელიც სულ ახალ და ახალ რაიონებს ეპატრონებოდა, გესტაპო ფეხდაფეხ მიჰყვებოდა და ესესის რაიხსფიურერის — ჰიმლერისა და მისი მოადგილის

ჰაიდრიხის მეთაურობით სოციალ-დემოკრატებსა და კომუნისტებზე „ნადირობდა". მაგრამ
წინასწარ გაფრთხილებულმა ათასობით ადამიანმა დროზე მოასწრო ჩეხოსლოვაკიის კუთ-
ვნილ ტერიტორიაზე გადასვლა და პლზენს, ბრნოსა და პრაღას შეაფარა თავი. ამან გეს-
ტაპოს თავკაცებს ცეცხლზე ნავთი გადაუსხა. აღშფოთებულნი ბერლინში დეპეშას დეპეშაზე
აგზავნიდნენ და პრაღაში საჭირო ღონისძიებების გატარებას მოითხოვდნენ. გერმანიის
ელჩს პრაღაში ერნსტ ეიზენლორს ბერლინიდან უბრძანეს, გენერალ სიროვისათვის
ლტოლვილთა უკან დაბრუნების მოთხოვნა წაეყენებინა. გაბოროტებულმა გენერალმა, რო-
მელსაც წინააღმდეგობის თავიც კი აღარა ჰქონდა, მაშინვე ფარ-ხმალი დაჰყარა და ამ
შეთანხმებას 15 ოქტომბერს ხელი მოაწერა. აღსანიშნავია, რომ ეს ხელშეკრულება გა-
სული რიცხვით დაათარიღეს. „კარგია, ჩვენი სარჩენი მაინც აღარ იქნებიან", — ცივად
შენიშნა სიროვიმ.

საქვეყნოდ გახმაურებულ ამ სამარცხვინო გარიგებას ჩეხოსლოვაკიასა და მის სა-
ზღვრებს იქით ხმამაღალი პროტესტები მოჰყვა. ინგლისის საქველმოქმედო ორგანიზაცი-
ათა მუშაკებმა, მათთან ერთად ქალთა ჯგუფებმა, ლტოლვილთა ბანაკებს მიაშურეს და
მათ დასახმარებლად თავს არ ზოგავდნენ. ინგლისელებმა ლტოლვილთა დახმარების ფონ-
დი შექმნეს და ფულის შეგროვება დაიწყეს. ოქტომბრის შუა რიცხვებში ამ თანხამ სამას-
თვრამეტ ათას ფუნტ სტერლინგს მიაღწია. მაგრამ, როცა სოციალ-დემოკრატთა ლიდერი
ვენცელ იაკში ფულზე უფრო მნიშვნელოვანი საქმის — ვიზების სათხოვნელად ჩაფრინდა
ლონდონს, — იქნებ გესტაპოსა და საკონცენტრაციო ბანაკებს გადავარჩინოთ ჩვენი ხალხი
და ინგლისს გავამგზავროთ, — მისი ხვეწნა-მუდარა კაცმა არ შეისმინა. იაკში
ევედრებოდა ლორდ რენსიმენს, რომელიც იმ გაზაფხულს, როგორც ჩემბერლენის ემისა-
რი, ჩეხოსლოვაკიის სტუმარი გახლდათ, ეღონა რამე, რათა პრემიერ-მინისტრს ხალხი
ღვთის ანაბარა არ მიეტოვებინა.

„მჯერა, გერმანელებს ასეთი ბოროტების ჩადენის უფლებას არ მისცემთ, — ეუბნე-
ბოდა იგი რენსიმენს. — ეს შურისძიებაა და სხვა არაფერი. გერმანელი ნაცისტები ანგა-
რიშს გვისწორებენ, მხარი რომ არ აუბით. ჰოდა, სიროვის მიერ ხელმოწერილი მიუნ-
ხენის შემდგომი ბერლინის შეთანხმებაც ხომ გასული რიცხვით მხოლოდ იმიტომ დაათა-
რიღეს, რომ ნაცისტებს ხელიდან ვერ დავძრომოდით".

ლორდმა რენსიმენმა აღარ იცოდა რა ექნა.

„დარწმუნებული ვარ ლონდონის ლორდ-მერი თქვენს დასახმარებლად ფულის შეგ-
როვებას დაიწყებს, ჰოდა, მეც უთუოდ იმათ რიცხვში მიგულეთ, ვინც ამ საქმეში ხელს
გაგიმართავთ".

„კი მაგრამ, ჩვენთვის ხომ ახლა თავი და თავი ვიზები, ვიზები და ისევ ვიზებია", —
ემუდარებოდა იაკში.

ინგლისელები კი ყურსაც არ იბერტყავდნენ. ჩემბერლენი რამდენიმე ათას სუდეტელ
გერმანელს უმალ გესტაპოს გადასცემდა, ვიდრე თავის ახლად შეძენილ მეგობარს, ადოლფ
ჰიტლერს უღალატებდა. გულდაჯერებული, ფიურერთან ახლო ურთიერთობა დაამყარეო,
მის განაწყენებას ერიდებოდა.

ამასობაში ლონდონის ლორდ-მერი ჰარი ტუაიტფორდი პრაღაში ჩაფრინდა, რათა მო-
გროვილი თანხა ლტოლვილებისათვის პირადად ჩაებარებინა. გენერალმა სიროვიმ რამდენიმე
დღე ალოდინა და დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ მიიღო.

ჯონ ბენეტი, რომელიც პრაღის გრადში ვიზიტის დროს ახლდა ტუაიტფორდს, შემ-
დგომ წერდა: „სიროვი სულ შეიცვალა. წინათ მზად იყო მტერს მარტოდმარტოც შერკი-
ნებოდა, ახლა კაცი ვეღარ იცნობდა. 1 ოქტომბრის შემდეგ რეგისტრირებულ ლტოლვი-
ლებს, რომელთა დაბრუნებასაც გერმანია ასე დაბეჯითებით მოითხოვდა, მეტისმეტად
დაუნდობლად ექცეოდა.

ჰარი ტუაიტფორდი ჩეხების მეთაურს ევედრებოდა, 15 ოქტომბრის ხელშეკრულებას
დადებამდე ჩამოსულ ხალხს მაინც ნუ გასწირავთ. „თხუთმეტ დღეს კი არა, თხუთმეტ წუთს
არავის ვაპატიებ. გერმანელები მათ დაბრუნებას მოითხოვენ და დაე, აღსრულდეს ნება
მათი", — გენერალი სიროვი ბოროტად აკვესებდა ცალ თვალს; მეორეზე შავი სახვევი
უთროთდა.

ეს სიტყვები მან მაღალი, აღელვებული ფალცეტით წარმოთქვა, შემდეგ ზეზე წამოიჭრა
და გულის გადასაყოლებლად ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. მერე უფრო დინჯად დასძინა:
„ჩვენ მზად ვიყავით, ანგელოზების მხარე დაგვეჭირა და მათ მხარდამხარ გვებრძოლა. რა-
ღაი ასეა, ახლა მგლებთან ერთად ვინადირებთ".

* *

შუაგულ სუდეტებში მყოფი ჰიმლერი და ჰაიდრიხი კი ესესელთა რეკრუტების ახალი სასწავლო ცენტრის გახსნას ადევნებდნენ თვალს ჰირშბერგის სასახლეში და თავიანთ მსხვერპლს სულმოუთქმელად ელოდებოდნენ. ერთმაც და მეორემაც კარგად იცოდა, რომ სულ მალე გაცილებით მეტი ესესელი დასჭირდებოდათ ჰიტლერის გეგმების განსახორციელებლად, რათა გესტაპოს შესძლებოდა დიდი გერმანიის, ახალ, ერთიან, უზარმაზარ, ტერიტორიაზე თარეში, ჯაშუშების, სოციალ-დემოკრატების, კომუნისტების, ებრაელებისა და რაიხისადმი მტრულად განწყობილი სხვა ელემენტების ხელში ჩაგდება, რაიხის მოწინააღმდეგეთათვის გასკუთვნილი ახალი საკონცენტრაციო ბანაკების სამეთვალყუროდ ესესის რიგების გაზრდა და გაფართოება.

ჰირშბერგის სასახლეში ჩასულებს მწყობრში ჩამდგარი ესესის ახალი კანდიდატები ელოდებოდნენ. ნაციისტური მისალმების ნიშნად თავიანთ ხელწვდილებს ხელი მაღლა აეღეს და „ჰაილ ჰიტლერო!"— ომახიანად შესძახეს. თითოეულმა მათგანმა საგულდაგულო ფილტრაცია გაიარა, რასაც ვერავერთი მოხალისე ესესელი თავიდან ვერ აიცილებდა. ყოველ ანკეტებში ძირიძირობამდე მოიხსენიებდა თავიანთი საგვარეულოს ოთხი თაობის ისტორია. ზედამხედველებმა კანდიდატებს უბრძანეს ტანთ გაეხადათ, შემოწმება დაიწყეს. უზომავდნენ ყურის ბიბილოთა სიგრძეს, აკვირდებოდნენ თვალებსა და თმის ფერს და, ჰაიდრიხის თეორიის თანახმად, ზედამხედველები იღლიებსაც ყნოსავდნენ, „ნორდიული" სუნი უდით თუ „სემიტური".

შემდეგ კანდიდატებმა ტანთ ჩაიცვეს და გულისკანკალით ელოდნენ საბოლოო შემოწმებას, რომელიც ჰიმლერსა და ჰაიდრიხს უნდა ჩაეტარებინათ. ჰიმლერმა ჰაიდრიხს მიანდო ელიტის წევრებად ნამდვილი ნორდიული ფიზიკური თვისებებით დაჯილდოებული კანდიდატების შერჩევა.

ასეთ დავალებებს რაიხსფიურერის მოადგილე უსაზღვრო სიამოვნებით ასრულებდა. მაღალ-მაღალი, ძალზე გამხდარი, არტისტული გარეგნობის მამაკაცს სახე ჩიტს მიუგავდა. მაღლა აზიდული წარბები და გრძელი, კეხიანი ცხვირი ჰქონდა. ერთხელ მის პირველ მოადგილეს, ვალტერ შელენბერგს უთქვამს: „ბუნებამ ჰაიდრიხს ადამიანური, პროფესიული და პოლიტიკური ხასიათის ამოცნობის საოცარი უნარი დაანათლაო". მის არაჩვეულებრივ ინტელექტს მტაცებელი ცხოველის ინსტინქტიც ემატებოდა. საფრთხეს წინასწარ ჰგრძნობდა და თავგზას არასდროს კარგავდა, კაცი კი არა ღვთის რისხვა იყო. მას კიდევ ერთი უცნაური თვისება ჰქონდა, რასაც შელენბერგი „ლაგამახსნილ სექსუალურ ჟინს" უწოდებდა. ამ დროს იგი წონასწორობას კარგავდა და თავს ვეღარ იკავებდა, თუმცა სხვა დროს მეტისმეტად ფრთხილი და წინდახედული იყო. ბოლოს მაინც ახერხებდა ვნებათა დაოკებას და წყლიდან ყოველთვის მშრალი გამოდიოდა.

ჰაიდრიხმა გვერდით ჩაუარა აღელვებულ, ერთ რიგად ჩამწკრივებულ რეკრუტებს, რომლებსაც ცისფერი თვალები იდეოლოგიური ცეცხლით აენთებოდათ. ყმაწვილებს ტყავის შარვლები ეცვათ, ქალიშვილებს — ცისფერი ქვედატანი და ტყავის ქურთუკები, ხვეული თმა მხრებზე ეფინათ. ეს იყო ესესის რიგებში რეკრუტების დაძაბული მოზღვავების პერიოდი.

* *

ჰიტლერი კარგახანია მიხვდა, რომ მიუნხენის შეთანხმება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა გამარჯვებას, რომელსაც ყველა მას მიაწერდა. ერთი კია, მიუნხენმა დასავლეთის სახელმწიფოთა სილაჩრე და უძლურება გამოამზეურა, მაგრამ განა ამას გუმანით თვითონაც არ გრძნობდა? გული სწყდებოდა, რომ მიუნხენში ვერა და ვერ შესძლო ჩეხოსლოვაკიაზე სრული კონტროლის დაწესება, ბრიტანეთი და საფრანგეთი რომ არა, 1938 წლის ზაფხულშივე აუგებდა ჩეხოსლოვაკიას წესს. „იმ ყმაწვილმა თვალსა და ხელს შუა გამაცურა და პრაღას იმიტომ ვერ დავეპატრონე", — უთქვამს ბერლინში დაბრუნებულს ნევილ ჩემბერლენზე.

9 ოქტომბერს გულდამშვიდებული პრემიერ-მინისტრი „კაცობრიობის ახალ ერასა და ევროპაში დამყარებულ კეთილ ურთიერთობაზე ლაქლაქებდა", ადოლფ ჰიტლერი კი ამ დროს სიტყვის წარმოსათქმელად საარბრიუკენში გაემგზავრა.

როცა ინგლისელები მის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, განცვე გაფიცხიანდებოდა ხოლმე. ხანდახან ცოფებსაც კი ყრიდა. ახლაც, ამ ბოლო დღეებში ინგლისის პრესაში გამოქვეყნებული კრიტიკა, თემთა პალატაში წარმოთქმული სიტყვები, განსაკუთრებით უინსტონ ჩერჩილის სიტყვა, გულს ცეცხლივით შემოენთო, იუკადრისა.

„ურჩევნიათ დიდ ბრიტანეთში ზოგ-ზოგებმა ვერსალის პერიოდიდან ძირგადგმულ სამ-

ღრებს თავი ანებონ, — განაცხადა ჰიტლერმა, — კმარა სხვათა ჭირისუფლობა. რაიხის ტერიტორიის ფარგლებში მცხოვრებ გერმანელთა ბედ-იღბალს იმათ არავინ კითხავს, თავის აგდებას არავის გაპატიებთ. ამ ჯენტლმენებს ერთ რჩევას მივცემთ მხოლოდ, ჩვენს საქმეებში ცხვირს ნუ ყოფენ, ურჩევნიათ გზიდან ჩამოგვეცალონ".

სერ ჰორაციო უილსონი ამ სიტყვის ტექსტით პრემიერ-მინისტრს კაბინეტში ეახლა და უთხრა: „ბატონო ჩემო, ვშიშობ, აღტაცებული არ დარჩებით".

ჩემბერლენმა ფიურერის სიტყვა გადაიკითხა და წამოიძახა: „სულ [illegible]ტონის ბრალია! თვითრჯულობა — აი, რა იტაცებს ყველაზე მეტად! — შემდეგ პრემიერ-მინისტრი ისევ ჩინებულ გუნებაზე დადგა: — მაგრამ რაც არ უნდა ილაპარაკოს, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მახეს მაინც ვერ დაგვიგებს. მაგარი ზურგი გვაქვს. ჰიტლერმა პირობა მომცა და მე მჯერა მისი. ევროპა ჩვენ გადავარჩინეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *

დაახლოებით იმ დროს, როცა ჩემბერლენი უილსონთან ლაპარაკით გულს იოხებდა, ფიურერმა გადაწყვიტა კიდევ ერთხელ სწვეოდა სუდეტის ოლქს. ამჯერად ქალაქ ლინციდან ჩრდილოეთით ჩეხების მიერ ავსტრიის საზღვართან აღმართული თავდაცვითი ნაგებობების დათვალიერება მოიწადინა. სწორედ მაშინ კონრად ჰენლაინის ამალაში გამწესებულმა მაიორმა გროსკურტმა მითითება მიიღო, სუდეტელი ნაცისტების მეთაური სასწრაფოდ ქალაქ ლინცში ჩაეყვანა. „ჩვენ ობერზალცბურგიდან ლინცში გავემგზავრეთ, — აღნიშნა მან 16 ოქტომბერს თავის დღიურში. — იქ სასტუმროში ღვინით გალეშილი ობერგრუპენფიურერი ბრუკნერი და ჰიტლერის ადიუტანტი შმუნდტი დაგვხვდა. სასტუმროში ნომერი მხოლოდ ჰენლაინისათვის შეენახათ, ჩვენთვის კი თავს არავის გაუცხელებია".

მეორე დილით ჰენლაინი ჰიტლერსა და ადგილობრივი ჯარების მეთაურს გენერალ ვილჰელმ ფონ ლეებს შეუერთდა, რომელიც მოტორიზებულ ავტოკოლონას წინ მიუძღოდა, და კავალკადამ ჩრდილოეთისაკენ, ჩესკე-ველენიცესთან მდებარე ჩეხოსლოვაკიის ძველი საზღვრისაკენ, აიღო გეზი. ისინი ბოჰემიისაკენ მიიჩქაროდნენ და გზად ერთ პატარა სოფლურ სასტუმროში შეიარეს. „იქ, ჩვენ, ასე ოცამდე კაცი, წასახემსებლად მაგიდას მივუსხედით. ფიურერთან უფრო ახლოს ფონ ლეები, გენერალი ფონ შობერტი, კონრად ჰენლაინი, ზეის ინკვარტი (ავსტრიის ნაცისტი გუბერნატორი), არმიის რამდენიმე ოფიცერი და ესესის ოფიცრები ისხდნენ. შმუნდტმა ფიურერს, ვეგეტარიანელსა და სასმელების მოძულეს, ხილის წვენი, ფაფა და ვენური კრემიანი ღვეზელი მიართვა. დანარჩენები კი შაშხს, სოსისებს, მოხარშულ კარტოფილს მიირთმევდნენ და ლუდით პირს ისველებდნენ. იმ დღეს ჰიტლერი უცნაურ გუნებაზე იყო. ჩემბერლენის ხსენებაზე სიბრაზისაგან ცოფებს ყრიდა, როგორ „გამაცურაო", ხოლო როცა თავის მსმენელებს მომავალი გამარჯვების გეგმებს უზიარებდა, სიხარულით ცაში დაფრინავდა.

გროსკურტი იგონებს: „როგორც კი წასახემსებლად დავსხედით, ფიურერმა გუდას პირი მოხსნა და პოლიტიკურ ვითარებაზე ლაპარაკით ყურთასმენა წაიღო. ოთახის კარი ღია იყო. შესასვლელთან მძღოლებს და იქაურ მცხოვრებლებს მოეყარათ თავი და ყველაფერი ესმოდათ. ისინი მოჯადოებულივით შესცქეროდნენ ფიურერს, რომელიც თანდათან სულ უფრო და უფრო შმაგდებოდა. ვატყობდი, რაღაც არ იყო კარგად საქმე. ძალზე საშიში ვითარება სუფევდა.

ჰიტლერი თავის გეგმებს ძირისძირობამდე არ შეხებია. „ნაციონალ-სოციალიზმისა და მესამე რაიხის მტრებს დაექადნა მხოლოდ". მთავარი მოქიშპე, რაღა თქმა უნდა, ინგლისი იყო. „ინგლისელები ღლენიადაგ მაკრიტიკებენ! უყურეთ ერთი ამ მიხრწნილებსა და დამჯაყებულებს, მათი მეთაურებიც უნებისყოფო, გადაგვარებული არისტოკრატები არიან ან კიდევ ჩემბერლენისთანა ბებერი ყეყეჩები. ხედავთ, ისე გაკადნიერდნენ, გვაშინებლაც კი მელობებიან. მაგათ როგორ ვაბოგინებ, ერთი თუ დავჯერი. ქვას ქვაზე აღარ დავტოვებ! ფრანგებმაც რომ თავი წამოჰყვეს! ძუკნა ძაღლები, მლიქვნელები! ფრანგს, როგორი პოლიტიკური შეხედულებაც უნდა ჰქონდეს, კაცი ადვილად მოისყიდის. აბა ერთი ხელი შემიშალონ, ყველას ნუსხას გავავლებ და დედამშობლიანად მოვთხრი!"

ხალხი გაოგნდა, რადგან ჰიტლერმა აღარც უნგრელები დაინდო: უნგრელები იმხანად გერმანელთა მეგობრებად და, რაღა თქმა უნდა, ფაშისტური იტალიის მოკავშირეებად ითვლებოდნენ, მაგრამ რაკილა ჰიტლერი წარმოშობით ავსტრიელი იყო, მადიარი მეზობლების სიძულვილი შთამომავლობით მოსდგამდა, ხოლო, როცა კრიზისის დროს უნგრე-

ლებმა ფეხი აითრიეს და ჩეხოსლოვაკიის საზღვრისკენ უხალისოდ გაემართნენ. ეს სიძულვილი ჰიტლერს გაუათკეცდა. ამ ამბებამდე ერთი წლით ადრე ფიურერი უნგრეთის რეგენტს, ადმირალ ნიკლოშ ფონ ჰორტის შეხვდა და თავისი გულისნადები გაუმჟღავნა: „ვისაც თევზი უყვარს, ფეხის დასველებისა არ უნდა ეშინოდეს", — დასძინა თურმე. მიუხედავად ამისა, უნგრელები მაინც იმ ცეცხლშია იყვნენ, იცოდნენ, ჩეხების შეიარაღებულ ძალებს მათი არმია ბუზსაც ვერ აუფრენდა, ამიტომ ერთხანს თავს იკავებდნენ, ვიდრე არ დარწმუნდნენ, რომ მათ მეზობლებს ახლა მამაზეციერიც ვეღარ იხსნიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მხდალები, ღორები, სლავი მათხოვრები! — ღრიალებდა ჰიტლერი სულგანაბული მსმენელების წინაშე... „მე ვიცი როგორ ავაწიოკებდი უნგრელებს, ჩემი გულითადი მეგობარი მუსოლინი რომ არა სწყალობდეთ".

მერე ჰიტლერი პოლონელებს გადასწვდა: „სლავები კი არიან, მაგრამ უნგრელებს როდი ჰგვანან. პოლონელებს კარგი თვალით ვუყურებ. იუგოსლაველებს მაგონებენ — დიდი ერია, მათთვის უცხოა შიშის გრძნობა, ვისმეთ პოლონელებს დავუმეგობრდე კიდეც. მინდა ჩემს მეგობარს ლიპსკის (პოლონეთის ელჩი ბერლინში) ვაცნობო, რომ არასდროს ვუღალატებ".

გროსკურთმა თავის მეგობარს ჰაით გუნტერ ბალუმენტრიტს გადაუჩურჩულა: „ეს იმას ნიშნავს, წელს უთუოდ პოლონეთის წინაღმდეგ გაილაშქრებს".

ანაზდად ჰიტლერი ზეზე წამოიჭრა და ავტომანქანისკენ გაემართა. კავალკადამ გზა განაგრძო. ამჯერად გეზი პრინც ფონ შვარცენბერგის მამულისკენ აიღეს. ფიქრობდნენ, ყველანი იქ, ცადაზიდულ ციხე-კოშკში დაბანაკებულიყვნენ, საიდანაც ბოჰემიის ტყით შეფენილი გორაკების შესანიშნავი ხედი იშლებოდა, მაგრამ ჩასვლა დაუგვიანდათ, იქაურობა უკვე ნისლში იყო გახვეული. ჰიტლერმა ცხვირი ჩამოუშვა, უხმოდ ახედა ციხე-კოშკს, მოიბუზა და ისევ მანქანაში ჩაჯდა.

ერთი-ორი დღის შემდეგ ფიურერი კვლავ გამხიარულდა და ცხად გაიკრიფა. გერმანიის საზღვრიდან პოლონეთის საზღვრამდე გადაჭიმული ძველი ჩეხური თავდაცვითი ნაგებობების დასათვალიერებლად ჩრდილოეთით, მორავიისაკენ გამგზავრება გადაწყვიტა. ამის გამო ბერლინიდან სპეციალური მატარებლით იქ უმაღლესი სარდლობის ორმოცდაათიოდე გენერალი და ოფიცერი ჩავიდა. მათ შორის იყვნენ გენერლები: კაიტელი, ბრაუხიჩი და სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენელი ერნსტ უდეტი. ისინი შუადღემდე ათვალიერებდნენ ძველ ჩეხურ თავდაცვით ნაგებობებს, რამაც მათზე ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა. კაიტელი გზადაგზა ყველაფერს წვრილწვრილად იწერდა, რადგანაც საფრანგეთისა და რაიხის საზღვართან დასავლეთ სანგრების (ზიგფრიდის ხაზი) მშენებლობა იმხანად მას მომეტებულად აინტერესებდა. ერთ პატარა სოფლურ სასტუმროში ისაუზმეს. ჰიტლერმა ეზოში ღია კართან შეჯგუფული უცხო ხალხი აინუნში არ ჩააგდო და გუდას ისევ პირი მოხსნა.

თავდაცვითი ნაგებობების დათვალიერების დროს პოლკოვნიკ ვარლიმონტს მეგზურის როლი ეკისრებოდა, ახლა იგი მართლაცდა სანტად დარჩა, ფიურერმა თავის გეგმებზე რომ დაიწყო ლაპარაკი: „ჩვეულებისამებრ მაგიდასთან ყველა მას შეჰფოფინებდა, — წერდა ვარლიმონტი. — ფიურერი ძალზე აგზნებული იყო, ხმას ისე აუწია, მისი ამბავი რომ არ მცოდნოდა, ვიფიქრებდი, მთვრალია, ან ნარკოტიკებით გაბრუებულ-მეთქი. იგი უცნობებს ზედაც არ უყურებდა, ისინი კი პირდაღებულები მისჩერებოდნენ".

ახლა ჰიტლერი ჩეხოსლოვაკიას გადასწვდა. მიუნხენში გამაცურესო, — ამბობდა იგი. — ჩემმა მოწინააღმდეგეებმა პირი შეკრეს, ჩემი გულჩვილობით ისარგებლეს და თავისი გაიტანეს, ეს პრობლემა, უმჯობესია, თანდათან გადაიჭრასო, დამარწმუნეს. მეც გავბრიყვდი და დავუჯერე. მოულოდნელად გაცხარებულმა დასძინა: „გერმანელი ხალხი ამჯერად დასავლეთის ბოროტ ძალთა თანამზრახველი აღმოჩნდა, „აქილევსის ქუსლი" მომიძებნეს, მე კი ხათრი იმიტომ გავუწიე, მივხვდი, გერმანელი ხალხი ჯერ კიდევ არ იყო შემზადებული ომისათვის და იმ მსხვერპლის შესაწირად, რომელსაც ახალი გერმანია მოითხოვდა".

„— ჩემთვის ახლა ყველაფერი ნათელია, — თქვა მან. — ძალიან დავიშავე, თავი ასე რომ გავაბრიყვებინე. აქეთ ჩემბერლენმა დამაგლიჯა კალთები, იქით ჩემიანებმა არ მომასვენეს. გერმანელმა გენერლებმა ხომ ეჭვებით გული გამიწვრილეს. ახლა ჭკუა ვისწავლე, მე ისევ თავდაპირველ გეგმას ვუბრუნდები. მტკიცედ გადავწყვიტე ჩეხოსლოვაკია რაიხს შევუერთო. სულ მალე ამ ჩანაფიქრსაც ფრთებს შევასხამ".

ვარლიმონტი აღნიშნავდა: ფიურერმა ამჯერად მართლ მსახურები და იქ მყოფი სოფ-

ლელები როდი გაათენა, სახტად დარჩნენ აგრეთვე გენერლებიც, განსაკუთრებით გერმანიის ადგილობრივი ჯარების მეთაური გერდ ფონ რუნდშტედტი, რომელსაც მიუნხენმაც კი ვერ გაუქარვა ეჭვები, რადგან გერმანიის შეიარაღებულ ძალებზე დიდ იმედებს არ ამყარებდა. ჰოდა, ახლა იგი გათამამდა და ჰიტლერს ფრთხილად შეაპარა: „ის უსისხლო გამარჯვება იყო, მაგრამ პრაღის დაპყრობა შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს".

ჰიტლერმაც ეს ამბავი თითზე დაიხვია და თავის გენერლებს ლანძღვა-[illegible], ყველას ცოდნასა და გამოცდილებას უწუნებდა. „სუდეტის ოლქის დაპყრობ[illegible] მაწბილა ჩვენი არმიის უგერგილობამ და უნიათობამ (რაღა თქმა უნდა, ჰიტლერს მაშინვე მოახსენეს, რა უთავბოლობაც სუფევდა იქ ორმოცდარვა საათის განმავლობაში). მართალია, გერმანიამ უბრძოლველად გაიმარჯვა, მაგრამ ამას მე უფრო უნდა მიმადლოდეთ, ვიდრე უმაღლეს სარდლობას, თუმცა ეს ოპერაცია მაინც ძალზე ძვირი დაგვიჯდა, რაიხსბანკმა მის დასაფინანსებლად ჯიბე მთლად დაიცარიელა, ბანკის მეპატრონენი იმუქრებოდნენ, ეს პირველი და უკანასკნელიაო. ისე კი, ვირზე რომ შემჯდარიყვნენ, ენას მაინც მუცელში ჩავაგდებინებდი, მაგრამ გამტყუნებით, რაც მართალია, ვერ გავამტყუნებ.

მე მგონი, ჩეხოსლოვაკიაში შემდგომი ეტაპის განსახორციელებლად მობილიზაცია აღარ დაგვჭირდება. არც დრო დაგვეკარგება და არც ფული. ჯარი ბოჰემიისა და მორავიის დაპყრობის დროსაც არაა აუცილებელი. ეს თავისთავად მოხდება — მთელ მოსამზადებელ სამუშაოს პოლიტიკური გზით ჩავატარებთ. — ჰიტლერი კაიტელსა და რუნდშტედტს მიუბრუნდა: მარტო ერთ რამესა გთხოვთ, დაუჯერეთ თქვენს ფიურერს და არმია სალაშქროდ გაამზადეთ. მენდეთ, დიდებულად ვიცნობ ჩემს მოწინააღმდეგეებს, ამის გულისათვის იმს არ დაიწყებენ. ჩემი ერთადერთი თხოვნაა, შეიარაღებული ძალები ჩეხოსლოვაკიის დასალაშქრად გაამზადოთ. არავითარი მობილიზაცია, არავითარი ზედმეტი ხარჯები. ჩეხები ერთი კი აწრიპინდებიან, მაგრამ სანამ ხმას ამოიღებდნენ, ყელში ეწვდებით და ანდერძს ავუგებთ. აბა ერთი მითხარით, ვინ გაიცხელებს თავს იმათ დასაცავად?"

ცოტა ხნის შემდეგ გროსკურტი და ვარლიმონტი სასტუმროდან ეზოში პირუწყმრად გამოვიდნენ, მალე მათ რუნდშტედტიც დაედევნათ. გროსკურტმა თვალი გააყოლა, უკან ხელებშემოწყობილი ბოლთას როგორ სცემდა, სოფლის ოღრობოღრო გზაზე ისე დააბოტებდა, გუბეებს ვერც კი ამჩნევდა. რუნდშტედტს ჭიპი ვერმახტში ჰქონდა მოჭრილი და გროსკურტს კარგად მოეხსენებოდა, გენერალს ჰიტლერის გრანდიოზული გეგმები ჭკუაში რომ არ მოსდიოდა. სულ ორიოდე კვირის წინ, როცა გერმანიის არმია სუდეტის ოლქისკენ მიიჩქაროდა, რუნდშტედტმა გროსკურტის შეფს, ადმირალ კანარისს უთხრა თურმე: „იცოდეთ, კანარის, ამ საქმეს რაღაც ცუდი პირი უჩანს, ნეტა რამდენ ხანს გაგრძელდება ეს ფარსი?".

კანარისს ხმა არ ამოუღია, ნაციზმს ძირისძირობამდე იცნობდა, თან დასავლეთის სახელმწიფოთა მეთაურების ხასიათიც კარგად მოეხსენებოდა, თქმით კი უნდა ეთქვა:

„თქვენ რომ გგონიათ, იმაზე დიდხანს".

ნაცისტური გერმანიის გულისმოგება მიუნხენის შეთანხმებით აშშ-ის პრესამ უარყოფითად შეაფასა და ფრანკლინ რუზველტიც ენერგიულად გამოეხმაურა გაზეთებში დაბეჭდილ კომენტარებს. მან, ცოტა არ იყოს, მორიდებით განაცხადა, ჩემბერლენი ჭირისდღესავით მძულს, რადგანაც იგი აშკარა სიმპათიით ეკიდება ნაციონალ-სოციალიზმს და ურცხვად იხრის ქედს ადოლფ ჰიტლერის წინაშე. მაშინ, როდესაც ფრანგებს აინუნში არ აგდებსო. მაგრამ ამერიკაში ყველა როდი იზიარებდა რუზველტის აზრებს. პირიქით, ბევრი სულით და გულით იწონებდა მიუნხენის შეთანხმებას. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ამით საბოლოოდ გადაწყდებოდა აგრერიგად გაურკვეველი და ბუნდოვანი გეოგრაფიული პროგრამა. საერთოდ იზოლაციონისტებს ძალზე აღელვებდათ ის დილემა, რომელიც დასავლეთ ევროპის დემოკრატების წინაშე იდგა, მაგრამ ამ პრობლემის გადასაჭრელად თითს თითზე არ აკარებდნენ. მაგალითად, იზოლაციონისტების ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი, სენატორი ჯერალდ ნაი ხმამაღლა და კატეგორიულად მოითხოვდა, რომ აშშ-ის მთავრობა არ ჩარეულიყო იმ განხეთქილებაში, ევროპის ცრუპენტელა ხალხებს შორის, მაგალითად, ბრიტანელებს შორის რომ არსებობდა.

ერთი პირობა რუზველტმა კინაღამ ლადებითად შეაფასა მიუნხენის შეთანხმება, მაგრამ წინააღმდეგობებს წააწყდა თუ არა, მაშინვე გონს მოეგო.

ზოგი საზრიანი ამერიკელი (თუმცა ასეთები თითზე ჩამოსათვლელი იყვნენ) მიუნხენს არა მარტო ინგლისის, არამედ ნაწილობრივ აშშ-ის დამარცხებადაც მიიჩნევდა. ეს იყო აგბედითი გაფრთხილება, თუ რა კრიზისი ელოდა ახლო მომავალში გულარხეინ ამერიკელ

ერს. რუზველტი გრძნობდა ამას, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, ამაზე ხმამაღლა ლაპარაკი შეუძლებელი იყო, რადგანაც მაშინ ამერიკელები მთლად დაფრთხებოდნენ და იზოლაციონისტებსაც მეტი არა უნდოდათ რა. მალე, მიუნხენის შემდეგ, მან ნაცისტების მიმართ მტკიცე პოზიცია დაიკავა, მაგრამ თავის გეგმებს ცხოვრებაში ერთბაშად როდი ახორციელებდა.

1939 წლის 7 ოქტომბერს პრეზიდენტმა თეთრ სახლში კაბინეტის სხდომა მოიწვია. სხდომის დამთავრების შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრი ჰაროლდ იკესი თავის დღიურში აღნიშნავდა: „პრეზიდენტმა მაცნობა, რომ, მისი აზრით, ახლო მომავალში გერმანია კოლონიების მოთხოვნას წამოაყენებს და ვარაუდობენ, ნაცისტთა მადის დასაკმაყოფილებლად ინგლისი ტრინიდადს შესთავაზებს, ხოლო საფრანგეთი მარტინიკაზე ხელს აიღებს. ასე და ამგვარად, გერმანია ჩვენს აღმოსავლეთ სანაპიროსთან, ისევე როგორც ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ნაპირებთან ძლიერ ავანპოსტებს დაეპატრონება. შემდეგ ინგლისი აღარ მოგვასვენებს, „მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების" მიზნით ეს პუნქტები გერმანიას გადაეცითო".

პრეზიდენტ რუზველტის „ეჭვები", კერძოდ, გერმანიის მიერ კოლონიების მოთხოვნის თაობაზე, ამერიკის დაზვერვის პატაკებზე იყო დაფუძნებული. არც გერმანიის და არც ინგლისის დოკუმენტებში ეს კუნძულები ნახსენებიც კი არ არის, მაგრამ ფაქტი ფაქტია. ჩემბერლენი ჰიტლერთან „მეგობრობის" განმტკიცებასა და მისი გულის მოგებას ზოგიერთი კოლონიის ბოძებით აპირებდა.

მაგრამ თუ ვაშინგტონი გერმანიის მიმართ თანდათან მტკიცე პოლიტიკური ხაზის გატარებას აპირებდა, ამას ვერ ვიტყვით ამერიკის საელჩოზე ლონდონში. 19 ოქტომბერს ინგლისელებმა ამერიკის ელჩი კენედი ერთგვარი პატივისცემის ნიშნად სამხედრო-საზღვაო ლიგაში სადილად მიიწვიეს და ტრაფალგარის გამარჯვების დღის აღსანიშნავად სთხოვეს სიტყვით გამოსულიყო. მან თავის მოვალეობად ჩათვალა წინასწარ გაეფრთხილებინა სახელმწიფო დეპარტამენტი, მე მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი ორ სახელმწიფოს შორის მშვიდობიან ურთიერთობას მივესალმოო, და დეპარტამენტიც მაშინვე დაეთანხმა. ან რაღა უნდა შედავებოდა? განა თვით რუზველტმა არ გაუგზავნა ჩემბერლენს მისალოცი დეპეშა? მაგრამ სახელმწიფო დეპარტამენტს ელჩის ეს განცხადება თეთრი სახლისათვის არ უცნობებია და არც კენედის გამოსვლის ტექსტის კითხვით შეუწუხებია თავი.

ელჩი თვითონაც მშვენივრად გრძნობდა, რომ სწორედ ახლა წყდებოდა მისი ბედიღბალი და ყოველი სიტყვა უნდა აეწონ-დაეწონა. კენედიმ ისიც კარგად იცოდა, იმხანად მას როგორც შინ, ასევე ინგლისშიც, ყველა კრიჭაში ედგა. ყველა მისი მოქიშპე რუზველტის მთავრობაში და თვად პრეზიდენტიც კი დარწმუნებული იყო, რომ იგი „ლედი ასტორისა და კლივლენდის ჯგუფის გავლენას განიცდიდა" და დიდი ანგლოფილი გახლდათ. მეორე მხრივ, ზოგიერთების აზრით, კენედი მოთვინიერების ჩემბერლენისეული პოლიტიკის მომხრეებს თავის ხმაზე დაატარებდა, თუმცა ელჩს ისეთი მტკიცე შეხედულებები ჰქონდა, რომ მათი დაფარვა შეუძლებელი იყო. აკი თავისი გამოსვლის დროს ერთ ადგილას განაცხადა კიდეც: „უკვე კარგა ხანია მივედი იმ დასკვნამდე, რომ არც დემოკრატიული და არც დიქტატორული რეჟიმის ქვეყნებს ხელს არ აძლევს აზრთა სხვადასხვაობის გამო ამჟღავნონ ურთიერთშორის არსებული განხეთქილების გამწვავება, რაც ისედაც დღესავით ნათელია. ზოგიერთი სადავო მოვლენის გარშემო ხმაურისა და დავიდარაბის ატეხვას ურჩევნიათ მთელი თავიანთი ენერგია მშვიდობიანი გზით და კეთილი ურთიერთობის აღდგენის მეშვეობით საერთო საკითხების გადაჭრას მოახმარონ. მართალია, დემოკრატიულ და დიქტატორულ რეჟიმებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა, რაც ზოგიერთ საკითხში უფრო ღრმად წარმოჩინდება, ვიდრე პოლიტიკაში, მაგრამ უბრალოდ უაზრობაა ეს უთანხმოება დაუოკებელ ანტაგონიზმში გადაიზარდოს. ბოლოს და ბოლოს, მოგვწონს ეს, თუ არ მოგვწონს, ჩვენ მაინც ერთ სამყაროში გვიხდება ერთმანეთის გვერდით ცხოვრება".

ამ სიტყვაში სწორედ რომ ზუსტი ასახვა ჰპოვა ინგლისის მთავრობის პოლიტიკამ. ასეთი განცხადება თვით ჩემბერლენსაც შეეძლო გაეკეთებინა. ლონდონის „ტაიმსისა" და მოთვინიერების პოლიტიკის მომხრე სხვა გაზეთების გარდა კენედის გამოსვლას ლონდონში მხარი არავინ აუბა. კიდევ უფრო დიდი აღშფოთება გამოიწვია ამ სიტყვამ აშშ-ში. პრეზიდენტი გაცხარებული განიცდიდა პრესის კრიტიკას. მერე სახელმწიფო დეპარტამენტი ერთი კარგად შეახურა, ელჩს ასეთი განცხადების უფლება რომ მისცა. სახელმწიფო დეპარტამენტმა კი თავის მხრივ „განტევების ვაცის" ძებნა დაიწყო. სახელმწიფო დეპარტამენტის

ევროპის განყოფილების უფროსი ჯეი მოფატი წერდა: „სახელმწიფო მდივანი (კორდელ ჰელი) ძალზე შეშფოთებულია... მისი აზრით, ჩვენ წინასწარ უნდა ჩაგვეშალა კენედის გამოსვლა, თუმცა იგი ირწმუნება „ჩემს პირად თვალსაზრისს" ვატარებო. ჰელიმ სამნერ უელესს მიმართა: შენ მაინც რად ვერ შენიშნე კენედის მომზადებული სიტყვა აქ, სახიფათო თუ იყოო. უელესმა შენიშნა: მექსიკის საქმეებით გართულს მეგონა სახელმწიფო მდივანი უყურადღებოდ არ დატოვებდა ამ საკითხს და კენედის გამოსვლას დიპლომატურად მივეცით. შემდეგ ჰელიმ ისიც კი მისაყვედურა, ელჩის გადაწყვეტილებას ასე გულარხეინად მომასხენეო, მაგრამ ეს მთლად მართალი არ იყო, რადგან მე იგი წინასწარ გავაფრთხილე, კენედის სიტყვას უდავოდ უარყოფითად გამოეხმაურებიან-მეთქი, თუმცა ელჩის გამოთქმა: „ეს ჩემი პირადი თვალსაზრისიაო" — სახელმწიფო დეპარტამენტს პრესის თავდასხმისგან იხსნიდა. საქმე ის არის, რომ ჰელის სულაც არ უნდოდა კენედისა და ბულიტის დაწუნათება, რადგანაც მათ თეთრ სახლში ბევრი მომხრე და ქომაგი ჰყავდათ, თუმცა „განტევების ვაცი" მაინც სჭირდებოდათ და ჯოხი ჩემზე გადატეხეს".

როცა კენედის გამოსვლიდან ერთი კვირის შემდეგ პრეზიდენტი რუზველტი რადიოში გამოვიდა, მისი მტკიცე პოზიცია ყველამ ისე აღიქვა, როგორც სასტიკი საყვედური ელჩის მიმართ: „მშვიდობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, თუ არსებულ კანონებზე დროდადრო შიშველი ძალა ბატონობს. მშვიდობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, თუ ეროვნულ პოლიტიკას გამიზნული ინსტრუმენტის სახით ომის საფრთხე უდევს საფუძვლად".

* *

18 ოქტომბერს ჰიტლერის პირადი თვითმფრინავი — სამმოტორიანი იუნკერსი „ჰორსტ ვესელი" ბერლინის ტემპელჰოფის აეროპორტიდან ცაში აფრინდა, შიგ იჯდა ორი ფრანგი. ახლახან იტალიის ელჩად დანიშნული ანდრე ფრანსუა-პონსე ბერხტესგადენში ჰიტლერთან შესახვედრად მიფრინავდა, თან კაპიტანი სტელენიც მიჰყავდა.

ფრანსუა-პონსეს, რომელიც თვალს ადევნებდა ჩეხოსლოვაკიას ანგარიშს როგორ უსწორებდნენ, სინდისი ქენჯნიდა, თუმცა მიუნხენში ფარ-ხმალის დაყრამ საბოლოოდ დაარწმუნა, რომ აწჯერად საფრანგეთს ფიურერთან შეთანხმების გარდა სხვა გზა არ ჰქონდა. ჩემბერლენისა და უილსონის საქციელმა მიუნხენის კონფერენციაზე ინგლისელებზე გული მთლად აჰყარა, ხოლო ჩემბერლენისა და ჰიტლერის შეხვედრამ მიუნხენის შეთანხმების შემდგომ და ამ შეხვედრის ნაყოფმა — პატარა ქაღალდის ნაგლეჯმა, ალაშფოთა განსაკუთრებით. გადაწყვიტა ინგლისელების ჯიბრზე, ასეთი ქაღალდი საფრანგეთსაც ჩაეგდო ხელთ.

თვითმფრინავი ბერხტესგადენში დღის სამ საათზე ჩაფრინდა. ფრანგებს ესესის პოლკოვნიკი შეეგება და ფიურერის მერსედესისაკენ გაუძღვა. გეზი ობერზალცბურგის მთებისკენ აიღეს, სადაც მათი ვარაუდით ჰიტლერს უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ განცვიფრებისაგან ორივემ პირი დააღო, როცა ქალაქს ჩაუარეს და სულ მაღლა და მაღლა დაიწყეს ასვლა. უეცრად ვეებერთელა გაკრიალებულ ბრინჯაოს კართან შეჩერდნენ, კარი მაშინვე გაიღო და გამოჩნდა გაჩახჩახებული ოთახი.

ესესის ოფიცერმა ისინი შიგ შეიპატიჟა და სავარძლები შესთავაზა. სავარძლებში მოკალათებულებს რაღაც ზუზუნი შემოესმათ. მიხვდნენ, უზარმაზარ ლიფტში ისხდნენ. ლიფტი რომ გაჩერდა და კარი გაიღო, წინ რიბენტროპი აესვეტათ. მისალმების ნიშნად მან ხელი წინ გაიშვირა, შემდეგ სტუმრები უზარმაზარ ფანჯარასთან მიიყვანა, საიდანაც ალპების თოვლიანი სანახაობა იშლებოდა. „ფერმიხდილმა და შუბლშეკრულმა, მაგრამ თავაზიანმა და მოკრძალებულმა" ჰიტლერმა გადაწყვიტა ფრანგი დიპლომატები პატივისცემის ნიშნად მთებში ჩაკარგულ თავის ვილაში — „არწივის ბუდეში" მიეღო.

საღამოს ხუთ საათზე სტუმრებს ჩაი მიართვეს. ჩაის სმის დროს ჰიტლერმა ინგლისელებს გააფთრებით შეუტია, განსაკუთრებით ჩემბერლენს გაამრო ტყავი, რამაც ფრანსუა-პონსე, ეტყობოდა, ძალზე გაახარა. ფიურერმა თან სასწრაფოდ დასძინა, ფრანგებზე ამას ვერ ვიტყვიო, ჩემი აზრით, დაღადიე დიდი სახელმწიფო მოღვაწეა და ამიტომ საფრანგეთთან მეგობრობა და თანამშრომლობა მწადიაო. მერე ელჩს ხელმკლავი გამოსდო და გვერდით ოთახში გაიყვანა, სადაც დაახლოებით ნახევარ საათს საუბრობდნენ. საუბარი რომ დაამთავრეს, ორთავეს გაეღიმა, ფრანსუა-პონსეს თვალებში გამარჯვების ნაპერწკალი ენთო.

„ნუთუ არ შეგინიშნავთ, რარიგ იცვალა ნირი ჰიტლერმა და სულ იმის ცდაში იყო, კამათისათვის თავი აერიდებინა? — შეეკითხა ელჩი კაპიტან სტელენს, როცა ისინი მთებიდან ძირს დაეშვნენ. — ჩვენი საუბრის დროს, მიუხედავად სადავო საკითხებისა, ერთხე-

ლაც არ გაცხარებულა. დაგვიმტკიცა, რომ თავშეკავებული და გონივრული მოქცევაც ძალუძს. იგი ბევრს ლაპარაკობდა ევროპაზე, ევროპის ცივილიზაციაზე, ევროპის საქმეები გულს მიფორიაქებს და უსაფუძვლოდ როდი ვარ შეწუხებულიო".

თავის ოფიციალურ მოხსენებაში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ფრანსუა-პონსე წერდა: „ჰიტლერს ძალუძს იყოს ზრდილი, ამასთან მეტისმეტად მგრძნობიარე ბუნების მშვენიერების მიმართ, და ჭიქა ჩაიზეც გონივრულად იმსჯელოს ევროპაზე, ევროპის პოლიტიკაზე, ამავე დროს გიჟური გაშმაგებაც შეუძლია. ველური ეგზალტაციაც და არაბუნებრივ პატივმოყვარეობასაც იჩენს". შემდეგ ელჩმა ისიც თქვა, რომ, მისი აზრით, საფრანგეთი ფიურერთან საერთო ენას უთუოდ გამონახავს, საამისო საფუძველი უკვე ჩაყრილია.

ჟორჟ ბონე დიდად გაახარა ელჩის ცნობამ და წინასწარი მოლაპარაკებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებას შეუდგა, რაც საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმებით უნდა დაგვირგვინებულიყო. განა საფრანგეთი ვერ ეღირსება ჰიტლერის ხელმოწერილ ქაღალდს?!

## ჰიტლერი ბოჰემიას თავს დასტრიალებს

კაბარე „კომიკს"-ს ბერლინის ფეშენებელურ აღმოსავლეთ რაიონში კურფიურსტენდამზე მდებარე შენობის უკანა მხარე ეჭირა. იქ ნანახსა და გაგონილს ალბათ ბევრი უცხოელი დაუტოვებია სახტად 1939 წელს, მაგრამ სტუმრებს განა ერთობ ურცხვი ხასიათის პროგრამა აკვირვებდათ აგრერიგად?! ჩვეულებრივ, მომღერლები მაყურებელს სენტიმენტალურ სიმღერებს სთავაზობდნენ, ხანდახან ცეკვებიც კი ჩაიდგებოდა. ცალკეულ ნომერსა და ნომერს შორის კონფერანსიე, სახელად ვერნერ ფინკი, ხალხს ინტერმედიებით ართობდა. ფინკი დღენიადაგ პოლიტიკურ თემაზე ოხუნჯობდა და თავს საფრთხეში იგდებდა. მარტოოდენ ამით თუ გამოირჩეოდა იგი თავისი უცხოელი კოლეგებისაგან.

ფინკი ანტინაცისტურად იყო განწყობილი და თავის ზიზღს ჰიტლერისა და იმ ადამიანთა მიმართ გერმანიას რომ განაგებდნენ, არც მალავდა. იგი ყოველთვის ისეთი ნომრებით გამოდიოდა, რომელთა შესრულებასაც მის გარდა მთელ რაიხში კაცი ვერ ბედავდა. ნაცისტ ხელმძღვანელებს საქვეყნოდ აქილიკებდა. ჩაფართხუნებულ კოსტიუმში გამოწყობილს, ყელზე ჰალსტუხის ნაცვლად ვეებერთელა პეპელა ჰქონდა შებმული. დაბუზნული, ზინზლიანი ქუდით შემოიჭრებოდა ხოლმე სცენაზე და ნაცისტური მისალმების ნიშნად ხელს დიდის ამბით წინ იშვერდა, ერთხანს ასე იდგა. მერე ისე გამოაცხადებდა „ნახეთ რა მაღლა ხტება ჩემი ძაღლიო", რომ სახეზე ძარღვიც არ შეუტოკდებოდა.

რა ჭორი გინდათ ნაცისტ ხელმძღვანელებზე, რომ არა სცოდნოდა ფინკს. რაწამს გერინგის მეუღლის ნათქვამი ჩაეწვეთა ყურში, მალე ბავშვს ველოდებით, ფინკმა სცენაზე გვერდულად გასვლა დაიწყო და დარბაზს ჩურჩულით მიმართავდა: „ს-ს-სუ! თუ ბიჭი შეეძინა, იცით რა უნდა დაარქვას? თუ არ იცით, მე მოგახსენებთ! ჰამლეტი. დიახ, დიახ, ჰამლეტი! გინდათ გითხრათ, რატომ? თუმცა ამას აბა რა ლარი და ხაზი სჭირდება!" მერე ხელს ნიკაპზე იტაცებდა ხოლმე და სცენაზე ბოლთას სცემდა, თან „Sein oder nicht, das ist die Frage"-ო[1], გაიძახოდა. ყოველ საღამოს, წარმოდგენის ბოლოს, ფინკი ჯერ კულისებისაკენ მიდიოდა, მერე შემობრუნდებოდა ხოლმე, ნაცისტური მისალმების ნიშნად ხელს წინ იშვერდა და მჭექარე ხმით გაჰყვიროდა: „ჰაილ... ჰმ... ჰმ... აბა თუ მეტყვით, რა ჰქვია იმ ჭაბუკს?"

ღმერთმა უწყის, ვინ აძლევდა ამ ხუმარას გამოსვლის ნებას. 1936 წლიდან მოყოლებული 1939 წლამდე გებელსის ბრძანებით კაბარე ოთხჯერ დაიხურა, ხოლო ვერნერ ფინკი ხუთჯერ დააპატიმრეს სახელმწიფოს შეურაცხყოფისათვის.

მაგრამ კაბარეს ხელახლა ხსნიდნენ. ვერნერ ფინკსაც კვლავ ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა — ქალამნად და სცენაზე გამოსული, მაყურებელს, როგორც ყოველთვის, თავის გესლიან რეპერტუარს სთავაზობდა.

1939 წლის 25 იანვარს მაგიდასთან კაბარეში ერთმანეთის გვერდით ისხდნენ საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალთა ატაშეს თანაშემწე პოლ სტელენი და გერინგის ერთ-ერთი უპირველესი თანაშემწე, გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების გავლენიან პირთაგან მეოთხე

[1] გერმანულად ამ სიტყვებს ორნაირი მნიშვნელობა აქვთ: „ყოფნა არყოფნა, საკითხავი აი, ეს არის" და „ისა ან ის არა, საკითხავი აი, ეს არის" (ავტ. შენიშვნა).

კაცად ცნობილი, კარლ ბოდენშატცი. ფრანგი თვალს არ აშორებდა ბოდენშატცს, რომელიც კონფერანსიეს გესლიან რეპლიკებზე სიცილით იგუდებოდა. „ჯერჯერობით ლიუფტვაფესათვის კბილი არ გაუკრავს", — შენიშნა ბოდენშატცმა.

ბერლინში თავის წრეებში ძალზე პოპულარული, ლამაზი და გულმართალი ამ ლტე-ლენი ელზას-ლოთარინგიაში იყო დაბადებული და იქვე იზრდებოდა. როცა პირველი მსოფლიო ომის დროს ეს ოლქი გერმანიის იმპერიის ქვეშ იმყოფებოდა.

ფრანგა ჩინებულად ფლობდა გერმანულ ენას და მეორე ბიუროსთანაც [illegible] და (გერმანელებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ). მას შემდეგ, რაც სტელენი ბერლინს ჩავიდა, ორ წელიწადში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალთა მესვეურებთან, თუმცა თავადაც ბევრჯერ უთქვამს: რაც მართალია მართალია, ამ საქმეში ბედიც დიდად მწყალობდაო. დაახლოებით ერთი წლის წინ საფრანგეთის ელჩს, რომელიც დარბაზობას მართავდა, ბოლო წუთებში აცნობეს, რომ ერთ-ერთი სტუმარი ავადმყოფობის გამო შეიძლება ვერ დაესწრებოდა. მის ნაცვლად მაგიდასთან თავისუფალი ადგილის შესავსებად სტელენი მიიპატიჟეს. იგი გერმან გერინგის დის — ოლღა რიგელეს გვერდით მოხვდა. სიმპათიური და მომხიბვლელი ახალგაზრდა კაცი, როგორც ჩანს, გერინგის დას თვალში მოუვიდა. მეორე დღეს ელჩმა თავისთან იხმო და ღიმილით ამბავი აუწყა: „ეტყობა, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინე; ხვალ საღამოს ფრაუ რიგელესთან წვეულებაზე გეპატიჟებიან". მოკრძალებულმა სტელენმა იფიქრა, ბერლინის დიპლომატიური წრეების ზოგიერთი უცოლო კაცივით ამჯერადაც ალბათ სუფრასთან ნაცვლად მაგივრად მიწვევენო, მაგრამ წუხას უკავშირდა, ფრაუ რიგელემ სრულიად შეგნებულად შეიყვანა იგი თავის სტუმართა რიცხვში.

გვიან საღამოს, როცა ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, სტელენს სთხოვეს დარჩენილიყო. იგი ერთხანს გულისყანცქალით ფიქრობდა, ალბათ საცაა ვახშმის სამაგიეროს მაზღვევინებენო. მზად იყო მათ ნებას დამორჩილებოდა, მაგრამ ეს კია, სამსახურებრივ მოვალეობასა და სამშობლოს წინაშე დადებულ ფიცს ვერ უღალატებდა. ნეტამც ფრაუ რიგელე ცოტა უფრო ახალგაზრდა და ტანკენარი იყოსო, ნატრობდა გულში, მაგრამ დიასახლისის ბუდუარის ნაცვლად, კაბინეტში შეიყვანეს. მალე მას შეუერთდნენ გენერალი ბოდენშატცი და თავად გერმან გერინგი, რომელიც ის-ის იყო დაბრუნდა სამხედრო-საჰაერო ძალთა ხელმძღვანელების მიერ გამართული ვახშმიდან.

სტელენისგან მიღებული ინფორმაცია გერმანიის გეგმების თაობაზე დასავლეთ ზღუდეების შექმნის შესახებ იმ მნიშვნელოვანი მოხსენების ნაწილს შეადგენდა, საფრანგეთის ელჩმა მეორე დღესვე პარიზს რომ გადასცა. ხოლო მას შემდეგ სტელენის ურთიერთობა ლიუფტვაფეს ხელმძღვანელებთან სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა.

ბოდენშატცი სამხედრო-საჰაერო ძალთა ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვანი, მაღალჩინოსანი ოფიცერთაგანი გახლდათ, ვინაც კაბარე „კომიკს"-ის მეურვეობას ბედავდა. კაბარეს ხშირი სტუმრები იყვნენ წარმატებისაგან გალაღებული გერმანელები, თავი პარტიისაგან დამოუკიდებლად რომ ეჭირათ, ზოგიერთი უცხოელი დიპლომატი და კორესპონდენტი, გესტაპოს აგენტები, რომელთაც სად აღარ შეხვდებოდა კაცი. თუმცა ბოდენშატცი თავისი შეფის, გერმან გერინგის ერთგული თაყვანისმცემელი გახლდათ და როგორც საავიაციო, ასევე პოლიტიკურ საკითხებში მის თვალსაზრისს იზიარებდა, მაგრამ ხშირად ნაციონალ-სოციალისტური პოლიტიკისა და თავად ჰიტლერის საჯაროდ გაკრიტიკებასაც არ ერიდებოდა. როცა თავს უგუნებოდ გრძნობდა, ბოდენშატცი კაბარე „კომიკს"-ში მიიჩქაროდა დარდის გასაქარვებლად და იქაური კონფერანსიეს მოსასმენად. ყოველ შემთხვევაში, ამაზე უკეთესი ადგილი ფრანგ მეგობართან შესახვედრად არსად ეგულებოდა. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ისინი ამ ერთი ბეწო დაწესებულებაში ასე დინჯად და არხეინად ფრიად საიდუმლო და სახელმწიფო საკითხებზე თათბირობდნენ? მეტადრე, მაშინ, როცა სცენიდან ჩამოსული ლამაზმანები წამით მოსვენებას არ აძლევდნენ და მათ მაგიდასთან სასმელს ეძალებოდნენ.

ბოდენშატცი მშვერავი არ ყოფილა. რასაც იგი სტელენს ეუბნებოდა, წინასწარ შემუშავებული და თითქმის უკვე გერინგთან შეთანხმებული გახლდათ. უნდოდათ ფრანგი ისე გაეოგნებინათ, რომ მას ეს ყველაფერი წვრილწვრილად გადაეცა თავისი უფროსებისათვის. სტელენს კი სწამდა, თავად ჰიტლერსაც სისხლი თავში აუვარდებოდა, თუ გაიგებდა რა ცნობებს აწვდიდნენ მის მოწინააღმდეგეებს.

იმ იანვრის საღამოს ბოდენშატცი უჩვეულოდ მხიარულ გუნებაზე ბრძანდებოდა, მაგრამ სტელენი გრძნობდა, ახალს მისგან ვერაფერს შეიტყობდა. გუმანით ხვდებოდა, რომ იმ-

სანამ გერინგი ცდილობდა ფრანგები და მათი მოკავშირეები ძალადაც არ ჩაევლოთ. ნიურნბერგშიაც ასე არ მოიქცა?! მაშინ გერმანელთა პოლიტიკა ითვალისწინებდა ფრანგებთან ლაციას, ინგლისელების აბუჩად აგდებას და თან იმ აზრის ჩანერგვას, რომ საფრანგეთსა და გერმანიას შორის მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარებას ხელს არავინ უშლიდა, რამეთუ, მათ კრიტიკისა არ ეშინოდათ.

„გიმეორებთ, თქვენს ელჩს აცნობებთ, რომ გერმანიას საფრანგეთთან [illegible] ურთიერთობის დამყარება სწადია, — უთხრა ბოდენშატცმა. — განა და[illegible] საგებთმანათა ხაზის შექმნა, ჩვენს მშვიდობიან განზრახვაზე არ მეტყველებს?! მითხარით ერთი, ვინ დაიწყებდა თავდაცვითი ზღუდეების შენებას, თავდასხმა რომ ედოს გულში. ფიურერი დალადიეს ერთგულებაში ღრმად იყო დარწმუნებული, დალადიეს პოზიციამ მიუნხენში და მისმა მტკიცე დამოკიდებულებამ იტალიელებისა[2] მიმართ მაინც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, დალადიემ გერმანელთა საყვედურით პატივისცემა დაიმსახურა. — ბოდენშატცი ფრანგისაკენ დაიხარა და დასძინა: — ერწმუნეთ, ჰიტლერი ქვეყნის სამხედრო ორგანიზაციას ისეთ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს, როგორც იმას, თუ ვინ განაგებს ამ სახელმწიფოს. აი, თუნდაც ჩემბერლენი გავიხსენოთ. განა ფიურერი ადვილად მხარს აუბამდა ინგლისის შეურაცხმყოფელ პოლიტიკას, სათავეში რომ ლოიდ-ჯორჯისთანა ვინმე იდგეს და არა ჩემბერლენი?"

სცენაზე ანაზდად ვერნერ ფინკი გამოჩნდა და იძულებული გახდნენ საუბარი შეეწყვიტათ. მთელი ნახევარი საათი სასმელს ეძალებოდნენ მხოლოდ, იცინოდნენ და მათ მაგიდასთან ნიჭიერი კორდებალეტის გოგოებს ეკეკლუცებოდნენ. მარტონი დარჩნენ თუ არა, ბოდენშატცმა გერინგზე ჩამოაგდო სიტყვა. — ჭორების მიუხედავად, დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ გერინგი იყო და არის ჰიტლერის მემკვიდრე[3]. ეს ძალიან კარგია, — გენერალი ენას არ აჩერებდა. — გერინგი მშვიდობიანი პოლიტიკის მიმდევარი და განათლებული კაცი გახლავთ. პირველად მან დაჰგმო ებრაელების მიმართ ძალის გამოყენება[4]. შემდეგ ბოდენშატცმა გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალებზე წამოიწყო საუბარი. — სამხედრო-საჰაერო ძალთა რეორგანიზაცია მიმდინარეობსო, — თქვა და მაშინვე დასძინა: მფრინავთა დამზადებას კი არ ვაპირებთ. მტერი გვინდა შევაფუცხუნოთ, ავიაციის ხელახალი შეიარაღების ხელმძღვანელობა გენერალ უდეტს დაევალა. 1941 წლისათვის ლიუფტვაფეს წევრთა რიცხვი სამჯერ უნდა გაიზარდოს, თუმცა „ნედლეულის ნაკლებობა რომ არა, ახლაც სამჯერ მეტი იქნებოდა იმასთან შედარებით, რაც დღესაა".

გენერალი ახლა ისევ მშვიდობის თემაზე შეჩერდა და საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთკავშირის დამყარების აუცილებლობის მტკიცებას მოჰყვა, თვალები აუციმციმდა. „იცით თუ არა თქვენ, კიდევ ვინ არის აგრერიგად დაინტერესებული ამ საკითხით? — მიუბრუნდა იგი სტელენს. — ამერიკელი პოლკოვნიკი ლინდბერგი. ჯერჯერობით ამის თაობაზე სხვას ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ დრო მოვა და ნახავთ: — სულ მალე პარიზიდან ტელეფონით დაგიკავშირდებიან".

მოულოდნელად ბოდენშატცმა პირი მიაბრუნა და სტელენმა მის გაღიმებულ სახეს ჰკიდა თვალი.

უკვე თენდებოდა, როცა გენერალი და ფრანგი კაპიტანი ერთმანეთს დაშორდნენ, მაგრამ სანამ სტელენი დასაძინებლად დაწვებოდა, გენერალთან შეხვედრის შესახებ დაწვრილებითი მოხსენების შედგენას შეუდგა. ბოდენშატცის ნათქვამი იგი არ დაუბნევია, რადგან ჩინებულად იცოდა, ასეთი მითქმა-მოთქმით გერმანელები დასავლეთის მოკავშირეთა შორის შუღლის ჩამოგდებას რომ ცდილობდნენ და ამით დამამშვიდებელ პოლიტიკის მომხრეებს ხელს უმართავდნენ, მაგრამ, რადგანაც პროპაგანდა ხშირად სავსეა სასარგებლო ცნობებით, ხოლო ბოდენშატცი საინტერესო მოსაუბრე გახლდათ, სტელენს დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ამ კაცთან შეხვედრა და მის ნათქვამს საკუთარი ახსნა-განმარტებების გარეშე თავის უფროსებს გადასცემდა.

---

[2] დალადიე უკმეხად გამოეხმაურა ნიცასა, კორსიკასა და ტუნისზე იტალიელთა გაბატონების პრეტენზიებს (ავტ. შენიშვნა).

[3] 1939 წლის 1 სექტემბრამდე გერინგს ჰიტლერის მემკვიდრედ ოფიციალურად არავინ მიიჩნევდა (ავტ. შენიშვნა).

[4] გერინგის ასეთი შეფასება თვალის ახვევის ცდა იყო და სხვა არაფერი. ნიურნბერგის პროცესზე თვალნათლივ დადასტურდა ნაცისტების და კერძოდ გერინგის როლი მილიონობით ებრაელთა განადგურების საქმეში (მთარგმნელის შენიშვნა).

მეორე დილით სტელენმა მოხსენება ფრანსუა-პონსეს მოადგილეს ელი რობერ კულონდრს წარუდგინა და სანამ მან ბოლომდე არ წაიკითხა, ხმა არ ამოუღია. როცა ელნი მოხსენებას ძირფესვიანად გაეცნო, სამხედრო-საჰაერო ძალთა ატაშეს მოადგილემ დაინახა, გაოცებისაგან თმა ყალყზე როგორ დაუდგა.

„საიდან აქვთ ეს ცნობები? — იკითხა კულონდრმა. რა იცოდნენ, პარიზიდან თუ დაჸრევავდნენ? მან დეპეშა სტელენს გადააწოდა. — აბა, ერთი წაიკითხეთ".

ავიაციის სამინისტრო სტელენს საკონსულტაციოდ სასწრაფოდ პარიზში [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *

ოცდათოთხი საათის შემდეგ სტელენი ღამის მატარებლით ბერლინიდან პარიზს ჩავიდა და **შეფებთან მოხსენების წარსადგენად მაშინვე მეორე ბიუროს მიაშურა.** მეორე ბიუროს თანამშრომლები საგონებელში იყვნენ ჩავარდნილი, რამეთუ ვერ გაეგოთ სტელენის ასე სასწრაფოდ გამოძახების მიზეზი. მაგრამ სტელენმა ავიაციის სამინისტროში ფეხი შედგა თუ არა, მაშინვე ის უთხრეს, ავიაციის მინისტრი გი ლა შამბრი გიბარებსო. ერთხელ, მიუნხენის შეთანხმების წინ, ერთ თავის მოხსენებაში გერმანელთა ახალი გეგმების თაობაზე, რომელიც ფრაუ რიგელესა და ბოდენშატცის შემწეობით შეიტყო, სტელენი ისე გაკადნიერდა, რომ მიღებული ინფორმაციიდან დასკვნების გამოტანა სცადა. ამის გამო იგი მაგრად შეაწუხეს, რადგანაც გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალმა ჰამელენმა ამ მოხსენების გაცნობის შემდეგ, ერთი ალიაქოთი ატეხა, „ვინ მისცა უმცროს ოფიცერს თავისი აზრის გამოთქმის უფლება, მით უფრო, როცა იგი მაღალჩინოსან და ნაცად ოფიცერთა თვალსაზრისს არ იზიარებსო". სტელენს გარკვევით აგრძნობინეს, ამიერიდან თავი შეეკავებინა ასეთი ახსნა-განმარტებისაგან. ეგების ახლაც გადააჭარბა ამ მითითებას? იქნებ თავად მინისტრი აპირებს მის მოხსნას? იგი იდგა და ღმერთს შველას შესთხოვდა, რადგანაც სტელენს უყვარდა თავისი სამუშაო და ბერლინიც ძალზე მოსწონდა. მინისტრის კაბინეტში რომ შევიდა, სტელენმა შვებით ამოისუნთქა. იგრძნო, რომ გი ლა შამბრი მის მიმართ კეთილად იყო განწყობილი. ის კი არადა, მინისტრმა ბერლინში წარმატებით მუშაობისათვის შეაქო კიდეც. შემდეგ თავის სავარძელში მოიკალათა და უთხრა: „ჩარლზ ლინდბერგი ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ეს-ესაა დაბრუნდა გერმანიიდან". სტელენმა დასტურის ნიშნად თავი დაუქნია. ლინდბერგს იგი ამერიკის საელჩოში შეხვდა კოქტეილზე და ისიც მშვენივრად იცოდა, როგორ იყო შეშინებული ნაცისტთა სამხედრო ძლიერებით, ლინდბერგს დემოკრატია დამპალ სისტემად მიაჩნდა. „პარიზს რომ ჩამოვიდა, მე ვესაუბრე. მისი ნაამბობი, კერძოდ, გერმანიაში თვითმფრინავების წარმოების შესახებ, ძირითადად თქვენს მოხსენებაში მოყვანილ ცნობებს ემთხვევა. ლინდბერგის აზრით, გერმანიის საავიაციო მრეწველობის შედარება სხვა ქვეყნების წარმოების შესაბამის დარგებთან როგორც ხარისხით, ასევე გამოშვებული პროდუქციის რაოდენობით შეუძლებელია. საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა ცხრა პირი ტყავი უნდა გაიძრონ, გერმანიას რომ გაუტოლდნენ. ლინდბერგი გვარწმუნებს, „ჩვენი არ იყოს, ავიაციით ვერც აშშ დაიტრაბახებენო დიდად". სტელენი ყურადღებით უსმენდა, ცდილობდა ამოეცნო, მინისტრს რისი თქმა სურდა:

„ავსტრიასა და ჩეხოსლოვაკიაში დატრიალებული ამბების მიუხედავად, ლინდბერგის აზრით, გერმანიას ომი მაინც არა სწადია,—განაგრძობდა თხრობას ლა შამბრი.—იგი დარწმუნებულია, რომ დანციგსა და „პოლონეთის დერეფანთან" დაკავშირებული შესწორება, რასაც გერმანია პოლონეთს ედავება, მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკების მეშვეობითაც შეიძლება მოხერხდეს. ამავე დროს მას მიაჩნია, რომ ახლა ომში მონაწილეობა როგორც საფრანგეთისათვის, ასევე დიდი ბრიტანეთისათვის, თვითმკვლელობა იქნება და სხვა არაფერი, რადგანაც გერმანიას ძლიერი და კარგად შეიარაღებული სამხედრო-საჰაერო ძალები ჰყავს, დიდ ბრიტანეთს სამხედრო თავდასხმები უთუოდ ანდერძს აუგებს, საფრანგეთი კი ვერასგზით ვერ გაუმკლავდება ნაცისტთა სატანკო ჯარებსა და ავიაციას".

მერე მინისტრმა ერთხანს შეიცადა. „აი, თურმე გულში რა უდევს!" — გაიფიქრა სტელენმა.

ამასობაში ლა შამბრი კვლავ ენად გაიკრიფა: „ლინდბერგს მიაჩნია, რომ გასული წლის დეკემბერში საფრანგეთ-გერმანიის ხელშეკრულების დადების შემდეგ იმედის ნაპერწკალი გაჩნდა. ყველას ეგონა, ეს კეთილი შეთანხმება უფრო მნიშვნელოვან — ჩვენი და გერმანიის ავიაციის — თანამშრომლობაში გადაიზრდებოდა. გერმანიაში შესანიშნავი საავიაციო ძრავა — „დაიმლერ ბენცი" შეიმუშავეს, თუმცა არც ჩვენი საავიაციო ძრავა — „დევუატინ-520"-ია დასაწუნი. ეს ორივე მანქანა ერთ ძრავად რომ გვექცია, ტექნიკური თვალსაზრისით

ბევრს მოვიგებდით, პოლიტიკურად კი ეს ხელს შეუწყობდა საფრანგეთსა და გერმანიას შორის თანამშრომლობის განმტკიცებას. ჰოდა, კაპიტანმა ლინდბერგმა გერმანიასთან ერთად თვითმფრინავის შექმნა შემოგვთავაზა".

მინისტრი ერთხელაც არ დაინტერესებულა, რას ფიქრობდა ამაზე სტელენი, ამ უკანასკნელსაც სწორედ ეს უნდოდა, რადგანაც, რომ ეკითხა კიდეც, პასუხს მაინც ვერ გასცემდა ლა შამბრის. თვით ფაქტმა, რომ ასეთ დროს ვიღაცა მსგავსი წინადადებ[illegible]ებას ბედავდა, სტელენს ენა მუცელში ჩაუგდო.

თითქოსდა სტელენის დაბნეულობა იგრძნოო, მინისტრმა ერთხანს ცხვირი ქაღალდებში ჩარგო, მერე დასძინა: „ახლა კი გეტყვით, ამას რა უნდა მოჰყვეს. ფელდმარშალი გერინგი საქმის კურსშია, მაგრამ ჯერჯერობით თავი განზე უჭირავს. ყველაფერი გენერალმა უდეტმა უნდა გადაწყვიტოს. ამ საქმეს იგი პირადად ხელმძღვანელობს. მე მგონი, გენერალ უდეტს თქვენც კარგად იცნობთ, არა? სტელენმა დასტურის ნიშნად თავი დაუქნია. — თქვენ მას აუცილებლად უნდა შეხვდეთ, ოღონდ შინ კი არა, სამსახურში მოინახულეთ. თავდაპირველად მოლაპარაკება ძალზე საიდუმლოდ უნდა ვაწარმოოთ. ამის შესახებ არც თქვენს ელჩთან და არც თქვენს შეფთან — გენერალ ქეფრიესთან კრინტი არ დასძრათ".

ახლა კი სტელენმა თავი ვეღარ შეიკავა:

„კი მაგრამ, ბატონო მინისტრო, მე ალბათ ამ ამბავს ვერც ჩემს ელჩსა და ვერც ჩემს უფროსს ვერ დავუმალავ".

„კეთილი, — გაბრაზდა ლა შამბრი, — მაშინ მარტო გენერალ ქეფრიეს გაანდეთ".

„გენერალი ქეფრიე ასეთ სერიოზულ საქმეს ელჩს არ გამოაპარებს", — ისევ შეეკამათა სტელენი.

ლა შამბრს ახლა კი მოთმინების ფიალა აევსო. სტელენმა იფიქრა, „ვინძლო ნაღობს კიდეც, ენას კბილი რომ ვერ დააჭირა", მაგრამ ლა-შამბრმა მალე ფარ-ხმალი დაჰყარა.

„კეთილი, ეს ამბავი შეგიძლიათ ელჩსაც აუწყოთ და სამხედრო-საჰაერო ატაშესაც, მაგრამ ამასთანავე, წინასწარ უნდა გააფრთხილოთ, რომ პირში წყალი დაიგუბონ".

მან კვლავ ქაღალდებში ამოჰყო თავი და მერე თქვა:

— სხვათაშორის, გენერალ უდეტთან საუბრის დროს დადგენილი პაროლით, „ფიზელერ შტორხით"[5], ისარგებლეთ.

ავიაციის სამინისტროდან სტელენი პირდაპირ აეროპორტისკენ გაეშურა, საჩქაროდ ბერლინში გადაფრინდა და ეს უცნაური ამბავი გენერალ ქეფრიეს მოახსენა. „არ მჯერა! — ხელები გაასავსავა სამხედრო-საჰაერო ატაშემ, — ასე რამ გადარიათ, ეს რამ აფიქრებინათ".

ელჩმა კი ეს ამბავი უფრო მშვიდად მიიღო, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს, აღარაფერი აკვირვებდა. სტელენს საჩქაროდ მოლაპარაკების დაწყება დაავალა.

რამდენიმე დღის შემდეგ სტელენი ბერლინში გენერალ უდეტს ეახლა. მაშინვე კაბინეტში შეიპატიჟეს, სადაც მას გენერალი და სამი ლიუფტვაფელი კოლეგა დაუხვდა.

უდეტი ფრანგს გულმხურვალედ შეეგება. მხარზე დაითვისით ხელი დაჰკრა და კონიაკით სავსე მოზრდილი სასმისი გაუწოდა. სტელენმა ჭიქა სულმოუთქმელად გამოსცალა, რადგანაც თავპატიჟის გადების არც დრო იყო და არც ადგილი.

ჯერ იმაზე ილაპარაკეს, როგორ გაახვია ენების ბურუსში და როგორ გადარია სტელენმა ერთი ბერლინელი პოპულარული ლამაზმანი და ეს ამბავი ქვეყანას როგორ მოეფინა ელვის სისწრაფით. მერე კი სამხედრო-საჰაერო ძალთა ატაშეს ახალგაზრდა მოადგილემ გადაწყვიტა ვენერლისათვის მოეხსენებინა, „ფიზელერ შტორხის" თაობაზე მოსათათბირებლად გეახლითო.

გენერალმა უდეტმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს სტელენის სიტყვებს ვერც თავი გაუგო და ვერც ბოლო.

„დიახ, დიახ, — უპასუხა მან. — „ფიზელერ შტორხი" უკვე წარმოებაშია და დიდ სამსახურსაც გაგვიწევს. რაო, საფრანგეთი რას აპირებს, რამდენ თვითმფრინავს შეისყიდის?".

„მე თვითმფრინავზე არ გელაპარაკებით, — უპასუხა ძალზე გაოცებულმა სტელენმა. — „ფიზელერ შტორხის" პროექტი მაინტერესებს"..

გენერალმა უდეტმა ღვინო ჩამოისხა და სულმოუთქმელად გამოსცალა, მერე თავის სტუმრებს შეუვსო სასმისები. ჭიქას ჭიქაზე აძალებდა. ღვინო მალე მოეკიდა. ენას ძლივს

5 ფიზელერ შტორხი — მოკლე გარბენის მზვერავი თვითმფრინავი. იმხანად გერმანელები ამ თვითმფრინავის დამუშავებას აწარმოებდნენ (ავტ. შენიშვნა).

იბრუნებდა: „კეთილი, ვიცი, თქვენ „დაიმლერ-ბენცის" ძრავა გაინტერესებთ, არა? თვითმფრინავ „ფიზელირ შტორხზე" შეტს ვერაფერს გეტყვით, ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია, მითხარით ერთი, თქვენ რაღას აპირებთ? — მას სიცილი წასკდა, დანარჩენებიც აჰყვნენ. იცინოდა სტელენიც, რადგან სხვა გზა არ ჰქონდა. მიხვდა, გერმანელები ერთმანეთს [illegible] თვალსა და თვალს შუა ბეწვს აცლიდნენ, თან ისიც უკვირდათ, პოლკოვნიკი ლინდბერგი მათ დაგეგმილ მაჩვში რომ გაება. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, უფრო [illegible] წინადადებისადმი ფრანგების სერიოზულმა დამოკიდებულებამ გააოცა. [illegible] გარკვეული შთაბეჭდილება მოახდინა—განა ლინდბერგის მიამიტობაზე ქირქილებდნენ. სასაცილო ის იყო, რომ საფრანგეთი რაიხთან ურთიერთობის განამტკიცებლად წყალწაღებულივით ხავსს ეჭიდებოდა. რაღა თქმა უნდა, ეს თინები ამით დამთავრდა.

თებერვლის დამდეგს მითქმა-მოთქმამ საფრანგეთ-გერმანიის თანამშრომლობის ბედუკუღმართი გეგმების შესახებ კაბარე „კომიკს"-ის კონფერანსიეს ყურამდეც მიაღწია.

„განა არაფერი გსმენიათ ფრანკფურტის გალიაში გამოჩეკილ საფრანგეთ-გერმანიის პაწაწკინტელა ჩიტუნიაზე? — მიმართა ერთ საღამოს ვერნერ ფინკმა დარბაზს, — გერმანელი არწივისა და სტრასბურგელი ბატის ნაჯვარია. როგორც კი ბარტყი ნაჭუჭიდან გამოვიდა, ნაცისტური მისალმების ნიშნად მაშინვე მარჯვენა ფეხი წინ გაიშვირა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და მიწას დაენარცხა. გულგამგმირავი წივილი მორთო. „რაო, რას ამბობ? — შეეკითხა მექათმე და წამოაყენა. „ჰაილ ჰიტლერ!" — უპასუხა ბარტყმა და ჭუჭყიანი ნისკარტი გაიწმინდა. „შენ იქნებ მართლაც „ჰაილ ჰიტლერ! თქვი, — უპასუხა მექათმემ, — მე კი „ბრიყვო" შემომესმა".

ბოდენშატცი და სტელენი სიცილით იგუდებოდნენ.

მართალია, ჩემბერლენი ყოველნაირად ცდილობდა გათავხედებული ფიურერი გერმანიასთან სავაჭრო ხელშეკრულების დადებითა და სახელმწიფო სესხის საშუალებით დაემოშმინებინა, მაგრამ ამაოდ ილუწოდა. ამ საქმეში მან წარმატებას ვერ მიაღწია.

* *

ჩემბერლენის აზრით, მიუნხენმა გადაწყვიტა ჩეხოსლოვაკიისა და მთელი დასავლეთ ევროპის ბედ-იღბალი. იმ დღიდან მოყოლებული მათ გერმანიის მმართველობის სფეროში შემავალი რაიონების ბედი ხვდათ წილად. მართალია, ჩემბერლენმა რა არ იღონა, რომ უახლოეს ადამიანთა გარდა, არც პარლამენტსა და არც საზოგადოებრიობას არ სცოდნოდა, როგორ სამარცხვინოდ უარყო მან ბრიტანეთის ინტერესები ევროპაში, მაგრამ თავისი გულისნადები ლორდ ჰალიფაქსის მეშვეობით, ამერიკის ელჩს, ჯოზეფ კენედის მაინც გაანდო. ჩაის სმისას საგარეო საქმეთა მინისტრმა მიუნხენისშემდგომ ვითარებაზე კენედის პრემიერ-მინისტრის მოსაზრებანი გაუზიარა. ჰალიფაქსმა კენედის შეატყობინა, „ჩემბერლენს სჯერა, ვიდრემდე ჰიტლერი უშუალოდ ინგლისისა ან მისი დომინიონების საქმეში ცხვირს არ ჩაჰყოფს, ომის საშიშროება არ არსებობს". კენედიმ ვაშინგტონში მაშინვე ამბავი აფრინა, ჰალიფაქსის აზრით, სულ მალე ჰიტლერი დანციგისაკენ გაიწევს და პოლონეთთან ამ საქმესაც გაჩარხავს, შემდეგ ლიტველი მმართველების მორჩილებით გათავხედებულ მემელს გადასწვდება. ჰიტლერი რუმინეთს თავს კიდეც რომ დაესხას, ინგლისმა აუტკივარი თავი მაინც არ უნდა აიტკიოსო. ჰალიფაქსმა კვლავ განაცხადა, „საფრანგეთი რომ არა, დიდი ბრიტანეთი არასოდეს არ ჩაერეოდა ჩეხოსლოვაკიის პრობლემის გადაჭრის საქმეში".

ცხადია, ის აზრი, რომ დიდმა ბრიტანეთმა საფრანგეთთან ერთად მიუნხენში ამ დაქუცმაცებული სახელმწიფოს საზღვრების ხელშეუხებლობის გარანტიაზე თანხმობა განაცხადა, პრემიერ-მინისტრს მოსვენებას უკარგავდა და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ახალი კრიზისის შემთხვევაში არაფრის გულისათვის არ შეესრულებინა ეს გარანტიები. ამ მთავარ საკითხზე ჩემბერლენმა და ჰიტლერმა პირი შეჰკრეს, თუმცა გულში სხვადასხვა რამ ედოთ.

ჰიტლერი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სრულ გაცამტვერებას ისახავდა მიზნად და ქვეყნის შიგნით არსებული ვითარებაც თითქოსდა ხელს უწყობდა.

მალე, მიუნხენისშემდგომ, იმხანად უკვე ფედერალური სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფმა სლოვაკიამ თვითმმართველობის დაჟინებული მოთხოვნა წამოაყენა. სლოვაკიის სახალხო პარტიას სათავეში ტისო ჩაუდგა, სამი თვის შემდეგ სლოვაკიამ და იმიერკარპატების უკრაინამ ავტონომიის უფლება მოიპოვეს. ემილ გაჰა პრაღაში პრეზიდენტად დაინიშნა, იოზეფ ტისო კი სლოვაკიის პრეზიდენტი გახდა.

რა გზით შეიძლებოდა ახლა ჰიტლერის დაყოლიება? ჩემბერლენმა გადაწყვიტა მუსოლინისათვის მიემართა, რომელსაც, ბრიტანეთის პრემიერის აზრით, ჰიტლერზე დიდი გავლენა ჰქონდა. 27 ნოემბერს ბრიტანეთის ელჩმა რომში ლორდმა პერტმა ლონდონიდან დეპეშა მიიღო, სთხოვდნენ პრემიერ-მინისტრი მუსოლინის უნდა შეხვედროდა. მისი უდიდებულესობის ელჩს იტალიაში ლორდ პერტს, უმაღლესი ორდენებისა და ტიტულების კავალერსა და რაინდს, მუსოლინი კარგ კაცად მიაჩნდა, [illegible] მტკიცედ ილაშქრებდა ინგლისის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც გმობდა იტალიის ყოველგვარ აქციებს, აბისინიის დაპყრობა იქნებოდა ეს თუ ესპანეთში ფრანკოსათვის ხელის გაწყობა და ეგონა, რომ იტალიელები მის მხურვალე სიყვარულს სიყვარულითვე უპასუხებდნენ. მეტისმეტად მიამიტს, მრავალგზის გაფრთხილების მიუხედავად, როდი ესმოდა, რომ იტალიელებს ინგლისის დიპლომატიის კოდის გასაღები დიდი ბრიტანეთის საელჩოში მომუშავე აგენტის მეშვეობით ჰქონდათ ხელთ ჩაგდებული და მის მიერ ლონდონში გაგზავნილი ცნობები, აგრეთვე ფორინ ოფისისათვის განკუთვნილი მასალები რამდენიმე საათის შემდეგ მუსოლინიმ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩიანომ უკვე ზეპირად იცოდნენ. ის კი არადა, ჩიანოს ხანდახან ციტატებიც კი მოჰყავდა მისი მოხსენებიდან, მაგრამ ლორდი მაინც ვერ ხვდებოდა, რომ ამ ცნობების შინაარსს ჩიანოს ვიღაცა აწვდიდა.

იტალიაში ჩემბერლენის ვიზიტის შემაფერხებელი ერთ-ერთი მიზეზთაგანი ის გახლდათ, რომ მას დიქტატორთან „შეკობრული ცხვედრა" მოელოდა. ამ დროს კი მუსოლინის თვითმფრინავები ხშელთაშუა ზღვაში ინგლისის ხომალდებს განზრახ ყუმბარას უშენდნენ.

პერტმა ჯერ გრაფ ჩიანოს წოუსინჯა ფრთხილად კბილი, ინგლის-იტალიის ხელშეკრულების რატიფიცირებას შეპპირდა, მაგრამ იმ პირობით, თუ მუსოლინი თავის თვითმფრინავებს უკანვე გამოიხმობდა, გარდა ამისა, პრემიერ-მინისტრის მომავალი ვიზიტის ამბავი ჩიანოს არავისთვის არ უნდა გაემხილა. ჩიანომ მაშინვე მთელი იტალიის პრესას ინგლისის ელჩის გულისნადები, თან ამ უკანასკნელს მკვახედ აუხსნა: „გენერალ ფრანკოს სამსახურში ჩამდგარ იტალიის თვითმფრინავებთან მე არა მესაქმება რა", მერე კი ინგლისელების შემდეგომ ნაბიჯს დაელოდა. ამ შეხვედრიდან სულ რამდენიმე საათი იქნებოდა გასული, ჩიანო კი უკვე სიამოვნებით კითხულობდა ლონდონში გასაგზავნი პერტის მოხსენების გაშიფრულ ტექსტს. ელჩი ლონდონს ატყობინებდა, იტალიის მთავრობამ განაცხადა, ბრიტანეთის ხომალდებზე თავდასხმას არ შეუწყვეტთო, მაგრამ „ასე იმიტომ მოიქცა, რომ ამ ხომალდების ეკიპაჟები თითქმის ყოველთვის ბერძნებითაა დაკომპლექტებული".

აი, სწორედ ასეთ, ოდნავ თავშეკავებული სიძულვილით აღსავსე ვითარებაში დახვდნენ რომში 1939 წლის იანვარში ნევილ ჩემბერლენსა და ლორდ ჰალიფაქსს, როცა ისინი მუსოლინისთან ჩავიდნენ სათხოვნელად, ინგლის-გერმანიის პრობლემის მოწესრიგებაში დაგვეხმარეო.

იტალიელები დროს მოიხელთებდნენ თუ არა, დიდებულ წვეულებებს მართავდნენ. თავიანთ სტუმრებს ისინი ყოველთვის გულუხვად უმასპინძლდებოდნენ, ამქვრადაც „ვენეციის" დარბაზში გრანდიოზული ბანკეტი მოაწყვეს, სადაც ბენიტო მუსოლინი ბატონებითა და ბანის ორდენის დიდი კომანდორის ნიშნებით მკერდდამშვენებული გამოცხადდა. ლორდი ჰალიფაქსი მუსოლინის ქალიშვილის, საგარეო საქმეთა მინისტრის ჩიანოს მეუღლის გვერდით იჯდა და იმ დროს იხსენებდა, როცა ინდოეთში ვიცე-მეფობისას ეს ქალბატონი მასთან და მის მეუღლესთან ერთად სადილობდა.

პროპაგანდისტულ მიზნებს თუ არ ჩავთვლით, რომში ჩემბერლენის ვიზიტი წყლის ნაყვა იყო და სხვა არაფერი, დიქტატორთან მოლაპარაკებით იგი ვერას გახდებოდა. თითქმის ფიცს თუ გამოსტყუებდა მხოლოდ, ისიც ისე, გულის დასამშვიდებლად რომ სჭირდებოდა. მუსოლინსაც ბევრი არ უფიქრია, ადგა და მაშინვე დაუფიცა.

12 იანვარს, რომში საბოლოო მოლაპარაკების დროს, ჩემბერლენმა, როგორც იქნა, გაბედა და, ცოტა არ იყოს, სახიფათო საკითხზე დუჩეს აზრის გაგება მოიწადინა. მას იმედი ჰქონდა, რომ მიუნხენის შეთანხმების შემდეგ, რომელშიც დუჩეს დიდი წვლილი მიუძღოდა, ინგლის-გერმანიის ურთიერთობის გაუმჯობესებას წინ ველარაფერი დაუდგებოდა. მუსოლინიმ უპასუხა, იტალიაც, ისევე, როგორც მთელი ევროპა, მაგ იმედით ცოცხლობდაო. ჩემბერლენმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა: „ფიურერისა ვერაფერი გავიგე, ყველა ჩემს წინადადებაზე უარს აცხადებს, ამიტო-

მაა, რომ გერმანიის პოზიცია სერიოზულ შეშფოთებას იწვევს და ყველას ეჭვებით ავსებს", — განაცხადა მან. შემდეგ პრემიერ-მინისტრმა აღმოსავლეთ ევროპიდან მოსულ ამბებზე ჩამოაგდო სიტყვა. ზოგიერთები ფიქრობენ, გერმანიის ჯარების თავმოყრა უკრაინასა და პოლონეთზე იერიშის მიტანას ანდა ერთდროულად პოლონეთსა და რუსეთზე თავდასხმას მოასწავებსო. მერე ერთხანს იყუჩა, იქნებ იმიტომ, რომ აშკარად გრძნობდა, ამ ხაბიჯებს ჩემბერლენი და მისი მთავრობა წინ არ აღუდგებოდნენ. ჩემბერლენმა თან დასძინა: „ხმები დაირხა, ჰიტლერს განზრახული აქვს დასავლეთ ევროპას მოულოდნელად თავს დაესხას".

მუსოლინიმ ინგლისელს კუშტად გადახედა და უთხრა: „ეგ ყველაფერი თავიდან ამოიგდეთ, დასავლეთის წინააღმდეგ გალაშქრებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია". ჩემბერლენმა თავი გაიქნია, აქაოდა, ეითარება ძალზე დაძაბულიაო. „მე მაინც გთხოვთ, მოელაპარაკოთ" — უთხრა მან ბოლოს მუსოლინის და მუსოლინიმაც პირობა მისცა, უთუოდ მოველაპარაკებიო.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დიდად ნასიამოვნები დარჩა იტალიელ დიქტატორთან ვიზიტით, ეჭვიც კი არ ეპარებოდა, რომ მუსოლინი მხარს აუბამდა. მაგრამ კარი გაიხურა თუ არა, იტალიელმა დიქტატორმა ზედ მიაყოლა: „ო, გახრწნილი ინგლისის ეს აბეზარი პირმშონი! დარწმუნებული ვარ მალე თავიანთ იმპერიასაც დაკარგავენ!" ხოლო გრაფმა ჩიანომ თავის დღიურში აღნიშნა: „ისინი (ჩემბერლენი და ჰალიფაქსი) მსხვერპლს მსხვერპლზე გაიღებენ, რომ იცოდნენ რა ხვედრს უმზადებს განგება. მათ მხოლოდ საკუთარი ტყავი ადარდებთ და მე სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ სამთა კავშირი (იტალიასა, გერმანიასა და იაპონიას შორის სამხედრო შეთანხმება) აუცილებელია. მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ხელში ჩავიგდოთ ყველაფერი, რასაც კი მოვისურვებთ... მე რიბენტროპს დავურეკე და ვუთხარი, ვიზიტმა (ინგლისის) სრული ფიასკო განიცადამეთქი".

დაახლოებით იმ ხანებში ამერიკის ელჩი პარიზში, უილიამ ბულიტი ვაშინგტონს ატყობინებდა, მიუნხენში ნაგემები შეურაცხყოფის შემდეგ გონსმოსული ფრანგები მზად არიან კვლავ მტკიცე პოზიცია დაიკავონ თავიანთი მტრების, იტალიელების მიმართო. პრემიერი დალადიე არ იყო, მარჯვედ რომ მოიგერია იტალიელების ქედმაღლური თავდასხმები ნიცასა, კორსიკასა და ტუნისზე?

„ახლა საფრანგეთი ვაჟკაცურადაა შემართული, — აღნიშნა თავის დღიურში ჰაროლდ იკესმა თეთრ სახლში კაბინეტის სხდომის შემდეგ 1939 წლის 29 იანვარს. — დეპუტატების პალატისა და თავისი მთავრობის სახელით მან განაცხადა, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ, იმპერიის მიწის ერთ მტკაველს კი არავის დავუთმობთო. ბილი ბულიტს მიაჩნია, რომ საფრანგეთი ომს თავს არ აარიდებს, თუ იტალია მის საკუთრებელ მიწებს გადასწვდება. მაგრამ მიეშველება კია ინგლისი საფრანგეთს? ვინძლო ჩემბერლენმა უმუხთლოს ბრიტანეთის იმპერიას?"

სინამდვილეში კი საფრანგეთი უფსკრულისაკენ მიექანებოდა. 4 თებერვალს საფრანგეთის საიდუმლო ემისარი პოლ ბოდუენი, საფრანგეთისადმი დაქვემდებარებული ბანკის „ინდოჩაინის" პრეზიდენტი, გრაფ ჩიანოსთან შესახვედრად რომში ჩავიდა. პრემიერმა დალადიემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟორჟ ბონემ მას საჭირო რწმუნებები მიანიჭეს.

იმავე დღეს გერმანიის ელჩმა რომში, ჰანს გეორგ ფონ მაკენზენმა რიბენტროპს შეატყობინა ბერლინში: „დღეს დილაუთენია გრაფ ჩიანოს შევხვდი, მან მთხოვა თქვენთვის სრულიად საიდუმლოდ გადმომეცა შემდეგი ინფორმაცია: ბატონმა ბოდუენმა, რომელსაც ფარულად დალადიე და ბონე უჭერენ მხარს, თურმე ჩიანოს შეატყობინა, რომ ისინი (ფრანგები) მზად არიან, იტალიელებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების მიზნით, საფრანგეთ-იტალიის საკითხებზე მოლაპარაკება წამოიწყონო. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ მოლაპარაკების დროს მიტაცებული ტერიტორიის თაობაზე იტალიელების სურვილებიც იქნება განხილული.

მოლაპარაკების ასეთ პროგრამასთან დაკავშირებით, ბატონი ბოდუენი შემდეგ წინადადებებს გვთავაზობს:

1) ა) ჯიბუტი (საფრანგეთის სომალი, აღმოსავლეთი აფრიკა, წითელ ზღვასთან იტალიის სამეფოს აბისინიასთან დამაკავშირებელი ერთადერთი პორტი). პორტი მოლაპარაკება ვრცელი „თავისუფალი" ზონის თაობაზე (ნახევარი ნავსადგური?)... პორტის გასაფართოებლად ერთობლივი სამუშაოების ჩატარება;

ბ) რკინიგზა ჯიბუტი — ადის-აბება: საფრანგეთის სომალის ტერიტორიაზე გამავალი ნაწილი საფრანგეთს უნდა დარჩეს, ხოლო აბისინიის ტერიტორიაზე გამავალი — იტალიას უნდა გადაეცეს. თანაც საამისო თანხებსაც ფრანგები გაიღებენ. „თავისუფალ" ზონაში ახალი სადგურის ერთობლივი მშენებლობა.

2. სუეცის არხი. ვინაიდან კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი ინგლისსა და ეგვიპტეს ეკუთვნის, აუცილებელია საერთო ძალით ქმედება, რათა იმათ [illegible], თუმცა საფრანგეთი მზადაა ამ საკითხის გადაწყვეტა არხით მოსარგებლე ქვეყნების ინტერესებს დაუქვემდებაროს. ამავე დროს გამგეობის შემადგენლობაში საჭირო ცვლილებები შეიტანონ. საფრანგეთი აგრეთვე თანახმაა განიხილოს ტარიფების შესწორების საკითხი. ჩიანომ შენიშნა, ისეთი გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ, ამ რაიონში გერმანელების ნება-სურვილებსაც რომ შევსატყვისებოდესო.

3. ტუნისი. ტუნისში იტალიელთა უფლებების აღდგენა. ბოდუენს ფრანგების თვალსაზრისზე არაფერი უთქვამს. მაგრამ ჩიანომ განაცხადა, იტალიელებს სრული უფლებები უნდა მივანიჭოთო.

ჩიანო თანახმაა მოლაპარაკება ოფიციალურად. მაგრამ ამასთანავე სრულიად საიდუმლოდ ჩატარდეს. ბოდუენმა განაცხადა, თუ მოლაპარაკების ამბავი გამჟღავნდა, უთუოდ საქვეყნოდ უარის თქმა მოგვიხდებაო".

რაიხის საგარეო საქმეთა მინისტრმა იცოდა, რომ ოფიციალურ მოლაპარაკებებს საფრანგეთ-იტალიის მეგობრული ურთიერთობის აღდგენა მოჰყვებოდა, რაც იმხანად გერმანიას ხელს არ აძლევდა. ჰიტლერი და რიბენტროპი ცხრაპირ ტყავში ძვრებოდნენ, რათა იტალია ერთხელ და სამუდამოდ თავიანთ მხარეზე გადაებირებინათ. ცდილობდნენ, მუსოლინის ურთიერთდახმარების პაქტზე მოეწერა ხელი. საფრანგეთთან ძმობა კი გერმანელების გეგმებს ფეხქვეშ ნიადაგს აცლიდა. ამიტომ რიბენტროპმა მაშინვე ბრძანება გასცა, ბოდუენის წინადადებანი და დალადიესა და ბონეს ჩანაფიქრი დაუყოვნებლივ პრესაში გამოექვეყნებინათ, თვითონ კი, განზე გამდგარი, სიამოვნებით ადევნებდა თვალს, საფრანგეთისა და ინგლისის აღშფოთებული საზოგადოებრიობის წინაშე რა გააფთრებით უარყოფდა ყველაფერს ორი ფრანგი პოლიტიკოსი.

* *

ჰიტლერს ეჭვიც კი არ ეპარებოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მთელი ჩეხოსლოვაკია რაიხის ქვეშევრდომი გახდებოდა. მაგრამ საქმე ის იყო, როდის ან როგორ შეაბამდნენ კატას ეჟვანს.

ფიურერს არც ეშმაკობა აკლდა და არც შორსმჭვრეტელობა. გრძნობდა, მოთმინებითა თვისითა უომრად აისრულებდა საწადელს. მაგრამ ჰიტლერი განა მართლა ასე მსჯელობდა? დასჯერდებოდა კი იმ ფაქტს, რომ ახალი ჩეხოსლოვაკია სინამდვილეში თავადვე მოითხოვდა რაიხის ყურმოჭრილ სატელიტობას? რაც შეეხება ჩეხებს, მათ მიმართ ჰიტლერი ჯავრს ვერ იოკებდა: მათი ბედის გამგებლობა ოცნებად ჰქონდა გადაქცეული. უნდოდა მთელი მსოფლიოსათვის ეჩვენებინა, რომ ჩეხები, რომლებმაც თავიანთი თავი ეგრეთ წოდებულ დემოკრატებად და ლიბერალებად მონათლეს, მათრახის ძალით მის ბრძანებებს უსიტყვოდ დაემორჩილებოდნენ. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ხალხების მიმართ ჰიტლერი ავსტრიელად რჩებოდა, ავსტრია-უნგრეთის იმპერატორ ფრანც-იოსებივით [illegible] რასისტად.

პრაღის მთავრობა არასდროს არ მალავდა, რომ მზად იყო ჩეხოსლოვაკია მარიონეტულ სახელმწიფოდ ექცია. როცა ამ მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრს ხვალკოვსკის ბერლინში იბარებდნენ, იგი მონურად იხრიდა ქედს და სულ იმას ესვეწებოდა, დიდი გერმანიის ხელმძღვანელებს ვთხოვ, სწრაფად გამიგონ და თანაგრძნობით მოგვეკიდონო. იგი თავს ესხმოდა ინგლისელებსა და ფრანგებს, აბუჩად იგდებდა ამერიკის შეერთებულ შტატებს და კომუნისტებისა და ებრაელთა დევნის შესახებ სტატისტიკური ცნობებით ამარაგებდა ნაცისტებს ჩეხოსლოვაკიაში.

„მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩეხოსლოვაკიის დარჩენილი ნაწილის ხელში ჩაგდება მაინც დიდი ტრიუმფი იქნება!" — ფიქრობდა ჰიტლერი.

ჯერ კიდევ 1938 წლის ნოემბერში გერმანელებმა და იტალიელებმა ჩეხოსლოვაკიის აღმოსავლეთ საზღვრის დასადგენად კონგრესი მოიწვიეს ვენაში. უნგრეთი ჩეხოსლოვაკიის იმ ტერიტორიის შეერთებას მოითხოვდა, სლოვაკიისა და იმიერკარპატების უკრაინის მადიარებით დასახლებული რაიონების ზღვარს რომ სცილდებოდა. იტალიელების მიერ

ფრთებშესხმული უნგრეთის ხელისუფლები, რომლებსაც იტალიასთან კარგა ხანია მეგობრული ხელშეკრულება ჰქონდათ დადებული, ისე გათავხედდნენ, რომ სლოვაკიის უძველესი დედაქალაქის, ბრატისლავას ოკუპაცია განიზრახეს. რაკიღა ბრატისლავა ავსტრიის მოპირდაპირე მხარეს, დუნაის გაღმა და თავად ვენიდან კარგა მოშორებით მდებარეობდა, უნგრეთის მუქარა ჰიტლერს ჭკუაში არ უჯდებოდა. სხვა რომ არა იყოს რა, იგი უნგრელებს ყოველთვის ემტერებოდა, მიუნხენის კრიზისის დროს კი მათმა [illegible] — ზომ ცეცხლზე ნავთი გადაასხა, „კი მაგრამ, სეტავ რად უნდა დააკარონ თითქ[illegible] ჩეხოსლოვაკიის გამოცხობაზე თავი არ შეუწუხებიათო?"—ფიქრობდა. ამ მოსაზრებით მან რიბენტროპს დაავალა უნგრელების მოთხოვნა უარეყო და სლოვაკიის დელეგაციის თხოვნა, დედაქალაქსა და ტერიტორიას ნუ წაგვართმევთო, დაეკმაყოფილებინა. მართლაც ასე მოხდა. უნგრელები და იტალიელები კი დიდად განაწყენებული დარჩნენ.

ასეთ გადაწყვეტილებას რომ იღებდა, ჰიტლერი ერთ მიზანს ისახავდა მხოლოდ — უნდოდა საბოლოოდ გამოეთხარა ძირი ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოსათვის. რიბენტროპმა სლოვაკიის მთავრობას, რომელსაც იოზეფ ტისო ედგა სათავეში, ნათლად აგრძნობინა, სლოვაკია უნგრელთა კლანჭებიდან იმიტომ ვიხსენით, დამოუკიდებლობა რომ მოეპოვებინა და ჩეხებთან და მათ პრეზიდენტთან, ემილ გაჰასთან, ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტაო. მაგრამ ვენის კონგრესის შემდეგ დღე დღეს მისდევდა სლოვაკები კი, ეტყობა, ჩეხებთან წაკინკლავებას სულაც არ აპირებდნენ, ხოლო ჩეხები საქვეყნოდ უმტკიცებდნენ ყველას, რომ სლოვაკებს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოყოფის უფლებას არანც და არამც არ დაანებებდნენ. მათ ბრატისლავაში ჯარიც კი შეიყვანეს, მუქარით ილებდნენ იქაურობას, ამბოხებას თუ გამედავთ, კაციშვილს არ დაგინდობთო.

1939 წლის 9 მარტს საღამოს გრადჩანში პრეზიდენტი გაჰა ქალიშვილთან ერთად ვახშამს შეექცეოდა, მოულოდნელად იქ საგარეო საქმეთა მინისტრი გამოცხადდა და სასწრაფოდ მასთან შესვლა მოითხოვა. ხვალკოვსკი ქაღალდის ფურცელს აფრიალებდა და თან ხელი უკანკალებდა, სანამ ლაპარაკს დაიწყებდა, ენა რამდენჯერმე დაება. საგარეო-საქმეთა მინისტრმა გაჰას აცნობა, ბრატისლავიდან მეტად მნიშვნელოვანი ამბავი შემატყობინეს, და თუ დროზე რამე არ ვიღონეთ, ქვეყნის მომავალი კინაღამ ბეწვზე ჰკიდიაო. ამ ცნობას წყალი არ გაუვიდოდა, რადგანაც მას პოლიციის უფროსი და სლოვაკიის დაზვერვის მეთაური კლინევსკი აგზავნიდნენ.

გაჰამ სთხოვა დოკუმენტი ხმამაღლა წაეკითხა.

ხვალკოვსკიმ კითხვა დაიწყო: „თავს მოვალედ ვრაცხ, მოგახსენოთ, რომ თვით სლოვაკიის მინისტრთა კაბინეტის შიგნით ტისო და დურჩანსკი (სლოვაკიის ფედერალური მთავრობის კავშირგაბმულობის მინისტრი) შეთქმულებას ამზადებენ. მათ უკვე პირი შეკრეს ზეის-ინკვარტთან და ბიურკელთან (ზეის-ინკვარტი ავსტრიის ნაცისტი გუბერნატორი იყო, ბიურკელი კი — სლოვაკიის საზღვართან მდებარე რაიონის გაულეიტერი), რომლებმაც შეთქმულებთან თანამშრომლობაზე თანხმობა განაცხადეს, ნაცისტები ბრატისლავას ფარულად იარაღით ამარაგებენ, ამ იარაღს გლინკას გვარდიის (სლოვაკიის ფაშისტური ჯგუფი) წევრებსა და ადგილობრივ გერმანელებს დაურიგებენ, რომელთაც კერმინსკი უდგათ სათავეში. ისინი დემონსტრაციის გამართვას აპირებენ და თუ ტისო პრაღიდან სლოვაკიის გამოყოფაზე უარს განაცხადებს, ამბოხებით დაემუქრებიან. ტისო ხალხის მოთხოვნას დააკმაყოფილებს და 10 მარტს ცენტრალურ მთავრობასთან ყოველგვარ ურთიერთობას ჯვარს დაუსვამს". ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ქაღალდების შრიალი ისმოდა მხოლოდ — ხვალკოვსკი თავის საბუთებს აგროვებდა.

მოხუცი შეკრთა, თითქოს ახლაღა გამოფხიზლდაო. იგი მოტეხილი, ქანცგამოცლილი და შიშნაჭამი ჩანდა.

„სახელმწიფო რომ დაცემისაგან ვიხსნათ, სხვა გზა არა გვაქვს, ახლავე რამე უნდა ვიღონოთ. — უპასუხა მან. — ამბოხება სასწრაფოდ უნდა ჩავახშოთ. საჭიროა ჯარი გავაფრთხილოთ. ტისო და დურჩანსკი დავაპატიმროთ და ახალი მთავრობა ჩამოვაყალიბოთ კარლ სიდორის მეთაურობით. ყოველ შემთხვევაში, ეს უკანასკნელი არ გვიღალატებს.

* *

იმავე დღეს, გვიან ღამით ჩეხოსლოვაკიის არმიის ოფიცრები ბრატისლავაში სამუშაო კაბინეტში თავს დაადგნენ ტისოს და მორიდებულად გამოუცხადეს, დაპატიმრებული ბრძანდებით.

ტისო ერთი პირობა გაოცდა: რა მიზეზით მაპატიმრებთო, — იკითხა.

— ნამდვილი მიზეზისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ვფიქრობთ, იმიტომ რომ თავიდან იქნას აცილებული შეთქმულება, რომელსაც თქვენ ამზადებდით.

— რის შეთქმულება, რა შეთქმულება — გაოცდა ტისო. — ამის შესახებ მე არაფერი ვიცი. მე პრაღის ერთგული გახლავართ.

ტისოს ბრატისლავადან[6] ორმოცდაათი მილის მოშორებით მდებარე მონასტერში უკრეს თავი, ახლა ოფიცრებმა დურჩანსკის დაუწყეს ძებნა, მაგრამ დურჩანსკის წინასწარ გაეგო დაპატიმრებას რომ უპირებდნენ, მასაც უკვე გუდა-ნაბადი აეკრა და დუნაის მეორე ნაპირს გადაბარგებულიყო.

ამ დროს კი ბრატისლავას პოლიციის უფროსი და სლოვაკიის დაზვერვის მეთაური კლინევსკი გაულეიტერ ბიურკელს უკვე ტელეფონით ატყობინებდნენ: როგორც გვინდოდა, საქმე ისე აეწყო, პრაღის მთავრობა ანკესზე წამოეგო: ტისოს და დურჩანსკის „შეთქმულებაში" მონაწილეობის ამბავი გერმანელების თანხმობით კლინევსკიმ შეთითხნა. მანვე მოამზადა შესაბამისი მოხსენება პრეზიდენტ გახასთან წარსადგენად. ინფორმაცია შეთქმულების მზადების თაობაზე თავიდან ბოლომდე „ბედაური ტყუილი" იყო და სხვა არაფერი.

პრაღას ხაფანგი დაუგეს და ახლა შიგ გაბმის მეტი არა რჩებოდა რა.

საფრანგეთის საზღვართან მდებარე იტალიის კურორტის სან-რემოს თაყვანისმცემლები ამტკიცებდნენ, ზამთარი აქ ბევრად უფრო თბილი და სასიამოვნოა, ვიდრე საფრანგეთშიო. ისინი თავიანთ ქალაქს ყვავილების ქალაქს უწოდებდნენ და ახლო-მახლო სოფლებიდან უთვალავი წითელი მიხაკი და ათასი ჯიშის საგანგებოდ გამოყვანილი ყვავილი ჩამოჰქონდათ.

როგორც კი ლუფტვაფეს ხელახალი შეიარაღებისა და გერმანიის ეკონომიკის განვითარების ოთხწლიანი გეგმის დახვეწა-დამუშავებას მორჩა, ფელდმარშალმა გერმან გერინგმა თავის პირიმშვენიერ, მხიარულ მეუღლესა და პატარა ქალიშვილთან ერთად იანვრის ბოლოს სან-რემოს მიაშურა. მართლაცდა ერთობ კარგი დრო შეარჩია დასასვენებლად. ფიურერი ჩინებულ გუნებაზე ბრძანდებოდა. წინათ გერინგს ეგონა, ომი მალე დაიწყებაო, ახლა კი, როგორც იქნა დარწმუნდა, რომ 1941—1942 წლამდე არაფერი მოხდებოდა, მანამდე საჰაერო ძალების ხელახალ შეიარაღებასაც მოასწრებდა და ეკონომიკის გაფართოებასაც მიაღწევდა სამხედრო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. გერინგი ისვენებდა, დროს ჩინებულად ატარებდა და იტალიელებთან თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში. ეჭვი არ ეპარებოდა, ნაცისტ ლიდერთაგან იტალიელები მხოლოდ მისდამი იყვნენ ასე სიმპათიურად განწყობილნი.

სან-რემოში ხუთი კვირის ჩასული იყო, რომ მოულოდნელად რომიდან გერმანიის საელჩოს თანამშრომელი ეწვია და ჰიტლერის გამოგზავნილი ბარათი გადასცა. გერინგმა ბარათი წაიკითხა თუ არა, გუნება შეეცვალა. ასლი ამ წერილისა არ არსებობს, მაგრამ მოგვიანებით გერინგს უთქვამს, ჰიტლერი თავის გულისწყრომას გამოხატავდა, რადგან სუდეტის მხარის დაპყრობაზე დაყაბულდა და ჩეხოსლოვაკიას მთლიანად არ დაეპატრონა. მით უმეტეს, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს ჩეხოსლოვაკიის ბედ-იღბალი სრულიად არ ადარდებდათო. ამის შედეგია, რომ პრაღაში ებრაელები კვლავ განაგრძობენ გაზეთებში მოღვაწეობას და რაიხს ძირს უთხრიანო. მართალია, ბოლშევიკებთან ხელშეკრულების დადებაზე ჩეხებმა უარი განაცხადეს და კომუნისტებს სასტიკად სდევნიან, მაგრამ აბა, ვინ არ იცის, რომ ისინი მოსკოვთან კავშირს მაინც არ სწყვეტენ და ბოლშევიკების გადაბარგება „იატაკქვეშ" თვალის ახვევაა და სხვა არაფერი...

სლოვაკებს იმედი წარეხოცათ, ფარ-ხმალი დაჰყარეს და პრაღას დამორჩილდნენ. ჩეხი მინისტრები მლიქვნელობის მეტს არას აკეთებენ... ხალხი სულს ღაფავს, რამეთუ არ იცის, ვის დაუჯეროს... ფიურერს მოთმინების ფიალა აევსო და სურს მომავალში ასეთ გაუგებრობას ბოლო მოუღოს... მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ბოჰემიისა და მორავიის დარჩენილი ტერიტორიების დაპყრობა.

ჰიტლერის წერილმა გერინგს თავზარი დასცა. ის მაშინვე მაგიდას მიუჯდა და ფიურერისათვის პასუხის წერას შეუდგა, თან ბრძანებაც გასცა, ბარათი სასწრაფოდ ჰიტლერისათვის გადაეცათ. წერილში ხაზგასმული იყო, რომ ამ ეტაპზე ჩეხოსლოვაკიის და-

[6] ოცდაოთხი საათის შემდეგ მონაზონმა ტისოს მონასტრის კარი გაუღო და იგი კვლავ ბრატისლავაში დაბრუნდა (ავტ. შენიშვნა).

ჰყრობა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პრესტიჟის შელახვასა და ამ პოსტიდან გადადგომას გამოიწვევდა, ეს კი ინგლისის სათავეში ჩერჩილის ჩადგომას მოასწავებდა. ყოველივე ამის გამო გერმანიის მიმართ ბრიტანეთის სახელმწიფოს მტრული დამოკიდებულება კიდევ უფრო გაძლიერდებოდა[7]. გერინგი თვლიდა, რომ ვერც გერმანიაში და ვერც მის ფარგლებს გარეთ ვერავინ ვერ აღიქვამდა სწორად რაიხის ამ აქციას, რამეთუ სულ ამ რამდენიმე დღის წინათ ჰიტლერმა საქვეყნოდ განაცხადა, მიუნხენში ყველაფერი ჩემი სურვილისამებრ გადაწყდაო. გერინგის აზრით, ჩეხოსლოვაკიაში შექმნილი მდგომარეობა ჰიტლერს აინუნშიც არ უნდა ჩაეგდო, რადგანაც ავსტრიისა და სუდეტის მხარის დამორჩილების შემდეგ ჩეხოსლოვაკია გერმანიის ეკონომიურ მარწუხებში მოექცეოდა და ვეღარც პოლიტიკურად მოიქნევდა კუდს.

გერინგმა ეს ბარათი გააგზავნა თუ არა, დროსტარება გააგრძელა. მაგრამ გული მაინც ეთანაღრებოდა ჰიტლერის პასუხის მოლოდინში, პასუხს კი მხოლოდ მაშინ ელოდა, როცა ტისო სლოვაკიის მონასტრიდან გაიპარა. მაშინღა დააჭალა ჰიტლერმა პოლკოვნიკ შმუნდტს გერინგთან დეპეშის გაგზავნა, სადაც ეს ეწერა მხოლოდ: „ახლავე უკან დაბრუნდით".

უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის უფროსი გენერალი ვილჰელმ კაიტელი თებერვლის დამდეგიდან ჰიტლერის მითითებების მოლოდინში იყო, იგი გუმანით გრძნობდა მოსალოდნელ ამბებს. გერმანიის გაზეთები კვლავ ათასგვარ ჭორებს ავრცელებდნენ, აქაოდა, ჩეხი ხელისუფალნი კაცს არ ინდობენ, ეს კი არადა, ამჟღერად უკვე სხვადასხვა რაიონში მცხოვრებ უდანაშაულო გერმანელებსაც გადასწვდნენო, შიშის ზარს სცემენ და აბუჩად იგდებენ სლოვაკებსო. ისე დღე არ გავიდოდა, ნაცისტების ოფიციალურ გაზეთში „ფიოლკიშერ ბეობახტერში" ამის თაობაზე რაიმე ცნობა არ დაბეჭდილიყო: ხან ჩეხი ჟანდარმი ფეხმძიმე სლოვაკელ ქალს ცემით სულს ხდიდა, ხან ჩეხი პროფესორი სლოვაკ სტუდენტს შეურაცხყოფას აყენებდა.

ფიურერს არაერთგზის განუცხადებია, — ბევრი ვიფიქრე და ამიერიდან გადავწყვიტე ყურები გამოვიბერტყოო, — წერდა შემდგომ კაიტელი, თანდათან მივხვდი, რომ მალე ჩეხოსლოვაკიის დარჩენილი ტერიტორიების ეგრეთ წოდებული „წმენდა" უნდა დაწყებულიყო. თუმცა ფიურერი არც თავის გულისნადებს მიმხელდა და არც თარიღზე მეუბნებოდა რასმე, მაგრამ მე მაინც წინასწარი თადარიგი დავიჭირე, რათა სამხედრო უწყებას, თუ საჭირო გახდებოდა, სწრაფი და უეცარი თავდასხმის განხორციელება შესძლებოდა.

მარტის დამდეგს ჰიტლერმა ორი თავისი უმაღლესი სამხედრო მეთაური — გენერალი კაიტელი და ქვეითი ჯარების ხელმძღვანელი გენერალი ბრაუხიჩი თათბირზე მიიწვია და განუცხადა, ჯარების მეშვეობით ჩეხოსლოვაკიის საქმეებში ჩარევა გადავწყვიტეო. ფიურერმა ამას „დამორჩილების ოპერაცია" უწოდა და აღნიშნა, რომ ვერმახტში დამატებით გაწვევას აღარ მოითხოვდა, ამ საქმისათვის გასულ შემოდგომაზე კრიზისის დროს თავმოყრილი ძალებიც კმარაო, მაგრამ თარიღი არც ახლა დაუზუსტებია.

„მე კვლავ „მარტის იდეების" მოლოდინში ვიყავი, — წერდა კაიტელი. — თუ 1937 წელს არ ჩავთვლით, ჰიტლერი შეტევას ღლენიადაგ მარტში იწყებდა ხოლმე. შემთხვევას უნდა მივაწეროთ ეს, თუ მის ცრუმორწმუნეობას? მე მგონი, უფრო ცრუმორწმუნეობას. ასე იყო თუ ისე, 12 მარტს სახმელეთო და სამხედრო-საჰაერო ჯარებს ბრძანება მისცეს, რომ 15 მარტს, დილის 6 საათზე ჩეხოსლოვაკიაში შესაჭრელად მზად ყოფილიყვნენ. მანამდე კი ჩეხოსლოვაკიის საზღვართან 6 მილზე ახლოს მისვლა ყველას სასტიკად ეკრძალებოდა. არცერთმა ჩვენთაგანმა არ ვიცოდით, ისეთი რა უნდა მომხდარიყო, რომ ჩეხოსლოვაკიაში შევჭრილიყავით".

როცა ეს ამბავი კაიტელმა გაიგო, ბენდლერშტრასესაკენ გაეშურა და სამსახურთა და უწყებათა პასუხისმგებელ მუშაკებს სრულიად საიდუმლო მითითება მისცა, საომრად მოემზადეთო.

ნახევარი საათის შემდეგ ასეთივე ცნობა მიიღო ადმირალმა კანარისმა და მისმა მოადგილემ პოლკოვნიკმა ოსტერმა. ეს ახალი ამბავი სასწრაფოდ შეატყობინეს სახმელეთო ჯარების შტაბის უფროსს გენერალ ჰალდერს, ბერლინის პოლიციის უფროსს გრაფ

[7] ცნობილია, რომ ჩერჩილი სიმპათიით იყო განწყობილი ფაშისტური რეჟიმის მიმართ, მაგრამ როგორც კი იგრძნო, მომავალში ნაცისმი ბრიტანეთის იმპერიას დაემუქრებოდა, მაშინვე სათავეში ჩაუდგა ჯგუფს, რომელიც ჰიტლერის წინააღმდეგ გალაშქრებას უჭერდა მხარს (მთარგმნელის შენიშვნა).

ჰალდერს, გენერალ ფონ ვიცლებენს, ანუ ყველა იმათ, ვინც 1938 წელს ჰიტლერის საწინააღმდეგო წარუმატებელ ამბოხებაში მონაწილეობდა. იქნებ კვლავ დადგა ჟამი შურისძიებისა? ცხადია, ამჯერად ინგლისელები და ფრანგები ჰიტლერს აგრესიის განხორციელების ნებას არ მისცემდნენ, განა მათ არ დადეს ახალი ჩეხოსლოვაკიის საზღვრების ხელშეუხებლობისა და მთლიანობის გარანტია? განა ჰიტლერი არ იყო, რომ იმეორებდა — სუდეტის ოლქი ეს ჩემი ბოლო ტერიტორიული მოთხოვნააო ევროპაში?

შეთქმულების ისეთ აქტიურ მონაწილეებს, როგორიც ოსტერი და კანარისი გახლდათ, შეეძლოთ ეს შემთხვევა გამოეყენებინათ, კვლავ ამბოხება მოეხდინათ და გერმანია სამარადჟამოდ ეხსნათ ჰიტლერისაგან, ხოლო გენერალი ჰალდერი უფრო სკეპტიკურად იყო განწყობილი. მიუნხენში ინგლისელთა საქციელმა მას ხასი წარუკვეთა. დარწმუნებული იყო, დემოკრატები ჩეხოსლოვაკიის გულისათვის კი არადა, საკუთარი ტყავის გადასარჩენადაც კი თითს თითზე არ დააკარებდნენ. მიუხედავად ამისა, მაინც შეჰპირდა შეთქმულებს, მხარსაც აგიბამთ და შეთქმულებაში მონაწილეობასაც მივიღებო, მხოლოდ იმ პირობით, თუ დასავლეთის სახელმწიფოები კეთილ ინებებენ და ჰიტლერი ჩეხოსლოვაკიის საზღვრის გადალახვას რომ დააპირებს, მის წინააღმდეგ ხმას აღიმაღლებენო.

მოიღებენ კი დასავლეთის სახელმწიფოები რაიმე ზომებს ფიურერის ასალაგმავად, თუ მათ წინასწარ შევატყობინებთ ჰიტლერის ჩანაფიქრს?!

კანარისმა კაპიტნის მითითება ოსტერს გადასცა, რომელსაც ჭკუის დარიგება არ სჭირდებოდა. თვითონაც კარგად იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ინგლისის საიდუმლო სამსახურთან მას არაერთხელ დაუმყარებია კავშირი.

11 მარტს ინგლისის საიდუმლო სამსახურის ხელმძღვანელმა თავის კაბინეტიდან უაიტჰოლში საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივ მოადგილეს, ალექსანდრ კადოგანს დაურეკა და სთხოვა, ახლავე უნდა მიმიღოთო. ამ შეხვედრაზე კადოგანს გერმანიიდან გადმოგზავნილი გაშიფრული ცნობა გადასცეს, რომელშიც ნათქვამი იყო:

„15 მარტს დილის ექვს საათზე გერმანიის არმია ბოჰემიასა და მორავიაში შეიჭრება. რამდენიმე საათით ადრე საზღვარს სპეციალური ქვეგანაყოფები გადალახავენ, ისინი თვალის მოსატყუებელ მანევრს ჩაატარებენ, რაც ძირითად ოპერაციაში არ უნდა აგურიოთ. ჩეხოსლოვაკიის ხელისუფალთ და შეიარაღებულ ძალთა მეთაურებს ულტიმატუმს წავუყენებთ, ვაიძულებთ ფარ-ხმალი დაჰყარონ, თვითმფრინავები აეროდრომებზე დასვან და ჯარი ყაზარმებში დააბრუნონ. ულტიმატუმი ძალზე მოკლევადიანი იქნება და სულ ბოლო წუთებში უნდა გადაეცეთ. მთელი ამ ოპერაციის თავი და თავია ელვის სისწრაფე".

უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში დატრიალებული მოვლენებით გამოწვეული იმ აღშფოთებისა და გაცხარების გამო, რომელიც საჯაროდ გაითამაშა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, ზემოაღნიშნული მოხსენების ამბავი უფრო დაწვრილებით განხილვას საჭიროებს. ჯერ ერთი, ალექსანდრე კადოგანს, რომელსაც ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურის შეფმა უთუოდ ადრევე შეატყობინა ამ ინფორმაციის წყარო, ეტყობოდა, ეს ცნობა გულს დიდადაც არ უშფოთებდა. მართალია, თავის დღიურში ჩაუწერია: ამ ამბავმა თმა ყალყზე დამიყენაო და თან საიდუმლო სამსახურის შეფისთვისაც უთქვამს, დაუყოვნებლივ მოვახსენებ ყველაფერს საგარეო საქმეთა მინისტრსა და პრემიერ-მინისტრსო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჰალიფაქსი მაინც გაემგზავრა ქვეყნის გარშემო ადრე განზრახული შეხვედრების ჩასატარებლად, ხოლო ჩემბერლენს, როგორც ჩანს, აზრადაც არ მოსვლია კაბინეტის წევრების შეკრება, ანდა მთავარ სამხედრო ხელმძღვანელთა თათბირის მოწვევა და შექმნილი ვითარების განსჯა.

ამასობაში კაპიტანი სტელენი, რომელსაც ფრაუ რიგელემ სიტყვა გადაუკრა, საკუთარი თვითმფრინავით ცაში ტრიალებდა, ჩეხოსლოვაკიის საზღვარსა და დრეზდენს შუა მდებარე რაიონს გარს უვლიდა. თან პარიზს ატყობინებდა, ბოჰემიის მიმართულებით ჯარების გამალებული გადაადგილება მიმდინარეობსო, მაგრამ მის ცნობას ყური არავინ ათხოვა და მან მაინც ვერ გაიგო, რას ფიქრობდნენ ამის თაობაზე პარიზში.

* *

კვირას, 12 მარტს, სისხამ დილით სლოვაკიის თავზარდაცემულ ხელმძღვანელთა მცირე ჯგუფი ბრატისლავას გარეუბანში მდებარე კერძო ბინაზე თათბირს ატარებდა.

სლოვაკიის მთავრობის ახალმა პრემიერმა კაროლ სიდორმა წინადღეს, საღამო ხანს ქალაქის ცენტრში, დუნაის გვერდით აღმართულ რატუშის შენობაში, თავისი კაბინეტის პირველი სხდომა მოიწვია და შექმნილ ვითარებას ალღო მაშინვე აუღო. ათ საათზე, სწორედ

გახურებული თათბირის დროს, ანაზდად კარი გაიღო და ოთახში მტკიცე ნაბიჯით შემოვიდნენ ზაის-ინკვარტი, გაულაიტერი ბიურკელი და კიდევ ხუთი კაცი. სამხედრო ფორმასა და განმასხვავებელ ნიშნებზე ეტყობოდათ, რომ გერმანელი გენერლები უნდა ყოფილიყვნენ. მათ დუნაი ავსტრიის მხრიდან გადმოელახათ. თავზარდაცემულ სლოვაკებს ზაის-ინკვარტმა განუცხადა, მალე უკანვე უნდა დავბრუნდეთ. მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდებოდა.

ზაის-ინკვარტმა მოითხოვა სლოვაკიის მთავრობას დაუყოვნებლივ დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა. მან თქვა, ფიურერი სლოვაკიის ბედით ძალზე დაინტერესებულია. მაგრამ იცოდეთ, თავბედი საწყევლი გაგიხდებათ, თუ ბრატისლავა შემდგომშიც ასე გააჯანჯლებს დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

შემდეგ ზაის-ინკვარტი გენერლების თანხლებით ოთახიდან გავიდა, ხოლო გაულაიტერმა ბიურკელმა ფეხი აითრია, რათა სიდორისათვის ყურში ჩაეჩურჩულებინა, „ფიურერმა განიზრახა ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტოს ჩეხების ბედი. ღვთის გულისათვის, დროს ფუჭად ნუ კარგავთ, აღექით და გამოაცხადეთ დამოუკიდებლობა, თორემ ღმერთმა უწყის რა მოგელით!“

* *

ჰორაციო უილსონს ახსოვს, რა ბედნიერი იყო ჩემბერლენი მთელი ის კვირა: „იხტიბარს არ იტეხს, უჩვეულოდ ოპტიმისტურია“, — იგონებდა იგი.

ხუთშაბათს პრემიერ-მინისტრმა თემთა პალატაში თავის ოთახში შინაურ კორესპონდენტთა[8] პატარა ჯგუფს მოუყარა თავი და ისე არხეინად ილაპარაკა ევროპის პერსპექტივებზე, რომ შემდეგ გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტი წერდა: „არაოფიციალურმა და ნახევრად ოფიციალურმა კონტაქტებმა ამას წინათ ისეთი თვალსაზრისი წარმოაჩინეს, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოსაა, ვიდრე სხვა ოფიციალური განცხადებები. ვაჭრობის მინისტრის, ბატონ ოლივერ სტენლის ამ თვეში გამიზნული მოგზაურობა ბერლინში კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ევროპაში არსებულ ღრმა უთანხმოებათა მოსაწესრიგებლად“.

მანამდე რამდენიმე დღით ადრე შინაგან საქმეთა მინისტრი სამუელ ჰორი ჩემბერლენს მოეთათბირა იმ სიტყვის თაობაზე, რომელიც მას ჩელსში, თავისი ამომრჩევლების წინაშე უნდა წარმოეთქვა. როგორ უნდა გამოვიდეს? პირქუშად თუ ოპტიმისტურად? „მხნედ და ხალისიანად“, — ურჩია ჩემბერლენმა, — ამის ყოველგვარი საფუძველი არსებობს“.

ჩელსის საქალაქო დარბაზის ტრიბუნაზე ასული ჰორი მომავალს იმედის თვალით ასურათხატებდა. „აბა, ერთი წარმოიდგინეთ, რომ ევროპაში უკვე შესაძლებელია პოლიტიკური ნდობის აღდგენა... წარმოიდგინეთ, რომ ევროპის ხალხებს აჩრდილივით აღვენებული კოშმარისაგან თავის დახსნის საშუალება ეძლევათ. საშუალება ეძლევათ დაზოგონ შეიარაღებისათვის განკუთვნილი თანხები, მათ რომ გაკოტრებით ემუქრებათ, მაშინ ჩვენ მოვახერხებთ გამოგონებები და სამეცნიერო აღმოჩენები ოქროს ხანის შექმნისათვის გამოვიყენოთ“.

მეორე დღეს, 11 მარტს ჟურნალ „პანჩის“ (არა მარტო იუმორისტული ჟურნალი, არამედ ჩემბერლენთან დაახლოებული და მისი პოლიტიკის მომხრე წრეების ერთ-ერთი რუპორი) რედაქტორებმა მომავალი კვირის ნომრის გეგმის მოსახაზად თავი მოიყარეს ყოველკვირეულ თათბირზე, რომელიც ბოუვერ-სტრიტზე იმართებოდა ხოლმე. მხატვრულმა რედაქტორმა ბერნარდ პარტრიჯმა მოამზადა და რედაქტორებს მაგიდაზე დაუდო ჯონ ბულის ფანჯარაში გაუჩინარებული ომის აჩრდილის გამომხატველი კარიკატურა. სურათის წარწერა აშკარად იმათ წინააღმდეგ იყო მიმართული, ვინაც ომით იმუქრებოდა. კარიკატურა მოიწონეს მორიგ ნომერში გამოსაქვეყნებლად, რომელიც 15 მარტს უნდა გამოსულიყო.

ახლა უაიტჰოლში, პრაღიდან, ვარშავიდან, ბრატისლავადან და ბერლინიდან ცნობა ცნობაზე მოდიოდა 15 მარტს ჩეხოსლოვაკიაში გერმანიის არმიის შეჭრის თაობაზე. ამ ცნობებს კადოგანი ჰალიფაქსს უგზავნიდა, ჰალიფაქსი კი — ნევილ ჩემბერლენს.

14 მარტს სისხამ დილით ერიკ კორდტმა ბერლინის საგარეო საქმეთა სამინისტროდან თავის ძმას თეოს დაურეკა ლონდონში.

„დეიდა თეოდორა ხვალ ბერლინიდან მიემგზავრება“, — აცნობა მან. ეს უბრალო ფრაზა იმის მაუწყებელი იყო, რომ მეორე დღეს გერმანიის არმია ჩეხოსლოვაკიაში შეჭრას აპი-

[8] ეს კორესპონდენტები, ისევე როგორც მათი კოლეგები თეთრ სახლში ხშირად მინისტრებისაგან ან პრემიერ-მინისტრისაგან კონფიდენციალურად იღებენ ისეთ ინფორმაციას, რომელიც ხსნის მთავრობის ამა თუ იმ ნაბიჯის არსს, ანდა უნდა გამოქვეყნდეს წყაროს მიუთითებლად (ავტ. შენიშვნა).

რებდა. „გადასცემთ თუ არა ამ ამბავს ჩემს დეიდაშვილს ანტეას?" — დასძინა იგი. ანტეა ძმები კორდტების მარტო დეიდაშვილი როდი იყო, იგი ინგლისის საკოდო სახელწოდებასაც წარმოადგენდა.

„ანტეამ უკვე ყველაფერი იცის, — უპასუხა თეო კორდტმა. — მაგრამ, როგორც ჩანს, პირობა არ ახსოვს. ახლაც იმას ამტკიცებს, ეგ არც თუ ისე მნიშვნელოვანიაო".

„გული ამიცრუვდა, — თქვა ჰიტლერმა. — უკანასკნელ ხანებში სლოვაკ[illegible] ხალხის საქციელმა ნათელყო, რომ ჩეხებისა არ იყოს, ისინიც დიდი [illegible] — ასეთი სიტყვებით მიმართა მან 13 მარტს საღამოს ტისოსა და დურჩანსკის იმპერიის კანცელარიაში, ოთახის მეორე ბოლოს მათ პირისპირ რიბენტროპი, გენერალი კაიტელი და საგარეო საქმეთა სამინისტროს რამდენიმე თანამშრომელი ისხდნენ, რომელთა წინ ორი სლოვაკი ატუზულიყო, თავი ჩაექინდრათ და მორიდებულად უსმენდნენ ფიურერს. ტისოსა და დურჩანსკის ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდათ, თითქოს მათ თავის მართლებასაც არავინ სთხოვდა.

ნახევარი საათის განმავლობაში ჰიტლერი „პრაღის ცოდვებზე" ქაქანებდა, პრაღისა, რომელიც მიუნხენის შეთანხმების შედეგად საერთაშორისო ვითარების შენელების შემდეგ „შფოთის კერად" ქცეულიყო. „მოთმინების ფიალა ამევსო", — ამბობდა იგი. ჩეხების ბედის ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტას აპირებდა, რადგან სლოვაკების იმედი არა ჰქონდა. ჰიტლერმა ისიც გაიხსენა, ერთი წლის წინ მძიმე პრობლემის წინაშე რომ იდგა — არ იცოდა, მიეცა თუ არა უნგრელებისათვის სლოვაკიის ოკუპირების ნება, მაგრამ მაშინ დაარწმუნეს, რომ სლოვაკია თავის საქმეებს თავადვე მოაგვარებდა... მერედა, აბა, რა გამოვიდა? — ბობოქრობდა ჰიტლერი. — ავდექი და ვილჰელმ კეპლერი სლოვაკიაში ელჩად გავაგზავნე, სიდორიმ კი განუცხადა, მე პრაღის ჯარისკაცი გახლავართ და პრაღიდან სლოვაკიის გამოყოფას მხარს ვერ ავუბამო. ეს ამბავი რომ ადრევე გამეგო, ჩემს მეგობარ უნგრელებს არ „გავაგულისებდი და ნახავდით, რაც მოხდებოდა".

ფიურერმა ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო, შემდეგ მოულოდნელად შემოტრიალდა და ტისოს მიუბრუნდა: „მე სლოვაკებს ბერლინში ჩამოსვლის უფლება მივეცი, რათა საკითხი სასწრაფოდ გადამეწყვიტა. სულ არ მაინტერესებს კარპატების აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია, არც იქაური ამბები მადარდებს. მაგრამ მინდა გავარკვიო, რა სურს სინამდვილეში სლოვაკ ხალხს. ბევრი ჰოყმანი არ მიყვარს. ბერლინში იმიტომ გიხმეთ, მინდოდა ჩემი გადაწყვეტილება გეცნობებინა". შემდეგ დასძინა: „თუ სლოვაკიას დამოუკიდებლობა სწადია, უთუოდ გამოვექომაგები. ვფიცავ, ჩემს სიტყვას არ ვუღალატებ. მხოლოდ იცოდეთ, ერთი პირობით — სლოვაკიამ თვითონ უნდა გვაგრძნობინოს, რომ ეს მისი სურვილიცაა"

შემდეგ ჰიტლერი თავის საგარეო საქმეთა მინისტრს მიუბრუნდა და ჰკითხა, ჩემს ნათქვამს კიდევ რასმეს ხომ არ დაუმატებთო. რიბენტროპმა მხოლოდ იმაზე გაამახვილა ყურადღება, რომ ამ საკითხის გადასაწყვეტად სულ რამდენიმე საათიღა რჩებოდა. მერე ჰიტლერს ცინცხალი ცნობა გადასცა. ჰიტლერმა იგი ხმამაღლა წაიკითხა. ცნობაში ნათქვამი იყო, რომ უნგრეთის ჯარები სლოვაკიის საზღვართან იყრიდნენ თავს. „ამრიგად, თქვენც ხომ ხედავთ, რა სწრაფად ვითარდება მოვლენები და მათზე[9] პასუხს ვერავინ აგებს. სლოვაკიამ სასწრაფოდ რამე უნდა იღონოს".

ბოლოს, როგორც იქნა, სლოვაკებს ხმის ამოღების უფლება მისცეს. ტისომ ჰიტლერს თავდაპირველად ამ სიტყვებისათვის მადლობა გადაუხადა, მერე კი განაცხადა: „უკვე კარგახანია მსურს გავარკვიო, რა თვალით უყურებს ფიურერი ჩემს ქვეყანასა და ხალხს, და თანაც მინდა დავარწმუნო, რომ სლოვაკიის იმედი იქონიოს. ფიურერის სიტყვებმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს და ამიტომ ბოდიშს ვიხდი, თუ ამჟამად აზრის

[9] უნგრეთს მართლაც გადაჰყავდა თავისი ჯარები, რადგანაც ჰიტლერის მითითება მიიღო სლოვაკიიდან აღმოსავლეთით მდებარე ოლქის, კარპატების რუსინიის ოკუპირების შესახებ. სწორედ მაშინ, ტისოსთან შეხვედრის წინ, იყო, რომ უნგრეთის რეგენტმა ადმირალმა ჰორტმა დეპეშით მადლობა გადაუხადა ჰიტლერს ასეთი გადაწყვეტილებისათვის. „უკვე მოვახდინეთ ჯარების შესაბამისი კონცენტრაცია, — იტყობინებოდა იგი დეპეშაში. — ხუთშაბათს, 16 მარტს გათამაშდება სასაზღვრო ინციდენტი, რომელსაც შაბათს გადამწყვეტი დარტყმა უნდა მოჰყვეს. სანამ პირში სული მიდგას, არ დავივიწყებ თქვენს მეგობრულ დახმარებას, თქვენო უდიდებულესობავ. შეგიძლიათ ჩემი იმედი იქონიოთ, მუდამ თქვენი მადლობელი ვიქნები" (ავტ. შენიშვნა).

აშკარად გამოთქმას საშუალება ანდა რაიმე გადაწყვეტილების მიღება არ შემიძლია". ტისომ და დურჩანსკიმ ითხოვეს არსებულ ვითარებაში გასარკვევად დრო მიეცათ და ფიურერს სლოვაკიის მიმართ ასეთი ყურადღებისა და მზრუნველობისათვის მადლობა გადაუხადეს.

ჰიტლერმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია: „კეთილი, ოღონდ დროს ფუჭად ნუ კარგავთ. დეტალები შეგიძლიათ ჩემს ხალხთან ერთად დააზუსტოთ". მერე [illegible] თავისუფალი ბრძანდებითო და სლოვაკები ოთახიდან გავიდნენ.

14 მარტს, სამშაბათს, დილის 8 საათზე სლოვაკიის პარლამენტის დეპუტატებმა, რომლებსაც ტისომ მაშინვე შეატყობინა — სლოვაკიას ერთი მხრიდან უნგრეთის ჯარი ემუქრება, მეორე მხრიდან კი — გერმანიის არმიაო, პრაღასთან კავშირის გაწყვეტა გადაწყვიტეს და ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. რაღა თქმა უნდა, ეს თაღლითობა იყო და სხვა არაფერი. ჰიტლერმაც ქვეყანას მოსდო, ახალი სახელმწიფოს „მფარველობას" მე ვკისრულობო.

ჰიტლერი კმაყოფილი დარჩა, რაკიღა სლოვაკიას დაეპატრონა, იმიერ-კარპატების უკრაინაზე შეეძლო ხელი აეღო და უნგრელებისათვის დაეტოვებინა. ოდესღაც ჩეხოსლოვაკიის სუვერენული სახელმწიფოდან ბოჰემია და მორავია დარჩა მხოლოდ. თუმცა მალე მათაც ზურგზე ბოლოს აჯენას უპირებდა.

პრეზიდენტმა გაჰამ ეს ამბავი პრაღაში შეიტყო. ჩეხოსლოვაკიის ჯარების სარდალი ბრატისლავაში იჯდა და მითითებებს მოუთმენლად ელოდებოდა.

„გადაეცი, ნურაფერს მოიმოქმედებს, ნურაფერს, — უთხრა პრეზიდენტმა გენერალ სიროვის, რომელიც იმხანად სამხედრო მინისტრი იყო. მერე ხვალკოვსკის მიუბრუნდა და დასძინა: „მე მგონი, დროა გერმანიაში ჩვენს ჩანაფიქრებს მოვეთათბიროთ, — ერთხანს შეყოყმანდა, მაგრამ მერე კვლავ განაგრძო: — უმჯობესია საელჩოს ჰკითხოთ, შესაძლებს თუ არა ფიურერი თქვენს მიღებას. დაუყოვნებლივ უნდა ინახულოთ. საელჩოს გადაეცით, რომ სასწრაფოდ მისი რჩევა-დარიგების მიღება გსურთ.

მაგრამ რჩევა-დარიგება რა სახსენებელია, ბედი გაჰას ისეთ რამეს უმზადებდა.

* *

14 მარტს, ბერლინში, შუადღისას ვილჰელმ კაიტელი იმპერიის კანცელარიისაკენ გაემართა, ბარდნიდა. იგი ფიურერთან მიიჩქაროდა ბოჰემიასა და მორავიაზე მეორე დილით გამიზნული თავდასხმის გეგმების განსახილველად. ამინდის პროგნოზი გულს უხეთქავდა, დრეზდენის აღმოსავლეთით უმოწყალოდ თოვდა. გზებზე ლიპ ყინულს ვარაუდობდნენ. ასეთ ამინდში მცირე წინააღმდეგობის დროსაც კი თავდასხმა არამც და არამც არ შეიძლებოდა.

მართალია, კაიტელს დანა პირს არ უხსნიდა, მაგრამ სამაგიეროდ, ჰიტლერი ბრძანდებოდა დიდებულ გუნებაზე. ყურს უგდებდა გენერალს, განხორციელებულ ღონისძიებებზე რომ ლაპარაკობდა, და ეღიმებოდა. თავის მხრივ კაიტელმაც შენიშნა, დღეს ფიურერი სულ არ ღელავსო, კრიზისის წუთებში კი ჩვეულებრივ ნერვიულობა იცოდა ხოლმე. მხოლოდ მოხსენების ბოლოს მიხვდა ჰიტლერის ასეთი გუნება-განწყობილების მიზეზს, რამეთუ ფიურერმა სიტყვა გააწყვეტინა, პრეზიდენტ გაჰას ჩემთან შეხვედრა სურს და ამ საღამოს ბერლინში უნდა ჩამოვიდესო.

ჰიტლერმა კაიტელი დაითხოვა. კაიტელმა მისგან ბენდლერშტრასეზე სამსახურში დაბრუნების ნებართვა აიღო, აჭაოდა, გენერალურ შტაბს გავაფრთხილებო.

„რის თქმას აპირებთ?" — შეეკითხა ფიურერი.

„უნდა გავაგებინო, რომ პრეზიდენტის ჩამოსვლის გამო თავდასხმა დროებით გადაიდო".

ჰიტლერმა კაიტელს უპასუხა, ვითარებას თქვენ ვერც თავი გაუგეთ და ვერც ბოლო. მართალია, გაჰას ბერლინში ჩამოსვლის ნება დავრთე, მაგრამ თავდასხმის გადადება გულშიც კი არ გამივლია. ხვალ, დილის 6 საათზე, გაჰასთან მოლაპარაკების შედეგების მიუხედავად, გერმანიის ჯარი ჩეხოსლოვაკიაში შეიჭრებაო.

როცა პრაღიდან გამოსულმა სპეციალურმა მატარებელმა ბოჰემიის თოვლით დაფარულ ბორცვებს ჩაუქროლა (პრეზიდენტ გაჰას რამდენიმე დღეა თვალი არ მოეხუჭა და ძილი მხოლოდ ახლა მოერია), მისმა ქალიშვილმა მილადამ პლედი წააფარა, მამასავით მასაც სჯეროდა, ბერლინში მოგზაურობა სასურველ შედეგს გამოიღებდა, ბოლოს და ბოლოს განა ეს ოთხი ქვეყანა (მათ შორის გერმანიაც) არ იძლეოდა ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს

ერთიანობის გარანტიებს? აბა, ვის რად სჭირდება მისი ნაწილ-ნაწილ დაქუცმაცება. ადოლფ ჰიტლერმა უკეთ იცის, როგორ მოიქცეს, რათა ბოლო მოუღოს მთელ ამ არეულ-დარეულობასა და ქაოსს.

მატარებელი ცოტა ხანს პლზენში, გერმანიის ახალ საზღვართან მდებარე ბოლო ქალაქში შეჩერდა. ვაგონიდან ხვალკოვსკი გამოვიდა, რათა ბაქანზე მდგარი მეკავშირე ოფიცრისათვის ახალი ამბები გამოეკითხა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ჩვენ არაფერი ვიცით", — უპასუხა ოფიცერმა.

— ეტყობა, სატელეფონო ხაზია დაზიანებული. მართალია, ხვალკოვსკის პრეზიდენტისათვის არაფერი უთქვამს, მაგრამ მაშინვე მიხვდა, სატელეფონო ხაზი გადაჭრილი რომ იყო, და არც შემცდარა: არც ერთი ხაზი არ მუშაობდა.

სწორედ მაშინ, როცა ისინი გერმანიას აღმოსავლეთიდან უახლოვდებოდნენ და ბოჰემია ღამის წყვდიადში იძირებოდა, ნაცისტთა ჯარები ჩეხოსლოვაკიის საზღვრისკენ მიიწევდნენ. ამას კი ხვალკოვსკი აბა როგორ მიხვდებოდა. თავდასხმის დაწყებამდე ოცი საათიღა რჩებოდა, მაგრამ მორავსკა—ოსტრავადან, პოლონეთის საზღვრის ჩრდილოეთიდან ესესელთა პოლკის „ადოლფ ჰიტლერის" ოცეული უკვე ჩეხოსლოვაკიის პატარა ქალაქ ვიტკოვიცისაკენ მიიჩქაროდა. ვიტკოვიცში ევროპის ერთ-ერთი თანამედროვე აღჭურვილობის ფოლადჩამომსხმელი ქარხანა მდებარეობდა და გერმანელებს უნდოდათ, დაუზიანებლად ჩაეგდოთ იგი ხელში.

იმ საღამოს გენერალი კაიტელი ჰიტლერთან გამოიძახეს — იგი იმპერიის კანცელარიაში 9 საათზე გამოცხადდა, რათა თავდასხმის ბრძანებები მიეღო და გენერალური შტაბისა და სამხედრო-საჰაერო ძალთა მთავარსარდლობისათვის გადაეცა. იქ კი, მისდა გასაოცრად, წვეულება გაემართათ. ფიურერი და მისი სტუმრები სუფრიდან ეს-ეს იყო წამოიშალნენ. მას აქვე დაუხვდნენ სან-რემოდან ახლახან დაბრუნებული გერინგი, რიბენტროპი, ფრაუ ჰებელსი, ჰიმლერი, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ათიოდე მამაკაცი და ერთი ახალგაზრდა ქალი. ჰიტლერმა ყველანი სასტუმრო ოთახში შეიპატიჟა, სადაც კინოფილმების ჩვენება მიმდინარეობდა, სკამის საჯდომს ხელი დაკრა და კაიტელს ანიშნა, გვერდით მომიჯექიო. შუქი ჩაქრა და სანამ მოთმინებადაკარგული გენერალი ერთ ადგილზე ცქმუტავდა, ეკრანზე ფილმის სათაურმა „უიმედო საქმემ" გაიელვა.

ამ დროს ჰიტლერმა კაიტელს გადაუჩურჩულა: „ნუ ღელავ, ბერიკაცი ათ საათზე ადრე არ ჩამოვა. ორ საათს კიდევ დავაცდი, ნამგზავრი იქნება, შემდეგ კი, შუაღამისას ჩემთან ვიხმობ".

აბა რას იფიქრებდა პრეზიდენტი გაჰა, თუ ბერლინს წამოსული თავს პირდაპირ ხაფანგში აყოფდა. ისიც მართალია, რომ იგი მოხუცი იყო და ერთხელ უკვე, მიუნხენის რეალურ ფაქტებსა და ცენტრალურ ევროპაში გერმანიის პატრონობას შეგუებულს, ეგონა, რაკიღა ჩეხოსლოვაკია გერმანიისათვის არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს, არც ჰიტლერის ლტოლვის ობიექტი იქნებაო: განა მისი ქვეყანა ახლაც ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის ორბიტაში არაა მოქცეული? მის ჭკუაზე არ დაიარება? ყოველ შემთხვევაში, ჰიტლერი არ იყო ევროპის დიდ სახელმწიფო მოღვაწეებს რომ განუცხადა, სულაც არ მინდა ჩეხების რაიხის შემადგენლობაში შეყვანაო და ინგლისს, საფრანგეთსა და იტალიას დაუჭირა მხარი ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნების საკითხში?

ასეთი აზრებით შეპყრობილ, წინდაუხედავ მოხუცს სჯეროდა, რომ არავითარი საშიშროება არ არსებობდა. მაგრამ, რასაკვირველია, უფრო პროფესიულ მრჩევლებს, წინასწარ უნდა გაეფრთხილებინათ იგი, ეუწყებინათ გერმანელების მიერ ამ რამდენიმე დღის განმავლობაში გადადგმული საბედისწერო ნაბიჯების შესახებ. შეეხსენებინათ, როგორ ესიზმრებოდა ჰიტლერს ჩეხები და აქეთ არ გამოეშვათ. მაგრამ ამაზე კაციშვილს სიტყვა არ დასცდენია. „აბა, რა ვიცოდი, თუ ასეთ რამეს მიპირებდნენ", — უთქვამს შემდეგ გაჰას.

გაჰა ჭკუაგამოლეული მოხუცი იყო, თორემ უთუოდ გაიხსენებდა, ცამეტიოდე თვის წინ ავსტრიის კანცლერი შუშნიგი რჩევა-დახმარების სათხოვნელად ჰიტლერთან შესახვედრად რომ გაემგზავრა, რა ბედი ეწია მასაც და ავსტრიასაც. ესეც რომ არა, ხვალკოვსკის უნდა ეთქვა, რომ ავსტრია უკვე გერმანიის საკუთრებას წარმოადგენდა და კანცლერ შუშნიგს ერთ-ერთ გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკში ფეხსადგილს აწმენდინებდნენ.

„შეხე, რა ზარ-ზეიმით გვხვდებიან", — უთხრა პრეზიდენტმა გაჰამ თავის ქალიშვილს.

14 მარტის ღამის თერთმეტი საათი იყო, უამინდობის გამო სპეციალურმა მატარე-

ზელმა ერთ საათს დააგვიანა ბერლინში ჩასვლა, მაგრამ გერმანიის მთავრობამ, როგორც ჩანს, ყოველგვარი საოქმო ფორმალობის დაცვა გადასწყვიტა. სვასტიკის გვერდით ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო დროშები ფრიალებდნენ, ხოლო ანგალტერის ვაგზლის ბაქანზე ესესელთა საპატიო ყარაული გაემწკრივებინათ (თითქოსდა ბედის დაცინვაათ, ეს გახლდათ ესესელთა ნაწილების სწორედ ის ქვედანაყოფი, რომელიც იმხანად ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე დათარეშობდა). კაბინეტის მინისტრის — პრეზიდენტის კანცელარიის უფროსის — ოტო მაისნერის, ყოიტელ მასტნისა და მისი მეუღლის, ხვალ[illegible]სკის გენერლის თანხლებით პრეზიდენტმა გაჰამ და მისმა ქალიშვილმა დიდის ამბით ჩაუარეს საპატიო ყარაულის მჭიდრო რიგებს. ცივ ბურუსს მიჩერებულმა ჩეხმა პრეზიდენტმა სცადა, თავი მის წინაშე გამწკრივებული ჯარისკაცების მეთაურად წარმოედგინა. ძლიერი ქარი ქროდა. თოვლის ფანტელები ბაქანს თეთრად მოსავდა.

ბოლოს და ბოლოს თავად გერმანელებიც მიხვდნენ, რომ მთელი ეს ამბავი ნამდვილი ფარსი იყო და სხვა არაფერი. ყვავილების უზარმაზარი თაიგული, რომელიც პირმშვენიერ გოგონას პრეზიდენტის ქალიშვილისათვის უნდა გადაეცა, სასწრაფოდ ბაქნიდან სადღაც გააქრეს, ხოლო მოხუცი პრეზიდენტი თანმხლები პირებითურთ დაუყოვნებლივ მანქანაში ჩასვეს და ოტელ „ადლონში" მიიყვანეს.

როცა პრეზიდენტი საძინებელ ოთახში გავიდა, მის ქალიშვილს ყვავილების თაიგული და შოკოლადის კოლოფი მაშინ მიართვეს. მგონი, ყველაფერს კარგი პირი უჩანს, — გაიფიქრა ქალიშვილმა მამასავით.

* *

„იმპერიის კანცელარიის ეზოში მე, მაისნერსა და ხვალკოვსკის საპატიო ყარაული დაგვხვდა", — აცყობინებდა მოგვიანებით გაჰა თავის მთავრობას. — მერე ჰიტლერიც შემოგვეგება. დიდად ვაფასებ ჩვენი დროის უდიდეს სახელმწიფო მოღვაწესთან პირისპირ შეხვედრას-მეთქი, ვუთხარი ფიურერს. კანცლერმა თავის ხელმარჯვენივ, რაიხის გამოჩენილ ადამიანთა გვერდით, დამსვა, აქ იყვნენ გენერალ-ფელდმარშალი გერინგი, მინისტრი ფონ რიბენტროპი, გენერალი კაიტელი".

გზამ, ყინვამ, დაღლილობამ და შფოთმა ბერიკაცს ქანცი გამოაცალა: ხმა თითქმის სულ ჩაუწყდა. მის ლაპარაკზე იქ მყოფი ნაცისტი მეთაურები სიცილს ძლივს იკავებდნენ. ჰიტლერმა კაიტელს გადაუჩურჩულა კიდეც: „ამ ბეხრეკ ჯენტლმენს ხმა სწორედ რომ ღოთს მიუგავს".

აბა, რას იფიქრებდა გაჰა, რომ რამდენიმე საათის შემდეგ გერმანია მის ქვეყანაში შეიჭრებოდა. იგი სამოწყალოდ კი არ იყო მოსული, დახმარებას ითხოვდა, რომ თავისი ქვეყანა ნგრევისაგან ეხსნა. ერთხანს გუნდრუკის კმევითა და დამამცირებლად ლაპარაკობდა ავსტრიის სამოქალაქო სამსახურში საკუთარი კარიერის თაობაზე. ჰიტლერმა სიტყვა შეაწყვეტინა, უკვე გვიანია და მხოლოდ ის პოლიტიკური მოტივები უნდა განვიხილოთ, რამაც აქ ჩამოსვლა გაიძულათო. მერე ჰიტლერის ნიშანზე ყველანი ოთახიდან გავიდნენ. დარჩნენ მხოლოდ ხვალკოვსკი, რიბენტროპი და თარჯიმანი ვალტერ ჰეველი. მაგრამ საუბრის დროს კაიტელი ორჯერ შემობრუნდა უკან. პირველად, რათა ეცნობებინა, ესესის პოლკის — „ადოლფ ჰიტლერის" ქვეგანაყოფმა ვიტკოვიცი და მორავსკა-ოსტრავეს ფოლადჩამომსხმელი ქარხნები დაიკავაო. ეს ამბავი ჰიტლერს წერილობით მოახსენეს და მანაც, რაღა თქმა უნდა, თავი კმაყოფილმა დაიქნია, ჩეხებთან ამის თაობაზე კრინტი არ დაუძრავს. ხოლო მეორედ კაიტელი იმისთვის შემობრუნდა, რათა ჰიტლერი გაეფრთხილებინა, ძალიან გვიანააო.

თანდათან გაჰა მიხვდა, რომ მისი „მხსნელი", რომელსაც დახმარების სათხოვნელად მიადგა, რათა ჩეხოსლოვაკია მოახლოებული უბედურებისაგან ეხსნა, ნელ-ნელა ზვიგენს ემსგავსებოდა და ახლა პრეზიდენტი ხვეწნა-მუდარაზე გადავიდა.

„უცებ თავში ისეთი აზრები მომივიდა, რაც ყველაზე მეტად მაშფოთებს. — ხრინწიანი ხმით ამბობდა იგი. — მე უკვე გამოვთქვი ჩემი თვალსაზრისი, კერძოდ, სლოვაკიის დამოუკიდებლობის გამოცხადების თაობაზე, ცრემლებს არა ვღვრი, მაგრამ ჩემი ხალხის — ჩეხების ბედ-იღბალი ძალზე მაღელვებს. მჯერა, რომ თქვენ, თქვენო აღმატებულებავ, ერთ-ერთი იმათთაგანი ბრძანდებით, ვინც სწორად გაიგებს, თუ ვიტყვი, ჩეხოსლოვაკიას ნაციონალური არსებობის უფლება აქვს-მეთქი. ჩეხოსლოვაკიას თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო გერმანიასთან მჭიდრო ურთიერთობა უნდა ჰქონდეს დამყარებული. ეს არის და იქნება მისი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობის საფუძველი და ამ ხაზს იწონებს

ჩეხთა უმრავლესობა". ჰიტლერი ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტს ყურს უგდებდა, მაგრამ ეტყობოდა, მოუთმენლობისაგან სული ელეოდა. ახლა ფიურერის ჯერი დადგა და რიბენტროპი და ჰეველი უცილობელი მონოლოგის მოსასმენად მოემზადნენ. ჰიტლერმა გუდას ერთი პირი რომ მოხსნა, აღარ გაათავა, დრო იხელთა და გულში ჩაგუბებული მთელი ბოღმა ამოანთხია. როცა მის წინ აღმდგარ ორ ჩეხს ახედ-დახედა (ჰიტლერი რომ წამოდგა, ისინიც უნებურად ზეზე წამოცვივდნენ). მაშინ იფეთქა ძველმა მისმა ჩუმმა სიძულვილმა ჩეხების მიმართ, გაახსენდა, 1936 წლიდან მოყოლებული, რამდენჯერ უწყენინეს, ხოლო ბოლო წლებზე რომ დაიწყო ლაპარაკი და რამდენიმე ინციდენტი დაასახელა, სიბრაზისაგან სულ გადაირია.

„ჩეხოსლოვაკიას მიუნხენის შემდეგ გერმანიასთან უფრო ახლო ურთიერთობა რომ დაემყარებინა, გაფართოების ყაჭს არასგზით არ მივატოვებდი. ეს მოვალეობა ახლა მე აღარ მაკისრია". — თქვა ჰიტლერმა ბოლოს. გერმანიის არმიის ჯარისკაცებმა ჩემი ბრძანება მიიღეს, 6 საათზე ჩეხოსლოვაკიაში შევლენ და მას გერმანიის რაიხს დაუმორჩილებენ".

მერე ერთხანს შეიცადა, რათა ჩეხებს უკეთ აღექვათ მისი ნათქვამი, შემდეგ დასძინა: „მე მსურს ჩეხებს სრული ავტონომია შევთავაზო, ავამაღლო მათი ცხოვრების დონე და ისეთი პირობები შევუქმნა, ავსტრიის მმართველობის დროს რომ არ ღირსებიათ, მაგრამ გერმანიის ურთიერთობა ჩეხეთთან იმდენად დამოკიდებული, როგორ მოიქცევიან ისინი ხვალ და ზეგ, როგორ შეხვდება ჩემი ხალხი და მისი არმია გერმანიის ჯარებს. მე თქვენს მთავრობას აღარ ვენდობი. თქვენს პატიოსნებაში, ბატონო პრეზიდენტო, და თქვენს გულწრფელობაში, ბატონო მინისტრო, ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ვშიშობ, თქვენი მთავრობა ხალხს ვერ უთავკაცებს. მას უფრო გონივრულად მოქცევა მართებდა! დღეს გერმანიის არმიამ უკვე გადალახა საზღვარი და ერთი გარნიზონი, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია, უმოწყალოდ ამოჟლიტა. მძიმე არტილერია ამოქმედდა თუ არა, მეორე გარნიზონმა მაშინვე ფარ-ხმალი დაჰყარა. დილის ექვს საათზე გერმანიის ჯარები ჩეხოსლოვაკიაში ყოველი მხრიდან შეიჭრებიან, ხოლო გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალები ჩეხოსლოვაკიის აეროდრომებს დაეპატრონებიან. არსებობს ორი გზა, ბატონო პრეზიდენტო, ერთი — თუ წინააღმდეგობას გაგვიწევთ, გერმანიის ჯარების შეჭრას შეტაკება მოჰყვება. ამ შემთხვევაში ქვას ქვაზე აღარ დავტოვებთ. მაგრამ თუ გერმანიის ჯარების შეჭრა ჩვეულებრივი ფორმით წარიმართა, მაშინ კეთილშობილებას გამოვიჩენ და ჩეხიას საშუალებას მივცემ, იცხოვროს ისე, როგორც აქამდე ცხოვრობდა, ავტონომიაც ექნება და გარკვეულ ეროვნულ თავისუფლებასაც მივანიჭებ... მაგრამ თუ ხვალ ან ზეგ ბრძოლა დაგვიწყეს, შეტევას შეტევითვე ვუპასუხებ და მერე მე ვეღარ შევძლებ ჩეხ ხალხს რითიმე ხვედრი შევუმსუბუქო. ორ დღეში ჩეხოსლოვაკიის არმიას წირვას გამოვუყვანთ... მსოფლიო ყურსაც არ გაიბერტყავს ჩეხების დასახმარებლად".

დაახლოებით დილის ათი საათი იქნებოდა, გაჰა სკამზე მძიმედ დაეშვა. „ვითარება სრულიად ნათლად დაგვისურათხატეთ, — თქვა მან. — ასეა თუ ისე, წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარა აქვს, მაგრამ მე როგორღა მოვიქცე? როგორ უნდა ვუბრძანო ჩეხოსლოვაკიის არმიას ფარ-ხმალი დაჰყარეთ-მეთქი, როცა თავდასხმამდე სულ ოთხი საათიღაა დარჩენილი?"

თითქოს წინასწარ ანიშნესო, სწორედ ამ დროს ოთახში გერინგი და კაიტელი შემოვიდნენ.

„შეგიძლიათ ადგეთ და პრაღაში დარეკოთ, რათა არმიას თქვენი მითითება დაუყოვნებლივ გადასცენ".

„ეს შეუძლებელია! — წამოიძახა ჩვალკოვსკიმ. — პრაღასთან კავშირი გაწყვეტილია".

„მხოლოდ სამოქალაქო კავშირის ხაზებია დაზიანებული, — შენიშნა კაიტელმა. — მაგრამ ერთი ხაზი მაინც მუშაობს. პრაღას, თუ გნებავთ, ახლავე დაგაკავშირებთ". [10]

„თუ კეთილს ინებებთ და ამ ბატონებს გაჰყვებით, — თქვა ჰიტლერმა და გერინგსა და რიბენტროპს გადახედა, — მათ შეუძლიათ დიდი დახმარება გაგიწიონ".

ჰიტლერმა კაიტელს ანიშნა, აქ დარჩიო. ოთხი კაცი კი ოთახიდან მოწიწებით გავიდა. გერინგი მხარში ამოუდგა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტს, რომელიც ფეხზე ძლივს იდგა, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ, მასთან მარტო რომ დარჩა, ზიზღითა და უკმეხად დაუწყო ცხვირწინ

10 გერმანიის სადაზვერვო ჯგუფი სუდეტელი გერმანელების დახმარებით ჩეხოსლოვაკიის საზღვრის ორივე მხარეს დღე და ღამ დარაჯობდა სატელეფონო ხაზს (მთარგმნელის შენიშვნა).

ხელების ქნევა. ახლოვდებოდა სახიფათო წუთები, მალე გერმანიის არმია ჩეხოსლოვაკიაში უნდა შეჭრილიყო, მაგრამ, ჰიტლერის ჩინებული გუნება-განწყობილების მიუხედავად, გერინგი ძლიერ ნერვიულობდა. იგი თვით გენერალ კაიტელზეც უფრო შეფიქრიანებული, რადგან ეშინოდა უამინდობას ხელი არ შეეშალა ჯარების მოძრაობისათვის. თუმცა ისინი, სულ ერთია, მაინც წინ უნდა წასულიყვნენ. კუდის გაქნევა არც სამხედრო-საჰაერო ძალებს შეეძლოთ. კაიტელის სამი თანაშემწე — გენერალი მილხი, უდეტი და ბრაუხიჩი — [illegible] საღამო წამდაუწუმ იმას იუწყებოდნენ, თვითმფრინავებს უამინდობის [illegible] [illegible] არ ძალუძთო. ძალზე სახიფათო ვითარება შეიქმნა, ერთიც ვნახოთ, ჩეხებმა წინააღმდეგობის გაწევა გადაწყვიტონ? იმათ ხომ ძლიერი და დიდებულად ორგანიზებული არმია ჰყავთ და ასეთ ამინდში კაცი ვერ აჯობებთ.

ამ დროს პრეზიდენტმა გაჰამ გონს მოსვლა იწყო. ანაზდად ისე გაჯიქდა და გაჯიუტდა, იმპერიის მინისტრებს საქციელი წაუხდათ. გერინგს, რომელიც საერთოდ მთელი ამ ოპერაციის წინააღმდეგი იყო, მღელვარება დაეტყო, როცა გაჰამ თავის მინისტრს, ხვალკოვსკის ჩუმად სწრაფად გადაულაპარაკა: „გერმანელები მართლაცდა მეტისმეტად გათავხედდნენ, მართალია, ჩეხოსლოვაკია უმწეო მდგომარეობაშია ჩავარდნილი, მაგრამ ქედი მაინც არ უნდა მოვიხაროთ".

„რაო, რას ბრძანებს?" — შეეკითხა აღელვებული გერინგი ხვალკოვსკის.

„რომელი ერთი მოგახსენოთ. მაგრამ ამჯერად უმთავრესად აი რაზეა ლაპარაკი", — ხვალკოვსკიმ ხელშეკრულების პროექტზე ანიშნა, რომელიც რიბენტროპმა პრეზიდენტს ზედ ცხვირწინ აუფრიალა. პრეზიდენტი ხვალკოვსკის შემწეობით პროექტს ეცნობოდა, თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა და სტრიქონებს თითს აყოლებდა. ეს იმ განცხადების პროექტი იყო, რომელზედაც ჰიტლერს, რიბენტროპს, გაჰასა და ხვალკოვსკის უნდა მოეწერათ ხელი და რომელიც ითვალისწინებდა გერმანიის შემადგენლობაში ჩეხოსლოვაკიის შეყვანას, რაღა თქმა უნდა, ჩეხების თანხმობით.

**რიბენტროპი:** მითხარით ერთი, რა არ არის აქ მართალი? ნუთუ ვერ ხვდებით, რომ წინააღმდეგობის გაწევა უკვე წყლის ნაყვაა და სხვა არაფერი.

**გაჰა:** საქმე ეგ არაა, ბატონო მინისტრო. აქ ნათქვამია, რომ განცხადებას ხელი უნდა მოვაწერო ჩემი და ჩემი მთავრობის სახელით. ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო კონსტიტუციის თანახმად კი მთავრობის სახელით განცხადების გაკეთების უფლება არა მაქვს.

**რიბენტროპი:** კეთილი, მაშინ მარტო თქვენ მოაწერეთ.

**გერინგი:** არავითარ შემთხვევაში. დოკუმენტი კანონიერი უნდა იყოს. ხელი უნდა მოაწეროს როგორც თავისი, ასევე მთავრობის სახელითაც.

**რიბენტროპი:** თითქმის სამი საათია. დრო აღარ ითმენს.

**გერინგი:** ამ საკითხს მე თვითონ მოვაგვარებ.

ფელდმარშალი პრეზიდენტ გაჰას მიუახლოვდა და შემპარავი ხმით დაიწყო: „თქვენო აღმატებულებავ, მაინც რატომ არ გსურთ ხელის მოწერა. ეს ხომ ფორმალობაა. ასე მხოლოდ ზედმეტ დავიდარაბას ავიცილებთ თავიდან".

ეტყობა, ვერც ისა და ვერც რიბენტროპი ვერ მიხვდნენ, რომ ღრმად მოხუცებულ პრეზიდენტს ფარ-ხმალი უკვე დაყრილი ჰქონდა. ეს მხოლოდ მისი უკანასკნელი გაბრძოლება იყო. ავადმყოფი და შეშინებული კაცი თავისი ქვეყნის კანონს ისე ეჭიდებოდა, ვითარცა წყალწაღებული ხავსს, ხოლო გერმანელები ტიპიური ტევტონური პედანტიზმით აიძულებდნენ კანონის დაცვას მაშინ, როდესაც შეეძლოთ, გაჰა ტელეფონთან მიეყვანათ და პრაღასთან მოლაპარაკება ებრძანებინათ.

„თქვენო აღმატებულებავ, გეთაყვათ, ხელი მოაწერეთ, — ემუდარებოდა პრეზიდენტს გერინგი. — ძალზე მეუხერხულება ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მეც შავ დღეში ვარ. საშინლად დამწყდება გული პრაღის — თქვენი დედაქალაქის, ამ მშვენიერი ქალაქის განადგურება რომ მხვდეს წილად, მაგრამ უკვე სხვა გზა არა მაქვს, ინგლისელებსა და ფრანგებს როგორმე უნდა შევაგნებინო, ჩემს სამხედრო-საჰაერო ძალებს სასწაულების მოხდენა რომ ძალუძთ. ჩვენს მტრებს წინასწარ ვაფრთხილებთ: დასავლეთში ჯერ კიდევ არ სურთ ირწმუნონ გერმანიის ავიაციის სიძლიერე. ჰოდა, მეც ვისარგებლებ ამ შემთხვევით და დავუმტკიცებ".

გერინგის ნათქვამის გააზრებას გარკვეული დრო დასჭირდა. აბა, რა იცოდა გაჰამ, თუ გერმანიის ავიაციას ჰაერში აფრენა არ შეეძლო და კაიტელს გულს უხეთქავდა დაბრკოლებები, მის ჯარისკაცებს რომ უნდა გადაელახათ. პრეზიდენტს მხოლოდ პრაღის განადგურების დარდი კლავდა.

„ხელი მოაწერეთ", — გაუმეორა გერინგმა რიბენტროპის თხოვნა.

გაჰა თითქმის ანგარიშმიუცემლად ეწინააღმდეგებოდა. გულიც კი შეიღონა ვიქტორიანული მელოდრამის ქალბატონის დარად. რიბენტროპას თვალიც არ დაუხამხამებია. ყველაფრისათვის მზად იყო. ჰიტლერის პირადი ექიმი თეოდორ მორელი ნაშინვე იქ გაჩნდა. მოხუცს მაჯა გაუსინჯა და ამგზნები წამლები დაუნიშნა, რის დალევაზეც გაჰამ უარი თქვა. ეტყობოდა, დროის მოგება უნდოდა, მაგრამ გამეხებულ რიბენტროპსა და გერინგს, რომ ჰკიდა თვალი, ვიტამინებიანი გლუკოზის შეშხაპუნებაზე თანხმობა განაცხადა. შემდეგ მოხუცმა პრეზიდენტმა ყავა და ღორის ბუტერბროდი მიირთვა და ტელეფონი მოითხოვა. მოგვიანებით იგი წერდა: „შექმნილი ვითარება გენერალ სიროვის ტელეფონით დავუსურათხატე და მკაცრად ვუბრძანე, გერმანელთა ჯარებს ჩვენმა გარნიზონებმა წინააღმდეგობა არ გაუწიონ-მეთქი. მერე ტელეფონითვე საქმის ვითარება პრემიერს მოვახსენე და მალე პასუხიც მივიღე. მთავრობამ თქვენს მიერ გადადგმული ნაბიჯი გაითვალისწინა და ყველაფერზე დაგეთანხმათ".

გაჰა ისევ ჰიტლერს მიჰგვარეს. მან ხელი მოაწერა ბოჰემიისა და მორავიის პროტექტორად გამოცხადების დოკუმენტს:

ბერლინი, 1939 წლის 15 მარტი.

დღეს ბერლინში საგარეო საქმეთა მინისტრის ფონ რიბენტროპის თანდასწრებით ფიურერი შეხვდა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტს დოქტორ გაჰასა და ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრს. შეხვედრის დროს სრულიად გულწრფელად განიხილეს უკანასკნელი კვირის განმავლობაში ახლანდელი ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე შექმნილი რთული ვითარება.

ორივე მხარემ ერთსულოვნად გამოთქვა რწმენა, რომ ისინი ძალ-ღონეს არ დაიშურებენ ცენტრალური ევროპის ამ ნაწილში სიმშვიდის, წესრიგისა და მშვიდობის შესანარჩუნებლად. ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამ მიზნების განსახორციელებლად და საბოლოო მშვიდობის დასამყარებლად იგი უყოყმანოდ ანდობს ჩეხი ხალხის ბედს გერმანიის რაიხის ფიურერს. ფიურერმა მიიღო ეს განცხადება და სურვილი გამოთქვა, ჩეხი ხალხი გერმანიის რაიხის მფარველობის ქვეშ აეყვანა და მათთვის დამახასიათებელი ეროვნული ცხოვრების ავტონომიური განვითარების გარანტია მიეცა.

ღრმად მოხუცებული პრეზიდენტი იმპერიის კანცელარიაში გაიყვანეს, მერე კი უკანვე სასტუმრო „ადლონში" წაიბრძანეს, სადაც ქალიშვილი ელოდებოდა.

ჰიტლერი დარბაზიდან გავიდა. უსიამო სიცილი წასკდა, ვინც წინ ხვდებოდა, ყველასთან მიდიოდა და ხელს ართმევდა.

ფიურერს გენერალი კაიტელი მიუახლოვდა და სთხოვა, გენერალური შტაბისათვის ჩეხოსლოვაკიაში შეჭრის ბრძანება მიეცა. ეს ბრძანება გერმანიის არმიას სამ საათზე გადასცეს.

* *

15 მარტის ცრიატი დილა იყო. მატარებელი ანგალტერის სადგურში იდგა და მოხუც ჩეხს ვერ გაეგო, ასე რატომ აგვიანებდა გასვლას. ურიცხვმა გაჩერებამ და ყოველ პატარა სადგურთან გაუთავებელმა ჯანჯალმა ხომ მთლად დააბნია.

ამ დროს კი ჰიტლერის სპეციალური მატარებელი დრეზდენის გავლით შეუფერხებლივ მიჰქროდა ჩეხოსლოვაკიის საზღვრისაკენ. მაღალი თანამდებობის მგზავრები მატარებლიდან ჩამოვიდნენ და ავტომანქანებში მოკალათდნენ.

ბინდბუნდი იყო, როცა ავტომობილთა მწკრივი პრაღის გარეუბანს მიადგა. ჰიტლერი მანქანიდან გადმოვიდა, რათა მდინარე ვლასტის ხეობისა და პრაღისათვის შორიდან შეევლო თვალი. გერმანიის მეწინავე ჯარები უკვე ქალაქში შესულიყვნენ და იქიდან იუწყებოდნენ, ჩეხებს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათო. ქუჩებში თითქმის კაცი არ ჭაჭანებდა. აქა-იქ თუ მოჰკრავდით თვალს გამვლელთ, რომლებიც გაოცებული მისჩერებოდნენ გერმანიის ჯარებს.

მანქანათა მწკრივმა გზა განაგრძო და ჩაბნელებული ქუჩების გავლით ელვის უსწრაფესად გადაუქროლა მდინარეს დიპლომატიური კვარტალის მხრიდან, იქიდან კი ძველი ქალაქის ვიწრო ქუჩების გავლით პრაღის გრადის დიდებულ ნაგებობას მიადგა. შესას-

ვლელთან ესესის პოლკის „ადოლფ ჰიტლერის“ მცველები იდგნენ. პირქუში და მდუმარე ქალაქს სუნთქვა შეკვროდა. ჰიტლერსაც კი, რომელიც ფანჯრიდან ბინდბუნდს მისჩერებოდა, ცრუანტელმა დაუარა, მაგრამ მალე გონს მოეგო. პირი რომ დაიბანა და მათთვის განკუთვნილ ოთახებში ტანთ გამოიცვალა, რიბენტროპმა ძველი ციხე-კოშკის საბანკეტო დარბაზში გაიყვანა. იქ სანთლები ენთო, მათი შუქი სურათებს, სკულპტურებსა და გერმანიის რაინდთა უძველეს რკინის საჭურველებს ეცემოდა. ფანჯრიდან ჰიტლერს შეეძლო ქვევით გადაეხედა და კარლოვის ხიდზე წმინდანთა ქანდაკებებს შორის მოციაგე სინათლის ათინათი დაენახა. სამეჯლისო დარბაზში მაგიდაზე ცივი საუზმე — პრაღული შაშხი, პაშტეტი, ლაბა-სხმული, გარეული ფრინველი, ყველი, ხილი და ლუდი დაეხვავებინათ.

ჰიტლერმა ფანჯარას თვალი მოსწყვიტა, მკერდში მჟიდი დაირტყა, შემდეგ მისთვის უჩვეულო მოძრაობით პლზენური ლუდით სავსე ჭიქას ხელი სტაცა და გამოსცალა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ჰიტლერი სხვათა დასანახად სპირტიან სასმელს ეძალებოდა. ეტყობოდა, კარგ გუნებაზე ბრძანდებოდა. ეს მისი აღზევების წამი გახლდათ: ახლა იგი მარტო გერმანიის რაიხისა და ავსტრიის ფიურერი როდი იყო. ამიერიდან ბოჰემიაცა და მორავიაც მას ემორჩილებოდა. „ჩეხოსლოვაკიამ შეწყვიტა არსებობა“, — დაიღრიალა გახარებულმა.

ვინღა გაბედავს მის შეჩერებას? არსებობს კია რამე მისთვის ხელშეუწვდომი?

* *

პრეზიდენტ გაჰას მატარებელმა პრაღაში საღამოს 11 საათზე ჩააღწია. გერმანელები იქ უკვე ექვსი საათის ჩასული იყვნენ. პრეზიდენტი მაშინვე პრაღის გრადისაკენ წაიყვანეს; მაგრამ, როცა მძღოლმა მთავარ სადარბაზოს გვერდი აუარა და მანქანა ციხე-კოშკის უკანა მხრიდან, მოსამსახურეთა შესასვლელს მიაყენა, პრეზიდენტი გაცხარდა.

დასაძინებლად დაწვა თუ არა, ხვალკოვსკი ეახლა და წინასწარ გააფრთხილა. „ციხე-კოშკის მთავარი ნაწილი გერმანელებს უპყრიათ, თქვენ კი ამიერიდან თქვენივე საკუთარ მიწა-წყალზე მსახურთა შესასვლელით უნდა ისარგებლოთ“.

□

# ე. თ. ა. ჰოფმანი

## ჟაკ კალო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერმანულიდან თარგმნა ლია თაქვარელიამ

აგრე ხარბად რად შევსცქერ მე შენს უცნაურ, ფანტასტიკურ ნახატებს, გაბედულო ოსტატო! რად მიკარგავს მოსვენებას ფუნჯის თამამი მოქნევით დახატული შენი ფერწერული ხატებანი! როცა შენეულ ნაირფეროვან და მდიდრულ კომპოზიციებს დიდხანს ვუმზერდე, ჩემ წინაშე ათასობით და ათასობით სახე ცოცხლდება; თითოეული მათგანი ერთი შეხედვით ძნელად შესამჩნევ უკანა ხედის მეტისმეტად შორეული სიღრმიდან ამოძრავებული, წინ მოიწევს და ნამდვილად ცოცხალი ფერებით ბრწყინავს.

კალოსებურად სხვა ვერც რომელ დიდოსტატს ძალუძს მცირეოდენ სივრცეში განლაგება იმ ურიცხვი საგნისა, რომელთაც ერთმანეთისაგან მხარიც გამოძერწებიათ და ამავე დროს კაცთა თვალი და გულიც დაუტყვევებიათ. თვით ყოველი საგანი ცალკეულადაც აღიქმება და მთლიანობაშიც. შესაძლოა, ხელოვნებაში მკაცრი მსაჯულმა კალოს ფერწერის წესთა არცოდნა უსაყვედუროს, თუნდაც დაჯგუფებისა თუ სინათლის განაწილების მხრივ. მაგრამ ეს კია, რომ მისი ხელოვნება მხატვრობის საყოველთაოდ მიღებულ კანონთა საზღვრებს სცილდება და კალოს ქმნილებებიც მეტწილად იმ ფანტასტიკურ საოცარ ხილვათა რეფლექსიებია, რომლებსაც მღელვარე ფანტაზიის თილისმა იწვევს. ლაშქრობა-ბატალიებსა და სხვა ტილოებში კალო მის მიერ წარმოსახულ ცხოვრებისეულ სახეებს თავისებურ სილამაზის იერს აძლევს, რაც მხატვრის ქმნილებებს რაღაც უჩვეულოდ მახლობელს ხდის. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ყოველდღიური ყოფის ამსახველ ისეთ სურათშიც, როგორიცაა „გლეხების ცეკვა", სადაც საკუთარ ნაწარმოებებს ასრულებენ ხეებზე ფრინველებივით შემომსხდარი მუსიკოსები, რომანტიკული ორიგინალობის შუქით რომ შემოსილან და საოცრად კეთილშობილებენ ფანტასტიკურისადმი მიდრეკილ სულს. ირონია, რომელიც ადამიანურ და ცხოველურ საწყისებს ერთმანეთს უპირისპირებს და კაცის საცოდავ ფუსფუსს დასცინის, მხოლოდ ღრმა სულში თუ დაიბუდებს. ცხოველურ და ადამიანურ ელემენტთა შემცველ კალოს გროტესკულ სახეებს სამზეოზე გამოაქვს დარბაისელი და ღრმად მჭვრეტი მაყურებლის წინაშე ხუმრობის ნიღაბქვეშ შეფარული ყველა იდუმალი მინიშნება. რამდენ ბრწყინვალეა ამ თვალსაზრისით ეშმაკი, რომელსაც „წმინდა ანტონის შეცდენებში" ცხვირი თოფივით წამოზრდია და ნაღდად ანწრაფვის ღვთიური კაცი ანდა მხიარული ეშმაკი — ფორტიფიკატორი გასდევს; ღირსშესანიშნავია აგრეთვე კლარნეტისტი, რომელიც თითქოს რაღაც განსაკუთრებულ ორგანოს მოითხოვს, რათა თავის საკრავს უსათუოდ საჭირო ხმა ჩაბეროს.

კარგია, რომ კალო ცხოვრებაშიც ისევე გაბედული და მედგარია, როგორიც მტკიცე და მორწმუნეც არის თავის ნახატებში. ამბობენ, თურმე რიშელიეს მისთვის მშობლიური ქალაქის — ნანსის დაპყრობის გრავიურება უბრძანებია, კალოს კი გულწრფელად უთქვამს, რომ უწინამც ცერს წაიჭრის, ვიდრე თავის ნიჭს სამშობლოსა და თანამემამულეთა დამცირების გზით შეურაცხყოფს.

განა შეიძლება პოეტი ან მწერალი, რომლისთვისაც ჩვეულებრივი ცხოვრებისეული სახეები რომანტიკულ სულთა სამფლობელოდ გარდასახულა და ვინც ამქვეყნიურ გარსცმას უცხო და საკვირველი მორთულობით ამკობს, მკითხველთა მაინც არ გაამართლებს ამ დიდოსტატის არსებობამ და იმის აღიარებამაც, რომ მან სწორედ კალოს მანერით ინება რუდუნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალენ ბოსკე

# პოეტის ხვედრი საფრანგეთში

თანამედროვე ფრანგული პოეზია სავალალო მდგომარეობაშია. თავად პოეტების აზრით ამ საქმეში დიდი ბრალი მიუძღვის დღევანდელ საზოგადოებას, კერძოდ, ერის გულგრილობას, საჭიროა გავაანალიზოთ, რა გვიშლის ხელს, უფრო მეტად გვიყვარდეს პოეზია.

არსებობს რამდენიმე კატეგორიის გამომცემლობა. პირველი კატეგორიის გამომცემლობა აქვეყნებს ყოველგვარი სახის ლიტერატურას, პოეზიასაც. მეორე კატეგორიისა პოეზიას სრულებით არ სცემს, მესამე — მხოლოდ პოეზიის გამოცემით იფარგლება, ისიც ავტორთა სახსრებით აქვეყნებს წიგნებს.

პირველი კატეგორიის გამომცემლობები ბევრს ვერაფერს მატებენ პოეზიის პოპულარიზაციის საქმეს. ისინი სტამბავენ რომანებს, ესეებს, პოეტურ ნაწარმოებთა გამოქვეყნებას კი გეგმის ერთ პროცენტს უთმობენ. ამ გამომცემლობებში მხოლოდ ორიოდე თანამშრომელმა თუ იცის პოეზიისა და პოეტის ფასი.

ზოგიერთი გამომცემლობა საერთოდ უარს ამბობს პოეზიის გამოცემაზე. ეს ყველაფერი იმის მაუწყებელია, რომ გამომცემლებს ეშინიათ პოეტებისა. ამჟამად „სპეციალიზებული გამომცემლობები" დილემის წინაშე დგანან: დაბეჭდონ აღიარებულ პოეტთა ლექსები, რომლებიც ცუდად იყიდება, თუ ფული მოიგონ — დაბეჭდონ ნებისმიერი პოეტის ნაწარმოები, რომელთა ავტორიც ხუთი ათასიდან ათი ათას ფრანკამდე ფულს გაიღებს; აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ასეთი ფულიანი პოეტებიც იშვიათად არიან.

ყურადღებას იმსახურებს რამდენიმე გამომცემლობა: „ლეზედიტერ ფრანს რეიუნი" რომანებისა და ესეების გარდა პოეტურ ნაწარმოებებსაც აქვეყნებს და დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გამომცემლობაა. „ლა პტიტ სირენ" მხოლოდ ლექსებს სტამბავს; „პიერ-ჟან ოსვალდი" რევოლუციონერ ავტორებს ბეჭდავს და მათ შორის ლექსებსაც.

არიან სპეციალიზებული გამომცემლობები, რომლებიც, ოღონდ კი ავტორებმა დააფინანსონ და მზად არიან, ყველა სახის მდარე ლექსი დაბეჭდონ. რაც შეეხება გაზეთებს, მხოლოდ ოთხ ყოველდღიურ გაზეთში თუ წაიკითხავს კაცი ამა თუ იმ პოეტის შემოქმედებაზე დაწერილ სტატიას, ესენია: „ფიგარო", „ლიუმანიტე", „ლო მონდი", „ლო კოტიდიენ დე პარი". ყოველკვირეული გაზეთები კი პოეზიას არ სწყალობენ და უფრო სენსაციური ამბებით იზიდავენ მკითხველს.

ბოლო ოცი წლის განმავლობაში ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალები ერთი მეორის მიყოლებით გაუჩინარდა, ხოლო რაც დარჩა, ისინიც მცირე ადგილს უთმობენ პოეზიას. ერთი რამ ცხადად შეიმჩნევა, პოლიტიკური ან სოციალური ტენდენციებით გამსჭვალული ჟურნალები უფრო იყიდება, ვიდრე ლიტერატურული, რომელთა ტირაჟიც ლიმიტირებულია, და მათაც მომავალში ალბათ „დაღუპვა" ემუქრებათ.

ყველაფერი, რაც ლიტერატურასა და პოეზიას შეეხება, თავს იყრის რადიოსადგურ „ფრანს-კულტურში". სხვა რადიოსადგურები პოეზიაზე მოკლე ცნობებით იფარგლებიან და მსმენელთ უამბობენ მხოლოდ ნობელის პრემიის ლაურეატის შემოქმედებაზე ან რომელიმე ღირსშესანიშნავი ლიტერატურული თარიღის შესახებ.

რადიოსადგურები „ევროპა-1", „ფრანს ინტერი" თითქმის უარყოფენ გადაცემებს პოეზიაზე, ისეთი გადაცემები, როგორიცაა როჟე ვრინის „მატინე ლიტერერ" საკმაოდ უფერუ-

ლია. გადაცემას „პოეზი ინენტერომპიუ" („შეუწყვეტელი პოეზია") საკმაოდ ბევრი მსმენელი ჰყავს, იგი შეეხება ავანგარდისტულ პოეზიას და „შემოქმედის" დიალოგს წარმოადგენს. ეს გადაცემა სხვებთან შედარებით ბევრად ნაკლებად პოეტურია.

ტელევიზიას, ისევე როგორც რადიოს, მრავალმილიონიანი აუდიტორია ჰყავს, მაგრამ ძალიან ხშირად გადასცემენ მხოლოდ გარდაცვლილ პოეტებზე, იგონებენ [illegible]ებას და სხვადასხვა ფაქტებს მათი ცხოვრებიდან. თანამედროვე პოეზიაზე, [illegible]ობაზე კი ერთ სიტყვასაც არ სძრავენ. ჩვენის აზრით, აჯობებდა, ამ გადაცემათა მესვეურთ კვირაში ათი წუთი მაინც დაეთმოთ ახლად გამოქვეყნებული პოეტური ნაწარმოებებისათვის, მისი ავტორისათვის. ტელევიზია მიზნად ისახავს ისეთი გადაცემები მოამზადოს, რაც მილიონიანი ტელემაყურებლის მოწონებას რომ დაიმსახურებს. იმის მაგივრად, რომ მაყურებელი აღზარდოს, უგილობისაკენ უბიძგებს, ირჩევს გასართობ ან ვულგარულ პროგრამას.

ადამიანის სიყვარული პოეზიისადმი დიდად არის დამოკიდებული მის აღზრდა-განათლებაზე. საფრანგეთის სკოლებში ისეთი პროგრამა აქვთ შემუშავებული, რომ ისტორიით, მათემატიკითა და სხვა ტექნიკური საგნებით დატვირთულ მოსწავლეს პოეზიის, მხატვრული ლიტერატურის კითხვისთვის დრო აღარ რჩება და მხოლოდ იმ მოკლე ინფორმაციით იფარგლება, რომელიც გამოცდის ჩასაბარებლად სჭირდება.

პოეზია საფრანგეთში მხოლოდ ორ ეპოქაში იყო მეტად პოპულარული — რომანტიზმისა და მეორე მსოფლიო ომის დროს — ე. ი. როდესაც იგი კონკრეტული პოლიტიკური იდეებით სულდგმულობდა. დღეისათვის პოეტსა და მკითხველს შორის ისე ღრმა უფსკრული ძევს, არასდროს რომ არ ყოფილა.

ამბობენ, განვითარებად ქვეყნებში პოეზიას არ დაუკარგავს თავისი ცხოველმყოფელობა, ფართო მასები ლექსებს ისევე ეწაფებიან, როგორც ვთქვათ, დეტექტიურ ან სხვა ისტორიულ რომანებს. იმასაც ამბობენ, რომ სოციალისტურ ქვეყნებში პოეზია დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამ ქვეყნებში გამოცემული ჩვენი პოეტების ნაწარმოებთა ტირაჟი ფრანგულ ტირაჟთან შედარებით ათჯერ უფრო დიდია. ახლახან საბჭოთა კავშირში რაინერ მარია რილკეს რჩეული პოემების კრებულის პირველი გამოცემის 80.000 ეგზემპლარი დაიბეჭდა.

ლათინური ამერიკის ქვეყნებში პოეზიით უფრო მეტად გატაცებული არიან დიპლომატები, ან მაღალი თანამდებობის პირნი. ტრადიციას ამ ქვეყნებში ყოველთვის პატივს სცემდნენ. შეერთებულ შტატებში ნაკლებად პოლიტიკური „ბიტნიკი" პოეტის ლორენს ფერლინგეტის პოეზიას ერთი მილიონი მკითხველი ჰყავს. ინგლისში დიდი ხნის შემდეგ პოეზია კვლავ იხვეჭს გარკვეულ პოპულარობას. კვებეკში (კანადის ფრანგულად მოლაპარაკე რაიონი) სულ მცირე თორმეტიოდე პოეტს სამიდან ხუთი ათასამდე მკითხველი ჰყავს თვითეულს, ე. ი. ორჯერ მეტი, ვიდრე მათ ფრანგ კოლეგებს. ასეთი შეგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

დღესდღეობით, როცა საფრანგეთს ჯერ ფეხი არ დაუდგამს მთვარეზე, ვენერაზე ან მარსზე, ფრანგ ხალხს ნუ წავართმევთ ლექსის იდუმალ და ინტიმურ ძალას, ნუ დავასამარებთ ფრანგულ პოეზიას, ვიდრე ერთ მშვენიერ ლექსების კრებულს მაინც არ წავიკითხავთ.

გაზეთი „მონდი", 1977 წლის 14 იანვარი.

□

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიკა აგიაშვილი



## გულს გული იცნობს

Გულს გული იცნობს... საერთო ინტერესებისა და მისწრაფებების ადამიანები მალე უახლოვდებიან ერთმანეთს. მით უმეტეს, წიგნის სიყვარულით ორი კაცის დაახლოებას რა დიდი ამბავი უნდა! ამას ვერაფერი ხელს ვერ შეუშლის... ვერც ასაკი!..

გაცნობიდან დღევანდელ დღემდე მე სულ მეჩვენება, რომ ნიკა აგიაშვილი მხოლოდ იმას ცდილობს, როგორმე თავისი საუბრითა და ქცევით, ყურადღება არ მიიქციოს. ცდილობს დაგარწმუნოს, რომ მის საუბარში და ქცევაში არაფერია განსაკუთრებული და ყურადღებამისაქცევი. ამას ალბათ სხვაც იტყოდა და ასე ალბათ სხვაც მოიქცეოდა.

მერე რაა, რომ წლების განმავლობაში მხოლოდ სიკეთესა და რწმენას უნერგავს მას გარშემო მყოფ ადამიანებს. მერე რაა, რომ წლების განმავლობაში იგი უანგაროდ და თავდადებულად ემსახურება ქართულ მწერლობას. მერე რაა, რომ მას შეეძლო ყოფილიყო მეგობარი თავისი თაობის კაცისა, ვთქვათ, სიმონ ჩიქოვანისა და ამავე დროს ყოფილიყო მეგობარი გიორგი შატბერაშვილისა (ნიკა აგიაშვილს დაწერილი აქვს შესანიშნავი წერილი „შატბერაშვილი კარგი ბიჭი"), ყოფილიყო მეგობარი ლადო ასათიანისა და მირზა გელოვანის თაობისა (ამ თაობაზე მან დაწერა მეტად გახმაურებული წიგნი „ჭაბუკები დარჩნენ მარად", რომელშიც სცადა დაეიწყებინა ბურუსისათვის გამოეტაცა ის, რაც შეიძლებოდა დავიწყების ბურუსით დაბინდულიყო), მერე რაა, რომ მას შეუძლია იყოს მეგობარი ჩვენი და კიდევ ჩვენზე უმცროსი თაობისა. მერე რაა, რომ მას მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე კარგი ქართულით უთარგმნია ბევრი წიგნი, რომ სხვის თარგმანს ასწორებს და ზოგჯერ სხვისი თარგმნილის ხელახლა თარგმნაც კი უხდება?

რა არის იმაში განსაკუთრებული, რომ ცხოვრების გზა პატიოსნად გაიარა და მხოლოდ პატიოსნად და უანგაროდ იცხოვრა? აბა, სხვანაირად როგორ უნდა მოქცეულიყო? რა არის განსაკუთრებული მის ღიმილში, მის ქილიკში და საუბარში? რა არის დამახასიათებელი და აღსანიშნავი?

ის რომ ასე ფიქრობს, საუბრითაც და ქცევითაც რომ ამაში თქვენს [illegible] ცდილობს, ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, თავმდაბლობა არის და ამავე დროს [illegible] ცხოვრების წესია, მისი ხასიათია. მან არ იცის, მისი საიდუმლო რა სიკეთეა, რა სიხარულია, რა სიმშვიდეა ადამიანებისათვის. ამ სიმშვიდის წყარო თითქოს ის არის, რომ იგი თითქოს ყველაფერს მშვიდად ხვდება, არაფერი უკვირს, ყოველგვარი ადამიანური სისუსტის გამოვლინებას მშვიდად შესცქერის. თავისი სიმშვიდით იგი სხვებს ამშვიდებს და არწმუნებს, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლის, მოგვარდება. ამაში არის რაღაც უდიდესი რწმენა, რწმენა სიკეთის გამარჯვების გარდუვალობისა, ამაში არის რაღაც დონ კიხოტური...

ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ ერთხელ და სამუდამოდ დადგა მის თავსასთუმალთან მწუხარე სახის რაინდის ლანდი, რომელიც უბიძგა დაეწერა იმ კაცის ცხოვრების ისტორია, რომლის ხელით გაჩაღებული უწმინდესი ცეცხლი ყოველ ერს აშუქებს და კაცობრიობას ადამიანის სიყვარულისაკენ მოუწოდებს.

ვინ იცის, რამდენჯერ მაქვს წაკითხული ეს წიგნი ბავშვობაში!..

ახლა, როდესაც ნიკა აგიაშვილი ჩემი მეგობარიცაა, როცა მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკის დარბაზის ბინდში შესაუბრება ან ქობულეთის დასასვენებელი სახლის აივნიდან იმ ველს გადავყურებთ ხოლმე, სადაც გიორგი სააკაძემ დაახლოებით სამასი წლის წინათ ყირიმელი თათრები დაამარცხა ან როცა ქუჩაში შემხვდება, ახალგამოცემულ წიგნს გამომართმევს და გადაათვალიერებს, მუდამ ის ნეტარი დრო მახსენდება, როცა სერვანტესზე დაწერილი მისი წიგნი პირველად ავიღე ხელში.

მე მიყვარს მისი საუბარი, ხან ლირიკული და ხან თავშესაქცევი. მიყვარს ამ საუბრის სილაღე, უბრალოება, კეთილი იუმორი. ამ საუბარში მჟღავნდება მისი ფხიზელი გონება და ცხოვრებისეული გამოცდილება. მან იცის კარგი ხუმრობისა და ანეკდოტის ფასი. ნიკა აგიაშვილის მშვიდი ბუნება და შინაგანი კეთილშობილება კარგად ჩანს იუმორით მონათხრობ ყოველ ამბავში, რომელსაც იგი აცოცხლებს მსმენელის თვალწინ. მისგან ხშირად გამიგონია: „რა მოხდა, ჩემზეც თქვენ და ჩემზეც გაიცინოთ...“ რაც „მობი დიკში“ ნათქვამ ჰერმან მელვილის სიტყვებს მახსენებს ხოლმე: „რა სჯობია, როცა სხვისას გემოზე იცინებ. დიდებული რამ არის გულიანი სიცილი, თუმცაღა მეტისმეტად იშვიათი, რაც ასე დასანანია. ამიტომ კაცს თუ რაიმე აქვს საცინელი და ამაზე კარგად იხუმრებენ, არ უნდა ეწყინოს, არ უნდა იძუნწოს და ამ საქმეს თავი არ უნდა აარიდოს. გარწმუნებთ, რომ ის, ვისაც უხვად აქვს მომადლებული სიცილის სიამე, ბევრად უფრო მეტი ყურადღების ღირსია, ვიდრე თქვენ გგონიათ“.

„დონ კიხოტის“ პროლოგში მეგობარი სერვანტესს ურჩევს, ეცადე, შენი სიტყვები გასაგები, ცხადი, თავაზიანი და წრფელი იყოსო. ამ პატარა წერილში მე ვცადე სამოცდათხუთმეტი წლის კაცისათვის ჩემი სიყვარული და წრფელი სიტყვა მეთქვა.

ბიძი ბეგეჭკორი

□

•

გამომცემლობა „მერანის“ ვესტიბიულს რომ აივლი და მეორე სართულზე, კიბის თავში, ათიოდე წუთით შეყოვნდები, უთუოდ გამოჩნდება საშუალო ტანის, წელში ოდნავ წახრილი ჭაღარა კაცი. მორუხო, ღია ფერის კოსტუმი როგორღაც ბუნებრივად ეხამება მის უბრალო ხასიათსა თუ გარეგნობას. ჩამუქურად ცოცხალ, მოჭუტულ თვალებში (ამ დროს ნაცნობს აკვირდება), კეთილი სხივი უდგას. მსუბუქად დააბიჯებს, თით-

ქოს უძიროები ან წუღა-მესტები ეცვას, სიარულის დროს გაშლილი ხელის მტევნები გან-გან მიუდის. არა ერთ და ორ თაობას არგუნა თავისი დიდი გულის სითბო ამ კაცმა, ვისაც ყვე-ლანი, სიყვარულითა და მოწიწებით „ბატონ ნიკას" ეძახით. საყოველთაოდ ცნობილია მისი მოსწრებული სიტყვა-პასუხი, მაგრამ იშვიათად რომ ვინმე გაენაწყენებინოს. ყველა კაცში, უპირველეს ყოვლისა, ნათელ მხარეს, სასარგებლო უნარსა და თვისებას ეძებს, ხელს იოლად არავიზე ჩაიქნევს.

ეროვნული

თავისი თავის მიმართ მეტისმეტად სიტყვაძუნწია, მაგრამ მაინც ვიცით [illegible] რაც მისი ხნის კაცს შეიძლებოდა გამოევლო, რაინდულად გადაუტანია. უღმობელი ომის დროს მკერდით დაუცავს ჭურვებით გადათხრილი, ტყვიის მდუღარეში გახვეული ქერჩი და ქართველი კაცის სახე, ღირსება არასოდეს დაუკარგავს.

ჩვენ, შედარებით ახალგაზრდები, ბატონი ნიკას ჭარმაგობის მშვენიერ ხანას შევესწარით და დიდად გვეამაყება, მას გვერდით რომ გვეხვდება ცხოვრება და მუშაობა; მრავალი საინტე-რესო რამ გვისწავლია მისგან და მრავალსაც, ალბათ, მომავალში გავიგებთ; ვერ წარმოგვიდგენია ჟამთა სვლამ რაიმე დააკლოს შნოთი და ლაზათით სავსე მის პიროვნებას.

მაგონდება ერთი ასეთი შემთხვევა. ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა ტარიელ ჭანტურია და მე ერთი ლექსის კრებულს ვადგენდით, ბატონ ნიკასთან მივედით, ვთხოვეთ: მოუნაის მო-თავეანე ბრძანდებით, იქნებ ძველი, მივიწყებული პოეტების საყურადღებო ლექსები გაიხსენოთ, არ გვინდა, რაიმე ღირებული გამოგვრჩეს-თქო. ეს ამბავი ასე ზეპირად გადასაწყვეტი არ არის, ხვალ შემოიარეთ, გვითხრა. მეორე დღეს, მართლაც, უზარმაზარი სია დაგვახვედრა, რასაც ზუსტი წყაროები და შესაფერისი წერილობითი რჩევა-დარიგებანი ერთვოდა, თან დაატანა, ყველაფრის გათვალისწინება არ იქნება საჭირო, თქვენი ჭკუით იმოქმედეთო. დიდად გაგვახარა უფროსი მეგობრის ასეთმა ნდობამ და გულისხმიერებამ. ტარიელს ის ვრცელი ნუსხა ახლაც შენახული აქვს.

ძნელია ყველა იმ სიკეთის ჩამოთვლა, რაც ნიკა აგიაშვილს ცხოვრების მანძილზე გაუკე-თებია. ერთ კაცს მარტო მოგონებების საუცხოო წიგნა ეყოფოდა — „ჭაბუკები დარჩნენ მა-რად" — სადაც საოცარი სიყვარულით არის გაცოცხლებული უდროოდ წასული მისი მეგობ-რების — ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის, ალექსანდრე საჯაიასა და სხვათა განუმეორებე-ლი სახეები.

ბატონ ნიკას გმირის იდეალად ტყუილად როდი ჰყავს არჩეული უკვდავი სერვანტესის კეთილშობილი იდალგო — ამქვეყნიურ უკუღმართობასთან შეჭიდებული დაუღალავი მოგზაური. გარდა იმისა, რომ ჩვენს ახალგაზრდობას სერვანტესის ძალზე ცოცხლად, მიმზიდველად და-წერილი ცხოვრება მიაწოდა, სანიმუშოდ თარგმნა მისი უკანასკნელი ქმნილება — „პერსილესისა და სიგიზმუნდის ყარიბობა" — სადაც ოსტატურად გამოავლინა ქართული ენის სიმდიდრე და მოქნილობა, სიტყვის გრძნობის ესოდენ აუცილებელი უნარი.

გამუდმებული ფუსფუსი და შრომა ამ კაცის თანდაყოლილი თვისებაა, ქართული წიგნი, მისი დღევანდელი და ხვალინდელი დღე ბატონი ნიკას უპირველესი საზრუნავია, უფრო დიდი და საპატიო საქმე არ ეგულება.

ბატონ ნიკას სხვადასხვა დროს სხვადასხვა შემთხვევის გამო გაკეთებული უამრავი ჩა-ნაწერი მოეპოვება და შეუძლებელია, მემუარების მოზრდილი წიგნის დაწერას არ ფიქრობდეს (თუ, რა თქმა უნდა, უკვე დაწერილი არა აქვს). ვუსურვოთ ქეირფას ადამიანს, ბოლომდე მიიყვანოს ყველა თავისი განზრახვა და კიდევ არაერთხელ გაგვახარებინოს ქართველი მკითხვე-ლი, მრავალრიცხოვანი კეთილმოსურნენი — მეგობრები და ახლობლები.

**ემზარ კვიტაიშვილი**

□

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ႨႠႩႭႡ ႺႳႰႲႠႥႤႪႨ

# ႼႠႫႤႡႠჂ ႼႫႨႣႨႱႠ ႸႳႸႠႬႨႩႨႱ

# 1500

მანანა გიგინეიშვილი

თხუთმეტი საუკუნე გვაშორებს „შუშანიკის წამების" დაწერის ხანას. მეხუთე საუკუნეში ქართლის პიტიახშის კარზე დატრიალებული ტრაგედიის ამსახველი ნაწარმოები, როგორც ყველა ჭეშმარიტი ლიტერატურული ქმნილება, სხვადასხვა ეპოქის ადამიანებისთვის შეიძლება იყოს მახლობელი. ღალატი პრინციპებისა და ერთგულება შინაგანი მრწამსისა უბერებელი თემაა, იგი ყველა დროის ადამიანის წინაშე შეიძლება წამოიჭრას. სიტუაცია მძაფრდება, როდესაც ოჯახის ზღუდეებშია მომწყვდეული სამყაროსა და ადამიანის მიმართ საპირისპირო დამოკიდებულება. ეს დიდებული ნაწარმოები სხვადასხვა ეპოქის ადამიანმა შეიძლება წაიკითხოს ახლებურად, თავისი ეპოქის ლიტერატურული გემოვნებისა და შემოქმედებითი პრინციპების შესაბამისად. თავისთავად ყოველი ახალი წაკითხვა კვლევის საინტერესო საგნად შეიძლება იქცეს. მაგრამ ადრეული შუა საუკუნეების ლიტერატურული ძეგლის შესასწავლად, მისი ჟანრული სპეციფიკის, კომპოზიციური და სტილური ნიშნების, მისი სახეობრივი სისტემის გამოსავლენად უთუოდ გვმართებს გათვალისწინება ადრეულ შუა საუკუნეთა ლიტერატურის სპეციფიკისა, ეპოქის მსოფლმხედველობისა, ზნეობრივ-ეთიკური პრინციპებისა, შუა საუკუნეთა ესთეტიკური ფენომენისა. მით უმეტეს, რომ „შუშანიკის წამების" შექმნის ხანაში განუყოფელია რელიგიურ-ეთიკური და ესთეტიკური კატეგორიები, თავისებურია ამ ეპოქის ხელოვანის დამოკიდებულება შემოქმედებითი პროცესისადმი, განსხვავებულია სამყაროსა და ადამიანის მისეული ხედვა, კომპოზიციის გრძნობა, გმირის იდეალი, გამომსახველობითი საშუალებანი.

„მარტვილობაჲ შუშანიკისი" ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებია. მასში ასახულია ღვაწლი მოწამისა, რომელიც წმინდანად არის შერაცხილი და რომლის ხსენების დღეს საკითხავადაც არის გათვალისწინებული „წამება". წმინდანის შესახებ ეპოქას თავისი თვალსაზრისი აქვს. ქრისტიანული თვალთახედვით ყოველი ადამიანი ცოდვილია, რადგან ადამის ცოდვა კაცობრიობის მთელ მოდგმას შეეხო. სამოთხიდან განდევნაში არეკლილია ღვთაებრივი სამყაროს მკვიდრი ადამიანის მიერ ხორციელი ბუნების შეძენა და სულიერ ღირებულებათა დაჩრდილვის ხარჯზე დამოუკიდებელი ცნობიერების მოპოვება. ძველი აღთქმა კაცობრიობას აღუთქვამდა მესიას, მხსნელს, რომელიც ცოდვამდელი ადამის სახეს დაუბრუნებდა ადამიანს. ღვთის შემოქმედი სიტყვის განხორციელებამ, მის მიერ ადამიანური ბუნების შეერთებამ ადამიანის განღმრთობის გზა დასახა. დაცემული ადამის ამაღლება ქრისტიანული მწერლობის ძირითადი საკითხია, ასევე მთავარი თემაა იგი ჩვენი სასულიერო პროზისა და პოეზიისა. ქრისტიანულმა შუა საუკუნეებმა ადამიანის ორი ტიპი იცის: ცოდვილი და წმინდანი. ცოდ-

ვისა და მონანიების პრინციპმა წმინდანად აქცია ავაზაკი და მეძავი. ქრისტიანულმა შუა საუკუნეებმა იცის პიროვნებაში მომხდარი ძვრა, მაგრამ არ იცის პიროვნების თანდათანობითი განვითარება, დადებითი საწყისისადმი თანდათანობითი დაქვემდებარება / უარყოფითი თვისებებისა. წმინდანი მეტწილად ბავშვობიდანვე გამოირჩევა ან მასში ხდება სასწაულებრივი გარდატეხა, იგი რჩეულია, ადამიანის პირველსაწყისთან არის მიახლოებული. სრულყოფილი პიროვნებაა. მას უარყოფითი თვისებები არა აქვს. რენესანსის ეპოქამდე შუა საუკუნეების აზროვნებას ასევე სწორხაზოვნად ესახება უარყოფითი გმირი, მისთვის [illegible] რაიმე დადებითი თვისება. გმირის ხასიათის სირთულე, უარყოფით თვისებათა გვერდით დადებითის არსებობა ამ დროისათვის უჩვეულოა. ადრეულ შუა საუკუნეთა მწერლობა ხატავს ზოგადად ადამიანს — წმინდანს ან ცოდვილს, დადებით გმირს ან უარყოფითს, — მაგრამ არ ხატავს ხასიათს, ინდივიდს. ასეთი ვითარებაა არა მხოლოდ ლიტერატურაში. ასეთია ცნობიერების საერთო პროცესი; ამიტომ არის, რომ შუა საუკუნეთა მხატვრობაში გვაქვს ხატი და არა პორტრეტი. ადრეულ შუა საუკუნეებში სრულიად მოულოდნელია ავტორის ობიექტური თვალთახედვა, მოულოდნელია გმირის ხასიათის ჩვენება, გმირის დამოუკიდებლობა ავტორისაგან. პერსონაჟი იხატება ავტორის შემფასებლური პოზიციიდან.

ვარსქენის შესახებ იაკობ ხუცესის ნათქვამი რომ გავიხსენოთ, უარყოფითი გმირი არის „მტერი ღმრთისაჲ", „ულმობელი", „ურჩეული", „უსჯულო", „უბადრუკი", „ყოვლად განწირული", მგლის, მხეცისა და ცოფის ხადარი. ავტორის მიერ ამგვარად შეფასებულ პერსონაჟს მეხუთე საუკუნის ნაწარმოებში არ შეიძლება დადებითი თვისებები ჰქონდეს. ამას თუ გავითვალისწინებთ, სანადიროდ მიმავალ ადრე ამდგარ ვარსქენს შუშანიკის შემბრალებლად და უძილოდ ღამის მთეველად ვერ მივიჩნევთ და ვერ გავიზიარებთ ამის თაობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას.

შუშანიკის ცემის სცენა უდიდესი ექსპრესიითაა აღწერილი, რისხვისა და მძვინვარების გამომხატველი ლექსიკა რიტმს არის დაქვემდებარებული და არაადამიანური ტანჯვის შთაბეჭდილებას ქმნის. რიტმულ ნაკადს ერთვის: „ვითარცა მხეცი მძვინვარე ყიოდა და იზახდა, ვითარცა ცოფი", რიტმული ნაკადი რიტმულ მთლიანს ქმნის. განრისხებისას ვარსქენის გამოჩენა მკითხველს მიაყურადებს, მოელით რაღაცას ახალს, მძაფრს, უსახელოსს. ამის ნაცვლად „და თვით ნადირობად წარვიდა" რიტმულ მოლოდინს არღვევს, ეფექტს აძლიერებს. „ნადირობად წასვლა" უფრო მეტს ამბობს, ვიდრე ტანჯვის სცენები. მით უფრო ჭირს ვარსქენის სიბრალულის დანახვა, რომ ხსენებულ ადგილს მოსდევს ტექსტში: „იწყო განბედ და გმობად ღმრთისა სახიჯად", „წმიდაჲ შუშანიკ ირეცით მოითრია თიჯოთა შიგან", „უბრძანა შეკრვაჲ მისი და ცემაჲ", შუშანიკს მისი ბრძანებით „სცეს კუერთხი სამას ოდენ", „ეშმაკი თხრიდა გულსა მისსა", იგი „ბორგიტებდა და იტყოდა", „და დაადგინნა მცველნი მას ზედა და ამცნო მათ, რაჲთა სიყმილითა მოკლან იგი", „ნუ ხარ ნება გულიან, უმე მოგკლეს!" — უთხრა მცველს. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ვარსქენის ეჭვი, — „ნუუკუე მთავართაგანსა ეხმე ევოდის", — მისი დესპოტური ბუნების გამოვლენა უფროა, ვიდრე შუშანიკის საყვარლობისა. „ნანდვილვე ვიქმნე მეა!" — კითხვით ნათქვამი ამ ფრაზასთან მკვლევართაგან კითხვის ნიშნის დასმისა და ვარსქენის გაოცებად მიჩნევის საშუალებას არ იძლევა არც ვარსქენის ბორკტების გამომხატველი სიუჟეტური დეტალები, არც მწერლის შემფასებლური გამომხატველობითი საშუალებანი და, რაც მთავარია, არც ადრეულ შუა საუკუნეთა ლიტერატურაში ადამიანის ასახვის სპეციფიკა.

ასეთივე ვითარებაა შუშანიკთან დაკავშირებითაც. მკვლევართ მიაჩნიათ, რომ შუშანიკის პიროვნების არასასიამოვნო თვისებებმა [illegible] იაკობის თხრობაში. ისიც ითქვა, რომ ჯოჯიკის უდანაშაულო ცოლისათვის ჭიქის შელეწვა შეუფერებელია წმინდანისათვის.

ტექსტისადმი ფხიზელი თვალის გადევნება სხვა ვითარებას წარმოაჩენს. ვარსქენმა შუშანიკს ჯოჯიკისა და მისი ცოლის პირით შეუთვალა: „შეუვედრე არა, თორემ მოგიკლავ". ისინი „მრავალსა დასაჯერებელსა სიტყუასა ეტყოდეს" შუშანიკს. „მეგონა მე, ვითარმედ იგი ჩემდა მოუკლველი და ღმერთი ჭეშმარიტი იყო, და აწ მე *მაიძულებენ* ამას ყოფად? ნუ იყოფინ ესე ჩემდა! და შენ, ჯოჯიკ, არღარა ჩემი მაზლი ხარ, და არცაღა მე შენი ძმის ცოლი, არცა ცოლი შენი დაჲ ჩემი არს, რომელნი მის კერპისა და მისთა საქმეთა თანაზიარ ხართ". — მოუგდებს მათ შუშანიკი. მას მიაჩნია, რომ *აიძულებენ* და ვარსქენის საქმეთა თანაზიარად მიიჩნევს მოგზავნილთ. შემდეგ ტექსტში ვკითხულობთ: „და ვითარცა ფრიად *აურვებდეს* მას...", „და ვითარცა მეტად *აიძულეს* და *ძლით წარიყვანეს* ტაძრად..." ამას მოსდევს: „ხოლო ცოლმან ჯოჯიკისმან მიართუა ღვინოჲ ჭიქითა და *აიძულებდა* მას,

რამეთუ იგი ხოლო მეხუე". იაკობ ხუცესს ქართული არ უჭირს, ენის სტიქიაში ლაღად გრძნობს თავს. მცირე მონაკვეთის მანძილზე რამდენჯერმე განმეორებულ „ამაღლებაზე", როგორც ჩანს, იგი ყურადღებას განზრახ ამახვილებს. შუშანიკი დაჰყვა მათ ნებას და სასახლეში დაბრუნდა. „მამათა და დედათა" პურის ჭამის წესის დარღვევამ შუშანიკის [illegible] კიდევ უფრო ნათელი გახადა, რომ ვარსქენი ძალ-ღონეს არ ზოგავდა მის დასაბრუნებლად. და მან უარი თქვა ერთად პურის ჭამაზე, „განყენა ჴელი და ჭიქაჲ იგი პირსა შემოჰკრა და ღჳნოჲ იგი დაითხია".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისიც გავიხსენოთ, რომ „წამების" დასასრულის ჯოჯიკი „პირველთა მათ უწყალოთა საქმეთა აღმსარებელი და ევედრებოდა წმიდასა შუშანიკს". არა და, ჯოჯიკმა „ვითარცა ვრაპი მგელ-ხა, გამოუგლი" ჴელთაგან ვარსქენს შუშანიკი, ვარსქენმა „გუემა იგიცა"; ჯოჯიკი ჩორდს მომავალს წამოეწია და სთხოვა „საკრძალთა მათგან განტევებაჲ მისი", „ფრიად აწყინა" კიდეც ვარსქენს. „პირველნი იგი უწყალონი საქმენი" უთუოდ უნდა გულისხმობდეს შუშანიკის დაყობულებას სასახლეში გადასვლაზე. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ შუა საუკუნეთა მწერლობაში სივრცე ეთიკურ კატეგორიად აღიქმება. ერთმანეთს უპირისპირდება ზეციური და მიწიერი გარემო. წმინდანი ცათა სასუფეველისაკენ მიისწრაფვის, მიწა სოფლიურ ბუნებასთან არის დაკავშირებული, წმინდანი უწმინდური გარემოდან გასვლას ცდილობს. ამიტომ იგი ეძებს „წმიდა ადგილს", სივრცულ გარემოში მისი გადაადგილება არის წმინდა ადგილისა „მოხილვა", „მიმოხილვა", ან უწმინდური ადგილიდან განდგომა, უდაბნოში, მონასტერში, სენაკში დაყუდება, ლოცვითაკენ განწმენდილ საკუთარ სივრცულ გარემოში შემოზღუდვა. საგულისხმოა, რომ შუშანიკის სივრცული გარემოა ეკლესია, „სახლაკი ერთი მცირე", „სენაკი მცირე". განსხვავებულია ვარსქენის სივრცული გარემო. სივრცის შეუთავსებლობა იქმა რომ ნიშანდობლივია იაკობ ხუცესისათვის, ეს ვლინდება „განშორებული დედაკაცის" განკურნების ეპიზოდშიც. შუშანიკმა მას უბრძანა: „მიედ იერუსალემდ და განიწმიდე განშორებისა მაგისგან შენისა". ნაწარმოებში აქცენტირებული „შენი ადგილი დაგიტევებია" და „მივედ ადგილსა თჳსსა" მეუღლის კანონიერ მოთხოვნასთან ერთად გარკვეული ქვეტექსტის შემცველია.

კატეგორიულია ვარსქენისა და მისი მუქარებისადმი მიმართული ყოველი ფრაზა შუშანიკისა („მოკითხვაჲ შენი შენადვე მოიქეცინ", „ნუ იყოფინ ჩემდა, თუმცა ვეზიარე საქმეთა და ცოდვათა ვარსქენისთა", „უმჯობეს არს ჩემდა სიკუდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრებაჲ და წარწყმედაჲ სულისა ჩემისაჲ", „და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ-ჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხგყავ. და თუ მრავალი ტანჯვაჲ მოაწიო ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა". შუშანიკი პავლე მოციქულის ეპისტოლითაც ადასტურებს თავისი პოზიციის სისწორეს და დასძენს: „არა დამონებულ არს ძმაჲ გინა დაჲ, არამედ განეყენინ". ამ კატეგორიულ პასუხებს მოჰყვა კატეგორიული ქმედება.

ხასიათის ძერწვის დღევანდელი ლიტერატურული პრინციპებიდან თუ შევხედავთ ჭიქის შელეწვის სცენას, შუშანიკს თავშეუკავებლობად ჩამოვართმევთ და ასეც მოხდა, მაგრამ სხვაგვარია პერსონაჟის სახის გააზრება ადრეულ შუა საუკუნეებში. შუა საუკუნეთა ხელოვანი ხატავს ზოგადად ადამიანს, ღვთით ან ეშმაკით გმირს. აღწერდნენ ადამიანის განცდათა ცალკეულ გამოვლინებებს, მაგრამ ცალკეული ქცევა არ იყო განპირობებული ხასიათის თვისებით. დღევანდელი პოზიციიდან კი უთუოდ ძნელი იქნება პიროვნების გამოვლინებად არ მივიჩნიოთ პერსონაჟის ყოველი ქცევა. [illegible] უცვლელი გავლენით იქმნებოდა მსგავსი სცენები ნაწარმოებში. მწერალს არ ჰქონდა განზრახული თავისი გმირის რთული, წინააღმდეგობრივი ხასიათის ჩვენება. ჰაგიოგრაფი „მრავლისაგან მცირედს" აღწერს. ჭიქის შელეწვის სცენა მოხვდა „მრავლისაგან მცირედში", რადგან იგი წმინდანის უკომპრომისობის დასტური იყო და ამას გარდა ჰქონდა ნაწარმოებში სხვა აზრობრივი დატვირთვაც: ჯოჯიკის ცოლისაგან ღვინის მიწოდებამ გარკვეულ კონტექსტს უქმნის ნაცემ შუშანიკისათვის იაკობის მიერ ღვინოში ჩამბალი პურის შეთავაზებას. ჭიქის შელეწვა გამოკვეთს მომდევნო დღის სხვა სემანტიკას. გავიხსენოთ, რომ იაკობმა „უ რ ი ა დ ა ი ძ უ ლ ე ბ დ ე ს" ნაცვლად ამისა: „მ ც ი რ ე დ გ ა ა ძ უ ლ ე" მიღებად ჭამადი". ექსპოზიციური მოძღვნილი ამ „ჭამადიდან" იაკობმა ღვინოში ჩამბალი პური მიაწოდა შუშანიკს. ეს დეტალი რამდენადმე სიმბოლური სემანტიკური ფუნქციის მატარებელია. ღვინოში ჩამბალმა პურმა ხუცესს საშუალება მისცა გაეხსენებინა, რომ შუშანიკს „ყბანი და ზოგნი კბილნი მოემუსრნეს" ჰქონდა. ამასთანავე ეს დეტალი ქრისტეს სისხლისა და ხორცის ზიარებაზე დაგვაყენებს (იხ. პირველი კორინთელთა, X, 16) და მოგვაგონებს მიწიერი სულიერი განვითარების გზას. შემდეგ იაკობ ხუცესი გვაუწყებს, რომ ციხეში შუშანიკმა „არცა საჭმელი რაჲ მიიღის, გარნა დღესა ხოლო კჳრიაკესა ეზიარის ჴორცსა და სისხლსა ქრისტჱს ღმრთისა

ჩუენისასა", ღვინის ეს ორი შეთავაზება ეხმიანება ახალი აღთქმის მუხლებს: „ვერ ჰელ-გეწიფების სასუმელი უფლისაჲ სუმად და სასუმელი ეშმაკთაჲ; ვერ ჰელ-გეწიფების ტაბლისა უფლისისა ზიარებაჲ და ტაბლისა ეშმაკთასა" (პირველი კორინთელთა, X, 21).

თვითშემეცნების ადრინდელი წესი ქრისტიანობამ ინდივიდუალური „[illegible]" შეცვალა. ღვთაებრივი ლოგოსის განხორციელებამ, ვნებამ და აღდგომამ გზა დასახა ადამიანის განღმრთობისაკენ, მისი ცხოვრების ამაღლებისაკენ. ქრისტეს ვნებათა [illegible] გზა, არის თვითშემეცნების ქრისტიანული გზა, ინდივიდუალური „[illegible]" ... ხულობა და მასთან შეერთების გზა; მარტვილის წმინდანად ქცევა იყო ქრისტიანული თვითშემეცნების, სულიერი სრულყოფის, „ღვთისსახის" მანიფესტაცია. ეს უნდა იქნეს გათვალისწინებული, როგორც შუშანიკის, ისევე სხვა მარტვილთა მხატვრული სახის გახსნისას. მარტვილობა ქრისტეს ვნებათა გაზიარებას და დამოწმებას მოასწავებდა. საგულისხმოა, რომ ბერძნული μάρτυς, ისევე როგორც ქართული „მოწამე", თავდაპირველად აღნიშნავდა მოწმეს, და შემდეგ მიიღო წამებულის, მარტვილის მნიშვნელობა (ლეგენდებში „მოწმე" რედუქციის შედეგად მიღებულია „მოწამისაგან"). მარტვილი საკუთარი ტანჯვით ემოწმებოდნენ მაცხოვრის ვნებებს, აღასრულებდნენ ღვთაებრივთან ერთად მის ადამიანურ ბუნებას და ეგრეთვე იმას, რომ ადამიანის მისია წარმავალ ღირებულებათა მიღმა სულიერი ღირებულებებისაკენ სწრაფვა და საკუთარი „მე"-ს მთლიანად ღვთაებრივი არსის გადაქცევაა. შუშანიკის სულიერი ცხოვრების ეტაპები შეესატყვისება ქრისტიანული სულიერების ეტაპებს და ამ ეტაპთა შესაბამისი სიუჟეტის განვითარებაც.

ადრეული შუა საუკუნეების მწერლობა ახასიათებს კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებს. ჰაგიოგრაფები ისტორიულ პირს აღწერდნენ, გვარწმუნებდნენ, რომ „თანადასწრებით" ან „სარწმუნო კაცთაგან გაგონილს" და „ჭეშმარიტად თხრობილს" გვაუწყებენ. მაგრამ შემოქმედებითი მეთოდი დოკუმენტურობასთან ერთად იდეალიზაციას ითხოვდა. ლიტერატურული მეთოდი წარმართავდა შემოქმედებით პროცესს. ადამიანის შესახებ შუასაუკუნეობრივი კონცეფცია განსაზღვრავდა შემოქმედებით მეთოდს, წარმმართველი ზოგადი ხატი იყო და ნორმატიულ იდეალს უახლოვდებოდნენ გმირის სახეს. ამიტომაა, რომ შუა საუკუნეთა ისტორიზმი იდეალიზაციას მოითხოვს. უარყოფითი გმირის დახატვისას კი საპირისპირო ტენდენცია იჩენდა თავს.

„ყოველივე მომისმინე", — მიმართავს შუშანიკს იაკობ ხუცესი, მაგრამ, როგორც ჩვენმა ისტორიკოსებმა ცხადყვეს, თვით იგი ყოველივეს როდი მოგვითხრობს, ფაქტებს არჩევს დეტალებს, ზოგ ისტორიულ ფაქტზე დუმს, ზოგს აზვიადებს. იაკობ ხუცესის მიერ დახატული ვარსქენი მეხუთე საუკუნის ქართლის პიტიახშზე [illegible]. იაკობ ხუცესი მოწამის სახეს ხატავდა და მას უნდა დაპირისპირებოდა მტარვალი.

„შუშანიკის წამება" ერთიანი მხატვრული ნაწარმოებია. მისი პოეტიკა თავისებურია. ავტორი თვითმხილველია აღწერილი ამბისა, მაგრამ ბიზანტიელი თვითმხილველი ჰაგიოგრაფებისაგან განსხვავებით, იგი პერსონაჟიცაა, მას გარკვეული როლი აკისრია ნაწარმოების კომპოზიციურ სტრუქტურაში, მასთან დამოკიდებულებაში ვლინდებიან გმირები, მისი საშუალებით უკავშირდება ერთმანეთს სიუჟეტური მონაკვეთები. იაკობ ხუცესი რენესანსის ეპოქის შემოქმედთა მსგავსად „ჩაწერილია" ნაწარმოების კომპოზიციაში. მაგრამ, მათგან განსხვავებით, იაკობისეული [illegible] ობიექტური შეფასება, გარეგანი პერსპექტივა. შინაგანი პერსპექტივა [illegible] წარმართავს ნაწარმოების მთლიანობას კომპოზიციურ-სტილურ შრეებს. შინაგანი პერსპექტივა, მოწამის პოზიციიდან [illegible] დამახასიათებელია როგორც ბიზანტიური, ისე ქართული ჰაგიოგრაფიისათვის, საერთოდ შუა საუკუნეთა ხელოვნებისათვის. იაკობ ხუცესის ხედვა ადრეული შუა საუკუნეთა ხელოვნებისათვის ნიშანდობლივია.

„შუშანიკის წამების" ერთპლანიანი, პარალელური სიუჟეტური ხაზების გარეშე წარმართული კომპოზიცია ჰაგიოგრაფიის განვითარების ადრეული ეტაპისთვისაა დამახასიათებელი. ეპოქის იდეალებს პოზიტიურისა და ნეგატიურის დაპირისპირების საშუალებით ამკვიდრებს ავტორი. მაგრამ ეს არ არის მხოლოდ ორი პერსონაჟის დაპირისპირება. ნაწარმოებში ერთმანეთს უპირისპირდება ქრისტიანობა და მაზდეანობა, რწმენა და ურწმუნოება, მარადიული ყოფა და „საწუთო" ცხოვრება, ამაღლებული სულიერი მისწრაფებანი და მიწიერი ბუნება, სულიერი სიძლიერე და ფიზიკური უხეში ძალა, „სულითა ცხოველ" და „სულითა მოძულებულ" ყოფნა, „[illegible]" და „[illegible] კაცთა". კომპოზიციის წამყვანი პრინციპია კონტრასტულობა. ეს ძირითადი კომპოზიციური პრინციპი ნაწარმოებში ვლინდება სხვადასხვა დონეზე: გმირთა საპირისპირო ქცევებში, ნაწარმოების პერსონაჟებთან მათ საპირისპირო დამოკიდებულებაში, სახვამთ საპირისპირო ტროპებში („სამეუფო სანატრელი"

და „სამგზის საწყალობელი“, „მოწამე ღმრთისაჲ“ და „მტერი ღმრთისაჲ“, „ჭრაჲი“ და „მგელი“). კომპოზიციის ამ წამყვან პრინციპს საფუძვლად უქმნის ქრისტიანულ მსოფლხედვებაში სიკეთისა და ბოროტების, ზეცისა და მიწის, მარადიულობისა და დასაბამიერი ცოდვის დაპირისპირება. მართალია, ქრისტიანული თვალთახედვით სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირება ონტოლოგიურ პლანს არ ეხება და ბოროტებას სუბსტანცია არ გააჩნია, მაგრამ იერარქიული წყობის გარკვეულ საფეხურიდან ბოროტება დაშვებულია, როგორც ადამიანის თავისუფლებისათვის საფუძვლის შემქმნელი ძალა. სიკეთესა და ბოროტებას შორის ბრძოლა და ბოროტების დათრგუნვა პიროვნების განვითარების წარმმართველია ქრისტიანობაში.

„შუშანიკის წამებაში“ ჰაგიოგრაფიისათვის დამახასიათებელია დროის აღქმა. სასულიერო მწერლობა მარადიულობას უპირისპირებს წუთისოფლის დასაბამიერ და წარმავალ დროს. ეთიკური კრიტერიუმი აქვე ახლავს შუა საუკუნეებში დროის გაგებას, როგორც სივრცისას. მოწამის შინაგანი სამყარო, მისი სულიერი რხევები, განისაზღვრება მარადიული კრიტერიუმით („საწუთო“ ცხოვრების ნაცვლად მოიპოვებს მარადიულ ნეტარებას, ამქვეყნიური წარმავალი დიდების ნაცვლად მოიპოვებს საუკუნე დიდებას). მას უპირისპირდება ამქვეყნიურ დიდებულებათათვის ვარსქენის ზრუნვა. ვარსქენის სივრცული გარემო და მასთან დაკავშირებული კრიტერიუმი დროისა ნაწარმოების დასაწყისშივე ხაზგასმული ორიენტირით არის განსაზღვრული. შუშანიკთან დაკავშირებული დრო ქრისტიანულ კალენდარულ დღესასწაულებთან მიმართებაში ფიქსირდება („და ვითარ მოიწინეს დიდნი იგი მარხვანი“, „და ვითარ მოიწია აღვსებისა ორშაბათი“, „საკვირველსა წმიდასა მათ და სანატრელთა მოწამეთა კოზმან და დამიანესთა“).

კონტრასტულობა რიტმის საშუალებითაც გამოიკვეთება. სათუთი და გულისხმიერია ახალი აღთქმის პერიფრაზებით ხუცესთან შუშანიკის საუბარი; საპაექრო ტონით არის წარმოთქმული და კატეგორიულია ვარსქენის საპასუხო მისი ფრაზები. რიტმი საზეიმო შენელებას ქმნის და სულიერ წონასწორობას გადმოსცემს გულშემატკივრებთან მოსაუბრე მოწამისას.

ვარსქენის მეტყველება მბრძანებლურია, მისი ფრაზა ვერ წარმოითქმება ხმადაბლა, მისი მეტყველება ხმაურიანია, ბრაზიანი, საპაექრო ინტონაციით გამართული. ვარსქენის ფრაზას არ ახლავს რელიგიური სიმბოლიკა, ქვეტექსტი, სიტყვას მიღმა სათქმელი.

კონტრასტულობა მსჭვალავს და იმორჩილებს ნაწარმოების იდეურ-კომპოზიციურ და მხატვრულ-სტილისტურ სტრუქტურას. ნაწარმოების შინაგანი სტილური ერთიანობა ვლინდება ყოველ დეტალში. გამომსახველობითი საშუალებებით ტექსტურად ნაწილდება შუქჩრდილები; მდორე, ეპიკური თხრობიდან იაკობ ხუცესს გადავყავართ ბობოქარ განცდათა სფეროში, გვიხატავს ნერვიულ მოძრაობას; მშვიდ ნარატიულ პასაჟებს მოსდევს დაძაბული დიალოგები, მონაცვლეობს პერსონაჟთა ხასიათი, სიტყვათა შეფერილობა, რიტმული მონაკვეთები. მარადიულ და წარმავალ ღირებულებათა დაპირისპირების პრინციპი გასდევს მთელ ნაწარმოებს და ერთიან სისტემად კრავს მას.

რიტმის მახვილი გრძნობა დამახასიათებელია იაკობ ხუცესისათვის. რიტმულ მონაკვეთთა მონაცვლეობა შინაგან დინამიკას მატებს „წამებას“.

გამოთქმა მოსაზრება, რომ „შუშანიკის წამებაში“ ციხის გარემოს აღწერა მეტეოროლოგიურ ცნობას უფრო ჰგავს, ვიდრე პეიზაჟს, ამ აღწერით კი მკითხველის წარმოდგენაში შექმნილია ხატი ბუნებისა. მართლაც და, სამი ფრაზა, სამი სახელდებითი წინადადება გამოთქმულია: „ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუელი იგი მწუერვალეჲ მზისაჲ, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი“. ე. წ. „ბუნების აღწერის“ დანარჩენ ნაწილს არაფერი აქვს საერთო პეიზაჟთან. მასში ასახულია იმ ადგილის მკვიდრთა ჯანმრთელობის მდგომარეობა. მაგრამ აღწერილია უდიდესი ექსპრესიით. რიტმი იმორჩილებს ფრაზას: „სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვითლებულნი“; გან—თავსართის განმეორება გამომსახველობით ძალას მატებს, თავისთავადს ხდის რიტმულ ფრაზას; შემდეგ კი ამას ერთვის: „ღაწვრტილნი და დამჭნარნი, და დამდგრებულნი“. ახლა და-მ იკისრა რიტმის გამოკვეთა. წინა რიტმული მონაკვეთისაგან განსხვავებით ამ მონაკვეთს მეტი კომპონენტი ქმნის, რიტმული ნაკადი ძლიერდება; „ნაღველ ვ ა ნ ნ ი, პირ-მხი ვ ა ნ ნ ი და დღე-მოკლედ ცხორებულნი“,—ერთვის გაძლიერებულ რიტმულ ნაკადს და სიმძაფრეს მატებს. შემდეგ კი რიტმი დუნდება, მდორდება: „და მოხუცებული არავინ არს მათ ქუეყანათა“. ამ უკანასკნელმა ფრაზამ რიტმი, რომელიც ისე დაიძაბა, რომ კიდევ ახალ რიტმულ ნაკადს ითხოვდა, შეაჩერა და გამოცხადა საზარელი შედეგი ყოველივე აღწერილისა; დავკვირდეთ ქვეყნად მოვლენილი ჯოჯოხეთის განცდა, მოგვაგონებს ჯოჯოხეთის „დღე-მოკლედ ცხორებულ“ მკვიდრთა ხილვა. ვგრძნობთ, რომ ამქვეყნიური ჯოჯოხეთიც დაერთო მარადიული სასუფევლის მოსაპოვებლად წამებული ქალის განცდებს.

კონტრასტის საოცარი გრძნობა კვლავ მჟღავნდება „წამების" სტილურ ნიშნებში. ეს არ არის განსაზღვრებათა ჩვეულებრივი დაწყვება; მიმღეობათა, ნაზმნარ სახელთა წყება მოქმედების ენერგიითაა დამუხტული და ამ მოქმედების შედეგსაც შეიცავს. რიტმი ეუფლება მკითხველს თუ მსმენელს, სიტყვათა ჟღერადობა ზემოქმედების უნარს იძენს. მათი მნიშვნელობა უკან იხევს, კონკრეტული სიტყვები ახალ ელფერს, ახალ გამომსახველობით ძალას იძენენ და იქმნება მოციქულის ენით აღუწერელი, ჯერ არნახული, უდიდესად მშვენიერი სურათი. იაკობ ხუცესი ამას აღწევს ისეთი კონტრასტული ინტონაციით, რომ დღესაც კი რუსთაველისა და გალაკტიონის პოეზიაში სიტყვისა და რიტმის მაღალ საგრძნობლობით განებივრებულთ ბუნების სურათად, ბუნების შემზარავ სახედ წარმოგვიდგება ეს მონაკვეთი.

ქრისტიანულმა რელიგიამ იდეალურის კონკრეტული არსებობა დაუშვა. ლოგოსის ხორციელქმნით ღმერთის მოაზრება გახდა შესაძლებელი ადამიანში. ჰაგიოგრაფია ადამიანის პირველსახეს მიახლოებული იდეალური პიროვნების დახატვას ისახავს მიზნად, მაგრამ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების გმირი ამავე დროს ისტორიული პიროვნებაა. ხდება იდეალურის კონკრეტულში გამოვლენა, იდეალისთვის მიყენება ცხოვრებისეული საკითხებისა. ამ პროცესის შესატყვისი იყო ჰაგიოგრაფიული შაბლონი, რომელიც წარმართავდა არა მხოლოდ კომპოზიციას, არამედ ნაწარმოების სახეობრივ სისტემასაც.

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ჰაგიოგრაფიულმა შაბლონმა დასრულებული სახე მიიღო VI საუკუნეში, კირილე სკვითოპოლელის შემოქმედებაში. მაგრამ ეს ითქმის ცხოვრების შესახებ, წამება ადრინდელი ჟანრია და ბიზანტიური მარტიროლოგიის უმნიშვნელოვანესი ნიმუშები შექმნილია IV—V საუკუნეებში. „შუშანიკის წამებაში" მრავალი ტიპიური დეტალია ჰაგიოგრაფიული სქემის თანმხვედრი. ეს დეტალებია არა მხოლოდ ქრისტიანული ოჯახიდან წარმომავლობა, საერთოდ ღვთისმოშიშება, გადამწარებელნი და „თავის მოხდომებიც", გამამხნევებელნი, ტანჯვის სცენები, სასწაულები, აღსასრულის წინასწარგრძნობა და მახლობელთა დამოძღვრა, სხეულის დაბარება, არამედ ისეთი დეტალებიც, რომლებიც მხოლოდ მისთვის სპეციფიკურად არის მიჩნეული. გულისმოტკივართა ამბორი მიაცილებს ევსტათისა და აბოსაც და ეს მოტივი ემთხვევა სახარების ხილვას; ვარსქენისაგან შუშანიკის თანამდგომელთა დევნა ლექსიკური ნიუანსებითაც კი მოგვაგონებს ახალ აღთქმაში ხელისუფალთა ქრისტიანთა დევნას; მოწამის მიერ გულისმოტკივართა დამშვიდებაც ასევე გავრცელებული მოტივია. ათანასე ალექსანდრიელის მიერ აღწერილ ანტონი დიდის „ცხოვრებაში" ნათქვამია, რომ ეშმაკსაც „დაუკვრდა" და გაოცებული დარჩა მის მიერ მიყენებულ გვემას რომ გაუძლო წმინდანმა. შუშანიკის შეურაცხყოფა საკუთარი მოგვაგონებს თეოდორიტე კვირელის მიერ ზენონის ქვემაგებების აღწერას; „გრწყილი და ტილი მოუგონებელი ადგილსა მას" ვხვდებით ათანასე ალექსანდრიელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში; მატლის მოტივი ბიბლიური სახისმეტყველების კუთვნილებაა („მე კაცისა მატლ", იობი, XXIV, 20), სხეულის გაუხრწნელ ბუნებაზე მიმანიშნებელი, და იგი გვხვდება სვიმეონ მესვეტისა და ანტონი დიდის ცხოვრებებში. „ხოლო სამოსლად მისა იყო შინაგან ძაძაჲ და გარეშე ტყავი", — ნათქვამია ანტონი დიდის ცხოვრებაში (გავიხსენოთ შუშანიკის „შინაგან ძაძაჲ... ხოლო გარეშე კაცთა თუალსა ანტიოქიის პალეკარტი"); ტიმოთეს წამებაში ნათქვამია, რომ მას თანამოაზრე ცოლიც ნახულობდა, ჩიხვლს მისდა და ჭრილობებს უხვევდა; წმიდა გიორგის გულისმოტკივარნი „მოვიდეს ღამით მის წმიდისა და საფასესა მისცემდეს საპყრობილეს მცველსა მას, რათამცა შეუტევნა ივინიცა შინა". ისინი იაკობ ხუცესის მსგავსად ქრთამის გაღებით ახერხებენ მოწამის ნახვას.

ხსენებული სიუჟეტური დეტალები თავისთავად იმდენად ცხოვრებისეულია, რომ ალბათ სავარაუდებელია, რეალურად თან სდევდა ამ მოღვაწეთა ცხოვრებას. მაგრამ ჰაგიოგრაფები, როგორც ვთქვით, „მრავალთაგან მცირედს" აღწერდნენ და საგულისხმოა, რომ ამ თემატურ დეტალებს გვერდს არ უვლიდნენ.

მარტოობის გამო შუშანიკის ჩივილი, როგორც უკვე სამართლიანად აღინიშნა, ეხმიანება გოლგოთაზე ჯვრიდან ნათქვამს. აქვე გავიხსენოთ პავლე მოციქულის: „პირველსა მას სიტყვის-გებასა ჩემსა არავინ თანა-დამიდგა მე, არამედ ყოველთა დამიტევეს მე" (მეორე ტიმოთე, IV, 16). ჰაგიოგრაფიული მწერლობისათვის არ არის უცხო მოწამის ორჭოფობისა მოხაზულობა განსაცდელის წინაშე. ჰაგიოგრაფები მარტვილთა მოწამეობრივი მხნეობისა და სიხარულის გვერდით არ ერიდებიან მათი ადამიანური შიშის, ადამიანური ბუნების დახატვას. ვერ ვიტყოდით, რომ ეს გამოწვეული იყო ქრისტიანული ტრაფარეტის გადალახვით. ქრისტიანობამ ღმერთი და კაცი მოიაზრა ერთ არსებაში. ადამიანური ბუნებისადმი განსაკუთრებულ ინტერესს საფუძველს უქმნიდა დიოფიზიტური დოქტრინა. იაკობ ხუცესის ნაწარმოებში შუშანიკის ცრემლები ან გულისტკივილი — „ჩემდა მარტოისა არიან ჭირნი (ე. ი. განსაცდელი) ესე" —

ეროვნული
ბიბლიოთეკა



განკურნოებათ არ ღვას. ჰაგიოგრაფებმა გაიჩვენებდნენ, თუ რა ხაზმიზე გადაიტანეს მათი ნაწარმოებების გმირებმა, თუ რა ძნელია, რა მწვავე ხელიერ ტკივილებთან არის დაკავშირებული სულის გამარჯვება ხორცზე. მოწამეთა ორჭოფობა და მარტოობის შიში კიდევ უფრო გამოკვეთს მათი ღვაწლის სიდიადეს და მოწამებრივი სულიერის ხაზგასმას. ამის დასტურია ჯვარცმისას მაცხოვრის ნათქვამი, იოანე მახარებლის მიერ გადმოცემული: „აწ სული ჩემი შეძრწუნებულ არს და რაი-მე ვთქუა? მამაო, მიჴსენ მე ჟამისა ამისგან. არამედ ამისთჳს მოვედ ჟამსა ამას" (იოანე, XII, 27).

მეხუთე საუკუნის ლიტერატურული ნაწარმოები ჰაგიოგრაფიულ სქემას რომ მიჰყვება, ეს მისი ნაკლი არ არის. ამ ეპოქის ესთეტიკური პრინციპების თანახმად, ჟანრის ჩარჩოებიდან გამოსვლა კი არ არის ჰაგიოგრაფის ოსტატობის მაუწყებელი, არამედ — ამ ჟანრის შესაძლებლობების გაშლა, ჟანრის ფარგლებში უდიდესი იდეურ-გამომსახველობითი ძალის მინიჭება ნაწარმოებისათვის. ჰაგიოგრაფია განვითარდა ქრისტიანული კულტურის მქონე ერების მწერლობაში. ქრისტიანული საქართველო ამ პროცესს არ გამოაკლდება. ეს ჟანრი ეპოქის მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკურმა მრწამსმა განაპირობა. ჰაგიოგრაფიას თავისი სპეციფიკური ესთეტიკური კრიტერიუმი ჰქონდა. შაბლონურობა არ გამორიცხავდა მის მხატვრულ ღირებულებას.

„შუშანიკის წამებაში" ადრეული შუა საუკუნეთა მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკური პრინციპების შესატყვისად არა მხოლოდ კანონიკური მაგალითი, არამედ გამომსახველობითი საშუალებანიც. ამ ეპოქაში ხდება მოვლენათა ზოგადი კრიტერიუმით შეფასება. არ ჩანს არა მხოლოდ ადამიანის ინდივიდუალური თვისებები, არამედ მოვლენის, საგნის კონკრეტული და სპეციფიკური ნიშანიც. გამომსახველობით საშუალებათაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეტაფორა-სიმბოლოებს, რადგან მათში ვლინდება ზოგადი თვალსაზრისი. ეს გამომსახველობითი საშუალებანი მოჰქონდათ ავტორიტეტული წყაროდან, წმიდა წიგნიდან. ეს განმეორება არ აღიქმება დღევანდელი ლიტერატურული კანონების შესაბამისად. მოულოდნელი გამომსახველობითი საშუალებათა ძიება მიუღებელი იყო სასულიერო მწერლობისათვის. ამ მეტაფორა-სიმბოლოთა წყარო ბიბლიის სახეობრივი სისტემა იყო. ბიბლიურ სტილურ ნიშანთა უცვლელობის კი არა, თავისებური პრობლემა იდგა ხელოვანის წინაშე. აღსანიშნავია, რომ ეს გამომსახველობითი საშუალებანი ბიბლიაშიც გვხვდება, „შუშანიკის წამებამდე" შექმნილ ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის ნიმუშებშიც და მომდევნო ხანის ქართულ ჰაგიოგრაფიაშიც.

ორიგინალური მხატვრული სახე და წმინდანისათვის შეუფერებელი ჩივილია მკვლევართა მიერ დანახული შუშანიკის ფრაზაში: „მან უკუეთუ ნაყოფნი ჩემნი მოისთულნა და სანთელი ჩემი დამრიტა და ყუავილი ჩემი დაჭნო..." აქ თვითმყოფადი მეტაფორა არა თუ ორიგინალური არ არის, ბიბლიის პოეტური არსენალიდან მომდინარე სტერეოტიპად ქცეული გამომსახველობითი საშუალებაა. ამ ეპოქის ძეგლში სრულიად მოულოდნელია „მეტად ორიგინალური მხატვრული სახეები". გამომსახველობით სახეთა სიმდიდრეს ამ ეპოქაში სახის მრავალპლანიანობა, ტევადობა და არა ორიგინალობა ქმნის. ანგარიშგასაწევია შუშანიკის ნათქვამის კონტექსტი, რომელიც ნათელყოფს, რომ „ნაყოფის მოსთულვით" და „ყუავილის დაჭნობით" შუშანიკი ღვთის წყალობას მოელის: „ხოლო მე აწ ამას ვჰმადლობ ღმერთსა, რამეთუ ტანჯვითა მისითა მე ლხინებად მიიყო და გუემათა და ტანჯვათა მისთათჳს მე განსუენებაჲ მივემთხჳო, და უგულისხმოებისა და უწყალოებისა მისისათჳს მე წყალობაჲ მოველი იესუ ქრისტეს მიერ უფლისა ჩემისა". ამას კი მოსდევს: „ყოველი ცხორებაჲ, ვითარცა ყუავილი ველთაჲ, წარმავალ არს და დაუდგრომელ, და ვინ სოფლისა მოყუარე და ვინ განაბნია გლახაკთათჳს—შეიკრიბა, და რომელმან წარიწყმიდოს თავი თჳსი, მან ჰპოვოს იგი, რომელმან ადიდა იგი".

შუშანიკის ეს სიტყვები ბიბლიის მუხლთა გარდაქმნას წარმოადგენს. „ყუავილი" ბიბლიური მეტაფორა-სიმბოლოა, მისი ხანმოკლე ყვავილობა და უეცარი დაჭკნობა მიანიშნებენ ამქვეყნიური დიდების ამაოებასა, წუთისოფლის წარმავლობასა. მაგალითად, „კაცისანი ვითარცა თივა არიან დღენი მისნი და ვითარცა ყუავილი ველისაჲ, ეგრეთ ყუავიან. ჰბერის მას ქარმან, არღარა იყოს, არცაღა ჩნდეს ადგილი მისი. ხოლო წყალობაჲ უფლისაჲ უკუნითი უკუნისამდე მოშიშთა მისთა ზედა, და სიმართლე მისი — ძეთა შვილამდე" (ფსალმ. 102, 15—17); „ყოველი ჴორცი თივა და ყოველი დიდება კაცისა, ვითარცა ყუავილი თივისა. განჴმა თივა და ყუავილი დამოსცჳვა, ხოლო სიტყუაჲ ღმრთისაჲ ჰგიეს უკუნისამდე, ხოლო ესე არს იგი სიტყუაჲ, რომელი გახარა თქუენ" (პირველი პეტრე, I, 24—25; იხ. აგრეთვე იაკობი, I, 9—11).

ეს მეტაფორა-სიმბოლო გამოყენებულია ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის ნიმუშებში და და-

დასტურებულია მის ქართულ თარგმანებშიც: „ყოველივე დიდებაი კაცთაი, ვითარცა ყუავილი ველისაი არს" („წამებაი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისი", ხელნ. ათონ. 57, გვ. 259 r), ან კიდევ: „რამეთუ ყოველი დიდებაი კაცისა საწუთოი და წარმავალ არს, ყოველნი ამას და ვითარცა ყუავილი თივისაი განქარდების" (ხელნ. A-518, გვ. 166 r).

შუშანიკი მასთან მისულ მონანიე ჯოჯიკს ეხვეწება ვარსქენის მიერ ნალაფევ სამკაულებზე, ვარსქენმა „დაჭკნა" ყვავილი, წარტაცა მას ის, რაც წარმავალია [illegible] წარმავალისათვის იღვწოდა და წარტაცებაც წარმავალისა შეძლო. შუშანიკის [illegible] ზიანის მიყენება ვარსქენს არ ხელეწიფება, მას შეუძლია ხელყოს მხოლოდ ის, რაც შუშანიკის არსებაში წუთიერი და წარმავალია. მაგრამ ამით იგი საკუთარ სულიერ არსს აყენებს ზიანს. ცნებათა სანაცვლოდ შუშანიკი მარადიულ დიდებას მოიპოვებს, ვარსქენს კი უფალი მოაკლებს სამარადისოს. ვარსქენის დამშვენება „მეუფისარყუმია საკუთარი" მისია და „ყუავილი დაჭკნა" მისი. ამის სანაცვლოდ შუშანიკი „წყობუროვნის საღმრთოთა ყუავილთა მარადით, მარადის მდიდარიცებით, ზეცათგან, თავყუანის-ცემით და უჭკნობელ და კეთილითა წყვეთათა მოსწყვეტა-ლად." „შეუძლებელიდადგენელებულმა" შუშანიკმა „განაშორწვინა და განაშუენა ყოველი იგი ცათა საკუთრითა მისი ქმარითა."

კონკრეტული და სიმბოლური აზრი საგანთა და მოვლენათა „წამების" ერთიანების არის გადაჰლართული და ამ სიმბოლიკაში გარკვევის გარეშე შეუძლებელია საწარმოების სწორად წაკითხვა. საგულისხმოა, რომ „შუშანიკის წამებაში" სიმბოლურ-ალეგორიული ფუნქცია აკისრია ისეთ კონკრეტულ დეტალსაც კი, როგორიცაა შუშანიკის სამკაულები. ამ საუკეთესო დეტალმაც მიიქცია მკვლევართა ყურადღება და იგი სხვადასხვაგვარად იქნა გააზრებული. აღსანიშნავია, რომ ვარსქენის სამკაულისგან განძარცული და ნაცემი შუშანიკი ივლიდა ქვეყ ოთხის „მშვენიერად... შემკული": „და ვითარცა ტარიგი იგი ქრისტესი მშვენიერად გა-თარცა სძალი, შემკული საყურებელით მათგან". „ტრედი" ამ კონტექსტში „ტარიგად" აქცია და მხნეობის ნიჭისა მიეცა. იაკობ ხუცესმა აქ ქრისტიანული პატივის მომასწავებელ სამკაულთა სიმბოლოდ მორთულობით „შემკული" და ქრისტეს სძლად განზადებული შუშანიკის სულიერი მშვენიერება დაგვიხატა. ქრისტე, როგორც ზეციური სიძე, და მოწამებრივი აღსასრული, როგორც ღვთაებრივი ქორწინების აქტი, ფართოდ გავრცელებული მოტივია ქრისტიანულ მწერლობაში. სულიერი სრულყოფის ქრისტიანობისმიერი გზა ადამიანის ღვთაებრივ არსის მიახლოებას ხოლმე ღვთაებრივი სახიდის ხიბით. თეოლოგიის გზაზე შემდგარი ბა-რთველი „სძლად" იგი სიმბოლურად გააზრებული, ადამიანის სულის ეს სწრაფვა საკუთარი ღვთაებრივი არსისაკენ სატრფიალო ლტოლვის სახეს იღებს „ქებათა ქებაში". ღვთაებრივი ქორწინების დასტურები ძველი აღთქმის სხვა წიგნებშიც. ახალმა აღთქმამ ლოგოსის იმეულნი დაუკავშირა ადამიანის თვითმემეცნება. ეს კი საფუძველი გახდა ღვთაებრივ სასიძოდ უწო-ბლოდ ქრისტეს წარმოდგენისა (მათე, IX, 15; XXV, 10). იოანე ღვთისმეტყველის ესქატოლოგიურ ხილვაში კვლავ ისმის ღვთაებრივი ქორწინების თემა: „და ქალაქი იგი წმიდაი იერუსალემი ახალი ვიხილე, გარდამომავალი ზეცით ღმრთისაგან, განმზადებული, ვითარცა სძალი შემკული ქმრისა მისისა თჳსისა" (გამოცხადება, XXI, 2). სამკაულის ალეგორიულ-სიმბოლურ მნიშვნელობაზე მიგვითითებს ესაიას წინასწარმეტყველებაც (49, 18): „ცხონ ვარ მე, იტყჳს უფალი, ვითარმედ ყოველნი-იგი გარემოიცვნე და მოიმკარგნე იგინი, ვითარცა სამკაული სძლისა".

სამკაულებს „შუშანიკის წამების" სახისმეტყველებაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება. გარდა ამისა, რომ იგი ნათელყოფს მწერლის შემოქმედებითი აზროვნების ფორმების მჭიდრო კავშირს ბიბლიურ სამყაროსთან, აძლიერებს გმირის სახეების ნაშთენს. ვარსქენის მიერ ამქვეყნიური პატივისათვის მიღდვლობის უპირისპირდება ამქვეყნიური პატივისაგან განძარცვა და სულიერი ღირებულებებისაკენ მიდრეკილი მოწამის სულის მიმოხვრა. სამკაულებით კავში-რი იკვრება წამების კომპოზიციურ მონაკვეთებს შორის. ჯოჯიკი შუშანიკს მიმართავს: „სძალო და მკვიდრო ქრისტესო", განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ავტორის მიერ ქრისტეს სძლად დასახული შუშანიკი ვარსქენს თავის „საწუთროო მეუღლეს" უწოდებს: „არავინ იპოვა კაცთაგანი, რომელსამცა აქუნდა წყალობაი და ტკივილი ჩემთჳს, რომელმანმცა შეაჯერა უღმრთოისა მის საწუთროისა მეუღლესა". ისიც აღსანიშნავია, რომ თხზულებაში შუშანიკი ვარსქენის „ბუნებით ცოლად" იხსენიება. თითქოს ამითაც გამოკვეთს იაკობ ხუცესი იმ გარემოებას, რომ ვარსქენისთვის უცხოა სულიერი მისწრაფებანი და ამდენად — სულიერი ქორწინებაც. ამავე დროს „სამკაული" აზრობრივად ეხმიანება ქრისტიანულ ხელოვნებაში გავრცელებულ სიმბოლოს—„საკრველს", როგორც სულის შემბორკავ ცოდვათა მეტაფორას. იოანე ოქროპირის ნათქვამი აქვს: „ცოდვანი ჩემნი უმრავლეს ქვიშისა ზღჳსა არიან

და მე შეკრულ ვარ მათგან, ვითარცა საკრველითა რკინისაითა", ამქვეყნიური პატივის მომხ-ვეჭელ სამკაულთაგან განძარცული და „ცოდვათა საკრველთაგან" განთავისუფლებული შუ-შანიკი დაბორკილია და „ვითარცა ხმალი, შემკული საკრველითა მათგან", ასე [illegible] იაკობ ხუცესის მოწამის ხელოვნური ამაღლება.

„შუშანიკის წამებაში" ასევე მრავალმნიშვნელოვანია კონკრეტული სხვა სიუჟეტური დეტალები და სიმბოლიკით არის დატვირთული ხატობრივი სახეები.

სამკაულის მოტივი ცხადყოფს, რომ ნაწარმოების მარტივ, ერთპლანიან კომპოზიციაში, სიუჟეტის ერთ სტრუქტურაში, სადაც მოვლენები ერთმანეთს დროული თანმიმდევრობით მიჰყვება და პარალელური სიუჟეტური ხაზები არ ვითარდება, მრავალმნიშვნელოვანი ცალკეული დეტალები და გამომსახველობითი საშუალებები, ნათქვამის ძალა უთქმელის სიღრმეში. ცალ-კეულ სიუჟეტურ მოტივთა კავშირი ნაწარმოებში ესთეტიკური პრინციპით ხორციელდება.

სამკაულების მოტივი არ ეწინააღმდეგება ქრისტიანული სიმბოლიკის მეტაფორულ გადმოცემად ნაწარმოებში, იგი მეტყველებს ქართული მწერლობის, ქრისტიანული სახისმეტყველების ღრმა წვდომაზე. იაკობ ხუცესი თითქოს, ძერწავს, შემოქმედებითად ეხმიანება სიმბოლურ-სახეობრივ მეტყველ ბიბლიურ აზროვნებას, ღრმად გრძნობს მისში ახალი აღთქმის მეტაფორულ ნაკადს, ცვალებადობას, კონკრეტულისა და სიმბოლურის შერწყმით ქმნის ესთეტიკურ ეფექტს აღწევს, ლიტერატურული ტრადიციების მიერ ჩამოყალიბებულ ინდივიდუალურ ხედვას და ორიგინალურ ფენომენთა ნიადაგზე მდგარი შემოქმედის ხელოვანის აზროვნების დადასტურებას. ჩვენს წინაშე წარმოსდგება დიდი ხელოვანი, დიდი სიბრძნითა და ტალანტით ცხებული. უნებურად ჩნდება კითხვა: როგორი ძლიერი და მდიდარი ლიტერატურული ტრადიციები უნდა ჰქონოდა ავტორს შემოქმედებას, საუკუნეებისწინათ წინაშე ქრისტეს რჯულზე მოქცეულ ერს ხატებით გამოვლე-ნილი ესთეტიკური აზროვნების რა კულტურა უნდა ჰქონოდა, რომ მეხუთე საუკუნეში შე-მოქმედებითი აზრის ასეთი ფორმები შექმნა!

იაკობ ხუცესის მწერლური ხელი ნაწარმოების აღმქმელთა ინტელექტუალურ დონეზეც მე-ტყველებს. „შუშანიკის წამების" მკითხველისა თუ მსმენელისათვის მისაწვდომი უნდა ყოფი-ლიყო ლიტერატურული ეს ხატები, დიდი უნდა ყოფილიყო მათი შემოქმედების ძალა. „შუშანიკის წამებამ" უმჭკნარი ლიტერატურის ასახა, რომ ბევრად ადრე ხელშეწყობილი დახვეწა ამ ლიტერა-ტურულ ტრადიციათა, რომელთა გარეშე იაკობ ხუცესის ტალანტი ვერ გამოვლინდებოდა. ერთი მწერალი, როგორი დიდებული შემოქმედიც უნდა იყოს იგი, ამ ტრადიციის განმგრძობელი შეიძლება იყოს და არა დამწყები.

კომპოზიციის სრულყოფილებამ და სიუჟეტურ მოტივთა განსაზღვრულობამ, როგორც ჩანს, გამოიწვია დავა ჰაგიოგრაფიული მწერლობის მხატვრული ღირსებების შესახებ. ცნო-ბილ ლიტერატორთა და მკვლევართა შორის წარმოიშვა აზრი არა მხოლოდ „შუშანიკის წამე-ბის", არამედ საერთოდ ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლთა საერო ხასიათის შესა-ხებაც.

ყოფითი დეტალები, ფაქიზი ფსიქოლოგიური ჩანახატები არა თუ შეუფერებელი არ არის ჰაგიოგრაფიისთვის, — მის კლასიკურ ნიმუშებშიც მრავლად გვხვდება. ცხოვრებისეული სცენები ახასიათებს არა მხოლოდ ქართულ ჰაგიოგრაფიას. IV—V საუკუნეთა ბიზანტიური ჰაგიოგრაფი-ული ძეგლები მეტად საყურადღებოა ამ მხრივ. ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილ „ბასილი დიდის ცხოვრებაში" მისი დროის საზოგადოებრივი და კულტურული ყოფის ფართო სურათია გაშლილი, გრიგოლ ნაზიანზელის, დახვეწილი სტილიერი მწერლისა და დიდი ღვთისმეტყვე-ლის, ეს ნაწარმოები ამხელს ჰაგიოგრაფიული მწერლობის შესაძლებლობებში ეჭვის შე-ტანას.

პალადი ჰელენოპოლელის „ლავსაიკონში" ყოველი ოქროპირ დაკავშირებული წმინდანთა ცხოვრებასთან: ახსნილია წარჩინებული კეთილშობილისა და მდიდარი ქალის საქრისტიანო თავგა-დასავალი, ბერებისა და ეპისკოპოსთა ხასიათი, პატრონისაგან მხევლის გამოსყიდვა; წმინდა ბონი-ფატიუსის „წამებაში" სიუჟეტურ ღერძს ქმნის ავლაიასა და ბონიფატიუსის სიყვარული. წმინდა თეოდორეს წამებაში კი ნატურალიზმისათვის მისაღები დაწვრილმანებითაა გადმოცე-მული, თუ როგორ ხრიდა მამა დათბილებულ წყალ თეოდორეს, იუქლისა და ქრთილის ნა-ხარშს, თაფლით შეზავებულს, როგორ აწვდიდა ჭურჭლიდან, „რომელი-იგი ხახვი ძუძუისა შეემზადა, რაითა წოვნასა მისსა, ვითარცა მუძუი სძესა, ეგრეთვე იგი მიჰყვებდეს მას ზეთი-ერსა და წყლიერსა საზრდელსა" (ხან. 62, გვ. 65 r).

საერო თემატიკის არსებობა ჟანრის ბუნებას არ განსაზღვრავს. საერო მწერლობა გან-ვითარდა სამყაროს მთელის, ადამიანის შესახებ კონცეფციის, დროისა და სივრცის კატე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გორიათა ახლებური გააზრების, ხასიათის ძერწვის, განსხვავებული ესთეტიკური და მსოფლმხედველობრივი პრინციპების საფუძველზე.

ანტონი კათალიკოსის მიერ „შუშანიკის წამებაში" შეტანილი ცვლილებების კვლევამ წარმოშვა თვალსაზრისი, რომ ამ ცვლილებათა გარეშე „შუშანიკის წამება" ჰაგიოგრაფიულ ჟანრს არ განეკუთვნებოდა.

ქართულმა ჰაგიოგრაფიამ V-დან XVIII საუკუნემდე განვითარების რთული გზა განვლო. ანტონი კათალიკოსის, XVIII საუკუნის მოღვაწის, მიერ „შუშანიკის წამებაში" შეტანილი ცვლილებების კვლევა მნიშვნელოვანია ანტონის მრავალფეროვანი მოღვაწეობის, მისი თვალთახედვის, „შუშანიკის წამებასთან" დაკავშირებული ზოგი ისტორიული რეალიის გასათვალისწინებლად, მაგრამ არა — მისი ჟანრული სპეციფიკის გასარკვევად. რეგლამენტირების მიუხედავად, ჰაგიოგრაფიის პრინციპები საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა. X საუკუნეში, მეტაფრასტიკის აღორძინების ხანაში, სულ სხვა თვალსაზრისით ხდებოდა ამ ძეგლის გადახინჯვა. XVIII საუკუნეში, მძლავრი საერო მწერლობის არსებობის ხანაში, განსხვავებული იყო ჰაგიოგრაფიული მწერლობისადმი წაყენებული მოთხოვნილებანი, ვიდრე ადრეფეოდალურ ხანაში, საერო მწერლობის ჩასახვამდე, როდესაც ჰაგიოგრაფიას უნდა ეტვირთა ბელეტრისტიკის მთელი სიმძიმე. გასათვალისწინებელია, რომ, ერთი მხრივ, ჟანრი უფრო მყარი იყო ადრეულ შუა საუკუნეებში, ვიდრე ანტონის ეპოქაში; მეორე მხრივ, საყურადღებოა ისიც, რომ ანტონის ნაყოფიერ და მრავალფეროვან მოღვაწეობას ერთგვარად ახასიათებდა კონსერვატიზმი. მისი სამი სტილის თეორია ჟანრულ ზღუდეთა მოშლის საერთო ტენდენციის საპირისპიროდ ჩანს. „შუშანიკის წამების" შესახებ ანტონ პირველის თვალსაზრისის გაზიარებისას ისეთივე სიფრთხილე გვმართებს, როგორც ვეკიდებით მის სხვა შეხედულებებს და „ჩიტოდ დამშრალად" არ მიგვაჩნია რუსთაველი.

ქართული ჰაგიოგრაფიის ნიმუშების „წმიდა ალექსის ცხოვრებასთან" შედარების შედეგად გამოითქვა თვალსაზრისი ჰაგიოგრაფიულად მიჩნეულ ქართულ ძეგლთა საერო ხასიათის შესახებ.

„წმიდა ალექსის ცხოვრება" შუა საუკუნეებში მეტად პოპულარული ნაწარმოები იყო აღმოსავლურ თუ დასავლურ ქრისტიანულ სამყაროში, მაგრამ იგი ჩვენი მწერლობის ჟანრული სპეციფიკის გასათვალისწინებლად არ გამოგვადგება, რადგან იგი ნებაყოფლობითი მარტვილობის, თვითგვემის ამსახველი თხზულებაა. მართალია, „შუშანიკის წამებაში" თავს იჩენს ნებაყოფლობითი მარტვილობის, თვითგვემის თემა (სასთუმლად ალაჰი, შეურაცხი ქვეშაგები, „მარადის მარხულობა", „მღვიძარება", „ხედგომა", ძაძა და სხვ.), მაგრამ ნებაყოფლობითი მარტვილობა ჩვენში არ დანერგილა.

ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდეგ ბიზანტიაში შეწყდა ქრისტიანთა წამება და მარტვილობის ჟანრს „ცხოვრება-მოქალაქობამ" შეცვალა. მაგრამ მაცხოვრის ვნებათა დ ა მ ო წ მ ე ბ ი ს სურვილი თვითგვემისაკენ უბიძგებდა მოსავს. ჩვენში სხვა ვითარება იყო. საუკუნეთა განმავლობაში ჩვენში წამებას არ ჰქონდა ბოლო. „ცხოვრება-მოქალაქობის" ჟანრს განუწყვეტლივ ენაცვლებოდა წამების ჟანრი, რადგან მწერლობა ემსახურებოდა რეალურ ყოფას. რჯულგადასვლის მოთხოვნი კი ჩვენში ხან მარზპანი იყო, ხან ამირა, ხან კი თვით შაჰ-აბასი. საუკუნეთა მანძილზე, ვიდრე ეროვნული და სარწმუნოებრივი იდეალები ერთმანეთს იყო გადაჯაჭვული, არც ერთ დამპყრობელს ქართველი ერისათვის ეროვნულ ღირსებათა დათმობა არ მოუთხოვია, მუდამ სარწმუნოებრივი გადაგვარება იყო აქცენტირებული. ქართველი თვითმარტვილობის გარეშეც არ ეშრიტებოდა შესაძლებლობა საკუთარი წამებით ქრისტეს ვნებათა გაზიარებისა და მისი ადამიანური ბუნების დამოწმებისა.

ბიზანტიურ მწერლობასთან მჭიდრო და სასიცოცხლო კონტაქტის მიუხედავად, ქართულ ჰაგიოგრაფიას განვითარების თავისი გზა და თავისი სპეციფიკური სახე ჰქონდა. ჰაგიოგრაფია სასულიერო მწერლობის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჟანრი იყო, იგი ემსახურებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემას. ამიტომ ქართული ჰაგიოგრაფიის ძირითადი თავისებურება მისი ღრმად ეროვნული სულისკვეთებაა. თოთხმეტი საუკუნის მანძილზე, მირიან მეფის დროიდან XVIII საუკუნის დასასრულამდე, ქართველ ხალხს ფარად და მახვილად ჰქონდა ქრისტიანობა. ეროვნული იდეალები მჭიდროდ დაუკავშირდა სარწმუნოებრივს. ჩვენში ქრისტიანობას არ დართვია მწვალებლური მინარევები, არც ასკეტიზმის უკიდურესი ექსცესები გამოვლენილა ქართულ ყოფაში. მარტვილობას ჩვენს სინამდვილეში, მაზდეანურ და მაჰმადიანურ აღმოსავლეთში ქრისტიანული მართლმადიდებლობის ბურჯად მდგარ ქვეყანაში, უდიდესი ეროვნული რეზონანსი ჰქონდა. მარტვილობათა გმირები — სპარსელი ევსტათი თუ არაბი აბო — ეროვნულ გმირებად იქცნენ განურჩევლად მათი ეროვნებისა.

იაკობ ხუცესი იოანე საბანისძის მსგავსად არ გვესაუბრება თავისი ეროვნული მიზანდასახულების შესახებ, მაგრამ „წამებაში“ აშკარად ჩანს მისი ეროვნული პოზიცია. მან შუშანიკის მარტვილობის ფაქტს ჩამოაცილა ის დეტალები, რაც ხელს შეუშლიდა ეროვნულ იდეალთა მტვირთველად შუშანიკის აღიარებას. იაკობ ხუცესმა დაგვაფიქრა მოწამეობრივი ფაქტის მნიშვნელობაზე, მის უდიდეს რეზონანსზე; შუშანიკის გულშემატკივართა ფართო წრეების ჩამოთვლით — „აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი, სოფლელნი ქართლელნი“, „ამბოხი მრავალი დედებისა და მამებისაი მოხუცებულთა და ყრმათაი“, „სიმრავლე ერისაჲ“, გვიჩვენა, რომ ერთიანად შეძრულია ქვეყანა განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა, სქესისა, ასაკისა. ვარსქენის პოლიტიკურ ზრახვებზე სიტყვაძუნწ იაკობს ყურადღება რწმენის უარყოფაზე აქვს გადატანილი, იაკობი მოღალატეს არ უწოდებს მას, მაგრამ გარკვეულ კონტექსტში მეტი ძალა აქვს „ერთგულს“. სპარსეთიდან დაბრუნებულმა ვარსქენმა „ზრახვაი, რაითა აუწყოს და წინა მიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი მისნი, რაითა მისი გამო, ვ ი თ ა რ ც ა ე რ თ გ უ ლ ი, სოფლად შევიდეს“.

ქართული ჰაგიოგრაფიის მოწამენი თუ ეროვნული გმირები იყვნენ, მონასტერში მოღვაწე ბერები, „ცხორება-მოქალაქეობათა“ პერსონაჟები, საქვეყნო საქმისათვის თავდადებულად იღწვოდნენ.

ქართული ჰაგიოგრაფიის შესახებ მსჯელობისას უნდა გავითვალისწინოთ ის დიდი მისია, რომელიც ეკისრა ჩვენში ბერმონაზვნობის ინსტიტუტს. ქართული მონასტერი სწავლა-განათლებისა და კულტურის კერა იყო შუა საუკუნეების საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ. მონასტერში მოღვაწე ბერები კულტურულ ღირებულებებს ქმნიდნენ, განამტკიცებდნენ ეროვნულ თვითშეგნებას, ამკვიდრებდნენ სახელმწიფოებრივ სტატუსს. ქართველი ბერები ინდულგენციებით არ გამდიდრებულან, სხვათა ცოდვებით არ უვაჭრიათ. ამ წოდებამ იტვირთა ეროვნულ ენაზე ღვთისმსახურებით „ერთიანი ქართლის“ იდეის დამკვიდრება. მონასტერში მოღვაწე ბერები იხზავდნენ, ქრისტიანული კულტურის მონაპოვრებს თარგმნიდნენ, ფილოსოფიური ტრაქტატების კომენტარებით იყვნენ გართულნი, ქვეყნის კულტურულ ცხოვრებას წარმართავდნენ. გრიგოლ ხანძთელმა თუ სამონასტრო ცხოვრების აღორძინება იტვირთა, გიორგი მთაწმიდელმა თითქმის ოთხმოცი ობოლი ბავშვი წაიყვანა ბიზანტიაში და ოთხმოცი მსახური აღუზარდა ქართულ კულტურას.

ჰაგიოგრაფიული რეგლამენტის უპირველესი მოთხოვნა იყო „ჭეშმარიტი და უქცეველი“ აღწერა. ჩვენს ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში საზოგადოებრივი ყოფის ფართო სურათია წარმოდგენილი. ეს ბუნებრივია, ასეთი იყო ამ ნაწარმოების გმირთა სამოღვაწეო ასპარეზი.

ქართული ჰაგიოგრაფიის გმირები უნდა შევუდაროთ არა თვითმარტვილთ, არამედ ჩვენსავე წამებულთ და ჩვენსავე მოღვაწე ბერებს: ილარიონ ქართველს, პეტრე იბერს, თორნიკე ერისთავს, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელებს, ეფრემ მცირეს, არსენ იყალთოელს.

სასულიერო მწერლობა უდიდეს ძალას წარმოადგენდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის საქმეში. ეროვნული თვითშეგნების გაძლიერება გამოიხატება არა მხოლოდ იოანე საბანისძის, გიორგი მერჩულეს, იოანე ზოსიმეს შემოქმედებაში, არამედ ქართული ეკლესიის ორგანიზაციაში, ეორტოლოგიურ პრაქტიკაში; „ქართული განგება“, „ქართული დავითი“, ეროვნული განმანათლებლის კულტი, ღვთისმშობლის წილხვდომილება, ესქატოლოგიური პრობლემების ქართულ ენასთან დაკავშირება — ეს იყო საერთო პროცესი, რომელიც მზადდებოდა აღრიდანვე. იაკობ ხუცესმა 1500 წლის წინათ გვიჩვენა, რომ ღალატი რწმენისა, პრინციპებისა, იყო ღალატი ოჯახისა, ქვეყნისა, ერისა. ქართული მწერლობის მოღწეულთაგან უძველეს ძეგლში ჩვენი კულტურის მამოძრავებელი ტენდენციაა წამოჭრილი, ეროვნული თვითშეგნების მაღალი დონეა წარმოჩენილი.





ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

